

အိမ်ထောင်ရေးနှင့် အိမ်ထောင်ရေး

V

**შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

**თბილისი
2023**

ალექსანდრე ორბელიანი

თხზულებათა სრული კრებული სუთ ტომად



ტომი გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით პროექტის „ქართული ევროპეიზმის სათავეებთან – ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის ოთხტომეულის გამოსაცემად მომზადება“ (FR-19-7480) – ფარგლებში

ალექსანდრე ორბელიანი

თხზულებანი

ტომი V

ჩვენებები

ეპისტოლური მემკვიდრეობა

სხვადასხვა

თბილისი

2023

სარედაქციო კოლეგია

მაია არველაძე
ჯულიეტა გაბოძე
ნინო ვახანია
ელისაბედ ზარდიაშვილი
როსტომ ჩხეიძე (მთავარი რედაქტორი)
მაია ცერცვაძე
თამაზ ჯოლოგუა

ტომის რედაქტორი
ნინო ვახანია

ტომის შემდგენელი
თამაზ ჯოლოგუა და ჯულიეტა გაბოძე

თამაზ ჯოლოგუას
შენიშვნებით, კომენტარებითა და საძიებლებით

ტექნიკური რედაქტორი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნიკოლოზ უღენტი

ISBN 978-9941-9865-3-6 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-9865-4-3 (V ტომი)

© შოთარუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი (2023)

ღიმიჯობა



შაპოძეძეძეძეძე
საშპოძეძე

თბილისი, რობაქიძის 7; მობ.: 551 95 31 90

სარჩევი

1832 წლის შეთქმულების საბამოქიეზლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებები

1. ჩვენება 1832 წლის 16 დეკემბრისა.....	21	309
2. ჩვენება 1832 წლის 18 დეკემბრისა.....	22	315
3. ჩვენება 1832 წლის 19 დეკემბრისა.....	43	346
4. ჩვენება 1832 წლის 21 დეკემბრისა (I)	45	348
5. ჩვენება 1832 წლის 21 დეკემბრისა (II)	46	349
6. ჩვენება 1832 წლის 23 დეკემბრისა.....	48	350
7. ჩვენება 1832 წლის 30 დეკემბრისა.....	50	353
8. ჩვენება 1832 წლის 31 დეკემბრისა.....	51	354
9. ჩვენება 1833 წლის 2 იანვრისა.....	52	355
10. ჩვენება 1833 წლის 3 იანვრისა.....	53	355
11. ჩვენება 1833 წლის 6 იანვრისა.....	54	358
12. ჩვენება 1833 წლის 12 იანვრისა.....	55	361
13. ჩვენება 1833 წლის 13 იანვრისა.....	56	361
14. ჩვენება 1833 წლის 18 იანვრისა.....	57	363
15. ჩვენება 1833 წლის 23 იანვრისა	57	364
16. ჩვენება 1833 წლის 25 იანვრისა	60	365
17. ჩვენება 1833 წლის 28 იანვრისა	61	366
18. ჩვენება 1833 წლის 30 იანვრისა	61	366
19. ჩვენება 1833 წლის 5 თებერვლისა	62	367

20. ჩვენება 1833 წლის 7 თებერვლისა	65	369
21. ჩვენება 1833 წლის 8 თებერვლისა	72	372
22. ჩვენება 1833 წლის 12 თებერვლისა	72	374
23. ჩვენება 1833 წლის 15 თებერვლისა (I)	73	375
24. ჩვენება 1833 წლის 15 თებერვლისა (II)	74	376
25. ჩვენება 1833 წლის 16 თებერვლისა	76	377
26. ჩვენება 1833 წლის 18 თებერვლისა	79	379
27. ჩვენება 1833 წლის 20 თებერვლისა	81	380
28. ჩვენება 1833 წლის 22-24 თებერვლისა	87	385
29. ჩვენება 1833 წლის 25 თებერვლისა	92	388
30. ჩვენება 1833 წლის 28 თებერვლისა	95	389
31. ჩვენება 1833 წლის 1 მარტისა (I)	99	390
32. ჩვენება 1833 წლის 1 მარტისა (II)	99	392
33. ჩვენება 1833 წლის 3 მარტისა	102	394
34. ჩვენება 1833 წლის 7 მარტისა	103	395
35. ჩვენება 1833 წლის 8 მარტისა	106	396
36. ჩვენება 1833 წლის 10 მარტისა	109	398
37. ჩვენება 1833 წლის 11 მარტისა	110	398
38. ჩვენება 1833 წლის 17 მარტისა	112	401
39. ჩვენება 1833 წლის 29 მარტისა	113	402
40. ჩვენება 1833 წლის 30 მარტისა	116	404
41. ჩვენება 1833 წლის 1 აპრილისა	118	406
42. ჩვენება 1833 წლის 5 აპრილისა	119	407
43. ჩვენება 1833 წლის 7 აპრილისა	120	407

44. ჩვენება 1833 წლის 10 აპრილისა	120	408
45. ჩვენება 1833 წლის 11 აპრილისა	122	409
46. ჩვენება 1833 წლის 12 აპრილისა	123	410
47. ჩვენება 1833 წლის 13 აპრილისა	123	412
48. ჩვენება 1833 წლის 15 აპრილისა	125	414
49. ჩვენება 1833 წლის 15-17 აპრილისა	125	414
50. ჩვენება 1833 წლის 17 აპრილისა	127	416
51. ჩვენება 1833 წლის 20 აპრილისა	130	417
52. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (I)	130	417
53. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (II)	131	418
54. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (III)	132	418
55. ჩვენება 1833 წლის 25 აპრილისა	132	419
56. ჩვენება 1833 წლის 26 აპრილისა (I)	134	420
57. ჩვენება 1833 წლის 26 აპრილისა (II)	134	421
58. ჩვენება 1833 წლის 29 აპრილისა (I)	136	422
59. ჩვენება 1833 წლის 29 აპრილისა (II)	137	423
60. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (I)	138	424
61. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (II)	138	424
62. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (III)	139	425
63. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (IV)	140	426
64. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (V)	141	427
65. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (VI)	144	429
66. ჩვენება 1833 წლის 5 მაისისა	145	430
67. ჩვენება 1833 წლის 6 მაისისა	146	431

68. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (I)	147	432
69. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (II)	147	432
70. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (III)	149	434
71. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (IV)	149	435
72. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (V)	151	435
73. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (VI)	151	436
74. ჩვენება 1833 წლის 11 მაისისა	152	436
75. ჩვენება 1833 წლის 13 მაისისა	154	438
76. ჩვენება 1833 წლის 17 მაისისა	154	439
77. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (I)	156	440
78. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (II)	156	440
79. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (III)	157	441
80. ჩვენება 1833 წლის 26 მაისისა (I)	157	442
81. ჩვენება 1833 წლის 26 მაისისა (II)	157	443
82. ჩვენება 1833 წლის 27 მაისისა	159	443
83. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (I)	159	444
84. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (II)	160	444
85. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (III)	161	445
86. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (IV)	161	446
87. ჩვენება 1833 წლის 30 მაისისა	162	446
88. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (I)	163	447
89. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (II)	163	447
90. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (III)	164	448
91. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (I)	164	448

92. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (II)	165	449
93. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (III)	165	449
94. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (IV)	166	450
95. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (V)	166	451
96. ჩვენება 1833 წლის 5 ივნისისა (I)	166	452
97. ჩვენება 1833 წლის 5 ივნისისა (II)	166	452
98. ჩვენება 1833 წლის 7 ივნისისა	167	453
99. ჩვენება 1833 წლის 9 ივნისისა	168	454
100. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (I)	169	454
101. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (II)	170	455
102. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (III)	171	455
103. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (I)	172	456
104. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (II)	172	457
105. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (III)	173	458
106. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (IV)	173	458
107. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (V)	174	459
108. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (VI)	175	459
109. ჩვენება 1833 წლის 20 ივნისისა	175	460
110. ჩვენება 1833 წლის 21 ივნისისა	176	460
111. ჩვენება 1833 წლის 26 ივნისისა	176	462
112. ჩვენება 1833 წლის 28 ივნისისა (I)	177	462
113. ჩვენება 1833 წლის 28 ივნისისა (II)	177	462
114. ჩვენება 1833 წლის 28 ივნისისა (III)	178	464
115. ჩვენება 1833 წლის 3 ივლისისა	179	464

116. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (I)	180	465
117. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (II)	180	466
118. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (III)	181	467
119. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (IV)	181	467
120. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (V)	182	468
121. ჩვენება 1833 წლის 7 ივლისისა	183	469
122. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (I)	184	470
123. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (II)	185	470
124. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (III)	185	471
125. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (IV)	187	471
126. ჩვენება 1833 წლის 12 ივლისისა (I)	188	472
127. ჩვენება 1833 წლის 12 ივლისისა (II)	189	473
128. ჩვენება 1833 წლის 14 ივლისისა (I)	189	473
129. ჩვენება 1833 წლის 14 ივლისისა (II)	190	474
130. ჩვენება 1833 წლის 14 ივლისისა (III)	191	475
131. ჩვენება 1833 წლის 17 ივლისისა	191	475
132. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (I)	192	476
133. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (II)	192	477
134. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (III)	193	478
135. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (IV)	194	479
136. ჩვენება 1833 წლის 21 ივლისისა (I)	195	480
137. ჩვენება 1833 წლის 21 ივლისისა (II)	195	481
138. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (I)	198	483
139. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (II)	198	484

140. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (III)	199	485
141. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (IV)	199	486
142. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (V)	200	487
143. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა (I)	200	487
144. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა (II)	201	488
145. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა (III)	202	489
146. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (I)	202	489
147. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (II)	203	490
148. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (III)	204	491
149. ჩვენება 1833 წლის 2 აგვისტოსი	204	493
150. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (I)	205	493
151. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (II)	205	494
152. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (III)	206	495
153. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (IV)	207	496
154. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (I)	207	496
155. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (II)	207	497
156. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (III)	208	498
157. ჩვენება 1833 წლის 11 აგვისტოსი	209	500
158. ჩვენება 1833 წლის 12 აგვისტოსი	209	501
159. ჩვენება 1833 წლის 14 აგვისტოსი	210	500
160. ჩვენება 1833 წლის 16 აგვისტოსი	210	502
161. ჩვენება 1833 წლის 17 აგვისტოსი	211	503
162. ჩვენება 1833 წლის 18 აგვისტოსი	212	503
163. ჩვენება 1833 წლის 23 აგვისტოსი	213	504

164. ჩვენება 1833 წლის 28 აგვისტოსი (I)	213	505
165. ჩვენება 1833 წლის 28 აგვისტოსი (II)	214	505
166. ჩვენება 1833 წლის 28 აგვისტოსი (III)	215	507
167. ჩვენება 1833 წლის 30 აგვისტოსი	218	508
168. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (I)	218	509
169. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (II)	219	509
170. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (III)	219	511
171. ჩვენება 1833 წლის 4 სექტემბრისა	220	511
172. ჩვენება 1833 წლის 6 სექტემბრისა	220	512
173. ჩვენება 1833 წლის 8 სექტემბრისა	222	513
174. ჩვენება 1833 წლის 11 სექტემბრისა	223	514

ეპისტოლური მემკვიდრეობა

1831

1. ბიძინა ერისთავისადმი	231	516
2. ბიძინა ერისთავისადმი	231	517
3. ოქროპირ ბატონიშვილისადმი	231	518

[1831-1832]

4. სოლომონ დოდაშვილისადმი	232	519
---------------------------------	-----	-----

1833

5. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	233	520
6. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	233	521
7. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	234	521

8. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	234	522
9. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	235	523
10. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	236	524
11. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	237	525
12. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	238	526

1834

13. თეკლე ბატონიშვილისადმი	238	526
14. თეკლე ბატონიშვილისადმი	239	527
15. თეკლე ბატონიშვილისადმი	240	528
16. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	242	530
17. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	243	531
18. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	244	532
19. თეკლე ბატონიშვილისადმი	244	533
20. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	245	534
21. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	247	535
22. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	248	536
23. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	249	538
24. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	250	539

1835

25. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისა და ზაალ ბარათაშვილისადმი.....	251	540
26. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	253	542
27. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისა და დავით ბარათაშვილისადმი.....	255	543

28. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	256	544
29. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი	257	544
30. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	258	545
31. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	259	545
32. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	260	546
33. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	261	547
34. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	262	548
35. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	262	548

1836

36. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	263	549
37. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	264	550
38. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	265	551
39. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	266	553
40. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	267	554
41. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	268	555
42. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	269	556
43. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	271	557
44. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	272	557
45. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	273	558
46. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი.....	274	559
47. თეკლე ბატონიშვილისადმი.....	275	560

1842

48. დიმიტრი ორბელიანისადმი.....	275	561
---------------------------------	-----	-----

1864

49. დიმიტრი ყიფიანისადმი.....276 563
50. დიმიტრი ყიფიანისადმი.....277 564

1865

51. დიმიტრი ყიფიანისადმი.....278 566

უთარილო

52. გრიგოლ ორბელიანისადმი.....279 566

სსპაღასსპა

ჩანაწერები

1835

ჩემი დილის და საღამოს ლოცვა.....283 567

1845

კმაყოფილების წადილი და ვნების სურვილი.....283 567
სამეფოს დასაცველი საფუძველი და იმის
გამაბედნიერებელი.....284 568

1846

1834-ს წელსა რუსულს ბიბლიოტეკა დღია ჩტენიესა
შინა სმესში.....285 568
ჩემი წერილები.....286 569

1854

გარყვნილობისაგან დაფარვა ყმაწვილისა.....286 570

ძველ ინდუსთა სამეცნიეროს ვედის ანუ ვედანტის
 წიგნსა შორის ყოვლად შემძლებელზე.....287 570

უთარილოჯი

გრძნობა288 571
 ჩემი მეუღლის სოფელს კაზრეთში288 571
 [როგორ დაინვა ჩემი დედისა და ცოლის წერილები].....289 571
 [ახალგაზრდების აღზრდის შესახებ]290 572
 [„როსტომიანის“ ხელნაწერის შესახებ]290 573
 [„სული ჩემი მონებითა გემორჩილების...“]291 574
 [ჩემი რუსი ნაცნობები]291 574
 [ჩემი ხარჯი]295 575
 [განცხადება წალკის პრისტავ მაჩაბლისადმი]297 576
 [სამედიცინო რეცეპტები]297 577

ჰენიჰენები და კომენტარები

ტექსტისათვის301
 დამონებანი578
 შემოკლებანი587

საქიჯლები

პირთა.....589

გეოგრაფიულ სახელთა.....655

ალექსანდრე ორბელიანის ნაწარების ბიბლიოგრაფია

(შეადგინა მათეა ცერცვაძემ).....665

**1832 წლის შეთქმულების საგამომიებლო
კომისიისთვის მიცემული ჩვენებები**

1. ჩვენება 1832 წლის 16 დეკემბრისა

საქართველოს უზენაესი მმართველობის სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს.¹

1. გასულ 1831 წელს, როცა თავადმა თეიმურაზ ამილახვაროვმა გითხრათ, რომ იგი საიდუმლოება – თქვენი განზრახვა საქართველოდან რუსების გაყვანის შესახებ – თავად იასე ფალავანდოვს გამოუცხადა, მაშინ თქვენ თავად ამილახვაროვისა და ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელ სოლომონ დოდაევის თანხლებით მიხვედით ფალავანდოვთან და, თუმცა ფალავანდოვმა გითხრათ: თქვენ უწყით, რომ ხელმწიფე იმპერატორი ძლიერია, თქვენ უთხარით, რომ ამ შეთქმულებაში პირველი ადამიანები მონაწილეობენო, რომლებიც თქვენ კიდევ დაასახელეთ. ამასთანავე, თქვენ პირადად დაუმატეთ, რომ იმერეთში გააგზავნეთ ოსმალეთიდან დაბრუნებული იმერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე² და მიეცით მას რამოდენიმე ჩერვონეცი, რათა მან იქ ყველას უამბოს, რომ საქართველოში ჯარისკაცებს აგროვებენ, ხოლო თქვენ კი თქვენს საზოგადოებასთან ერთად იგივე უნდა გაგვერცელებინათ ხალხში მათ ასაჯანყებლად.³

გამოაცხადეთ, როდის შედგა ეს საზოგადოება, სად და რანაირად; დაასახელეთ მისი პირველი მონაწილენი, რომელთა შესახებაც ფალავანდოვთან ლაპარაკობდით; სთქვით, სად იმყოფება ამჟამად იმერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე.

2. თავად იესე ფალავანდოვის ამ საზოგადოებაში მიღების შემდეგ არც კი გასულა ორი კვირა, რომ ვარშავის ალექსანდრე ცნობა მოვიდა, ამის გამგონე თქვენ ყველამ ამაზე ფიქრს თავი დაანებეთ. სთქვით, რა კავშირი აქვს თქვენს განზრახვას ვარშავის ალექსანდრესთან. ხომ არავის უამბია თქვენთვის პოლონეთის აჯანყებაზე და არა უთქვამს რა იმ შესაძლებლობაზე, რომ აქაც ამავე დროს მოგეხდინათ იგივე;⁴ ვინ იყო იგი, სად რა როგორ – განმარტეთ სრული გულახდილობით და დაწვრილებით.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I⁵

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

პოლკოვნიკი ახლესტიშვი

წარსულს 1831-სა წელსა თავადი თეიმურაზ ამილახვაროვი არც მოსულა ჩემთან, არც არა უთქომს, რომ იასე ფალავანდოვს უთხარო, არც მე წავსულვარ იასესთან ამ ბოროტს საგანსაზედა, თუმცა დავდიოდი იასესთან ბევრჯელ, თეიმურაზ ამილახ-

ვაროვსაც იქ ბევრჯერ ვნახამდი ხოლმე, დოდაევსაც ხანდახან ვნახამდი ხოლმე იასესთან, მაგრამ ესრეთი ბოროტი აზრი არა ოდეს არ გვილაპარაკნია. – თეიმურაზ ლორთქიფანიძეს მართალია სამი ოქრო მივეცი იმისათვის, რომ ერთხელ მოედანზე მოვიდა ჩემთან ტირილით. შემამჩივლა, სანყალი თავადიშვილი ვარ და გთხოვ მონყალეებასა, მე დიდათ შემებრაღა და უთხარ: ხვალ მოდი, და სამს ოქროს მოქცემმეთქი. მე იმისთვის სხვა არაფრისთანა არა მითქომს რა, არც იმერეთს გამიგზავნია, თვინიერ ამის მეტი, რომ მე ყოველთვის ერთგულად მიმსახურია დიდის მონარხის სამსახურს ქვეშე და კეთილად ვყოფილვარ ყოველს ადგილს.

დეკემბრის 16 დღესა, 1832 წ.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

2. ჩვენება 1832 წლის 18 დეკემბრისა

კომისიასა შინა!

როდესაც ოქროპირ ბატონიშვილი მოვიდა ამ ქალაქში და ცხოვრობდა რაოდენსამე თვესა,¹ იმის ყოფნის დროსა, ერთს კვირა დილას მიველი მის სანახავათ ნათესაობისა გამო, და არც იმის მეტათ მენახა. როდესაც შეველ – დამიძახა: ახ, უთუოდ ჩემი მამიდაშვილი ალექსანდრე უნდა იყოვო.² დიახ, მე გახლავარ მეთქი. – რა წამს ეს გაიგონა, მაშინვე მოვიდა, გადამეხვია და აქეთ იქით დამკოცნა, მასკვან დივანზე დამსო, და თვითონაც გვერთით დამიჯდა. მკითხა დედის ჩემის ამბავი, როგორ მშვიდობით არისო. მე მადლობა მიუგე. – მასკვან, როგორიც განწესება არის პირველის ნახვისა, ისეთი ლაპარაკი დავინყევით. ერთ საათს უკან ისევ წამოველ, კარამდისინ მამყვა, გამოსალმების დროს მითხრა: გთხოვ, ხვალ საღამოზე *მერვეს* საათზე ჩემთან მოხვიდეთო. მე პირობა მივეცი: უთოთ გიახლებით მეთქი. მეორეს დღეს იმ ვადაზე მივედი. დავსხედით და მოვეყვით სხვადასხვას ლაპარაკს. რაოდენსამე მინუტს უკან მკითხა: აქაური სამართალი როგორი არისო. მე მიუგე: დიახ, კარგი არის, მაგრამ ცოტა გვიან იციან საქმის გადაწყვეტა მეთქი. ერთი ჩემი საქმეც წარმოებს 1803-ს წლიდგან ჩვენ ორბელიანოვთ გაყრასა ზედა, რომ ჯერ ვერ გადაუნყვეტიათ და ჩემს მხედრს წილს არ მადღევენ ჩემნი სახლი კაცნი მეთქი. განცვიფრდა, მითხრა, საკურ-

ველი საქმე არისო. ვგონებ ერთი მაგტოლა დრო კიდევ გაივლის, რომ არ გადაწყდესო. მე მიუგე: რა ვქნა, ღმერთს ვფიცავ, ამთენი არზის მწერლის ფულის მიცემის ღონე აღარა მაქვს მეთქი, და ამთენის სასამართლოს სიარულით ბევრჯელ მშიერი დავრჩები და მეტი დაქანცვით დაღალული მოვალ და დამეძინება მეთქი. მითხრა: ნუ სწუხარ, ღმერთი მოგხედამსო. მე მიუგე: ახლა ხელმწიფესთან ვიჩივლებ უთოთ მეთქი, და ღვთით ის რომ გასჩხრეკს, დიახ მართლმსაჯული ხელმწიფე არის, და მალე გადასწყვეტს ჩემს საქმეს, რომელიც დიახ სწრაფათ მამეცემა ჩემი წილი მეთქი.³ გაიღიმა და აღარა თქორა. მასკვან მოჰყვა ჩვენი წინაპართა ცხოვრებას, როგორი მამაცნი ყოფილან და ან რაოდენნი მტერნი გაუბნევიათ, და ან როგორი მამულის სიყვარული ჰქონიათ. მე ვისმენდი იმის ლაპარაკს. შემდეგ მოვახსენე: განა ჩვენ კი არა ვართ მამაცნი მეთქი. მითხრა: თქვენ მამაცობისა კი არა ვიცირაო. მე მიუგე: ღმერთს ვფიცავ, როდესაც იმერეთში ბუნტი იყო და წედისის ზავალებზე მივედით მეთქი, პირველათ მე ზავალში გადავარდი, რომ ჩემ სერთუკში **ოთხი** ტყვია იყო გავარდნილი, და მასკვან ხმალს ხელი მოვისვი და იმერლებმა რომ დამინახეს ასე მამაცათა, სულ გაიქცენენ მეთქი, და მასკვან სალდათები ამოვიდნენ, მითხრეს: კნიაზო, შენ სწორეთ ლომი ყოფილხარო. მე მიუგე იმ სალდათებს: მამ, როგორი გინდათ ხელმწიფის სამსახური მეთქი. მითხრეს: დიახ მართალს ამბობო, მალადეც, მალადეცო. ამას იქით ჩვენ შენთან სისხლს დავღვრითო. კნიაზ გარჩაკოვმა, ესრეთ მხნეთ რომ მხედავდა, დიდათ წყალობა დამინყო მეთქი, აი ბატონიშვილო, თუ ქართველნი მამაცნი არ არიან მეთქი; კიდევ ერმალოვთან 1822-სა წელსა ყაბართოში რომ იყო ჩვენი ჯარი, როგორ მამაცათ აღმოვჩნდი, რომ დედიჩემისათვის ეთქო: მაღლობა თქვენ, დიახ კარგი ვაჟკაცი შეილი გყოლიათო, და დიახ კარგი აფიცარიო, და როდისაც სამსახურიდგან გამოველ,⁴ მაშინ დიდათ ეწყინა ერმალოვსა, ასე რომ, ბევრს საქმეშიაც მტრობდა მეთქი. მითხრა ოქროპირ ბატონიშვილმა: ეგ არ არის ვაჟკაცობაო. მე მიუგე: ბატონო, მეტი ვაჟკაცობა რალა გინდა მეთქი. ამ სიტყვაზე აღარა თქორა. მასკვან ჩამოაგდო მამულის ერთგულობაზე ლაპარაკი, მოჰყვა ბერძულს ისტორიას,⁵ და ასეთს ამბებს მოჰყვა, რომ სულ გამაგიჟა. ვანბობდი: ნეტავ მეც იმათში ვყოფილიყავ მეთქი. მასკვან მითხრა: განა ეხლა არ შავიძლიან იმისთანა ამბავებიო. მე მიუგე: სადაც დავსწრებივარ, ვაჟკაცათ ვყოფილვარ და იმაზე

მეტი სხვა არა ვიცირა მეტი. მასკვან მითხრა: მაშინ იქნები ვაჟკაციო, თუ ამ რუსებს შაუტევო და გაიცინა. მე მიუგე: მთელი ევროპია მივიდა რუსეთზედა 1812-სა წელსა, რომ სულ ქვის სროლით მიჰყვნენ პარიჟამდისინა, და ნაპალიონიც დაიჭირეს მეტი. კიდე აღარა თქორა, და დაჩუმდა. მასკვან მოჰყვა რაოდენსამე მინუტს უკან ლაპარაკს, კიდევ მამულის ერთგულეზაზე, რომელიც მე ვისმენდი. მასკვან რომ დაასრულა, ავდეგ, გამოვეთხოვე, და ნამოველ შინა. კიდევ კარებამდის გამომაცილა. გამოსალმების დროს მითხრა: მე დიახ შემიყვარდიო, და გთხოვ ხშირათ მოხვიდეო. დავდიოდი კვირაში ერთხელ. დიახ ტკბილად შემიყურა, სულ ყოველთვის აქაურს მამულის ამბავს ლაპარაკობდა. ერთხელ კიდევ ჩამოაგდო რუსებზე ლაპარაკი, და ან საქართველო რაგვარად მიილო იმპერატორმა თვის მფარველობის ქვეშე და თქო: თქვენ, ქართველები, ვერა გრძნობთ თქვენსა მამულსაო. მე მიუგე: ღმერთს ვფიცავ, დიახ, ერთგული ვარ საქართველოსი მეტი. მითხრა: ეგ არ არის ერთგულობაო. მიუგე: მაშ, რა ვქნა მეტი. მითხრა: ერთს რასმე გეტყვი, თუ არავის არ ეტყვიო. მე მიუგე: არავის არ ვეტყვი მეტი. მითხრა: ღვთის ფიცი მომეციო და პატიოსანი სიტყვაო. დავიფიცე და მასკვან პატიოსანი სიტყვა გამომართო. მითხრა: ეცადე, რომ რუსები გადარეკოთო. მე მიუგე: სანყალნი ცოდონი არიან მეტი. მითხრა: კარგი, მაგ ხუმრობაზე ხელი აიღეო. მე მიუგე: ღმერთი გადღეგრძელებს, როგორ შაიძლება მეტი, და ან ურუსოთ რა ხელი გვეყრება მეტი, და მე ვერ შამიძლიან, რომ რუსებზე ვიფიქრო რამე მეტი. მასკვან კიდევ მოჰყვა, რა არის საქართველო და ან რუსებს რათ უნდა ეჭიროთ, და ან როგორი სიმაგრეები აქვს, და ასე დაიწყო ლაპარაკი, რომ არ შამიძლიან ენით წარმოთქმა. მასკვან კიდევ მიუგე, რომ პაპაჩემიც თქვენის ბიძის წინ მოკვდა ომში,⁶ რომ ზედაც არ შამოგვხედეთ, და ყოველთვის ჩემის ოჯახის დაქცევაში ყოფილხართ მეტი.⁷ ახლა ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი იმპერატორი, იმის მიერ არის ჩვენი ოჯახი გაბედნიარებული მეტი, და მამა ჩემიც იმათ სამსახურს ქვეშე მოკვდა 1812-სა წელსა და ალ. ბატონიშვილს თოფს ესროდა მეტი.⁸ ეხლა თქვენ რომ იშოვნოთ საქართველო, ხომ ისევ დააქცევთ ჩემს სახლსა მეტი. მითხრა: კარგია, ბევრს ნუ ლაპარაკობო. ეს უნდა იცოდეთ, რომ 1200 წელიწადი ჩვენ თქვენნი მემკვიდრენი ვყოფილვართო, ახლა უბრალოთ და უსამართლოთ ნაგვართვა ხელმნიფებაო, მამა ჩემმა გიორგი მეფემ მფარველო-

ბა სთხოვაო,⁹ ნაცვლად ამისა, სულ წაგვართო და ჩვენ გადაგვრეკეს რუსეთშიო.¹⁰ ღმერთი მოიგონეთ, სთქვან ხალხთაო, და მაღალს ღმერთს შეჰხედეთო, ეს სამართალი არისო. მოჰყვა ესრეთს ამბავს, რომ გულის მდულარედ ვტიროდი და არ ვიცოდი, რა მექნა. მოვახსენე: რა ვქნა შენი ჭირიმე მეთქი, აბა რაღა ეშველება წარსულის ამბავს მეთქი. მასკვან მითხრა: როგორც დაგარიგო, ისე მოიქეციო, და ადვილი არისო. მოჰყვა ესრეთ: აქ ბევრნი კარგნი პატიოსანნი კაცნი არიან, რომ იმათ ენდოთ და კარგს რჩევასაც მოქცემენო – **პირველი** დიახ ჭკვიანი კაცი არის ჭავჭავაძეო და განათლებული, და ჩვენის გულისათვისაც ადრე დატყვევებული იყო რუსეთშიო,¹¹ იმისი ნდობა შაიძლებაო, და კარგს განკარგულებას მოახდენსო, და უცხო ზაგოვორს გააკეთებსო. **მეორე** აქ კიდევ ელიზბარ ერისთოვი არისო, ისიც კარგი ჭკვიანი კაცი არისო. **მესამე** კიდევ სოლომან დოდაევი ჩვენთვის თავდადებული კაცი არისო, მე ვიცი, ისიც იყაბულესო.¹² აი, ესენი ბევრს კაცს იშოვნიანო და მასკვან წყნარწყნარ მოხდება ჩვენი საქმეო. – ესრეთ გამიადვილა და ბევრს რაღაებსაც დამპირდა, რომ კისერზე ამალებინა. მიუგე: კარგი, შეინჭიმე, ვეცდები თუ რომ შაიძლება და ან კიდევ ჩემ ფიქრში შემოვა მეთქი. ესეც მითხრა: თამარ ბატონიშვილიც დიახ ჭკვიანი დედაკაცი არისო. მე მგონია, ისიც იყაბულესო. წამოველ, ვიფიქრე დიახ ბევრი ხანი, მაგრამ ვერაოდეს გულმა ვერ მითხრა რუსებზე წინააღმდეგობა მცირედი მაინც რაიმე. მე დაუტყვევე ჩემ ფიქრში სულ ერთიანათ, მაგრამ როცა მივიდოდი ოქროპირ ბატონიშვილთან, ვატყუებდი: ვცდილობ მეთქი, ხან რას ვეუბნებოდი, და ხან რასა. ესეც მითხრა ოქროპირ ბატონიშვილმა: ამასაც გასწავლი, რომ ნურასდროს ორს კაცს ერთათ ნუ ელაპარაკებო, თუნდა შენნი ძმანი იყვნენო, ვისაც ელაპარაკო ეს აზრი, ყველას ცალ-ცალკეო. ვიყავ ესრეთს ფიქრს მოცული და არ იქნა, არ დავამტკიცე რუსეთის ხელმწიფეზე წინააღმდეგობა. ერთს დროს, საღამო ჟამზე, მივდიოდი სიონის ქუჩაში. ვნახოთ, ისე ფალავანდოვი დამხვდა. მითხრა: სირცხვილი არ არის შენთვის, ერთათ შევიზარდენითო და ჩემთან არ დადიხარო. ამ სიტყვაზე დამიჭირა ხელი და ამიყვანა ჩაიზე თავის ოთახში. ჩაი დავლიეთ, ვილაპარაკეთ ხან დარზე, ხან მამულზე, ხან წყალზე და ხან ბაღში შექცევაზე. შემდეგ გამოვეთხოვე, წამოველ შინა. მთხოვა: გთხოვ, ხშირად მობძანდებოდეთ ჩემთანაო. მე ჩვენი სიყმაწვილის თამაშობა რომ მომაგონდებოდა, დიახ მიამა ესრე-

თი თხოვა, დავინყე სიარული. შემდეგ, როცა დავსხდებოდით, ეს იასე ფალავანდოვი სულ რუსებს ლანძლამდა, ერთხელ უთხარ: შენკი ემართლები რუსებსა სხვაზე რომ დანაშაული ჰქონდეთ, შენს ოჯახზე კი ბევრი სიკეთე მიუძღვით მეთქი. მითხრა, რომ ჩემ წონა ბრილიანტში რომ ჩამსონ, არ მიყვარანო და არც ერთგული ვარ ამათიო, რომელიც მე დამინახვებია საქართველოსთვის ერთგულება და ორჯერ გავქცეულვარ,¹³ თქვენ კი ვერა გრძნობთ ჩემს ამთენს შრომასაო. მე უთხარ: დიახ კარგათ გიქნია, რომ გაქცეულხარ და რუსების წინააღმდეგობა არავის არ მოუხდება მეთქი. მითხრა: რას ლაყბობ, ღმერთს ვფიცავ, შენა ხარ ამათი ერთგულიო. მე მიუგე: ღმერთს ვფიცავ და ხატსაც მეთქი, რომ დიახ ერთგული ვარ ამათი მეთქი. მითხრა: სირცხვილი არ არის შენთვისაო, მე ერთი უბრალო ღვდლის შვილი ვარო,¹⁴ და ასე ვგრძნობ ჩემს მამულსაო, და შენ კი აგეთი უგრძნობი ხარო. მე გამიკვირდა, ვიფიქრე, თუ ეს ესრეთსა გრძნობს, მაშ მე რაც უნდა დამემართოს მეთქი. მინდოდა ოქროპირ ბატონიშვილის საქმე მეთქო, მაგრამ დიდათ დაფიცებული ვიყავ, რომ იმისი ამბავი არავისთვის არ მეთქო თვინიერ ჩემის ფიქრებისათვის. მასკვან უთხარ: აბა მიჩიე, რა ვქნა მეთქი. მითხრა: დავანყოთ საქმეო, რომ რუსები გავიყვანოთო. მოჰყვა ესრეთ: ამ რუსებს რაკი გავიყვანთ, ველარას დროს ველარ შამოგვივლენო. მე უთხარ: რას ამბობ ღმერთს ვფიცავ, მილიონი ჯარი ჰყავთ, **ასიათასი** კაცი რომ გამოგზავნონ, სულ ქოქით ამოგვადებენ მეთქი. მითხრა: აბა მაგთენი შენ გოგრამი არ შამოდის, როგორ დავიცვამთ ჩვენს მამულსო. მე უთხარ: აბა როგორ იქნება მეთქი. აი, ასეო, მითხრა, აქ სამი ადგილი არის შესაკვრელიო, **ერთი** შავი ზღვაო,¹⁵ **მეორე** არაგვის მთაო, და **მესამე** დერბენტის ზღვაო, ესენი რომ შაიკვრის, ველარ შამოგვივლენო. ასე შემკრა ასეთის ლაპარაკით, რომ ვთქვი, რაც უნდა დამემართოს, თუ ეს ამასა გრძნობს, მეც ჯანი წამივიდეს მეთქი. უთხარ: აბა რა ვქნათ მეთქი. მითხრა: ხომ იყაბულეო. დიახ ვიყაბულე მეთქი. კარგია, პატარა დამაცალე, ვიფიქრებო. წამოველ ჩემს სახლში და მეორეს დღეს, ღამე მერვეს საათზე, ოქროპირ ბატონიშვილთან მივედი. გამოუცხადე მე და იასეს ამბავი, დიდათ იამა, და კიდევ შემევედრა, რომ გთხოვ ჩემს ამბავს ნურავის ნუ განუცხადებო. მე კიდევ შევფიცე, რომ ღმერთს გეფიცები, არავის არ ვეტყვი მეთქი. ამ დროებაში კიდევ წავიდა რუსეთს ოქროპირ. მე კუქიამდისინ გავაცილე.¹⁶ გამოსალმების დროს

ცალკე გამიყვანა, მითხრა: ახლა შენ იცი და შენმა კაცობამო, გადამეხვია, აქეთ იქით დამკოცნა და განვიყარენით. მე მოველ ჩემს სახლში, ახლა, რაკი ის წავიდა, სულ დავივიწყე და აღარც მაგონდებოდა, და კიდევ იასე ფალავანდოვთან მივედი სანახავათ. მომეგება კარზე, და მითხრა: სირცხვილი არ არის, რომ ასე დამივიწყეო, რომ აღარ გაიარე ჩემთანაო, და შენი პირობაც დაგავიწყდაო. მე უთხარ: რა ვქნა, შეუძლოთ ვიყავი მეთქი, და არც მოცლა მაქვს ამთენი ჩემი საქმითა მეთქი. მითხრა: დაბძანდიო. დავსხედით. მითხრა: იმ დღეს რომ გითხარ აი, ასე სჯობია შენ წადიო, აქ თეიმურაზ ამილახვაროვი არის, შენიც კარგი მეგობარი არის და ჩემიც ნათესავიო. იმას უთხარ, ნუ გეშინიან, არ გაგვცემსო, რა წამს რომ ეტყვი მაშინვე ჩემთან მოვა და რჩევას მკითხავსო, ჩემს სახელს კი ნუ ეტყვიო, რომ ვითომც მე არა ვიცი რაო, ამისთვისაო, რომ ჯერ შენგნით რომ გაიგონებს, არ დაიჯერებსო, ახლა მე რომ ვეტყვიო, უთუოდ გაებმისო, და ველარსად ველარ წავივიაო, და ჩვენი დასტისა შეიქნებაო. წამოველ. ერთხელ მოედანზე დავიჭირე. უთხარ: შენ ხომ ჩემი მეგობარი ხარ მეთქი, ერთს რასმე გეტყვი, შემამფიცე, რომ არავის არ უთხრა მეთქი. შამამფიცა: ღმერთს ვფიცავ, რომ არა ადამიანს არა უთხრა რა შენი სიტყვაო. მასკვან უთხარ: მე ახლა ყიზილბაშში მინდა წავიდე და იქიდგან ჯარები მოვიყვანო, რომ ეს რუსები გაიყვანონ მეთქი.¹⁷ მითხრა: ოხ, ალექსანდრე, ნეტავი მაგ დღეს მამასწრაო, და ჩემი სიცოცხლე შუაზე გაჰყოვო. – მამ კარგი, ხომ იყაბულე მეთქი. – დიახ ვიყაბულეო. გავიყარენით. მესამე დღეს შემხვდა თეიმურაზ. კიდევ გამიყვანა ცალკე და სიხარულით მახარა: ერთს რასმე გახარებო, მგონია, სიხარულით ფეხზე აღარ დადგებიო. მე უთხარ: თუ ღმერთი გწამს, მითხარ მეთქი. მითხრა: ხომ კარგათ იცი, რომ იასე ფალავანდოვი ამათი ერთგული არ არისო, მე იმას გაუტყდი მე და შენი აზრიო, რომელიც დიდათ იამაო, და მთხოვა, რომ ალექსანდრე ჩემთან მოიყვანოვო. მე უთხარ: აბა როდის წამიყვან მეთქი. მითხრა: იმას ვეტყვი. როცა ის მეტყვის, მაშინ წავიდეო. კარგი მეთქი და განმეშორა. განვიდა დღე ათი, რომ ველარა შამატყობინა რა. ამ ათს დღეში ანდრეი იაკოვლიჩის მელნიკოვის სანახავად მივედი. ღამე მერვე საათი იქნებოდა. ანდრეი იაკოვლიჩი შინ არ დამხვდა. იმის ცოლი მელანია და იმ მელანიას ძმა ელიზბარ ერისთავი შინ იყვნენ. დავსხედით და ვლაპარაკობდით. მასკვან ელიზბარმა მითხრა: ალექსანდრე, მე შენთან ერთი საქმე მაქვ-

სო. მე უთხარ: გთხოვ მიბძანო მეთქი. მითხრა: წამოდი, წავიდე-
თო. გამოვედით ორნივე კარზე. წამიყვანა გარეთ უბანს, შტაბის
პლოსჩადზე. მითხრა: შე დაწყველილო, შენც ხომ ჩემი აზრის
პატრონი ხარო. მე უთხარ: არ ვიცი, რა უნდა იყოს მაგისტანა,
რომ მე და შენ ერთი აზრი გვქონდეს მეთქი. მითხრა: კარგია,
ბევრს ნუ ლაყბობო, ეს რუსები უნდა გადავრეკოთო. მე უთხარ:
ელიზბარ, ძნელია, რას გაუგიჟებინარ მეთქი. კიდეც მითხრა: თუ
ღმერთი გნამს, ბევრს ნუ ლაპარაკობო, შენ მამ პატიოსანი
სისხლი არა გქონია. კიდეც ამ ერთის სიტყვით დავები. უთხარ:
აბა როგორ იქნება მეთქი. მოჰყვა: მე შამიძლიან, რომ შევადგი-
ნოვო. – მე უთხარ: აბა როგორ მეთქი. მითხრა: ბევრს კაცს
ვიშოვნო, მაგრამ შენ კი ყიზილბაშში უნდა წახვიდეო. – მე
უთხარ: ჯერ ხალხმა იყაბულოს, და მასკვან თუ სჯობს, წავალ
მეთქი. ამ სიტყვაზე გავიყარენით. გაყრის დროს მითხრა: ხვალ
ერთს კარგს კაცს გაგაცნობო. მე უთხარ: თქვენი ნება არის
მეთქი. – მეორეს დღეს საღამოზე სოლომან დოდაევი მოიყვანა
ჩემთან. ელიზბარმა მითხრა: გთხოვთ ამ პატიოსან კაცს იცნობ-
დეო. – მე მიუბრუნდი დოდაევს და უთხარ: გთხოვთ მიცნობდეთ
მეთქი. სოლომანმა გაიცინა და თქო: ახლა მე ვიცი რასაცა ვიქო.
ვთხოვე დასხდომა. დავსხედით და მოჰყვა ელიზბარ, რომ ჩვენ
მამულში უცხო თესლნი რად უნდა იყვნენო, და ან ჩვენ მემ-
კვიდრენი ბაგრატიონნი რად წაგვართვესო, თუმცა წაგვართვეს,
და თავის მფარველად მიიღო საქართველო, მამ ხელმწიფე თავ-
ის მანიფესტს რატო არ აღასრულებს 1801-სსაო. მასკვან სოლო-
მან წამოხლტა და თქო: ეს რუსები უღმერთი და შეუწყალე-
ბელნი არიანო, რას გვემართლებიან, რომ ჩვენ ასე დაჩაგრული
ვყევართო. მასკვან მიუბრუნდი და უთხარი: სოლომან ივანიჩ, ეს
ხომ შენ უნინ არა იყავრა მეთქი, ეხლა ჩინოვნიკი ხარ, და შკო-
ლის ოსტატი,¹⁸ სხვარა გინდა მეთქი. მითხრა: ესეც ბაგრა-
ტიონთ წყალობა არისო, და ბაგრატიმა თავის შეძლებით გამზარდა
პეტერბურგშიო, რომელიც ეხლაც ჩემ ძმას კიდეც ბაგრატი ზრ-
დისო, და იმის მოწყალებით იზრდებაო,¹⁹ აბა რუსებისაგან სხვა
რა მიყვედრებაო. მე აღარა ვთქვირა. მასკვან ელიზბარმა თქო:
სოლომან ივანიჩო, ახლა უნდა ვეცადნეთო. სოლომან ივანიჩმა
თქო: კობაიშვილებს სულ მე ვიშოვნო და ქიზიყშიც ბევრს კაცს
ვიშოვნო.²⁰ ელიზბარმა თქო: მე შევძლებ, რომ ლუარსაბ ორბე-
ლიანოვი ვიშოვნო ამისთვის, რომ ის ჩემი ბიძა არისო,²¹ და
დიდათ მენდობაო. – მე მითხრეს: შენ ვიღას იშოვნო. მე უთხარ:

რა ვქნა, ვერავის ვერ ვეტყვი მეტყი. – მაშ კარგიო, ელიზბარმა: მე ბევრს ხალხს ვიშოვნო. ამ დროს ნავიდნენ. მეორეს დღეს დილაზე სასამართლოში მივიდოდი. ვნახე, რომ თეიმურაზ ამილახვაროვი მეიდანზე დამხვდა. მითხრა: ამაღამ იასესთან უნდა ნავიდეთო. მე უთხარ: დიახ, ბატონი ხარ მეტყი. – იმ საღამოზე ჩემთან მოვიდა. ნავედით. მივედით. დიახსიამოვნებით მიგვილო. დავსხედით, და ჯერ მკითხა იასემ: გაზეთები ხომ არ ნავიკითხამთო. მე უთხარ: არა მეტყი. მასკვან თეიმურაზმა თქო: ალექსანდრე, შენ ხომ ჩემი ახლო მცნობი ხარო, და ეს იასე ჩემი ნათესავი სული და გული არისო, რატო არას იტყვიო. კიდევ იასე წამოდგა და თქო: ღმერთსა ვფიცავ, არასდროს არ მიყვარან ეს რუსებიო, და რა ვქნა. მასკვან თეიმურაზ ამილახვაროვმა თქო: ღმერთსა ვფიცავ, მეც დიდათ მძულანო, და არც ერთგული ვარო, ჩემი ერთი საქმე არის სასამართლოშიო, ერთი დღის მიწაზედაო, ღმერთს ვფიცავ, ჯერ ასი თუმანი მეტი ხარჯი მაქვსო და არა ღირს თხუთმეტ თუმნათაო, არ იქნა ვერას დროს ვერ გამოვიტანე, სულ ნანლავებში განყვეტილი ვარო. მასკვან მე ვთქვი: ღმერთსა ვფიცავ, ამ რუსებზე უკეთესი კაცნი არ უნდა, რომ ესენი არიან მეტყი, რომ სასამართლოში ამთენი კაცის თრევა არ იცოდნენ მეტყი. მასკვან იასემა თქო: ამათ მყვარებლის მამას ასე უყავო. მასკვან თეიმურაზმაც ის დაუმტკიცა და თქო: ამინო. – მასკვან თეიმურაზმა თქო: კარგი, აბა როგორ მოვახდინოთო, რომ ჩვენი საწადელი აღსრულდესო. მე ვთქვი: კიდევ ღმერთს ვფიცავ, დავეხსნათ მეტყი, თუნდა რუსებმა ჩვენზე ხელი აიღონ, მეორეს დღეს მაშინვე მთის ხალხი²² და მეზობლები წაგვახდენენ მეტყი. მასკვან იასემა თქო: შენ დიახ აგრე იტყვიო. და გაეჩუმდით. მასკვან ვილაც მოქალაქეები შემოვიდნენ, და შინ წამოველ. იასე კიბემდისიმ მომყვა და მთხოვა: გთხოვ ხვალ ჩემთან მობძანდეთ მარტოკა საღამო ჟამზედაო. მე პირობა მივეცი. – მეორე დღეს საღამოზე მივედი. კიდევ დიახ პატივით მიმილო. დავსხედით და მოყვა რუსებზე სამდურავს და ლანძვას, და ამბობდა: ამ ქართველებისთანა პადლეცნი ხალხნი ჩემ თვალს არ უნახამსო. მასკვან უთხარ: იასე, თუ აგრე გულით მოგინადინებია მეტყი, რატო შენ ძმას არ ეტყვი მეტყი. მითხრა: ღმერთს ვფიცავ, თუ ქართველნი მოინდომებენ რასმეო, ეს ჩემი ძმა ქართველების პირველი მინისტრი იქნებო, და ბევრს საქმეებს დაგინყობსო.²³ ღმერთს ვფიცავ და იასეს ამ სიტყვითა და ამ ლაპარაკითა ასე გავები, რომ ნამ-

დვილად კისერზე ავიღე. მე უთხარ: რა ვქნა ძმავ მეთქი, ასეთს რიგათ ლაპარაკობ, რომ კისერზე ამალეზინე მეთქი, კარგი ვეცდები, თუ რამ შამიძლიან მეთქი, გამოვეთხოვე და წამოველ შინისაკენ. ამ დროებში პოლშის ამბავიც მოვიდა, რომ იბუნტესო. მე ეს ამბავი პირველად იასემ მითხრა, და ესეც თან დააყოლა: ეხლა მაინც გაახილეთ თვალები ქართველებმაო, აგერა პოლიაკებმა რა ქნესო, აქ ჩემთან ერთი ფრანციცი დადისო, – იასემა თქო, – ის ფრანციცი მოხუცებული კაცი არისო, რომელიც ნაპალეონის ჯარში უმსახურნია პოლკოვნიკათ და პოლკი ჰბარებია. ის ფრანციცი გამოგდებული არის, როდისაც ნაპალეონი დაიჭრესო, და აქ, ქალაქში, ცხოვრობსო, იმას ერთი ბეჭედი აქვსო, ნაპალიონი ხატიანო ზედა, ის ფრანციცი მე დიახ ახლო მიცნობსო, და ასე მითხრაო: ზდეს ნაღუბნაო ბუნტყო, – იასემ თქო, – ხედავ ფრანციცი რას ამბობსო, და ჩვენ კი ვერ გვიგრძენიაო, ამ ლაპარაკით გავიყარენით.²⁴ მეორეს დღეს სოლომან დოდაევი მოვიდა ჩემთან, და იმანაც პოლშის ბუნტი მითხრა. შემდეგ ელიზბარ მოვიდა. იმანაც თქო, და ესეც თან დაატანა: ახლა უთოთ ლუარსაბს ვეცყვიო, და წავიდა. მეორე დღეს კიდევ დოდაევი მოვიდა ჩემთან. მითხრა: აბა რა ვქნათო. მე უთხარ: ეს რა ღმერთი გაგწყრომია მეთქი, ის იასე ფალავანდოვი უფრო უარესია შენ ზედა მეთქი. – მითხრა: შეინჭიმე, წავიდეთ იმასთან სანახავათო. მე უთხარ: ეხლა დრო არა მაქვს მეთქი, – და წავიდა შინ უკმაყოფილო ჩემგნით. მეორე დღეს შაფათი იყო, და ჩემი ჩვეულებრივსამებრ, საღამო ლოცვა რომ დარეკეს, სიონში წავედი თაყვანის საცემლათ და სანთლის დასანთებათ. სიონიდან რომ გამოველ, სოლომან დოდაევი დამხვდა კარებში. მითხრა: მანდ რას აკეთებდიო. მე უთხარ: შეთქმული მაქვს, ყოველ შაფათ სანთელი უნდა დაუნთო მეთქი. მითხრა: რათაო. – ჩემის ძმის დიმიტრის მშვიდობისთვისა მეთქი.²⁵ მასკვან მითხრა: მოდი ერთი იასესთან ავიდეთო. მე უთხარ: ავიდეთ მეთქი. ავედით. დავსხედით. მოჰყვნენ ლაპარაკს, და რუსების ლანძღვას. მასკვან დოდაევემა თქო: ახლა ჩვენიც დრო არისო. ეს სიტყვა იასემაც დაუმტკიცა. რაოდენიმე ხანს უკან გამოვეთხოვე იასეს, და წამოველ შინა. დოდაევი უკან მამენია. მითხრა: პატარა როგორ ვერ მოიცადეო, ოჰ, შენ რა ტრუსი რამა ხარო. მე კიდევ უთხარ: თუ ღმერთი გწამს, დავდგეთ ჩვენს ქერქში, თქვენ უთოთ სულს აუტანიხართ მეთქი. მასკვან მომიბრუნდა და მითხრა: კნიაზო ალექსანდრეო, ღმერთს ვფიცავ, შენ ხომ არა ყაბუ-

ლობ, და ვინიცობა არის, თუ შავგიტყეს, და დაგვიჭირესო, **პირველად** შენ პირში მიგცემო, და ყველასაც ასე ვეტყვი, რომ შენზე თქონ ყოველი დანაშაულიო. მე უთხარ: შენ რომ მაგასა იქ მეთქი, მაშინ ღმერთს რას პასუხს გასცემ და ან მეორედ მოსვლას რას იტყვი მეთქი, და ხომ საუკუნოდ უნდა შენი სული იტანჯებოდეს მეთქი. გაიცინა და მითხრა: ოღონდაც მე თავი გავიმართლო, თორემ სულ ოჯახით რომ დაიღუპოვო, მაქტენს არას ვინალვლიო. მასკვან უთხარ: ალბად ხელმწიფე დიდია, და იმის მთავრობა მეთქი, თორემ შენი ცარიელი ლაპარაკით ვინ რას გაიგებს მეთქი. ამ სიტყვით განმმორდა და მეც შინ აველ. ამის შემდეგ განვლო რაოდენმა დღემა, მოვიდა ელიზბარ, და მითხრა: აი რამეთენი კაცნი ვიშოვნეო. მე უთხარ: აბა ვინ არიან მეთქი. მითხრა ჯერ გიორგი ერისთოვისა დავითის ძისა, მასკვან ზაქარია ციციანოვისა, მასკვან ალექსანდრე ორბელიანოვისა გიორგის ძისა, მასკვან ლუარსაბ თარხანოვისა, მასკვან იოსებ მამაცოვისა, შემდეგ გრიგოლ ორბელიანოვისა, და დასასრულ ლუარსაბ ორბელიანოვისა, და ესეც მითხრა: შენ ყველას გაჩვენებო. ასეთი შეპყრობილი ვიყავ, რომ არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, ხმა ვერ გავეცი. მეორეს დღეს გიორგი ერისთოვი მოიყვანა²⁶ და ახლა გამაცნო. მესამეს დღეს გრიგოლ ორბელიანოვი მოიყვანა ელიზბარმა და გიორგი ერისთოვი. ეს სამნი მოვიდნენ ჩემთან საღამოზე და დავსხედით. გრიგოლმა თქო: ალექსანდრე, ეს ყმანვილები რალებსაც მეუბნებიან რუსების აქედგან გაყვანისაო, მაგრამ ძნელი არისო. ელიზბარმა უთხრა: თუ ღმერთი გნამს, კარგი, გრიგოლ, ბევრს ნუ ლაპარაკობო. კიდევ გრიგოლმა უარი უთხრა. მასკვან მე ამათ დასამშვიდებლად უთხარ: მე ერთს რასმე კარგს გირჩევთ მეთქი, თქვენგანი ვინმე მივიდეს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და რჩევა ჰკითხოს, მე გარწმუნებთ მეთქი, რომ ის დიახ რიგიან რჩევას მოგცემთ, და თუ შაიძლება ყველას წვრილად გვიამბობს მეთქი, და თუ არ შაიძლება, სულ დავინწყებასა მიეცით, რომ სულ აღარა იფიქროთ მეთქი. დიახ ამ სიტყვაზე მეთანხმენ. გრიგოლმა თქო: მე ვეტყვიო, – მაგრამ გრიგოლმა სულ არარა უთხრარა ჭავჭავაძეს და ისე წავიდა პეტერბურღს გრიგოლი.²⁷ შემდეგ ამისა, ელიზბარმა მოიყვანა ჩემთან ზაქარია ციციანოვი, ლუარსაბ თარხანოვი, იოსებ მამაცოვი, თითონ ელიზბარ და გიორგი ერისთოვი. მთხოვეს: გთხოვ თქვენ ბაღში გავისეირნოთო. მე მოვახსენე მათ: თქვენი ნება იყოს მეთქი, და წავედით. ზაფხული იყო, შვევექცით ბაღში, ვიარეთ,

ვისეირნეთ და წამოვედით ისევე. მათ ერთიანათ მიხოვეს: გთხოვ ხვალ სადილად ამ ბაღში დაგვეპატიჟოთო. მე იმთენ პატიოსანთ მოვახსენე მობძანება. მეორეს დღეს სადილათ ჩემთან იყვნენ ბაღში. ჩემი სახლი კაცი ალექსანდრე ორბელიანოვიც იქ იყო,²⁸ და სადილის უკან მოჰყვა ელიზბარი: ამ რიგათ, ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი მემკვიდრე 1000-ის წლისანი მეფენი გადაგვიკარგეს, და ეს უცხო თესლნი ნაცვლად იმათა დაგვეპატრონენ, რომელიც უკანასკნელ ლუკმას გვართმევენო, და რაც მამულები და ყმა გვყავს, გვართმევსო, ჩვენი მზრუნველი თვინიერ ღვთისა კაცთაგანს ვერავის ვერა ვხედავთო. მასკვან ყველამ თქვეს: არ ვიცი, ღმერთს ვფიცავთ რა ვქნათო. ასე შეწუხებულნი იყვნენ ყველანი. ღმერთს ვფიცავ, რომ ცრემლით ემსებოდათ თვალები, და ასე თქვეს ყველამ: ერთ თანხმად ნეტავი ხელმწიფემ ერთიანად წაგვართოს ყმა და მამულიო, რომ შავიცყოთ, რომ წართმეული არისო, თუ არა, ერთი იასაული მოდისო, ჩვენ გლესკაცთ ჩვენთან სცემს, და მასკვან მოგვიბრუნდებო ჩვენც, ბევრს გვაგინებსო, რომ ხმას ვერ გავცემთ ხოლმეო, და რასაც უნდა, ჩვენს სოფელში იმას იმოქმედებენო, და მასკვან კარგის ქეიფით წავაო. – შემდეგ, როგორც ქართველური ხუმრობა არის, ისე მოჰყვნენ სიცილს, ხან ერთმანეთი ვლანძღევით და მასკვან დავიშალენით, თვისს სახლსა შინა წავედით. შემდეგ ამისა, ერთს დროსა ვიყავ თამარ ბატონიშვილთან და ლაპარაკსა შორის თქო: ნეტავ იერუსალიმში იყოს ვინმე წამსვლელი, ღმერთს ვფიცავო წავყვებოდით.²⁹ – მე უთხარ: იქნება ვინმე გამოჩნდეს მეთქი. ამ სიტყვის შემდეგ მიველ შინა, და მეორეს დღეს იასე ფალავანდოვთან ჩავედი. უთხარ: ეს თამარ ბატონიშვილი ცარიელი ლოცვის, და ღმერთთან ვედრების მეტი არა არის რა. მითხრა: როგორაო. – ასე რომ, იერუსალიმს სურს წასვლა მეთქი, თუ მგზავრს იშოვნის მეთქი. მითხრა: ნეტავი წამოვიდეს, თორემ მე თან გავყვებო. – მასკვან მე უთხარ: მგონია, შორს არის მეთქი. მითხრა: დიახ შორს არისო. შემდეგ მკითხა: კიდევ ვერ იგრძენით ქართველებმაო. – მასკვან უთხარ: იასე, უყუროთ ამ პოლშელებსა მეთქი, თუ იმათ შეიძლეს თავის თავის გატანა მეთქი, მაშინ ჩვენც ვეცადნეთ ჩვენს საქმესა, და თუ არა და თუ ღმერთი გწამს, სულ წულარას ვიფიქრებთ მეთქი. ერთი საშინელი ამოიოხრა, და აღარა თქორა. მეც დავჩუმდი, და შემდეგ წამოველ შინა. – რამდენსამე დღეს უკან ელიზბარ ერთს საღამოზე მოვიდა ჩემთან, და მითხრა: წავიდეთ ლუარსაბის სანახავათო.³⁰ მე

უთხარ: აგრე იყოს მეთქი. – ნავედით ლუარსაბთან. დავსხედით. მაშინვე უთხრა ელიზბარმა: ლუარსაბ, მე რომ გითხარი, ჭავჭავაძეს არ უთხარო. – იმან თქო: უთხარიო, და ასე თქოვო, რომ ალექსანდრე ბატოიშვილთან კაცი გაგზავნეო, ის კახეთში გამოვიდესო. – მე ვკითხე: ლუარსაბ, რა საჭირო არის იმისი კახეთში გამოსვლა მეთქი. მითხრა: იმანა თქოვო, ის გამოვიდეს და მასკვან მე ვიციო. – ამაზე აღარ ვთქვითრა, და ერთს საათს უკან შინ წამოველ. – მეორეს დღეს ელიზბარ მოვიდა ჩემთან დილაზე. მითხრა: რაღას უყურებთ ერთი კაცი იშოვნეთ ვინმეო, რომ გაგზავნოთო. მე უთხარ: ხომ კარგათ იცი, სულ ოცი კომლი თათარი მყავს, და ისიც სულ საწყალი ხალხნი არიან მეთქი,³¹ ბიძა შენს ლუარსაბს უთხარ, რომ **ასი** კომლი კაცი ჰყავს მეთქი, და იმან გაგზავნოს მეთქი. – ამ სიტყვაზე წავიდა ჩემგნით. მეორეს დღეს ლუარსაბთან გავედი საღამო ჟამზე, და ჩვენი გაყრის საქმე მინდოდა მამელაპარაკებინა. ამ დროს ელიზბარ მოვიდა, კიდეც იმაზე ჩამოაგდო ამბავი, მასკვან ლუარსაბმა უთხრა: ელიზბარ, რას დაინიჟეო, ალექსანდრე ჭავჭავაძემა თქოვო, რომ კაცი გაგზავნეთ ბატოიშვილთანა. – მაშინ მე ოქროპირ ბატოიშვილის სიტყვა მამაგონდა, რომაო ალექსანდრე ჭავჭავაძე ჭკვიანი კაცი არისო. მე ვგონებ და ისე მახსოვს, რომ ამ ლუარსაბის სიტყვაში ალექსანდრე ორბელიანოვი და გიორგი დავითის ძე ერისთოვი იქ იყვნენ. მე გავეყარე. ველარც ჩემი საქმე რამ უთხარ, და წამოველ შინა. – მეორეს დღეს კიდეც ელიზბარ მოიჭრა ჩემთან. მითხრა: რა ღმერთი გაგინყრათ, ერთს კაცს როგორ ვერ იშვონითო. მე უთხარ: რას ამბობ, ვინ წავა მეთქი. მასკვან მითხრა: შენ რომ გხედავ სულ დროს გასატარებლად თანხებს გვაძლეო. დამინყო ლანძღვა, და ისე გაიქცა. – მასკვან იასესთან ჩავედი. უთხარ: იასე მეთქი, ეს რა დაგმართვიათ, რომ ასე გაგიჟებულხართ მეთქი. მითხრა: რა არისო. მე ელიზბარის ამბავი სულ უთხარ. მამიბრუნდა და მითხრა: ახლა არ უნდა გრცხვენოდესო, ის ყმანვილი კაცი ისე ცდილობდესო, და შენ კი აგრე უნდა გეძინოსო. მე უთხარ: რა ვქნა, მე კაცი არავეინა მყავს მეთქი, რომ გავგზავნო მეთქი, და თუნდა გავგზავნო, ღმერთს ვფიცავ, იმ წამს ჩემს კაცს იქ მოჰკლავს მეთქი, ეს ყველამ იცით მეთქი, რომ მამა ჩემი იმას თოფს ესროდა, და ამათის გულისთვი თავი მოიკლა მეთქი, მე როდილა მენდობა, და ახლა მოსისხლე არის ის ჩემი მეთქი.³² მითხრა: ფუ შენს კაცობასო, ღმერთს ვფიცავ, ნუ გეშინიან, გაგზავნეთო. მე უთხარ: ლუარსაბ უფრო

იშოვნის კაცსა, იმან გაგზავნოს მეთქი. კიდევ ლანძღვა დამინყო. შემდეგ წამოველ შინ. – მეორეს დღეს დილაზე კიდევ მოიჭრა ელიზბარ. მითხრა: ღმერთმა შეგარცხვინოსო, კარგი კაცი შენ და ლუარსაბ ხართო. მე უთხარ: რა ვქნა ელიზბარ მეთქი. მითხრა: ერთი კაცი ვერ გიშოვნიათ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნოთო. მე უთხარ: არ შაიძლება, ნუ აგიხივებია მეთქი. მითხრა: აგრე ჭავჭავაძისას ამბობდით, ხომ შაიტიყე, რა უთქომსო. მე უთხარ: რა ვქნათ, ძმაო მეთქი, თითონ იმ ჭავჭავაძემ გაგზავნოს, უფრო დიდი კაცი არ არის მეთქი. მითხრა: ხომ ხედავ, ტრუსი არისო. მე აღარა უთხარრა. – ამის მეორე საღამოს იასე ფალავანდოვი მოვიდა ჩემთან. დავსხედით. მოჰყვა: სირცხვილი არის შენთვისაო, რომ ერთი კაცი ვერ გიშოვნიათო, რომ გაგზავნოთო. მე ამაზე სულ ხმა აღარ გავეცი. მასკვან მითხრა: რა საძაგელი კაცი ხარო. მე უთხარ: რა ვქნა, ძმაო იასე, არ შაიძლება, რომ მე ბატონიშვილს ვენდო მეთქი. კიდევ აღარა ვთქვირა, და ერთს საათს უკან წავიდა შინა. – რაოდენსამე დღეს უკან მამივიდა კაცი, რომ იბრეიმ ყარამამადაოლლი გაიქცაო მთიდგანაო. მე დიდათ შავნუხდი. ის იბრეიმ ყარამამადასშვილი მთავრობის ბძანებით გადმოსახლეს ოსმალოდგან ექვსი თუ შვიდის კომლით, და ის იბრეიმ ყარამამადასშვილი გადმოსახლების დროსა ჩინოვნიკს ეიბ ოლლი ალი აღას უნდა დიმიტრი ორბელიანოვისათვის დაესახლებინა. მე ეს შავიტიყე, და აღარ დავანებე. მასკვან იმ ალი აღამ შური იძია ჩემზე. ამთენი ელაპარაკა იმ იბრეიმას, რომ ისევე უკან გაიქცა. მე, ამის შამტყობს, როდისაც გაიქცა, მაშინ ჩემი სოფლის მოლა ზამანა დავიბარე, და უთხარ: შენ ხომ მოლა ხარ მეთქი და იბრეიმს კარგად იცნობ მეთქი, ეხლა შენ წადი, ჩემაგიერთ სთხოვე, რომ რაც ჩემი იმაზე დანახარჯი არის, სულ მამცეს მეთქი. მითხრა: ბატონი ხარო, მაგრამ გზაზე თულები არიანო,³³ ერთი თოფი მათხოვეთ რამეო. მე ერთი პატარა თოფი მქონდა, ავდექ და ის ვათხოვე. მასკვან ისე უეცრად წამამცდა, და უთხარ: მოლა ზამან მეთქი, ერთ კაცს ვერ იშოვნი, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან გავგზავნო მეთქი. მკითხა: რად გინდაო. კახეთში გამოვიდეს მეთქი. მითხრა: არსად არის იმისთანა კაციო. სხვა აღარა უთხარრა ამის მეტი,³⁴ რომ იბრეიმ ყარა მაჰმად ოლლის უთხარ, რომ ჩემი იმაზე დანახარჯი რაც არის, სულ უნაკლულოვანოთ გამამიგზავნოს მეთქი და ესეც უთხარ, რომ ღმერთი არ შეგარჩენს თქო ამ ჩემ ღალატობასა თქო. ამ სიტყვაზე წავიდა.

ამის შემდეგ ერთ სალამოზე მოვიდნენ ჩემთან ელიზბარ ერისთოვი, გიორგი ერისთოვი დავითის ძე და სოლომან დოდაევი. ჩემი ძმა ვახტანგიც იქ იყო. მოჰყვა დოდაევი რუსების წინააღმდეგობასა, და ელიზბარიც იმის სიტყვას ამტკიცებდა. მე დიდათ უარს ვიყავ, და ვანბობდი: თუ ღმერთი გნამს, დადექით, ამისთანა ღვთის მოსავს ხალხზე ნურას იფიქრებთ მეთქი, ხომ კარგათ იცით, ვითარ ძლიერი მებრძოლნი არიან მეთქი, თქვენ გამოუცდელი ხართ, და ამათთან არსად არა ყოფილხართ და მე ჭიპი ამათში მამეჭრა მეთქი, 1827-ში სპარსეთის კამპანიაში კნიაზ ვარშავსკიმ, ღრაფ პასკევიჩ ერევანსკიმა ერთი ბატალიონი ღრუზინსკის ჯარი გაგზავნა ურდობათსა,³⁵ და მეც იქ ვიყავ მეთქი, ღმერთს გეფიცებით, როდისაც ურდობათიდგან წამოვედით, მეორეს დღეს ოთხი ათასი სარვაზი,³⁶ და ხუთი ათასი იმათი კავალერია მოგვენია მეთქი, და დილიდან სალამომდისინ ომი გექონდა, იმ ყიზილბაშებს ზარბაზანიც ჰქონდათ, და ჩვენ უზარბაზნოთ ვიბრძოდით მეთქი, ღმერთს ვფიცავ, სულ შტიკით გავტეხეთ იმათი კალონები, და ისე გზა გავხსენით მეთქი, აბა ამის მნახავს მე მაგათზე ვიფიქრებ რასმე მეთქი, მეორე საკურველი საქმე გიანბოთ მეთქი, ერმალოვი რომ ყაბართოში იყო, მაშინ ერთს ხეობას შავედით, მენინავე სტრელოკში მე ვიყავ ოცდა ხუთის კაცითა მეთქი, ამ დროს ჩერქეზები დაგვიხვდნენ მეთქი, მე და ერთი სალდათი უეცრად ავცდით ჩემს სტრელოკებსა მეთქი, იმ დროს უეცრად 11-ტი ჩერქეზი შამოგვეხვია მე და იმ სალდათსა, ღმერთს გეფიცებით, რომ ერთი ხმლით მე მოვკალ, და ორი შტიკით იმ სალდათმა მეთქი, და ისე მშვიდობით გამოვედით მეთქი, აბა მე ესენი მინახავს სალდათებისა და ამისთვის ღმერთმა დამიფაროს რუსების წინააღმდეგობა მეთქი. – ესეები რომ გაიგონეს, ძალიან შეეშინდათ. ამ სიტყვის დასრულებასთან შინ წავიდნენ ისინი. – ერთს დღეს დილაზე მელნიკოვის ცოლის მელანიას სანახავათ მივედი, რადგანაც ჩემი შვილის მომნათლავი არის. მელანია იქ არ იყო. ამ დროს ელიზბარ და ივანე მაჩაბელი ისხდნენ, რალაცას ლაპარაკობდნენ. მე რომ შავედი, გაჩუმდნენ. მასკვან დამინვიეს, და დავჯექ. ელიზბარმა უთხრა: ივანე, ერთს რასმე გეტყვიო, თუ ღმერთი გნამს, რაც გითხრა, დამიჯერეო. მასკვან მოჰყვა, და უთხრა: ეს მამულიც ხომ შენც წაგართვესო, მოდი, ვეცადნეთ რუსები გადავრეკოთო. ივანემ დიდათ შორს დაუჭირა, და სულ უარი თქო.³⁷ რადენსამე მინუტს უკან გავიდა, და მე და ელიზბარ დავრჩით.

უთხარი: ელიზბარ, აჰა, ნახე ამ კაცმაც უარი თქო მეთქი, ღმერთს გეფიცები არა კაცი თანახმა არ შაიქნება მეთქი. – ერთხელ საღამოზე იასე ფალავანდოვი ამოვიდა ჩემთან, და დავსხედით, მოჰყვა ლაპარაკს: წუხელის სოლომან დოდაშვილი ჩემთან იყო, ასე თქო სოლომანმაო, ღმერთო ეს ალექსანდრე რა ბედნაია გალავა არისო, რომ იმის ტვინში თავის მამულის სიყვარული არ არისო. მასკვან თითონ იასემ მითხრა: ოჰ, უნდა გრცხვენოდესო, თუ ის ერთი უბრალო კაცი არისო,³⁸ და ასე უყვარს თავის მამულიო, მამ შენ რა ღმერთი გაგინყრაო. მე უთხარი: ღმერთსა ვფიცავ, თქვენ ასე ატეხილხართ, რომ თქვენ სამინი კაცნი დაგვლუპავთ ბევრს კაცსა მეთქი. ამ სიტყვაზე სულ შემამწყრა, და წავიდა შინა. – ერთხელ საღამო ჟამზე ზალავთანდილოვი მოვიდა ჩემ ძმა ვახტანგთან, რადგანაც მეგობრები იყვნენ, და მეც ამის გამოისათ კარგად ვიცნობდი, და ვახტანგ, ჩემი ძმა, შინ არ იყო, მე და ის დავსხედით, და სხვა და სხვა ამბაები ვილაპარაკეთ. მასკვან უთხარი: ზალ, ჭკვიანი ყმანვილი კაცი ხარ, შენ გაზდას, სწორეთ თქვი, რუსებმა რომ ჩვენზე ხელი აიღონ, ჩვენ შავვიძლიან, რომ ჩვენი თავი დავიფაროთ მეთქი. მითხრა: ღმერთმა ნუ ინებოსო, რომ ჩვენზე ხელი აიღონო, მეორეს დღეს სულ ერთიანათ წავხდებითო.³⁹ – ამის შემდეგ, რამეთინიმე დღის უკან, იბრეიმ ყარა მამადასშვილთან გაგზავნილი მოლა ზამანა მამივიდა, და ასე მეგონა, ჩემს დანახარჯს მამიტიანდა მეთქი. მოვიდა, მითხრა: ერნამ ცალკე ოთახში გამობძანდით. ცალკე ოთახში გავედით. მე მეგონა იბრეიმას ფული გამოუგზავნია, და იმას მაძლევს მეთქი, უბიდგან ერთი წიგნი ამოიღო, და ეწერა, არც არავისთან სახელი ეწერა, და არცარა ხელმწერილი იყო, თუ ვისგან იყო მონერილი, ეწერა ესრეთ, მე ხომ მამიშენი შვილს არ ვენდობიო, და არც არა შენაო, ეხლა ეს თათარი მოვიდა ჩემთანაო, მითხრა კახეთში გასვლაო, მე დიდი ხანია თქვენი მოსატყუარი კბილი მოვიცვალეო, და იმედი მაქვს, არც ხელში ჩაგივარდეო, მაგრამ წუხელის ერთი სიზმარი ვნახეო, რომ მთვარე დაბნელდაო, ამის ძალით შენ შაიტიყო, რა მოგივაო. – მე გამიკვირდა, ვკითხე: ამ წიგნსა ვინა მწერს მეთქი. მითხრა: ალექსანდრე ბატონიშვილიო. ამ სიტყვაზე ასეთი შამოკვარ თავში, ღმერთს ვფიცავ, რომ იქვე წაიქცა, და ზედ ერთი წიხლი დავარტყი, მასკვან წვერი დაუჭირე და ისე წამოვაყენე ზეზე. უთხარი: ვინ გაგზავნა მეთქი. მითხრა: ქურთებში სასიარულოდ ვიყავიო, და იქიდან ახლო იყო იმის სოფელი

და ჩავედი სანახავათაო. თქვენი ამბავი უთხარიო, ჯერ სამი დღე დამატუსალო, მასკვან ერთი წიგნი მამცაო, მითხრა, საიდგანაც მოსულხარ, ისევ იმ გზაზე წადიო. მასკვან მე კარგი პანღური ამოვკარ და გავაგდე,⁴⁰ ესეც უთხარ: მე შენ იბრეიმასთან გავზავნე, შენ იმის პასუხს მამიტანდი მეთქი. იბრეიმამ ასე თქოო: ცალი ფული რომ უნდოდეს, თვალზე ვერ მიიკრამსო. – როდესაც მე კახეთში გამოსაძიებლად გამგზავნეს სიღნაღის ნაჩაღნიკისა, და მოვრჩი გამოძიება, მაშინ მე ჩემ სიძეს აბელ ენდრონიკოვთან მივედი სანახავათ. ორი დღე აღარ გამამიშო. ერთს საღამოზე მოაჯირზე ვიდექით მე და ისა, ვთქვი ჩემს გულში, მოდი ერთი ამას ვკითხავ, რას იტყვის მეთქი. უთხარ: აბელ მიმბაშო მეთქი, ამ რუსებისას რას იტყვი მეთქი. მითხრა: ამასაო, რომ ეს ჩვენი საქართველო ღვთის მშობლის ხვედრი წილი არისო, ამ რუსებმა იმ ღვთის მშობელს გამოართვესო, ახლა იმ ღვთის მშობელმა იცის და ამ რუსებმაო, მე ამის მეტს არას ვიტყვიო.⁴¹ ამ სიტყვაზე დიახ ბევრი ვიცინეთ, და მასკვან შევედით, იმის ცოლშვილში დავსხედით, და ლაპარაკით შევექცეოდით. მეორეს დღეს გამოვეთხოვე, და ქალაქისაკენ წამოველ. როდესაც ჩამოველ ქალაქს, კიდევ მამიხდა დოდაევი. არ იქნა, არაფრით ვერ გავიცალე, აგრეთვე, ელიზბარ. იასე დიახ იშვიათათ დადიოდა ჩემთან, მაგრამ როცა მოვიდოდა, ასეთს მონამლულს სიტყვას იტყოდა, რომ სულ გულღვიძლს მომწყვეტდა ხოლმე, და შემომწყრალი წავიდოდა ჩემგნით. ერთხელ საღამო ჟამზე კიდევ მოვიდა ჩემთან სოლომან დოდაევი. პატარა ხანს უკან იასე ფალავანდოვიც შემოვიდა. დასხდნენ, და ლაპარაკი დაიწყეს. მე ბევრს მაყვედრებდნენ, რომ რატო თავგამოდებული არა ვარ რუსებსა ზედა, რატო არ მოვინდომებ რუსების გადარეკვას. მე უთხარ: აბა ერთი თქვენ გონებაში წარმოიდგინეთ, შაიღლება თუ არა მეთქი. მითხრეს: ადვილათაო. მასკვან მაგალითათ ვკითხე: სწორეთ გადავრეკოთ, უამათოთ შაგვიძლიან, რომ ჩვენი მამული დავიფაროთ მეთქი. მითხრეს: ჩვენ კისერზე ავიღებთო, რომ დავიფაროთო. მასკვან სახანოებისა ვკითხე: ესენი ხომ ჩვენი მონანი არ იქნებიან მეთქი. მითხრეს: რა საჭირო არის ის სახანოები ჩვენთვისაო. – მაშ კარგი, სულ საქართველო რამთენი კომლი კაცი იქნება მეთქი. ვიანგარიშეთ და ორმოცი ათასი კომლი კაცი ვერ დავაყენეთ. – მასკვან ვკითხე: მთის ხალხი და ეს სახანოები რამთენი კომლი კაცი იქნება მეთქი. ვიანგარიშეთ და სამასი ათასი კომლი კაცი დავაყენეთ. მასკვან უთხარ: ეს

ჩვენი ქართველი კაცი რამთენი მასროლი შეიძლება გამოვიდეს მეთქი. ვიანგარიშეთ, და კიდევ ბევრი დავაყენეთ, ათი ათასი კაცი გამოვა, ზოგი ცუღიანი, ზოგი კეტიანი და ამის ნახევარი ძლივ თოფიანი დავაყენეთ, რომელიც ხუთხუთი სროლა არ ექნებათ. მასკვან ვკითხე: აბა, ის იფიქრეთ, ერთი ოცდა ათი ათასი ლეკი რომ ჩვენზე წამოვიდეს, რა უნდა ვქნათ, სხვებს აღარას ვიტყვი მეთქი. მასკვან მითხრეს: მაშ, მეფე ირაკლი როგორ იფარავდა თავის მამულსაო. მე უთხარ: ამ რიგათა, რომ სომხითი⁴² და ქართლი სულ ლეკებმა აიკლეს, და გაოხრეს მეთქი, და თუ რუსები იმ დროში არ გადმოსულიყვნენ, სულზე მოესწრენ, თორემ კახეთიც გაოხრდებოდა მეთქი. ამ სიტყვაზე დაფიქრდნენ, და აღარა თქვეს რა. შემდეგ უთხარ მათ, იასეს და სოლომანს: ერთხელ მე და დედაჩემი ბატონიშვილი ვისხედით ორნი მეთქი, და ისე ლაპარაკში უცბად მოვახსენე, რომ რუსებმა ჩვენზე ხელი რომ აიღონ, რა უნდა ვქნათ მეთქი. მასკვან დედაჩემმა მიბძანა: ღმერთმა ნუ ინებოსო, და ნურა საქართველოს კაცს ეგ ნუ აფიქრებინოსო, შვილო ალექსადრეო, შენ ჩვენი ძველი დრო არ გინახამსო, და მე დამსწრე ვარო, ღმერთს ვფიცავ, რომ ამ რიყიდგანაო ლეკებს ჩაფაული⁴³ მოჰქონდათო, და ყოველთვის ჩვენ აკლებას მოველოდითო, რაც ჩემი თვალით ვნახეო, რომ აღა მამად ხანმა სულ აიკლო მთელი საქართველო, აი ეს განწირულება მინახამს საქართველოსიო, ახლა ღვთისადმი მადლობა გვმართებს ყოველს ქართველსაო, რომ რუსეთის იმპერატორი განძლიერდესო, როგორც არის, ორი კიდევ მაგტოლათაო. – აი ჩემო ძმებო, იასე და სოლომან მეთქი, ღმერთს ვფიცავ და იესოსა, რომ საუკუნოთ საქართველო სულ უბედური იქნება, ვინც მაგას ფიქრობს მეთქი. მეორეც ეს ასე იცოდეთ, რომ ბაგრატიონთ თუ ჩაუვარდათ საქართველო, მე თქვენ გარწმუნებთ, რომ რაც თავადიშვილები ვართ, სულ ქოქით ამოგვიღებენ მეთქი, თქვენ კი ბედნიერები იქნებით მეთქი. ამას წინათაც გითხარით მეთქი, რომ ჩემ სოფელში ერთი მოლა ზამანა არის, და ის ბატონიშვილთან ჩასულიყო ქურთებიდგანა, და ხომ შაიჩყეთ, რა მოენერა მეთქი. კიდევ უთხარ: კარგია, დაწყნარდით მეთქი. ამ სიტყვაზე სულ ადგნენ და წავიდნენ. – ამ დროსა ამბავი მოვიდა, რომ ვარშავა აიღესო. მე იმ საღამოზე იასესთან ჩავედი. სიცილით შავედი, უთხარ: იასე, აკი გითხარ ძმაო მეთქი, რომ რუსების წინააღმდეგობა არავის არ მოუხდება მეთქი. – ერთი საშინელი ამოიოხრა, და თქო: ღმერთს ვფიცავ, აქ ჩემთან

ოთხი თავადიშვილები იყვნენ სადილათაო. როცა ზარბაზნები დაცალეს, იკითხეს, რა ამბავიაო, მასკვან მე უთხარიო, ვარშავა აუღიათო. შამამფიცა იასემ, რომ იმ თავადიშვილებმა იტირესო და ისე წავიდნენ.⁴⁴ მასკვან მე უთხარი: კარგი, დაწყნარდით და დამშვიდდით მეთქი. – მასკვან იმისაგან რომ წამოველ და შინ ამოველ, ვნახე, რომ სოლომან დოდაევი და ელიზბარ ამოვიდნენ. მივეგებე და მიულოცე: არც ახლა დადგებით მეთქი. მასკვან იმათ დაიფიცეს, რომ თავის დღეში რუსებზე აღარა იფიქრონრა, ესეც შეცდომილებით მოგვივიდაო. და შემდეგ ამისა აღარავისგან გამიგონიარა.* – ამ ზაფხულს ლუბენატორს დავებარებინეთ ჩვენ ერთობრივ ორბელიანოვნი, რომ მოვრიგებულეყავით ერთმანეთის სადაოში და ჯერ ლუბენატორი არ გამოსულიყო კარზე. ამ დროს იასე ამოვიდა. მითხრა: რისთვის მოსულხარო. მე უთხარ ესე ამბავი. მითხრა: რას გაუგიჟებხარო, შენ უთოთ ასე გგონია, რომ ჩემი ძმა ლუბენატორი არისო,⁴⁵ და ეხლავე შენი წილი ჩაგბარდებაო. მე უთხარ: ღვთით ახლა იმედი მაქვს მეთქი. მითხრა: გთხოვ ამალამ ჩაიზე ჩემთან მოხვიდეო. მე უარი უთხარ საქმის გამოისათ, და გავშორდი. – ამ ხანებში ჩემი დედიდაშვილი გიორგი მოვიდა რუსეთიდგან.⁴⁶ ელიზბარ ერისთოვიც ჩამოვიდა სოფლიდგან, და დიმიტრი, ამისი ძმა, ხომ ადრე მოვიდა რუსეთიდგან,⁴⁷ და ამ დროს კი აქ არ იყო. ერთხელ კიდევ იასემ თავის ძმის, ლუბენატორის, სახლში მთხოვა: გთხოვ, ჩემთან მოხვიდოდე ხოლმეო. მე უთხარ, რომ რა გინდა, რომ მოვიდე მეთქი. მითხრა: ელიზბარ ერისთოვი, სოლომან დოდაევი და ანტონ აფხაზოვი ხშირათ ჩემთან დადიანო, და მთხოვა რომ შენი დედიდაშვილი გიორგიც მოიყვანეო. მე უთხარ: აგრე იყოს მეთქი. გიორგი და მე ერთს სალამოზე ჩავედით. ვნახეთ რომ სოლომან დოდაევი იქ იყო, და ანტონ აფხაზოვი, და ელიზბარ ერისთოვი. გიორგი შავიყვანე და გავაცანი. დავსხედით. პატარა ხანს უკან დავით ორბელიანოვი შამოვიდა, ანტონ აფხაზს და იმ დავითს სპორი მოუხდათ. შემდეგ ადგა და წავიდა. ჩვენც პატარა ხანს უკან წამოვედით. იასემ გვთხოვა ხშირათ სიარული. ჩვენ დავდიოდით. ერთს სალამოს ანტონ აფხაზმა დაგვპატიჟა სოლომან

* თუ როგორ მოხერხებულად ცრუობს ალ. ორბელიანი, მარტო იქიდანაც კი ჩანს, რომ შენახულია მისი ბიძინა ერისთავისადმი წერილი, სადაც მას ვარშავის აღებას ატყობინებს და თან ანუგეშებს, რომ ნუ გაიტეხ გულს, საქმე ამით არ გათავდებაო.
გ. გოზალიშვილის შენიშვნა (გოზალიშვილი 1935: 212).

დოდაშვილის სახლში. ნავედით იმასთან ვახშმათ. სტოლზე რომ დავსხედით, მოჰყვნენ მამულის ერთგულებაზე ლაპარაკს, და როცა მე ხმას ამოვიღებდი, ზოგნი დამცინოდნენ და ზოგნი დაჩუმებას მეუბნებოდნენ. ჩემი ძმა ვახტანგიც იქ იყო, და დაჩუმებული იყურებოდა. თითქმის შუალამიდგან ორი სათი შესრულდა, რომ ვისხედით. მე ადგომა მოვიწოდო და იასემ ხელი წამავლო, მითხრა: არას გზით არ გაგიშვებ, აქ გათენებამდის უნდა დავსხდეთო. მე მაინც კარზე გამოველ პატარას ხანს საჭიროებისათვის. როცა შავედი, ვნახე, რომ ელიზბარ და იასე რუსებზე ლაპარაკობდნენ, და მათ წინააღმდეგობისას. მაშინ ანტონ უმტკიცებდა, რომ არას დროს არ შაიძლებოდა და ნურც არავის ფიქრი გვექნება. შემდეგ ამისა წამოვდექით და გავიყარენით. – ამ ხანებში ღვარდიის კაპიტანი ზაქარია ჩოლაყოვი მოვიდა, ერთს კვირას უკან ელიზბარ და დოდაევი მოვიდნენ ჩემთან. მითხრეს: ამ ზაქარიას რა რიგათ სძულებია რუსებო. მე უთხარ: დიახ ავათ უქნია მეთქი, რა უჭირს ხვალ არა, ზეგ პოლკოვნიკი იქნება მეთქი, და მაგათი სახლი რამთენ ჯამაგირს აიღებენ მეთქი. – შენ აგრე თქვიო, და ის კაცი რაებს ლაპარაკობსო. – ეს ლაპარაკი სულ წავიდა. რაოდენსა დღეს უკან ვთქვი: ის ზაქარია ჩოლაყოვი ჩემი ახლო ნათესავი არის და, ვთქვი, წავალ პატივისა ვცემ მეთქი. – მივედი. დიახ სიხარულით მიმიღო, და ახლო გაცნობა მთხოვა. დავსხედით. პატარა ხანს უკან დიმიტრის, თუმ რომ ეძახიან, სიონის კანდელაკი და პრაპორშჩიკი იოსელიანი,⁴⁸ ესენი შამოვიდნენ. მასკვან დოდაევი შამოვიდა, პატარა ხანს უკან კიდევ ელიზბარ ერისთოვი შამოვიდა, დავსხედით და რაღაებსაც ვლაპარაკობდით. შემდეგ ერთი საათისა მე ავდეგ და წამოველ, ელიზბარი და დოდაევიც წამოვიდნენ. ზაქარიამ მთხოვა: გთხოვთ ხშირად მობძანდებოდეთო. აგრეთვე მე ვთხოვე. – მეორე დღეს მასკვან ზაქარია მოვიდა ჩემთან, მე დიახ სიყვარულით მივიღე. ამის შემდეგ ორ დღეს უკან, საღამო ჟამზე, ახლა მე გავედი სანახავათ. როცა დავსხედით, ერთს სათს უკან, ელიზბარ ერისთოვი, ამისი ძმა დიმიტრი, და მგონია დოდაევიც, ესენი შამოვიდნენ. დავსხედით და ხუმრობა დავინწყევით. ამ ლაპარაკში ვიღამაც თქო: მოდი მელიქოვის ტრაქტირში წავიდეთო.⁴⁹ ყველამ დავასკვნით წასვლა და წავედით. როცა შავედით, მე და ზაქარიამ ბილიერი ვითამაშეთ რაოდენიმე პარტი. პატარახანს უკან, ისე მახსოვს, რომ იასე ფალავანდოვი შამოვიდა. – პატარახანს უკან იასემ მთხოვა ჩაის

დალევა. დავლიეთ. მასკვან ვახშმათა გვთხოვა. ჩვენ ვეთანხმეთ. იასემ მითხრა: მე პატარახანს შინ მივირბენო, და რაოდენსამე ხანს უკან ბიჭი გამამიგზავნეთ, ამრიგათაო, რომ ალექსანდრემ ერნამ აქ მობძანდო და საჩქაროთ მოვალო. – ნახევარი სათის უკან გაუგზავნე კაცი და ვთხოვე, მობძანდი მეთქი, რომელიც მოვიდა, გვითხრა: კარგს ადგილს წაგიყვანთ ვახშმათო. – წავედით და ციხეს გვერთ რომ ყავა ხანა არის, იქ შაგვიყვანა. დავსხედით. პატარას ხანს უკან ვახშამი მოატანინებინა. – ვახშამზე მოჰყვა იასე რუსების წინააღმდეგობას. მასკვან ზაქარიამ დაიწყო ლაპარაკი. ასეთ რიგათ მოჰყვა ლაპარაკს, რომ ვინც იქ ვისხედით, სულ გაგვაკვირვა. მასკვან თქვა: ალექსანდრე ბატონიშვილი კახეთს რომ გამოვიდესო, საქართველოც აეშლებო. – ყველამ დაუმტკიცეს. მასკვან მე მითხრეს: შენ უნდა წახვიდო. მე უარი უთხარი, და არც შაიძლება ჩემგნით ეს საქმე მეთქი. მასკვან ერთ თანახმად მითხრეს, რომ შენ სულ ტრუსი ყოფილხარო, მამ აქ ჩვენში რათ ერევიო. მე უთხარ: რა არის მეთქი, ღმერთის ფიცი და პატიოსანი სიტყვა მივეცი რომ არ გაგცემთ მეთქი. მე ჩონგურს უკრავდი და სიმღერას ვამბობდი, და მე დამცინოდნენ ტრუსობაზე. ამაში კიდევ ავდექით და წამოვედით. მე გზაზე სულ მელაპარაკებოდნენ: შენ უნდა წახვიდო. მაგრამ მე სულ უარს ვეუბნებოდი. – რაოდენსამე დღის უკან ვახშმათ იასემა გვთხოვა და ჩემი დედიდაშვილი გიორგიც იქ იყო, ჩემი ძმა ვახტანგ, ზალ ავთანდილოვი და დიმიტრი ყიფიანოვი. დავსხედით ვახშმათ. ვახშამთ უკან მოჰყვნენ კიდევ რუსებზე ლაპარაკს. უნამეტნავესი იასე იყო მჩხვლეთელი ელიზბარისა. შემდეგ ელიზბარმა და იმისმა ძმამ დიმიტრიმა თქო, რომ მუხრან ბატონი უნდა მოვკლათო.⁵⁰ ჩემი დედიდაშვილი სპორს უწევდა. ასეთი ჩხუბი მოუვიდათ, რომ ერთი სათი მეტი იჩხუბეს. მე ვიფიქრე, ამათ უბრალო ჩხუბი არა მოუხდეთრა მეთქი, და ამათ დასამშვიდებლათ მასკვან მე უთხარ: ელიზბარ და დიმიტრი, მე უფრო კაი სიტყვას გეტყვით მეთქი, აბა ერთი ეს მიბძანეთ, რით უნდა მოვკლათ მეთქი. – იფიქრეს და მასკვან ყველამ სიცილი დაიწყეს. და მასკვან იასე მომიბრუნდა და მითხრა: შენი საქმე ყოველი ფერი მასხრობა არის, აი მოვნამლოთო. მე უთხარ: ლაყბობ მეთქი, ღმერთმა ჩემ ფიქრს ეგ აფიქრებინოს მეთქი. იასემ თავი დამიქნია, და ერთი საცოდავათ ამოიხრა. თქო: ნეტავი შენთან საქმე არა დამეჭირარაო. ამაზე დავიშალენით. – შემდეგ მე ფეხი ამტკიცდა ლურსმანზე დარჭობით და ჩემთან ხშირათ

დადიოდენ ზაქარია ჩოლაყოვი და ყმანვილები. ერთ დროში თქვეს, ოც ნომბერს უნდა მოხდეს ბუნტიო.⁵¹ მე უთხარ: თუ ღმერთი გნამს, მაგისტანა პრაკაზებს დაეხსენით მეთქი. ამაზე ჩხუბი დაიწყეს დიმიტრი და ელიზბარ ერისთოვებმა, და მეჩხუბებოდნენ. ჩემი ძმა დიმიტრიც იქ იყო. მასკვან ჩემმა ძმამ დიმიტრიმ უთხრა: მე თუ ასე მცოდნიყო, მაგისტანა მასხარა ზავოვორჩიკები იყავითო, სულ ეხლა თქვენში აღარ გავივლდიო. ამ სიტყვაზე გავათავეთ ლაპარაკი, მაგრამ იასემ თქო: ნუხელის ლუარსაბთან ვიყავიო, ასე შევაშინე, რომ ვითომც იმას ციმბირში ჰკარგავენო, და თქოვო – ერთს სალამოს ათას კაცს მეტს ჩამოვიყვანო. მასკვან მე უთხარ: ზაქარიავ, თუ აღექსანდრე ჭავჭავაძეს არა ნახამ, მე ვერავის ვერას დაუჯერებ მეთქი. – მასკვან ლუარსაბს ნაყევანა ჭავჭავაძესთან ზაქარია და ელიზბარი. ელაპარაკნათ. აღ. ჭავჭავაძეს ეთქო ასეთი უარი, რომ სულ ფიქრშიაც ნუ მოგივათო.⁵² ამაზე სულ დავჩუმდით და აღარა ვიფიქრეთრა.

Распоряжение на первую ночь действия читано мне было князем Евсеем Палавандовым, а проект управления Грузии князем Елизбаром Еристовым.

Подпоручик и советник князь Орбелианов.*

К сему об'являю комиссии, что говорил сообщникам моим, что могу приготовить несколько людей, и что четыре таких человека приехали в Тифлис с Молой Заманом, но сие мною было сказано без цели, не обдумавши, между разговора, а Мола Заман говорил мне, что при поездке его и товарища его коса Мустафой к царевичу Александру напали на них шесть куртинцев, от коих оии оборонились, и Заман Мола покааывал мне переломанную при сем саблю свою.

Подпоручик князь Александр Орбелианов**

* პირველი ლამის განკარგულება წამიკითხა თავადმა იასე ფალავანდოვმა,⁵³ ხოლო საქართველოს მმართველობის პროექტი⁵⁴ – თავადმა ელიზბარ ერისთოვმა. პოდპორუჩიკი და სოვეტნიკი, თავადი **ორბელიანოვი** (აქ და ქვემოთ: თარგმანი ჩვენი – თ. ჯ.).

** კომისიის განცხადებაზე, რომ მე ჩემს თანამზრახველებს ვეუბნებოდი – შემძლია რამდენიმე ადამიანის მომზადება და თბილისში მოლა ზამანასთან ერთად ოთხი ასეთი კაცი ჩამოვიდა კიდევაცო, ეს ყველაფერი ვთქვი უმიზნოდ, დაუფიქრებლად, სასხვათაშორისოდ; მოლა ზამანა კი მეუბნებოდა – როცა იგი თავის ამხანაგ ქოსა მუსტაფასთან ერთად აღექსანდრე ბატონიშვილთან მიდიოდა, გზაზე მათ თავს

თქვენო აღმატებულებავ!

ვლადიმერ დმიტრევიჩ!

მონყალეო ხელმწიფევ.⁵⁵

ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის ამა კომისიასა შინა, რომელიც ჩემნი ამხანაგნი შეპყრობილნი გახლავან ამა ბოროტს განმძრახვასა ზედა. – მე ერთის სიტყვით მოგახსენებ, რასაც ის ჩემნი ამხანაგნი იტყვიან ჩემსა ზედა, მე ყოველი მიყაბულებია, და შორს გამოძიებასა შინა ნულარა შაუდგებით.

დავშთები უპატივცემულესად თქვენითა,
მონყალეო ხელმწიფევ, თქვენი უმორჩილესი მონა

თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი.**

„18-ს“ დეკენბერს, 1832-სა.

3. ჩვენება 1832 წლის 19 დეკემბრისა

ამა დეკემბრის 19-ს აღ. ორბელიანოვმა საგამომძიებლო კომისიიდან გამინვია თავის ოთახში და განმიცხადა შემდეგი:

1) რომ სამსახურის სარგებლობისათვის იგი ითხოვს, რათა მის მიერ ნათქვამი კორპუსის უფროსის მეტმა¹ არავინ შეიტყოს და რომ აღიარებს რა ყველა იმას, რასაც მისი ამხანაგები იმაზე უჩვენებენ, ითხოვს, რათა მისი წერილობითი ჩვენება, რომელიც საგამომძიებლო კომისიაშია, მოსპობილ იქნას და ის თვითონ კი გაანთავისუფლონ იმ მიზნით, რომ ახალ-ახალი გარემოებანი გამოამყლავნოს, რისთვისაც ის უნდა გაიგზავნოს ალექსანდრე ბატონიშვილთან ან და პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებთან.

2) მან თავის ჩვენებაში გამოტოვა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ უთხრა მას, რათა შეთქმულების საქმეების გამო მან შეასრულოს ყველაფერი ის, რასაც მას ლუარსაბ ორბელიანოვი ეტყვის.

3) პოლონელთა აჯანყების შემდეგ ყოფილმა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა,² რომელიც მას განსაკუთრებით კარგად ეპყრობოდა, დაიბარა იგი თავისთან ღამის 11 საათზე და მისცა წინადადება, დაეწყოთ აქაც აღრეულობა; რის შემდეგაც

დაესხა ექვსი ქურთი, რომელთაგან თავს იცავდნენ და მოლა ზამინამ მაჩვენა კიდეც გადამტვრეული ხმალი. – პოდპორუჩიკი, თავადი **ორბელიანოვი.**

ზავილეისკის უნდოდა ამ მიზნით მისი საშუალებით ემოქმედნა, ისე როგორც გენერალ-მაიორი ჭავჭავაძე მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვის საშუალებით მოქმედებდა.

4) ალექსანდრე ბატონიშვილმა ნამდვილად მოსწერა მას მოლა ზამანის საშუალებით, რომ თუმცა ალექსანდრე ორბელიანოვის მამა მის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა, მაგრამ იგი მაინც ენდობა ამას; მეორეჯერ ალექსანდრე ბატონიშვილისაგან მოუვიდა მას თათარ მაჰმადას ხელით წერილი, რომელშიაც ბატონიშვილი იწერებოდა, რომ ის უკვე მოხუცია, რომ მათ აღუთქვეს მოქმედება და არაფერს კი არ აკეთებენ. მოლა ზამანამ უნდა იცოდეს იმ კაცის ვინაობა.

5) მოლა ზამანამ მოიყვანა ჩემთან ეს კაცი მაჰმადა, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ თავად გარსევანთან ერთად³ (ეს უკანასკნელი მას გზაში ჩამორჩა) გაგზავნილი იყო ყაზი მოლასთან. ამ კაცმა თქვა, რომ ბატონიშვილთან ორი კაცი გამოგზავნა აგრეთვე ეგვიპტის ფაშამაო.⁴

6) წარსულ წელს კახეთში რომ იყო მივლინებული,⁵ ალექსანდრე ორბელიანოვი საქართველოს განთავისუფლებაზე ელაპარაკა ივანე ანდრონიკოვს, აგრეთვე უთხრა მას, რომ ახალგაზრდები, რაღაც საქმეს აპირებენო, რაზედაც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეს, ივანე აფხაზოვს, ახლანდელ სამოქალაქო გუბერნატორს ნიკოლოზ ფალავანდოვსა და ვასილ ბებუთოვს უნდა რაღაც განსაკუთრებული განზრახვა ჰქონდეთ საქართველოზეო.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

ყველაფერი ზემოთქმული მე ნამდვილად ვუთხარი გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის, რასაც კომისიის წინამეც ვადასტურებ.

პოდპორუჩიკი, თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი

დაუმატებ აგრეთვე, რომ ამა წლის ზაფხულში დიმიტრი ერისთოვმა, პეტერბურგიდან ახალი ჩამოსული რომ იყო, როგორც მახსოვს, ელიზბარის თანადასწრებით მეღნიკოვის სახლში მიაშობო, რომ მასწავლებელ დოდაევის ძმამ, რომელიც სენატის 5-ე დეპარტამენტში კანცელარისტად მსახურობს,⁶ უთხრა მას, რომ საქართველოში არის შეთქმულება და რომ მისი მეთაური

მე ვარ. ამაზე მე გაჯავრებულმა მიუგე, რომ მე საქართველოში არაფერს წარმოვადგენ, რომ მე აქ ყველაზე უკანასკნელი ვარ.

პოდპორუჩიკი, თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**

დაუმატებ აგრეთვე, რომ მოლა ზამანის მიერ მოყვანილმა მაჰმადამ თქვა, რომ ის ბრუნდება ყაზი მოლასგან, რომელთანაც და აგრეთვე დალესტინის სხვა პირველ მამასახლისებთან მიიტანა ალ. ბატონიშვილის წერილები და რომელთაგანაც მოაქვს პასუხი როგორც ბატონიშვლთან, ისე ეგვიპტის ფაშასთან.

პოდპორუჩიკი, თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**

4. ჩვენება 1832 წლის 21 დეკემბრისა (I)

კომისიასა შინა! –

პოდპორუჩიკის თ-ა ალექსანდრე ვახტანგის ძისა
ორბელიანოვისაგან

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

იმ სიყმანვილით ესრეთ მიყვარდა რუსნი, რომ თხუთმეტის წლისა შევედი სამსახურსა კარაბინერის პოლკში,¹ და თვით იმ პოლკმა იცის, ვითარ ვმსახურებდი, და ანუ სალდათებთან ვითარ არ დავიშურებდი სისხლსა. ყოველს საქმესა, სადაც დავსწრები-ვარ, და ანუ ვითარ კეთილად, და ერთგულად ვიმსახურებოდი. – ვიმსახურე 1817-კა ანუ 1823-ა ანუ 1824-მე წელმდე.² შემდეგ მიანია დედა ჩემმა მოხუცებულებას, და საჭიროდ აღუჩნდი ჩემი სახლის გარემობასა. მაშინ, როდესაც რომ ჩემნი ძმები იყვნენ დიახ მცირეწლოვანნი, და მე ამ ჩემის სახლის გარემობისათვის გამოველ სამსახურიდგან, ნეტავი მაშინვე იქ მოვმკვდარვიყავ, ნეტარ რა კარგი იქნებოდა, და იმ პოლკშივე დაეფლათ ჩემი გვა-მი, რომ ამისთანა უბედურება არ ენახა ჩემს თვალებს, მაგრამ ვინც უბედური იქნება, და მაზედ დაბადებული, ის უბედურება არ მოეშვება, რომ თავისკენ არ მიიზიდოს, და არ მოსპოს ის კაცი ამ სოფლიდგან. შემდეგ მოკლედ ვთქვი ჩემი უბედურების გარემოება, ოდესცა ოქროპირ ბატონიშვილი მოვიდა აქა და წარ-სულ დღესაც მოვახსენე კომისიას ამის გარემოება,³ როგორც შემაცდინა. სხვათა შორის ბევრს მელაპარაკებოდა და ამას

მეტყოდა: აი მთის ხალხმა კი იცის ნათესაობაო, რომ ერთმანეთის ნათესაობის შვიდსა და რვას თაობის სისხლსა ეძებენ ერთმანეთშიო, და ერთმანეთის გულისათვის იხოცებიანო, შენ ხომ ჩემი მამიდაშვილი ხარო, და შენ რატომ ვერა გრძნობ, ნათესაობის სიყვარული რა არისო, აი იმ მთის ხალხს მაინც მიხედეო და ის მაგალითად მაინც გქონდესო. – ღმერთსა ვფიცავ, ესრეთ შემსჭვალა, და შემკრა ამგვარის ლაპარაკით, რომ ველარა ვთქვირა. ამ ამბავისა დროსა სხვათაც დამიჭირეს, იმათ, რომელიც ადრეთგანვე მოვახსენე კამისიას და შემიპყრეს, ვითარცა უბედური კაცი. რა ვქნა, ველარ დავეხნიე ნათესაობის სიყვარულს და გამაბა ამა უბედურებასა შინა. და ახლა ყოვლად მოწყალეს ხელმწიფე იმპერატორის წინ მომაქვს ჩემი თავი დანაშაულად ესრედ, რომ მე აღარა ვარ ღირსი ამთენის ჩემის ლაპარაკისა, მაგრამ ვიცი მრავალი მოწყალე, და ცოდვით მიმტყვებელია, და დავემხობი მის წინაშე, და ვიქმნები მისი ფეხთამტვერი, უკეთურაიცა ენებოს მის იმპერატორობითის დიდებულებას, იგი გადამახდევინოს მე უბედურსა, რომლისცა ვიქნები ღირსი.

პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
21-სა დეკენბერს. 1832-სა.

5. ჩვენება 1832 წლის 21 დეკემბრისა (II)

ქევხა შიხილ-ალიასას რომ მკითხავს კომისია, მართალია, მოვიდა, მითხრა: თქვენგნით რალაც წიგნი გამოჩნდა ბატოიშვილთან მიწერილიო. მე დაუშალე: ნულარსად ნულარ იტყვი მეთქი. პრაკლამაციას რომ მკითხავს კამისია, სოლომან დოდაევისაგან იყო დაწერილი და არა სხვას ვისგანმე, და იმან მამცა. ერთს სალამოს ჟამზე იმასთან ვიყავ გაზაფხულზე. ესეც მითხრა, რომ აქ ვერ შევინახამო, შენ შინ წაიღეო, და იქ შენ გქონდესო. მე ქილაში ჩავანყე და საკუჭნაოში შევინახე, რომ არავინ არ იცოდა.¹ მეორე მართალია, მოლა ზამანას უთხარ კაცების შოვნა, რომელიც მანაც აღმითქვა.

ალექსანდრე ბატოიშვილთან პირველადვე წიგნი არ მიმიწერია. მასკვან იმის კაცი რომ მამივიდა, და იმის წიგნი მამიტანა, და ასე მოეწერა: შენი კაცი რომ მამივიდაო, იმის კიდევ რატომ არ შემატყობინეო. ეს დიახ მცირე წერილი მოეწერა, და მე პასუხი მივწერე, რომ დიახ დამშვიდდა ხალხი, აღარაფერს

ფიქრშია მეთქი. თამაზ ყულისას რომ მკითხავთ, მართალია, დავიბარე, მაგრამ, სხვა არაფრის განზრახვა არა მქონიარა, მინდოდა იბრაიმ-ყარა-მაჰმადას-ოღლის საქმე მეთქო, რომ ეგება იმას მაინც გამოერთმია ჩემი მახედ დანახარჯი, და ჩემს ამხანაგებს კი უთხარ, რომ თამაზყულა დავიბარე, რომელიც აზრი გაქვთ იმისთვისა მეთქი.

მე ამის მეტს არას ვიტყვი. ღმერთთან იყოს ჩემის პასუხის გებაში და მეორედ მოსვლის დღეს პასუხი მიგოს ვინც ამ საქმეში გამაბა, რომელიც საუკუნოთ მე ხელმწიფისთვის სისხლსა ვღვრიდი, და მამაჩემიც მსხვერპლად იყო მის იმპერატორ დიდებულობისათვის შენირული. ჭეშმარიტად რაც ტანჯვა, და მნუხარება მივიღე, დიახ ღირსი ვარ სატანჯველისა, მაგრამ ნამეტნავად ცოდვილთ მონყალეა ჩვენი დიდი ხელმწიფე იმპერატორი. მე ყოველს ცისმარეს მინუტს ცრემლს ვაფრქვევ და ვტირი, უკეთუ რად შევცდი, მაგრამ რაოდენნ ჭკვიანნი გვამნი შემცდარან ბევრს საქმეზე, და ხელმწიფე იმპერატორი შემნდობი ყოფილა. ღმერთს ვფიცავ, ეხლა ჩემი გული რომ იცოდეთ და ჩემი სინდისი ვითარ იტანჯება, მაშინ საცოდავი რამ ვიქნები და შესაბრალისი. კაცი ვიყავ და შევცდი. მე ხომ თავს არ ვმართლულობ, მაგრამ ნუგემათ ჩემი ორი საგანი არის: პირველი ისა, რომ ჩვენი ბოროტი განძრახვა დიახ სუსტი რამ იყო, რომ მთავრობის საზიანო ერთი ფულისაც არა იყორა, და ვლაპარაკობდით, ვითარცა გიჟნი, და არა ვგრძნობდით, რასა ვიქმოდით. ხომ ეს ფიქრიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენშია, მაგრამ შემცდარნი ვიყავით სხვისა მიერ. იგინი არა ჩნდნენ, და ჩვენ მსხვერპლად შეგვნირეს და ვაი ჩვენ უბედურნი ამისაგამო. მეორე: ამ შეცდომილებასთან შენდობა ხომ ძნელია, მაგრამ ნუგემათ ესა მაქვს, რომ ჩვენი დიდი იმპერატორი მონყალე არს, და აქაურის ეხლანდელი მთავრობისაგან იფინება საქართველო კეთილის საქმით. ღმერთს ვფიცავ, არ ვიცი, ვითარ გამოვთქო ჩემი გულმხურვალეა. თუ კიდევ რაიმე დამაფინყდა, შემდეგ მოგონებისა, მოვახსენებ ამა კამისიას.

21-სა დეკემბერსა 1832-სა.

პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

6. ჩვენება 1832 წლის 23 დეკემბრისა

1832 წლის დეკემბრის 23-ს მე ამის ქვემოთ ხელისმომწერი საქართველოს უზენაესი მმართველობის ექსპედიციის სოვეტნიკი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი საგამომძიებლო კომისიას ვუცხადებ შემდეგს:

ჩვენი შეთქმულების მონაწილე პირთა შესახებ უკეთ განმარტებისათვის, საჭიროდ მიმაჩნია კომისიას შემდეგი განუცხადო:

ლეიბ-გვარდიის ყაზახთა რაზმის პორუჩიკის, თავად მამუკა ორბელიანოვისათვის, ჩვენს განზრახულობაზე არასოდეს არა გვითქვამს რა, მაგრამ, შესაძლებელია, მასწავლებელმა დოდაევმა ან თ. ელიზბარ ერისთოვმა აცნობეს მას იგი.¹

სამსახურის გარეშე მყოფ პოდპოლკოვნიკს, თავად ასლან ორბელიანოვს მხოლოდ შარშან ველაპარაკე საქართველოს განთავისუფლებაზე და მან ეს განზრახვა მოიწონა, წელს კი მე მასთან აღარ მილაპარაკნია და არცა მგონია ვისმე ჩვენთაგანს ეთქვას მისთვის რამე ჩვენს უკანასკნელს განზრახვაზე.

სამსახურიდან გასულ პორუჩიკ ალექსანდრე ორბელიანოვისთვის მე არასოდეს არაფერი არ მითქვამს ამ საქმის თაობაზე, მაგრამ, მგონია, პრაპორშჩიკმა, თავადმა გიორგი ერისთოვმა გამოუცხადა მას ჩვენი განზრახვა.

გორის მაზრის თავადთან, შალვა რევაზის ძე ერისთოვთან, მე არ მილაპარაკნია და არც ვიცი, ელაპარაკა მას ვინმე თუ არა.

თავად ლევან ლუარსაბის ძე ერისთოვს ამას წინადა, მიმდინარე წელს, ჩემი თანდასწრებით ელაპარაკა პრაპორშჩიკი, თავადი ბიძინა ერისთოვი – ჩემს ოთახში. მან ამაზე სურვილი განაცხადა და მგონია, მან შარშანაც იცოდა ჩვენი განზრახვა საქართველოს განთავისუფლების შესახებ. მის ბიძაშვილ თ. ივანე ელიზბარის ძე ერისთოვისათვის კი არასოდეს არა მითქვამს რა და არც ვიცი, მან იცის ჩვენი განზრახვა თუ არა.

თავად ამილახვაროვთაგან მხოლოდ თეიმურაზთან მქონდა ჩვენს განზრახულებაზე ლაპარაკი.

გასულ წელს თავადის, ელიზბარ ერისთოვის, ბინაზე შევხვდი თავად ივანე მაჩაბელოვს, რომელსაც თ. ელიზბარმა გამოუცხადა საქართველოს განთავისუფლების შესახებ ჩვენი განზრახვა, მაგრამ მაშინ იგი ამაზე არ დაგვეთანხმა. შემდეგში კი გამოაცხადა თუ არა ამაზე თანხმობა, მე აღარ ვიცი.

თავად თარხანოვთა, ჯავახოვთა და ჯორჯაძევეთაგან ჩვენი განზრახვა მე არავისთვის გამომიცხადებია, ასევე არა მითქვამს რა ამის შესახებ ვარშავსკის ფეხოსანთა რაზმის პორუჩიკ ნათალოვისთვის.

პრაპორშჩიკს, თავად ივანე რუსიშვილს, გამოუცხადე ჩვენი განზრახვა საქართველოს განთავისუფლებისა, მაგრამ მან თქვა, ეს შეუძლებელიაო.

მე-14 კლასის თავადი თადია ჩელოყაევი მიმდინარე წელს იყო ჩემთან ჩემი ავადმყოფობის დროს სხვა ჩვენ თანამზრახველებთან ერთად. მისი მონაწილეობით ვლაპარაკობდით ჩვენს განზრახულობაზე, მაგრამ იგი მის შეუძლებლობას ამტკიცებდა, ამბობდა რა, რომ 1812 წლის ამბოხებაში მონაწილეობის დროს იგი დარწმუნდა, რომ მთავრობისთვის წინააღმდეგობის განწევა შეუძლებელია.

სილნალის მაზრის თავადთან, აბელ ანდრონიკოვთან, მხოლოდ ის მითქვამს, რაც ჩემს ჩვენებაშია განმარტებული,² მის შვილებთან კი არასოდეს მილაპარაკებია.³

თავად ნინია ანდრონიკოვთან არ მილაპარაკებია და ამას არ ვიცნობ სრულიად.

ისპრავნიკ პაუშენკოსთან ჩვენს განზრახულებაზე არასოდეს არ მილაპარაკებია, თუმცა ჩემი სადაო საქმეების გამო მასთან კავშირი მქონდა.⁴

მიმდინარე წელს თავად ალექსანდრე მელიქოვის ბინაზე პრაპორშჩიკმა, თავადმა ბიძინა ერისთოვმა, უთხრა ერევნის კარაბინერთა რაზმის შტაბის კაპიტან ონიკოვს, მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება გვსურსო. მან უპასუხა, ეს შეუძლებელი საქმეა და ამაზე ფიქრიც კი არა ღირსო.

შარშან ჩემს სახლში პოდპორუჩუკმა, თავადმა ელიზბარ ერისთოვმა, ჩვენი განზრახვა გამოუცხადა გრენადერთა ქართული რაზმის პორუჩიკს, თავად გრიგოლ ორბელიანოვს, მაგრამ იგი ამტკიცებდა ამ საქმის შეუძლებლობას და არ დაგვეთანხმებოდა მიეღო რამე მონაწილეობა ჩვენს განზრახვებში; მაგრამ მგონია, რომ თ. ელიზბარს მისთვის ადრევეც უნდა ჰქონოდა ნათქვამი.

ამას წინათ თავად დავით ბარათოვის კაცს, ივანე დალაქს, წვერს რომ მპარსავდა, ხუმრობით ვუთხარი,⁵ კარგი არ იქნება საქართველოს სამეფო ისევ აღსდგეს მეთქი. მან მიპასუხა, იგი უკვე აღარ არსებობსო.

თავად ბირთველ თუმანოვთან არა მქონია არასდროს ლაპარაკი და არც გამიგონია, თუ სხვამ უთხრა ვინმემ.

თამარ ბატონიშვილს შარშან მართლაც უნდოდა იერუსალიმში წასვლა, რადგან დიდი მორწმუნეა, მე კი ჩემს ამხანაგებს ტყუილად ვუთხარ – მე და იმას სხვა განზრახვა გვაქვს მეთქი. ჩვენს განზრახვაზე მისთვის არა მითქვამს რა, დედაჩემ თეკლე ბატონიშვილთან კი ამაზე ლაპარაკს ვერც გავბედავდი.⁶ იციან თუ არა ჩვენი განზრახვა ქართველმა ბატონიშვილებმა ოქროპირის გარდა, მე არ ვიცი.

თავად ზაქარია ციციანოვისთვის ჩვენი განზრახვა მე არ გამომიცხადებია, მაგრამ მგონია, რომ მან ეს იცოდა.

მიმდინარე წელს თავადმა ელიზბარ ერისთოვმა გამაცნო სპარსეთში რუსეთის წარმომადგენელ გრაფ სიმონიჩთან მყოფი სოლომონ რაზმაძე. ჩვენ ველაპარაკეთ მას ჩვენს განზრახულებასზე და მან აღგვითქვა მონაწილეობის მიღება.

თავად ბირთველ თუმანოვისა და მისი შვილისთვის, პორუჩიკ ვიორგი თუმანოვისთვის, ჩვენი განზრახულების შესახებ მე არაფერი მითქვამს და არც ის ვიცი, იცოდნენ თუ არა მათ ეს განზრახულება.⁷

არ ვიცი, იცოდა თუ არა მასწავლებელმა დოდაევმა პირველი ღამის განკარგულება და საქართველოს მმართველობის პროექტი.

პოდპორუჩიკი, თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**

7. ჩვენება 1832 წლის 30 დეკემბრისა

კომისიასა შინა!

იბრეიმ-ყარა-აჰმად-ოღლის უთხარ, რომ ერთი კაცი იშოვნე, ბატონიშვილ ალექსანდრესთან გავგზავნო მეთქი. იმან ქოსა მუსტაფა მოიყვანა, რომ ეს წავაო. იმ დროს კი აღარ მოხდა ქოსა მუსტაფას გაგზავნა, და როცა იბრეიმ-ყარა-აჰმად-ოღლი გაიქცა, მაშინ მოლა ზამანას უთხარ, რომ იბრეიმ-ყარა-აჰმად-ოღლისთან წადი და ჩემი დანახარჯი გამოართვი მეთქი. და ლაპარაკში უთხარ: ბატონიშვილ ალექსანდრესთან ვერ წახვალ მეთქი. იმან მითხრა: რატომაო. – მე უთხარ: მაშ ქოსა მუსტაფაც გამოგყვება და ერთად წადით მეთქი. დამპირდა წასვლა. წიგნი დაუნერე ესრეთ: გთხოვთ ბატონიშვილო, კახეთს გამობძანდეთ მეთქი,

რომელიც ჩვენს საზოგადოებასა სურს მეთქი. და მოლა ზამანამ ნიგნი რომ მამიტანა, იმისი გარემოება ამას წინათ მამისხენებია, ¹ და ყურბანა-ალავერდი-ოღლისა ასე მახსოვს, რომ უთხარ, რომ ქოსა მუსტაფა და შენ ერთად წადით ბატოიშვილთან მეთქი, პირველს ქოსა მუსტაფას ჩემთან ერთად ყოფნაში, და მგონია რომ ცხენიც დავპირდი ყურბანას.² როდესაც მოლა ზამანას ნიგნი გავატანე, არავის არ წაუკითხამს. მხოლოდ ეს კია, რომ შემდეგ ყველას უთხარ ჩემ ამხანაგებს: ლუარსაბ ორბელიანოვს, ელიზბარ ერისთოვს, იასე ფალავანდოვს და სოლომან დოდაევს და სხვებსაც.

თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**

როცა ეს ნიგნი დავწერე, ესეც უთხარ მოლა ზამანას რომ პირითაც მოახსენე, რომ კახეთში გამობძანდეს მეთქი.

30-ს დეკემბერს. 1832-სა.

8. ჩვენება 1832 წლის 31 დეკემბრისა

კომისიასა შინა!

როდესაც მოლა ზამანას ვისტუმრებდი იბრეიმ-ყარა-ახ-მად-ოღლისთან და მაშინ უთხარ ბატოიშვილთან წასვლა და დამპირდა.

მაშინ მე ელიზბარ ერისთოვს კაცი გაუგზავნე, ჩემთან გადმოსულიყო. როცა მოვიდა ჩემთან, უთხარ: ელიზბარ, აი რომ მანუხებდი, კაცი ვიშოვნე გასაგზავნი ბატოიშვილთან მეთქი. – იმან მითხრა: მამ ნიგნი უნდა მისწეროო. მე უთხარ: იქნება გზაზე დაიჭირონ და ნიგნი იცნან ხელი მეთქი. – იმან მითხრა: სხვა ხელათ უნდა დაწეროვო. შემდეგ აქ გვერდზე რომ სწერია, ამის ხელზე დავწერე კახეთს გამოსვლისა, ¹ რომელიც დიდად მოინონა, მე ასე მახსოვს, რომ დილა იყო, ცოტა წვიმაც მოდიოდა, და ერთ კარდაკეტილში დავწერეთ ეს, რაც კამისიას მოვახსენე.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
31-ს დეკემბერს. 1832-სა

ამასთან დაუმატებ. – იასე ფალავანდოვმა გაჯავრებით გვითხრა, და გვაყვედრა: სირცხვილი არ არის თქვენთვისაო, რომ მე ორასი კაცი მზადა მყავსო და თქვენ სულ არაფერიო. მაშინ არ მახსოვს, ელიზბარმა თუ დიმიტრი ერისთოვმა, თქო: მეც ვეცდები, რომ ოცდაათი ანუ ორმოცი მე ვიშოვნოვო. – მაშინ მე დიდათ შამრცხვა, და უთხარ: რა ვქნა, ძმებო მეთქი, მე დიას ცოტა ყმა მყავს მეთქი და კომლზე თითო კაცს დავიბარებ მეთქი. – ამაში გავიყარენით. ამ დროებში მოლა ზამანა ჩამოვიდა რალაც საქმისთვის და მე უთხარ: მოლა ზამან, შაგიძლიან, რომ კარგი და მარჯვე კაცები იშოვნო მეთქი. მითხრა: რათ გინდაო. – მე უთხარ საჭირო არის მეთქი. დამპირდა: ბატონი ხარო. – შემდეგ როდენისა დღისამე ჩამოვიდა. – მითხრა: ოთხი კაცი ჩამოვიყვანეო. მე უთხარ: საჭირო აღარ არის მეთქი. მაშ ფული რამ უბოძეთო, რომ მშივრები არიანო. მე ამოვიღე და, კი აღარ მახსოვს, სამი თუ ოთხი მინანთული მივეცი,² და წავიდა ჩემგნით. ის კაცები კი თვალთ არ მინახამს, არ ვიცი, ტყუოდა თუ მართალს ამბობდა. – ის კი აღარ მახსომს, იმ კაცების სახელები მითხრა მოლა ზამანამ თუ არა. – და ქევზა შიხილ ალიასთვის ამ ზემო ხსენებულისთანა ჩაბარება სულ არა მითქომს-რა.

თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

31-სა დეკენბერს. 1832-სა

9. ჩვენება 1833 წლის 2 იანვრისა

კომისიასა შინა!

წარსრულს 1831-სა წელსა, გაზაფხულზე, ერთს დილაზე, მე-ათე საათზე მოვიდა ჩემთან ჩემი ბიძაშვილი ალექსანდრე ორბელიანოვი. იმ დროს მე ეზოში ვიდექი. – მითხრა: ალექსანდრე, კაცი ვიშოვნე გასაგზავნი ბატონიშვილთანაო. მე უთხარ: სად არის მეთქი. – მითხრა: ერთი კაცი გაგზავნე აბანოების კარზე, იკითხოს ისმეილ, ვისი შვილობა კი დამავინწყდა. – მე გავგზავნე. მოვიდა. შავ წვერა იყო თუ შეღებილი ჰქონდა, ის კი აღარ მახსომს, ელამიც იყო. ოთახში ავიყვანეთ, ელიზბარ ერისთოვიც იქ იყო, მაშინ ალექსანდრემ დაუწყო ლაპარაკი ბატონიშვილთან წასვლისა, იმან უარი გვითხრა. – შემდგომ ამისა, როდენსამე დღეს უკან, ჩემთან მოვიდა ალექსანდრე და მითხრა: სხვა კაცი

ვიშოვნეო. უთხარ: სად არის მეთქი. მითხრა: აქ წამოდო. – წამიყვანა თავის სახლის ეზოში. ისე მახსოვს, რომ ელიზბარ, და გიორგი ერისთავნი იქ იყვნენ. მაშინ ერთი თათარი იყო იქა შავწვერა, მგონია, ალავერდის უძახდნენ. – მაშინ ალექსანდრემ საიდუმლოდ ელაპარაკა იმ თათარსა და შემდეგ ჩვენთან მოვიდა. გვითხრა: უბილეთოთ არ მიდისო, ¹ თავრიზამდის ბილეთი ამართმევინეთო, და იქიდგან ისე წავალო. – ამის გაგზავნაც აღარ მოხდა და მოლა ზამანასი ხომ ადრე მომიხსენებია კომისიისათვის. – ერთს დროს იასე ფალავანდოვთან ვიყავ, და ლაპარაკში მითხრა, ვითომც ზალიკა ყორღანოვისათვის ეთქოს რომ ქალაქის ზოგიერთ ხალხს გამოუცხადოს, და დაემზადნენ ბუნტისათვის და, ხმაც დაყაროს, ვითომ სალდათსა ჰკრეფენ, რომელიც ხალხიც მზად არიან ბუნტისათვისაო. –

ამასთან დაუმატებ. – კამისიას რომ მოვახსენე, ჩემთან ბალში სადილათ იყვნენ ალექსანდრე ორბელიანოვი, ელიზბარ და გიორგი ერისთავი, იოსებ მამაცოვი და ჩემი ძმა ვახტანგ იქ იყო, როგორც მახსოვს, სადილზე არ გვითქომს ამ ჩვენ განზრახვაზე. სადილს შემდეგ კაკალს ქვეშ დავსხედით. ყველამ ვილაპარაკეთ და გაყრის დროს ლუარსაბ თარხანოვმა და ზაქარია ციციანოვმა გამიყვანეს. მითხრეს: ალექსანდრე, თუ ღმერთი გნამსო, ეგ ელიზბარ დიდათ ფიცხობსო და როგორც იყოს დაამშვიდეო. – შემდგომ მეც უთხარი: რა ვქნა, ღმერთსა ვფიცავ, მეც დიდათ ვნუხარ, და ვერა გამიგონებიარა, არ ვიცი, რა ვქნა მეთქი.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„2-ს“ იანვარს. 1833-სა.

10. ჩვენი 1833 წლის 3 იანვრისა

ამასწინათ კამისიას ხომ მოვახსენე, პრაკლამაცია ქილაში მქონდა მეთქი.¹ ახლა სწორეთ და ნამდვილად მამაგონდა გარემოება – 1831 წელსა, გაზაფხულს, საღამოზე სასეიროთ გავედი ვერისაკენ ცხენით და სეირობიდგან რომ დავბრუნდი, ვთქვი, სოლომან დოდაევთან შავალ სანახავდ მეთქი. ოდეს შევედი, შინ დამხვდა, მიმიწვია და დივანზე დავსხედით. მაშინ ადგა და თაბახ ნახევარზე დაწერილი მაიტანა. მითხრა: გაიგონეო. – ოდეს წაიკითხა სრული პრაკლამაცია იყო ხალხის შეგონებისა. – მასკვან მითხრა: აქ ჩემთან დადიან ხალხნიო და ადგილი არსად არა

მაქვს, რომ დაფარვით შავინახოვო. მთხოვა: გთხოვ, შენ ნაილო და დაფარვით შავინახოვო. – გამოვართვი, წამოვიღე, შიშით სტოლში ველარ შავინახე, რომ შინაურებს უეცრათ არ წაეკითხათ. – მასკვან ქილაში ჩავანყე, და საკუჭნაოში დაფარულს ადგილას შავინახე, რომ არავინ არ იცოდა.

გიორგი დავითის ძე ერისთოვი რომ კახეთს იყო გრიგოლ ჩოლოყაყვის დასამარხავათ, და იქიდან რომ ჩამოვიდა, რაოდენსამე დღეს უკან, ექსპედიციაში ვიყავ და ექსპედიციიდან გამოვედი და შინ მოვდიოდი. – მაშინ მეღნიკოვის სახლის ფანჯარა ღია იყო. ელიზბარ ერისთოვმა გადმამძახა: აქ ამოდიო. რომელიც ავედი. ოდეს შეველ, გიორგი ერისთოვი იქ დამხვდა, დიმიტრი ელიზბარის ძმაც იქ იყო და სტოლზე რაღაცა რვეული იდო. მითხრეს: აქ მოდიო რა წაგიკითხოთო.² – ისე კი აღარ მახსოვს, რომელმა წაიკითხა. იქ იყო დანერილი ჯერ წყევა და შემდეგ მეგობრობა, სიყვარული, შერთება და თანხმობა. – მე უთხარ: ვისგან არის დანერილი მეთქი. მითხრეს: კახეთს რომ ვნახე ბერი,³ იმისგანაო. ის დანერილი ძალიან მაღალზე იყო⁴ და მე ვთხოვე: გთხოვთ ამაღამ ჩემთან იყოს, კარგა გულმიპყრობით წავიკითხო და ხვალ ისევ მოგართმევთ მეთქი. – იმ ღამეს მე მქონდა და მეორე დღეს, არ ვიცი, სოლომან დოდაევმა თუ სხვა ამხანაგმა გამომართო, ის კი აღარ მახსოვს.

პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
3-ს იანვარს, 1833-სა წელსა.

11. ჩვენება 1833 წლის 6 იანვრისა

1831 წლის გარემოება ამას წინათ მოვახსენე კომისიას, როგორც მიუწერე ბატონიშვილს წიგნი, პირველისა და მეორისა და ამ გაზაფხულზე, ოდესცა მოვიდა ალექსანდრე ბატონიშვილის კაცი ჩემთან და მითხრა, ყაზი მოლადგან მოვდივარო. მაშინ მივედი მე ელიზბარ ერისთოვთან. დიმიტრი, იმის ძმაც, იქ იყო, სოლომან დოდაევიც და სხვანი კი არ მახსოვს ვინ იყვნენ. – მაშინ მე ის გარემოება გამოუცხადე. მითხრეს და ერთი თანხმობით ვთქვით ყველამ, რომ ბატონიშვილს მისწერო, რომ ანგლიელებთან დაიჭიროს საქმეო,¹ და მეორე თავის ღვდელი გაგზავნოს თავრიზშიო,² რომ ჩავიდესო. სოლომან რაზმაძე იპოვნოს და იმასთანაც შერთება ჰქონდესო. ეს გარემოება პირათ

დავაბარე იმ კაცს და, აღარ მახსომს, წიგნი მივსწერე თუ არა. – **მეორე.** იასე ფალავანდოვმა თქო ერთ დროს, რომ, როდისაც აღრეულობა მოხდება წინააღმდეგ, ის გამოიტანს თავის ფულს და დახარჯავს ხალხზე. – **მესამე.** არსად ჩვენ ფულის სუმა არ გვქონია,³ არც ერთი ფული. – **მეოთხე.** პეტერბურღს ბატოიშვილთან შანშეევი რომ არის⁴ არა ვიცი რა იმისი და არცა არა გამიგონიარა. – **მეხუთე.** ბარძიმ ამილახვაროვთან თავის დღეში ამ ჩვენს აზრზე სულ არაფერი შეერთება არა მქონიარა. – **მეექვსე.** მეორე ეს ჩვენი შეთქმა როგორ მოხდა, როგორც მე ვგონებ, მე და ელიზბარ იასე ფალავანდოვთან ვიყავით და იასე ფალავანდოვმა გვითხრა: ეხლა რუსებს ფრანცუჟებთან აშლა ექნებათო, და ელიზბარს უთხრა: მე და შენ წავიდეთ ფრანციაშიო და იქიდგან ვისაქმოთო. – **მეშვიდე.** იასე ფალავანდოვი ბატოიშვილ ალექსანდრესთან ვილასაც ორ გაკრეჭილ ღვდღებს გზავნიდა.⁵ – **მერვე.** სოლომან რაზმაძე რომ მოვიდა პეტერბურღიდგან იმან ლაპარაკში თქო რომ პარიზში ვილაც ფრანციცისა ქართულის მცოდნისა და ვითომცა მიწერ-მონერა ჰქონდეს ბატოიშვილს თეიმურაზთან.⁶ – **მეცხრე.** ერთხელ ლუარსაბ ორბელიანოვმა თქო ლაპარაკში ალექსანდრე ჭავჭავაძეს უთხარო, რომ ეს აფიცრები ამისთვის მოვიდნენ რუსეთიდგან აქ ქალაქშიო, რომ რომელიც ჩვენ აზრი გვაქვს, იმაზედაო. – **მეათე.** ერთხელ ელიზბარ ერისთომა თქო ლაპარაკში ოქროპირ ბატოიშვილთან მქონდა ლაპარაკიო, ამ ჩვენს აზრზედაო.

პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
6-ს იანვარს, 1833-სა წელსა.

12. ჩვენი 1833 წლის 12 იანვრისა

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა მოხსენება. – ეხლახანს ავათ რომ ვიყავ ფეხის ტკივილითა, ერთ საღამო ჟამს ჩემთან იყვნენ ბიძინა, ელიზბარ და გიორგი ერისთოვნი, თადია ჩოლაყაევიც ჩემთან იყო. იმ ჟამად დაიწყეს ლაპარაკი განთავისუფლებისა და მაშინ თადია ჩოლაყაევი უმტკიცებდა ყოველთ და ამბობდა: არას დროს არ შეიძლებაო ჩვენი განთავისუფლებაო, და ვერც დავიცვამთ ჩვენს მამულსაო, მე მახსომს, 1812-სა წელსა რუსნი როგორნი მებრძოლნი არიანო, და ღმერთმა ნუ ინებოს მე მაგ-

ისტანა ფიქრი რომ ვიფიქროვო. – ამის მეტი მე არა მახსოვსრა, ამისათვის, რომ ფეხი დიდათ მტკიოდა და სიცხე ძლიერა მქონდა, და არც ის მახსოვს, ვინ დაიწყო ლაპარაკი პირველად და ამა ავადმყოფობისა გამო მე არ მახსომს, რომ ზავილეიცკიზე ან ოქროპირ ბატოიშვილზე ლაპარაკი იყო თუ არა. – *მეორე*. კომისია რომ მკითხავს, ვითამც ჩემთან თადია ჩოლაყოვისათვის შარშან ალექსანდრე ბატოიშვილის წიგნი ეჩვენებინოს ბიძინა ერისთოს და ბიძინა ჩემზე ამბობს მის წიგნის ჩვენებისას, მე ესე გარემოება სრულებით არ მახსომს და არც ვიცი და არცარა იმას ვგონებ, რომ შარშან ეს აზრი სცოდნიყვეს თადია ჩოლაყოვს. – როდისაც ბატოიშვილის ალექსანდრეს წიგნი რომ მოგვივიდა, ლურჯ მცირეს ქალაღზედ იყო დაწერილი და როდისაც წავიკითხე, მაშინვე წმიდად დავხიე.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„12-ს“ იანვარს. 1833-სა წელსა.

13. ჩვენება 1833 წლის 13 იანვრისა

კომისიასა შინა!

ერთხელ ყოფილი ლუბენატრად ზავილეიცკი მოვიდა ისპოლიტელის ექსპედიციაში, და მეფე ვახტანგის კანონი მოითხოვა. რაოდენსა ხანს მის კითხვის შემდეგ მოგვიბრუნდა და სოვეტნიკებს გვითხრა: თუმცა აქ უნინ მეფობა ყოფილაო, მაგრამ ამ კანონის ძალით სჩანს, რომ თავისუფლება ყოფილა აქ საქართველოშიო. – მე მგონია, სტაცკის სოვეტნიკის ღავრილენკოვის დროს იყო ესე გარემოება, და სტაცკის სოვეტნიკი რეზნიკოვიც იმ ჟამად იქ იყო.¹ ეს კი აღარ მახსომს გაზაფხული იყო თუ ზაფხული. იქნებოდა მეთერთმეტე საათი, და საუცხოვო დღე იყო. – *მეორე*. მრავალჯერ გამიგონია თ-ის იასე ფალავანდოვისაგან, როდესაც ზავილეიცკის უნცროსი ძმა ამასთან იდგა,² ვითომც იმ ზავილეიცკის ძმას ეთქო იასესთვის, რომ ჩემს ძმას პეტრ დემიანოვიჩსაო პლანი ჰქონდაო, ოდესცა აქ აღრეულობა მოხდეს, სიმაგრეები სადა და სად მოხდეს ქართველთათვისაო. ეს საქმე ვგონებ ჩემს ამხანაგებსაც გაეგონოს რომელსამე.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„13-ს“ იანვარს. 1833-ს წელსა.

14. ჩვენება 1833 წლის 18 იანვრისა

კომისიასა შინა!

ზაფხულს, 1831 წელსა, თ-დმა თადია ჩოლაყოვმა თავისი ქალი ნინო რომ მისცა თ-დს მიხეილ ჩოლაყოვს, და კახეთიდან თავადნი მოვიდნენ სოფელს ყარაბულახს მის ქალის ნასაყვანათ, იმ თავადებთ შორის ნინია რუსიევი მოჰყვა და მე და ნინია რუსიევი სასეიროდ დავდიოდით თავლის ბანზე. – მაშინ მე ლაპარაკში ისე უთხარ: არ შაიძლება, რომ ჩვენ განვთავისუფლდეთ მეთქი. – თ-დმა რუსიევმა მითხრა: არასდროს არ შაიძლებაო და ურუსებოთ არ შავგიძლიან ჩვენ ცხოვრებაო. ამ სიტყვებზე მეც დავჩუმდი, და ისიცა. – *მეორე*. მე თ-დს ჭავჭავაძესთან საქმე თავის დღეში არა მქონიარა, და ოდესცა მას, ჭავჭავაძეს, და თა-ს თადია ჩოლაყოვს საქმე ჰქონდათ მამულსა ზედა ისპოლიტელის ექსპედიციაში, მაშინ მე ჩემი თავი დავითხოვე მათ ორთ საქმესა ზედა, ამისთვის, რომ ორნივე ჩემნი ნათესავნი არიან.¹ – ამას გარდა, მე ამ საქმესა ზედა თა-ს თადია ჩოლაყოვისათვის არასდროს რჩევა არა მიმიციარა, და არც მონაწილეობა მიმიღია მისთვის. –

პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„18-ს“ იანვარს. 1833-სა წელს.

15. ჩვენება 1833 წლის 23 იანვრისა

კომისიასა შინა!

როდესაც მე და თ. ბიძინა ერისთოვმა უთხარით ლაპარაკსა შინა შტაბს კაპიტანს სოლომან ონიკოვს, თავადის ალექსანდრე მელიქოვის სახლში, ამა სიტყვით შესაძლებელი არს, რომ საქართველო განთავისუფლდეს თუ არა, მაშინ შტაბს კაპიტანმა ონიკოვმა გვითხრა: არას დროს არ შაიძლებაო, და არც საფიქრებელი არისო, გახსოვთ ვითარ დათრგუნეს ყიზილბაშ, ოსმალთ, და მთის ხალხნიო. – რომელიც მის სიტყვაზედ ჩვენც დავემონწმენით, და ამა სიტყვასა ზედა დასრულდა ჩვენი ლაპარაკი. – *მეორე*. ამასთან დაუმატებ, თ. იასე ფალავანდოვს რომ დაენერა პირველი განკარგულება,¹ და ერთს ღამეს საღამოზე ჩემთან იყვნენ სანახავად ჩემნი ამხანაგები. მაშინ იასე და ელიზ-

ბარ ერისთოვი ჩემთან დასხდნენ ახლო, და იასე ფალავანდო-
ვმა მითხრა: ალექსანდრევე, პირველ ღამის განკარგულება არ
წაგიკითხამსო. – მე უთხარ: რა განკარგულება არის მეთქი. –
მაშინ დიდის ჩხუბით მითხრა: შენც ჩვენი ამხანაგი ხარ, რატო
არ იციო. – მე უთხარ, და შევფიცე: ღმერთსა ვფიცავ, პირველი
გაგონება არის მეთქი. – კიდევ მითხრა: სირცხვილი არის შენთ-
ვის, უნდა იცოდეთ. – მე კიდევ არცოდნა უთხარ. – ამ ლაპა-
რაკში ზაქარია ჩოლაყოვი იქ იყო, და იჯდა ცალკე, დიმიტრი,
და გიორგი ერისთოვნიც იქ იყვნენ. მაშინ იასე ფალავანდოვმა
მითხრა: ერთი კვირა იქნება რაც დანერვილი მაქვს, და შენ არ
იციო, უთოთ გაჩვენებო. – მე უთხარ: კარგი იქნება მეთქი.

შემდეგ ამისა, ოთხს დღეს უკან, სადილსუკან მოვიდა
ელიზბარ ჩემ დედიდაშვილს გიორგი ერისთოვთან, და მე ჩე-
მის ოთახიდან გამიყვანეს თავისთან. – მაშინ დავსხედით,
და ლაპარაკი დავიწყეთ. ლაპარაკთა შორის ერთს თაბახზე,
რალაც დანერვილი წაიკითხეს. იქ ეწერა დანიშვნა მინისტრთა,²
მასკვან მე მითხრეს: როგორი არისო. – მე ამ შემთხვევაში არ-
არა მითქომს. – შემდეგ ელიზბარმა თქო: იასე ფალავანდო-
ვი დავიბაროთ, ამოვიდესო. – რომელიც ესრეთ ავასრულეთ.
ოდესცა იასე ამოვიდა, და დაჯდა მასკვან მითხრა იასემ: აბა,
ალექსანდრევე, განკარგულება როგორ მოგეწონებაო. ამოიღო და
წაიკითხა, რომელიც კამისიასა შინა არის ნამდვილი იგი. – მაშინ
მე უთხარ: მე ვერას ვიტყვი ამისთვის, რომ ლუარსაბ ორბელი-
ანოვს უნდა ვაჩვენოთ მეთქი. – მაშინ დროშკაში ჩავსხედით, და
წავედით. ოდესცა მივედით, ლუარსაბმა ოთახში შეგვიწვია, და
მაშინვე იასემ ის განკარგულება ამოიღო, და წაიკითხა. – მაშინ
ის განკარგულება ზოგთ მოინონეს, და ზოგთ დაინუნეს, ის კი
ალარ მახსომს, ვინ დაინუნა, და ან ვინ მოინონა, რომელიც მეც
სრულებით არ მოვიწონე, და სულ უარ ვყავ. მერეთ ლუარსაბ
ორბელიანოვმა უარ ჰყო ის განკარგულება, და თქო: მგონია, ის
ყველას სჯობდეს, ხელმწიფე იმპერატორთან დეპუტატები გავგ-
ზავნოთ, და 1801-ს წლის მანიფესტის აღსრულება ვთხოვოთო.³
– მასკვან იასე ფალავანდოვი მამიბრუნდა, და მითხრა: ალექსან-
დრეო, მოდი, შენ ალექსანდრე ბატონიშვილთან წადიო, ის გრანი-
ცაზე მოიყვანე,⁴ და ჩვენ აქ ვეცდებითო. – მე ამისი სრულებით
უარი უთხარ და ის ჩვენი კამპანია ამაზედ დასრულდა, და გავი-
ყარენით. ამ დროსა ბევრნი ჩვენნი ამხანაგები იქ იყვნენ და
სწორედ კი ალარ მახსომს, ვინ და ვინ იყვნენ. შემდეგ, როდი-

საც აიშალნენ, რამთენმა თქო, რომ ჭავჭავაძესთან ლუარსაბი-სა წასვლისა სარჩევლად. – **მესამე.** 1831-სა წელსა, ზაფხულის ერთს დღეს, სადილათ მთხოვა დავითის ძემ გიორგი ერისთოვმა, რომელსაც პატივი ვეცი და წავედი. – ოდეს მივედი, იქ დამხვდა ელიზბარ ერისთოვი, თვით სახლის პატრონი, მგონია, ზაქარია ციციანოვიც იქ იყო და სწორედ კი არ მახსოვს, იქ იყო თუ არა. იქ ერთი იმერლის თავადიშვილი იყო და გიორგიმ გამაცნო, ეს თეიმურაზ ლორთქიფანიძე არისო. – ოდესცა სადილად დავსხედით, მოჰყვნენ ჩვენ აზრის ლაპარაკს. – მასკვან გიორგი ერისთოვმა მითხრა, ამ თეიმურაზისაგან ნუ იშიშვიო, რომელიც მასკვან საერთოთ დავინწყეთ ლაპარაკი. შემდეგ სადილისა გავიყვარენით. – მეორეს დღეს დილაზე თვით იგი ლორთქიფანიძე ჩემთან მოვიდა, და ცრემლით მთხოვა: საწყალი თავადიშვილი ვარო, და გთხოვ ფული მაჩუქოთო. – მე შამეცოდა, და **ორი**, თუ **სამი** ოქრო ვაჩუქე. – შემდეგ კიდევ ამისა, ოდესცა შეგვხვდებოდა ის ლორთქიფანიძე მე, გიორგის, და ელიზბარს ერისთოვთ, ვეტყოდით ხოლმე: თეიმურაზ, ახლა რომ წახვალ იმერეთში, ეცადე ჩვენს აზრზედაო. – ის ლორთქიფანიძე დიას ხუმარა კაცი იყო და ამ ჩვენ ლაპარაკზე იცინოდა ხოლმე და სწორედ კი არას გვეუბნებოდა. – შემდეგ რაოდენისამე დღისა, წავიდა იმერეთს, და მასკვან აღარა ვიცირა იმისა.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

ამასთან დაუმატებ: 1832-სა წელსა მხოლოდ სარჩევლად გვინდოდა ღენერალ მაიორი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე, და 1831-სა წელსა, როგორც მახსოვს, ერთს დროს ლაპარაკში თქო ელიზბარ ერისთოვმა, რომ ჭავჭავაძე ჩვენი ნაჩაღნიკი იქნებოა. – და ჩვენ ყველას უთოთ ისე გვეგონა, რომ 1831-სა წელსა ნაჩაღნიკი ის უნდა ყოფილიყო ჩვენი.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„23-ს“ იანვარს. 1833-სა წელსა.

16. ჩვენება 1833 წლის 25 იანვრისა

წელსა 1832-სა, ოდესცა თავადი თადია ჩოლაყოვი იდგა ცოლ-შვილით ნათლუხს, მაშინ მე ჩემი დედიდაშვილები, ბიძინა და გიორგი ერისთოვნი თადიასთან ვიყავით სადილად ნათლუხს, სადაც თავადი დიმიტრი მაღალოვიც იქ იყო. სადილს უკან მე, გიორგი, ბიძინა და დიმიტრი წავედით ბაღში სასეირნოთ. ოდესცა ბალითგან დავბრუნდით, მაშინ ჩვენ ერთიანათ დავიწყევით ლაპარაკი თავისუფლებაზე საქართველოსი დიმიტრი მაღალოვთან, და იმ დიმიტრიმ მაშინ იმ ჩვენ ლაპარაკზე სრულებით ხმა არ ამოიღო და ამის მეტი არ მახსოვს, რომ ჩვენ იმასთან შერთება გვეკონიუოს რამე. და ეს დიმიტრი მაღალოვი ხშირად დადიოდა ჩვენთან, როდესაც ჩვენ ბაღში ვიდექით. ბიძინა და გიორგი ერისთოვნი ჩემგნით ცალკე იდგნენ ბაღში, და არ ვიცი, იმათ გამოუცხადეს ესე ჩვენი აზრი დიმიტრი მაღალოვს თუ არა.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
25-სა იანვარს. 1833-სა წელსა.

რომელიც გიორგი ერისთოვმა დავითის ძემ წამამიდგა პირში, და მითხრა, რომ ვითომც ჩვენ ბაღში მსხდარვართ კაკალ ქვეშ და დიმიტრი მაღალოვიც იქ ყოფილა, და ჩვენ დიმიტრი მაღალოვისათვის გამოგვიცხადებია ესე ჩვენი აზრი, მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
25-ს იანვარს. 1833-სა წელსა.

კითხვასა ზედა ამა კომისიისა მაქვს პატივი გამოუცხადო, რომელ მედიკს პოპეიკასთან თავის დღეში ახლოს ცნობა არა მაქვსრა,¹ თვინიერ სალამის მეტისა, და როცა გზაზე შევხდომივართ, თავი დაგვიკრავ ერთმანეთისთვის და ჩემთან თავის დღეში არა ყოფილა, და არც მე იმასთან და ამა ჩვენი განზრახვის ლაპარაკი სრულებით იმასთან არა მქონიარა.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
25-ს იანვარს. 1833 წელსა.

17. ჩვენება 1833 წლის 28 იანვრისა

საგამომძიებლო კომისიის შეკითხვაზე განვმარტავ შემდეგს: 1832 წელს თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მიგვიწვია მეღნიკოვის სახლში სადილად, რომელზეც დაესწრნენ, ჩემს გარდა, ჩემი ძმა ვახტანგი, თავადი ელიზბარი, მისი ძმა არტილერის პრაპორუჩიკი დიმიტრი და გიორგი დავითის ძე ერისთოვები, პრაპორუჩიკი თავადი დავით ჯორჯაძე, მასწავლებლები დოდაევი, ავთანდილოვი და ყიფიანოვი, სოლომან რაზმაძე და მამაცოვი. სადილის დროს სხვათა შორის ვისაუბრეთ საქართველოს განთავისუფლებაზე და შამპანურით დავლიეთ თავისუფლების სადღეგრძელო. სადილშემდეგ, რათა არავის შევენიშნეთ, ცალ-ცალკე წავედით ჩემს ბაღში, სადაც ვსეირნობდით და განვაგრძობდით საქართველოზე საუბარს. არ ვიცი, რომელმა შემოიტანა წინადადება, რომ გავვეგზავნა კაცი ოქროპირ ბატონიშვილთან და გვეცნობებინა ყველაფერი ის, რაც აქ ხდებოდა ჩვენი განზრახვის ირგვლივ – საქართველოს განთავისუფლების შესახებ. სხვა საუბარი დანვრილებით არ მახსოვს.

პოდპორუჩიკი, თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**
28 იანვარი, 1833 წ.

18. ჩვენება 1833 წლის 30 იანვრისა

მომავონდა, რომ მე გამოვტოვე ერთი პიროვნება, რომელიც ჩვენს საუბრებს ესწრებოდა. ესლა განვმარტავ, რომ 1832 წლის ნოემბერში, ჩემი ავადმყოფობის დროს, ჩემთან იყვნენ თავადები: ბიძინა და ელიზბარ ერისთოვები, თავ. თადია ჩოლოყაყვი. – ამ უკანასკნელს აქ გამოეცხადა პირველად ჩვენი განზრახვა, როგორც ეს მე უწინაც ვაჩვენე; აქვე იყო აგრეთვე სამსახურიდან გადამდგარი პოდპორუჩიკი, თავადი ივანე მიხეილის ძე ერისთოვი, რომელმაც ეს საქმე, როგორც მახსოვს, იცოდა 1831 წელშიც.

პოდპორუჩიკი, თავადი **ალექსანდრე ორბელიანოვი**
30 იანვარი, 1833 წ.

19. ჩვენი 1833 წლის 5 თებერვლისა

1831-სა წელსა, ოდესცა სიღნაღის უეზდს ვიყავ მთავრობისაგან გაგზავნილი¹ რომლისამე საქმის გამოსაძიებლად და გამოძიების დასრულების დროს მივედი სანახავად სოფელს ქოდალოს ნათესაობისა, და მეგობრობისა გამო პოლკოვნიკს თავად ივანე ანდრონიკოვთან, და სადილად არ გამომიშო, მას დროს მე და პოლკოვნიკი ივანე ანდრონიკოვი დავდიოდით მის სახლის წინ სასეიროდ და ლაპარაკსა შორის მე უთხარ: საქართველოს თავისუფლება და ზოგიერთი ყმაწვილნი კაცნი ამაზედ რაღაებსაც ფიქრობენ მეთქი. – მაშინ პოლკოვნიკმა ანდრონიკოვმა მითხრა: ღმერთმა ნურა ქართველს ადამიანს ნუ აფიქრებინოსო მაგისტანა ფიქრიო, მაგრამ, მე მგონია, მაგ აზრზე რაღაც ფიქრი რამ უნდა ჰქონდეთო ლენერალ მაიორ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ივანე აფხაზოვს, ვასილ ბებუთოვს, და დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკს თავადს ნიკოლაი ფალავანდოვს, და დიდნი მეგობრებიც არიან ერთმანეთისაო.² – ამ სიტყვით დასრულდა ჩვენი ლაპარაკი, და სადილს უკან წამოველ ჩემ გზაზე. – **მეორე.** 1832-სა წელსა, ზაფხულს, როდესცა აქ იყო თვით იგი თავადი ივანე ანდრონიკოვი, და სოლომან დოდაევთან იდგა ახვერდოვის სახლებში, მაშინ მე დიახ ხშირად დავდიოდი მასთან, და ლაპარაკს შორის მე და დოდაევი ბევრჯელ ვეტყოდით თავადს ივანეს საქართველოს თავისუფლებისას, ხოლო ივანე გვლანძღავდა, და გვაგინებდა. ასე გვეტყოდა ხოლმე: რას გაუგიჟებინართ, და რას გადაურევიხართო, არ გახსომთ, რომ 1812-სა წელსა მთელი ევროპია რუსეთზე მოვიდაო, და ვითარ დათრგუნა რუსეთმა ევროპაო,³ აბა მაგვარი ფიქრი ნურავის ნუ გექნებათო. – ამ ლაპარაკში ბევრჯელ სოლომან რაზმაძეც მახსოვს, რომ იქ ყოფილიყოს, და ჩვენ ლაპარაკშიაც მონაწილე იყო ხოლმე. – **მესამე.** 1831-სა წელსა, ზაფხულს, ერთს საღამოს ჟამზე მოვიდნენ ჩემთან თავადნი ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთოვი, თავადი ზაქარია ციციანოვი, იოსებ მამაცოვი, და თავადი ლუარსაბ თარხანოვი არ ვიცი, რომელმა მოიყვანა: ზაქარიამ, გიორგიმ, თუ ელიზბარმა. შემდეგ ჩემ ბაღში გავედით სასეიროდ. როდესაც ვისეირნედ და სწორედ კი არ მახსომს, აქ გვექონია რაიმე ლაპარაკი თუ არა ამ ჩვენის განზრახვისა, და ესეც სწორეთ არ მახსომს, თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი იქ ბაღში იყო იმ საღამო ჟამზე თუ არა. – მაშინ მე მთხოვეს ერთობით, რომ ბაღში დაგვპატიჟეო, რომელიც მე

ვთხოვე: ხვალ მობძანდით მეთქი, – და ამით გავიყარენით. მეორეს დღეს ჩემთან იყვნენ ბაღში სადილად. სადილზე, როგორც მახსოვს, არაფრისთანა ლაპარაკი არა გვექონიარა, მხოლოდ თვის მწუხარებას ლაპარაკობდნენ, რომელიც ამას წინად მოვახსენე კომისიას. – შემდეგ სადილისა, კაკალ ქვეშ დავსხედით, და ყველანი ერთპირად მოვეყვით ლაპარაკს საქართველოს თავისუფლებისას, როგორა, და ან რომლის მიზეზით არ მახსოვს, ხოლო ყველანი ამას ვამბობდით: თუ დიდროვანი კაცნი მონაწილეობას არ მიიღებენო, ჩვენ არაფრისთანა არა შავგვიძლიანრაო. – მაშინ ელიზბარ ერისთოვი წინააღმდეგ ამისად, ძლიერ ფიცხობდა, და ამბობდა: ჩვენ მოვემზადნეთ და ისინიც მზად იქნებიანო. – ამ ლაპარაკში გავატარეთ ის დრო, და როდესაც დავიშალენით, მაშინ მე ცალკე გამიყენეს თავადებმა ზაქარია ციციანოვმა, და ლუარსაბ თარხანოვმა და მითხრეს: ალექსანდრე, ეს ელიზბარ დიდათ ფიცხობსო და, თუ ღმერთი გნამს, როგორც იყოს დაამშვიდეთ. – მასკვან მე უთხარ: რა ვქნა, ძმებო მეთქი, მეც დიდათ ვწუხარ, მაგრამ რა ვქნა, ვერა გამიგონებია მეთქი. – ამითი გაიყარა ჩვენი კამპანია, და შემდეგ ამისა, მე ლუარსაბ აღარ მინახამს, და არც არა შემდეგ შერთება რამ მქონია. ვგონებ, რომ გიორგის და ელიზბარს ერისთოვთ ადრეც ჰქონიყოთ მას ლუარსაბთან შერთება. – **მესამე.** 1831-სა წელსა, შემოდგომის პირზე, არბობას წიგნი მივწერე⁴ ჩემ დედიდაშვილს თავადს ბიძინა ერისთოვს⁵ ამასა ზედა, რომელ თეიმურაზ ამილახვაროვს, ზაქარია ციციანოვს, ელიზბარ და გიორგი ერისთოვთ უთხარ, რომ შენ და ისინი ერთათ ჩამოდით მეთქი. როგორც მახსოვს და მაგონდება, მიზეზი ესე იყო მინერისა. – აქ, ქალაქში, ხმა დავარდა, რომ ოსმალთა და სპარსელები ჯარებით ორნივ რუსებზე და საქართველოზე მოდიანო. ჩემი განძრახვა ესე იყო, რომ მე მათთვის მერჩია, რუსებს მოვხმარებოდით ყოვლის ჩვენის ღონისძიებითა და მაჰმადიანნი არ შამოგვეშო საქართველოში. შემდეგ ამ წიგნისა, აღარც ისინი ჩამოვიდნენ, და ის ხმაც ტყუილი გამოდგა. იმ ბიძინას წიგნშიაც ბოლოს ეწერა, ვგონებ, რომ მამუკასაც⁶ უთხარით მეთქი, ამ აზრით, რომ თავიანთ პარტიში გაერიათ. – **მეოთხე.** ესე ქვემოთ აღწერილი გარემოება აღარ მახსოვს რომელსამე პოკაზანიეში მიჩვენებია თუ არა, და ამისათვის კვლავად მოვახსენებ კამისიას: მე რომ ავად ვიყავ, ზაქარია ჩოლაყოვი, ელიზბარ და ამისა ძმა დიმიტრი ერისთოვი ჩემთან იყვნენ მაშინ, როდესაც ეს ორნი ძმანი მეჩხუბებოდნენ,

არას დროს არ შაიძლება, რომ ესლა ბუნტი არ მოვასდინოთო. მე ამაზედა უარს ვყოფდი დიდის ჩხუბით: არასდროს არ შაიძლება მეთქი. – ჩემა ძმამ დიმიტრიმ, და დიმიტრი ერისთოვი ნადუელში რომ გადიოდნენ,⁷ და შემდეგ დაიშალნენ, მაშინ ჩემთან დარჩა ზაქარია ჩოლაყოვი, ჩემი დედიდაშვილი გიორგი ერისთოვი, და ჩემი ძმა ვახტანგ. ჩემი ძმა დიმიტრი, ვგონებ, იქ არ იყო. – მაშინ ზაქარია ჩოლაყოვმა მითხრა: ალექსანდრეო, ესლა მოსკოვში რომ ვიყავო, ოქროპირ ბატონიშვილთან ლაპარაკი მქონდაო, რომელიც ემზადება ფრანციაში წასასვლელად, იქიდგან ჯარს მოიყვანს შავი ზღვითაო ფრანციცებისასაო, და მაშინ ადვილათ განთავისუფლდებითო. – ესეც ბევრჯელ უთქომს ჩემთვის: ჩემი ძმა ალექსანდრეც აპირებს ფრანციაში წასვლასო⁸ საქართველოს თავისუფლებისათვისაო, და დიდი თავისუფლების მოყვარე არის ჩემი ძმა ალექსანდრეო და რუსები დიდათ ეჯავრებაო. ესეც ბევრჯელ უთქომს: რისა გეშინიათო, ავსტრიის იმპერატორს ერთმა ჩინოვნიკმა თავში ქვა მიარტყავო თავისუფლებისათვისაო, და ეს ხომ ჩვენი საკუთარი მამული არისო. – კვლავად იტყოდა: ვარშავაში როდისაც ბუნტი მოხდაო, მაშინვე პოლიაკებმა ხუთის კაცის ძეგლები ამართესო, რილევეისაო და იმისი ოთხთ ამხანაგთ იტყოდა. იმათი გვარი კი აღარ მახსოვს, ვისას იტყოდა, და იმ ძეგლებს პატივისა სცემდნენ პოლიაკებო.⁹ – ესეც უთქომს: პოლიაკების დედაკაცები იყვნენ პოლკოვოის კომანდრებო¹⁰ და ჩვენ ხომ კაცნი ვართო. – ესე აღწერილი გარემოება, ვგონებ, რომელსამე ჩემ ამხანაგთ გაეგონოთ ზაქარია ჩოლაყოვისაგან.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

ამასთან დაუმატებ: ამ ზაგოვორის წინა დღეებში თავადმა იასე ფალავანდოვმა გვირჩია ჩვენ საზოგადოებას, რომ ჩემს ანგარიშზე ვიქირავებთ ერთს სახლსაო, იმისთანა მივარდნილს ადგილსაო, და დავნიშნოთ დღეები, რომ იქ შავიყარნეთო, და ჩვენი საზოგადოების რომელიმე დადგეს იქაო, რომ აზრი ვერ მოიტანონო. – რომელიც სოლომან დოდავესაც ურჩევდა იასე, რომ ერთ სახლს გიშოვნით იმისთანა საიდუმლოსაო, დადექო, რომ ჩვენ შევიყრებოდეთ ხოლმეო დანიშნულს დროზედაო.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„5-ს“ თებერვალს. 1833-სა წელსა.

20. ჩვენება 1833 წლის 7 თებერვლისა

კომისიასა შინა!

კითხვისა ვოპროსნის პუნქტსა ზედა უმორჩილესი ჩვენება.

1-ს

ოსტავნოი პოდპორუჩიკი, თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვი.

2-ე

ოცდა ათის წლისა ვიმყოფები.

3-ს

ცოლშვილიანი ვარ, ლუბერსკის სეკრატრის, თავადის დავით ბარათოვის, ქალი მყავ ეკატერინა, ორი შვილი მყავ: პირველი ქალია, მეოთხეს წელიწადში დგას, და მეორე ვაჟია, იქნება შვიდის თვისა.¹

4-ე

მამული ჩემი მამაპაპისა არის სომხითს² აოხრებული და მამაპაპის ათი კომლი გლეხი კაცი დავაყენე 1825-სა წელსა, ჩემის ცოლის ნასოფლარს მზითევეზე, კაზრეთს, და შემოსავალი, რომ იმგრგვლივ ვიანგარიშო თეთრფულად, იმ სოფლიდგან **ოცდახუთ** თუმანს, და ან **ოცდაათის** თუმნისას ძლივ გვემსახურებიან, და ჩემი მამაპაპის მამულში ხვნენ სოფლელნი დმანისელები, და იქიდგან ყოველს წლივ ღალას გვაძლევენ ქერსა და პურსა, ხან **ასორმოც** კოდს და ხან ამაზე ნაკლებს. – აოხრებულის სოფლებიდგანაც ჩვენის ოჯახის წილად ძლივ **თხუთმეტი** თუმანი თე: ფუ:* შემოგვივა. – კიდევ ჩვენი მამაპაპის ყმები დაფანტულნი არიან კახეთში სხვა და სხვა სოფლებში. თოთხმეტი კომლი კაცი იქნება. დიახ ღარიბი არიან, და ყოველწლივ **ოთხს** თუმანს თე: ფუ: ძლივს გვემსახურებიან. დუშეთის უეზდში დგანან ჩვენი ყმანი, ორი კომლი კაცი, წელიწადში იქნება ორი ძლვენი ჩამოგვიტანონ. ამაზედ მეტი სამსახური არ იციან იმათ ჩვენი. – გორის უეზდს დგას სოფელს მეჯრუხევეს ერთი კომლი კაცი. იმის სახლიდგან გოგო გვყავს გამორთმეული,³ და ამის გამო სხვას არას გვემსახურება. ვერანა სოფელი ნაოხარი გვა-

¹ თე: ფუ: – თეთრი ფული. გ. გოზალიშვილის შენიშვნა.

ქვეს კიდევ ტფილისის უეზდს, ვერის ხევაზე, სახელად წყლურეთი. იქიდგანაც გვექნება **ოთხის** თუმნის თე: ფუ: შემოსავალი. – სხვა მამაპაპის სეული არა გვაქვსრა. – დედა ჩემს მზითევი აქვეს თავის დედის დარეჯან დედოფლისაგან მიცემული ბალი ამ ქალაქს, გარეთუბანს, კლდეს ქვეშ. ყოველწლივ **ასი** თუმანი თე: ფუ: რომ მოგვცეს, იმ ბალის შემოსავალმა დიდი საქმე იქნება, და ყოველწლივ იმ ბალს ხარჯათ **ოცდახუთი** თუმანი თე: ფუ მეტი მოუნდება ხოლმე. – ბორჩალოს დისტანციაში არის სოფელი არანხოჯალო,⁴ კვლავად მზითევი კამერანიის აღწერით თვრამეტი კომლი კაცი იქნება. იმრგვლივ იმ სოფელმა, თეთრად რომ ვიანგარიშო, **ორმოცდაათს** თუმანს ძლივ გვემსახურებთან. – ამ ტფილისის ქალაქში გვყავს მამაპაპისეული ყმები ათ კომლამდის, და ანუ მეტი, სწორედ კი აღარ მახსომს. ამათი სამსახური ეს არი, რომ ყოველწლივ, აღდგომას და შობას, თითოს ძღვენს მოგვიტანენ ხოლმე. ამაზედ მეტი აღარსად ყმა გვყავს, და აღარსად მამული გვაქვს.

5-ს

მე აღვზრდილვარ დედის ჩემის მოსურნეობით, აქაურს შკოლასა შინა.

6-ე

ბძანებითა დედის ჩემისათა შევსულვარ სამსახურსა შინა ვონისასა, 1817-სა წელსა, მყოფის 7-ს კარაბინერის პოლკში. – პახოტებში ვყოფილვარ, 1820-სა წელსა, ბუნტსა იმერეთისასა, კომანდის ქვეშ, ლენერალ-მაიორის ველიამინოვისასა. კვლავად 1822-სა წელსა, ოდესცა ალექსეი პეტროვიჩ ერმალოვი იყო ყაბართოს პახოტად, მაშინ ჩვენი ჯარიც თანა ჰყვანდა და მეც მის კამანდის ქვეშ ვიმყოფებოდი. – 1824 წელსა გამოველ სამსახურიდგან ჩემი სახლის გარემოებისათვის, და დავცოლშვილიანიდი კიდევ. – 1826 წელსა, სპარსელები რომ მოდიოდნენ, მაშინ ლენერალ-მაიორის დავიდოვის კამანდის ქვეშ ვიყავი აბარანზე ასანხანის ომში. – 1827 წელსა, ოდესცა ლენერალ ფელდმარშალი კნიაზ ვარშავსკი და ღრაფ ერევანსკი ივან ფეოდორიჩ პასკევიჩი იყო სპარსეთის კამპანიასა, მაშინ მე ვემსახურებდი მილიციასა შინა, და დავესწარ ერდობათის საქმესა, ჯავანბულალის ომსა, აბაზაბათის ციხის აღებასა, სარდარაბათის ციხის აღებასა, და ერევნის ციხის აღებასა, და არსად არა ვარ დაჭრილი. – შემდეგ ამისა, 1827 წელსა იყო ტფილისის უეზდის მარშლად კაპიტანი

თავადი მელიქოვი, და ამის კანდიდატათ დანიშნული ვიყავი მე საზოგადოებიდგან, – წელიწად ნახევარზე გარდაიცვალა ის თავადი მელიქოვი, და მე მივიღე მისი თანამდებობა. და 1829-ს წელსა საზოგადოებამ ამამარჩია სოვეტნიკად ისპოლიტელის ექსპედიციაში და აქამომდე მას ექსპედიციაში ვემსახურებოდი.

7-ს

არც პეტერბურღს ვყოფილვარ და არც მოსკოვში.

8-ს

კვირას, და დღესასწაულს ბევრჯელ დავკლებივარ საყდარში მიზეზის გამო, და წმიდა საიდუმლო ყოველ წლივ მიმიღია.

9-ს

არაოდეს არა ვყოფილვარ, არც სლესტვიის ქვეშ, და არც სუდის ქვეშ.

10-ს

ოდესცა ოქროპირ ბატონიშვილი აქ იყო,⁵ მე ერთს დილაზე სანახავად მივედი მასთან. ოდესცა დამინახა, მითხრა: შენ ჩემი მეორე ძმა უნდა იყო ალექსანდრეო. მე მიუგე: მე გახლავარ მეთქი. – მოვიდა, გადამეხვია, მაკოცა, დამსვა დივანზე, და მცირეს ხანს ვლაპარაკობდით. – შემდეგ წამოველ, და წამოსვლის დროს მთხოვა: ხვალ ჩემთან საღამო ჟამზე მოდიო, მერვე სათზედაო. – რომელიც მივედი. კიდევ დავსხედით, და ლაპარაკი დავიწყევით, აქაურის სასამართლოებისა მკითხა. მე უთხარ: დიახ კარგია, მაგრამ ცოტათ გვიან იციან საქმის გადანყვეტა მეთქი. – მასკვან მითხრა: ეს ცოტა გინახამთ, უფრო დაუსრულებელი არის მაგათი საქმეო. მოკლედ ვთქო, რომ ბევრი რაღაებიც ილაპარაკა სამართალზე. – შემდეგ მითხრა: თქვენი მამულის სამსახური არ იცითო. მე უამზე ყოველი ჩემი ჯარის სამსახური. – მასკვან მითხრა: ეგ არ არის სამსახურიო. – მე მოუგე: მამ რომელი არის მეთქი. მითხრა გაცინებით: აბა რუსებს შაუტიეო. მე მიუგე: რომლის ძლიერებითა მეთქი, 1812-სა წელსა მთელი ევროპია მოვიდა რუსეთზედა მეთქი, და დამარცხეს, რომელიც ნაპალიონიც დაიჭირეს მეთქი. ამაზედ დარქმდა. – შემდეგ წამ-

ოველ. წამოსვლის დროს მთხოვა ხშირად სიარული. მე დავინწყე სიარული კვირაში ხან ორჯელ, და ხან ერთხელ, და როცა მივიდოდი, მამულის ერთგულებისას მელაპარაკებოდა, საბერძნეთის ისტორიას მიანბობდა, და ბევრს მამულის სიყვარულისას მიანბობდა აქამდისინ, რომ ბევრჯელ იტირებდა, და მეც მავტირებდა ხოლმე. – შემდეგ თავის ოჯახის ამბავს მოჰყვა, როგორ მიიღო რუსეთის იმპერატორმა, ნაცვლად მფარველობისა, სრულიად მიიღო თავიანთ მამული, და აქამდისინ, რომ გამამიცხადა, რომ ვცდილიყავ, რუსებისაგან საქართველოს განთავისუფლებისას. მე მიუთქე: როგორ შაიძლება მეთქი. – მასკვან მითხრა: მე გასწავლიო, ალექსანდრე ჭავჭავაძე ჭკვიანი კაციაო, და განათლებულიო, და ჩვენი ოჯახისათვის თავდადებულიო, რომელიც ჩვენის გულისათვისაც ციხეში მჯდარაო, იმას უთხარი, ის მოიპოვებს საქმესო, შემდეგ აქ თავადი ელიზბარ ერისთოვი არისო, ისიც ჩვენი დიახ ერთგული არისო, ჭკვიანო, მასკვან სოლომან დოდაევი მითხრა, ისიც ჩვენთვის თავდადებული არისო. აი ესენი დამინახვებია შენტვის, და შენც ეცადეო. პირობა მივეცი. – მაშინ გამამიცხადა ესე გარემოება, რომ ოცდა რვის წლისა ვიყავ, მანამდისინ თვინიერ დიდის ხელმწიფის იმპერატორის სიყვარულის და ერთგულებისა მეტი სხვა ჩემს ფიქრში არა ყოფილარა, და ოქროპირ ბატონიშვილმა ესრეთ გადამრია, და შემალა, რომ არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, და ამთენს მელაპარაკებოდა მამულის სიყვარულსა, და ბევრს რაღაებაც მპირდებოდა, რომ არას დროს არ შამიძლიან, რომ მეოთხედი მოვიგონო იმისი ლაპარაკები. – თუმცა მართალია, პირობა მივეცი, რომ ვისაქმებ მეთქი, მაგრამ ვერავის ვერ გაუბედე რომ მეთქო. – ოდესცა იმასთან მივიდოდი, მკითხამდა: რა ქენიო. – მე ვატყუილებდი: ვსაქმობ მეთქი. – დამაფიცა ოქროპირ ბატონიშვილმა, და პატოსანი პირობა გამამართო, რომ იმისი სახელი არსად არ მეთქო, და ასეც დამარიგა, რომ ორ კაცს ერთად ნუ ელაპარაკებო. – შემდეგ ერთს საღამოს ჟამზე ბაზრიდგან მოვდიოდი, და სიონის ქუჩის პირში დამხვდა იასე ფალავანდოვი. თავი დაუკარით ერთმანეთს. მთხოვა: გთხოვთ ჩემთან ამობძანდეთ ჩაიხედაო. რომელიცა ავედი, და დავსხედით, ჩაი დავლიეთ, და ლაპარაკი დავინწყეთ. – შემდეგ გაყრისა, მთხოვა: სირცხვილი არ არის შენტვის, რომ ერთათ შეზრდილნი ვართო და ჩემთან არ დადიხარო. მთხოვა ხშირად სიარული. რომელიც დავინწყე სიარული. ჩემის სიარულის დროს მასთან რუსებზე უკმაყოფი-

ლობას ლაპარაკობდა. თუმცა პირველს პოკაზანიეში ბევრი ჩემი გამართლებითი ლაპარაკი იყო, მაგრამ ოდესცა იასე ფალავანდოვმა მითხრა ამ სიტყვით: მე ერთი უკანასკნელი კაციშვილი ვარო, და ღვდლის შვილიო, ამ რუსებმა სულ ბრილიანტით რომ შემმოსონო, მე არას დროს არ მიყვარანო, და მამულისაც მე ერთგულება ვაჩვენეო, რომ ორჯელ გავიქეო,⁶ და თქვენ კი ვერა ფიქრობთ თქვენის მამულისასაო. – მე უთხარ: მაშ შენი ძმა რატომ არ ეცდება მეთქი. მითხრა: თუ თავადები სულ დაემზადებიანო, ესეც იმათი პირველი მზრუნველი იქნებაო. – ამანების გამგონე მეც უთხარ: ბატონი ხარ, მეც შენი ამხანაგი ვიქნები მეთქი. ხშირად დავდიოდი მასთან, ეგრეთვე ის ჩემთან, და ვლაპარაკობდით. – რომელიც ოქროპირ ბატონიშვილსაც განუცხადე ესე გარემოება. კიდევ მითხრა: ხუმრობა არ არის, ჩემი სახელი არ გაუცხადო, და არავის არ უთხრა ჩემი შენთან ლაპარაკიო. – შემდეგ ამისა, რაოდენსამე ხანსუკან, ოქროპირ ბატონიშვილი წავიდა და კუკიამდისინ გავაცილე. შემდეგ გამოსალმებისა, გამიყვანა ცაღკე, და კიდევ მითხრა: ახლა შენ იცი როგორც ეცდებიო. – მე კიდევ აღუთქვი ცდა, და გავიყარენით. – ამის შემდეგ რაოდენსამე დროს უკან მელანია, მელნიკოვის ცოლთან, მივედი სანახავად.⁷ – ელიზბარ იქ კრესლაზე იჯდა, მელანია დივანზე. ელიზბარმა თავისთან დამსო ახლო, და პატარა ხანსუკან ყურში მიჩურჩულა: ალექსანდრე, შენთან საქმე მაქვსო. მე უთხარ: რა მეთქი. მითხრა: აქ წამოდიო. – წამიყვანა ერევანის პლოშჩადზე,⁸ და მე და იმისი ლაპარაკი ადრიდგანვე რომ მამიხსენებია კომისიისთვის ყოველი წვრილად, როგორ მისტუმრებდა ყიზილბაშში,⁹ და ან დოდაევი როგორ გამაცნო. – ამ დროებში პოლშამ იბუნტა და ეს პირველად იასე ფალავანდოვმა მითხრა. ესრეც მითხრა: ახლაც ნუ გაახელთ თვალეზსაო. – მე უთხარ: აბა როგორ ვეცადო მეთქი. მითხრა: აქ ჩემი სიძე თეიმურაზ ამილახვაროვი არის, იმას უთხარო, და ის ჩემთან მოვაო, და რჩევას მკითხამსო. მე დავპირდი: აგრე იყოს მეთქი. – რომელიც მოედანზე უთხარ თეიმურაზ ამილახვაროვს ყიზილბაშში წასვლა, როგორც ამას წინათ კამისიას მოვახსენე ნამდვილად ისე. – ელიზბარ ერისთოვის გარემოებაც მომიხსენებია, ოდესცა ლუარსაბ ორბელიანოვმა თქო: ალექსანდრე ჭავჭავაძემეა თქოვო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცი გაგზავნეთო, რომ კახეთს გამოვიდესო. – და ერთ საღამო ჟამზე ჭავჭავაძემ მითხრა ლუარსაბისას. ცაღკე რომ დავიდოდი კარებს წინ, ამ დროს

ჭავჭავაძე გამოვიდა შინიდან და მითხრა: ალექსანდრე, რაც ლუარსაბმა გითხრათ, ის აღასრულეთო. – როდისაც ლუარსაბმა ის სიტყვა თქო, მაშინ მამაგონდა ოქროპირ ბატონიშვილი, რომ ჭავჭავაძე ჭკვიანი, და გონიერი კაცი არისო. მაშინ მე ვიფიქრე, აქ უთოთ ერთი რალაც განძრახვა არის, და დიდი საქმე მეთქი, მაშინ, ოდესცა რომ ზავილეიცკისაგანაც მქონდა ის სიტყვა გაგონილი. – ამ ლუარსაბის თქმაზედ მეც შეუდეგ საქმესა, და ვთქვი: მეც სამსახური რამ უნდა დავანახო ამათ მეთქი. და ყოველნი ვცდილობდით კაცის შოვნას, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგვეგზავნა.

11-ს

არასა სხვა საქმეს არ განუღვიძებია ვარ წინააღმდეგ მთავრობისა, თვინიერ ამ ზემორე აღწერილის გარემოების მეტს.

12-ს

როგორც მე უწყი და ვიცი, ჩვენ არაფრისთანა მოსამზადებელი არა გვექონიარა, თვინიერ იმისა, რომ იასე ამბობდა: ორასი კაცი მზადა მყავსო. – მე ვამბობდი: ორმოცს მე ვიშოვნი მეთქი. ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვნი ამბობდნენ: ორმოცს ჩვენ ვიშოვნიოთ. სხვა ამაზე მე არა ვიცირა, კიდეც იმ რასპარაჟენიას მეტი, რომელიც იასესგან იყო დანერილი პირველი ღამისა, თუმცა ლუარსაბ ორბელიანოვთან ის რასპარაჟენიე რომ წაიკითხა იასემ, მაშინ ყველანი თანხმანი ვიყავით, მაგრამ მე ეს აღარ მახსოვს, რილასთვისლა მგზავნიდნენ ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომ ვერწასვლის უარი უთხარი მე მათ.

13-ს

ოქროპირ ბატონიშვილისა ხომ ზემორე მოვახსენე კომისიას, – და ალექსანდრე ბატონიშვილთან მიწერ მონერაც ხომ ადრიდგანვე მამიხსენებია კომისიისათვის.

14-ს

ჭავჭავაძეს ჩემთან არაფრისთანა შერთება არარა ჰქონიარა, თვინიერ ზემო აღწერილის მეტი და ლუარსაბ ორბელიანოვისგან გამიგონია, რომ მონაწილე არის ჩვენი ჭავჭავაძეო. – ელიზბარ ერისთოვისაგანაც გამიგონია, მითომც მასთან ლაპარაკი ჰქონი-

ყვეს და ამასთან იტყოდა ხოლმე, რომ ჭავჭავაძე ჩვენი ნაჩაღ-ნიკი იქნებაო. – სხვა მე ჭავჭავაძესთან თავის დღეში სიარული არარა მქონიარა, და არც მახლობელი ცნობა.

15-ს

ამას წინადაც პირად განუცხადე კამისიას, რომ დასამტკიცებელი საბუთი მე ზავილეიცკიზე არარა მაქვს მეთქი, და კიდევ მოვახსენებ, რომ მე არაფრისთანა დასამტკიცებელი საბუთი მე იმაზე არა მაქვსრა, და ამ გარემოებას კიდევ მოვახსენებ: ერთს ლამეს 11 საათზე დავებარებინე, სადაც მისვლისთანავე დავსხედ-ით, და ლაპარაკი დავიწყევიტ. მასკვან მითხრა ლაპარაკსა შორის, რომ საყვარელო ალექსანდრეო, აქაც უნდა ეცადო აღრევასაო, რომელიც მეც აღუთქვი, და სურდა, როგორც შევატყე, რომ ჩემ მიერ ემოქმედნა. – ამის სიტყვით გამამისტუმრა, რომ პირველს კაცებს და რაოდენს მოქალაქეებს შენიანებს უთხარო, და ესეც მითხრა: მინამ არ დავიბაროვო, ნულარ მოხვალო და შემდეგ აღარ დაუბარებვიარ. – იმ ექსპედიციიაში რომ წარმოთქო მეფე ვახტანგის სჯულზე თავისუფლება,¹⁰ ის გარემოება ხომ ადრე მოვახსენე კამისიას. ზავილეიცკის ძმისა, და იასე ფალავანდო-ვის გარემოება ხომ ადრე მოვახსენე კომისიას.

16-ს

როგორც მე მახსომს, არ ვიცი, სად იყო, რომ ჩვენმა საზო-გადოებამ პირველად დამდვეს ვალად, რომ შენ იყავ ჩვენი ნაჩაღნიკიო. – მე დიახ პატივის ცემით დავითხოვე იმათი წინა-დადება. – შემდეგ იასეს სთხოვეს. ვგონებ იმანაც დაითხოვა, და მასკვან, როგორც მახსომს, ელიზბარ ერისთოვმა იკისრა, მე ვიქნები თქვენი კამანდირიო.¹¹ ამაზე მეტი არ მახსომს რომ სხვა ყოფილიყოს ვინმე, და ჩვენი ზაგოვორის თავი ელიზბარ იყო, ამისთვის, რომ დიდათ ცდილობდა, და ყოველს ადგილას მიმომსვლელი ის იყო, და შუა კაცი.

კამისიას უმორჩილესად ვთხოვ, უკეთუ რაიცა ჩემდამი საკითხველი ჰქონდეს, მკითხოს, ჭემმარიტად აღვიარებ, რაიცა ვიცი, ყოველს წვრილად მოვახსენებ. – და მე ყოველი არა ძალმძის დამეხსომებინა. ჩემი ფიქრიანობისაგამო მრავალი და-ვინყებული მაქვს, და არ მაგონდება ყოველი წვლილად.

პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„7-ს“ თებერვალს. 1833-სა ნელსა.

21. ჩვენება 1833 წლის 8 თებერვლისა

ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანის, ზ ე პ ი რ ი ჩვენება:

დიმიტრი ბატონიშვილთან თავად ელიზბარ ერისთოვის მიმონერის შესახებ ყოფილმა სოვეტნიკმა, თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა, უჩვენა: 1831 წელს აქ ჩამოყალიბებული საზოგადოების თაობაზე დიმიტრი ბატონიშვილს საქმის კურსში აყენებდნენ და ინვევდნენ მას საქართველოში.¹ ერთ-ერთ წერილს თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა თვითონაც მიაწერა მოკითხვის სიტყვები, ხოლო მეორე წერილი ელიზბარ ერისთოვმა მას მხოლოდ წაუკითხა.²

8 თებერვალი, 1833 წ.

*გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი
გენერალ-მაიორი ჩევიკინი
პოლკოვნიკი ახლესტიშევი*

22. ჩვენება 1833 წლის 12 თებერვლისა

კომისიასა შინა!

1832-სა წელსა, ოდესცა ჩვენი ზაგოვორი იწყებოდა, ¹ იმ წინა დღეებში ელიზბარ ერისთოვი და იასე ფალავანდოვი ერთს საღამოს მისუღიყვნენ მაიორს თავადს ლუარსაბ ორბელიანოვთან, და იასეს ცალკე ოთახში შეეყვანა ლუარსაბ და ეთქო: ლუარსაბო, ახლა ჩვენ კიდევ ვემზადებით, და ზაგოვორი გვაქვს შეკრულიო, რომელიც შენც ჩვენთან უნდა გაერიო. – მე ისე მახსოვს, რომ ჯერ ლუარსაბს უარი ეთქო, და ასეც ეთქო, ადრინდელი ჩვენი პოლშის ზაგოვორი ნავიდაო, და ახლა აღარ გავერევიო. – მასკვან იასეს ეთქო: რას ამბობ, ლუარსაბო, ღმერთს ვფიცავ, თუ ჩვენში არ გაერევიო, სულ დაილუპებო, რომ შენი სახსენებელი აღარ იყოსო, თუ ჭკვა გაქვსო, ჩვენში ისეც გაერიეო. – მაშინ ლუარსაბს ეთქო: მაშ, თუ აგრე არისო, ჩემი თავი მოგიკვდეს, თუ დიდათ არ შეგეწიო და როგორც გინდა ისე მომიხმარეო. – ეს გარემოება მე იასემ მითხრა ელიზბართან, მაშინ, როდესაც მე ავათ ვიყავი, და მზათაც არის ლუარსაბიო, რომელიც ჩვენი მონაწილე არისო. – და ამის შემდეგ მეც შერთება ვიქონიე ლუარსაბთან და ხშირად ვლაპარაკობდით ხოლმე ლუარსაბთან და

შევიყრებოდით იმასთან. – **მეორე**. 1831-სა წელსა ზამთარს ერთ სალამოზე ჩემთან მოვიდა ელიზბარ ერისთოვი, და რამკა მოიტანა საიდუმლოს წიგნების მისაწერი დიმიტრი ბატონიშვილთან,² მითხრა: ალექსანდრეო, წიგნი მივსწეროთ დიმიტრი ბატონიშვილსაო. მე თანახმა შევიქენ. დავსხედით და მივსწერეთ, რომელსაცა შინა ეწერა ესრეთი აქ მოსვლისა იმისი, რომელიც ხალხს დიდი ვლიანიე ექნებათ იმაზე, და მაშინ კარგათ დავაწყობთ საქმეს, და ღვთით ყველა მაშინ კარგათ წარიმართება, ოდესცა ის აქ მოვა. – რომელიც მეორე გვერდზე მეც მოვანერე, და ვთხოვე მოსვლა. კიდევ იმ წელსა, 1831-სა გაზაფხულზე, ელიზბარს და გიორგი დავითის ძეს ერისთოვთ წიგნი დაეწერათ, ჯერ შავი იმ რამკით, რომელსაცა შინა ეწერა ესრეთ: დიახ კარგი საზოგადოობა გვყავსო, რომელიც იმ დიმიტრი ბატონიშვილს ელიანო, რომ მოვიდესო, და მაშინ იმას რომ ნახავენო, კარგათ მიიღებს ჩვენი საზოგადოობაო, და კარგათ ისაქმებენო, და იმ წიგნში გიორგი ამილახვაროვი იყო ნახსენები,³ და გიორგი ერისთოვი. მე ის წიგნი ჩემ ბაღში წამიკითხეს, რომელიც მეც მოუწონე, და იმ ორი წიგნის პასუხი არც ერთი არ მოგვივიდა, და დიმიტრი ბატონიშვილს ვლანძლამდით ხოლმე.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„12-ს“ თებერვალს. 1831-სა წელსა.

23. ჩვენება 1833 წლის 15 თებერვლისა (I)

კომისიასა შინა!

წარსრულს 1831-სა, ოდესცა მოვიდა ანბავი პოლშამ იბუნტაო და რაოდენიმე ხანი გავიდა, გაზაფხული იწყებოდა, მაშინ, ერთს ღამეს, მეთერთმეტე საათი იქნებოდა, შინადგან კარზე გამოველ, საჭიროებისათვის, თულუფით და ოდესცა კიბიდან ძირს ჩამოველ, ერთი ხმა მამესმა რუსულად: კნიაზი სოვეტნიკ ორბელიანოვი შინ არისო? მე უთხარ: ვინა ხარ მეთქი. – მითხრა: ღუბენატორის კაცი ვარო.¹ – რა გინდა, მე ვარ მეთქი. ღუბენატორმა დაგიბარაო. – საჩქაროთ ჩავიცვი და ჩავედი. ოდესცა მიველ, თავის სამწერლოს სტოლს წინ იჯდა. მითხრა: დაჯექიო. რომელიც მის სიახლოვეს დავჯექი. – ლაპარაკი დავიწყევით, და ლაპარაკსა შორის მითხრა: საყვარელო ალექსანდრეო, აქაც უნდა ეცადო, რომ ბუნტი მოხდესო. მე პირველად გამიკვირდა

და შემდეგ, რადგანაც რომ მწყალობდა, დავიჯერე. მიუგე: კარგი მეთქი, ვეცდები უთოთ მეთქი და ავდექ ნამოსასვლელად. მითხრა: წადიო და ვინც აქ შენიანი თავადები ანუ მოქალაქეები იყვნენო, ყველანი მოითვისეო და შემოიერთეო. მე ამის გამგონეს ვიფიქრე: ამას უთოთ ჩემგნითა სურს მოქმედება მეთქი, და წამოსვლის დროს მითხრა: მინამ აღარ დაგიბარო, ნულარ მოხვალო. – შემდეგ აღარც დაუბარებივარ და აღარც მივსულვარ.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
15-ს თებერვალს. 1833 წელსა.

24. ჩვენება 1833 წლის 15 თებერვლისა (II)

კომისიასა შინა!

პირველი. – ამას წინათ რომ მოვახსენე კომისიასა მე და ზავილეიცკის შერთება. მე რომ დამიბარა და რაც მითხრა კვლავად დაუმატებ ამასთან: ოდესცა ჩემი დედიდაშვილი გიორგი მოვიდა პეტერბურლიდამ, და მოსკოვში გამოევილო, მაშინ ზავილეიცკი ენახა და ლაპარაკსა შინა ეთქო: მე მიკვირს, რომ ქართველებს ალექსანდრე ჭავჭავაძე არ უყვარსთო, ასე ჰგონიათ, რომ რუსის სამსახურში არის და ამისთვის არ უყვარდეს თავის მშობლის მამულიო. მე შენ გარწმუნებ კნიაზო, რომ დიდი ერთგული და მოსიყვარულე არის თავის მშობლის მამულისაო. – ეს გარემოება მე გიორგიმ მითხრა და ესც თქო, რომ ხედავ ზავილეიცკიმ რა მითხრაო, რომელიც საგრძნობელად დამრჩა იმისი სიტყვაო. – ოდესცა ჩემი დედიდაშვილი გიორგი ერისთოვი მოვიდა, ესეცა თქო, რომ ოქროპირ ბატონიშვილს და ზავილეიცკის დიდი ერთობა აქვთო, ასე რომ, გაუნყვეტლად ზავილეიცკი ოქროპირ ბატონიშვილთან არისო. – **მეორე.** ზავილეიცკისაგან ესრეთ შენუხებული იყო, რომ იმისგან მოთმინებისაგან გასული იყვნენ და აშკარათ ლაპარაკობნენ იმის მიერ შენუხებას, რომელიც კალეჟსკის ასესორის ბასტამ ბასტამოვისაგან ბევრჯელ გამიგონია: ღმერთსა ვფიცავ, ესრეთ შენუხებული ვარ ზავილეიცკისაგანაო, რომ მე მგონია მეტის მწუხარებით თავი მოვიკლაო, ყოველის მოთმინებისაგან გასული ვარ, არ ვიცი რა უნდა ვქნაო. – კიდევ მას დროსა, ვგონებ, ოდესცა პოლშა აშლილი იყო, დედა ჩემს ფათერს ართმევდა პოლიციით, ¹ რომელიც თავის დღეში არას

დროს არ მიუცია და ამაზედ დედა ჩემი ესრეთ შენუხდა, რომ სრულიად ჩემს ბარგს გამოვიტან და რაც სახლეულობა მაქვსო, სულ ერთიანათ მეიდანზე დავდგებოც ცის ქვეშაო. უთოთ გამორთმევას უპირებდა თუ ვოენი ღუბენატორი სტრეკალოვი² არ ყოფილიყო, რომელიც ჩემ ქალაღდებს შორის იპოვით, თუ როგორ მოსწერა ზავილეიცკის სტრეკალოვმა. – *მესამე*. პოლიაკების ბუნტის დროს, როგორც მახსომს, ზაფხულს, შუა ქალაქსა მოხდა კრივი ზავილეიცკის ბძანებითა, რომელიცა მრავალი თავადები იქ იყვნენ: ლუარსაბ და დიმიტრი ორბელიანოვნი და სხვა მრავალნი. მაშინ მოვიდა პოლიცმეისტერი და დააშლევინა. – მაშინ არ ვიცი, ვინ ჩავიდა და ზავილეიცკის განუცხადა კრივის დაშლა. მაშინვე კიდევ ებძანებინა პოლიცმეისტერისათვის, რომ ნება მიეცეს კრივისაო. – მაშინ პოლიცმეისტერი ჩავიდა, როგორც მახსომს, ზავილეიცკისთან, და რაოდენსამე ხანს უკან ისევ ამოვიდა ამ სიტყვით: გარეთ უბანს გამართეთო. – მთელი ქალაქი გარეთ უბანს გავიდა, მთავარმართებლის წინ და ესრეთ საშინელი კრივი მოხდა, რომ ჩემი სიყმანვილიდგან აქამომდე მე იმისთანა საშინელი კრივი არ მინახავს. ესრეთ გაჭირვეულდნენ მოკრივენი, რომ ბევრნი ტიტველნი კრიობდნენ. – ამ დროს ალექსანდრე ჭავჭავაძემ ჩამოიარა ცხენით და მცირეს ხანს დადგა, და ყურება დაიწყო, შემდეგ წავიდა. – იმჟამად ჩემი ბიძაშვილი თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი ჩემთან იდგა და მითხრა: ალექსანდრე, ხედავ ჭავჭავაძემ თავის თავი დაგვანახაო. – მასკვან მითხრა: მოდი ხანჯლები გამოვატანინოთ, და ამ საღამოს ვინ დაინახამსო, ბარეც ეხლავ ვეცადნეთო. – მეც თანხმა შევიქენ, მაგრამ დიახ სუსტი პარტია გვყვანდა და შემდეგ ბევრი ვიციინეთ და ვსთქვით, ეს ჩვენი საქმე სწორედ მასხარობა არისო და დავჩუმდით. – ოდესცა კრივი დაიშალა, მაშინ მე, ელიზბარ ერისთოვი, კიდევ არ ვიცი ვინ იყვნენ ჩვენთან ჩვენი ამხანაგნი და ვსთქვით: მოდით ლუარსაბთან წავიდეთ სარჩევლად, რომ ხვალ საღამოს ჟამზე დიდი კრივი იქნება, და ბარემ რითაც ღონით იყოს, ხვალ ვეცადნეთ ბუნტისას, რომ ამისთანას დროს ვერ ვიპოვნით.³ – ოდესცა ლუარსაბთან მივედით, ვნახეთ რომ ქვეშაგებში ინვა, და დროშკიდან გადმოვარდნილიყო, და ცხვირი გაეტეხა, და ამის გამო ველარაფერი უთხარიორა და დავჩუმდით. – ამის მეორე დღეს, საღამოზე, ეს ესრეთი დუნდგო მთელი ქალაქისა ხალხი შეიყარა საკრიოდ, კიდევ იმ ადგილს, რომ ჩემს დღეში არ მინახავს, იმთენი ხალხი კრივში, მაგრამ პოლიცმეისტ-

ტერმა სულ დააშლევინა, და აღარა მომხდარა კრივი იმ საღამოზე. – **მეოთხე.** ყოველთვის ჩვენს საზოგადოებას ფიქრი ჰქონდათ ხოლმე, რომ ზავილეციკის უთოთ ბუნტი სურს აქაო, და ბევრჯერ კიდევ ვილაპარაკებდით ხოლმე, რომ ჭავჭავაძეს და ზავილეციკის რაღაც რამ აზრი უნდა ჰქონდეთ ამაზეო. – **მეხუთე.** ზავილეციკის ახლოს მცნობი პირველი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო, მეორე თავადი რამან ჭავჭავაძე. ამაზე მეტი ქართველთაგანი არ ვიცი, რომ ახლო მცნობი ყოფილიყოს ვინმე ზავილეციკისა.

პოდპორუჩიკი ალექსანდრე ორბელიანოვი
15-სა თებერვალს. 1833-სა წელსა.

25. ჩვენება 1833 წლის 16 თებერვლისა

კომისიასა შინა!

1831-სა განზრახვა გვექონდა წინადადებითა თამარ ბატოიშვილისათა მე ჩემი ცოლშვილით, ელიზბარ, და გიორგი დავითის ძეთ ერისთოვთ, და ჩემ ძმას ვახტანგ, რათა უნდა წავსულიყავით იერუსალიმის სახელზე ხელმწიფე იმპერატორის ნებითა, და ოსმალის სამძღვარში რომ უნდა შევსულიყავით, მაშინ ჩვენთაგანი ერთ-ერთი რომელიმე ალექსანდრე ბატოიშვილთან უნდა წასულიყო, ის ჩვენთან მოეყვანა და შემდეგ სწორეთ იერუსალიმს უნდა მივსულიყავით, იქ ქრისტეს საფლავს თავყვანი უნდა გვეცა, და იქიდგან, ფრანციას პარიჟში უნდა მივსულიყავით, იქიდგან გვსურდა, და განძრახვა გვექონდა, რომ ანგლიაში გაგვეგზავნა ვინმე, და ჩვენი მისვლა პარიჟში ეცნობებინა. – შემდეგ ჯერ აქ, პარიჟში, უნდოდათ ეჩივლათ, რომ უსამართლოდ არის წართმეული საქართველო ბაგრატიონთაგან. – შემდეგ ანგლიაში უნდა გავსულიყავით, და იქაც ისე უნდა შეგვეჩივლა, მასკვან ავსტრიაში უნდა გამოვსულიყავით და იქაც ეგეთივე უნდა შეგვეჩივლა, ყველგან შემწეობა უნდა გვეთხოვნა, რომ თავიანთი მამული ისევ დაჰბრუნებოდათ, ესე იგი საქართველო, და განეთავისუფლებინათ რუსებიდგან. შემდეგ ამ აზრისა აღარ მოგვიხდა წასვლა და ველარ გაბედა თამარ ბატოიშვილმა წასვლა, ამისთვის, რომ ეჭვს შემოიტანს მთავრობაო, და ვაითუ ავათ მოგვიხდეს საქმეო.¹ შემდეგ ამისა, ზაგოვორი რომ

დავინყევით პოლშის ბუნტის დროს, ბევრჯელ მე და ელიზბარ მივიდოდით ხოლმე თამარ ბატოიშვილთან. ელიზბარ და თამარ ბატოიშვილი საიდუმლოდ რაღასაც ლაპარაკობდნენ ხოლმე. – ერთხელ მე უთხარ მათ: რა იქნება მეც მითხრათ, რას ლაპარაკობთ მეთქი. – შემდეგ გამიტყდნენ, და მითხრეს, რომ ჩვენა გვსურს საქართველო განვათავისუფლოთო, შენც მონაწილე იყავ ჩვენიო, რომელიც მეც დიახ სიხარულით ვეთანხმე, და ამისა შემდეგ ბევრჯელ გვილაპარაკნია მე, ელიზბარს ერისთოვს, ჩემ ძმას ვახტანგს, და გიორგი დავითის ძეს ერისთოვს თამარ ბატოიშვილთან. ჩვენ გვსურდა ესრეთ, როდესაც აქ აღრეულობა მომხდარიყო, მაშინ თამარ ბატოიშვილი უნდა გამოგვეყვანა, და ხალხისათვის უნდა გვექადაგნა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონთ ქალი, თამარ, რომელიც ყველანი ამას უნდა მორჩილებდეთ და რაც გვიბძანოს, უნდა აღვასრულოთ. ამაში უნდა ზარების რეკა მოჰყოლოდნენ და სიონის სამრეკლოზე სამი კაცი უნდა ასულიყვნენ, და იქიდგან ეყვირნათ: თავისუფლება, და სიხარული ყოველსა ერსა ზედა. ამ დროს უნდა კაცნი გაგვეგზავნა, და მთელი საქართველოს ხალხი აქ უნდა ჩამოსულიყვნენ, თავადნი, აზნაურნი, და ქუდზე ყოველი კაცი, და როდისაც წამოსულიყვნენ, მაშინ უნდა ვცდილიყავით, როგორც იყოს პოლკები გავანყოთ რეგულისა, და რიგი დავდოთ, და მაშინ დაინიშნონ ნაჩაღნიკები. და მხედველობის ქვეშ გვყვანდნენ ნაჩაღნიკნი: მხედართ მთავრად პირველად ლენერალ-მაიორი ივანე აფხაზოვი, ჯერ მკვდარი არ იყო, მასკვან ალექსანდრე ჭავჭავაძე, მესამედ ვასილი ბებუთოვი, მეოთხედ ლენერალ-ლეიტენანტი გიორგი ერისთოვი, და ლენერალ-მაიორი სავარსიმძე, სასამართლოთ პრეზიდენტათ პირველი მუხრან ბატონი უნდა ყოფილიყო, და ამისი თანაშემწენი გიორგი ჭილაევი, და ლუბენატორი თავადი ფალავანდოვი უნდა ყოფილიყვნენ და აქედგან ყოველი სამხედრო განკარგულება უნდა მომხდაროდა.² – შემდეგ კაცნი უნდა გაგვეგზავნა, ალექსანდრე ბატოიშვილი უნდა მოგვეყვანა. – ბოდბელიც ჩამოგვეყვანა³ ამ ჟამათ და ქალაქს გარეთ ბოდბელი შემოსილი, და ყოველი საქართველოს ბერნი, და ღვდლები შემოსილნი უნდა გაჰკებებოდნენ კარახტინთან, და ამაში მთელი საქართველოს ხალხი. იქიდგან უნდა წამოგვეყვანა, და წინ რამეთენიმე კაცნი უნდა გამოსძლოლოდნენ, და ეძახათ: თავისუფლება. იქიდგან პირდაპირ სიონში უნდა შეგვეყვანა, პარაკლისი აქ

გადაეხადათ და ამის შემდეგ რაოდენისამე დღისა მომხდარიყო განკარგულება.⁴

ოდესცა საქართველოში აღრეულობა მომხდარიყო, და იქ ოქროპირ ბატონიშვილს შეეცყო, რითაც ღონით უნდა ყოფილიყო, ფრანციაში უნდა წასულიყო, და იმას იქიდგან ესაქმა. ეს გარემოება დოდაემა მითხრა: თუ აქ მოხდა რამეო, ოქროპირ პარიჟში წავაო. – ამ ამბავში წიგნი მოვიდა, რომ ვარშავა აიღესო, და ეს ჩვენი ყოველი პლანი სულ დაიშალა, და ის ზაგოვორი სულ დაგვივიწყდა. მასკვან ყოველმა თავ თავის საქმეს შეუდექით. – და ეხლა რომ ზაგოვორი იწყებოდა, თამარ ბატონიშვილთან მივიდოდით ხოლმე: კარნეტი გიორგი ერისთოვი, ელიზბარ ერისთოვი, მე და ჩემი ძმა ვახტანგ და დავიწყებდით ლაპარაკსა ხოლმე. ბევრჯელ მოსწონდა ჩვენი ლაპარაკი, და ბევრჯელ სულ დაინუნებდა ხოლმე. – წარსულს 1832-სა წელსა, ოდესცა აღრეულობა მომხდარიყო საქართველოში, ჩვენ განძრახვა გვქონდა, რომ პური და მარილი მიერთმევიანა თამარ ბატონიშვილისათვის ელიზბარ ერისთოვს, და ისე გამოგვეყვანა, და სასამართლოს, და საქართველოს პირველს გამგებლად დაგვედგინა, მინამ ალექსანდრე ბატონიშვილი, ან ოქროპირ, და ან დიმიტრი ბატონიშვილი მოვიდოდნენ აქ საქართველოში.⁵ – წარსულს 1831-სა წელსა მისულიყო თამარ ბატონიშვილთან აზნაურის, იოველ მესხიევის, ქვრივი მართა და ლაპარაკსა შორის ეთქო: ბატონიშვილო თამარო, აქ ერთი საზოგადოება არისო, რომელთაც სურსთ, რომ ბუნტი მოახდინონო, და თქვენ უნდა გამოგიყვანონ ნაჩაღნიკათაო. მასკვან თამარ ბატონიშვილს უარი ეთქო ამ სიტყვით: ღმერთმა ნუ ინებოს, რომ მე სისხლში გავერიო, მასკვან ქრისტიანეთაო, და ამ სიტყვით გაესტუმრებინა მართა. – ეს ზემოხსენებული გარემოება 1832 წელსა ეთქო თამარ ბატონიშვილს ელიზბარისათვის, იმ წინადღებში, მაშინ, ოდესცა ჩვენ დაგვიჭერდნენ, და ელიზბარ ერისთოვმა მე მითხრა ესე გარემოება ამ სიტყვით, რომ ვითომც კიდევ შეეცყოს ის საზოგადო, რომელნი ანუ ვინა და ვინ არიან. – დავით თარხანოვს ჰყავს საზოგადოვო, *პირველი*, თვით დავით თარხანოვიო, *მეორე* ღენერალ ლეიტენანტი თავადი გიორგი ერისთოვიო, *მესამე* თავადი დიმიტრი თარხანოვიო, *მეოთხე* მუხრან ბატონიო, *მეხუთე* დიმიტრი ორბელიანოვიო და *მეექვსე* მამუკა ორბელიანოვიო. – ეს გარემოება კარნეტ გიორგი ერისთოვმაც იცოდა, და ჩემა ძმამ ვახტანგმაც.

თამარ ბატოიშვილის დიახ ახლო მცნობი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო და ზავილეიციკიც, ოდესაც აქ იყო, დიდათ პატივსა სცემდა. – და მე მაშინ, ეგრეთვე ეხლაც, ეჭვი მაქვს, რომ მათ ჰქონდათ რაიმე განძრახვა საქართველოსა ზედა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი „16-ს“ თებერვალს. 1833-სა წელსა.

26. ჩვენება 1833 წლის 18 თებერვლისა

კომისიასა შინა!

წარსრულს 1831-სა წელსა, ზაფხულს ანუ გაზაფხულს, ერთს საღამო ჟამზე, მოვიდა ჩემთან თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი, და მითხრა, ვითომც შერთება ჰქონიყოს თავად ალექსანდრე გიორგის ძეს ორბელიანოვს თავად მამუკა ორბელიანოვთან ამ ჩვენ განძრახვასა ზედა, და ვითომც თანხმა შექმნილიყოს მამუკა ჩვენის აზრისა. – და გიორგიმ მითხრა მე, რომ ეხლა ვაპირებ წასვლას მამუკასთანაო, და ლაპარაკსაო. – რომელიც წავიდა. – მეორეს დღეს თუ მესამე დღეს გიორგი და ელიზბარ მოვიდნენ ჩემთან, და მითხრეს: მამუკასთან ვიყავით და ვილაპარაკეთო ამ ჩვენს განძრახვასა ზედა. – ელიზბარმა მასკვან მე მითხრა: ხვალ, სადილს უკან, მე და შენ უნდა წავიდეთ მამუკასთანაო და ამ განძრახვაზე უნდა ვილაპარაკოთო. – მეორეს დღეს სადილს უკან მოვიდა ჩემთან ელიზბარ, და მითხრა: მამუკასთან წავიდეთო. – რომელიც წავედით. – ოდესცა შევედით მამუკასთან, გვითხრა: არა გრცხვენიანთ, საქართველოს განთავისუფლება გსურთო, და მე არას მეუბნებიო, მე ყველაში თქვენი მონაწილე ვარო და რასაც დავანყობთ საქმესაო, მეც მზათ ვიქნები აღსრულებისთვისაო. – ჩვენ უთხარიო: წავიდეთ, ბაღში ვილაპარაკოთო. – მასკვან მამუკამ გვითხრა: ეხლა საჩქაროთ ჩემს სოფელს ვაშლოვანს მივდივარო, და ამ ორსამ დღეზე ჩამოვალო, და ყოველთვის სადაც გინდათ, იქ ვილაპარაკოთო. – და ამით გავიყარენით. შემდეგ ოთხისა დღისა მამუკა ჩამოვიდა და საღამო ჟამზე მეიდანზე დამხვდა. მითხრა: ბა რა ვქნათო. – მე უთხარ: რაღა რა უნდა ვქნათ მეთქი, უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი პარტია გამრავლდეს მეთქი. – კიდევ ცოტა რაღაებიც ვილაპარაკეთ, და გავიყარენით. – ამისა შემ-

დგომ ელიზბარ, და გიორგი ორნივ ყოფილიყვნენ მამუკასთან, და ყოველი ჩვენი განძრახვა ეანბოთ მამუკასთვის, რომელიც მამუკაც დიას სიხარულით თანხმა შექმნილიყო. – ამის შემდეგ კიდევ, ვგონებ, რომ ხშირათ სიარული ჰქონდა ელიზბარს მამუკასთან, ეგრეთვე გიორგი დავითის ძეს ერისთოვს, და ლაპარაკი, თავად ალექსანდრე გიორგის ძის ორბელიანოვისა კი არ ვიცი, რაოდენ ჰქონდა მამუკასთან ლაპარაკი ამ ჩვენს აზრსა ზედა.

– **მეორე.** 1831 წელსა, ოდესცა მე დავდიოდი იასე ფალავანდოვთან, და ვლაპარაკობდით ხოლმე, მაშინ იასესაგან ბევრჯელ გამიგონია: ოლონდა ღმერთმა მალირსოს, რომ აქ ბუნტისათვის ემზადებოდეთო, და ღმერთსა ვფიცავ, აი, ამ იახტნებსა¹ ხედამ, **რვა ათასი** თუმანი თეთრი ფული მიძევს აქ ჩემის ძმისა, და ჩემი არის, სულ იმ ღამეს გამოვიტან და დავხარჯავო, **ხუთას** კაცს მე შემოგანევთო. – მასკვან მე უთხარ: საიდგანა მეთქი. – მითხრა: აქ, ქალაქში, ასეთი ბიჭები მყავსო, რომ ლომებსა ჰგვანანო, და მგონია **ერთი** კაცი **ორმოცს** სალდათს შებასო. – მე უთხარ: ბარაქალა იასე მეთქი, შენ ყველაზე ჩვენზე მეტი ხარ მეთქი. – ამ ლაპარაკში, როგორც მახსომს, თავადი თეიმურაზ ამილახვაროვიც იქ იყო. – სოლომან დოდაევი, არ ვიცი, სამჯერ თუ ოთხჯერ იყო იასესთან და ჩვენი აზრი, და განძრახვა გვილაპარაკნია ერთათ ამ სამთა. – **მესამე.** წარსრულს 1832-სა წელსა, შემოდგომაზე, თავადი მამუკა ორბელიანოვი მიდიოდა კახეთს სალოცავად ალავერდს თავის ცოლშვილით, და თამარ ბატონიშვილიც დაჰპატიჟა, რომელნიც წავიდნენ, და ორი კვირა დაჰყვეს კახეთში, და ისევ ჩამოვიდნენ.²

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„18-ს“ თებერვალს. 1833-სა.

27. ჩვენება 1833 წლის 20 თებერვლისა

კომისიასა შინა!

1831-სა წელსა, ოდესცა ბუნტი იყო პოლშაში, იმ დროს თამარ ბატოიშვილმა და ელიზბარ ერისთოვმა მე რომ მითხრეს: საქართველოს განთავისუფლება გვსურსო, და მეც მათი მონანილე რომ შევიქენ, იმის მეორეს დღეს, საღამო ჟამზე, ჩემთან მოვიდა თავადი ელიზბარ ერისთოვი, და მითხრა: მოდი, თამარ ბატოიშვილთან წავიდეთ სალაპარაკოთაო. – წავედით მე, ელიზბარ, და ჩემი ძმა ვახტანგიც თან გამოგვყვა. – ოდესცა მივედით თამარ ბატოიშვილთან, მის დივანს წინ დავსხედით. – მაშინ უთხარით: ბატოიშვილოვო, აბა როგორ შაიძლება, რომ საქართველო განთავისუფლდესო, და ანუ რომლის გარემოებითაო. – მასკვან თამარ ბატოიშვილმა თქო: ამისთანა დროს ქართველები ვეღარ იპოვნინანო, ამისათვის, რომ რაც ჯარები ჰყავს რუსებსაო, სულ პოლშაში არის წასულიო, და რომ აქ აღრეულობა მოხდეს, ვეღარ იპოვნინან ჯარს, რომ გამოგზავნონო. აქ აღრეულობა ამ რიგად უნდა მოხდესო, *პირველი*, რომ შაიძლოთ და ერთ-ერთი პოლკი რომ მოისყიდოთ, დიახ კარგი იქნებაო. ის პოლკი მოსყიდული რომ გეყოლებათ, პიდაპირ აქ ქალაქში ჩამოვავო, და რაც ხაზინა არის, სულ ხელთ დაიჭერთო, და მაშინ ადვილად იქნება ყოველი საქმეო. – ღრუზინსკის პოლკს ამბობდა: თუ იმას მოისყიდით, უფრო ახლო არისო, და საჩქაროთ აქ ჩამოვავო. რადგანც პოლკის მოსყიდვა ძნელი არისო და არც შაიძლებაო, მაშინ სხვა უნდა მოვიგონოთ რამეო. *მეორე*, რაც თავადები ხართ, და ამ საქმეში ურევიხართ, ვისაც რა შეგიძლიანთ, ყველამ გაინეროს, და რომელმაც რაერთი კაცი შეიძლოს, აქ ქალაქში უნდა ჩამოაპარონ, და თვითონ თავადებიც აქ უნდა იყვნენო, ეგება *ორი ათასი* კაცი მოახერხოთო, მაშინ ისინი უნდა გაიყოს, ზოგი არსენალზე უნდა მივიდნენ, ზოგი ციხეზედ. ამ ორს ადგილებს რომ დაიჭერთო, მაშინ განთიადის დროს, უნდა ზარების რეკა მოახდინონ, და ამაში ძახილი თავისუფლებისა, მაშინვე კაცნი მზათ უნდა გყვანდეთო, რომ სოფლებში გაგზავნოთო, და შეუთვალოთ, ალექსანდრე ბატოიშვილი ჯარებით ქალაქში შემოვიდა, და ყველასა გთხოვთ, რომ ჩამოხვიდეთო. ამაში კაცნი უნდა გყვანდეთ, რომ ლეკებში გაგზავნოთ, და ჯარი მოინვიონ ალექსანდრე ბატოიშვილის სახელზედაო, და აღრითგანვე იმერეთში თავადიშვილები

უნდა გყვანდეთ გაგზავნილი, რომელთაც ნათესავები ჰყვანან იმათშიო, რომ იქაც აღრეულობა მოახდინონო, სახანოებშიც კაცი უნდა გაგზავნოთ, თავადები, რომ ისინიც აბუნტდნენო,¹ და ასრე რიგათ უნდა მოახერხოთ, რომ პოლკები ერთი მეორესთან ველარ მივიდესო, თორემ რაკი ერთად შაიყრებიან, ველარც მოუცდითო, და მალეც წაგახდენენო. პირველი ის უნდა იყოს რომ პოლკებს თავს დაესხათო, და ამისი მცდელნი უნდა იყოს, რომ სადაც ზარბაზნები აქვთ, თქვენ წართოთო, როდისაც სალდათი უზარბაზნოთ დარჩებაო, მაშინ აღარა შეუძლიანთ რაო, ამაში თუნდა ჯარები რომ გამოგზავნონ რუსეთიდგანაო, მაშინ სამი ადგილი აქვს შემოსასვლელიო, *პირველი* არაგვის ხეობაო, ის მარტოკა ქვით და კლდით ესრეთ გამაგრდებაო, რომ ჯარებიც აღარ მოგინდებათ, რომ იქ დააყენოთო და იქიდგან ვერას დროს ვერ შემოგივლენო. *მეორე* შავი ზღვა არისო, იქაც რომ *ათი* ზარბაზანი და *ექვსი ათასი* კაცი რომ დააყენოთო, ვერასოდეს ვერ გამოგივლენ ჯარებიო,² *მესამე* კასპის ზღვა დარჩაო, იქ დიდროვანი ხომალდები ვერ მუშაობსო, და მგონია, სულ იქიდგან ჯარი არ მოვიდესო, და თუნდა მოვიდეს, წვრილი სუდნებით მოვლენო, და ბევრი რომ გამოგზავნონ, *ორი* პოლკი ძლივ წამოვა იქედგანაო, და ვერსა დროს *ორი* პოლკი ვერ გამოგივათ, *ოთხი ათასი* კაცი რომ იქ გყვანდეთ, კმარაო, და რამთენიმე ზარბაზანიო. და ეს სამი ადგილები რომ დაიჭიროთ, შემდეგ ნურა ოდეს ფიქრი ნულარ გექნებათ, რომ იქ რუსებილა შემოგივიდნენ, მაგრამ უთოთ რეგული* უნდა გამართოთ, ოდესცა აღრეულობა მოხდეს აქაო. ამაშსი ყიზილბაშში,³ და ოსმალში კაცნი უნდა გაგზავნილნი გყვანდნენ, რომ ოლონდაც ხაზინით შეგვეწინით თქო, და ერევანს და ახალციხეს თქვენ დაგანებებთ თქო. და ისინიც უთოთ შეგენევიან, ამაებს რომ დაჰპირდებით. კიდევ ფრანციაში ერთ-ერთი დიდი კაცი ვინმე გაგზავნეთ, რომ ეს აღრეულობა გამოუცხადოსო, და შემწეობა სთხოვოს საქართველოს მაგიერათაო, ესეც სთხოვოს, რომ რამთენიმე ჭკვიანნი კაცნი გამოგზავნონ აქ, საქართველოში, რადგანც აქ დიახ ცოტა ჭკვიანნი კაცნი გყვანანო. ისინი იქიდგან რომ მოვლენ, მაშინ ის ფრანციცები დიახ კარგათ დანყობენ საქართველოში რიგსაო. – მასკვან ჩვენ უთხარით: როცა აქ აღრეულობა მოხდესო, ჩვენ რომ თავი არა გვყავს, მაშინ ვის დავმორჩილდეთო.

* რეგულარული ჯარი. გ. გოზალიშვილის შენიშვნა.

– ამაზედ დაფიქრდა, და შემდეგ ჩვენ უთხარით: თქვენ კაცურად უნდა ჩაიცოთ და გამოხვიდეთო. – მასკვან თამარ ბატონიშვილმა თქო: რატომ არაო, კაცურად ჩავიცომო, გამოვალ, და მე რიგს დავანყოფო, და მე ბრძანებელი ვიქნებოი, მანამ ალექსანდრე ბატონიშვილი მოვაო, და როცა ის მოვაო, მასკვან იმან იცის, და ამთენნი დიდროვანი, და ჭკვიანნი კაცნი არიან აქაო, როგორ ვერ დანყობენ, და რიგს როგორ ვერ მისცემენო. – ამ სიტყვის დასრულებაზე ავდექით, და წამოვედით. ოდესცა კარზე გამოვედით, ელიზბარ ერისთოვმა მითხრა: მე ახლა ლუარსაბ ორბელიანოვთან გავალო, და ამ ამბავს უანბობო და წავიდა. – მეორეს დღეს, დილაზე, ჩემთან მოვიდა ელიზბარ, და მითხრა: ნუხელის ლუარსაბთან ვიყავო, და ის ლაპარაკი უანბეო, რომელიც დიდათ მოიწონაო, და თქოვო, რომ უთოთ აგრე უნდა დავანყოთ საქმეო. – შემდეგ ამისა მეც რაოდენჯერმე ვიყავ ლუარსაბთან, და სწორეთ ისე ვანყობდით, როგორც ზემორე ხსენებული გარემოება აღვწერე. – შემდეგ კიდეც რაოდენჯერმე ვიყავით თამარ ბატონიშვილთან, ერთი სიტყვითა ვთქო, დიას ხშირად მე, ელიზბარ, და ჩემი ძმა ვახტანგ, და გვკითხამდა ხოლმე თამარ ბატონიშვილი: რასა შვრებითო. – ჩვენ ვპირდებოდით: სწორეთ ისე ვსაქმობთ, როგორც თქვენ გვირჩიეთო. მე მახსომს, რომ ორჯელ თუ სამჯერ თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვიც იყო თამარ ბატონიშვილთან. ამ ლაპარაკში, ოდესცა მასთან ვლაპარაკობდით ხოლმე, არა იმ პირველს რჩევაში ყოფილიყოს იქა, არამედ შემდეგ ჩვენი რაოდენისამე ლაპარაკისა თამარ ბატონიშვილთან, გიორგისაც ულაპარაკნია იმასთან ამ საგანსა ზედა. – ჩვენი საზოგადონი ისე ვანყობდით, და ესრეთ გვინდოდა, ყველას გაგვენერა, და ქალაქში ჩამოგვეყვანა, ვინც რაოდენს კაცს შეიძლებდა. – გავწერეთ კიდეცა: ლუარსაბს **ასი** კაცი უნდა ჩამოეყვანა, ელიზბარ ერისთოვს **ორმოცი**, მე **ოცი**, გიორგი დავითის ძეს ერისთოვს **ოცი**. ელიზბარ ერისთოვმა მითხრა: მამუკაც **ასს** კაცს მოამზადებსო – ბიძინა ერისთოვი თანხმა არ შეიქნა, და არც შემიძლიან, რომ მე ჩამოვიყვანო ვინმეო: თუ აქ, ქალაქში, მოხდება ბუნტი, მაშინ არამც **ოცსა** ანუ **ორმოცსაო**, **ათასსაც** ვიშოვნი, რომ ჩამოვიდა, იმითი ერთათაო. – ამ ზემო ხსენებულ კაცებზე მეტი ველარ ვიშოვნეთ, და ვცდილობდით კიდეც, რომ თანხმა შექმნილიყო ვინმე, რომ აქ, ქალაქში, ვისაც რა შესძლებიყო, ჩამოეყვანა, მაგრამ არავინ თანხმა არ შეიქნა ზემო ხსენებულის პირების მეტი. – არც ზაქარია ციცვიანოვი,

არც ბიძინა ერისთოვი, და არც ლუარსაბ თარხანოვი. ამათ ყველამ უარი თქვეს: ქალაქელებმა პირველად აქ თქვენ მოახდინეთ ბუნტი, და მასკვან ჩვენ ჯარებით ქართლიდან ერთათ ჩამოვალთო. – ჩვენ, ქალაქელებმა, ეს ვერ გავბედეთ, იმათ ის ვერ გაბედეს, და ამაში ამბავიც მოვიდა, რომ ვარშავა აიღეს. – შემდეგ ვარშავის ალებისა, ყველამ დავინწყებას მისცა ეს აზრი, და ყველანი თავთავის საქმეს შეუდექით, და აღარავის აღარ გვეკონდა განძრახვა, რომ აქ ბუნტი და მოგვეხდინა. – ამ დროს თამარ ბატონიშვილთან მივედი მე მარტო სანახავად და ლაპარაკსა შორის მითხრა: ყოველთ გირჩევთ, რომ სრულებით თავი დანებოთ და ნულარას დროს ნულარ იფიქრებთო, რომ ღმერთი სწყალობს რუსეთის ხელმწიფესაო, და ამისთვის ევედრენით ღმერთს თქვენც რუსეთის ხელმწიფისთვისაო. –

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„20-ს“ თებერვალს. 1833-სა წელსა.

წარსრულს 1832-სა წელსა, ოდესცა ჩემი დედიდაშვილი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი პეტერბურლიდგან მოვიდა აქა, და იმ ჟამებში, ერთს კვირა დილაზე, ანჩისხატის ეკლესიაში ვიყავით წირვის მოსასმენად გიორგი, და ელიზბარ ერისთოვნი, ეგრეთვე მე. წირვა რომ გამოვიდა, მაშინ ჩვენა ვთქვი: მოდი, თამარ ბატონიშვილთან ავიდეთ, რომელიც ავედით მასთან. ოდესცა დაგვინახა, გაგვიცინა, და გვითხრა: მოდით, დასხედით, და ჩაი ერთათ დავლიოთო. – მასკვან ჩვენ უთხარით: ჩაი დილით უნდა, და ეხლა რა დროსიაო. – მასკვან გვითხრა: წირვაზე ვიყავითო, და ამისთვის დილაზე ვერ დავლიეო, და ეხლა იმისთვის ვსომო, და თქვენც თითო ფინჯანი დავლიეთო. ამ სიტყვაზე დავსხედით და მცირეს ხანს უკან ჩაი მოიტანეს და დავლიეთ. ოდესცა ჩაის მოვრჩით, შემდეგ ამისა ლაპარაკი დავინწყევით სხვა და სხვა. ამ ლაპარაკს შორის, ჩემი დედიდაშვილი გიორგი მოჰყვა პოლშის ამბავს, და როგორ აიღეს ვარშავა,⁴ შემდეგ ამისა თქო გიორგიმ: მართალია, ვარშავაკი ავიღეთო, მაგრამ პოლიაკები კიდევ ამბობდნენო, რომ ეს რა არისო, უთოთ კიდევ მოვახდენთ ბუნტსაო. – მასკვან მე ვთქვი: ის პოლიაკები რა გაუტყეხელნი ხალხნი არიან მეთქი, რომ ეხლა სულ დაილუპნენ, და კიდევ რა ფიქრი აქვთ მეთქი. – მასკვან გიორგიმ თქო: არა ჰგვანან ქართველებსაო. შემდეგ ელიზბარმა თქო: პატარა მოიცადეო, ჩვენც გავკეთდები-

თო. – მასკვან მე ვთქვი: ეს პეტერბურლიდგან მოსულებსა დიდი გული გაქვთ, და არ ვიცოკი, რასა იქთ მეთქი. მასკვან გიორგიმა თქო: აი პოლიაკებმა ნახეთ რა ქნესო. – მასკვან მე უთხარ: ესა ქნეს მეთქი, რომ დაილუპნენ თქო. – მასკვან ელიზბარ წამოვარდა: რა არის სწორეთ დაილუპნენო, რა მოხდა მაგისტვისასო, სწორეთ ჩვენც რომ მოვახდინოთ აქ ბუნტიო, და დავილუპნეთ მაგისტვის, რა ვქნათ სწორეთაო, ისტორიაში ხომ დასწერენო, და საუკუნოდ ჩვენი სახელი დარჩებაო. – მასკვან მე უთხარ: მეც რომ შენსავით უცოლო ვიყო მეთქი, არას ვინაღვლიდი მეთქი, მაგრამ ამ ჩემა საწყალმა ცოლმა და წვრილმა შვილებმა რა უნდა ქნან მეთქი, ხომ საუკუნოდ იმათ ცოდვაში ჩავარდები მეთქი, შენკი ამ ჩვენ ცოლშვილიანებისთვის არა ფიქრობ მეთქი. – მასკვან მითხრა: შენ მაინც შენ ცოლშვილებს ვერ მოშორდებიო, და ქალაჩუნა ხარო. – მასკვან მე უთხარ: მე ხომ თქვენ არ გილაღატებთ მეთქი, და თქვენი ამხანაგიც ვარ მეთქი, მაგრამ აი, თუ პეტერბურლიდგან მოსულებმა რა ქნათ, ბოლოს გამოგიჩნდებათ მეთქი. – ამ ლაპარაკში ბატონიშვილი თამარ გვიყურებდა, და არას ამბობდა. შემდეგ გიორგიმ მე მითხრა: კარგი, დაჩუმდი, ბევრს ნულარ ლაპარაკობო. ამ სიტყვის შემდეგ მოყვევით ლაპარაკს თავისუფლებაზედ, ესრეთ: დიახ კარგი არ იქნება, რომ საქართველო თავისუფალი იყოსო. მაშინ გიორგი წამოდგა, და თქო: ბატონიშვილო თამარ, ახლა ჩვენ გვსურს საქართველო განვათავისუფლოთო. – მასკვან ბატონიშვილმა გვითხრა: რომლის ძლიერებითა, და ან რის შემწეობითაო. – მასკვან გიორგიმ უთხრა: ჩვენ გვაქვს დაწყობილი საქმეო. – მასკვან გვითხრა: დამიჯერეთ, ვერასა იქთო, და უბრალოდ ნახდებითო, და დაილუპებითო. – ამ სიტყვაზე ყველანი გავჩუმდით, და მაგდენი ხანი აღარ გავიდა, რომ ავდექით და წამოვედით. – შემდეგ ამისა, რაოდენჯერმე ვყოფილვართ თამარ ბატონიშვილთან კორნეტი გიორგი ერისთოვი, ელიზბარ ერისთოვი, მე, და ჩემი ძმა ვახტანგ არ მახსოვსკი, რამთენჯერ ვყოფილვართ, და ოდესცა მასთან ვიყვენით ხოლმე, ყოველთვის თავისუფლებაზედ ვლაპარაკობდით, ამერიკაში და შვეიცარიაში ვითარი რჯული აქეთ. ისინი ილაპარაკებდნენ ხოლმე, ესე იგი, თამარ ბატონიშვილი, გიორგი, და ელიზბარ.⁵ – მეც ვიტყოდი ხოლმე: აი, ლეკებნიც თავისუფალნი არიან შიგნით დაღისტანში მეთქი, მაგრამ მე კი არ მამწონს მათი ქცევა მეთქი. – მასკვან ისინი მეტყოდნენ ხოლმე: რას ამბობ, მაგისტანა თავისუფლება ხომ არ აქეთო, სულ რიგ-

ზედ აქვთ დანყობილი, და კარგათაო. – მასკვან თამარ ბატონიშვილი იტყოდა: თავისუფლება დიახ კარგი და კეთილი არისო, და ოდესცა ჩვენს 1832-ის წლის საქმეს რომ ვეტყოდით ხოლმე, რომ ამ წელს ვფიქრობთ, რომ ბუნტი მოვახდინოთო, ესკი არ მოსწონდა. ამბობდა ხოლმე: ჯერ დრო არ არისო, ღმერთს დაცალეთ, იმან იცის ყოველიფერიო. – იმ პირველი ღამის განკარგულება ელიზბარს ეანბო თამარ ბატონიშვილისათვის, და ჭეშმარიტებით, რომ უთოთ ბუნტს ვაპირებთო. – ამ დროებში მე მივედი სანახავად თამარ ბატონიშვილთან, და მითხრა: ნეტავი რას აპირებთ, ან როგორ შეიძლება ისეო, როგორც ელიზბარმა მიანბოვო. კიდევ მითხრა: მოიცადეთ, აგრე ნუ იქთო, თორემ *ასიათასი* სალდათი სულ ხომალდებით შავი ზღვით იმერეთზე გამოვლენო, და მაშინ სულ ერთიანად დაინთქმით, და დაილუპებითო, კიდევ ღმერთს დაცადეთ, და მოითმინეთო. – მასკვან მე უთხარ: მე რა ვქნა მეთქი, ჩემნი ამხანაგები ასე აპირებენ და მე უარი ვერ მითქომს მეთქი. – მასკვან მითხრა: აი შენთვის მითქომს, და თუ თქვენ რა ქნათ გამოგიჩნდებათო. – ამ სიტყვით გავეყარე, და ნამოველ შინა. შემდეგ ამისა აღარ მინახავს თამარ ბატონიშვილი. –

მე ამ თამარ ბატონიშვილის გარემოებას პირველს პოკაზანიამივივე დავსწერდი, მაგრამ, *პირველად* მჭირს მე პოხოხდრია,⁶ და ამის გამო დიდი გულმავინცი ვარ, და *მეორედ*, გონებით სულ დაკარგული ვიყავი, და დაბნეული, სრულებით არ მაგონდებოდა, თორემ არას დროს არ დავზოგავდი, და სულ ასე აღვწერდი, ვითარცა ზემორე ყოველი აღვწერე. აკი ოქროპირ ბატონიშვილისა რომ მამაგონდა, სულ ნამდვილად აღვწერე მაშინვე. – ოქროპირ ჩემი მეორე ძმა არის, და თამარ ბატონიშვილი ჩემი მეორე და არის.⁷ თუ რომ სიყვარულს ვიტყვით, რომ თამარ ბატონიშვილი მეტად მიყვარდეს, მე შემოძლია ფიცით მოვახსენო და დავარწმუნო კომისია, რომ ჩემი დამლუპავი ადამიანი სრულებით არ მიყვარს. არამც სიყვარულს, საუკუნოდ ვწყევლი თამარ ბატონიშვილს, რომ ამისთანა შხამი გადმამასხა, და საუკუნოდ ჩემი და ჩემის ცოლშვილის ცოდვაში ჩადგა, თორემ მე თამარ ბატონიშვილს უთავაზებ, და ან პატივსა ვცემ, რომ იმაზე არა დამეწერარა, მაგრამ ღმერთს ვფიცავ და ღვთის მშობელს რომ ამ ჩემი პოხოხდრიისგან, და გონების დაკარგვის გამო, არარა მაგონდებოდა იმაზე, თორემ სრულიად მაშინვე, პირველს პოკაზანიამივივე, აღვწერდი. უკეთუ კამისიას სურდეს, ჰკითხოს ჩემს ამხანაგებს თვითო თვითოთ, ვითა პოხოხდრია ვარ, ანუ გულმავინცი. თი-

თონ კომისიამ უწყის, და ცოცოტაობით მამგონებია თამარ ბატონიშვილის გარემოება, და ისე ცოცოტაობით დამინწერია, და ყოველი ჩემი გულის წმინდით აღმიარებია. –

ახლა მის იმპერატორებითის დიდებულების წინაშე მამაქვს ჩემი თავი დამნაშავედ, მაგრამ ესეც უნდა მოვასხენო, რომ ეს განძრახვა არა ჩემის გონებიდგან წარმომდგარა, არამედ ნათესავებმა შემკრეს, და მეორედ ესეც მესმოდა სხვათაგან, რომ ის ნათესავები ჭკვიანნი, და კეთილის გამძრახველნი არიანო, რომელიც მიჩრევდნენ თვით ის ნათესავნი, რომ ვითომც კეთილი რჩევა ყოფილიყოს იმათი აზრი. ახლა ვგრძნობ, არამც კეთილი განძრახვა, და სწავლა ყოფილიყოს იმ ნათესავებისა ჩემი, არამედ ბოროტი შხამი დაუღევიანებიათ ჩემთვის. ამასთან სხვანი მრავალნიც მიქადაგებდნენ დღე ყოველ, რომელიც შემეყვანეს შეცთომილებაში, და ამ უბედურებაში. ახლა ყოველდღე ცრემლსა ვღვრი, ვტირი, ვინანვი, და ვწყევლი ჩემს თავს, რომ რად შევცდი, მაგრამ რა ვქნა, ამ ჩემს შეცთომილებას უკან ველარ დავაბრუნებ. – ამისთვის ნუგეშად მაქვს, რომ ყოვლად მოწყალე ჩვენი ხელმწიფე იმპერატორი არის მოწყალე, და ბრწყინვენ ელვარებითა მისნი მოწყალეზანი მის ერსა ზედა, და ადიდებენ ქებითა მას, ამისთვის დავემხოზი მის მოწყალის იმპერატორებითის დიდებულების ფეხთა ქვეშ, და ვითხოვ შემცოდებლობის მოტევებას.⁸ უკეთუ ესე მეღირსება, მაშინ ვფიცავ წინაშე იესოს ჯვარისა, და წმინდის სახარებისა, რომ ჩემი უკანასკნელი წვეთი სისხლი იქნება მსხვერპლად მის იმპერატორების დიდებულისათვის მარად. –

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„20-ს“ თებერვალს. 1833-სა წელს.

28. ჩვენი 1833 წლის 22-24 თებერვლისა

კომისიასა შინა!

იმ დღეს კომისიასა შინა თავადმა იასე ფალავანდოვმა პრისუსტივე ლენერლებთან აღიარა, ვითომც ის ყოფილიყოს შპიონი, და ჩვენი ყოველი განძრახვა უნდა შეეტყო, მაშინ, როდესაც რომ ჩვენი საზოგადოება მას პირველს ჩვენად რაცხდნენ, და დიდათაც პატივსაც ვცემდით იქამდისინ, რომ, თუ სადმე შევიყრებოდით ჩვენ ხოლმე და იასე ფალავანდოვი იქ არ იქნებოდა

ხოლმე, მაშინ ჩვენის საზოგადოების რომელიმე უნდა წასულიყო ერთეთი, რომ ბიჭს არა ვკადრებდით ხოლმე, რომ ისე უნდა მოგვეწვია, და ეს მიკვირს მე, რომ იასეს რაი და ან ვითარი დაფარული რა უნდა გამოეჩინა, რომ შპიონი ყოფილა.¹ – ვინც თავს ვიყავით ჩვენი საზოგადო, ბოლოსაც ისინი ვიყვენიით, რასაც უწინარეს ვლაპარაკობდით, შემდეგი ლაპარაკი ერთი და იგივე იყო, არა მოჰმატებია რა ჩვენს საზოგადოსა და თუ ნაკლებულეზებასა შინა არ იყო. – ჩვენი ჩინებული საზოგადო ესენი იყვნენ: *პირველი* ელიზბარ ერისთოვი, *მეორე* სოლომან დოდაევი, *მესამე* თავადი იასე ფალავანდოვი, *მეოთხე* მე, *მეხუთე* ზალავთანდილოვი, *მეექვსე* ყიფიანოვი, *მეშვიდე* ჩემი ძმა ვახტანგ, და *მერვე* მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი. ესე მე სულ მახსომს, რომ ოთხჯერ თუ ხუთჯერ მასთან შევსულიყავით და ჩვენთან ხომ სულ არ მოვიდოდა, *მეცხრე* თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი, და 1831 წელსა მოგვემატნენ პეტერბურღელები: *პირველი* ზაქარია ჩოლაყოვი, *მეორე* ჩემი დედიდაშვილი გიორგი ერისთოვი და *მესამე* თავადი დიმიტრი ერისთოვი. – აი ჩვენი ძლიერი საზოგადოება, და ჩვენ გვსურდა, რომ საქართველო განგვეთავისუფლებინა და არ ვიცი კი რომ იასე ფალავანდოს რა უნდოდა, რომ შეტყო ჩვენი. როცა 'შევიყრებოდით, კიდევ იმას ვლაპარაკობდით, რაც გველაპარაკა – ხაზინა ჩვენ არა გვექონდა, თოფხანა ჩვენ არა გვექონდა, არაფრისთანა მომზადება ჩვენ არა გვექონდა, ჯარები ჩვენ არა გვეყვანდა, თვინიერ იასეს *ორასი* კაცის მეტი, და ეხლა ესეც არ ვიცი, მართალს ამბობდა თუ არა. – მე ვანბობდი *ორმოცს*, და ელიზბარ ამბობდა *ორმოცს*. აი ჩვენი პირველი ძლიერება, რომლებითაც რუსები უნდა დაგვემარცხებინა ამითი. – თუ რომ უნდოდა იასე ფალავანდოს, რომ ესენი შეტყო, მაშ ხომ თითონ დაწერა პირველი ღამის რასპარაჟენიე,² მაშა სადამე თავის თავზე ყოფილა შპიონი, ამისთვის რომ *ორასი* კაცი იმას ჰყვანდა და რასპარაჟენიეც ხომ იმანვე დაწერა, რომ *მეთორმეტს* დღეს თუ *თოთხმეტს* დღეს უკან ის დაწერილი რასპარაჟენიე წამიკითხეს. – მართალია, ჩვენი საზოგადოება ბევრს ცარიელ ლიტონის სიტყვით დიას კარგი ლაპარაკი გვექონდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ რომ დავხედავდით საქმეს, ბევრსაც ვიცინებდით ხოლმე. – დაწყევლილები იყვნენ ბატონიშვილები, რომ ამისთანა მშვიდობიანს მხარეს ცეცხლი ჩამოაგდეს, და საწყალი ხალხი გაგვაბრიყვეს, თორემ რა ჩვენი საქმე იყო, და ან რა საფიქრებელი იყო ესეთი

აზრი ჩვენგნით. – მე სწორეთ მოვახსენო კამისიას, ოდესცა ვარ-შავა აიღეს, და პოლიაკები დაჰორგუნეს, შემდეგ მე სულ განძრახვა არა მქონია, რომ მეღა წინააღმდეგობა რამე გამეცლო არამც საქმით, არამედ ფიქრშიაც აღარ მინდოდა მქონიყო, მაგრამ რომ არ მეშვებოდნენ ჩემი ამხანაგები, ვერა ოდეს ერთს სწორეს, და მართალს სიტყვას ვერ ვეტყოდი ხოლმე. მაშინვე ყელში მამწვებოდა ელიზბარ ერისთოვი, და ლანძღვას დამინწყებდა ხოლმე. რა ვქნა, მე იმისთანა უბედურს ეტლზედა ვარ დაბადებული, რომ მე უარს ვერ ვეტყოდი ხოლმე, თორემ კამისია სცნობს, და ვგონებ ცნობილიც არის, რომ მე როცა ავად ვიყავი და ზაქარია ჩოლაყოვი ჩემთან იყო, იმ ღამეს მე ელიზბარ ერისთოვს ვითარ ვეჩხუბებოდი, და ან ელიზბარ ვითარ მეჩხუბებოდა, თითქმის მაგინებდა. მე ვეუბნებოდი სულ ხელის აღებას, და ამაზე ელიზბარს ერთი ყოფა, და ერთი ამბავი ჰქონდა. და ან იასე ფალავანდოვმა ვითარ შემიპყრა. – *პირველი*. თუ იასე ფალავანდოვი შვიონი იყო და 1832-სა წელსა, ზაფხულს, ოდესცა მე ლუბენატორთან საქმე მქონდა, და ბალკონზე დავდიოდი, მაშინ იასე ამოვიდა, და ცალკე გამიყვანა. მითხრა: რისთვის მოსულხარო. მე ყოველი ჩემი საქმე უთხარი, და ესეც, რომ ახლა შენი ძმა ქართველი ლუბენატორი არის მეთქი, და ჩვენ ორბელიანოვთ საქმე და გარემოება დიახ კარგათ იცის მეთქი, როგორ მჩაგვრენ ორბელიანოვები მეთქი, და ჩემ მხვედრს წილს არ მაძლევენ მეთქი, და ახლა შენი ძმის შემწეობით უთოთ იმედი მაქვს, რომ მივიღო მეთქი. – მასკვან მითხრა: ისევ გერჩივნა რუსი ყოფილიყოვო, და არა ჩემი ძმაო. მასკვან მე უთხარ: რას ამბობ, თუ ღმერთი გწამს მეთქი, ასე გასინჯე, ხელმწიფე იმპერატორი ასე გვწყალობს მეთქი, რომ ქართველი ლუბენატორად მოგცვა მეთქი. – მიყურა, და მითხრა: ასე ჩქარა როგორ შეგეცვალათ ფიქრი ქართველებსაო. ასე გგონიათ ქართველებსაო, რომ ქართველი ლუბენატრად გვიზის, ყოველის მწუხარებისაგან დაიხსნებიან ქართველებიო. ღმერთს ვფიცავ, რომ ასე შეგანუხოთ ამ ჩემა ძმამაო, რომ თავბედი განყევლინონო, მე ყოველი ფერი დიახ დაწვლილებით ვიცი მთავრობის საქმეო. ეს ქართველი ლუბენატორის მოცემა სულ მოჩვენება არისო, და შენც ტყუილად ცდილობ, ჩემი ძმა არაფერს შემწეობას არას მოქცემსო, და ბევრს განვალებს და მოგატყუებსო, სხვა ამის მეტს არაფერს არას მიიღებ შენაო. – მე, ამავების გამგონმა, უთხარ: იასე, რა დაგმართვია და ან რაზე გაგიჟებულხარ მეთქი.

აბა მითხარ, მაშ რა ვქნა მეთქი, ან ჩემს საქმეს რა უნამლო მეთქი. – მასკვან მითხრა: ახალი ზაგოვორი გავაკეთოთო. მასკვან მე უთხარ: თუ ღმერთი გნამს მეთქი, კარგი, ხელი ავიღოთ, ახლა ხელმწიფე ვადიდოთ, და იმის დღეგრძელობისათვის ვილოცოთ მეთქი, მაშინ, პოლშის ბუნტის დროსაც, შემცდარი ვიყავი მეთქი, თორემ აბა კარგათ იფიქრე, ვის ვებრძვით მეთქი. მასკვან მითხრა: აბა ადრევეც მაგას გეუბნებოდიო, რომ ქვეშაგებში კარგნი ვაჟკაცნი ხართო, და უამისოთ თქვენს მამულს ვერა გრძნობთო. მე კიდევ უარი უთხარი, და განვეშორე. – ამ დროს ღუბენატორი გამოვიდა, და რაც საქმე იყო, ვისაქმე, და ნამოველ შინა. – მე იასეს ესრეთ პატივისა ვცემდი, თითქმის მეგობრად ვსახევი, და თუ ჩვენს საზოგადოებას ზაგოვორი დაგვეწყო, მაშინვე იასეს ვაცნობებდი უთოთ, და მაშა სადამე რალა უნდა შეტყო, რომ ამ ზემორე აღწერილს მელაპარაკებოდა, და ესრეთ უკმაყოფილოთ გამამისტუმრა იასემ, რომ ვთქვი: 30 წელიწადი არის, რაც ჩემი სახლი კაცები მანვალებენ მეთქი, და ეხლაც ეს გავიგონე იასესაგან, მაშ როდის მეღირსება სამართალი მეთქი. – **მეორე.** რაისათვის გვეუბნებოდა მე და ელიზბარ ერისთოვს იასე ფალავანდოვი იმავე ზაფხულს, თავის სახლში, რომ რუსებს ფრანცუცებთან აშლა აქვთო. და მე და შენ ნავიდეთ ელიზბარო და იქ ვისაქმოთ, რადგანაც ჩემ ძმას ჩემ ხვედრ წილს ფულს გამოვართმევო და იმითი ნავიდეთ, გვეყოფაო. – **მესამე.** რაისათვის შეაგულიანა მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი, ოდესცა იასე ფალავანდოვი, და ელიზბარ ერისთოვი წასულიყვნენ ლუარსაბთან, და ეთქო იასეს ცალკე ოთახში: ლუარსაბო, რატო ჩვენ ზაგოვორში არ გაერევიო. – მასკვან ლუარსაბ უარი ეყო, და ეთქო: ის პირველი პოლშის ბუნტის დროს ჩვენი ზაგოვორი ნავიდაო, და ახლა აღარ ვიყაბულეხო, და ხელიც ამიღიაო. – მასკვან იასეს ეთქო: ლუარსაბ, რას ამბობ, ღმერთს გეფიცები სულ ერთიანათ დაილუპები, რომ შენი სახსენებელი აღარ იყოსო, თუ ჭკვა გაქვს ჩვენი მონაწილე შეიქენო. – მასკვან ლუარსაბს ეთქო: მაშ რახან აგრე არისო, ჩემი თავი მოგიკვდეს, თუ ვერ მოგეხმარე, და როგორც შენ გინდა, ისე მომიხმარეო. – ეს გარემოება, ოდესცა მე ავად ვიყავ, მაშინ იასემ და ელიზბარმა მითხრეს. – **მეოთხე.** რაისთვის გზავნიდა ის გაკრეჭილს ღვდელს ალექსანდრე ბატოიშვილთან,³ როდესაც ელიზბარიც აქ იყო ამ ამბავში. – **მეხუთე.** რაისათვის სწერდა იმ პირველი ღამის რასპარაჟენიას და რაისთვის ამბობდა **ორას** კაცსა. – **მეექვსე.** და

რაისათვის ხმა დაჰყარა ხალხთა შორის, რომ ვითომც სალდათს სთხოვენ. – ერთს საღამოზე, ჩემთან მოვიდა დიმიტრი ერისთოვი, და მითხრა: ალექსანდრე, აბა ახლაც ნუ იყაბულებ ბუნტსაო. – მე უთხარ: რა ამბავი არის მეთქი. მასკვან მითხრა: რაღა რა ამბავი არისო, იასეს დაუყრია ხმა ბაზარში, რომ სალდათს სთხოვენო, და ეხლა უეცრათ ბუნტი რომ მოხდეს, რაღა უნდა ვქნათო.⁴ – მასკვან მე უთხარ: თუ ღმერთი გწამს, პატარა მოიცადე, მეც უკეთ შევიქნა, და მასკვან ღმერთმა ინებოს, ისე მოხდეს მეთქი. ამ სიტყვებზე წავიდა. – თუ რომ თავადი იასე ფალავანდოვი ამ საქმეებს ამისთვის ჩადიოდა, რომ ჩვენ საზოგადოს ეჭვი არ მიეტანათ იმისი შპიონობისა, ამისათვის არა ჩვენი საზოგადოს ვისმე ეჭვი არა ჰქონდათ, და დიდათაც პატივსაც ვცემდით. როდესაც სულ რომ დარწმუნებულიყო და ხმა არ ამოეღო იასეს და არაფერი განკარგულება არა მოეხდინარა, მაშინ არასდროს ჩვენი საზოგადო არ დაემდურებოდა მას, არამც თუ ეჭვი რამე ეფიქრათ იასეზე, რომელიც ჩვენ საზოგადოში აგრეთ-ნივე იყვნენ, რომ დიახ ცოტას ლაპარაკობდნენ, თითქმის სულ არა, ესე იგი: ზალ ავთანდილოვი, იოსებ მამაცოვი, დიმიტრი ყოფიანოვი, და ჩემი ძმა ვახტანგ. მაშა სადამე ამათზედ უნდა გვეფიქრა, რომ შპიონები იყვნენ, მაგრამ არა, ჩვენი მონაწილე ამხანაგები იყვნენ. – ამისათვის იასე ფალავანდოვი არამც შპიონი ყოფილიყო, არამედ ჩვენი პირველი ჩლენი იყო 1832 წელს, ზაგოვორისა.⁵ და ეს კი დამავიწყდა, რომ იასე ფალავანდოვი მგზავნიდა ალექსანდრე ბატონიშვილთან, **პირველად** მირჩევდა ყავახანაში, **მეორედ** თავადის ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში, რომელიც ყველამ იციან ეს გარემოება, და მე უარს ვყავ, და არც შამიძლიან ეგეთი წინადადება აღვასრულო მეთქი. მე კიდევ იასე ფალავანდოვის წინადადება ბევრი გამიგონია, და დავინწყებული მაქვს.

პოდპოროჟიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„22-ს“ თებერვალს. 1833-ს წელს.

ამასთან დაუმატებ, რომელიც ეხლა მამაგონდა: ოდეს მე ავად ვიყავ, და შემდეგ კარგად შევიქენ, ერთს დილაზე, მე-თერთმეტე საათზე, მოვიდა ჩემს სანახავად ღვარდიის კაპიტანი თავადი ზაქარია ჩოლაყოვი და მე მსურდა, რადგანაც ჩემი ახლო ნათესავი არის,⁶ სადილათ ვსთხოვე ჩემთან დადგომა. როდესაც

თხოვა აღმისრულა, შემდეგ ნახევარ სათიისა, ვნახოთ, რომ თავადი ელიზბარ შემოიჭრა, და საჩქაროდ ზაქარიას მივარდა ამ სიტყვით: ეხლავ, ლუარსაბმა დაგიბარა, ნავიდეთ, ამ ჩვენს საქმეს სალაპარაკოთო. – მასკვან მე უთხარ: ელიზბარ მეთქი, ეს კაცი ჩემთან არის სადილად მეთქი, და სადილს უკან სადაც გინდა წაიყვანე მეთქი, რომელსაც არც ზაქარია ჩოლაყოვი მისდევდა, მე ალექსანდრემ დამპატიჟა სადილათაო, და მას ვერ გაუშვევო, და ახლა ვერ წამოვალო. ამ სიტყვებზე დიდათ გაგვიწყრა და მგონია ლანძღვით შემოგვწყრა, და ისე გავიდა ჩვენგნით. – კიდევ თხუთმეტი მინუტი რომ გავიდა, ვნახოთ, რომ ლუარსაბ ორბელიანოვის კაცი მოვიდა ჩემთან, და ბარათი მოუტანა ზაქარია ჩოლაყოვსა, ელიზბარ ერისთოვის დანერილი, ლუარსაბ ორბელიანოვის მაგიერათ სათხოვარი დიდის ხვენით, რომ ჩემო საყვარელო ზაქარიას, უთოთ გამოდი აქ ჩემთან სადილათაო. – ზაქარია კიდევ არ მიდიოდა, და მასკვან მე უთხარ: ზაქარიავ, წადი, თორემ ჩემგნით ეგონება და სახლი კაცობის მტრობაში ჩამამართვეს მეთქი. და ის ელიზბარიც გინებას დამიწყებს მეთქი. შემდეგ ნავიდა ზაქარია ლუარსაბთან. – ამისთვის მოვახსენებ კომისიას, რომ ელიზბარ ერისთოვისაგან არც ერთს ჩვენ არავის არას გვექონდა მოსვენება არც დღე და არც ღამე, რომ უთოთ ბუნტი უნდა მოეხდინა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი „24-ს“ თებერვალს. 1833-სა წელსა.

29. ჩვენება 1833 წლის 25 თებერვლისა

კომისიასა შინა!

გასრულს 1831-სა წელსა, გაზაფხულზე, ერთს დილაზე, მოვიდა ჩემთან ელიზბარ ერისთოვი, და მითხრა: ნუხელის ერთი კარგი რამ ვიფიქრეო. მე უთხარ: რა მეთქი. – ამ უჩებნი ბატალიონში *ოთხი* ქართველნი, აფიცრები, არიანო: *ერთი* დავით ჯორჯაძეო, *მეორე* დავით ნათალიშვილიო, *მესამე* ჯიბრაილ წერეთელიო, და *მეოთხე* კი აღარ მახსომს, ვინა თქო. – აი ამ აფიცრების ძალით ჩვენ შეგვიძლიან, რომ უჩებნი ბატალიონი მოვისყიდოთო. – ის დავით ჯორჯაძე ხომ ჩვენი არისო, და მასაც ვეცყვიო, ჩემს სიტყვას ვერ გადავაო, ნათალიშვილი შენი მამიდაშვილი არისო, და წერეთელი კიდევ შენი სიძე არისო.¹ ესენი შენ იშოვნეო, და

ამ რიგათ მოვახერხოთ. **სამოცი** ქართველი კაცი ვიმოვნოთო, სალდათურათ ჩავაცოთო, და იმ აფიცრებს ავატანოთ შუა ღამისასაო, კაზარმებშიაო და, რაც თოფები არის სალდათებისა, სულ კარში გამოზიდონო და დილაზე შევიდეთ ჯარითაო, და იმ სალდათებს პრაკლამაციას ველაპარაკოთო, რომ მოვისყიდოთ ის ბატალიონიო, და მასკვან იმ ბატალიონის ძალით ვიმოქმედოთო. მე დავფიქრდი ამაზე და მასკვან მითხრა: რაღას ფიქრობ, უთოთ ასე აღვასრულოთო. – მე უთხარ: აგრე იყოს მეთქი, და ვეცდები, რომ უთხრა ამ ჩემ ნათესავ აფიცრებსა მეთქი. – და მასკვან მითხრა: ეხლა დავიბარებ დავით ჯორჯაძესაო. – რომელიც წავიდა ჩემგნით, და ორს დღეს უკან მოვიდა ჩემთან ელიზბარ, და მითხრა: ნუხელის ჩემთან იყო დავით ჯორჯაძეო, და უთხარო, რომელიც აღმითქვა, უთოთ აგრე აღვასრულებთ. – მასკვან მე მითხრა: შენ რაღა ქენო, უთხარ თუ არაო. მასკვან მე უთხარ: რა ვქნა, ძმავე მეთქი, ვერ გამიბედნია, და არ ვიცი, როგორ უთხრა მეთქი. – მასკვან მითხრა: გეფიცები, უთოთ უთხარ, თორემ სადაც შემხვდება, უთოთ მე ვეტყვიო. – მასკვან მე უთხარ: თუ ღმერთი გიყვარს, დაჩუმდი მეთქი, რა გინდა, მე ვეტყვი მეთქი. – ამაში გავიდა **ათი** თუ **ორი** კვირა. ყოველ დღე მინდოდა, რომ მეთქო, მაგრამ ვერ გამებედნა. ამაში ელიზბარ ძალას მატანდა: უთხარ, და უთხარ. რომ აღარ იქნა, ერთს დღეს, სადილს უკან, ცოტა მომატებული ღვინო დავლიე და დაუძახე: დავით, შენთან ერთი საიდუმლო მაქვს მეთქი. მაშინ ჩემ სახლში იდგა. მითხრა: რა გინდა მითხარიო. ჯერ დავაფიცე, რომ არავისთვის არ ეთქო. შემდეგ ყოველი ჩვენი განძრახვა უანზე და შემდეგ უჩვენნი ბატალიონის მოსყიდვა. – ამ სიტყვაზე დიდად შეკრთა, და მითხრა: ოჰ, ეგ რა მითხარიო, თუ შენ ჩემი ძმა არ იყოვო, ღმერთსა ვფიცავ, რომ ეხლავ გავიჭრებოდი, და მთავრობას ვაცნობებოდიო. – მასკვან უთხარ: რას ამბობ, ძმაო მეთქი, მთელი ქართლი, და კახეთი ემზადებიან, და შენ მარტო რას გახდები მეთქი. ამ სიტყვაზე დაფიქრდა და სწორე არა მითხრა. – შემდეგ გავიდა ამაში ერთი კვირა, და ყოველდღეს ველაპარაკებოდი, და კიდევ სწორე ვერა რა შევიტყე. – შემდეგ ერთ დღეს ჩემთან იყვნენ ელიზბარ, და გიორგი დავითისძე ერისთოვნი, ჩემი ძმა ვახტანგ. იმ დროს ჩემი მამიდაშვილი, დავით, შემოვიდა ჩვენთან. და ახლა აქ უთხარ ამათთან, და მასკვან ამათ დაუწყეს ლაპარაკი. ნახა რომ ესენიც მონანილენი იყვნენ და მაშინ აღმითქვა, რომ უთოთ ეცდება. – შემდეგ ამისა რაოდენიმე დღე გავიდა, და დავით ნა-

თალოვმა მითხრა: ეს საქმე ხომ კისრად ამაღებინეთო, მაგრამ, თუ ღმერთი გნამს, მოდი, დაეხსენით ამისთანა განძრახვასაო. – მასკვან მე უთხარ: მარტო მე და შენ ხო არა ვართ მეთქი, დიახ ბევრი მონაწილე გვირევია მეთქი. მასკვან მითხრა: კაი, თქვენ იცითო. – **მეორე.** ერთს შუადღის დროს ნაუჩენიიდან მოვიდა ეს ჩემი მამიდაშვილი დავით ნათალოვი, და მითხრა: ეხლა ერთს აფიცერთან ვიყავიო, და ლაპარაკსა შორის მითხრა, რომ ამ ღუბენატორს ზავილეიციკის **ოთხმოცდაათი** ჩინოვნიკი თურმე ჰყავს მოსყიდულო, რომ აქ ბუნტი მოახდინოსო. მასკვან მე და დავითმა ვთქვით, რომ პოლიაკი არის ზავილეიციკიო და იმისთვის უნდა ბუნტიო. ეს გარეობება ჩემა ძმამ ვახტანგ-მაც იცის. – **მესამე.** ერთხელ ლაპარაკში მე უთხარ ჯიბრაილ წერეთელს, რომ რუსები შენ დიდათ გიყვარს მეთქი. – მასკვან იმან მითხრა: შენ ნუ მოუკვდები ჩემთავს, რომ მე რუსები არ მიყვარდესო, და თუ მოხდება რამეო, რომ პირველი წინააღმდეგი მე ვიქნებიო. – მასკვან მე უთხარ: რა გიყვეს რუსებმა, რომ აგრე ემუქრი მეთქი. მასკვან იმ ჯიბრაილ წერეთელმა მითხრა: აბა რათ ვიქნები ერთგული შენ გაზდასაო, რომ ჩემი ძმა ივანე გამისალდათესო, და აგრე ცამეტი წელიწადი თუ თოთხმეტი წელიწადი სალდათათ არისო, რომელიც საწყალი დასნეულდა პოხონდრიის მიზეზით, და სულ ავანტყოფობსო, და მგონია მოკვდეს კიდეცაო. კვლავადა თქო: ვაი თუ მოხდება რამეო, მე ვიცი, რასაცა ვიქო. – მე ესენი რომ გავიგონე, აღარა გამოუცხადე, და დავჩუმდი. – **მეოთხე.** მე და თავად ივანე ზალისძეს ბარათოვს რაოდენჯერმე გვილაპარაკია, საქართველოს განთავისუფლები-სათვის რუსებისაგან, და მე ლაპარაკსა შორის მითქომს მისთვის, რომ აქ იმისთანა საზოგადოება არის მეთქი, რომელთაც სურთ მეთქი, ესე იგი, ლუარსაბ ორბელიანოვი, თავადი ელიზბარ ერისთოვი, და შემდეგნი ყოველი მითქომს. – მასკვან თავად ივანე ბარათოვს უთქვამს, რომ ვითომც თავად დავით, და მის ძმას დიმიტრის თარხანოვთ ჰყვანდეთ საზოგადო, რომ ვითომც იმათაც სურდეთ საქართველოს განთავისუფლება. და შემდეგნი სხვა საზოგადონი კი არ უთქომს ჩემთვის, ვინ არიან. – ესკი აღარ მახსოვს, რომ თავდაპირველად მე და თავადი ივანე ბარათოვი ვითარ შევერთდით, და ხშირად გვილაპარაკნია ესე ჩვენი განძრახვა 1831-სა წელსა, და 1832-სა წელსაც.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„25-ს“ თებერვალს. 1833-სა წელსა.

30. ჩვენება 1833 წლის 28 თებერვლისა

კომისიასა შინა!

კითხვასა ზედა კომისიისა მოხსენება. – *პირველი*. წარსრულს 1831-სა წელსა, ოდესცა თავადმა გიორგი დავითისძემ ერისთოვ-მა გამაცნო თავის სახლსა შინა იმერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე, და მე წყალობა რომ მთხოვა, მან, ლორთქი-ფანიძემ, ცრემლით და ღარიბი ვარო, და გთხოვო წყალობა რამ მაჩუქეო, რომელიც თავადმა გიორგი დავითისძემ ერთი შინე-ლი მაჩუქაო, და მე დიდათ შებრალებისა გამო *ორი*, თუ *სამი* ოქრო ვაჩუქე. – და ამ ლორთქიფანიძეს ელიზბარ და გიორგი დავითისძე ერისთოვნი და მე პირად ვეუბნებოდით ხოლმე: ეხლა იმერეთს რომ წახვალ, უთოთ ეცდები შენ ხალხის მორბილება-სა, ვისაც მისი გული ენდობა. – მან, ლორთქიფანიძემ, გვითხრა, რომ წერილით მომეცით დარიგება, როგორ მოვიქცეო. – ამის მეორეს დღეს, სადილს უკან, მოვიდა ჩემთან ელიზბარ და მითხ-რა: შენ რომ ის სხვა ხელის წერა იციო, იმ ხელით დაწერეო. მასკვან მე უთხარ, რომ აჩვენოს ვისმე მეთქი? არავის არ აჩვენ-ებსო. მასკვან მითხრა: ადევ, კარგი, ნუ გეზარება, დაწერე, მე გეტყვიო. – როდესაც ავდეგ და დამანერინა, არ ვიცი, *რვა* პუნ-ტი იყო თუ *ცხრა*, ესე იგი, *პირველი* ღვინოში გაუფთხილდეს უბრალოს ლაპარაკს, *მეორე*, ვისაც ენდობოდეს, იმას უთხრას ესე ჩვენი განძრახვა და შემდეგნი კი აღარ მახსომს რა იყო, და ან რა დარიგება იყო, რომელიც გიორგი ერისთოვმაც ნახა და მოიწონა ის დარიგება: დიახ კარგიაო, და ჩვენ სამთავ, როგორც მახსომს, ერთათ მივეცით ის დარიგების წერილი თეიმურაზ ლორთქიფანიძეს. – ერთს სალამო ჟამზე მოვიდა ესე თეიმურაზ ლორთქიფანიძე ჩემთან, და ერთი ყმანვილი კაცი, იმერლის თავადიშვილი, მოიყვანა ჩემთან. და მითხრა: ეს არის გურიის დიდი კაცის შვილი ზურაბ ერისთოვიო და თქვენ გასაცნობათ მოვიყ-ვანეო, რომელიც ზურაბ ერისთოვმაც მთხოვა, რომ მახლობლად გამეცნა. – მე დიახ პატივი ვეცი დიდი კაცის შვილობისა გამო, და ჩემთან ჩაი დალია. შემდეგ ჩაისა, წავიდა ჩემგნით, და წასვ-ლის დროს მთხოვა რომ დიახ ახლო მეგობარი ვყოფილიყავ იმი-სი, და წიგნი მიმეწერა, რომელსაც შემდეგ რაოდენისამე თვისა წიგნიც მივწერე. ეს კი არ მახსომს, იმისი წიგნი მამივიდა პირ-ველად, თუ მე მივსწერე. – ორივ მოკითხვის წიგნი იყო იმ ზუ-რაბ ერისთოვისაც ჩემთან და ჩემიც აგრეთვე მოკითხვისა იყო.

იმ ჩემ მიწერილს წიგნში იყო მოკითხვა თეიმურაზ ლორთქიფანიძისა, და ესეც, რომ რად დამივიწყა მეტი. – იმ თეიმურაზ ლორთქიფანიძემ კიდეც ერთი იმერლის, არ ვიცი, თავადიშვილი იყო, თუ აზნაურშვილი, ბრმა იყო ცალი თვალით, ისიც გამაცნო. – არც გიორგი ჩიჩოვაძეს ვიცნობ, არც ნიკო ჩიჩოვაძეს, არც ბესო ლორთქიფანიძესა, და არც აზნაურს ზალიკო ჩახუნაშვილსა, მაგრამ ეს გვარი კი როგორღაც მახსოვს. – გრიგოლ წერეთელს ვიცნობ, მაგრამ თვინიერ ხელმწიფის ერთგულების მეტი სხვა არარა შემიტყვიარა მისი. – ჩვენი საზოგადო არას დროს შემწედ არა რაცხდნენ იმერეთსა. – ოდესცა თეიმურაზ ლორთქიფანიძე წავიდა იმერეთში, მას შემდეგ მე იმისი აღარ ვიციარა. – იმ თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ნამდვილად ახლო მცნობნი ელიზბარ და გიორგი დავითისძე ერისთოვნი, ზაქარია ციციანოვი და ჩემი ძმა ვახტანგ, ესენი არიან და რომელთაც ვგონებ, რომ იცნობდენ სოლომან დოდაევი, ზალ ავთანდილოვი და იოსებ მამაცოვი. – *მეორე*. დუშეთის ისპრავნიკის პაუშენკოს გარემოება ესენი არის, და იმ პაუშენკოს რჩევა ესენი უთქომს ჩემთვის, რაც მახსოვს, და მაგონდება, ესე იგი უნდა საზოგადო გაამრავლოდ, და შემდეგ, როდისაც ყოველმა იყაბულოსო, მასკვან ყველგან ისე დაწყობილი უნდა იყოს საქმე, რომ ერთს სათს უნდა მოხდეს აღსრულება, და ყოველს პოლკებს ერთს სათში უნდა დაესხათო, იმ პოლკებში ქართველი აფიცრებიც უნდა მოზიდული გყვანდეთო, რომ იმ აფიცრებმა უნდა დაუნყონ ლაპარაკი სალდათებსო, რომ მოიზიდონო, სალდათი ადვილად მოიზიდება, და მოტყუვდებაო, შემდეგ, პოლკებს რომ მოისყიდითო, მასკვან თქვენ იქნებით იმათი ბძანებელიო, და როგორც გინდათ, ისე მოიხმარებთო, და სადაც შემოსასვლელი ადგილები აქვთ რუსეთიდგან ჯარსაო, იქ დააყენებთო ამ მოსყიდულ ჯარსაო, და ველარაოდეს ვერც შემოგივლენ რუსეთიდგან ჯარებიო, ამისთვის, რომ მაგარი ადგილები აქვს საქართველოს, ამაში ქართველებმაც ჯარები გაანყეთო, და მაშინ სულ აღარას დროს აღარ შეიძლება რუსების აქ შემოსვლაო, კიდეც ესო, რომ დიდრონს კაცებს შორის ხმა დაჰყარეთ, რომ მითომც იმათ რუსეთში გადარეკას უპირებენო, და ამას რომ გაიგონებენ, მაშინვე თითონ ისინი შეუდგებიან, და ბუნტს მოახდენენო. – რომელიც ხმაც დავყარეთ, რომ ვითომც დიდრონის კაცების გადასახლებას აპირებდნენ რუსეთშიო. მე და ამ პაუშენკოს დიახ ხშირად გვილაპარაკნია ერთათ, მაგრამ ეს კი არ მახსოვს, რომ ვითარ

გავიცან ამ ჩვენ განზრახვასა ზედა, რომელიც თავად ელიზბარ ერისთოვი მე გავაცან პაუშენკოს და იმასთანაც ბევრჯელ ულაპარაკნია. – სხვანი კიდევ იცნობდნენ პაუშენკოს ამ ჩვენს განზრახვასა ზედა: ჩემი ძმა ვახტანგ, თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი, ივანე მიხაილისძე ერისთოვი, და, მგონია, კარნეტი გიორგი ერისთოვიც იცნობდა ამ ჩვენს აზრსა ზედა შემდეგ მოსვლისა მის გიორგისა. – **მესამე.** კოლლეჟსკის სოვეტნიკის ანდრეი იაკოვლიჩის მელნიკოვისა არა ვიცირა თვინიერ ამის მეტი, რომ მთავრობისა დიდი მომღურავი იყო, და უკმაყოფილო, და ესეც ბევრჯელ გამიგონია მელნიკოვისაგან, რომ ეს ზავილეიციკი ასე ანუხებებს ხალხსაო, რომ ბუნტს მოახდენს, თუ არ გამოსცვალებსო. – **მეოთხე.** პრაპორშჩიკ მამაცოვთან მე ამ ჩვენს განზრახვასა ზედა არა მილაპარაკნია, მაგრამ ვიცოდი, რომ რუსეთში ბატონიშვილს დიმიტრისაგან ჰქონდა ჩაგონებულის, ამისთვის, რომ ელიზბარ ერისთოვისაგან გამიგონია, და აქ ელიზბარ ერისთოვსაც, მგონია, რომ ხშირად ჰქონიყოს ლაპარაკი ამ მამაცოვთან. – **მეხუთე.** 1831-სა წელსა, აღარ მახსოვს ზაფხული იყო თუ გაზაფხული, ერთს დღეს, შუადღისას, ადრე შევხვდი მღვდელს ეგნატი იოსელიანოვსა, პოლიციის მეიდანზე, და ლაპარაკი დაუწყე, და ლაპარაკსა შორის უთხარ: მამაო ეგნატი მეთქი, ახლა მე ვაპირებ რომ ყიზილბაშში წავიდე მეთქი. – მითხრა, რათაო: ამისათვისა მეთქი, რომ ჯარები უნდა მოვიყვანო და აქედამ რუსები უნდა გავიყვანო მეთქი. მითხრა: ეგ როგორ შაიძლებაო, აღარ გახსოვს შაზადა აბაზ მირზას¹ სამოცი ათასი კაცი ჰყვანდა განყობილიო, და კნიაზ ვარშავსკი, ღრაფ ერევანსკი პასკევიჩმა სამი ათასი კაცით დამარცხაო, ეგ რა საფიქრებელი არის, რაც შენ ფიქრობო. მასკვან გაიცინა, და მითხრა: შენ უთუოდ მეხუმრებო, და მე ამის პასუხსა ზედა აღარა უთხარრა, და მცირეს ხანს უკან გავეყარე. – ამ დროებში კიდევ არ ვიცი, სადღაც შემხვდა და კიდევ ლაპარაკსა შორის, უთხარ: მამაო ეგნატი მეთქი, არ შეიძლება, რომ საქართველო განთავისუფლდეს რუსებიდგან მეთქი: მასკვან მითხრა: ეგ არასდროს საფიქრებელი არ არისო, და თუნდა მაგალითად ისიც ვთქვათ, რომ საქართველო თავისუფალი არისო, ხედამ ალექსანდრეო, იმრგვლივ რამთენი რიგი ხალხი ასხედსო, მეორეს დღეს სულ ერთიანად აგვიკლებენ, და წაგვახდენენო, ღმერთმა ნურა ქართველს კაცს ნუ აფიქრებინოსო. – შემდეგ ამისა მე აღარ მახსოვს, რომ მე იმ ეგნატი ღვდელთან შერთება რამ მქონიყოს,

და ან ლაპარაკი.² – **მექვსე.** ჩვენ საზოგადოს, სტაცკის სოვეტ-ნიკს ჩილაევზე ფიქრი გვქონდა ესრეთ, რომ ვითომც იმას აზრი ექნებოდა ჩვენის საგნისა, ამისთვის, რომ, რადგანაც ჭკვიანი და გონიერი კაცი არის უთოთ, ეს აზრი ამასაც უნდა ჰქონდესო. არამც მარტო ჩილაევზე, ვინც საქართველოში ჭკვიანნი კაცნი გვეგულებოდნენ, ყველაზე იჭვი გვქონდა, რომ იმათაც ფიქრი ექნებათო. – და **მეშვიდე.** თავადი გიორგი დავითისძე ერისთოვი, ოდესცა კახეთიდან ჩამოვიდა, ერთს დღეს სასამართლოდგან მოვდიოდი ჩემს სახლში, ამ დროს მელნიკოვის სახლის ფანჯარა ღია იყო, და იმ ღია ფანჯრიდან ელიზბარ ერისთოვმა დამიძახა: აქ ამოდი, საქმე მაქვსო. ოდესცა ავედი, იქ იყო თვით ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი დავითისძე ერისთოვნი. დავხედე სტოლზე: რაღაც რვეული იდო ქალაღლისა. ოდესცა დამინახეს, მითხრეს: აქ მოდი, რა წაგიკითხოთო. მივედი, და მითხრეს: სამი **თითი** მაღლა აიღეო. და იმ სამთაც მაღლა აიღეს, და მეც ამაღებინეს და ის რვეული, არ ვიცი, ვინ წაიკითხა, ელიზბარმა თუ გიორგიმ, ფიცისა და სიყვარულისა ზედა იყო დაწერილი, რომელიც კომისიასა შინა მდებარებს. – მასკვან მე უთხარ: ვისი დაწერილი არის მეთქი. მასკვან გიორგი ერისთოვმა მითხრა: ესე კიკნაძე ბერის დაწერილი არისო, ეხლა რომ კახეთს ვიყავ, იმან მამცაო. – მასკვან მე უთხარ: ეგ ძალიან მაღლა არის დაწერილი მეთქი, და მაიტანეთ, შინ წავიღო, იქ გულ დაპყრობით წავიკითხამ სწორედ გავიგონო მეთქი. – გამოვართვი, ერთი ღამე მე მქონდა, მეორეს დღეს, არ ვიცი, ჩემა ამხანაგთაგანმა ვინ გამამართო, და წაიღო. შემდეგ აღარ მინახავს ის აკტი, და ან ვის დაუფიცნია იმაზე, ისიც არ ვიცი, და არც მახსოვს.³

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
28-ს თებერვალს. 1833-ს ნელს.

31. ჩვენება 1833 წლის 1 მარტისა (I)

კომისიასა შინა!

კოლეჯის სოვეტნიკ ანდრეი იაკოვლიჩი მელნიკოვთან ვყოფილვარ რაოდენჯერმე, და ლაპარაკსა შორის დაუწყია გინება, და ლანძღვა მთავრობისთვის, ¹ ესე იგი ღრაფ პასკევიჩ კნიაზ ვარშავსკისთვის, დიბიჩისთვის, და ზავილეისკისთვის. ხელმწიფეს ყოველთვის აქებდა და მთავრობასკი ლანძღამდა ხოლმე, ეგრეთვე აქაურს ჩინოვნიკებს, ბარონიკი მოსწონდა ხოლმე, ² დიახ კარგი კაცი არისო. – და ამ ლაპარაკსა შინა, მახსომს, რომ ელიზბარ, დიმიტრი, გიორგი, და კიდევ გიორგი ერისთოვნი ყოფილან, ეგრეთვე ჩემი ძმა ვახტანგ.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი „1-ს“ მარტს. 1833-სა წელსა.

32. ჩვენება 1833 წლის 1 მარტისა (II)

კომისიასა შინა!

1-ი) ბევრჯელ მახსომს, რომ ელიზბართან ვყოფილვართ მე, თვით ელიზბარ, ამის ძმა დიმიტრი, და გიორგი დავითისძე ერისთოვი. – ზალაში ვმსხდარვართ, და ჩვენს განძრახვასა ზედა გვილაპარაკნია. – ამ დროს მელნიკოვი შემოსულა ჩვენთან, და იმის შემოსვლაზე ჩვენ გავჩუმებულვართ, და მოვრიდებვართ ლაპარაკს. – 2-ე) მინამ ყარაბაღს წავიდოდა თავადი ანტონ აფხაზოვი, ¹ იმ დროებში გვითხრა ანტონ აფხაზოვმა, როგორც მახსომს, ელიზბარს, კარნეტს გიორგის, დიმიტრი ერისთოვს, სოლომან დოდაევს, მე და ჩემ ძმას ვახტანგს, რომ ვითომც მას, აფხაზოვს, რჩევა ეთხოვოს სტაცკი სოვეტნიკის ჩილაევისათვის ამ ჩვენ საზოგადოს განძრახვასა ზედა. მაშინ ჩილაევს პასუხ ეგოს, რომ და გასჯავრებიყოს: დიახ ძნელი რამ საქმე მკითხე, და მითხარიო, – და ეს გარემოება არ ვიცი, სად იყო და ან ეს ლაპარაკი აფხაზოვისაგან. – 3-ე) როდისაც თავადმა იასე ფალანდოვმა ის თავის დაწერილი რასპარაჟენია გვაჩვენა და წაგვიკითხა, ამასთან ესეცა თქო, რომ იმ ღამეს ციხეში ახვერდოვს

დავაყენებ ყარაულათო, და მას ღამესვე დეჟურნად ქალაქში ან-დრია ხერხეულიძესაო, და ჩვენ მაშინ ადვილად ავიღებთ ციხესა, და სხვა პოსტებსაო, ამისთვის, რომ ეს ორი აფიცრები ჩვენნი არიანო. ეს გარემოება იციან თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა, ზაქარია ჩოლაყოვმა, კარნეტ გიორგი ერისთოვმა, ელიზბარ, და ამისმა ძმამ დიმიტრი ერისთოვთ, და ჩემა ძმამ ვახტანგმა. – 4-ე) თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მისცა რილეევის სტიხი გრიგოლ ორბელიანოვს სათარგმნელად ქართულად, **ნეგავარი ატეც სკიატოისა**, რომელიც თარგმნა ქართულად სტიხადვე,² და ერთ ღამეს გრიგოლთან ვიყავით, და გვითხრა: ის სტიხი ვთარგმნეო, რომელიც ნაგვიკითხა, და ნაკითხვის შემდეგ წამოხტა ელიზბარ, და აკოცა და კარგად გითარგმნიაო. შემდეგ ჩვენც ყველამ ვაკოცეთ: გიორგი დავითისძე ერისთოვმა, მე, და მგონია ჩემი ძმა ვახტანგიც იქ იყო, და იმ დროს თავადი ზურაბ ჭავჭავაძე იქ იყო და გვიყურებდა, და ამაში გავიყარენით. – შემდეგ რაოდენსამე დღისა, მგონი გრიგოლს ორბელიანოვს გამოეცხადებინა ზურაბ ჭავჭავაძისათვის ესე ჩვენი განძრახვა, რომელიც სიხარულით დამორჩილებიყო. ის კი სწორეთ არ მახსოვს, გრიგოლს ეთქო, თუ ალექსანდრე გიორგისძეს ორბელიანოვს. ამასთან, მე ზურაბ ჭავჭავაძე ლუარსაბ ორბელიანოვის სახლში, მგონია, ელიზბარმა გამაცნო ამ ჩვენს აზრსა ზედა, და ზურაბ გვემდურებოდა ჩვენს საზოგადოს, რომ რატომ აქამდისინ არ მითხარით, მეც თქვენი ამხანაგი ვარ, და ადრევეც ვიქნებოდიო. – შემდეგ ამისა, ერთს საღამო ჟამზე ელიზბარ, გიორგი დავითისძე ერისთოვი, მე, და ზურაბ ჭავჭავაძე, ესენი გავედით ჩვენს ბაღში, და იქაც ბევრი ვილაპარაკეთ, და ზურაბ ჭავჭავაძემ ეს გვითხრა: ეხლა კახეთს რომ წავალ, ვინც ჩემნი ნათესავნი და მეგობრები იქნებიანო, ყველას გამოუცხადებ, და ვეტყვიო, და, როცა საჭირო ვიყოვო, დამიბარეთ, ჩამოვალ უთოთაო. შემდეგ ამისა წავიდა კახეთს, და ველარა შეგვატყობინარა, და, მე მგონია, წიგნიც მივსწერე: ერთი შენი ამბავი რატო არ შეგვატყობინე რა მეთქი. – შემდეგ ამისა აღარა ვიცირა იმ ზურაბ ჭავჭავაძისა, და ვერცარა მეტი გამიგონია. ეს გარემოება 1831 წელსა იყო, ზაფხულს, თუ არ ვიცი გაზაფხულზე. – 5-ე) 1831 წელსა კიდევ ზაფხულს, ერთს საღამო ჟამზე, მე და ელიზბარ ერისთოვი გავედით ლუარსაბ ორბელიანოვთან, და სოფლიდგან ჩამოსულიყო ლუარსაბ ორბელიანოვის დისწული თავადი მიხაილ ჯავახოვი, და ელიზბარმა გამაცნო ის მიხაილ. ის ჩვენი აზრის პატრონი არისო, რომელიც

დაინყო ლაპარაკი მიხაილ ჯავახოვმა: მე თქვენი ამხანაგი ვარო, და თქვენთან სისხლს დავღვრიო, რომელიც ჩემი ბიძა ქაიხოსრო ჯავახოვიც მზათ არისო ამ საგანსა ზედა. – და გვანდა, რომ მიხაილს ჯავახოვს ადრევე სცოდნიყო, და, ვგონებ, რომ ლუარსაბის ნათქვამი უნდა ყოფილიყო, და სწორედკი არ ვიცი. – 6-ე) 1831-სა წელსა, გაზაფხულზე, თავადის ლუარსაბ ორბელიანოვისაგან გამიგონია მე, და ელიზბარსაც, რომ მარშალ შალვას ერისთოვს უთხარი ისე ჩვენი აზრიო, რომელიც სიხარულით თანხმა შეიქნაო. და ამ დროებში შალვა აქ, ქალაქში, იყო და თავად ლუარსაბ ორბელიანოვთან იდგა მეგობრობის, და ახლო ნათესაობისა გამო.³ და ერთს სადილს უკან გავედით მე და ელიზბარ ლუარსაბთან და მარშალი შალვა ერისთოვიცა იქ იყო. – ზალაში იჯდა, ახალი გამოღვიძებული იყო შუადღის ძილიდგან, და ჩვენ რომ მივედით, ლუარსაბ ორბელიანოვი გამოვიდა თავის სპალნიდგან. დავსხედით. სხვა და სხვა ლაპარაკი დავინწყევით. ამ ლაპარაკსა შორის ელიზბარ ერისთოვი წამოდგა, და თქო: ეს ხომ ვიცი, ყველას ერთი აზრი გვაქვსო, და რაღას უმალამთ ერთმანეთსაო. – მაშინ ყველამ დავინწყევით ლაპარაკი. ამაში შალვამა თქო, რომ, ეხლა რომ ავალ ქართლშიო, ვინც მეგობრები და ახლო ნათესავები მყვანან, ყველას გამოუცხადებო და ვეტყვიო, მეც დიახ თქვენი ამხანაგი ვარო. – შემდეგ ამისა მე შალვა ერისთოვთან შერთება აღარ მქონიარა, და ელიზბარს, ვგონებ, რომ ხშირად ჰქონიყოს ლაპარაკი მასთან, აგრეთვე მგონია, თავად ალექსანდრე გიორგის ძესაც ჰქონიყოს ლაპარაკი მას შალვასთან. – შემდეგ თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა გვითხრა მე და ელიზბარს ერისთოვს, რომ მე ამ ხანებშიო უთხარ ესე ჩვენი განძრახვა თავად ევგენი ქობულოვსაო, ეხლა რომ ფშავ ხევსურეთის პრისტავი რომ არის, და ესრეთა თქოვო, რომ დიახ სასიხარულო ამბავი გავიგონეო, და როცა გინდოდე, როგორც გინდა, ისე მამიხმარეო, მაგრამ⁴ შენის მეტს კი არავის არ ვენდობიო. – და 7-ე) პავლე თუმანოვისას რომ მკითხავს კამისია, ამისათვის მოვახსენებ: ჩვენ საზოგადოს ესრეთ სძულდათ ეს თუმანოვი, რომ აგინებდენ და მაშენიკათ იხსენიებდენ ხოლმე, ამისა გამო, რომ ხელმწიფე იმპერატორის ერთგული არის დიდი, და მთავრობის მატებარი. ბევრჯელ გამიგონია ჩვენ საზოგადოთ შორის, რომ როდესაც აქ ბუნტი მოხდებაო, პავლე თუმანოვსა ავიკლებთო, ამისათვის, რომ ბევრი ფული აქვსო, და იმის ფულს ჩვენ ხაზინათ გამოვიყენებთო. თვითონ მაიორს, თავად ლუარს-

აბ ორბელიანოვს, რაოდენჯერმე ჩემთვის დარიგება მოუცია, რომ ხუმრობა არ არის, პავლე თუმანოვს არ ენდოო, და ეს ჩვენი განძრახვა არ უთხრაო.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
1-ს მარტს. 1833-ს წელსა.

33. ჩვენი 1833 წლის 3 მარტისა

კომისიასა შინა!

წარსულს 1831-სა წელსა, ზაფხულს, ოდესცა ჩემთან იყვნენ ბალში სადილად თავადები, ესე იგი: ელიზბარ, გიორგი დავითისძე ერისთოვნი, ალექსანდრე გიორგისძე ორბელიანოვი, ზაქარია ციციანოვი, ლუარსაბ თარხანოვი, და ჩემი ძმა ვახტანგ, იმ დილაზე მამუკა ორბელიანოვს, და ივანე მიხაილისძეს ერისთოვს ვთხოვედ მე და ელიზბარმა, რომ დღეს ჩვენთან იქნებიან ჩვენი აზრის და განძრახვის პატრონნი ბალში სადილად, და იმათაც ვთხოვეთ, რომ თქვენც გთხოვთ, რომ სადილად გამოხვიდეთ ბალში და ჩვენი აზრის ლაპარაკი გვექნება, და რჩევა, როგორა, და ან ვითარ, რომელთაც აღგვითქვეს უთოთ მოსვლა, და შემდგომად რაოდენიმე დრო გავიდა, რომ არც მამუკა, და არც ივანე არ მოვიდნენ. კარგახანი ველოდით. რომ არ მოვიდნენ, მასკვან ჩვენ დავსხედით სადილად, და იმ ორთ ლანძღვა დაუნყევით, რომ გვილაღატესო. – იმ საღამოზე მე და ელიზბარმა მამუკა ვნახეთ, და სამდურავი უთხარით. მასკვან მამუკამ გვითხრა: რა ვქნა, თქვენ კი დიდათ გენდობითო, და მე იმათ ვერ ვენდობი, რომელიც იქ იყვნენ სხვანიო. აგრეთვე ივანე მიხაილისძე ერისთოვი, ვნახეთ მე და ელიზბარმა, და იმანაც ეს პასუხი მოგვცა, ვითარცა მამუკამ. – ესკი დამავინყდა, ზემორე ვერ დავნერე, მამუკამ გვითხრა: მე მოვდიოდით უთოთ, მაგრამ ივანე მიხაილისძემ ერისთოვმა არ გამომიშოვო. და ვგონებ, რომ მამუკას, და ივანეს შერთება ჰქონიყოთ რამე ჩვენს აზრსა ზედა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„3-ს“ მარტს. 1833-სა წელსა.

34. ჩვენება 1833 წლის 7 მარტისა

კომისიასა შინა!

1-ი) იმერლის თეიმურაზ ლორთქიფანიძესთვის მე გრიგოლ წერეთლისა სრულებით არა მითქომსრა, და არც არაფერი არა გამიხსენებიარა, და არც თვით იმ თეიმურაზს არა უთქომსრა ჩემთვის მის გრიგოლ წერეთლისა, და თუ ელიზბარ, და გიორგი დავითისძეს ერისთოვთ ლაპარაკი ჰქონიათ რამე გრიგოლ წერეთლისა, მას თეიმურაზ ლორთქიფანიძესთან, ეს კი მე არ ვიცი და არც გამიგონია. მე გრიგოლ წერეთლისა ამის მეტი არა ვიცი-რა, თვინიერ მთავრობისა დიდი ერთგულია, და ამის მეტი სხვა იმისი არა გამიგონიარა.

2-ე) თავად ქაიხოსრო ჯავახოვისა მე ამის მეტი სხვა არა გამიგონიარა, – როდისაც მე თავად მიხაილ ჯავახოვთან შერთება ვიქონიე, მაშინ თავად ლუარსაბ ორბელიანოვის სახლის ეზოში ვიდექით თვით თავადი მიხაილ ჯავახოვი, თავადი ელიზბარ ერისთოვი, და მე. ეს სამნი ვლაპარაკობდით ამ ჩვენს განძრახვასა ზედა და მაშინ ლაპარაკსა შორის გვითხრა მიხაილ ჯავახოვმა, რომ ბიძა ჩემი ქაიხოსრო ჯავახოვიც მზათ არის ამ ჩვენის საქმისათვისაო.

3-ი) თავად იასე ფალავანდოვს ამ დროს ჰქონდა ლაპარაკი ჩემთან წარსრულს 1832-სა წელსა, ზაფხულს. მე საქმე მქონდა, მის ძმას, სამოქალაქო ლუბენატორ თავად ნიკოლოზ ფალავანდოვთან ჩვენ ორბელიანოვთ გაყრასა ზედა, რომელიც ჩვენ ერთობრივ ორბელიანოვნი ვიყავით სამოქალაქო ლუბენატორთან. ჯერ ლუბენატორი თავის სპალნიდგან არ გამოსულიყო, ამ დროს თავადი იასე ფალავანდოვი ამოვიდა იქ ჩვენთანა, და მე ცალკე გამიყვანა. მითხრა: რისთვის მოსულხარო. მე ყოველი ჩემი გარემოება უთხარ. რომელიც ამის უწინარესად მოვახსენე კომისიას მე და თავად იასე ფალავანდოვის ლაპარაკი. სხვათა შორის, ამასაც მეუბნებოდა თავადი იასე ფალავანდოვი, რომ, თუ ჩემთან დაინწყებ სიარულსაო, მე მეორეს მხარეს კიბეს გაუკეთებინებ ჩემს ქვეით სახლსაო, და იქიდგან დაინწყე სიარულიო, და ამ პირდაპირს კარებს კლიტეს დავადებ, რომ ვინც დაინახონ ჩემთან მოსიარულეთ, რომ აღარ იარონო. ჩემთან პირველად ლაპარაკი ამ ზემო ხსენებულს დროს ჰქონია თავ. იასე ფალავანდოვს და შემდეგ არ ვიცი, ელიზბარ ვინ გააცნო იასეს და მასკვან საზოგადოთ შევიყრებოდით ხოლმე, რომელიც ნემეცების კალო-

ნიაში ვიყავით დროშეებით, და სეიდაბათის ბალებში¹ მე, ელიზბარ, იასე, ჩემი ძმა ვახტანგ, კარნეტი გიორგი ერისთოვი, ანტონ აფხაზოვი და დოდაევი. ამისთვის ნავედით, რომ გვინდოდა, რომ ანტონ აფხაზოვისათვის გამოგვეცხადებინა ესე ჩვენი განძრახვა. იქ არ მოხდა. შემდეგ სალამო ჟამზე ელიზბართან მივედით ჩაიზე ყველანი ერთობრივ, რომელიც ვერც იქ გამოუცხადეთ ბირთველ თუმანოვისა გამო. მე მთხოვეს ბაღში დაპატიჟება, რომელიც მეორე დღის სალამოზე ჩემთან იყვნენ ბაღში ვახშმად, და იქაც ვერ გამოუცხადეთ, მხოლოდ იქ წიგნებზე ლაპარაკობდნენ, და ელიზბარ ერისთოვი სამდურავს ლაპარაკობდა მთავრობისას, რომ ყმა და მამული ნაგვართვესო, და აქაური მთავრობა დიდს უსამართლობას გვიშვრებაო. – ამ სიტყვაზე მასკვან ანტონ აფხაზოვმა თქო: ყმანვილებო, მთავრობაზე ნურას ვილაპარაკებთ, თორემ ამ კედლებსაც ყურები ასხიათო. – ამის მეორე სალამოზე თავადმა ანტონ აფხაზოვმა დაგვპატიჟა ვახშმად დოდაევის სახლში იასე ფალავანდოვი, ელიზბარ და კარნეტი გიორგი ერისთოვნი, მე, და ჩემი ძმა ვახტანგ, თვით დოდაევი. ოდესცა დავსხედით ვახშმად, დავინყევით სხვა და სხვა ლაპარაკი. ამაში ყველას ჩვენს ერთობას უნდოდათ, რომ ანტონ აფხაზოვისთვის გამოეცხადებინათ ესე ჩვენი აზრი, მაგრამ ვერავის ვერ გაეხედნა. ამაში შუალამიდგან **ორი** სათი გავიდა, და დოდაევი ხშირად იწვედა ასადგომად, და იასე ფალავანდოვმა უთხრა: სოლომონ ივანიჩ, როგორი სახლი პატრონობა არის, რომ პირველად შენ ადგომას აპირებო, ეგ დათხოვნის ნიშანსა გავსო. – ამაში კარგა ღვინოც დავლიეთ. რომ შევქეიფიანდით, მაშინ მე დიდათ მეძინებოდა და წამოსვლა მინდოდა ჩემსა სახლსა შინა. და ავდექე შინ წამოსასვლელად. მაშინ იასე ჩემს გვერდით იჯდა, დამიჭირა კალთა და მითხრა: სად მიხვალ, გათენებანდისინ არ ავდგები ამ სტოლიდგანაო. მე უთხარ: ერთი კარზე გავიდე, საქმე მიჭირს, და მასკვან თუნდა **სამი** დღე და ღამე დასხედით მეთქი. არც კარზე გამიშვეს. მაშინ, მე რომ საქმე გამიჭირდა, ავიღე ღვინო, სტაქანზე დავასხი, და ვთქვი, და ზდრავსტუეც სვაბოდა მეთქი, ახლა მაინც გამიშვი კარზედა მეთქი. მასკვან გამიშვეს. კარგა ხანი დავყავ კარზე, რომელიც ანტონ აფხაზოვიც გამოვიდა კარზე. – პირველად ანტონ შევიდა იმათთან შემდეგ **ორის** თუ **სამის** მინუტისა. მეც შევედი მათთან. ოდესაც შევედი, ვნახე, რომ ამ ჩვენს განზრახვასა ზედა ლაპარაკობდნენ, რომელიც მეც მონაწილე შევიქენ მათთან ლაპარაკისა, და ყველანი საზო-

გადოთ ლაპარაკობდენ თვისსა აზრსა. შემდეგ ამისა, იასესთან ვიყავით ჩაიზე, და ხმელ ხილზე დაპატიჟებული, რომელიც იქაც ვლაპარაკობდით ამ ჩვენს განმძრახვასა ზედა.

4-ი) 1831-სა წელსა, ერთხელ თავადმა ელიზბარ ერისთოვ-მა გვითხრა, სახელდობრივ კი არ ვიცი სად იყო, გიორგი დავითის ძეს ერისთოვს, სოლომონ დოდაევს, იოსებ მამაცოვს, ზალ ავთანდილოვს, მე და ჩემს ძმას ვახტანგს, რომ აღექსანდრე ჭავ-ჭავაძე იქნება ჩვენი ნაჩაღნიკიო და ამასაც იტყოდა ხოლმე: ჩვენ კარგნი ნაჩაღნიკები გვეყოლებო, ესე იგი, ბიძა ჩემი ლენერ-ალ-ლეიტენანტი გიორგი ერისთოვი,² ლენერალ მაიორი თავადი ივანე აფხაზოვი, ლენერალ მაიორი თავადი სავარსიმაძე, ლენერ-ალ მაიორი თავადი ბებუთოვიო. ეს ლაპარაკი მე ელიზბარ ერის-თოვისაგან არა ერთ გზის გამიგონია, არამედ რამოდენჯერმე უთქომს, რომელიც მე თანახმა ვყოფილვარ და დამიმტკიცებია ზემორე გარემოება, აგრეთვე ზემორე პირთ დაუმტკიცებიათ ეს აღწერილი გარემოება.

5-ი) წარსრულს 1831-სა წელსა, ერთ საღამო ჟამზე, მივდი-ოდი სიონის ბაზარში ქვემოდგან, და სიონის ქუჩის შესავალში რომ დაუპირდაპირდი, იქ, ქუჩაში, თავადი იასე ფალავანდოვი დამხვდა. თავი დაუკარით ერთმანეთს, და ლაპარაკი დავიწყეთ. – მასკვან ჩაიზე ამიწვია თავის სახლში, რომელიც ავედი და დავსხედით, სხვა და სხვა ლაპარაკი დავიწყევით, შემდეგ ჩაის დაღვეისა წამოველ. წამოსვლის დროს მთხოვა: ერთათ შევზ-რდილვართ ყმანვილობისასო და ითხოვა, რომ ხშირად მევლო მასთან, რომელიც დიდად მიამა ასეთი თხოვნა, და ამისა შემდეგ დავიწყე სიარული, და ამ ჩემს მასთან სიარულში უკმაყოფილე-ბას ლაპარაკობდა რუსებზე და აგინებდა. მე ერთხელ უთხარ: იასე, შენკი ემართლები რუსებს, რომ აგინებ მეთქი. – მასკვან მითხრა: ამ რუსებმა სულ ბრილიანტი გარს რომ შემამაყარონო, მაშინაც არ მიყვარან ესენიო, მე ერთი უკანასკნელი კაცის შვი-ლი ვარო, და ღვდლის შვილიო, მე ჩემი მშობელი მამული ესრეთ მიყვარსო, რომ ორჯერაც გავიქეც,³ და ერთგულიება დავანახვე ჩემს მამულსაო, აბა თქვენ პირველი კაცის შვილები ხართო, და ვერა გრძნობთ თქვენს მშობელს მამულსაო.⁴ – მასკვან მე უთხ-არ: რატო შენი ძმა არ მოინდომებს მეთქი. – მასკვან მითხრა: თუ აქაურნი მოინადინებენ, მაშინ ჩემი ძმა პირველი მზრუნვე-ლი იქნება თქვენიო. – მასკვან უთხარ: კარგი, მე შენი ამხან-აგი ვიქნები მეთქი. აბა როგორ მოვახდინოთ მეთქი. – მასკვან

მითხრა თეიმურაზ ამილახვაროვისა, როგორც ამის უწინარესად მოვახსენე კომისიას. – რომელიც ეს გარემოება ოქროპირ ბატონიშვილს განუცხადე ამ სიტყვით: ჯერ ერთი ვიშოვე მეტი, რომელიც დიდად იამა და მითხრა: ხუმრობა არ არის, ჩემი სახელი არ გაუხსენოვო. – ამის შემდეგ აღარა გავიდა რა მაგთენი ხანი ანუ **ოცი** დღე, ან ცოტა ნაკლები, და ან ცოტა მეტი, რომ ოქროპირ წავიდა რუსეთს.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„7-ს“ მარტს. 1833-ს წელსა.

35. ჩვენება 1833 წლის 8 მარტისა

კომისიასა შინა!

1-ი) გრიგოლ ორბელიანის გარემოება, რაც ვიცი და ან მახსოვს, ესე არს, როგორც თავად ელიზბარ ერისთოვისაგან გამიგონია, ერთს საღამო ჟამზე ელიზბართან მისუღიყო გრიგოლ, დამსხარიყვნენ, და სხვა და სხვა ლაპარაკი დაეწყოთ. შემდეგ ელიზბარს რაღაც წიგნი მიეცა დაბეჭდილი, რომელიც დიდხანს ეკითხა გრიგოლს, შემდეგ, რომ მორჩომლიყო კითხვას, მასკვან გრიგოლს ეთქო: რაო. – შემდეგ ელიზბარს ეპასუხებინა: პატიოსანი ფიცი და სიტყვა მამეც, რომ არ გამცეო, და გეტყვიო. – შეფიცნა გრიგოლს არ გაცემისა. მასკვან ელიზბარს ეთქო: თუ ჩემი მონაწილე შეიქნები, ხომ მადლობელი ვიქნებიო, და თუ ჩემი მონაწილე არ შეიქნები, მაინც ნურავის ეტყვიო. გრიგოლს კიდევ შეფიცნა, რომ არავის არ ვეტყვიო. – შემდეგ ამისა, ელიზბარს გამოეცხადებინა თავისი აზრი, და საქართველოს განთავისუფლება. გრიგოლს უარი ეყო: არ შეიძლებაო, ამისთვისაო, რომ შეძლება არ გვაქეო. მასკვან ბევრი ელაპარაკათ. გრიგოლ უმტკიცებდა თურმე, არ შეიძლებაო. ელიზბარ ურღვევდა შეძლებისას. ამაში გაყრილიყვნენ. – შემდეგ ამისა, თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი, როგორც მახსოვს, გაეცნა გრიგოლს ელიზბარიდგან, და მასკვან ელიზბარისათვის, და გიორგისათვის ბევრი უარი ელაპარაკნა არ შეძლებისა, და ამაში ერთს საღამოზე ჩემთან მოვიდნენ ელიზბარ, გიორგი ერისთოვნი, და გრიგოლ ორბელიანოვი. ეს სამნი დასხდნენ. მასკვან გრიგოლმა მითხრა: ალექსანდრე, ეს ელიზბარ, და გიორგი რაღაეზსაც მელაპარაკე-

ბიანო, რომელიც შეუძლებელი არისო. – მასკვან ამ სიტყვაზე მე აღარ დამაცალა ელიზბარმა, რომ პასუხი მიმეგო. დაუნყო ლაპარაკი ელიზბარმა, რომ შესაძლებელი არისო. ეგრეთვე გიორგი ელაპარაკებოდა. – გრიგოლ ამას ეუბნებოდა: აბა როგორ შეიძლებაო, იმრგვლივ მიხედეთ, რამეთუნი რიგი ხალხი ასხია ამ ჩვენს საქართველოსაო, ხომ ესენი სულ წაგვანდენენო, და გაქვთელენო. მეორეც ესა, რომ შეძლება არა გვაქო. – ამაში ბევრი ილაპარაკეს. კიდევ გრიგოლ ეუბნებოდა: არც კაცები გვყავს, რომ საქმე რამ დანყონო. ამათ ლაპარაკში მასკვან მე უთხარ: ერთი მეც მალაპარაკეთ მეთქი. ამ სიტყვაზე დაჩუმდნენ. – მასკვან მე უთხარ: გრიგოლ, რასაც ამბობ, დიახ ჭეშმარიტი და მართალი ლაპარაკი არის შენგნით მეთქი, მაგრამ ერთს სიტყვას გეტყვი მეთქი, თუ ჭკვაში დაგიჯდეს, იყაბულე მეთქი, და თუ ჭკვაში არ მოგივიდეს, ნუ იყაბულე მეთქი. – მასკვან მე უთხარ: დიახ ჭეშმარიტი არის, რომ ჩვენ ვერ შეგვიძლიან მეთქი, მაგრამ შენ ალექსანდრე ჭავჭავაძეს უყვარხარ მეთქი, შენ იმას უთხარ საქართველოს განთავისუფლებისა მეთქი, რომელიც ჭკვიანი, და განათლებული კაცი არის მეთქი, და ის მოიპოვებს ღონისძიებას, და საქმეს ის დანყობს მეთქი, თორემ ჩვენ არ შეგვიძლიან მეთქი. – ამაზე მეთანხმა: უთოთ აგრე აღვასრულე, და კიდევ ვეტყვიო. – ამ დაპირებაში რაოდენჯერმე მივიდა ჭავჭავაძესთან, რომ გამოეცხადებინა, მაგრამ ვერ გაეზენა, რომელიც გრიგოლს კიდევ დავცინოდით ჩვენა, რომ ქალაჩუნა ხარო. – გვეფიცებოდა გრიგოლ, რომ ქალაჩუნობით არ მამდისო, დრო ვერ მიპოვინა, რომ უთხრაო. ამ ამბებში ელიზბარმა მისცა რილევის სტიხი გრიგოლს სათარგმნელად. ერთს ღამეს გრიგოლთან ვიყავით ელიზბარ, გიორგი ერისთოვნი, მე, და მგონი ჩემი ძმა ვახტანგიც იქ იყო. გრიგოლს ის რილევის სტიხი ეთარგმნა ქართულად, და მაშინ წაგვიკითხა. მასკვან ელიზბარ წამოხტა, გრიგოლს მივარდა, და აკოცა, უთხრა: ოჰ, გრიგოლო, რა კარგათ გითარგმნიაო. მასკვან ჩვენც ვაკოცეთ. – შემდეგ ამისა, ის სტიხი გადაენერა გრიგოლს, ბესიკის სახელზე, ვითომც გივი ამილახვარი ლაპარაკობს. ეს გვითხრა გრიგოლმა: ეს ამისთვის დავნერე იმის სახელზედაო, რომ ეჭვი არავინ არა მოიტანოსრაო, და ის სტიხი ელიზბარმა გამოართო.¹ – შემდეგ ამისა, რუსეთს მოემზადა წასასვლელად გრიგოლ, და ჩვენ უთხარით: ეხლა რომ მიხვალ მოსკოვს, და პეტერბურღს, ოქროპირ ბატონიშვილთან, და დიმიტრი ბატონიშვილთან იქონიე შერთება

და ლაპარაკი, ამ ჩვენს განძრახვასა ზედა, რომელიც აღგვითქვა: აგრე აღვასრულებო.²

2-ე) კამისიასა შინა, რომელიც პრაკლამაცია გამამიცხადეს, დოდაევის დაწერილი ის პრაკლამაცია არის სხვა, და რომელიც მე დოდაევემა მამცა თაბახნახევარზე, ის კიდევ სხვა იყო. ერთი და იგივე ძალა ჰქონდა კამისიაში მდებარე პრაკლამაციასა, და მე რომ მამცა, იმასა, მხოლოდ ის ამით იყო განსხვავებით, რომ ბევრი დაწერილი იყო, თორემ ძალა კი და აზრი ერთი და იგივე იყო.³ –

3-ე) სოლომან რაზმაძის დაწერილს დათვისა და ცხვრის არაკს რომ მკითხავს კომისია, ის არაკი ესე არს, რომ ერთს საუცხოვოს ადგილას მდგარა ცხვარი თავის ცოლითა, და შვილებით და ეს ცხვარი თავის ცოლშვილებით დიდათ შეუწუხებიათ მგელსა, ტურასა, და მელას. მასკვან ეს ცხვარი, დიდათ რომ შეუწუხებიათ ამათ, იმ ცხვრის მამულის გვერდზედ მდგარა ერთი ძლიერი დათვი. მასკვან ამ ცხვარს უთხოვნია შემწეობა მის დათვისათვის ესრეთ: ნადირთ ხელმწიფეო, გთხოვთო, ძლიერი ხარო, და ნადირთ ხელმწიფეო, მე ახლა მანუხებენ მგელი, ტურა, და მელაო. გთხოვთ მფარველი იყოთ ჩემიო, და ამ მტრებისაგან განმათავისუფლოთო. – რომელიც ის ნადირთ ხელმწიფე დაჰპირდა: დიახ ბატონი ხართო. – ამ დროში ამ ნადირთ ხელმწიფემაო ჯარი გამოგზავნა, ერთი აფთარი სარდლად გამოაგანაო, ამ ცხვართან რომ მოვიდნენო, ეს ჯარი ნაცვლად ამათის მფარველობისაო, სულ გარს შემოერტყნენ ამ ცხვრის ცოლშვილსაო, ის ცხვარი კი მოკვდაო და იმის ცოლშვილს მოუსვეს ხელიო, და იმ ნადირთ ხელმწიფის მამულში გადასახლესო. – მასკვან ამ ცხვრის ცოლშვილმა შესჩივლა ცრემლითაო იმ ნადირთ ხელმწიფესაო ესრეთ: რას გვემართლებოდითო, ჩვენ შენ შემწეობა და მფარველობა გთხოვეთო, ნაცვლად მფარველობისა, სულ ერთიანათ შენს მამულში გადმოგვასახლეთო, რომელი სამართალი არისო. – ამ სიტყვაზე ნადირთ ხელმწიფემ მიუგოვო: თქვენ თქვენს მამულს ვერ მოუარეთო და ამისთვის ჩვენ შემოვიერთეთ, რომელიც თქვენთვის გამიჩენიაო განწესებული საზღო ერთი ფუთი ბუეო, ამაზე მეტი სხვა რაღა გინდათო. – სოლომან რაზმაძის არაკი ესე არს, რომელიც ამის პირიც მეც მქონდა.⁴ –

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„8-ს“ მარტს. 1833-სა წელსა.

36. ჩვენება 1833 წლის 10 მარტისა

კომისიასა შინა!

წარსრულს 1832-სა წელსა, იმ წინა დღეებში ჯერ ჩვენ არ დავეჭირედ, ერთს დღეს, შუადღეზე ცოტა ადრე, მივედით სანახავად თავადს იასე ფალავანდოვთან. არ ვიცი, თავადი ელიზბარ ერისთოვი იყო ჩემთან, რომ მივედით, თუ ჩემი ძმა დიმიტრი. ამ ორთავანი ერთ ერთი იყო. სწორეთ კი არ მახსოვს, რომელი იყო. – ოდესცა შევედით, პატარა ხან დავსხედით. მასკვან იასე ფალავანდოვი წამოდგა, და თავის ოთახის კარი დაკეტა, და გვითხრა: ერთს რასმე წაგიკითხამთო, რომ არავინ არ შამოვიდეს მინამ წაგიკითხამთო, იმისთვის დავკეტე კარით. – მასკვან თავის კრაოტიდგან, თავის ბალიშიდგან ერთი თაბახი ლურჯი ქალაღი გამოიღო იმ ბალიშ ქვეშიდგან. სულ სამსე იყო ეს თაბახი დანერილი ლექსით. – მასკვან იასემ გვითხრა: აი იმერეთში ბუნტი რომ მოხდა 1820-სა წელსაო, ამ ლექსმა მოახდინაო, ეს ლექსი ამ ჩვენს ხალხს წაუკითხოთო, ხომ სულ გადაირევიან, და გაგიჟდებიანო. მასკვან იასემ ჩვენ წაგვიკითხა. აქ იყო ესრეთ დანერილი: ოდესცაო თეოფილაქტე შევიდა იმერეთში, ¹ და იმ დროის იმერეთი რომ აბუნტდა, და ხალხის დიდი შეგონება, ბუნტი და აღრეულობა იყო დანერილი, ესე იგი პრაკლამაცია. – მასკვან კიდევ გვითხრა იასემ, როცა საჭირო იყოსო, ეს წაუკითხოთ ხალხსაო, და მასკვან ნახამთ, რაც მოხდებოა. – ამის შემდეგ მცირე ხანს კიდევ ვიყავით იასესთან და მასკვან წამოვედით.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„10-ს“ მარტს. 1833-სა წელსა.

37. ჩვენება 1833 წლის 11 მარტისა

„კომისიასა შინა!

1-ი) წარსულს 1831-სა წელსა, ჯერ ვარშავა არ იყო აღებული, იმ ზაფხულს დოდაევმა ერთი წიგნი მისწერა ოქროპირ ბატონიშვილს, რომელიც მეორე გვერდზე მეც დაწერე იმასთან.¹ იმ წიგნში ტორკები უჯდა.² ის წიგნი, და ის ტორკები ამ აზრსა ზედა იყო დაწერილი, როგორც მე მახსოვს, რომ ახლა ჩვენ კარგი საზოგადოება გვყავს, რომელიც ვცდილობთ საქართველოს განთავისუფლებასა, და ოქროპირსაც ვაცნობთ იმ წიგნის ძალით, ესე იგი ჩვენი გარემოება. –

2-ი) წარსულ 1831-სა წელსა, ზაფხულს ერთს საღამოს ჟამზე, მოვიდა ჩემთან დოდაევი, და მითხრა: ალექსანდრე ბატონიშვილთან ღვდელი რომ არის, იმ ღვდლის შვილი მოვიდა, ჩემთანა დგასო, რომელიც რუსეთს აპირებს წასვლასაო,³ და **ორი** წიგნი მოიტანაო, **ერთი** ფარნაოზ ბატონიშვილთანაო, და **მეორე** ქეთევან ბატონიშვილთანაო, რომელიც დღეს მიეტანა ის წიგნი ბატონიშვილს ქეთევანთანაო, რომ თქვენმა ძმამ ალექსანდრემ მოგწერათო, და ამაზე დიდად გაჯავრებულიყო ქეთევან ბატონიშვილიო, და ეთქო თავის მოსამსახურებისათვის, რომ გააგდევით ეგ ვილაც არის მოსულაო, და წიგნი მოუტანიაო, რომელიც ესრეთ აღესრულათ და გაეგდოთ ის ღვდლის შვილიო.⁴ – ამ სიტყვის შემდეგ მცირეს ხანს იჯდა ჩემთან და მასკვან წავიდა შინათ. – ამის მეორე დღეს მე წავედი დოდაშვილის* სახავად და დავსხედით დივანზე. – ამ დროს ადგა დოდაევი, და ის **ორივე** წიგნები მოიტანა გახსნილები, ფარნაოზთან, და ქეთევან ბატონიშვილთან ალექსანდრე ბატონიშვილის. ჯერ ფარნაოზის წიგნი წაიკითხა დოდაევმა, რომელსაცა შინა იყო დაწერილი ესრეთ, როგორც მახსოვს, თხოვა, რომ წყალობდეს და თავის საფარველს ქვეშ მიიღოს ის ღვდლის შვილი. ახლა ის მეორე წიგნი წაიკითხა, ქეთევან ბატონიშვილისა, რომელსაცა აგრეთვე პირველის წიგნის მგზავსი იყო დაწერილი. – მასკვან მითხრა დოდაევმა: ხვალ იმ ღვდლის შვილს შენთან გამოვგზავნიო, და შენც დააბარე იმ ღვდლის შვილსაო ოქროპირ ბატონიშვილთანაო. მასკვან მე უთხარ: შენ დაგიბარებია, და დაგირიგებია, როგორ

* ასეა დედანში (სხვაგან აღ. ორბელიანი დოდაევის წერს). თ. ჯ.

მოიქცეს ის ღვდლის შვილი მეთქი, და ჩემი რაღა საჭირო არის მეთქი. – მასკვან მითხრა: შენც რომ დაბარებ, უფრო კარგი არის, და სწორედ შეიტყობს ოქროპირ ბატონიშვილიო, რომ აქ ჩვენ საზოგადოება გვყავსო, და ვცდილობთ საქართველოს განთავისუფლებისთვისაო. მასკვან მე უთხარ: აგრე იყო, გამოგზავნე მეთქი. – მეორეს დღეს **მეათე** სათი იქნებოდა, ჩემი ბიჭი შემოვიდა, მითხრა: ერთი ყმანვილი კაცი მოსულა თქვენთანაო, და თქვენთან საქმე აქვსო. – მე გამოველ კარზე. ვნახე, რომ ერთი რიგიანად ჩაცმული ყმანვილი კაცი იდგა კიბის თავზე. მე თავადიშვილი მეგონა, და ეს ვიფიქრე: უთოთ სასამართლოს საქმე აქვს, რომ ჩემთან მოსულა მეთქი. – მასკვან ვთხოვე და ჩემი ძმის ვახტანგის დახატულს ოთახში შევიწვიე, და ვთხოვე დაჯდომა. მასკვან ვკითხე: თუ უკაცრავოდ არ ვიყო, ვინა ბძანდებით მეთქი. მასკვან მითხრა: მე დოდაევმა გამამგზავნა, ალექსანდრე ბატონიშვილის ღვდლის შვილი ვარო. მასკვან მამაგონდა, ვკითხე: როდის მიხვალ რუსეთსა მეთქი. მასკვან იმან მითხრა: ხვალაო. შემდეგ მე უთხარ: დოდაევმა რა დაგაბარა მეთქი. მითხრა: წიგნი მისწერა ოქროპირსაო, და პირათაც ყოველი აქაური გარემოება დამაბარაო. – რომელიც ის წიგნი კამისიასა შინა მდებარებს, და ჩემი მიწერილიც არის ის წიგნი, იმ ღვდლის შვილს გაატანა დოდაევმა. – მასკვან მე უთხარ იმ ღვდლის შვილსა: ჩემ მაგიერადაც მოკითხვა განუცხადე ოქროპირსა მეთქი, და ესეც უთხარი ჩემაგიერ, რომ აქ, საქართველოში, ახლა საზოგადოება არის, რომ ვცდილობთ საქართველოს განთავისუფლებასა მეთქი. – ამ სიტყვის შემდეგ წავიდა ჩემგნით და მითხრა: დიახ ვეტყვი მაგ დაბარებასაო. მე ის ღვდლის შვილი ერთის მეტად არ მინახავს, არც სახელი ვიცი იმისი, და არც გვარი, უნდა ოცდა ოთხის წლისა ყოფილიყო, ხუთი ვერშოკი სიმაღლე ექნებოდა,⁵ და პირ მრგვალი იყო, ამაზე მეტი არ მახსოვს. –

3-ე) ეს მესამე გარემოება სწორეთ არ მახსოვს, ამ ორთაგანმა რომელმა თქვეს – სოლომან რაზმაძემ, თუ კარნეტ გიორგი ერისთოვმა, ესე იგი, ის ალექსანდრე ბატონიშვილის ღვდლის შვილი რომ მისულა პეტერბურღში, არც ერთს ბატონიშვილს არ მიუღიათ, და დაუთხოვნიათ.⁶

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„11-ს“ მარტსა. 1833-სა წელსა.

38. ჩვენება 1833 წლის 17 მარტისა

კომისიასა შინა!

1-ი) წარსრულს 1832-სა წელსა, ოდესცა მე ავად ვიყავ, იმ ჩემს ავანთ ყოფობის დროს, ჩემს სანახავათ მოვიდა თამარ ბატოიშვილი და ჩემს გვერდით დაჯდა, ლაპარაკი დამიწყო, და ამ ლაპარაკს შორის მე უთხარ: ბატოიშვილო თამარ, ერთი სავედრებული მაქვს, გთხოვთ, დამიჯეროთ მეთქი. – მასკვან მითხრა: რაო. – მე მიუგე: ესა მეთქი, რომ ელიზბარს უნდა, რომ ბუნტი მოახდინოს ამ 20-ს ნოემბერსა მეთქი, და გვევდრებით, რომ დაუშალოთ, საძაგელს საქმეს შვრება მეთქი, არ შაიძლება, ხელი აღებინეთ მეთქი,¹ მე იმისთვის ვერა გამიგონებია რა, როცა ვეტყვი რასმე მეთქი, მლანძღავს მეთქი, ეგება თქვენ დააჯერებინოთ, რომ ხელი აიღოს მეთქი. – მასკვან დამპირდა: უთოთ ვეტყვიო. არ ვიცი, უთხრა თუ არა.

2-ე) ბატოიშვილის თამარის პოკაზანიის პასუხი, როგორც მე ეხლა მაგონდება, მეც მითხრა, რომ მართა, მესხიევის ქვრივი, მოვიდა ჩემთანაო, და მითხრაო, რომ აქ ერთი საზოგადო არის, რომელსაც თქვენ უნდებართ თავათა და აქ ბუნტს აპირებენო, და მე უარი უთხარო, მაგრამ მე კი ფიცით კი არ დაუფიცებიაო, რომ ნურავის ნუ ეტყვიო. – მანამ ბატოიშვილი თამარ ამ გარემოებას მეტყოდა, რამეთვის დღის წინად ელიზბარმა მითხრა ესე გარემოება, როგორც კამისიას ვაჩვენე ამას წინათ,² და 1831-სა წელსა ესე გარემოება ჩემთვის სულ არ უთქომს ბატოიშვილს თამარს, და მე 1832-სა წელსა, როდისაც მე მითხრა ესე გარემოება, მე კიდევ სამდურავი უთხარ, აქამდის რათ დამალეთ, და არ გვითხარით მეთქი. მასკვან თქო რაღაც მიზეზი. ისკი აღარ მახსოვს, და მე თამარ ბატოიშვილისათვის სულ არ მახსომს, რომ მეთქოს, რომ დავით თარხნიშვილს საზოგადო ჰყავს მეთქი.

3-ე) იონა ეგზარხის რეჩი მე სულ არ გამიგონია, მხოლოდ პირველია, ოდესცა კომისიასა შინა გამამიცხადეს იგი.

4-ი) ფარნაოზ ბატოიშვილისა სულ არა რა გამიგონიარა, ამ ჩვენის განზრახვის აზრი.

5-ი) თარხანოვს, არ ვიცი, სიარული რომ ჰქონია თამარ ბატოიშვილთან, არც გამიგონია, და არც არა მითქომს ვისთვისმე.

6-ი) სოლომან დოდაევისაგან გამიგონია, ოდესცა ოქროპირ საქართველოს მოახლოვებია, მაშინ მშობელს მამულსა ზედა

სტიხი დაუნერია,³ ესე იგი, სასიამოვნოდ რომ ჰჩვენებია საქართველო, იმასა ზედა, და სხვა აზრი კი არ ვიცი, რა ყოფილა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი „17-ს“ მარტსა. 1833-სა წელსა.

39. ჩვენება 1833 წლის 29 მარტისა

1. პირველად ვინ წარმოადგინა აზრი 1831 წელს ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილის მინერის შესახებ?

კომისიიდან მივიღე ვოპროსნის პუნქტები, მარტის 29-სა დღესა, 1833-სა წელსა, და ამასთან მაქვს პატივი მოვახსენო კომისიას შემდეგნი: წარსრულს 1831-სა წელსა, აღდგომის გახსნილების დრო იყო, იმ ერთს სალამო ჟამზე მოვიდა ჩემთან თავადი ელიზბარ ერისთოვი და ლაპარაკსა შორის მითხრა: ახლა დრო არისო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცი გავგზავნოთო. და მასკვან მომიბრუნდა და მითხრა: უთოთ შენ უნდა გავგზავნოვო. – მასკვან მე უთხარ: მე დიახ ცოტა ყმის პატრონი ვარ მეთქი, და არავინ არა მყავს, რომ გავგზავნო მეთქი. ამის შემდეგ თითქმის ყოველ დღე მეუბნებოდა ელიზბარ: კაცი იშოვნე რომ გავგზავნოვო უთოთაო. მე ქოსა მუსტაფა მოვამზადე, რომ უნდა გამეგზავნა, და შემდეგ ველარ გავბედე რომ გამეგზავნა. – ამ დროს კიდევ გაიქცა ის ქოსა მუსტაფა ჩემგნით. – შემდეგ ამისა, როდისაც ლუარსაბ ორბელიანოვმა თქო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემა თქოვო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილთან კაცი გავგზავნეთო, მე მაშინ გავგზავნე მოლა ზამანა, როგორც ადრე მოვახსენე კომისიას იმის მგზავსად.

2. იცნობდა თუ არა თავადი ელიზბარ ერისთოვი ყოფილ გუბერნატორ ზავილეისკის?

მე არ ვიცი, მცნობი იყო თავადი ელიზბარ ერისთოვი ზავილეისკისა თუ არა.

3. რა ლექსებს წერდით თქვენ ჟურნალისათვის, რომელსაც დოდაევი სცემდა?

მე სტიხი დავწერე ჟურნალისტვის, რომელსაც დოდაევი გამოსცემდა ხოლმე, მთოვარესა ზედა.¹

4. ელიზბარ ერისთავის დიმიტრი ბატონიშვილისადმი წერილში მოხსენებულია თავადი გიორგი ამილახვაროვი. – განმარტეთ რაც რამ იცით ამ უკანასკნელზე და რა მონაწილეობას იღებდა იგი თქვენს განზრახულებაში.

ჩემთან სრულებით შერთება არა რა ჰქონია რა თავადს გიორგი ამილახვაროვს, რაც ელიზბარისაგან არ გამეგონა. არც არა ჩვენს საზოგადოებაში მონაწილეობა ჰქონია რა, როგორც მე ვიცი.

5. რა ერქვა იმ მსახურს, რომელმაც თქვენ 1831 წელს ბ-ნ ზავილეისკიტან მოგინოდათ, როდესაც ამ უკანასკნელმაც წინადადება მოგცათ, აქაც აღრეულობის მოხდენას სცდილიყავით. და წინადაც მოგხდენიათ თუ არა ასე გვიან ზავილეისკისთან ყოფნა და ჩვეულებრივ როდის იყავით ხოლმე მასთან. უკეთუ არ იცით იმ მსახურის სახელი, განმარტეთ დანვრილებით მისი ნიშნები, იყო იგი რუსი თუ ქართველი და გინახავთ თუ არა იგი სხვა დროს?

ამას წინათაც მოვახსენე კომისიას,² ღამე იყო, მეთერთმეტე სათი იქნებოდა, რომ შინიდან კარზე გამოველ, და ის რუსი დამხვდა. მთხოვა ზავილეიციკის მაგიერად მასთან მისვლა. მე სიჩქარისა გამო ველარ გავჩხრიკე ვინ იყო, და როგორი მზგავსი იყო. ეს კი ვიცი, რომ რუსი იყო. ჩემი მარშლობის დროს დიახ ხშირად დავდიოდი ხოლმე ზავილეიციკისთან, და როცა სოვეტნიკად ამამარჩიეს 1830-სა წელსა საზოგადოობამ,³ მაშინ მე აგრე რიგად არ დავდიოდი ხოლმე, და როცა მაშინ დამიბარა, არც გასაკვირვლად მივიღე, ამისთვის, რომ დიდათ უყვარდი და მწყალობდა, და შემდეგ ჩემი ნაჩაღნიკი იყო. მე ზავილეიციკისთან საღამო ჟამზე, და ღამე მივიდოდი ბევრჯელ სანახავად, და ისკი არ ვიცი, რომელი დრო იქნებოდა ხოლმე. და იმის შემდეგ აღარ ვყოფილვარ ზავილეიციკისთან, ოდესცა მითხრა აქ აღრეულები-სა.

6. თავადი იესე ფალავანდოვი აჩვენებს, რომ თქვენ ვიამბნით, ვითომ ბასტამ ბასტამოვისაგან ისე ყოფილიყოს შეყვლებული ზავილეისკისგან, რომ სასონარკვეთილს თავის მოკვლა უნდოდაო. განმარტეთ, სახელდობრ რამ მიიყვანა ბასტამოვი ასეთ სასონარკვეთილებამდე და ხომ არ იღებდა იგი მონაწილეობას თქვენს განზრახვლებში?

ამას წინათაც მოვახსენე კომისიას,⁴ ბევრჯელ გამიგონია ტიტულარნი სოვეტნიკის ბასტამ ბასტამოვისაგან: ის ზავილეიცი ესრეთ მანუხებსო, რომ იქნებ თავი მოვიკლაო. – და ის ბასტამოვი არაოდეს ჩვენი მონაწილე არა ყოფილა.

7. 1832 წელს აცნობეთ თუ არა თქვენ ან სხვა ვინმემ რუსეთში თქვენ თანაგანმზრახველთაგან ვისმე, რომ 20 ნოემბერს დანიშნული იყო აღრეულობის მოხდენა, და საერთოდ რა იყო რუსეთში მიწერილი 1832 წლის შეთქმულების შესახებ.

წარსრულს 1832-სა წელსა მე არ ვიცი, და არც მახსოვს, რომ მიგვეწეროს რუსეთში 20-ის ნოემბრის საქმე და არც არა სხვა მახსომს. არც ვიცი, რომ 1832 წლის ჩვენი რამ გარემოება მიენეროს ვისმე რუსეთს.

8. თქვენ ვიამბნით იესე ფალავანდოვისათვის, რომ 1831 წელს იმ პირთა შორის, რომლებიც გაცხარებული მოქმედებდნენ, იყვნენ სხვათა შორის პრაპორშჩიკი დავით ჯორჯაძე და მამა მისი. გამოაცხადეთ ყველაფერი, რაც იცით ამ უკანასკნელზე.

მე არაოდეს არ მითქომს თავად იასე ფალავანდოვისთვის, არც პრაპორშჩიკის დავით ჯორჯაძის რამ საქმე და არცარა მისი მის მამის ივანე ჯორჯაძისა. მე მხოლოდ მაშინ ვნახე ივანე ჯორჯაძე, როდისაც თავადმა ელიზბარ ერისთოვმა წარსრულს 1832-სა წელსა, სადილი რომ გააკეთა, და სოლომან რაზმაძე იქ რომ იყო, მაშინდლის მეტათ მე არცკი მცოდნია, რომ დავით ჯორჯაძემ იცოდა ჩვენი განძრახვა თუ არა ოდესმე. – თორემ მე ივანე ჯორჯაძის საქმე სრულებით არა ვიცირა ამ ჩვენის განძრახვისა.⁵

9. პრაპორუჩიკი ნათალოვი გიამბობდათ თქვენ, რომ სამოს-ნავლო ბატალიონში იყო ოფიცერი, პოლონელი, რომელიც თანახმა იყო თქვენთვის დახმარება გაენია. განმარტეთ, ვინ იყო ის ოფიცერი და ნათალოვი მის შესახებ რას გეუბნებოდათ?

პირველი გაგონება არის ესე გარემოება ჩემთვის, რომ ჩემ მამიდაშვილს, პორუჩიკს ნათალოვს, ჩემთვის ეთქოს ესე გარემოება. არ შეიძლება, რომ თვით ნათალოვმა მამაგონოს ესე გარემოება? თორემ მე სრულებით არ მაგონდება. – ერთხელკი მითხრა ნათალოვმა, რომ ერთმა აფიცარმა მითხრაო, რომ აქ ზავილეიცკის **ოთხმოცდაათი** ჩინოვნიკი ჰყავს მოსყიდულიო, რომ აქ ბუნტი უნდა მოახდინოსო, რომელიც მე ესე გარემოება ამასწინათაც მოვახსენე კომისიას.⁶

10. განმარტეთ დანვრილებით, რა მონაწილეობას იღებდნენ თქვენს განზრახულობაში თავადი დავით ბაგრატიონ მუხრანსკი და რევაზ ანდრონიკოვი.

არამც მონაწილე ყოფილიყოს თავადი დავით ბაგრატიონ მუხრანსკი ჩვენი, არამედ ჩვენი საზოგადოობისაგან ბევრჯველ გამიგონია, რომ ვითომც ის იყოს მაშენიკი და ავი კაცი.⁷ – და რევაზ ანდრონიკოვსკი ვერ ვიცნობ, ვინ არის და არცარა ვიცირა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანი „29-ს“ მარტსა. 1833-სა წელსა.

40. ჩვენი 1833 წლის 30 მარტისა

1. თავად იასე ფალავანდოვის ჩვენებით, 1832 წლის აგვისტოში თავად ელიზბარ ერისთოვთან ჩაიზე იყავით: თქვენ, თავადი ვახტანგ ორბელიანოვი, პორუჩიკი – თავადი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი და პოდპორუჩიკი, თავადი ანტონ აბხაზოვი, რა დროსაც ფალავანდოვს უთხარიო: რომ მან დაივინყა თქვენი ადრინდელი განზრახვა, რომ ამჟამად ყველანი მზად არიან 1831 წლის განზრახვის აღსასრულებლად, რომ გიორგი ერისთოვთან დაკავშირებით საშიში არაფერია, რადგანაც მან ჯერ კიდევ პეტერბურგში გაიგო ამის შესახებ¹ და რომ ახლა საჭიროა აბხაზო-

ვის გადმოხილება. – განმარტეთ დაწვრილებით, როგორ იყო ეს ამბავი და ხსენებულ შეკრებაზე სახელობრ რა საუბარი შედგა თქვენსა და იასე ფალავანდოვს შორის?

1. მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს. ერთხელ, მართალია, გიორგი რევაზის ძე ერისთოვი, ჩემი ძმა ვახტანგ, ანტონ აფხაზოვი, და თვით თავადი იასე ფალავანდოვი ვიყავით თავადს ელიზბარ ერისთოვთან ჩაიზე, იქ სხვა არაფრისთანა ლაპარაკი არა ყოფილარა როგორც მახსოვს, რომ ჩემი დედიდაშვილი თავადი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი ლაპარაკობდა ვარშავის აღებას,² და პოლშის გარემოებას, რომელიც ერთ თაბახ ქალაღღზე დახაზა პოლშის სულ საქმე, პოლიაკები როგორ დათრგუნეს რუსეთის ძლიერებამ. – მე ამაზე მეტი არ მახსოვს, რომ იქ ლაპარაკი ყოფილიყოს რამე, თორემ თუ ნებავეს კომისიას, ჰკითხოს ზემო ხსენებულ პირთ. – შემდეგ ამ ლაპარაკისა მე კიდეც წამოველ შინა. თავადი ელიზბარ ერისთოვი კიდეც მეხვეწა ბევრსა, რომ დამდგარვიყავ იმასთან ვახშმად, მაგრამ არ დავდექი. მე რომ წამოველ, თავადი იასე ფალავანდოვიც აღარ დადგა, ისიც წამოვიდა, და სხვანიკი იქ დარჩნენ. მასკვან აღარ ვიცი, რა ლაპარაკი ჰქონდათ.

2. *ოქტომბრის ბოლოს, ნავახშმევს, ბეზირგანოვის ყავახანაში, ავლაბარში, თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა განზრახვა გაუშლავნეთ კაპიტან ზაქარია ჩელოყაევს. – მეორე დღეს თავად იასე ფალავანდოვს უყვებოდით, თითქოს ზაქარია ჩელოყაევმა ვითხრათ: ახლა ამბოხებისთვის ყველაზე ხელსაყრელი დროა, რადგანაც, ჯერ ერთი, ზამთარია და, მეორეც, მთელი თქვენი საზოგადოება შეიკრიბება კენჭისყრაზე.³ – განმარტეთ, სახელობრ რა სიტყვებით ვითხრათ ეს თავადმა ზაქარია ჩელოყაევმა, როდის და ვისი თანდასწრებით? აგრეთვე, სად და რა ვითარებაში მოუყევით ეს ყველაფერი თავად იასე ფალავანდოვს?*
გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

2-ე. ეს ჭეშმარიტია, რომ ბეზირგანოვის ყავახანაში მხოლოდ მე და იასე ფალავანდოვმა ვიქონიეთ შერთება თავად ზაქარია ჩოლაყოვთან, თორემ იმაზე ადრე შერთება ჰქონდათ სოლომან დოდაევს, და თავადს ელიზბარ ერისთოვს, რომელიც მე ამ უკანასკნელ ორთაგან გამეგონა ადრევე, რომ ვითომც ჰქონდეთ

რაოდენჯერმე ლაპარაკი ზაქარია ჩოლაყოვთან ამ ჩვენ განძ-
რახვასა ზედა. – და თავადი იასე ფალავანდოვი რომ ამბობს,
ვითომც მე მეთქოს იმისთვის, ახლანდელის კარგის დროსი აღ-
რეულობისთვის, ესე არა არს იასესაგან ჭეშმარიტი ჩვენება,
ამისთვის, რომ თვით მე იასემ მითხრა ესე გარემოება, რომ
ვითომც ზაქარია ჩოლაყოვს მისთვის ეთქოს, რომელიც დასამტ-
კიცებელს საბუთს ამას წარმოვადგენ მე, რომ ანტონ აფხაზო-
ვისთვისაც ეთქოს იასეს ეს გარემოება, როდისაც მე და თავადი
ანტონ აფხაზოვი ერთათ რომ ვიმყოფებოდით სეკრეტში.⁴ მაშინ
აფხაზოვმა მე მითხრა, რომ თავადმა იასე ფალავანდოვმა მითხ-
რაო, ერთ საღამოზე ჩემთან მოვიდა თავადი ზაქარია ჩოლაყო-
ვი და მითხრაო, ისევ რაღას უყურებთ, ესლა კარგი დრო არი-
სო, რომ აღრეულობა მოვახდინოთო, ამისთვის, რომ, პირველი,
სიცივე არისო, და, მეორე, მთელი საქართველოს საზოგადოო-
ბა აქ ჩამოვლენო, და ამაზე უკეთეს დროს სადღა ვიპოვნითო.
როდისაც მე აფხაზოვმა ეს გარემოება მითხრა, მაშინ ჩემი ძმა
ვახტანგიც ჩვენთან იმყოფებოდა იმ სეკრეტში, და ვახტანგ-
მაც უნდა იცოდეს ესე გარემოება, ამისთვის, რომ არა ერთხ-
ელ მითხრა აფხაზოვმა ესე გარემოება, არამედ რაოდენჯერმე
გვითხრა მე და ჩემს ძმას ვახტანგს.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი
„30-ს“ მარტს. 1833-სა ნელსა.

41. ჩვენი 1833 წლის 1 აპრილისა

*1831 წელს თქვენ მისწერეთ ქართლში ბიძინა ერისთოვს,
რათა მას საჩქაროდ თბილისში ჩამოსასვლელად მიენვია თავ-
ადები: ელიზბარი და გიორგი დავითის ძე ერისთოვები, მამუ-
კა ორბელიანი, ზაქარია ციციანოვი და ლუარსაბ თარხანოვი,
რომლებიც მაშინ დღეობაზე იყვნენ არბოში.¹ განმარტეთ, ვინ
გამოცხადდა მაშინ თქვენი მიწვევის შედეგად, რამდენად სწრა-
ფად და ვინ ჩამოვიდა აქ პირველ ყოვლისა.*

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

ეს გარემოება, როგორც მახსოვს, და მაგონდება, ესრეთ იყო:
მე რომ ჩემ მეორე ძმას, ბიძინა ერისთოვს,² წიგნი რომ მივსწერე,
იმის მესამე დღეს თუ მეოთხეს დღეს მე სოფელში წავედი ჩემ

საკუთარს საქმეზედ, იქ **ორი** კვირა მეტი დავყავ, და შემდეგ ქალაქშივე ჩამოველ, და მე ვერა ვინ ვნახე, რომ ჩამოსულიყო ვინმე ჩემი წიგნის მიწერასა ზედა ესე ხსენებული პირთაგანნი.

აპრილის 1-ს. 1833-სა წელსა
პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

42. ჩვენება 1833 წლის 5 აპრილისა

თავადი იასე ფალავანდოვი თავის ერთ ჩვენებაში ამბობს, რომ თქვენ ეუბნებოდით მას შეთქმულებაში მონაწილეობაზე შემდეგი თავადებისა: ივანე ზაალის ძე და დავით გოსტაშაბის ძის¹ ბარათოვების. – განმარტეთ ეს გარემოება დაწვრილებით და განსაკუთრებით კი რაც იცით დავით გოსტაშაბის ძე ბარათოვზე.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

უფალს იასე ფალავანდოვს რომ უჩვენებია ჩემზე, ვითომც მე შეთქოს იმისათვის ამა ხსენებულთა პირთა ზედა, ესე არა არს იასესაგან ჭეშმარიტი ჩვენება. – ის კი მართალია, რომ თავადის ივანე ზაალის ძის ბარათოვისა უთხარი მე იასეს, რომელიც ამას წინათ ვაჩვენე კომისიასა თავადის ივანე ზაალის ძეზე.² – და დავით ლოსტამოზოვიჩს ბარათოვს ვერ ვიცნობ, ვინ არის, არამც თუ იმისი ვიცოდე რამე. სამნი დავით ბარათოვები არიან: ერთი არის ჩემი სიმამრი, და ორი კიდევ სხვანი არიან, და უმდაბლესად ვთხოვ კომისიას, რომ უფალს იასე ფალავანდოვს ეკითხოს, რომელსა ზედა აჩვენებს იგი, რომელსაცა სამთავ ამათ დიახ კარგათ იცნობს უფალი იასე ფალავანდოვი. –

აპრილის 5 დღესა. 1833-სა წელსა.
პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

43. ჩვენება 1833 წლის 7 აპრილისა

ტიტულიარნი სოვეტნიკმა პაუშენკომ აჩვენა, რომ თქვენ მას ეუბნებოდით: „აი, თქვენი რუსები როგორ აკეთებენ, ერთს გამოართმევენ, მერე – მეორეს, მაგ., სენატორთა სეკრეტარმა ჩემს საქმეზე მამულების გამო, გამომართვა 1000 მანეთი ასიგნაციებით და დიმიტრი ორბელიანოვს კი 250 ჩერვონეცი“. – განმარტეთ: მართლა უთხარით ეს თუ არა. ვინ არის სენატორთა სეკრეტარი, ზემოთ მოხსენებული. მართლა აიღო მან ფული და, თუ მიეცით მას ფული, გაქვთ თუ არა რამე დამამტკიცებელი მონშობა.

გენერალ-მაიორი ჩევკინი

ოდესცა სენატორები მოვიდნენ აქ, საქართველოში,¹ მე მათ არზა მივართვი ჩვენთ ორბელიანოვთ გაყრასა ზედა,² და მათ სენატორთ გადაგვიწყვიტეს ისე, რომ ჩემი მხვედრი წილი მიმელო ორბელიანოვთაგან. – და, მართალია, ლაპარაკსა შორის უთხარი მე ტიტულიარნი სოვეტნიკ პაუშენკოს გაჯავრებულმა ესე ხსენებული გარემოება, თორემ არამც თუ მიმეცეს სენატორისთვის 1000 ასიგნაცია, არამედ ვერცკი ვიცნობ, სენატორების სეკრეტარი რომელი იყო.

აპრილის 7-სა დღესა. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

44. ჩვენება 1833 წლის 10 აპრილისა

ზემოთ ნახსენები თავადი დავით ბარათოვი გოსტაშაბის ძეა და არა – გოსტამობისა. ჩვენ ეს შეცდომით დავწერეთ.¹ განმარტეთ, სახელდობრ რა გაქვთ ნათქვამი თქვენი განზრახულების შესახებ თავად დავით გოსტაშაბის ძე ბარათოვისთვის.

გენერალ-მაიორი ჩევკინი

– ეგრეთვე დავით გოსტაშაბოვიჩს ბარათოვს სრულებით ვერ ვიცნობ, ვინ არის.

წელსა 1833-სა. აპრილის 10-სა დღესა.

თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

აქ შეიძლება ითქვას, რომ იასე ფალავანდოვს თავის ჩვენებაში ჩემი სიმამრი გამოეთქო ცხადად, და იზვოროტით არ ეჩვენებინა ჩემს სიმამრსა ზედა, რომელიც ამით კომისია შეწუხდა. სხვა დავით ბარათოვნიც არიან. მე ვიფიქრე, უთოთ იქნება ამათში რომელსამე ერქოს დავით გოსტაშაბოვიჩი მეთქი, თორემ ჩემს სიმამრს დავით დიმიტრიჩ ბარათოვი ჰქვია, და გოსტაშაბიშვილს ამისთვის ეძახიან, რომ იმის პაპის პაპა, როგორც მე ვიცი, კარგი სახელოვანი კაცი ყოფილა, და გოსტაშაბ რქმევია სახელი, და ამისთვის დარჩომილა იმის სახელი ჩემი სიმამრის სახლში. – მე ამისთვის ვერ გავიგე ესე მოცემული კომისიიდგან ვოპროსის პუნქტი, და ვიფიქრე მე ესრეთ: უკეთუ იასე ჩემ სიმამრზე აჩვენებდა მეთქი, ამისთვის, რომ იასემ დიას კარგათ იცის, რომ დავით დიმიტრისძე ბარათოვი არის ჩემი სიმამრი. მაშა რალა საჭირო იყო იასესაგან მომატებული რალაც იზვოროტი. – და ეს გარემოება ესრეთ იყო, როგორც მაგონდება: ერთს ღამეს იასესთან ვიყავით ელიზბარ, ამისი ძმა დიმიტრი, კარნეტი გიორგი ერისთოვნი, ზალ ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანოვი, მე, და ჩემი ძმა ვახტანგ. მაშინ იასემ **სია** გაკეთა, რომ ვითომც ჩვენ რაოდენი მონაწილეები გვყვანან ამ ჩვენს განძრახვასა ზედა. იმ სიაში მრავალნი იყვნენ დაწერილნი ტყუილად, რომ სრულებით ჩვენს განძრახვასა ზედა ეჭვიც არა ჰქონდათ, თორემ არამცთუ სცოდნიყოთ რამე, და იმათ შორის ჩემი სიმამრიც იყო ჩანერილი, თორემ ჩემა სიმამრმა, თავადმა დავით ბარათოვმა, სრულებით არ იცოდა ესე ჩვენი განძრახვა, არამცთუ მონაწილე ყოფილიყო ჩვენი.² – ეხლა დიდათ სინანულადა მაქვს, რომ ნეტავ ადრითგანვე მეთქო ჩემი სიმამრისთვის ესე ჩვენი აზრი, მე ახლა ამა უბედურებასა შინა არა ვიქნებოდი. – იასე ფალავანდოვი რომ აჩვენებს, უთოთ ესე გარემოება ახსომს, თორემ მე იასესთვის სრულებით არ მითქომს, რომ ჩემი სიმამრი ჩვენს მონაწილედ არის მეთქი.

აპრილის 10-სა დღესა. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

45. ჩვენი 1833 წლის 11 აპრილის

კომისიას შინა!

1-ი

კომისიის კითხვასა ზედა, მაქვს პატივი, მოვახსენო: მე არ ვიცი, რა შერთება ჰქონია ბატოიშვილს ალექსანდრეს ანგლი-ჩანებთან.¹

2-ი

მე ვერ ვიცნობ მღვდელს, რომელიც ალექსანდრე ბატოიშვილთან არის.² იმის გარემოება სოლომან დოდაემა უნდა იცოდეს. – როდისაც ალექსანდრე ბატოიშვილის კაცი იყო მეორეთ ჩემთან, მაშინ იმას დავაბარე ჩვენი საზოგადოების დარიგებით, რომ ალექსანდრე ბატოიშვილს თავის მღვდელი გაეგზავნა თავრიზს, და იქ ეპოვნა რუსეთის პოსლანიკის კარზე რაზმაძე და იმასთან ექონია შერთება მას მღვდელსა. ეს გარემოება იყო წარსრულს 1832-სა წელსა, ზაფხულს, და მე არ მახსოვს, წიგნი მივსწერე ბატოიშვილს თუ არა.

3-ი

ბატოიშვილის ალექსანდრეს კაცი იყო ჩემთან მაჰმადა ორჯელ. ერთხელ იყო ზემორე მოხსენებულს დროს, და მეორედ იყო წარსრულს 1831-სა წელსა, შემოდგომაზედ, რომელიც მაშინ მივწერე მე ალექსანდრე ბატოიშვილს, რომ ეხლა დიახ მშვიდობიანობა არის მეთქი და არავინ არასა ფიქრობს მეთქი.

4-ე

მე ლუარსაბ ორბელიანოვისათვის არ მითქომს, რომ მამუკა ორბელიანოვს შერთება აქვს ოქროპირ ბატოიშვილთანა მეთქი. რისთვის ვეტყოდი, რომ არ ვიცი, ჰქონია მამუკას შერთება ამ ჩვენს აზრსა ზედა ოქროპირთან თუ არა. ეს კი ვიცი, რომ დიახ განუყრელად იყვნენ ოქროპირი და მამუკა, ეგრეთვე მამუკას ძმა დიმიტრი. ესკი შესაძლებელია, რომ იქნება, რომ ისე ლაპარაკში უთხარ მე ლუარსაბს, რომ ვითომც მამუკას შერთება აქვს ოქროპირთანა მეთქი, და მე კი სრულებით არ მახსოვს, რომ მეთქოს.

5-ი

არაოდეს არა ვცთილვართ მე და ელიზბარ ერისთოვი ამ ჩვენს განძრახვასა ზედა ოქროპირ ბატოიშვილთან. –

აპრილის 11-სა დღესა – 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თა-ი ალექსანდრე ორბელიანოვი

46. ჩვენება 1833 წლის 12 აპრილისა

პირველი ღამის განკარგულებით, არსენალის, მაღაზიისა და ხაზინის ასაღებად, სხვებთან ერთად დანიშნული იყო აგრეთვე თავადი ბეჟან ამილახვაროვი. რადგანაც ეს განკარგულება დაწერა იასე ფალავანდოვმა, მას შევეკითხეთ და მან სთქვა, რომ განკარგულებაში ბეჟან ამილახვაროვი ჩანერა თქვენი წინადადების თანახმად, რომ მისი ძმა თეიმურაზ ამილახვაროვი უთუოდ მასაც ეტყოდო. – ამიტომ თქვენ უნდა განმარტოთ, იცოდა თუ არა ბეჟან ამილახვაროვმა შეთქმულება, პირველმა ვინ გამოუცხადა მას და რა მიზეზით წამოაყენეთ იგი პირველი ღამის განკარგულებაში დავალებით შესატანად.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

თავადი იასე ფალავანდოვი რომ აჩვენებს ამ გარემოებას ჩემზე, დიხს ტყუილი არის, რომელსაცა ამით დავამტკიცებ, რომ ის პირველი ღამის რასპარაჟენია¹ რომ დაენერა იასეს, იმ დაწერის შემდეგ *თორმეტი* დღე თუ *ორი* კვირა გავიდა, რომ მე მაშინ მაჩვენა იასემ ის პირველი ღამის რასპარაჟენია. – მაშა სადამე მე საიდგან ვეტყოდი თავადის ბეჟან ამილახვაროვის დანიშნას.² – ამისთვის დიხს ტყუილი არის იასესაგან ესე ჩემზე ჩვენება, და არც ვიცი, თავადმა ბეჟან ამილახვაროვმა იცოდა ჩვენი ესე განძრახვა ანუ იცის თუ არა.³

წელსა 1833-სა. აპრილის 12-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

47. ჩვენება 1833 წლის 13 აპრილისა

1. ბიძინა ერისთოვი აჩვენებს, რომ თქვენ პირველმა გამოუცხადეთ მას თქვენი განზრახულება 1831 წელს, ხოლო 1832 წლის 4 ნოემბერს აცნობეთ შეთქმულების განახლება. განმარტეთ, სწორია თუ არა ასეთი ჩვენება?

მართალია, რომ თავადს, ბიძინა ერისთოვს, უჩვენებია ჩემზე, რომ პირველად 1831-სა წელსა მე გამოუცხადე ესე ჩვენი განძრახვა. – და 1832-სა წლის ნოემბრის ჩვენების განძრახვას რომ სწერს ბიძინა ერისთოვი, ჯერ რომ, ჩვენ 4-ს ნოემბერს განძრახვა არა გვქონია ბუნტისა. – ესრეთ იყო, როდისაც 20 ნოემბერი რომ დანიშნეს, მაშინ მე და ელიზბარ ერისთოვს ლაპარაკი რომ

მოგვიხდა და ზაქარია ჩოლაყოვიც რომ იყო ამ ჩვენს ლაპარაკში, იმის მეორეს დღეს, საღამოს ჟამზე, ჩემთან მოვიდა ჩემი დედიდაშვილი ბიძინა ერისთოვი, და უთხარ: ძმაო ბიძინავ, არ ვიცი, რა უნდა ვქნა ამ ელიზბარის გადამკიდე მეთქი, სწორე ვერარა მითქომს, და ვერარა გამიგონებოიარა, რასაც ვეტყვი, სულ ილანძღება მეთქი. – მასკვან მკითხა: რაო. მაშინ უთხარ: 20-ს ნოემბერს აპირებენ ბუნტსა მეთქი, და ჩემო ძმაო ბიძინავ, შენ ელაპარაკე, ეგება შენ მაინც დაგიჯეროს, რომ ხელი აიღოს მეთქი. – მასკვან ბიძინამ მითხრა: უთოთ ვეტყვიო, რას გაუგიჟებია, და ან რას გადარეულაო, ეგ რა საფიქრებელიაო. – მცირე ხანი რო გავიდა, ელიზბარ მოვიდა ჩემთან. ბიძინა დივნის თავს იჯდა. ელიზბარ სკამზე დაჯდა. – მასკვან ბიძინამ უთხრა ელიზბარს: რას გაუგიჟებოიარო, როგორ შეიძლება რაღაც 20-ი ნოემბერი გამოგიტყვერენიაო.¹ – მასკვან ელიზბარ წამოიჭრა, მამიბრუნდა: ეგ სულ ამის საქმე არისო. მასკვან ბიძინამ უთხრა: ელიზბარო, აი თუ შენ რა გვიყო ამ ცოლმვილიან კაცებს, ბოლოს გამოჩნდება და სულ არ დაგვლუპოვო. მასკვან მე უთხარ: ელიზბარ, აი თუ ჩვენ რა მოგვივიდეს მეთქი. ამ სიტყვაზედ წამოხტა და წავიდა. – მასკვან მე და ბიძინამა ვთქვით: ამ პეტერბურღელებმა საკვირველი განათლება არ მოგვიტანეს ჩვენთვისაო. –

მე ჭეშმარიტად მოვახსენებ კომისიას: წარსრულს 1831-სა წელსა² მე მსურდა აქ აღრეულობა მომხდარიყო, მაშინ ოდესცა, რომ მე გამოძიებასა შინა არ ვიყავ, რა წარმოდგებოდა იქიდგან, გარნა წარსრულს 1832-სა წელსა ჩვენი ზაგოვორი რომ დაიწყო, მე მაშინ სხვა განძრახვა მქონდა, და უკეთუ კომისია მკითხამს, ჭეშმარიტად მოვახსენებ, რა განძრახვაცა მქონდა 1832-სა წელსა.

აპრილის 13-სა დღესა. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

2. თქვენი ძმა ვახტანგი აჩვენებს, რომ 1831 წელს თქვენი და ელიზბარ ერისთოვმა გამოუცხადეთ თქვენი შეთქმულება. განმარტეთ, მართალია ეს თუ არა და ვახტანგმა რუსეთშივე ხომ არ იცოდა თქვენი განზრახულება.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

როგორც მე მახსომს, ესრეთ იყო: ერთხელ ელიზბარ, და დოდაევი ჩემთან იყვნენ და ამ ჩვენს განძრახვასა ზედა ვლაპარაკობდით. მცირეს ხანს უკან დოდაევი წავიდა. მე და ელიზბარ დავრჩით. ამ დროს ჩემი ძმა შემოვიდა. გვითხრა: ეს რაღაც ლაპარაკები გაქვთ, და რა იქნება, მეც მითხრათო. – ისკი აღარ მახსომს, ვინ გამოუცხადეთ, მე თუ ელიზბარმა ესე ჩვენი განძრახვა, და მე ვახტანგისგან სრულებით არ გამიგონია, რომ რუსეთში სცოდნიყოს ესე ჩვენი განძრახვა.³

აპრილის 13-სა დღესა. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

48. ჩვენება 1833 წლის 15 აპრილისა

განმარტეთ დაწვრილებით, რა იცით თარჯიმან თავად რამაზ ანდრონიკოვის მონაწილეობაზე ამ განზრახულებაში.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

პერევეოჩიკის თ-დის რამაზ ანდრონიკოვისა არცარა ვიცირა, და არცარა გამიგონიარა ამა ჩვენსა განძრახვასა ზედა.

წელსა 1833-სა. აპრილის 15-ს დღესა.¹

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

49. ჩვენება 1833 წლის 15-17 აპრილისა

1. თავადი იასე ფალავანდოვი აჩვენებს, რომ თქვენმა ძმამ დიმიტრიმ თქვენი თანდასწრებით, 10 დეკემბერს უთხრა მას, რომ, ვითომც, მოზდოკზე გამოსვლის დროს, გაიგონა პოლკოვნიკ ლაზარევისა და სომხების ცუდი ზრახვების შესახებ სომეხთა სამეფოს აღდგენის შესახებ.¹ განმარტეთ, მართლა სთქვა, თუ არა ეს თქვენმა ძმამ დიმიტრიმ.

იასე ფალავანდოვი რომ სწერს ამა გარემოებას, ესრეთ იყო და არა ისე, როგორც იასე აჩვენებს: ჩემა ძმამ დიმიტრიმ, ისე რაღაც ლაპარაკი ჩამოვარდა, და ამ ლაპარაკსა შორისა თქო ეს-

რეთ – მე ვილამაც მითხრაო, რომ, ოდესცა პოლკოვნიკი ლაზარევი მოზდოკს მივიდაო, იქაურმა სომხებმა დიდათ პატივი სცესო, და სადილი გაუკეთეს ლაზარევსაო. ამაზე მეტი სხვა არარა უთქომსრა ჩემ ძმა დიმიტრის, და იასე რომ სწერს მომატებულს ტყუილს, სომეხთ მტრობითა სწერს, ამისთვის, რომ იასესაგან ბევრჯელ გამიგონია: როდის იქნებაო, რომ ეს სომხები ამ საქართველოდგან ამოვარდნენო, და დრო რომ ჩავიგდო, ამ სომხების სისხლს დავლეო.

წელსა 1833-სა აპრილის 15-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

2. იგივე აჩვენებს, რომ ვითომც თქვენ გითქვამთ მისთვის, რომ თქვენმა ძმამ დიმიტრიმ განზრახულება გაანდო თავის მეუღლეს. განმარტეთ ეს გარემოება.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

არამც თუ ტყუილი იყო ესე იასე ფალავანდოვისაგან ჩვენება, არამედ დიახ დიდი, და საშინელი მოგონილი სიცრუით ჩვენება არის იასე ფალავანდოვისაგან. არც მითქომს, არცარა ხმა ამამილია ამას საგანსა ზედა. რო არა იცისრა ჩემი ძმის დიმიტრის მეუღლემ ესე ჩვენი განძრახვა, რად ვიტყოდი, და ან რა ლაპარაკი იქნებოდა. – ესეც მტრობითი ჩვენება არის იასესაგან ამისთვის, რომ რადგანც ჩემი ძმის დიმიტრის მეუღლეს ძმა მოუკლეს ლეკებსა შინა,² ამისთვის იმ ჩემ რძალს ბიძაშვილი ჰყავს ერთი ქალი პოლკოვნიკის ყაფლანისაგან დარჩომილი სოფია, რომელიც ამ სოფიოსაგან წერილი აქვს მას, ამ ჩემ რძალს, რომ მის ყმა და მამულთან ნაწილი აღარა ჰქონდესრა, და მე იასემ მითხრა, როდისაც რომ ამბავი მოვიდა ლეკებიდგან, რომ ზალ ორბელიანოვი მოკლესო, ახლა ჩემი ძმა ღუბენატორი თავის დანიშნულს მაიორის ლუარსაბ ორბელიანოვის ქალს გაუშვებსო და მას სოფიოს შვირთამსო, ამისთვის, რომ შენი რძლის ყმა, და მამული ნახევარი ახლა მის სოფიოსი არისო, რომელიც თვით იგი ღუბენატორი ნიკოლაი ფალავანდოვი აპეკუნი არის მის სოფიოსი მის ქალის დაბადებიდგანვეო.

წელსა 1833-სა. აპრილის 15-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

კომისიასა შინა!

ამასთან დაუმატებ. – ერთხელ კაპიტანმა თავადმა ზაქარია ჩოლაყოვმა თქო პრისუსტივე ჩემს ძმას ვახტანგთან, კარნეტ გიორგი ერისთოვთან, და ჩემთან ესრეთ: პეტერბურლის **ერთ** ტრახტირში შევიდნენ **სამნი** კეთილშობილნიო და იქ ხელმწიფის იმპერატორის ჩამოსხმული სახე იდგაო. ამა კეთილშობილთაგანი **ერთი მივიდა** და იმ სახეს შუბლზე წკიპურტი დაჰკრაო და უთხრაო: ახ ტი ნიკალაშაო, და **მეორემ** დანა აილოვო, დაიძახა დალოი, დალოიო და დანა დაჰკრა მას ხელმწიფესა სახესაო და **მესამისაკი** აღარ მახსომს, რა თქო, და ამა კეთილშობილთა გვარიცა თქო ზაქარია ჩოლაყოვმა, რომელიცა მე აღარ მახსომს იმათი გვარი.³

წელსა 1833-სა. აპრილის 17-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

50. ჩვენება 1833 წლის 17 აპრილისა

კომისიასა შინა!

წარსრულს 1831-სა წელსა ოდესცა ჩვენი ზაგოვორი დაიწყო, წინააღმდეგ მთავრობისა, მაშინ მე განძრახვა მქონდა ესრეთ: რომელნიც ჩვენნი პირველნი კაცნი არიან, მათთვის გვეცნობებინა ჩვენი განძრახვა, უკეთუ იგინი თანხმანი შეიქნან აღდგინებისათვის ჩვენის მეფობისა, მაშინ მე მათ განუცხადო ჩემი წინადადებითი აზრი ესრეთ: ჩვენ ყოველთ საქართველოს ერთა უნდა ვიცოდეთ, რომელ რუსეთის ძლიერებამა განგვიახლა ჭემ-მარიტი სარწმუნოება ბერძენთა, და მოგვცა მშვიდობა საზოგადოდ, რომელიცა განაქარვა ყოველნი მოსისხლენი ჩვენი გარეგანნი მტერნი, და დათრგუნვა იგინი. ვინაიდგან გვსურს, რათა ახლად აღვადგინოთ ჩვენი მეფობა, ამისათვის განგიცხადებთ ყოველთა აზრსა ჩემსა, რომელ ჩვენ არ ძალგვიძს ძლიერებითა პოვნა ჩვენის მეფობისა, და უკეთუცა გექონდეს ძალი მოპოვებად მეფობისა ჩვენისა, მაშინაცა ნუ ინებოს ღმერთმა, რომელ ქართველს კაცსა მისცეს ესრეთი ფიქრი რუსთა და ქართველთა შინა სისხლ მთხვევლობანი, მაშინ, ოდესცა რომელ გვაქვს ერთი ბუნება, ერთი სისხლი, და ერთის ღთაებრივის სარწმუნოებითა ვსულთქმით, და, რადგანცა გვსურს მეფობა ჩვენი, და რუსეთისა ხელმწიფობისათვისაცა არა საკურვლად არს აღმოჩენილ

სამეფო საქართველოსი, ამისთვისა ვთხოვოთ მონყალესა ხელმწიფესა იმპერატორსა ნამდვილად ჩვენი მეფობა ქართლისა, და კახეთისა, ეგრეთვე მისნი მონყალეებითნი მფარველობანი ჩვენსა ზედა, ესე იგი **ორი** პოლკი, ხაზინა, და კაცნი მმართველად. – ოდესცა ჩვენსა საზოგადოსა თხოვნასა მონყალე ხელმწიფე მიიღებს კეთილს განსახილველად, მაშინ განიხილამს ესრეთ: **პირველი**. რომელ ბაგრატიონთ მეფეთ შთამომავლობა არს მეფისა დავითისაგან, რომელიცა პირსა ყოვლისა ქვეყანისა ზედა არა რომელთამე, არა ვგონებ, რომელ იყვნენ ესრეთ ძველთა მეფეთ შთამომავალნი, ვითარცა გვარი ბაგრატიონთი, და ამისთვის მაგალითისათვის ინებებს მონყალე იმპერატორი, რომელ გვარი ესე მოუშლელი იდგეს ძველსა თვისსა ადგილსა ზედა. **მეორე**. ვითარცა საქართველოს საზოგადოობამ მისცა მფარველობისა ქვეშე რუსეთისა საქართველო, ეგრეთვე საზოგადო ითხოვს მასვე სამაგალითოსა მის იმპერატორებითსა მონყალეობასა. – **მესამე**. ჩვენ არ ძალგვიძს თხოვნა იმერეთისა, და არცა სხვათა სახანოებთა, ამისთვის, რომელ ესენი დათრგუნვებულან ძლიერებითა რუსეთისა და საქართველოს საზოგადოთ მხოლოდ მფარველობით მიუერთმევიათ საქართველო.¹ – **მეოთხე**. ქართლი და კახეთი არს ერთი სათავადო, რომელიცა ღრაფ შერემეტევსაცა ჰყავს ეგოდენი ყმა, და აქვს ეგოდენივე მამული. – **მეხუთე**. სახელმწიფოს არა აქვს ქართლიდგან, და კახეთიდგან ეგოდენი სარგებელი, რომელ სახარბიელოდ უჩნდეს სახაზინოს. – **მეექვსე**. უკეთუ აქ მეფობა იყოს ბაგრატიონთი, მაშინ რუსეთის სახელმწიფოს ექნება დიადი შემატება, ამისთვის, რომელ მას, მეფეს, ორსა წელიწადსა ზედა შეუძლიან, რათა შემწეობითა მის იმპერატორისა დიდებულებისათა განაწყოს მხედრობა. შემდეგ ამისა შეუძლიან რუსეთის ძლიერებასა, რომ სამძღვარსა ზედა განიყვანოს სრულიად აქაურნი პოლკნი, და მაშინ ადვილად შესაძლებელი არს, რათა დაიპყრას სპარსეთისა ნახევარი, და იგი მეფეც თავის ყოვლის ღონისძიებით იქნება შემწე რუსეთის ძლიერებისა, და ამით დიადსა სიმდიდრესა და სარგებელსა მოიპოვებს სახელმწიფო, და ხაზინა! მე ესე ზემორე აღწერილი განძრახვანი მქონდა, უკეთუ ჩვენნი პირველნი კაცნი თანხმანი იქნებოდნენ ამა ჩემის აზრისა მაშინ! – სახითა ამითა გვეთხოვნა მის იმპერატორებითსა დიდებულებისადმი, უკეთუ ამა ზემორე აღწერილისა ძალით გვქონდეს სიმართლე თხოვნად, ვთხოვოთ იმპერატორს, და ინებებს მაგალითისათვის ერთმთავარი ხელმ-

ნიფე, დიდი იმპერატორი ჩვენის მეფის ბოძებისას ჩვენდა, მაშინ თვისსა მფარველობასაცა განავლენს ჩვენსა ზედა, და უკეთუ სიმართლე არა გვექონდეს, მაშინ ვიყოთ, ვითარცა აქამომდე ვიმყოფებოდით მფარველობასა ქვეშე მოწყალისა იმპერატორისა, და უკეთუ მე მოსურნე ვყოფილიყავ, რათა სისხლი მომხდარიყო, მაშა სადამე რაისათვის ვთხოვე ბატონიშვილს თამარს, რომ დაეშალა ყმანვილი კაცებისათვის, რომ დაეტოვებინათ ესრეთი განძრახვა,² გარნა მე სიმართლით მოვახსენებ კომისიას, რასაც ვმოქმედობდი, ანუ ვლაპარაკობდი, და ანუ თანხმა ვიყავ სულ ჩემის ამხანაგების კმა ყოფილებისათვის. – ამისთვის, რომ ვიცოდი, არ შეიძლებოდა, და არცარა მოხდებოდა. – როდისაც მაიორმა, თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა, თავის სახლში ღვარდიის კაპიტანს, თავადს ზაქარია ჩოლაყოვს და თავადს ელიზბარ ერისთოვს, ამათ უთხრა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ნავიყვანთ ამა საგანსა ზედა სალაპარაკოთაო, მეც უთოთ იმედი მქონდა, რომელ მეტყოდა: შენც ნავიყვანო, მაგრამ არა მითხრარა, და ველარც მე გაუბედე, რომ მეც ნამიყვანე მეთქი და უკეთუ მე მაშინ ლუარსაბს ნავიყვანე თ. ჭავჭავაძესთან, მაშინ უთოთ ეს ზემორე აღწერილი განძრახვანი მქონდა, რომელ თ. ჭავჭავაძისათვის გამამეცხადებინა! – განა ჩემსა ამხანაგებსა შორის არა განვაცხადებდი ამ ჩემსა აზრსა, მაგრამ ყმანვილნი კაცნი იყვნენ, რო ვიტყოდი იმისთანას მშვიდობიანსა რასმე, ჯავრობდნენ, და *მეორე*, რომ ვამბობდი ჩემთვის: ეს ხომ ვიცი, არა მოხდებარა ამა ჩვენის ფუჭის განძრახვითა მეთქი, ამისთვის, ვითომ დიდს სულოვნობას ვხმარობდი, რომ დიდრონ კაცებს გამოუცხადებ ამა ჩემსა აზრსა, და არა ამათა მეთქი. – გარნა ჩემი ესე განძრახვა და დიდ სულოვნობა შეამცირა და მოსწყლა *პირველად* ღენერალ მაიორმა, თავადმა ალ. ჭავჭავაძემ, და *მეორედ* შპიონმა იასე ფალავანდოვმა,³ რომელნიცა დღეს პირველნი გვარნი საშინელს უბედურებასა შინა შთავცვივდით ჩვენის ფუჭის ყბედობისა, და ფუჭის საქმისაგან, რომელიც ესე ჩვენი ფუჭი განძრახვა უკეთუ წელი *ახი* გაგრძელებულიყო, მაშინცა არა მოხდებოდა, არამცთუ იასეს ტყუილის გესლიანის, და მომხიბლულის რასპარიაჟენით⁴ მომხდარიყო აქ აღრეულობანი! – ესრეთ სამჯობინარო და უფრო სასიამოვნო არ იქნებოდა ხელმწიფე იმპერატორისათვის, რომ იასე ფალავანდოვს ჩვენთვის ერჩია ესრეთი რამე – ნავიყვანეთ ჩვენ თავის ძმას ლუბენატორთან, და მის წინაშე ყოველს თავისი დანაშაული

აღგვიარებინა, და მას ლუბენატორს მთავრობასთან წარვედგინეთ ჩვენი დანაშაულით, რომელსაც ვიმედოვნებ, რომ მაშინ მთავრობა ჩვენს დანაშაულს წარუდგენდა ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს, რომლითაცა დავისჯებოდით გარნა არა ესრეთითა, ვითარცა ეხლა უკანსკნელსა განწირულებასა შინა ვიმყოფებით, და საბრალო ჩვენი სანყალი ცოლშვილნი უნდა სტიროდნენ სიმწარისა ცრემლითა. გარნა სასოებასა არა წარვიკვეთთ. ნუგეჟად გვაქვს ხელმწიფის იმპერატორის აუარებელნი, და სამაგალითო მისნი მოწყალებანი.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
„17-ს“ აპრილს. 1833-სა წელსა.

51. ჩვენება 1833 წლის 20 აპრილისა

მასწავლებელი სოლომონ დოდაევი აჩვენებს, რომ 1832 წლის სექტემბერში მიწვეული იყავით იასე ფალავანდოვთან, რომელიც ამბობდა, რომ არ დაგვინყებიათ წინანდელი განზრახვლება და გარწმუნებდათ, ეხლა ყველაზე ხელსაყრელი დროა იმის აღსასრულებლად. განმარტეთ, როგორ იყო ეს ყველაფერი და დაწვრილებით დაწერეთ თქვენი მაშინდელი საუბარი.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
20-ს აპრილს. 1833-სა წელსა.

52. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (I)

1. თარჯიმანი მამაცოვი უჩვენებს, რომ როდესაც ის თქვენთან იყო შეკრებაზე და როდესაც ჩელოყაევი გააცანით ზოგ თქვენს თანაგამზრახველს, ის ამბობდა თქვენი განზრახვლების შეუძლებლობაზე და რომ ელიზბარმა იგი ჩააჩუმა.¹ განმარტეთ, სახელდობრ რა თქვა მამაცოვმა, გააჩუმა იგი მართლა ელიზბარმა თუ არა და ამის შემდეგ დასწრებია თუ არა მამაცოვი თქვენს თათბირებს.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

მართალია, რომ ერთ ღამეს ჩემთან იყვნენ მამაცოვი და სხვანი, მაგრამ ის კი აღარ მახსოვს, რომ რა ლაპარაკი იყო ჩვენ შორის. – იმ ღამეს იყვნენ ჩემთან ზაქარია ჩოლაყოვი, იასე ფალავანდოვი, ჩემი ძმა ვახტანგ, ზალ ავთანდილოვი, და ჩემი დედიდაშვილი გიორგი ერისთოვი და უკეთუ ნებაღვს კამისიას და სურს ჰკითხოს ზემო ხსენებულ პირთ, იქნება იმათ ახსომდეთ ხსენებული ვოპროსნის პუნქტი.

წელსა 1833-სა. აპრილის 22-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

და შემდეგ ამისა მამაცოვი ჩემთან აღარ მოსულა.

თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

2. თარჯიმანი მამაცოვი უჩვენებს, რომ ის გეუბნებოდათ თქვენ, რათა ურჩიოთ თქვენს თანაგამზრახველთ, ხელი აიღონ განზრახულების შესახებ ლაპარაკზე. მართალია თუ არა ეს ჩვენება და როდის რა გელაპარაკათ ამაზე მამაცოვმა.

მართალია, რომ მითხრა ესე გარემოება მამაცოვმა, მაგრამ არ ვიცი, სად მითხრა და მე პასუხი მიუგე: რა ვქნა, ვერარა მითქომსრა, სულ ილანძღებიან მეტეჟი, და ამით განმორდა ჩვენი ლაპარაკი.

თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

53. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (II)

სიტყვიერი განმარტება ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისა.

22 აპრილი 1833 წლისა

ზემოაღნიშნულმა თავადმა ორბელიანოვმა კომისიის წინაშე განმარტა:

1. მასწავლებელ დოდაევის ჩვენების (ფ. 162) წინააღმდეგ, რომ მას სრულებითაც არ უთქვამს იასე ფალავანდოვისთვის, რომ მას ეთხოვნა გენერალ-მაიორ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის, რათა ამ უკანასკნელს არ განეცხადებინა შეთქმულება მთავრობისათვის და მან არც იცის, რომ იასე ფალავანდოვს ჰქონდა თუ არა ჭავჭავაძესთან რამე ურთიერთობა შეთქმულების გამო.

2. თავად აბხაზოვის ჩვენების წინააღმდეგ,¹ რომ სრულებით არ ახსოვს, რომ მისთვის წინადადება მიეცათ, რათა რამე დაენერა.

3. იასე ფალავანდოვის ჩვენების წინააღმდეგ,² რომ მას სრულებით არ გამოუცხადებია განზრახულება ალექსანდრე ონიკოვისთვის.

*გენერალ-მაიორი ბაიკოვი I
გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი
გენერალ-მაიორი ჩეკვინი
პოლკოვნიკი ტრიტილევჩი³*

54. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (III)

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა, მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ მე ალექსანდრე ონიკოვისა სრულებით არა მითქომსრა იასეს ფალავანდოვისთვის¹ ამა ჩვენის განძრახვისა, და არცარა გამიგონიარა, რომ მას, ონიკოვს, სცოდნიყოს ესე ჩვენი აზრი.²

წელსა 1833-სა. აპრილის 22-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

55. ჩვენება 1833 წლის 25 აპრილისა

თქვენს საკუთარ ჩვენებებში ჩანს, რომ 1831 წელს ორჯერ მიგილიათ წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან. პრაპორუჩიკი გიორგი ერისთოვი ამბობს (ფ. 2525), რომ თქვენ მას უთხარით, თითქოს ამ ბატონიშვილმა მოგწერათ, რომ მას სპარსელების იმედი არა აქვს.¹ ეს თქვენს ჩვენებებში არა გაქვთ ნათქვამი, ისევე, როგორც არ გაქვთ განმარტებული, როდის და ვისთან ერთად ჩამოვიდა თქვენთან ნესტორიანელი, რაზედაც ლაპარაკობს 1832 წლის ზაფხულში (ფ. 269) თქვენთან მყოფი მოლა ზამანა.² ამიტომ თქვენ ზუსტად და სიმართლით უნდა განმარტოთ, რამდენჯერ მისწერეთ ალექსანდრე ბატონიშვილს და რამდენჯერ მიიღეთ მისგან წერილი ან სიტყვიერი შემონათვალის, ვისი საშუალებით ხორციელდებოდა ეს თვითეულ შემთხვევაში და რა

შინაარსის იყო თვითეული თქვენგან ბატონიშვილისთვის მიწერილი და მისგან თქვენთვის მოწერილი.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

ბატონიშვილს ალექსანდრესთან ჩემგნით, და მისგნით მიწერილ მოწერის გარემოება ყოველი ესრეთ იყო, როგორც მახსოვს: **პირველი**, მე რომ წიგნი მივსწერე, მას შინა ესრეთ ეწერა მის კახეთში გამოსვლა ჩვენის საზოგადოების თხოვით, და მისგნით მე რომ პასუხი მამივიდა მოლა ზამანას ხელით, მას წიგნსა შინა ესრეთ ეწერა: მე მამიშენისშვილს არას დროს არ ვენდობოდიო, მაგრამ მაინც კიდევ გენდობიო, და მე ეხლა მოხუცებული ვარო, და აღარა შემიძლიანარაო. – **მეორედ**, იმისმა კაცმა წიგნი რომ მამიტანა, მას წიგნსა შინა ესრეთ ეწერა: თქვენგნით ადრევე წერილი მივიღეო, რომელიცა ვერასა საქმობთო, და ველარა შევიტყვერა თქვენი ამბავიო. – და მე ამ მეორეს წიგნის პასუხი ესრეთ მივსწერე: ეხლა სულ მშვიდობა არის, და აღარავინ აღარაფერსა აღარა ფიქრობენ მეთქი. – ამ ორ წიგნზე მეტი მე წიგნა არ მამსვლია და არც ნესტორიანნი მოსულან ჩემთან და არც ვიცი, ნესტორიანნი რა ხალხნი არიან. იქნება მოლა ზამანას უთხრა ალექსანდრე ბატონიშვილის კაცმა, ვითომც ნესტორიანნი ჩემთან მოსულიყვნენ, თორემ ნესტორიანნი ჩემთან სულ არ მოსულან. – და **მესამე** წიგნი რომ მივსწერე, მას წიგნსა შინა ესრეთ იყო დაწერილი, რომ ბატონიშვილს თავის ღვედელი გაეგზავნა თავრიზს, იქ სოლომან რაზმაძე ეპოვნა, და მასთან შერთება ექონია. – ამაზე მეტი ჩვენ მიწერ მოწერა სულ არარა გვექონიარა, და არცარა სიტყვით რამ დაბარებითი გარემოება არარა მიმიღიარა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან, და პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი რომ სწერს ხსენებულს გარემოებას, ისკი ჭეშმარიტად უჩვენებია. მართალია, რომ მე უთხარ ისე ლაპარაკსა შორის, თორემ ალექსანდრე ბატონიშვილის წიგნში სულ არა წერებულა ხსენებული გარემოება.³

წელსა 1833-ს. აპრილის 25-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

56. ჩვენება 1833 წლის 26 აპრილისა (I)

თავადი ვახტანგ ორბელიანი თავის ერთ ჩვენებაში (ფ. 132) ამბობს, რომ თქვენი თანავანმზრახველნი უკვე აპირებდნენ ხელი აეღოთ თქვენს განზრახულობაზე, რომ უცბად მოვიდნენ ელიზბარ ერისთოვი, მისი ძმა დიმიტრი და იასე ფალავანდოვი და გითხრეს, რომ ლუარსაბ ორბელიანოვი ესაუბრა გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეს და ის ნანილობრივ დათანხმდაო.¹ – და ამ ამბის შემდეგ თქვენ კვლავ დაიწყეთ კრებები. – განმარტეთ, სად მოხდა ზემოთ აღნიშნული, ვისი თანდასწრებით და დასახელებულ თავადთაგან პირველმა რომელმა გაცნობათ თავად ჭავჭავაძის თანხმობა განზრახულებაზე.

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს.

წელსა 1833-ს. აპრილის 26-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

57. ჩვენება 1833 წლის 26 აპრილისა (II)

თქვენი ჩვენებების შესავსებად კომისია მოგიწოდებთ განმარტოთ მოკლედ, მაგრამ ზუსტად და სათანადო გულახდილობით:

1. ვინ მიგაჩნდათ მთავარ და დამწყებ წყაროდ მთავრობის წინააღმდეგ განზრახულებისა.

2. ხომ არ არსებობდა ასეთი განზრახულება 1830 წლის უნინარეს?

3. რა საშუალებით ფიქრობდნენ შეთქმულნი 1831 წელს განზრახულების განხორციელებას ვარშავის ალების წინ; ნავარაუდევია იყო თუ არა საამისოდ პირველი ღამის განკარგულება, როგორც ეს იყო 1832 წელს?

4. რა ვადა იყო დანიშნული ან ნავარაუდევია აღნიშნული განზრახულების შესასრულებლად 1831 წელს?

5. რადგან ვარშავის დაცემის შემდეგ შეთქმულება ცოტა შენელდა და მისი შესრულება უკუგდებულ იქნა, სახელდობრ რა მიზეზმა შთავაგონათ ესოდენ საქმიანად გაგეახლებინათ იგი 1832 წელს და მის განხორციელებასაც კი შესდგომოდით?¹

პოლკოვნიკი **ტრიტილევიჩი**

1-ი) როგორც მე ვიცი, წინააღმდეგ მთავრობის აზრის მიმ-
ცემი **პირველი** ოქროპირ ბატონიშვილი უნდა იყოს, და **მეორე**
დიმიტრი ბატონიშვილი.²

2-ე) წარსრულს 1830-ს წელსა მე შთამაგონა ოქროპირ ბა-
ტონიშვილმა, და იმაზე ადრე არ ვიცი, კიდევ იცოდა ვინმემ თუ
არა ჩვენი განძრახვა.

3-ე) წარსრულს 1831-ს წელსა, როგორც მახსოვს, ესრეთ იყო
– თავადი თეიმურაზ ამილახვაროვი, ბიძინა ერისთოვი, ზაქარია
ციციანოვი, და ლუარსაბ თარხანოვი, ესენი ამბობდნენ: პირვე-
ლად თქვენ, ქალაქელებმა, დაიწყეთ ქალაქშიაო, და მასკვან ჩვენ
ჩამოვალთ და მოგეშველებითო. ჩვენ ვეუბნებოდით: არა, თქვენ
რაერთიც კაცი შეიძლოთ, აქ ჩამოიყვანეთ, აქ ერთათ მოვახდი-
ნოთ აღრეულობა. – ისინი ამის თანხმანი არ შეიქნენ, და ჩვენ
იმათი. ამაში კიდევ აიღეს ვარშავა და ყველამ დავიწყებას მი-
ვეციოთ ჩვენი განძრახვა. – ჩვენ სულ არ გვქონია 1831-სა წელსა
განკარგულება, ვითარცა 1832-სა წელსა.

4-ე) ჩვენ სულ დრო არ გვქონდა დანიშნული აღრეულობისთ-
ვის წარსრულს 1831-ს წელსა.

5-ე) მე კიდევ მოვახსენებ კომისიას, რომ მე არაოდეს არა
მსურდა წარსრულს 1832 წელს აღრეულობა. **პირველი**, რომ
თამარ ბატონიშვილს ვთხოვე, რათა დაეშალა. – **მეორე**. ზალ
ავთანდილოვს უთხარ მე, რომ არას დროს არ შეიძლება, რასაც
ელიზბარ ამბობს მეთქი, რომელიც ისიც დამემონმა. – **მესამე**.
მამაცოვს უთხარ მე, რომ ვერარა გამიგონებია, სულ ილანძლე-
ბიან მეთქი. – **მეოთხე**. თვით კომისიას მოხსენებულები აქვს, რომ
მე და ელიზბარს ჩხუბი რომ მოგვივიდა. – **მეხუთე**. ყავახანაში
იასე ფალავანდოვი რომ ბატონიშვილ ალექსანდრესთან მისტუმ-
რებდა და მე უარი რომ უთხარი. – და კიდევ სხვა გარემოება-
ნი, არ მაგონდება, თორემ კომისიას მოვახსენებდი! – რომელიც
საქმით ვამტკიცებ, რომ მე მოწადინე არ ვიყავ აღრეულები-
სათვის, უკეთუ დამეჯერება დამტკიცება ესე, და გულსა შინა
განძრახვა მქონდა უთოთ აღრევისა, მაშინ მე შემიძლიან **უკეთუ**
კანონი დამდებს, რათა განმედილის ფიცით დავიფიცო, რომ მე
არა მსურდა აღრეულება.

როგორც მახსოვს, მიზეზნი ესენი იყვნენ. ერთხელ, სალა-
მო ჟამზე, თავად იასე ფალავანდოვთან ვიყავ, და სხვასა, და
სხვასა რაღაეხსაც ვლაპარაკობდით, და ამ ლაპარაკსა შორის
მითხრა: მე შენ სწორე უნდა გითხრაო, რომ მთავრობას ქალ-

ალდი მოსვლია რუსეთიდანაო, და აქედგან **ოთხი** გვარი უნდა გადაასახლონ რუსეთში: **ერთი** მუხრანსკეზიო, **მეორე** ერისთოვნიო, **მესამე** ორბელიანოვნიო, და **მეოთხე** ენდრონიკოვნიო.³ – მე უთხარ: რათა მეთქი. მითხრა: არც მე ვიციო. – მე ესე ლაპარაკი ყურად არ ვილე, და ამის პასუხი მიუგე, რომ მადლობა ღმერთსა მეთქი, რომელიც ეს გარემოება ელიზბარ, და მისმა ძმამ დიმიტრიმ ერისთოვთ, ჩემა ძმამ ვახტანგმა, გიორგი რევაზის ძემ ერისთოვმა, და მაიორმა, თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა, ამა პირთაც უნდა იცოდნენ ესე ხსენებული გარემოება, ამისთვის, რომ მათთვისაც უთქომს ზემო ხსენებული გარემოება იასეს, და კიდევ სოლომან დოდაევისათვის. მე მგონია ზალ ავთანდილოვისათვის, და დიმიტრი ყიფიანოვისათვისაც უთქომს, ეგრეთვე ზაქარია ჩოლაყოვისათვისაც.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
წელსა 1833-სა. აპრილის 26-სა დღესა.

58. ჩვენება 1833 წლის 29 აპრილისა (I)

გავიგონიათ თუ არა და ვისგან, რომ 1831 წელს იყო მსჯელობა იმაზე, რომ მოვესყიდათ ნიჟეგოროდის დრავუნთა პოლკი?!

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

არც გამიგონია, არცარა ვისგანმე შემეიტყვია ესრეთი გარემოება.²

წელსა 1833-სა. აპრილის 29-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

59. ჩვენი 1833 წლის 29 აპრილისა (II)

თავადი იასე ფალავანდოვი უჩვენებს (2268),¹ რომ დეკემბრის თვეში თქვენ თქვენს ძმასთან, პრაპორშიკ დიმიტრი ორბელიანოვთან, ერთად იყავით მასთან; იქ იასე ფალავანდოვს ეუბნებოდით, რომ ბალისთვის ფული ნაშოვნია – ბატონიშვილმა თავის შვილს, პორუჩიკ გიორგი ერისთოვს, გამოუგზავნა მინდობილობა 10 000 მანეთის (ასიგნაციით) მისაღებად, მან ეს ფული მიიღო და ამ თანხას გამოვიყენებთ ბალის მოსაწყობად, ბატონიშვილს კი რუსები შიმშილით არ მოკლავენო. განმარტეთ, თქვით თუ არა ეს ყოველივე, მოგცათ თუ არა პორუჩიკმა ერისთოვმა ფული ბალისთვის და, თუ მოგცათ – რამდენი?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

არა ეგრეთ იყო, ვითარცა იასე ფალავანდოვი აჩვენებს, გარნა ესრეთ იყო. – მე უთხარ ჩემ დედიდაშვილ გიორგი ერისთოვს: ახლა რაღა გინდა მეთქი, **ასი** თუმანი ხომ ეხლა ხელში გაქვს, და **ასი** თუმანი თეთრი ფული კიდევ ვალად ისეხე მეთქი და ეს **ორასი** თუმანი ერთს წელიწადს გეყოფა პეტერბურლსა მეთქი, და შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი მოქცემს წყალობასა, ვინაიდგან დედაშენს ბატონიშვილს მზითევი არ მიუღია;² იმის ნაცვლად შენ პენციას გიბოძებს მეთქი, და ამ ექვს წელიწადზე აქ პოლკოვნიკად მოხვალ, სხვა რაღა გინდა მეთქი. – რომელიც ჩემის ამ რჩევის თანხმა შეიქნა პორუჩიკი გიორგი ერისთოვი, და ზუბალოვისგან ვალად **ას** თუმან თ-ე: ფ-უ:³ კიდევ იღებდა ჩემი დედიდაშვილი! – მაგრამ მეკი ჭემმარიტს მოვასხენებ კომისიას, რომ თვით იასე ფალავანდოვი ამბობდა: ოლონდაც ბალი გავაკეთოთო,⁴ თორემ რაოდენიც საჭირო არს, ფულს მე გამოვიტანო, რომელიც ამის მონამენი არიან თავადი ელიზბარ, და ამისი ძმა დიმიტრი ერისთოვნი. მგონია მაიორმა თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა, სოლომან დოდაევმა, პორუჩიკმა გიორგი ერისთოვმა, და ჩემა ძმამ ვახტანგმა, ამა პირთაც იცოდნენ ესე გარემოება, რომ იასე ფალავანდოვი ბალისთვის ფულს ხარჯამდა.

წელსა 1833-სა. აპრილის 29-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

60. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (I)

პორუჩიკი, თავადი ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანოვი უჩვენებს, რომ 1831 წელს თქვენ ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნეთ თათარი ასანა. – განმარტეთ, როგორ და როდის მოხდა ეს და მართლაც გაგზავნეთ თუ არა თათარი ალექსანდრე ბატონიშვილთან?

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

პორუჩიკს თავად ალექსანდრე გიორგის ორბელიანოვს უთოთ **ზამანა** ვერ მოჰგონებია, და **ასანათ** გაუკეთებია, თორემ მე **ასანა** არავინ არ გამიგზავნია ბატონიშვილ ალექსანდრესთან, თვინიერ **ზამანას** მეტი.

წელსა 1833-სა. მაისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

61. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (II)

ვახტანგ ორბელიანი უჩვენებს (ფ. 1567), რომ შეთქმულების შესახებ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკთან, შერვაშიძესთან, თქვენც გქონდათ საუბარი.¹ – განმარტეთ, როდის, სად და რამდენჯერ გქონდათ მასთან საუბარი რუსების განდევნის შესახებ და რას ვპასუხობდათ შერვაშიძე?

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი**

როგორც მახსოვს, მარტოკა ჩემთან და ჩემ ძმა ვახტანგთან არ ულაპარაკნია, მგონია, თავად ელიზბარ ერისთოვთანაც ულაპარაკნია, მაგრამ გარემოება კი არ მახსოვს, რა ლაპარაკი ყოფილა ჩვენ შორის.

წელსა 1833-სა. მაისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

62. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (III)

თქვენ ადრე დავისვეს შეკითხვა: 1831 წელს, ვარშავის ალექსანდრის წინ, რა საშუალებებით აპირებდით განზრახვის აღსრულებას? შემოთავაზებული იყო თუ არა ისეთივე ან სხვა სახის განკარგულება, როგორც ეს იყო 1832 წელს? – თქვენ მაშინ უპასუხეთ: „ზოგიერთი თანამზრახველი, რომლებიც სოფლებში ცხოვრობენ, გვთავაზობდნენ, რომ ამბობება ქალაქელებს დაგვეწყო, ჩვენ კი მოვითხოვდით, რომ მათ ჩამოეყვანათ თავიანთი ხალხი, რამდენსაც კი შეძლებდნენ და ერთად მოგვეწყო ამბობება“. მაშინ ისიც უჩვენეთ, რომ, განსხვავებით 1832 წლისაგან, 1831 წელს არავითარი განკარგულება არა გქონიათ და არც ამბობების თარიღი დაგინიშნავთ.¹ – სხვა თქვენი თანამზრახველები უჩვენებენ (ფ. 2598 და 2696)², რომ 1831 წელს განზრახვლების აღსრულებას ამგვარად აპირებდით: უნდა გაგემართათ ბალი, მოგეწვიათ მთელი უფროსობა და ამოგეხოცათ ისინი. იმავდროულად თავს უნდა დასხმოდით ჰაუპტვახტს, აგელოთ არსენალი, ციხე, თოფისწამლის მალაზიები, სხვა საზარისო დაწესებულებები. გარდა ამისა, თავს უნდა დასხმოდით პოლკების შტაბ-ბინებს. ეს ყველაფერი უნდა გაგეკეთებინათ შემოდგომაზე, რადგან ამ დროისთვის ყველა სამუშაო უკვე დასრულებულია ხოლმე.³ – განმარტეთ სათანადო გულწრფელობით ყველაფერი, რაც იცით ამ გარემოებათა შესახებ.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

მე ჭეშმარიტად მოვახსენებ კომისიას, რომ, რაიცა ამას წინათ ვაჩვენე კომისიას, იმაზე მეტი მე წარსრულს 1831-სა წელსა განკარგულება არარაი ვიცი ყოფილა ჩვენში თუ არა. იქნება უჩემოთ ჰქონდათ სადმე ხსენებული რამ ლაპარაკი, და ესრეთი ჩემთან არა ყოფილა, თორემ უთოთ მოვახსენებდი კომისიას. –

წელსა 1833-სა. მაისის 2-სა დღესა.

ჰოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

63. ჩვენი 1833 წლის 2 მაისის (IV)

1. თქვენი ადრინდელი ჩვენებიდან ჩანს (ფ. 1488),¹ რომ თამარ ბატონიშვილი ხშირად გაძლევათ რჩევებს და განზრახულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობდა თქვენთან, ჰუსარ გიორგი და ელიზბარ ერისთოვებსა და თქვენს ძმასთან, ვახტანგთან. – განმარტეთ დაზუსტებით, იძლეოდა თუ არა ბატონიშვილი რჩევებს სახელდობრ ვახტანგის თანდასწრებით, როგორც თქვენ უჩვენებთ (1488), და იცოდა თუ არა ვახტანგმა, რომ ბატონიშვილი თქვენ რჩევებს გაძლევათ?

– როგორც მახსოვდა, ისე მოვახსენე კომისიას, და სწორეთ-კი არ ვიცი, იქ იყო ჩემი ძმა ვახტანგ თუ არა, და მგონია, რომ იქ იყო, როდისაც დარიგებას გვაძლევა თამარ ბატონიშვილი.

წელსა 1833-სა. მაისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

2. ზოგიერთ თანამზრახველს თქვენ განუცხადეთ, რომ თამარ ბატონიშვილთან ერთად იერუსალიმს უნდა გამგზავრებულიყავით იმ მიზნით, რომ გზად ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვედროდით, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეთ. ამის შემდეგ თქვენ ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილის გაგზავნა გაიძულეს. მართალია, ზემოაღნიშნული გარემოებები თქვენივე აღიარებით (1445)² უკვე დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მეტი სიზუსტისთვის კომისია ვთხოვთ, გულწრფელად განმარტოთ: მართლაც ზემოაღნიშნული მიზნით უნდა გამგზავრებულიყავით თუ არა თამარ ბატონიშვილთან ერთად იერუსალიმში და, გარდა თქვენ ორისა, კიდევ ვისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ცნობილი (42)?³

– სწორეთ იერუსალიმის სახელზე მივდიოდით, და განძრახვა სხვა გვექონდა, რომელიც ადრე კომისიას მოვახსენე, და უნდა იცოდნენ თავადმა ელიზბარ ერისთოვმა, ჩემი ძმამ ვახტანგმა, თავადმა გიორგი დავითის ძემ ერისთოვმა, იასე ფალავანდოვმა, და სხვებისაკი აღარ მახსოვს.

წელსა 1833-სა. მაისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

3. კაპიტანი ჩელოყაევი უჩვენებს (1097 და 2680),⁴ რომ, თქვენი თქმით, თამარ ბატონიშვილი იყო მეთაური შეთქმულებისა. ეს გარემოება დასტურდება სხვათა ჩვენებებითაც და, ნაწილობრივ, საკუთრივ თქვენივე აღიარებითაც, თუმცა მეტი სიზუსტისთვის კომისია მოგიწოდებთ განმარტოთ: მართლაც თამარ ბატონიშვილს მიიჩნევდით თქვენ შეთქმულების მეთაურად? თუ ასეა – რატომ და კიდევ ვინ იყო ამავე აზრისა?

გენერალ-მაიორი ჩევიკინი

– მე არ მახსოვს, რომ მე კომისიისათვის მომეხსენებინოს, რომ ჩვენს ზაგოვორის თავათ თამარ ბატონიშვილი ყოფილიყო, და არც ის მახსოვს, მე თავად ჩოლაყაევისთვის მეთქოს ესე გარემოება.

წელსა 1833-სა. მაისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

64. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (V)

თამარ ბატონიშვილის შესახებ თქვენ მიერ მიცემულ ჩვენებებში მეტი სიცხადის შესატანად განმარტეთ მოკლედ და **გარკვევით**:

1. 1831 წელს ვისი თანდასწრებით ესაუბრებოდით ბატონიშვილს განზრახულების შესახებ?

– მე ესრეთ მახსოვს, რომ ჩემ ძმა ვახტანგთან, და თავად ელიზბარ ერისთოვთან.

2. იმავე 1831 წელს ვისი თანდასწრებით მოისმინეთ მისი თანხმობა, შევუღიანება ან რჩევა-დარიგებები და, სახელდობრ, რა სახისა?

– კვლავად ესრეთ მახსოვს, რომ ჩემ ძმას ვახტანგთან, და თავად ელიზბარ ერისთოვთან მოეცეს ჩვენთვის რჩევა თამარ ბატონიშვილს ისა, რომელიც ამას წინათ მოვახსენე კომისიას.

3. იმავე 1831 წელს ვისი თანდასწრებით ილაპარაკეთ თამარ ბატონიშვილთან ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევასა და მასთან მიმოწერის შესახებ და, აგრეთვე, ამბოხების დაწყებაზე ხსენებული წლის შემოდგომაზე?

– კვლავად ხსენებულ პირთან,* ესე იგი ჩემ ძმასთან, და ელიზბარ ერისთოვთან.

4. იმავე 1831 წელს ვისი თანდასწრებით მოისმინეთ მისი თანხმობა, გამხდარიყო მეთაური აჯანყების დაწყებისა და მსვლელობისას და ბატონიშვილების ჩამოსვლამდე ყოფილიყო მმართველი?

– ეგრეთვე ზემო ხსენებულ პირთან.**

5. იმავე 1831 წელს განზრახულების თაობაზე ვისი თანდასწრებით გქონდათ თამარ ბატონიშვილთან ლაპარაკი ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებთან, აგრეთვე, კნიაჟნა სალომე ფარნაოზის ასულთან მისი საიდუმლო მიმოწერის შესახებ და სახელდობრ რა იცით თამარ ბატონიშვილისგან ამ მიმოწერის შესახებ?

– მე ესე გარემოება არ შემთხვევია, რომ ამა საგანსა ზედა მე მასთან მქონიყოს ლაპარაკი. ესკი ვიცი, რომ თავად ელიზბარ ერისთოვს, და ბატონიშვილს სალომეს ჰქონდათ ერთმანეთთან მიწერ მოწერა, და ისკი არ ვიცი, რომ მათ ჰქონდათ რამე განძრახვა ამა ჩვენსა საგანსა ზედა თუ არა.

6. 1832 წელს განზრახულების შესახებ ვისი თანდასწრებით გქონდათ ლაპარაკი ბატონიშვილთან?

– კვლავად მოვახსენებ კომისიას, რომ თამარ ბატონიშვილთან გვექონია ლაპარაკი მე, თ-ა ელიზბარ ერისთოვს, და ჩემ ძმას ვახტანგს.

* რუსულ თარგმანში: „ზემოხსენებულ პირებთან“ („...при вышеупомянутых лицах“ – ფ. 2771). თ. ჯ.

** რუსულ თარგმანში: „ზემოხსენებულ პირებთან“ („...при вышеупомянутых лицах“ – ფ. 2771). თ. ჯ.

7. იმავე 1832 წელს ვისი თანდასწრებით მოისმინეთ მისი თანხმობა, შეგულიანება ან რჩევა-დარიგებები და, სახელდობრ, რა სახისა?

მე ესრეთ მახსოვს, რომ პორუჩიკს თავად გიორგის, ელიზბარ ერისთოვებთან, ჩემ ძმას ვახტანგთან, და ჩემთან ულაპარაკანია ისე, ვითარცა ამას წინად მოვახსენე კომისიას.

8. იმავე 1832 წელს ვისი თანდასწრებით გქონდათ თამარ ბატონიშვილთან ლაპარაკი ალექსანდრე ბატონიშვილთან, აგრეთვე, რუსეთში მყოფ ბატონიშვილებთან საიღუმლო მიმოწერის შესახებ?

– მე ამა საგანსა ზედა არა შემთხვევია მასთან ლაპარაკი.

9. იმავე 1832 წელს ვისი თანდასწრებით გქონდათ თამარ ბატონიშვილთან ლაპარაკი იმის შესახებ, რომ აჯანყება დაგეწყით 20 ნოემბერს, შემდეგ კი გადაგედოთ და იგი თავადაზნაურობის არჩევნებისთვის დაგემთხვიათ?

– ეხლა ჭეშმარიტად მამაგონდა, რომ მე უთხარ 20-ის ნოემბრისა, მაგრამ მონმებიკი არავინ არა ყოფილა იმ დროს.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

10. იმავე 1832 წელს ვისი თანდასწრებით გქონდათ ლაპარაკი თამარ ბატონიშვილთან აჯანყების პირველი ღამის განკარგულებისა და დროებითი მმართველობის პროექტის შესახებ?

– კვლავად მე ამა გარემოებასა ზედა არა შემთხვევია მასთან ლაპარაკი.

11. იმავე 1832 წელს ვისი თანდასწრებით მოისმინეთ მისი თანხმობა, გამხდარიყო მეთაური აჯანყების დაწყებისა და მსვლელობისას და ბატონიშვილების ჩამოსვლამდე ყოფილიყო მმართველი?

– წარსრულს 1832 წელსა, როგორც მახსომს, მე ამა გარემოებასა ზედა მისი არა გამიგონიარა.

12. ვისი თანდასწრებითა და რა გაიგონეთ თამარ ბატონიშვილისაგან, თუ რა უთხრა მართამ მას თარხანოვთა განზრახვის შესახებ?

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

– მე თამარ ბატონიშვილისაგან არ გამიგონია. მე თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მითხრა მართა მესხიევისასი.²

წელსა 1833-სა. მაისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

ესე ზემო ხსენებული გარემოება როგორც მიჩვენებია, სწორეთ ასე მახსომს, რომ ესრეთ იყო, ელიზბარ ერისთოვმა მითხრა მართასი.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

65. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (VI)

გქონდათ თუ არა 1831 წელს განზარახულების შესახებ ლაპარაკი მამუკასთან ლუარსაბის თანდასწრებით? საქართველოს მთავრობის სახლის მახლობლად?

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსომს.

წელსა 1833-სა. მაისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

66. ჩვენება 1833 წლის 5 მაისისა

1. როგორც იასე ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 2630),¹ თქვენ თანამზრახველებთან, კერძოდ: ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვებთან, თქვენს ძმასთან – ვახტანგთან და კაპიტან ჩელოყაევთან ერთად დანიშნეთ ბალი, რომელზეც კორპუსის მეთაური და ყველა რუსი ჩინოვნიკი უნდა დაგეხოცათ. – განმარტეთ, ვინ იყო თქვენგან პირველი, რომელმაც ფალავანდოვს ასეთი სასტიკი განკარგულების დანერა შესთავაზა?

– მე ამას წინათაც მოვახსენე კომისიას,² როდისაც რომ ის განკარგულება დაენერათ, **თორმეტი** დღე თუ **ორი** კვირა გავიდა, რომ მაშინ წამიკითხა მე იასე ფალავანდოვმა, და ამისთვის არც ვიცი, ვისი წინადადება იყო ესრეთი განკარგულება.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

2. თავადი იასე ფალავანდოვი აცხადებს, რომ მის მიერ დანერილ განკარგულებაში თქვენი წინადადება იყო: „თავადები გაენაწილებინათ შესაკრებ ადგილზე, დაეკრათ სომხური მუსიკა, პოსტების მეთაურებს საჭიროების შემთხვევაში მოეთხოვათ მეტი ხალხი, აეტეხათ ზარების რეკა, გამოეტანათ ხატები“. – განმარტეთ, მართლაც თქვენი წინადადებით ჩაინერა პირველი ღამის განკარგულებაში ეს ყველაფერი?

– ეგრეთვე მოვახსენებ კომისიას, რომ დიახ სიცრუვით ჩვენება არის იასე ფალავანდოვისაგან ჩემზე ესრეთი ჩვენება! და მე ვთხოვ უმდაბლესად კომისიას, ამტენს ტყუილად რომ სწერს ჩემზე, ვევედრები კომისიას, რომელ ჰკითხოს იასე ფალავანდოვს, ჩემზე ხომ მტრობა არარაი აქვს, ანუ იქნება მამი ჩემისა რაიმე ახსოვს ძვირი, და იმისთვის სწერდეს ესოდენს აუგს ჩემზე.³ კითხვის შემდეგ მე მიბძანოს კომისიამ, რაისგან უცხადებს იასე.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

3. თავადი ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 7),⁴ რომ 1831 წელს განზრახულების შესახებ ელაპარაკეთ ნიჟევოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკს, თავად შერვაშიძეს, რომელმაც ვიპასუხათ – ოღონდ ეს აღსრულდეს და ის, თავის მხრივ, გამოიყვანს

2000 კაცს. თქვენი ძმა ვახტანგ ორბელიანოვი კი უჩვენებს (ფ. 1568),⁵ რომ შერვაშიძემ, განაახლა რა მასთან ადრინდელი მეგობრობა, მას უთხრა: „როგორ არა გრცხვენია, რომ ამას მიმალავდი? ვიცი, რომ აქ არიან ზოგიერთი ახალგაზრდები, რომლებიც ცდილობენ საქართველოს გათავისუფლებას“. ამის შემდეგ ვახტანგმა მას გამოუცხადა განზრახულების შესახებ, შერვაშიძემ კი უპასუხა: „იცი, თუ არა, რომ მე თქვენთვის დიდი სარგებლობის მოტანა შემიძლია? მე შემიძლია ავაჯანყო მთელი აფხაზეთი და ორი ათასი კაცით მთლიანად გავწმინდო იგი რუსებისგან“, ხოლო როცა ვახტანგმა მას აჯანყების დაწყებიდანვე დახმარება სთხოვა, შერვაშიძე დაჰპირდა 500 კაცის გამოგზავნას. – განმარტეთ, გადაეცით თუ არა თქვენ ფალავანდოვს შერვაშიძის ზემოაღნიშნული სიტყვები, იცოდა თუ არა შერვაშიძემ თქვენი განზრახულების შესახებ, როდის და სად გამოუცხადეთ თქვენ მას ეს და მოგიყვათ თუ არა თქვენი ძმა ვახტანგი მასთან მყოფ შერვაშიძესთან საუბრის შინაარსს?

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი**

– იმ დღესაც მოვახსენე კომისიას: მე, თავად ელიზბარ ერისთოვს, და ჩემ ძმას ვახტანგს გვქონია ლაპარაკი შერვაშიძესთანა მეთქი, რომელიც არ მახსოვს, და იქნება, რომ იასე ფალავანდოვს უთხარ მე ხსენებული გარემოება, რომელიც არც ის მახსოვს.

წელსა 1833-სა. მაისის 5-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

67. ჩვენება 1833 წლის 6 მაისისა

თავად ლუარსაბ ორბელიანოვის ჩვენებიდან ჩანს,¹ რომ გასულ 1832 წელს თქვენ მას უთხარით – თამარ ბატონიშვილმა იცის განზრახულების შესახებ და ეს ამბავი მან ქეთევან ბატონიშვილს გაანდოო. – განმარტეთ ეს გარემოება გულწრფელად.

გენერალ-მაიორი **ჩევკინი**

უფალს მაიორს, თავად ლუარსაბ ორბელიანოვს რომ უჩვენებია ესე ხსენებული გარემოება, არა არს მართლიადი იმისაგან ესრეთი ჩვენება. – მე სრულებით არ მითქომს ესრეთი გარემოება, და მე თვით კომისიას მოვახსენებ, რომ დიახ დიდი მტრობა აქვთ ერთმანეთში მათ მუხრანცკებს,² და თვით მაიორს, თავად ლუარსაბ ორბელიანოვს.

წელსა 1833-სა. მაისის 5-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

68. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (I)

განმარტეთ, გქონდათ თუ არა რაიმე უკმაყოფილება ან მტრობა ყოფილ პოლიცემისტერთან, ბ-ნ მელნიკოვთან და შეიტანეთ თუ არა მასზე საჩივარი ან განსვენებულ გრაფ დიბიჩ-ზაბალკანსკისთან?

გენერალ-მაიორი ჩევეკინი

არაოდეს მე მასთან მტრობარა არარაი მაქვს, და არცა არაოდეს მე მაზედ მიჩივლია ღრაფ დიბიჩთან.

წელსა 1833-სა. მაისის 9-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

69. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (II)

პაჟი, თავადი ვახტანგ ორბელიანოვი უჩვენებს (ფ. 2800),¹ რომ 1832 წლის ოქტომბერში თქვენ, თქვენი ძმა ვახტანგი, ელიზბარ და პორუჩიკი გიორგი ერისთოვეები თავადმა იასე ფალავანდოვმა ჩაიზე მიგინვიათ. იქ იასე ფალავანდოვმა, ეძებდა რა საქართველოს გათავისუფლების საშუალებებს, თქვა: მე უპირველესი თავადების სახელით დავწერ წერილს ალექსანდრე ბატონიშვილთან და მოვიწვევ მას საქართველოში, მეორე წერილს კი დავწერ ეგვიპტის ფაშის სახელზე და ვთხოვ მას ფულითა და ჯარით დახმარებას. როცა იქ მყოფებმა ფალავანდიშვილს უთხრეს, ხელწერის მიხედვით გამოჩნდება, ეს წერილები ნაყალბევი რომ არისო, იასემ უპასუხა: ვიცნობ ორ მღვდელს,

რომლებიც რუსებისგან შეურაცხყოფილნი არიან და მათ გავგზავნი წერილებითა და დაფიცებით, რომ დაადასტურონ – ეს წერილები მართლაც უპირველესი თავადების მიერაა დაწერილი. ამასთანავე, ფალავანდოვმა ესეც თქვა: ვინმეს ნაწერს რომ ვნახავ, ადვილად შემიძლია მის ხელს მივამსგავსო და ამის დასადასტურებლად განაცხადა – თურქეთში ყოფნისას დავწერე ნაყალბევი წერილი, რომელსაც თითქოს თავადი დადიანი იმერეთის ბატონიშვილს უგზავნიდა და ამით დადიანი ხათაბალაში გავხვიეო.² – განმარტეთ, მართლაც თქვა ეს ყველაფერი იასე ფალავანდიშვილმა თქვენი თანდასწრებით?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

მე ესრეთ მახსომს, მართალია, რომ ჩაიზე მიგვიწვია იასე ფალავანდოვმა ესე ხსენებულნი პირნი. მგონია, დიმიტრი ერისთოვიც იყო, და წინადადება მოგვცა საქართველოს განთავისუფლებისთვის ესრეთ: მე წიგნს დავწერ საქართველოს პირველ კაცთ მაგიერადო, **ერთს** ალექსანდრე ბატონიშვილთანაო, და **მეორეს** ეგვიპტის ფაშასთანაო, და მე ხელს მოვანერ იმათ მაგიერათაო. – მასკვან ჩვენ უთხარით: ამ ჩვენს პირველთ კაცთ ხელად ვინ მოანერსო. მასკვან გვითხრა: მე მოვანერ ყველას მაგიერათაო, და ყველას ხელად მე მივამზგავსებო, უკეთუ პირველთ კაცთ მონერილი ვისიმე ხელი ვნახეო, და **ორი** გაკრეჭილი ღვდელი ვიციო,³ იმათ გავგზავნი, და იმათ გავატან იმ წიგნებსაო, რომელიც ეგვიპტის ფაშას ვთხოვოთ შემწეობა, და უთოთ მოქვეცემს დიდს შემწეობასაო! – და როდისაც ოსმალში ვიყავო, მე დადიანის მაგიერად განგებ წიგნი გავაკეთე ბატონიშვილებთანაო,⁴ და ის წიგნი ერმალოვს ჩაუვარდა⁵ და ერმალოვმა ფიცხლად ჩამოაყვანინა დადიანი, და დიდათ შეაწუხეს დადიანიო. მასკვან ერმალოვმა შეიტყო, რომ ჩემი პლუტობა იყოვო, და ამბობდა, უკეთუ იასე ხელში ჩამივარდა, იმ წამსვე დავახრჩობო. იმის შემდეგაო, მასკვან სტამბოლს წაველ, იქ ავსტრიის მინისტრის შვილი გავიცანო, და მთხოვაო, რომ მასონად შევსულიყავ, რომელიც მე მოვემზადე მასონობისთვისაო, მაგრამ ამბავი მოვიდა იქ, სტამბოლშიო, რომ რუსეთში **ორ** რიგად მოხდა აღრეულობა; ერთი ველიკი კნიაზის კოსტანტინეს პარტია არისო, და **მეორე**, აღარ მახსომს, განსვენებულის ხელმწიფისას იტყოდა, თუ ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ პავლოვიჩისას,⁶

და რუსეთში დიდროვანი ბრძოლები არის, და მაშინ ვთქვიო, ნავალ, და კოსტანტინეს ვეახლებიო, და შემდეგ ხომალდში ჩავჯეგ, და ადესაში გამოველო. იქ შევიტყევე, რომ დიას მშვიდობა არის რუსეთშიო, რომელიც კიდეც დამიჭირეს ამ მამაძაღლებმა, და პადლეცებმაო. – ესე ზემო ხსენებული გარემოება რაოდენ-ჯერმე გამიგონია იასე ფალავანდოვისაგან.

წელსა 1833-სა. მაისის 9-სა დღესა.

პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

70. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (III)

თავადმა იასე ფალავანდოვმა უჩვენა, რომ თქვენ მას ეუბნებოდით: 1831 წელს სხვა ქართველ თავადიშვილებთან ერთად ამბოხებისთვის მონდომებით მუშაობდა პრაპორშჩიკი, თავადი ზაქარია ციციანოვი (ფ. 1589).¹ – განმარტეთ, ზუსტად ამას ეუბნებოდით იასე ფალავანდიშვილს? ციციანოვი 1831 წელს მართლაც მონდომებით მონაწილეობდა თუ არა ამბოხების მომზადებაში და კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მისი მოქმედებები?

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს.

წელსა 1833-სა. მაისის 9-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

71. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (IV)

1. მოლა ზამანამ აჩვენა (268-269),¹ რომ როდესაც თქვენთან მოიყვანა მან თათარი მაჰმადა, რომელიც, ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ვაგ ზავნილი, ყაზი მოლასთან მიდიოდა, მანვე ვითხრათ გეცნობებინათ ეს ამბავი საქართველოს გუბერნატორისათვის, მაგრამ თქვენ ამისთვის მას სიკვდილით დაემუქრეთ. განმარტეთ, მართალია თუ არა მოლა-ზამანას ეს

ჩვენება და მართლა მოვცათ თუ არა წინადადება, რომ მაჰმადას მოსვლა ხელისუფლებისათვის გეცნობებინათ.

2. მოლა ზამანა ამტკიცებს (581-582), რომ, როდესაც თქვენ მას სთხოვეთ 200 კაცის შოვნა აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად, ის უარს ამბობდა, მაგრამ თქვენ მოკვლით დაემუქრეთ, თუ ამ საიდუმლოს გასცემდა. მერე, სამი დღის შემდეგ, მოლა-ზამანა ჩამოვიდა ტფილისში თათარ ყურბან ოღლისთან სახლის გამო დავის გადაწყვეტის სათხოვნელად და თქვენ კვლავ გაუმეორეთ მას მოყვანა აჯანყებისათვის თქვენ მიერ დასახელებული ოთხი თათარი. განმარტეთ როგორ იყო ეს ყველაფერი, ვინ არიან ის თათრები, რომელთა აჯანყებისათვის მოყვანაც დაავალეთ მოლა-ზამანას და სახელდობრ ვინ მოიყვანა მან თქვენთან ტფილისში, ნახეთ თუ არა თქვენ თვითონ ის ხალხი, რა ელაპარაკეთ მათ, ან მოლა-ზამანას რა დაავალეთ მათთვის სათქმელად.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

1. არა ესრეთ იყო, მოლა ზამანა რომ აჩვენებს, გარნა ესრეთ იყო, როგორც მახსოვს. მე მითხრა მოლა ზამანამ, როდისაც მაჰმადა მოიყვანა: ბატონოვო, მოდი, ამ ბატონიშვილის კაცს მკლავებს შეუკრამ, და ღუბენატორს მიგვგვიო, რომელიც ჩინს მამცემენ, და ჯამაგირსაო. – მასკვან მე უთხარ: მოლა ზამან მეთქი, თუ ეგ განძრახვა გქონია, მაშ თავდაპირველად რად ნახვედი ბატონიშვილ ალექსანდრესთან და ან ვინ გატანდა ძალასა მეთქი. – მასკვან მითხრა: რა ვქნა, გავები, ახლა მეც ვნანობო, მაგრამ რალა მეშველებაო. – მასკვან მე უთხარ: მაშ ეს მაჰმადა ისევ თავის გზაზე გაისტუმრე, ნავიდეს მეთქი. – მასკვან მითხრა: ბატონი ხარო. – და ამის შემდეგ მე რაც იმ მაჰმადას დავაბარე, ხომ კომისიისათვის მამიხსენებია.²

2. არა ესრეთ იყო, გარნა მე ესრეთ მახსოვს. მართალია, რომ ის ზამანა საჩივლელად ჩამოვიდა ჩემთან ხსენებულს ყურბანაზე, და მაშინ უთხარ მე: ზამან, არ შეგიძლიან რაოდენიმე კაცი იშოვნო მეთქი. მასკვან მითხრა: რად გინდათო. – შემდეგ მე უთხარ: საჭირო არის მეთქი; და მგონია, ისე მახსოვს, რომ ბუნტისათვის არ მითქომს მე ზამანასთვის კაცის მოყვანა, და არც 200-ის კაცისა მითქომს. მასკვან მითხრა: რატო არაო, დიახ შევიძლებო.

– შემდეგ ისე მახსოვს, რომ, მგონია, სიაც დამანერინა კაცებისა, არ ვიცი, **ოცის** კაცის სია დამანერინა თუ **თხუთმეტისა**. შემდეგ ამისა წავიდა ზამანა, და რაოდენიმე ხანი გავიდა, და **სამი** თუ **ოთხი** კაცი ჩამოეყვანა. ქარვასლაში მოვიდა, მითხრა ზამანამ: კაცები ჩამოვასხიო. სად არიან მეთქი. – მითხრა: ქარვასლაშიო. რამთენი არიან მეთქი. – მითხრა: **ოთხიო**. – შემდეგ გამეცინა, და უთხარ: კარგი, წადით, საჭირო აღარ არის მეთქი, და მგონია, რომ, არ ვიცი, **სამი**, თუ **ორი** მინანთულიც ვაჩუქე.³ ის კაცები სულ თვალით არ მინახამ.

ნელსა 1833-სა. მაისის 9-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

72. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (V)

პორუჩიკი, თავადი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი უჩვენებს, რომ თქვენი, თქვენი ძმის – ვახტანგისა და კაპიტან ჩელოყაევის თანდასწრებით ელიზბარ ერისთოვისგან გაიგონა: გენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ ლუარსაბ ორბელიანს უთხრაო, რომ განზრახულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მას მხოლოდ ლუარსაბი, ელიზბარი და კაპიტანი ჩელოყაევი ელაპარაკონ. – განმარტეთ, ნამდვილად ელიზბარ ერისთავმა თქვა ეს?

გენერალ-მაიორი ჩევეკინი

მე ესე გარემოება არ მახსოვს.

ნელსა 1833-სა. მაისის 9-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

73. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (VI)

თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ თამარ ბატონიშვილის თანხმობა განზრახულებაზე გამოიხატებოდა მხოლოდ მის სიტყვებში: „კარგი იქნება საქართველო რომ მოახერხებდეს უსისხლოდ განთავისუფლებასაო“, რაც მას გამოუთქვამს თქვენი თანდასწრებითაც, როგორც ამას თქვენი ძმა ვახტანგი აჩვენებს.¹

გენერალ-მაიორი ჩევეკინი

ესე ჩვენება ჭეშმარიტი არის ჩემი ძმის ვახტანგისაგან, რომ ესე გარემოებაც გამიგონია თამარ ბატონიშვილისაგან: უკეთუ უსისხლოთ განთავისუფლდება საქართველო, ესე ყველაზე სასიამოვნო იქნებაო.

წელსა 1833-სა. მაისის 9-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

74. ჩვენება 1833 წლის 11 მაისისა

1. ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ თავად ლუარსაბ ორბელიანოვს ნახული ჰქონდა თქვენს მიერ ალექსანდრე ბატონიშვილთან მიწერილი წერილები ან ისინი, რომლებიც ამ ბატონიშვილისაგან მოგივიდათ? – თუ იცით, როგორ იყო ეს?

როგორც მახსოვს, არც ერთი წიგნი არ უნახამს, არც ჩემგნით მიწერილი და არც ბატონიშვილისაგან მოსული წიგნი ჩემთან.

წელსა 1833-სა მაისის 11-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

2. იცით თუ არა და ან ვისგან, რომ, როგორც ამაზე არსებობს ჩვენება (გვ. 1589),¹ ლუარსაბმა უბრძანა თავის მოურავს ავთანდილოვს, რათა მისი გლეხები მზად ყოფილიყვნენ აჯანყების შემთხვევისათვის? თუ ეს თქვენთვის ცნობილია, განმარტეთ, როდის მოხდა სახელდობრ.

მე ესე გარემოება სრულებით არ შემიტყვია, მხოლოდ პირველი არის ჩემთვის ესე გაგონება.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

3. ჩვენებათაგან 2112² და 2117 ჩანს, რომ, როდესაც თქვენი თანადასწრებით ლუარსაბ ორბელიანთან მსჯელობა იყო იმაზე, თუ როგორ დაგენყოთ აღრეულობა, რის წარმატებით შესასრულებლადაც მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ბალის გამართვა, ლუარსაბმა თქვა: უნდა დავიცადოთ, ვიდრე ყველა თავადები შეიკრიბებიან არჩევნებზე, რომ, თუ ისინი დათანხმდებიან

ჩვენს განზრახულებას, ეს კარგი იქნებოდა და ამ შემთხვევაში ის ვთავაზობდათ თავის სახლს და **თავდებადც დგებოდა, რომ ბალი ბრწყინვალე იქნებოდა.** – განმარტეთ, გაიგონეთ თუ არა ლუარსაბის ეს ნათქვამი და ვისი თანადასწრებით.

როგორც მახსოვს, ესრეთ იყო – როდისაც იასე ფალავან-დოვმა და თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მაჩვენეს მე ის რას-პარაჟენია,³ და მე უთხარ მათ, მინამ ლუარსაბს არ აჩვენებთ მეთქი მე არ შემიძლიან ვეთანხმო მაგასა მეთქი. მაშინ მე წამი-ყვანეს ლუარსაბთან და ის რასპარაჟენია იქ წაიკითხეს. თუმცა თანხმა შევიქენით ყველანი იმ რასპარაჟენისა, მაგრამ მე მათ უთხარ: ჩვენ ჩვენთავათ ნუ დავიჭერთ საქმესამეთქი. – მასკ-ვან მითხრეს: მაშ როგორა ვქნათო. მაშინ უთხარ: ალექსანდრე ჭავჭავაძეს დავეკითხოთ მეთქი, რაც იმან გვითხრას, ისე მოვიქცეთ მეთქი. – რომელიც ჩემის ამ რჩევის თანხმა შეიქენ, და მაშინ ლუარსაბ ორბელიანოვი, ზაქარია ჩოლაყოვი, და ელიზბარ ერისთოვი, ამის მესამეს დღეს, თუ მეორეს დღეს წავიდნენ ჭავ-ჭავაძესთან. მე ამის მეტი გარემოება სხვა არა რაი მახსომს მას ლუარსაბ ორბელიანოვთან.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

4. თავადი ივანე ზაალის ძე ბარათოვი უჩვენებს, რომ თქვენ მისი დაუძინებელი მტერი ხართ, მასთან დავა გაქვთ ადგილ-მამ-ულის თაობაზე და ცხოვრებაში პურს არ შეჭამთ ერთმანეთის ოჯახებში.⁴ – განმარტეთ ზუსტად, მართლაც გაქვთ თქვენ მას-თან დავა და მტრობა და გქონდათ თუ არა ერთმანეთში ახლო ნაცნობობა?

გენერალ-მაიორი ჩეკინი

მე მასთან სადავო სრულებით არა რაი მაქვს, და არცა რაი მტრობა მაქვს მე მასთან, მხოლოდ არც დიახ ახლო მეგობრობა გვაქვს, და არც სულ უცნობი ვართ, ისე, საშუალოდ ვიცნობ მე მას.

წელსა 1833-სა. მაისის 11-ს დღესა

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

75. ჩვენება 1833 წლის 13 მაისისა

თქვენს ჩვენებაში (1650) თქვენ განაცხადეთ, ¹ რომ თავადმა ივანე მიხეილის ძე ერისთოვმა იცოდა, რომ ისპრავნიკი პაუშენკო მონაწილეობას იღებდა შეთქმულებაში. განმარტეთ, რატომ იცოდა მან პაუშენკოს მონაწილეობა. თუ მას ეს თქვენ განუცხადეთ, – როდის და თქვენს გარდა ვინ ესწრებოდა ამას; აგრეთვე განმარტეთ, პირველად როდის ელაპარაკეთ ივანე ერისთოვს განზრახულებაზე და მან ამაზე რა გიპასუხათ, რადგან თქვენი ჩვენებიდან ჩანს, რომ თქვენ იგი სხვა თანამონაწილეებთან ერთად მიიწვიეთ ბაღში სასაუბროდ და გაძლევედათ რჩევას, თუ როგორ უნდა გემოქმედნათ.

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

მე ესრეთ მახსომს, რომ ელიზბარ ერისთოვმა მითხრა ესრეთ: ივანე ერისთოვმა მითხრაო, რომ პაუშენკოსთან ლაპარაკი მქონია ამა ჩვენსა განძრახვასა ზედაო. – მე ივანე ერისთოვი თავადმა ელიზბარ ერისთოვმა გამაცნო ამ ჩვენს განძრახვასა ზედა წარსრულს 1831-სა წელსა, და ისკი აღარ მახსომს, რა გვითხრა ივანემ, ოდესცა გამაცნო ელიზბარმა თავადი ივანე ერისთოვი. – მე ესე ხსენებული გარემოება არ მახსომს, თვინიერ გაცნობის მეტი ივანე ერისთოვისა, და ისიც, რომ ბაღში ვთხოვეთ სადილად მე და ელიზბარ ერისთოვმა.

წელსა 1833-ს. მაისის 13-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

76. ჩვენება 1833 წლის 17 მაისისა

კომისიის შეკითხვაზე თქვენ აჩვენეთ, რომ არ გახსოვთ, რათა ვეთქვათ იასე ფალავანდოვისთვის, რომ 1831 წელს ფიცხლად მუშაობდა აჯანყებაზე ზაქარია ციციანოვი (ფ. 2866), მაგრამ მართლაც მუშაობდა თუ არა ციციანოვი აჯანყებაზე 1831 წელს (ან რაში გამოიხატებოდა ეს მუშაობა), ან თუ თქვენ ამაზე სრულებით არა იცოდით რა – კომისიისთვის არ მოგიხსენებიათ. ამიტომ კომისია ახლა მოითხოვს თქვენგან ამაზე დადებით პასუხს.

გენერალ-მაიორი **ჩევიკინი**

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ეხლა მამაგონდა ჭეშმარიტად, რომ მე იასე ფალავანდოვისთვის სრულებით არ მითქომს თავადის ზაქარია ციციანოვის ფიცხლად მოქმედება ჩვენსა განძრახვასა ზედა წარსრულს 1831-სა წელსა, და მე ვგონებ, რომ იასე ფალავანდოვი წარსრულს 1832-სა წელსა რომლისამე ჩვენის ამხანაგისაგან გაიგონებდა ზაქარია ციციანოვსა ჩვენსა მონაწილედ და ახლა ჩემზე აჩვენებს!.. – ამას წინად მოვახსენე კომისიას ესრეთ: იასე ფალავანდოვი ამდენს ჩემზე ტყუილად რომ აჩვენებსმეთქი, ვედრებითა ვთხოვე კომისიას, რათა ეკითხათ იასე ფალავანდოვისათვის, რომ ჩემზე მას მტრობა ხომ არარაი აქვს, და ანუ მამჩემისა¹ რაიმე ძვირი ხომ არარაი ახსომს, და ოდესცა მოახსენებდა კომისიას იასე, მაშინ ჩემთვის აბძანებინა კომისიას პასუხი იასე ფალავანდოვისა ჩემსა ჩვენებასა ზედა, რაის პასუხს მოახსენებდა კომისიას იასე! – და კვლავადცა ვედრებითა ვთხოვე კომისიას, რათა ჰკითხოს იასე ფალავანდოვს, რომ ჩემზე მტრობა ხომ არარაი ახსომს, და ოდესცა პასუხს უგებს იასე ამ ჩემსა ჩვენებასა ზედა კომისიას, მაშინ მე მიბძანოს კომისიამ, რა იქნება პასუხი იასე ფალავანდოვისა ამა საგანსა ზედა. –

უკეთუ კომისიას სურს, რათა თავადის ზაქარია ციციანოვის მოქმედება სცნოს, მე ესრეთ მახსომს: წარსრულს 1831-სა წელსა თავადის ზაქარია ციციანოვისაგან გამიგონია ესრეთ, უკეთუ აქ ქალაქში მოახდენთ აღრეულობასაო, მაშინ ჩვენ ქართლიდგან მოგვეშველებით ჯარითაო, რომელიცა მახსომს, რომ ესე გარემოება ადრიდგანვე მოვახსენე კომისიას,² და მე ამაზე მეტი მოქმედება სხვა არარაი მახსომს თავადის ზაქარია ციციანოვისა, და უკეთუ მე იასე ფალავანდოვს უთხარ თავადის ზაქარია ციციანოვის ფიცხლად მოქმედება, მაშა სადამე, მაშინ მე იასეს განუცხადებდი ზაქარიას ფიცხლად მოქმედებისასა. ამისთვის უმდაბლესად ვთხოვე კომისიას, რათა ჰკითხონ იასე ფალავანდოვს, ვითარ განუცხადე ზაქარია ციციანოვის ფიცხლად მოქმედება, და მაშინ უწყებულ იქმნება კომისია იასე ფალავანდოვის ჭეშმარიტებისას.

1833-სა წელსა. მაისის „17-სა“ დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

77. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (I)

ყოფილა თუ არა შემთხვევა, თქვენ თვითონ გეთქვათ ან სხვებისგან გაგვეგონათ: თუ ფილადელფოსს გამოუწუცხადებთ, რომ მან აჯანყების დროს უნდა გამოიტანოს ღვთისმშობლის ხატი, ის ამ დავალებას მიიღებს სიხარულით, რადგანაც პატრიოტია?
გენერალ-მაიორი ჩეკინი

ესრეთი გარემოება მხოლოდ პირველი გაგონება არის ჩემთვის. – მე ფილადელფისა მხოლოდ იმ აკტის მეტი სხვა არა რაი ვიცირა,¹ და არც არა ვისგანმე რაიმე გამიგონია ფილადელფისა ამ ჩვენსა განძრახვასა ზედა.

წელსა 1833-სა, მაისის 23-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

78. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (II)

თავადი იასე ფალავანდოვი რომ სწერს ყრუთა, უკეთუ მე ვიცი, მან, იასემ, რატომ აღარ უნდა იცოდეს, რომელიც იასე, და მე ორნიც ერთის ხნისანი ვართ, და რადგანც იასე მაღამს თვისსა გარემოებასა, ამისთვის მე ჭეშმარიტს მოვახსნებ კომისიას ესრეთ: როდისაც იასე ფალავანდოვი ეძიებდა თავადობის და ფალავანდოვობის გვარსა, მაშინ განსვენებული მამა ჩემი შევიდა მთავრობასა შინა დანოსით ესრეთ, უკეთუ ესე ხსენებული პირი თავადი და ფალავანდოვი არისო, მაშა სადამე, უნდა ჰქონდეს ყმა და მამული გორის უეზდსა შინა მამა პაპისაო, და ამისთვის მაგისი გვარი არის ნამდვილად *მიქაიჩი*, და არა თავადი ფალავანდოვიო,¹ და ამისთვის იასე ფალავანდოვი ჩემი დიახ დაუძინებელი მტერი არის. და მეორედ ამით დავამტკიცებ, რომ, როდისაც ჩემი ძმა ვახტანგ, მე, და თავადი ანტონ აფხაზოვი ერთათ ვიმყოფებოდით სეკრეტსა შინა,² მაშინ აფხაზოვმა მითხრა ესრეთ, მინამ ჩვენ დაგვიჭერდნენ, იმ წინა დღეში მე იასე ფალავანდოვმა მითხრაო ესრეთ – ამ ალექსანდრეს თავის მტერთან აქვს შერთება და აბა მას, ალექსანდრეს, კეთილი რად მოუვაო და მე არ ვიცი, ესე თქმა რასა მიენერებ იასესაგან, უკეთუ ჩემი მტერი არ იყოს.

მაისის „23-სა“ დღესა. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

79. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (III)

დimitრი ერისთავის ქალაქებში ნაპოვნია მისი ხელით დანერგილი შენიშვნები საქართველოში რუსეთის მმართველობის შემოღების 1801 წლის მანიფესტის შესახებ. – განმარტეთ, გიჩვენათ თუ არა დimitრი ერისთავმა იგი თქვენ ან სხვას ვისმე, იცით თუ არა, ვინ და როდის შეადგინა ეს შენიშვნები.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

არც უჩვენებია ჩემთვის, არც ვიცი, რომ სხვისთვის ეჩვენებინოს ვისთვისმე, და არც სრულებით ვიცი, რა ზამეჩანიე არის,¹ და ან რასა ზედა არის დანერგილი. მხოლოდ ეხლა მესმის ესრეთი გარემოება.

წელსა 1833-სა. მაისის 23-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

80. ჩვენება 1833 წლის 26 მაისისა (I)

იასე ფალავანდოვმა უჩვენა, რომ ერთხელ შემოსწრებულ ზაალ ყორღანოვზე თქვენი და ელიზბარ ერისთავის თანდასწრებით ფალავანდოვმა თქვა: „აი, ეს (ე. ი. ყორღანოვი) ასამდე კაცს იშოვის“ (ფურც. 1017).¹ – განმარტეთ ზუსტად, მართლაც ასე (და როდის) იყო ეს, თუ ყველაფერი სხვაგვარად იყო?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

ესე ხსენებული გარემოება ჩემთან არა ოდეს არა ყოფილა, და სრულებითაც არ მახსოვს ესრეთი.

წელსა 1833-სა. მაისის 26-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

81. ჩვენება 1833 წლის 26 მაისისა (II)

გამოაცხადეთ, რომ არა გაქვთ საბუთი ეჭვი შეიტანოთ, რომ გენ. მაიორის ჭავჭავაძის ბრძანება ალექსანდრე ბატონიშვილის კახეთში გამოწვევაზე, რაც თქვენ თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა გამოვიცხადათ,¹ არ იყო ნამდვილად ხსენებული გენერლის ნათქვამი, არამედ გამოგონილი იყო თვით თავად ლ. ორბელიანოვისაგან. თუ ასეთი ეჭვი გაქვთ, დანერეთ, რაზედ

ამყარებთ მას. თუ კი არავითარი ეჭვი არა გაქვთ, განმარტეთ აგრეთვე ამის საფუძველიც.

გენერალ-მაიორი ჩეკინი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – უკეთუ მე ეჭვი მქონიყო მაიორს თავადს ლუარსაბ ორბელიანოვსა ზედა ტყუილად მოგონებისა, მაშინ მე არაოდეს კაცს არ გავგზავნიდი ბატონიშვილს ალექსანდრესთან, და უკეთუ თუ ლუარსაბმა მოიგონა ესრეთი, რის განძრახვისთვის, და ან რომლის მიზეზისთვის. უკეთუ მე კაცის გავგზავნა მდომიყო ბატონიშვილს ალექსანდრესთან, მაშინ, ოდესცა მე ქოსა მუსტაფა პირველად რომ მოვამზადე, მაშინ გავგზავნიდი მას, გარნა დავხედე საქმეს, რომ შეუძლებელი იყო, და ამისთვის აღარ გავგზავნე იგი **ქოსა მუსტაფა**. – შემდეგ მაიორმა, თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა, ოდესცა თქო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემა თქოვო, კაცი გავგზავნეთ ალექსანდრე ბატონიშვილთანაო, მას დრომდისინ მე არარაის საქმეს არ შევდგომიყავ, და ოდესცა ესრეთი მესმა ლუარსაბისაგან, მაშინ გონება ჩემი შეიპყრა ლუარსაბის იმ ერთმა სიტყვამ, და ვიფიქრე, აქ უთოთ დიდი ზაგოვორი არის, და უთოთ დიდრონი კაცებიც მონაწილენი არიან მეთქი, და მე მაშინა ვთქვი: მეც რაიმე სამსახური უნდა დავანახო მათ მეთქი და მაშინ მე შეუდეგ ყოველსა საქმეს, და კაციც მაშინ გავგზავნე ალექსანდრე ბატონიშვილთან. – **მეორე**. შემდეგ ლუარსაბ ორბელიანოვის თქმისა, ვგონებ, რომ დიდმა დრომ გაიარა, მანამ ჩვენ დაგვიჭრდნენ, და რაისათვის ერთხელ არ მესმა ლუარსაბისაგან, რომ ტყუილად ვთქვიო, და ანუ ხუმრობითაო. – **მესამე**. მას მაიორს თავადს ლუარსაბ ორბელიანოვს არაოდეს ცრუთ არ ვცნობ, და ყოველთვის პატიოსნობის მნიშვნელობასა ქვეშე მყოლია. უკეთუ მე მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი ცრუს კაცად მეცნა, მაშინ მე მასთან არაოდეს შერთება არ მექმნებოდა, და არც კაცი გავგზავნილი მეყოლებოდა ალექსანდრე ბატონიშვილთან, და იქნება, რომ დღეს არც ამ სატირელს ადგილასა ვყოფილიყავ მე. – უკეთუ მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი ამბობს, რომ ტყუილად ვთქვიო, და კანონი შეინყნარებს ესრეთსა, მაშინ მეც შემიძლიან ვთქო, რომ ტყუილად გავგზავნე კაცი ბატონიშვილთან. ყოველი ჩვენი საქმე და მოქმედება სრულებით არა მცირედი რამ იყო მთავრობისა დასაკლისი, უკეთუ წელი

200-ი მაინც განგრძობულიყო ჩვენი ზაგოვორი, მაშინცა არა რაი მოხდებოდა, გარნა კანონს ხუმრობა და ტყუილი არ უყვარს.

კვლავად მივმართამ ყოვლად მონყალეს ხელმწიფეს იმპერატორს, და ნუგეშად მაქვს ესრეთი, რომელ იგი არს კანონთა კანონი, და მის მიერ სუფევს კანონი, რომელნიც მისნი სამაგალითო ხელმწიფურნი მონყალეზანი განთქმულნი არიან ქვეყანასა ზედა. ამისთვის სული ჩემი მოელის მისსა იმპერატორებითის სამაგალითოსა მონყალეზასა.

წელსა 1833-ს. მაისის „26-სა“ დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

82. ჩვენება 1833 წლის 27 მაისისა

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – წარსრულს 1833-სა წელსა, სახლსა ელიზბარ ერისთოვის სიძის მელნიკოვისას, გამოუცხადა თავადმა ელიზბარ ერისთოვმა თავადს ივანე მაჩაბელოვს განძრახვა ჩვენი, და მან მაჩაბელოვმა უარ ჰყო, და თანხმა არ შეიქნა,¹ ხოლო ესრეთი გარემოება იყო კოლლეჟსკის სოვეტნიკის მელნიკოვის სახლში, და არა სასამართლოსთან.

წელსა 1833-სა. მაისის 27-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

83. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (I)

თავადი ბიძინა ერისთოვი აჩვენებს, რომ როდესაც თქვენ პირველად ელაპარაკეთ მას განზრახულებაზე, ის არ დათანხმდა.¹ მართალია ეს თუ არა?

პოლკოვნიკი ტრიტილევიჩი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – არამც თუ პირველად რომ მე გამოუცხადე ბიძინა ერისთოვს აზრი ესრეთი, და თანხმა არ იყო, გარნა ვიდრე ჩვენ დაჭერადმდე ყოვ-

ელთვის ჩემთან ლაპარაკი ჰქონია ესრეთ, ღმერთმა ნუ ინებოსო, რომ აქ აღრეულობა მოხდესო, ამისათვისაო, რომ შეუძლებელი საქმე არისო, და ერთი სარწმუნოების ადამიანი ვართო, და არაოდეს ღვთის მოსაწონი საქმე არ არისო, რომ ჩვენ რუსებზე მახვილი ავიღოთო. ამის გარდაო, გახსომს ურდობათის საქმეში რუსნი **ოთხასნი** კაცნი იყვნენ, და ყიზილბაშნი **ცხრა ათასნიო** და კიდევ რუსებმა დამარცხეს ყიზილბაშნიო, ესრეთი სიმხნე მი-ნახამ მე რუსებისაო, და ამისთვის მე არაოდეს არ მინდა, რომ აქ აღრეულობა მოხდესო. თუმცა მე უკმაყოფილო ვარ მთავ-რობისაო, მაგრამ მაინც არაოდეს არა მსურს აღრეულობაო. – ხოლო მე მოვახსენებ კომისიას ესრეთ: ეს არის, რომ ამა აზრსა შინა გვხედამდა თავადი ბიძინა ერისთოვი ზოგს ნათესავს, ზოგს მეგობარს, და ზოგს კეთილისმყოფელს, თორემ არაოდეს არა სურდა მას, რათა მომხდარიყო აღრეულობანი.²

წელსა 1833-სა. მაისის 29-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

84. ჩვენი 1833 წლის 29 მაისისა (II)

გამოაცხადეთ ბატ. პაუშენკოზე თქვენი მესამე ჩვენების დამატებად, თქვენ გამოუცხადეთ თუ არა მას პირველად განზრახულება და როგორ და როდის სახელდობრ?

გენერალ-მაიორი ჩეკინი

მე ვგონებ, როგორც ეხლა მაგონდება, რომ მე გამოუცხადე განძრახვა ესე ჩვენი პაუშენკოს წარსრულს 1831-სა წელსა, და ის კი აღარ მახსომს, რომ როგორ გამოუცხადე.

წელსა 1833-სა. მაისის 29-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

85. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (III)

გითხრათ თუ არა თქვენ ისპრავნიკმა პაუშენკომ თქვენი ძმა ვახტანგის თანადასწრებით 1832 წ. როცა თქვენ მას შეთქმულება გამოუცხადეთ: „თქვენ ფიქრობთ, რომ კაპიტან ისპრავნიკი ვარ, მაგრამ არ დამვიწყებია, როგორ ვიტანჯე უდანაშაულოდ რამოდენიმე წელს“?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

მე ესრეთ მახსომს პაუშენკოსაგან ჩემ ძმასთან: ასე უსამართლოთა ვარ დასჯილიო, რომ მეტი აღარ შეიძლებაო, და, ასე გასინჯე, რუსი ვარო და თქვენი განძრახვა ვიციო, აქამდისინ ვარ შეწუხებულიო.

წელსა 1833-სა. მაისის 29-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი** ესრეთ დაუმატებ და მოვახსენებ კომისიას, რომ წარსრულს 1832-სა² წელსა არაოდეს არა გამიგონიარა პაუშენკოსაგან სრულებით არაფრისთან, და არცარა მე მითქომს განძრახვა ჩვენი. იქნება ჩემ ძმას, ვახტანგს, 1831 წლისა ახსომდეს, და არა 1832-ს წლისა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

86. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (IV)

იასე ფალავანდოვი უჩვენებს, რომ თქვენგან გაიგონა, თითქოს ბ-ნმა მელნიკოვმა ჯერ კიდევ 1831 წლიდან იცოდა განზრახულების შესახებ. – განმარტეთ, ვისგან იცოდით თქვენ ეს ამბავი?

გენერალ-მაიორი ჩევეკინი

მე საქმით დამიმტკიცებია, რომ იასე ფალავანდოვი არის დიახ ჩემი მტერი,¹ და იმისაგან მრავალი ჩვენებაები არის ჩემზე, რომ სულ ტყუილად უჩვენებია, ამისათვის ესე გარემოებაც სულ ტყუილი არის. იქნება ელიზბარ ერისთოვისაგან გაიგონა, და ეხლა ჩემზე აჩვენებს იასე. – მე რომ მელნიკოვისა არა გა-

მიგონიარა, რაისათვის ვეცყოდი მე იასეს. ამისათვის დიახ ტყუილი არის იასესაგან ესრეთი ჩვენება ჩემზე. –

წელსა 1833-სა. მაისის 29-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

87. ჩვენება 1833 წლის 30 მაისისა

კომისიასა შინა!

1-სა

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად:¹ – წარსრულს 1831-სა წელსა, როგორც მე მახსომს, თავადი ლუარსაბ თარხანოვი სრულებით თანხმა არ იყო აზრსა ესრეთსა. კვლავად მახსომს, რომ მე ვგზავნიდი მას, ლუარსაბ თარხანოვს, მოციქულად თავადს ელიზბარ ერისთოვთან ესრეთ, რომ შენ მოხუცებული კაცი ხარ მეთქი, და, თუ ღმერთი გნამს, შენ ელაპარაკე ელიზბარსა, რომ დაიშალოს ესრეთი განძრახვა მეთქი. – ამისთვის უმდაბლესად ვთხოვ კომისიას, რათა ჰკითხოს მას ლუარსაბ თარხანოვს, იქნება ახსომდეს გარემოება ესრეთი დასამატებლად ჩემის პოკაზანიისა.

2-ს

წარსრულს 1831-სა წელსა, ოდესცა მე თავადს ბიძინა ერისთოს წიგნი რომ მივსწერე ქართლში, და ვთხოვე, რათა ხსენებულნი პირნი ჩამოეყვანა ქალაქს,² რომელიც კომისიასა შინა არს ჩვენებული, და მას წიგნსა შინა სრულებით არ იყო ხსენებული თავადი ლუარსაბ თარხანოვი.

3-ე

ამას წინად კომისიასა შინა რომ ვაჩვენე, თავადნი ბიძინა ერისთოვი, თეიმურაზ ამილახვაროვი, ზაქარია ციციანოვი, და ლუარსაბ თარხანოვი, რომ მათ პირთა თქვეს მეთქი, რომ აქ, ქალაქში, მოახდინეთ აღრეულობა, და მასკვან ჩვენ ჯარით ჩამოვალთო,³ და კომისიასა შინა გამამეცხადა, რომ მათ ხსენებულ პირთა შორის არ დამტკიცებულა ესრეთი, ამისთვის მოვასხენებ კომისიას, რომ ამგვარი ლაპარაკი რაღაც მახსომს წარსრულს 1831-სა წელსა და ისკი აღარ მახსომს, სადა, და ანუ ვისთან.

წელსა 1833-სა. მაისის 30-სა დღესა.

ოსტავნოი პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

88. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (I)

განმარტეთ, ვისგან გაიგეთ სახელდობრ, რომ თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა მოიწონა თქვენი მოქმედების გეგმა, რომელიც დავისახათ 1831 წ. თამარ ბატონიშვილმა, და რამდენად მოიწონა მან იგი?

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

მე ესრეთ მახსოვს, რომ თავადმა ელიზბარ ერისთოვმა მითხრა, რომ ბიძა ჩემს, ლუარსაბ ორბელიანოვს,¹ მოეწონაო, და ას კაცს ის გამოიყვანსო.

წელსა 1833-სა. მაისის 31-სა დღესა

ოსტავნოი პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

89. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (II)

მასწავლებელმა დოდაევმა (ფ. 510) აჩვენა, თითქოს თქვენი თანადასწრებით იასე ფალავანდოვმა სთხოვა დოდაევს დაენერა ფიცის ფურცელი. – გამოაცხადეთ ნამდვილად სთხოვა თუ არა ფალავანდოვმა დოდაევს ფიცის ფურცლის დაწერა და რა მიზნით, და თქვენს გარდა ვინ იყო კიდევ მამინ იქ?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

ესე ხსენებული გარემოება ჩემთან არა ყოფილა, და, მე როგორც მაგონდება, ესრეთ იყო – დოდაევმა მითხრა მე: იასე ფალავანდოვმა მითხრაო, **ფიცის** ქალაღდი დაწერეო, რომ უნდა დავიფიცოთო, და ჩვენი **ფიცი** უნდა მოხდეს ალექსანდრეს ბაღშიო,¹ ესე იგი ჩემ ბაღში.

წელსა 1833-სა. მაისის 31-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**.

90. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (III)

თქვენ აჩვენეთ, რომ ერთხელ თქვენთან მოვიდა თავადი იასე ფალავანდოვი, და იქ იყვნენ თქვენი თანაგანმზრახველნი. ფალავანდოვმა გკითხათ თქვენ, ნაკითხული გაქვთ თუ არა პირველი ღამის განკარგულება¹ და როდესაც თქვენ უარყოფითად უპასუხეთ, მან გისაყვედურათ და მერე ნაგიკითხათ იგი განკარგულება. – განმარტეთ, სახელდობრ ვინ იყო იმ შეკრებულობაში თქვენ თანაგანმზრახველთაგან.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ესრეთ იყო: ჩემთან მოვიდნენ ერთს ღამეს, კაპიტანი თავადი ზაქარია ჩოლაყოვი, ელიზბარ და მისი ძმა დიმიტრი ერისთოვნი, იასე ფალავანდოვი, ჩემი მეორე ძმა გიორგი ერისთოვი² და ჩემი ძმა ვახტანგიც, მგონია, იქ იყო. ზაქარია ჩოლაყოვი დივანზე იჯდა. იასე ფალავანდოვი, და ელიზბარ ჩემთან ახლო ისხდნენ. იასემ მითხრა: რასპარაჟენია ნაიკითხე თუ არაო. მე უთხარ: არა მეთქი. მაშინ დიდის ჩხუბით მითხრა იასე ფალავანდოვმა ესრეთ: **ერთი** კვირა იქნება, რაც ჩვენ რასპარეჟენია გვაქვს დანერვილიო, და შენ რატო არ იციო. – მაშინ მე უთხარ: პირველი გაგონება არის ჩემთვის მეთქი, რა რასპარაჟენია გაქვთ მეთქი. – და ამის შემდეგ რამეთენიმე დღე გავიდა, რომ ელიზბარმა, და იასემ წამიკითხეს ის რასპარაჟენია, რომელიც **იასეს** ჩვენს სასიკვდილოთ დაენერა, და ამა ხსენებულს გარემოებისა დროს იყვნენ ესე ზემო ხსენებულნი პირნი, და მაშინ სრულებით იასეს არ წაუკითხამს ის რასპარაჟენია.

წელსა 1833-სა. მაისის 31-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

91. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (I)

თავად ლუარსაბ თარხანოვსა მხოლოდ ჩემს ბაღში ქონდა შერთება და არა სხვაგან სადმე, და სრულებით ჩვენი მონაწილე არა ყოფილა, და არც თანხმა იყო აზრისა ესრეთისა, და იმ ბაღს გარდა შერთება ჩვენთან არსად არ ჰქონია.

ივნისის 2-სა. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

92. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (II)

თქვენ უჩვენებთ (ფ. 1402),¹ რომ დიმიტრი ბატონიშვილისთვის ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთოვებთან ერთად გაგზავნილ წერილში² ნახსენები იყო განზრახულების ზოგიერთ მონაწილე და, მათ შორის, გიორგი ამილახვაროვი. გიორგი ამილახვაროვის შესახებ დასმულ შეკითხვაზე თქვენ უპასუხეთ (ფ. 2240),³ რომ მას, ამილახვაროვს, განზრახულებასთან არავითარ კავშირი არა ჰქონია და, რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, იგი არც საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობდა. – განმარტეთ, დიმიტრი ბატონიშვილისთვის გაგზავნილ წერილში რა მიზეზით დაასახელეთ გიორგი ამილახვაროვი საზოგადოების წევრთა შორის.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – მე ესრეთ მახსომს, წარსრულს 1831-სა წელსა თავადთ ელიზბარმა და გიორგი ერისთოვთ მზათ დანერილი წიგნი წამიკითხეს, ბატონიშვილ დიმიტრისთან მიწერილი, და მათგან იყო ჩანერილი თავადი გიორგი ამილახვაროვი, და არა სხვა ვინმე სახელდობრივ. უკეთუ ნებავს კომისიას, ჰკითხოს მათ პირთ, რაისათვის იხსენეს თავადი გიორგი ამილახვაროვი.

წელსა 1833-სა ივნისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

93. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (III)

ელიზბარ ერისთოვის ჩვენებით (1687),¹ თქვენ პაუშენკოს ეუბნებოდით, რომ წერილი მისწერეთ ალექსანდრე ბატონიშვილს. – განმარტეთ, სახელდობრ რა ვითარებაში, სად და როდის მოხდა ეს?

გენერალ-მაიორი ჩევეკინი

არაოდეს არსად მითქომს მე ელიზბარისათვის, რომ მე პაუშენკოს უთხარ მეთქი. რომ არ მითქომს მე პაუშენკოსათვის ესე გარემოება, რად ვეტყვოდი.

წელსა 1833-სა ივნისის 2-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

94. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (IV)

კომისის კითხვასა ზედა¹ მაქვს პატივი მოხსენებად, რომ პაუშენკოს რჩევა ის მახსომს, რომელიც კომისიასა შინა ადრე მოვახსენე,² და ისიც, რომ უნდა ეცადნეთო, და, ესკი არ მახსომს, რომ დღე და ღამე უნდა ისაქმოთო. –

ალექსანდრე ორბელიანოვი

95. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (V)

წინააღმდეგ ამის პასუხისა¹ მაქვს პატივი მოხსენებად კომისიასა შინა, რომ პოლიაკების გარემოება სრულებით არ უთქომს ჩემთან პაუშენკოს და ის კი მითხრა, რომ უნდა ეცადნენო ამ ჩვენ განძრახვასა ზედა.

ალექსანდრე ორბელიანოვი

96. ჩვენება 1833 წლის 5 ივნისისა (I)

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა¹ მაქვს პატივი მოხსენებად შემდეგნი: – ესრეთ, რომ მე არაოდეს არ მახსომს, რომ მე პაუშენკოსათვის მეთქოს ალექსანდრე ბატონიშვილთან მიწერა წიგნისა,² რომ სთხოვოს მან, ბატონიშვილმა, ხელმწიფე იმპერატორს, რათა მიიღოს იგი თვისსა მწყალობლობისა ქვეშე. ესრეთი გარემოება სრულებით არ მახსომს.

წელსა 1831-სა ივნისის 5-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

97. ჩვენება 1833 წლის 5 ივნისისა (II)

როდესაც თქვენს სახლში თადია ჩელოყაევს გამოუცხადეს თქვენი შეთქმულება, მისი თქმით, ელიზბარ ერისთოვი ეუბნებოდა მას: „ხომ დაუჯერებ ბიძაჩემს სენატორ გიორგის, რომელთანაც მიგიყვან და ის თითონ დაგარწმუნებს, რომ ის მზად არის თავისი ჭალარა თმა სისხლით შეღებოს“. – განმარტეთ, ხომ მარ

გავიგონიათ ელიზბარ ერისთოვის ნათქვამი ეს სიტყვები თადია ჩელოყაევთან საუბრის დროს.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ნარსრულს 1832-სა წელსა, ოდესცა მე ავით ვიყავ და ჩემს სანახავად იყვნენ თავადნი: თადია ჩოლაყოვი, ბიძინა, ამისი ძმა გიორგი, ივანე მიხაილისძე და ელიზბარ ერისთოვი და ჩემი ძმა ვახტანგიც, მგონია, იქ იყო, იმ დროს თავადი ელიზბარ ერისთოვი დიხ ფიცხელად ელაპარაკებოდა თავადს თადია ჩოლაყოვს ამა განძრახვასა ზედა, რომელიც მახსოვს, რომ თადია ჩოლაყოვი უარს ჰყოფდა. – მე ამაზე მეტი გარემოება არ მახსოვს, ამისთვის, რომ დიხ ავით ვიყავ, და სხვას დროს სრულებით არ მახსოვს, რომ თადია ჩოლაყოვს და ელიზბარ ერისთოვს ამა აზრსა ზედა ლაპარაკი ჰქონიყოთ რაიმე. უკეთუ ჰნებავს კომისიას, ჰკითხოს ზემოხსენებულ პირთ, ¹ იქნება იმათ ახსომდეთ მაშინდელის გარემოების ლაპარაკი.

ივნისის 5-სა. დღესა 1833-სა წელსა.

ოსტავნოი პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

98. ჩვენება 1833 წლის 7 ივნისისა

1832 წელს ბეზირგანოვის ტრაქტირში ვახშმად იყავით: თქვენ, იასე ფალავანდოვი, კაპიტანი ჩელოყაევი, მასწავლებელი დოდაევი, ელიზბარ და დიმიტრი ორბელიანოვები. იქ ითქვა: „რუსეთს საქართველოსგან ბუნებრივად ჰყოფს კავკასიონის მთები. ნუთუ რუსებმა არ იციან, რომ საქართველო სამუდამოდ ვერ იქნება რუსეთზე დამოკიდებული?“¹ – განმარტეთ, სახელდობრ ვინ თქვა ეს სიტყვები?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

მე იქ ბეზირგანოვის ტრაქტირში სხვა არა რაი ლაპარაკი არ მახსოვს, თვინიერ იასე ფალავანდოვი რომ ძალდატანების გადაკიდებით მეუბნებოდა, შენ ალექსანდრე ბატონიშვილთან უნდა ნახვიდე უთოთო და მე უარ ვყოფდი. დიდხანს გადაკიდებით

მელაპარაკებოდა იასე ზემო ხსენებულ გარემოებას. მე ამაზე მეტი სხვა არა რაი ლაპარაკი არ მახსოვს მას ტრახტირსა შინა.²

წელსა 1833-სა. ივნისის 7-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

99. ჩვენი 1833 წლის 9 ივნისისა

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა¹ მაქვს პატივი მოხსენებად: – მაშინ, ოდესცა იასე ფალავანდოვმა რასპარაჟენია რომ წაიკითხა² მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვთან, იმ ჟამად იქ იყვნენ, ვითარცა მე მახსოვს, თავადნი: თვით ლუარსაბ, ელიზბარ, და მისი ძმა დიმიტრი ერისთოვნი, ჩემი მეორე ძმა გიორგი ერისთოვი, ჩემი ძმა ვახტანგ კი სწორეთ არ მახსოვს, იქ იყო თუ არა, და მე. – იმ რასპარაჟენიის წაკითხვის დროს მეორე ოთახში იყო კაპიტანი თავადი ზაქარია ჩოლაყოვი, და ქალებს ელაპარაკებოდა. – შემდეგ, ის რასპარაჟენია რომ წაიკითხა იასე ფალავანდოვმა, მაშინ ლუარსაბმა თქო: მოდით, თუ დამიჯერებთ, 1801-ს წლის მანიფესტის აღსრულება ვთხოვოთ იმპერატორს, და მაგ განძრახვას დავეხსნათო.³ – მაშინ იასე ფალავანდოვი დიახ წინ აღუდგა, და თქო: არაოდეს არ შეიძლება, რასაც შენ ამბობო. – მაშინ თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი თანხმა ექმნა იასეს იმ რასპარაჟენიისას. მაშინ ყოველთ ერთ სულად ღალად ჰყვეს იასე ფალავანდოვის რასპარაჟენიისას, თუმცა მეც თანხმა ვიქმენ, და იასე ფალავანდოვი ძალა დატანებით მეუბნებოდა: შენ ალექსანდრე ბატონიშვილთან უნდა წახვიდეო. და მე დიახ უარ ვყოფდი არ შეძლებისას, გარნა შემდეგ მე მათ ურჩივე ყველას: თუ დამიჯერებთ, ჩვენ ჩვენ თავათ ნუ დავიჭერთ საქმესა, და ალექსანდრე ჭავჭავაძეს დავეკითხნეთ, რაც იმან გვირჩიოს, ისე მოვიქცეთ მეთქი. რომელიც ჩემი ამ რჩევის თანხმანი შეიქნენ ყველანი. – შემდეგ ამისა, თავადი ზაქარია ჩოლაყოვი შემოვიდა ჩვენთან. ლუარსაბმა უთხრა თავად ჩოლაყოვს: ზაქარიავ, ჭავჭავაძესთან უნდა წაგიყვანო ამა ჩვენსა განძრახვასა ზედა სალაპარაკოთაო, რომელსაც თავადი ჩოლაყოვი ეთანხმა. შემდეგ თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი მოუბრუნდა თავის დისწულს

თავდს ელიზბარ ერისთოვს, და უთხრა: ელიზბარ, შენც ნაბდის ქვეშიდგან გამოგიყვან, და ჭავჭავაძეს გარევენებ ამა განძრახვა-სა ზედაო, რომელიც ეთანხმა თავადი ელიზბარ თავის ბიძას, ლუარსაბ ორბელიანოვს, და ამ ჩემის რჩევით გაიყარა ჩვენი შეყრილობა, და შემდეგ ამისა ნავიდნეს, და შერთება იქონიეს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. – ამისთვის უმდაბლესადა ვთხოვ კომისიას, რათა ჰკითხოს კანონიერის ფიცით ზემოხსენებულ პირთ, თუ მე მათ არ ურჩივე ჭავჭავაძესთან რჩევა. მხოლოდ იასე ფალავანდოვს ნუ ჰკითხამს კომისია, ამისთვის, რომ დიახ ჩემი დაუძინებელი მტერი არის, რომელიც საქმით დამიმტკიცებია, და კომისია უწყებულ არს.⁴

ივნისის 9-ს დღესა. 1833-სა წელსა.

ოსტავნოი პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

100. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (I)

კაპიტანმა ჩელოყაევმა იასე ფალავანდოვთან თქვენი, აგრეთვე, ბიძინა და პორუჩიკ გიორგი ერისთოვების თანდასწრებით თქვა – თავადმა ჭავჭავაძემ მითხრაო: „თუმცა შეიძლება რუსების საქართველოდან გაყვანა, მაგრამ ძნელი იქნება შემდგომში მათთან ბრძოლა. რუსები მოისყიდიან ჩვენს აზნაურებს, მისცემენ მათ ჩვენს მამულებს და ისინიც ჩვენს წინააღმდეგ აღსდგებიანო“.¹ – განმარტეთ, მართლაც თქვა თუ არა ეს კაპიტანმა ჩელოყაევმა?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს.

წელსა 1833-სა, ივნისის 12-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

101. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (II)

კომისიასა შინა!

1-ი

კომისიის კითხვასა ზედა¹ მაქვს პატივი მოხსენებად: – მე არაოდეს არ მითქომს იასე ფალავანდოვისთვის, ხოლო მე იასე ფალავანდოვმა მითხრა შემდეგნი: თავადი ზაქარია ჩოლაყოვი მოვიდა ჩემთანა, და მითხრაო, ეხლა დიახ კარგი დრო გვაქვს აღრეულობისაო, *პირველი*. ზამთარი არის და შეგვიძლიან მოსამზადისი მოვასწროთო. *მეორე*. საზოგადოება ჩამოვა კეთილშობილთ აღრჩევისთვისაო, და ასე ერთიანათ ჩვენ შეყრილს საზოგადოს ველარ ვნახავთო,² ამაზე უკეთეს დროს ჩვენ ველარ ვიპოვნითო. – რომელიც ამის დასამტკიცებლად წარმოადგენ თავადს ანტონ აფხაზოვს, რომ იასეს მის აფხაზოვისათვისაც ეთქოს ზემო ხსენებული გარემოება. – ამისთვის ვთხოვ კომისიას, რათა ფიცით ჰკითხოს თთავადს აფხაზოვს, იასემ უთხრა ხსენებული გარემოება თუ არა, და ოდესცა მე თავადმა აფხაზოვმა მითხრა ეს გარემოება, მაშინ ჩემი ძმა ვახტანგიც იქ იყო, ესე იგი ერთს სეკრეტსა შინა ვიმყოფებოდით ჩვენ სამნი.

2-ე

არც მე მიკითხავს ჩემი ძმის დიმიტრისთვის პოლიაკების გარემოება და არც არა იმას უამბნია იქაური გარემოება.** ესკი გამიგონია მრავალჯერ ჩემი ძმის დიმიტრისაგან, რომ რუსნი დიახ ძლიერნი, და მხნე მებრძოლნი არიანო, და დიდათ აქებდა რუსების ომსა ხოლმე. – მხოლოდ ამაზე მეტი მე სხვა სრულებით არარაი მახსოვს, რომ ჩემს ძმას დიმიტრის ჩემთვის ეანბოს პოლიაკების რამ გარემოება.

ივნისის 12-სა დღესა. 1833-სა წელსა.

ოსტავნოი პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

¹ ლაპარაკია საპატიმროში ერთ საკანში ყოფნაზე. **გ. გოზალიშვილის** შენიშვნა.

^{**} აღ. ორბელიანის ეს ჩვენება მართალი არ არის, რადგანაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შეთქმულნი ძლიერ იყვნენ დაინტერესებული პოლონეთის ამბებით და ალექსანდრეს არ შეეძლო არ გამოეკითხნა საქმის ვითარება თავისი ძმის დიმიტრისთვის, რომელიც პოლონეთის წინააღმდეგ ლაშქრობის მონაწილე იყო და თავის რაზმთან ერთად ვარშავის ასაღებად პირველ რიგებში იბრძოდა. **გ. გოზალიშვილის** შენიშვნა.

102. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (III)

კომისიასა შინა! –

კომისიის კითხვასა ზედა¹ მაქვს პატივი მოხსენებად: – ბეზირგანოვის ტრახტირსა შინა მე სხვა არა რაი გარემოება არ მახსომს,² მხოლოდ იგი, რომ იასე ფალავანდოვი მე ძალა დატანებით ალექსანდრე ბატონიშვილთან მგზავნიდა, და მე დიახ უარ ვყოფდი! – იქნება რომ თ-მა ელიზბარ ერისთოვმა პირველმა გამოუცხადა განძრახვა ესრეთი ღვარდიის კაპიტანს თ-ს ზაქარია ჩოლაყოვს, და იგი არ ეთანხმა ამა მიზეზისა გამო, რომ, უკეთუ პირველნი თავადნი, ესე იგი ლენერალ ლეიტენანტი ერისთოვი, ლენერალ მაიორი მუხრანსკი, ჭავჭავაძე და ლუარსაბ ორბელიანოვი ოდესცა ესე პირველნი პირნი მას თავადს ჩოლაყოვს პირათ გამოუცახდებენ, მაშინ იგი, თავადი ჩოლაყოვი, თანხმა ექმნება აზრსა ესრეთსა. – გარნა მე ესრეთი გარემოება მას ბეზირგანოვის ტრახტირსა შინა არ მახსომს! – ამასკი ჭემმარიტად მოვახსენებ მე კომისიასა, რომ ღვარდიის კაპიტანის, თავადის ზაქარია ჩოლაყოვისაგან ბევრჯველ გამიგონია, და არა ერთგზის შემდეგნი: ეს ელიზბარ ერისთოვი რას გაუგოყვებია, რომ ესრეთ გადარეულა, როგორ შეიძლება და ან ვითარ იქნება, რასაც ელიზბარი ლაპარაკობსო, აბა მიხედოს ამ მთების ხალხს³ რაოდენი მშიერნი ხალხნი ახვევიან. უკეთუ აქ აღრეულობა მოხდეს, ნაცვლად შეწვენისა, ხომ სულ შეგვჭამენო, ღმერთმა ნუ ინებოს აქ აღრეულობა მოხდესო, და ჩვენთვის რუსებს რა დაუშავებიათ, მხოლოდ სიკეთის მეტიო.⁴ უკეთუ რუსნი არ მოსულიყვნენ საქართველოსა შინაო, სულ გავთათრდებოდითო. – მეც ამის პასუხად მითქომს: მე ვერარა გამიგონებია რა ელიზბარ ერისთოვისათვისა, და ახლა შენ იცი მეთქი.

წელსა 1833-სა ივნისის 12-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

103. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (I)

განმარტეთ, სახელდობრ სად ამბობდა თავადი ელიზბარ ერისთოვი, რომ ელოდებოდა მამასახლისებს ბუნტში მონაწილეობის მისაღებად¹ და ვინ ესწრებოდა ამ საუბარს?

გენერალ-მაიორი ჩეკინი

ესე ხსენებული გარემოება ჩემთან არსად არა ყოფილა, მხოლოდ პირველი გაგონება არის ჩემთვის ესრეთი.

წელსა 1833-სა. ივნისის 19 დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

104. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (II)

ჩვენებიდან (ფ. 3356) ჩანს,¹ რომ, მას შემდეგ, რაც ბიძინა ერისთოვმა პირველად გააგებინა აზრი თქვენს განზრახულებაზე გენერალ-მაიორ მუხრანსკის, თქვენც ელაპარაკეთ მას ამავე საგანზე და გამოუცხადეთ შეთქმულება დანვრილებით. – განმარტეთ, უამბეთ თუ არა ეს ვისმე და როგორ იყო ეს.

გენერალ-მაიორი ჩეკინი

კომისიის კითხვასა ზედა, მაქვს პატივი, მოხსენებად შემდეგნი. – პირველი გაგონება არის ჩემთვის ესრეთი, რომ თავადს ბიძინა ერისთოვს რაიმე ლაპარაკი ჰქონიყოს ლენერალ მაიორ მუხრანსკისთან აზრსა ესრეთსა ზედა! და მე ხომ ვითარ გაუბედამდი მას, მუხრანსკის, განცხადებასა აზრსა ჩვენსა მასინ, ოდესცა რომ ჩემნი ამხანაგნი მას მუხრანსკის სიკვდილს უპირებდნენ მთავრობის ერთგულებასა ზედა,² და არცარა ვისთვისმე არა რაი რამ მითქომს მას მუხრანსკისა ზედა.

წელსა 1833-სა. ივნისის 19 დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

105. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (III)

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა, მაქვს პატივი, მოხსენებად: – იმ დღესაც მოვახსენე კომისიას,¹ მე იასემ ფალავანდოვმა მითხრა: თავადი ზაქარია ჩოლაყოვი მოვიდა ჩემთანაო, და მითხრა, ეხლა კარგი დრო გვაქვსო, *პირველი*, რომ ზამთარი არის, და *მეორე*, საზოგადო ჩამოვა კეთილშობილთ აღრჩევისთვისაო, და ამისთვის, ეხლა რომ მოვახდენთ აღრეულობასაო, ჩვენ შეგვიძლიან, რომ ამ ზამთარს მოვასწროთ მოსამზადისიო. – ესე ხსენებული გარემოება თავადმა ანტონ აფხაზოვმაც იცის, რომ იასე ფალავანდოვს ანტონ აფხაზოვისთვისაც უთქომს ზემორე ხსენებული გარემოება.

წელსა 1833-სა. ივნისის 19-სა დღესა

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

106. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (IV)

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – წარსრულს 1832-სა წელსა, ერთს საღამოზე, ჩემთან იყო სანახავად კაპიტანი თავადი ზაქარია ჩოლაყოვი, და ლაპარაკსა შინა მითხრა ჩოლაყაევმა, ვითარცა მე მახსომს, შემდეგნი: წუხელის ჩემ სიძეს, მაიორს დიმიტრი ორბელიანთან, ვიყავიო,¹ და სასამართლოსაგან შეწუხებას ლაპარაკობდაო, და მასკვან მე უთხარო: დიმიტრი, აგრე შეწუხებული რომ ხარ სასამართლოებისაგანაო, მაშ, თუ აქ აღრეულობა მოხდეს, არ გინდაო? მასკვან დიმიტრიმ ამოიოხრა, და თქოვო: ახ, ნეტავი არ იქნება, რომ მოხდეს რამ, და მასკვან ნახამო. – ესეც დატანა ჩოლაყაევმა: აბა თუ აქ მოხდება რამაო, ჩემი სიძე მაიორი დიმიტრი ორბელიანოვიც მზათ არის, და ის უფრო დიდს შემწეობას იშოვნის ყველაზედაო. – გარნა ამ ლაპარაკის დროს კი აღარ მახსომს, რომელნი პირნი იყვნენ ჩვენნი ამხანაგთაგანნი იქა.

„19-ს“ ივნისს. 1833-ს წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

107. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (V)

იასე ფალავანდოვი უჩვენებს, რომ თქვენ ამბობდით: „ჩვენ გინებას დაუწყებთ რუსებს, როცა განზრახულებას აღვასრულებთ და, დაე, მაშინ დაგვცინონ“. იქვე ჩოლოყაევმა თქვა: როცა ქართველები 1832 წლის 6 დეკემბერს ბალზე წითელი საყელოებით მივიდნენ, რუსებმა დაცინვა დაუწყესო და იმავე ჩოლოყაევმა დასძინა: „რალაა თქვენი ცხოვრებაო“. – განმარტეთ, ასე იყო თუ არა ეს?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

ესე ხსენებული გარემოება ჩემთან არ ყოფილა. – ვითარცა მე მახსოვს, ესრეთ იყო: იასე ფალავანდოვმა მე მითხრა, თ-მა ზაქარია ჩოლაყოვმა მითხრაო: 6-ს დეკემბერს ბალი რომ იყოვო, და იმ ბალსა შინა, ქართველების შემოსვლის დროსაო, რუსებმა სიცილი დაიწყეს და თქვესო, ამ ქართველებს ყელზედ წითელი **ხორცი** აკერიათო,* და ამასთან ბევრი რაღებიც ილაპარაკა იასემ, რომ თავადს ჩოლაყოვს მისთვის ეთქოს, რომელიც მე არც ერთი არ მახსოვს.

წელსა 1833-სა. ივნისის 19-ს დღესა

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

ამასთან დაუმატებ: იასე ფალავანდოვი რომ აჩვენებს ჩემზე, რომ ვითომც მე მეთქოს ესრეთ, რომ ჩვენ დაუწყებთ გინებას რუსებს, მაშინ, ოდესცა დავინყობთ აზრსა ესრეთსა, მაშინ დავეხსნათ რუსებსა, იცინონ. ამისთვის მოვახსენებ კომისიას, რომ მე ესრეთი ლაპარაკი არაოდეს არ მითქომს არსად, არამც-თუ იასე ფალავანდოვთან, და ზაქარია ჩოლაყოვთან.

წელსა 1833-სა. ივნისის 19-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

* ქართული ჯარის ნაწილების ოფიცრებს საყელოზე წითელი ზოლი ჰქონდათ დაკერებული. გ. გოზალიშვილის შენიშვნა.

108. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (VI)

თავდაპირველად თქვენ უჩვენეთ (ფ. 777),¹ რომ მაიორი ლუ-
არსაბ ორბელიანოვი არ ეთანხმებოდა და არ იწონებდა პირველი
ლამის განკარგულებას, შემდეგ კი ჩვენება შეცვალეთ და თქვით,
რომ ლუარსაბ ორბელიანოვი მომხრე იყო პირველი ლამის გან-
კარგულებისა. – განმარტეთ გარკვევით, თანახმა იყო თუ არა
ლუარსაბ ორბელიანოვი პირველი ლამის განკარგულებისა?

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – თუმ-
ცა პირველად ვაჩვენე, რომ მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელი-
ანოვი თანხმა არ იყო იმ პირველი ლამის რასპარაჟენიისა მეთქი,
და შემდეგ ჩემი გულმავიწყობისა გამო მეორედ ვაჩვენე, ლუ-
არსაბ ორბელიანოვი თანხმა იყო იმ პირველი ლამის რასპარა-
ჟენიისა მეთქი.² და ახლა ჭეშმარიტად მამაგონდა, რომ ლუარსაბ
ორბელიანოვი სრულებით თანხმა არ იყო იმ რასპარაჟენიისა,
ეგრეთვე არც მე.

ნელსა 1833-სა. ივნისის 19-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

109. ჩვენება 1833 წლის 20 ივნისისა

იასე ფალავანდოვის სახლში, სადაც იყვნენ ფალავანდოვი,
ბიძინა და გიორგი ერისთოვეები და კაპიტანი ჩელოყაევი, ლაპარა-
კი იყო, რომ გენერალ-მაიორი ალექსანდრე ჭავჭავაძე უარზეაო
და მაშინ იქ ითქვა: „თუ ალექსანდრე ჭავჭავაძე უარზეა, განა
უიმისოდ ჩვენ არ შეგვიძლია, ეს გავაკეთოთ?“¹ – განმარტეთ
გარკვევით, ითქვა თუ არა იქ ეს სიტყვები და, თუ ითქვა, ვის
მიერ?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

ესე გარემოება ჩემთან არა ყოფილა, და არც ამ გვარი ლაპა-
რაკი მე არსად არ გამიგონია.

ნელსა 1833-სა. ივნისის 20-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

110. ჩვენება 1833 წლის 21 ივნისისა

პორუჩიკი გიორგი ერისთოვი უჩვენებს (ფ. 1655),¹ რომ თქვენგან მოისმინა: იმ ქართველ ოფიცერთა შორის, რომელთა ყარაულებად გამწესება და მორიგეობა იყო დაგეგმილი აჯანყების პირველ ღამეს, პრაპორშჩიკი ჯორჯაძეც უნდა ყოფილიყო და იგი ამაზე თანხმობას აცხადებდა. – განუმარტეთ კომისიას, შეთავაზებული იყო თუ არა და ვის მიერ ზემოხსენებული თავადის, დავით ჯორჯაძისათვის, ეს დავალება, დათანხმდა თუ არა იგი ამას, თუ თვითონ არაფერი იცოდა ამ საქმის შესახებ; ამასთანავე, იცოდა თუ არა მან თანამზრახველებისგან პირველი ღამის განკარგულების შესახებ, რომლის მიხედვითაც განზრახული ბუნტი უნდა დაწყებულიყო?

გენერალ-მაიორი ჩეკინი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ესე ხსენებული გარემოება პირველი გაგონება არის ჩემთვის.² მაშინ, ოდესცა რომ **ორი** კვირა გავიდა, რომ იგი პირველი ღამის რასპარაჟენია, მზათ დანერილი, მაჩვენა იასე ფალავანდოვმა, რომელიც თანხმაც არ ვექმენ, თორემ ჩემგნით საითგან გაიგონებდა პორუჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი ესრეთსა.

„21-სა“ ივნისს. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

111. ჩვენება 1833 წლის 26 ივნისისა

პრისუსტივე კომისიასა შინა გამამეცხადა¹ ესრეთ რომ, ვითომც, ჩემთან ეთქოს თავადს რამაზ ანდრონიკოვს რომ მე დიახ დიდათ საძულვილად მეჯავრებიან რუსნი. ამისთვის მაქვს პატივი მოხსენებად, შემდეგნი რომელ ესე ზემო ხსენებული ლაპარაკი სრულებით არა ოდეს არ გამიგონია იმისაგან.

წელსა 1833-სა. ივნისის 26-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

112. ჩვენი 1833 წლის 28 ივნისისა (I)

1. თქვენ საუბარი გქონდათ ტარასი ბერთან მოძღვრის მოვალეობის შესახებ – აღსარებაში ნათქვამი ღალატი ხელმწიფისა უნდა მიიტანოს თუ არა მთავრობის ყურამდე.

2. რა ვითარებაში და სახელდობრ როდის ესაუბრეთ ტარასის თქვენი განზრახულების შესახებ?

3. საერთოდ რა იცით განზრახულებაში ტარასის მონაწილეობის შესახებ?

გენერალ-მაიორი ჩეკინი

1) კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ ამა საგანსა ზედა ჩემისა ტარასი ბერთან ესრეთი ლაპარაკი სრულებით არა ყოფილა.

2) მე ტარასის ბერთან სრულებით ლაპარაკი არა მქონია ამა ჩვენსა განძრახვასა ზედა.

3) მე ტარასისა სრულებით არა რაი არა ვიცირა განძრახვასა ესრეთისა.

ივნისის „28-ს“ დღესა – 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

113. ჩვენი 1833 წლის 28 ივნისისა (II)

ერთერთ შეკრების დროს, სადაც იყავით: თქვენ, იასე ფალავანდოვი, კაპიტანი ჩელოყაევი, ბიძინა ერისთოვი და პორუჩიკი გიორგი ერისთოვი, ვილაცამ თქვა: „ბატონიშვილი ივანე, თუ იულონი ხშირად გვიამბობდა, რომ ზოგჯერ ისეთ გუნებაზე დგება, რომ მზად არის ხმალი ჰკრას ხელმწიფეს, როდესაც იგი ნების პროსპექტზე დასეირნობს.“¹ – განმარტეთ, შეკრების რომელმა მონაწილემ თქვა ეს სიტყვები.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ღვარდიის კაპიტანმა ზაქარია ჩოლაყოვმა თქო, ისკი აღარ მახსოვს, რომელნი პირნი იყვნენ იქა. შემდეგნი, ვითარცა მე მახსოვს: ბატონიშვილს ივანეს სახლის საქირავებელი ფული აღარ მისცეს

განსვენებულის ალექსანდრე ხელმწიფის ბძანებითაო და ამასა ზედა დიდათ გაცეცხლდა ივანე ბატონიშვილი² და ხმალი მოითხოვა: ეხლავ წავალ და ნევესკი პროშპექტზე რომ ჩამოვივლის იმპერატორიო, და შიშველს ხმალს შემოვკრამო, რომელიც კიდეც წავიდა და აღარ ჩამოიარა იმპერატორმაო. და მაშინ ბატონიშვილი დაბრუნდა თავის სახლშიო, რომელიც ესე გარემოება თვით განსვენებულმა იმპერატორმა შეიტყო და შემდეგ უბძანა, რათა სახლის ფული მიეცესო.

წელსა 1833-სა. ივნისის 28-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

114. ჩვენება 1833 წლის 28 ივნისისა (III)

განუმარტეთ კომისიას გარკვევით, ჰქონდა თუ არა სრული წარმოდგენა თქვენს ძმას, დიმიტრი ორბელიანს, პირველი ლამის განკარგულების შესახებ; აგრეთვე, სად იყო იგი ხსენებული განკარგულების მიხედვით გამწესებული და აცხადებდა თუ არა ამაზე თანხმობას? – ერთ სალამოს თქვენ იყავით ლუარსაბ ორბელიანთან, სადაც თქვენი ძმაც, დიმიტრი ორბელიანოვი, იმყოფებოდა. იქ იასე ფალავანდოვმა წაიკითხა ზემოხსენებული პირველი ლამის განკარგულება, რომელიც მანამდე სხვა ოთახში, ავადმყოფ ლუარსაბ ორბელიანოვთან, იდო (ფ. 2979 და 3366). ამასთანავე, დაუდასტურეთ კომისიას, იმყოფებოდა თუ არა იქ დიმიტრი განკარგულების წაკითხვისას?

გენერალ-მაიორი ჩეკინი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ჩემ ძმას დიმიტრის არ უთქომს ჩემთვის პირველი ლამის რასპარაჟენიას ცოდნისა. მე სრულებით არ მახსოვს, სადა ყოფილა იგი დანიშნული,¹ და არცრა ჩემი ძმისაგან, დიმიტრისაგან, გამიგონია ამასა ზედა. და მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვისას ოდესცა წაიკითხა იასემ რასპარაჟენია,² ჩემი ძმა დიმიტრი სრულებით არა ყოფილა იქა.

წელსა 1833-სა. ივნისის 28-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

115. ჩვენება 1833 წლის 3 ივლისისა

თქვენ აჩვენეთ, რომ, როდესაც თქვენთან შეკრებილმა თანამოაზრეებმა დაადგინეს განზრახულების სისრულეში მოყვანა 20 ნოემბრისთვის, იქვე მყოფმა თქვენმა ძმამ დიმიტრი ორბელიანოვმა ვითხრა: თუ მცოდნოდა, რომ ასეთი ფუქსავატი შეთქმულნი იყავით, თქვენთან სიარულს არ დავინწყებდიო. – განმარტეთ ამ სიტყვების ნამდვილი შინაარსი და სახელდობრ, რას ეხებოდა. ამასთანავე, კომისია მოითხოვს თქვენგან დაადასტუროთ, მართლა უთხრა თუ არა თქვენმა ძმამ, სად და დაახლოებით როდის, კაპიტან თავად ჩოლოყაევს, რომ იგი არ ეთანხმება განზრახულ შეთქმულებას, ითვალისწინებს რა საამისო სახსრების უკმარისობას, რომ მას ხორცი შეესხას, რაზედაც, ვითომდა, თქვენც ეთანხმებოდით.

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – მე ვგონებ, ესრეთ არ მიჩვენებია, ვითარცა კომისია მიბძანებს, გარნა მე ესრეთ მახსომს, რომ ჩემ ძმა დიმიტრის და თავად დიმიტრი ერისთოვს ჩხუბი რომ მოუვიდათ, და ჩემი ძმა შეუძლებლობას ამბობდა და ამაზე თ-მა დიმიტრი ერისთოვმა ნადუელში რომ გაითხოვა ჩემი ძმა, ¹ მე ამაზე მეტი ჩემი ძმის დიმიტრისა სხვა არა რაი მახსომსრა.

წელსა 1833-სა. ივლისის 3-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

ამასთან დაუმატებ, რომელ ზემორე ხსენებული ჩემი ჩვენება შეცთომით არის და ეხლა მამაგონდა ჭეშმარიტად ესრეთ, რომელიცა მაქვს პატივი, რათა მოვახსენო კომისიასა შინა შემდეგი: წარსრულს 1832-სა წელსა, მე რომ ავათ ვიყავი, მგონია, ახლად დაწყებული ნოენბერი იყო, იმ დროს თავადი ზაქარია ჩოლაყოვი, თავადი ელიზბარ და ამის ძმა დიმიტრი ერისთოვები ჩემთან იყვნენ. ჩემ ძმა დიმიტრის და დიმიტრი ერისთოვს ნადუელი რომ მოუხდათ, ვითარცა ზემო მოვახსენე კომისიას და შემდეგ ელიზბარ და მისი ძმა დიმიტრი რომ წავიდნენ ჩვენგნით, მაშინ ჩემა ძმამ დიმიტრიმ დაგვიშალა, რომ სრულიად დაუტე-

ოთ ესრეთი ბოროტი განძრახვა. შემდეგცა მახსომს, რომ კიდეც სადღაც დაგვიშალა და სწორედ კი არ მახსომს, სად იყო.*

წელსა 1833-სა. ივლისის 3-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

116. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (I)

თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი უჩვენებს (ფ. 1707)¹, რომ თქვენ მას უთხარით: ქაიხოსრო ჯავახოვმა განზრახულების შესახებ ჯერ კიდეც 1831 წლიდან იცისო. – განმარტეთ, სახელდობრ რა იცით და ვისგან თავად ქაიხოსრო ჯავახოვის მონაწილეობის შესახებ.

გენერალ-მაიორი ჩეკინი

არაოდეს არ მითქომს ლუარსაბისათვის ესრეთი, და არცა არა რაი მე არა რაი არ გამიგონიარა თავადის ქაიხოსრო ჯავახოვისა ამა ჩვენსა განძრახვასა ზედა.²

წელსა 1833-ს. ივლისის 5-სა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

117. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (II)

კომისიასა შინა!

თუმცა კომისიასა შინა მიჩვენებია ფურცელსა ზედა 1702-სა¹ თ-ა მიხაილ ჯავახოვისა, გარნა შეცთომით არს იგი, ამისთვის ეხლა მამაგონდა ჭეშმარიტად, ვითარ იყო, და მაქვს პატივი, რათა კომისიასა მოვახსენო შემდგომნი: წარსრულს 1831-სა წელსა, ერთს დროს, თავადმა ელიზბარ ერისთოვმა ეზოსა შინა

¹ როგორც ჩანს, შეთქმულთა შორის ცხარე კამათი ყოფილა, რომლის დროსაც დიმიტრი ორბელიანს თავისი ამხანაგებისთვის სიმხდალე უსაყვედურებია. ამის გამო დიმიტრი ერისთოს იგი დუელში გამოუწვევია, რაც მაშინდელ სამხედრო პირთა შორის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ალ. ორბელიანს თავის პირველ ჩვენებაში ეს არ დაუმალავს, ეხლა კი ცდილობს გადათქვას თავისი ნათქვამი და საქმე ისე წარმართოს, თითქოს დიმიტრი შეთქმულებს ურჩევდა, ხელი აეღოთ განზრახვაზე.

გ. გოზალიშვილის შენიშვნა.

მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვისასა, ისე, ლაპარაკსა შინა, უთხრა თავადს მიხაილ ჯავახოვს ესრეთ, რომელ შესაძლებელი არს, რათა საქართველო განთავისუფლდეს თუ არა. ამა თქმასა ზედა, ვითარცა მე მახსომს, მან, თავადმა ჯავახოვმა, სრულებით არა უპასუხარა.

ივლისის 5-სა დღესა. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

118. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (III)

პორუჩიკი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი უჩვენებს¹ (ფ. 85), რომ ელიზბარ ერისთოვმა და თქვენ გამოუცხადეთ მას შეთქმულების შესახებ. – განმარტეთ, მართალია თუ არა ეს?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

იქნებ მე და ელიზბარმა გამოუცხადეთ, და სწორეთ კი აღარ მახსომს.

წელსა 1833-სა. ივლისის 5-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

119. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (IV)

თქვენი ძმის, ვახტანგის, ჩვენების მიხედვით,¹ თქვენ და ელიზბარ ერისთოვმა 1831 წელს მას გამოუცხადეთ შეთქმულების შესახებ, თუმცა ელიზბარ ერისთოვი ამტკიცებს, რომ მან ვახტანგ ორბელიანოვს პეტერბურგშივე შესთავაზა, გაეცნო თქვენთვის დიმიტრი ბატონიშვილის მიერ შთაგონებული აზრები. ვახტანგმა ეს შეასრულა და ამის შემდეგ, მოგვიანებით, თქვენ თვითონ ესაუბრეთ ელიზბარ ერისთოვს. – განმარტეთ, რა და როგორ გამოგიცხადათ ვახტანგმა და თქვენ რა უპასუხეთ?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად შემდეგნი. – ის ჭეშმარიტი არის, რომ მე და თ-მა ერისთოვმა გამოუცხადეთ აზრი ესრეთი ჩემს ძმას ვახტანგს. და ოდესცა ჩემი ძმა ვახტანგ პეტერბურლიდგან მოვიდა, მაშინ ამა საგანსა ზედა ჩემთვის სრულებით არრაი არა უთქომსრა, და მე თავადმა ელიზბარ ერისთოვმა გამამიცხადა ნარსრულს 1830-ს წელსა აზრი ესრეთ.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
[5 ივლისი. 1833 წ.]

120. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (V)

ერთ-ერთ ჩვენებაში (ფ. 3090) აღნიშნულია, რომ პროპორშიკი გიორგი ერისთოვი თქვენ, თქვენს ძმა ვახტანგსა და სხვებს უკითხავდა ბერ ფილადელფოსის მიერ შეთხზულ ფარული და განუყრელი ძმობის აქტს. კითხვის დასასრულს იგი, ვახტანგი, სხვებთან ერთად ხელანეული წარმოთქვამდა ფიცის სიტყვებს, რომლებსაც გიორგი ერისთოვი კითხულობდა. – განუმარტეთ კომისიას, სწორია თუ არა, რომ ხსენებული აქტის წაკითხვის დროს თქვენი ძმა ვახტანგი ხელანეული წარმოთქვამდა ფიცს, რომელიც აქტში ეწერა; რის შესრულებას ავალდებულებდა იქ მყოფთ აღნიშნული ფიცი; ავიხსნათ თუ არა მაშინვე ან შემდეგ თქვენ და ვახტანგს წამდვილი არსი და მიზანი აქტისა; და სახელდობრ რაში მდგომარეობდა ერთიცა და მეორეც?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ოდესცა ხსენებული ესე აკტი წაიკითხა პრაპორშიკმა თავადმა გიორგი ერისთოვმა, მას დროს იქ იყვნენ თავადი ელიზბარ, და ამისი ძმა დიმიტრი ერისთოვნი, და მე. ჩემი ძმა ვახტანგ სრულებით არ მახსოვს, რომ იქ ყოფილიყოს, ოდესცა გიორგი ერისთოვმა ის აკტი წაიკითხა,¹ და არც ის მახსოვს, რომ ჩემი ძმის ვახტანგისათვის წაეკითხოს იგი აკტი.

წელსა 1833-სა. ივლისის 5-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

121. ჩვენება 1833 წლის 7 ივლისისა

კომისიასა შინა!

კომისიასა შინა გამამეცხადა პრისუსტვიე ღენერლებთან ჩემ მიერ ჩვენება ფურცლისა 1918-სასა¹ პორუჩიკის თავადის გრიგოლ ორბელიანოვსა ზედა, რომელიც აღარცკი მახსომდა, როდის მეჩვენებინა ჩემი გულმავინყობისა გამო და არც საკვირველი არს, რათა ზოგიერთს ჩვენებასა ზედა შევცდე. – **პირველი.** მწარე მნუხარება. **მეორე.** მრავალი გარემოება, და უკეთუ დღიურნი ზაპისკები მქონიყო, მაშინ სწორე ჩვენება იქნებოდა, და არ ვიცოდი, რომ ჩვენი ესე ჭკვა არეული საქმეები გამოცხადდებოდა, თორემ უთოთ დღიურს ზაპისკებს ვიქონიებდი, და ჩემთვისაც კი ეს კარგი იქნებოდა. და **მესამე.** ჩემი გულმავინყობა, და ამისთვის უმდაბლესად ვთხოვ კომისიას, რომელნიც ჩემნი შეცდომითი ჩვენებები იყოს, იგინი მამეტეოს ამა ზემო ხსენებულის **სამის** გარემოებისა გამო. ამისათვის პორუჩიკის, თავადის გრიგოლ ორბელიანოვის გარემოებას ეხლა მოვახსენებ კომისიას ვითარცა მახსომს: წარსრულს 1831-სა წელსა, ერთს დროს, ელიზბარ ერისთოვთან ყოფილიყო პორუჩიკი თავადი გრიგოლ ორბელიანოვი, რომელსაცა თავადს ელიზბარ ერისთოვს დაეწყო ლაპარაკი მის გრიგოლისათვის, საქართველოს განთავისუფლებისათვის შესაძლებელი არის თუ არაო. ამაზე გრიგოლს დიახ ბასი დაეწყო შეუძლებლობისა. – ამის შემდეგ ერთს საღამო ჟამზე ჩემთან იყვნენ ელიზბარ და გრიგოლ და იქაც ბევრს ელაპარაკა ელიზბარ საქართველოს განთავისუფლებასა ზედა. კვლავად გრიგოლ უარ ჰყოფდა შეუძლებლობას. – და მასკვან ამათის ლაპარაკის განყვეტისათვის მე ვთქვი: ძალიან კარგი იქნება, რომ თავადს ალექსანდრე ჭავჭავაძეს უთხრას ვინმემ ესე თქვენი ლაპარაკიმეთქი, ვნახოთ ის რას იტყვისმეთქი. – მასკვან გრიგოლმა იკისრა: მე ვეტყვიო. ამით კიდევ წავიდნენ ჩემგნით. – შემდეგ ამისა, ერთს საღამო ჟამზე, გრიგოლთან მიველ სანახავად. იქ თავადი ელიზბარ ერისთოვი დამხვდა, და ამ დროს რილიევის სტიხი, გადათარგმნილი ქართულად თავადის გრიგოლ ორბელიანოვისაგან, გრიგოლმავე წაგვიკითხა.² ოდესცა დაასრულა მისი კითხვა, შემდეგ ელიზბარ წამოდგა, მივიდა, აკოცა, და მეც ამაყენა: მოდი, აკოცეო. რომელიცა მეც მაკოცინინა. მასკ-

ვან აღარ ვიცი, ის სტიხი რა უყვეს. – ამაზე მეტი პორუჩიკის თავადის გრიგოლ ორბელიანოვისა მე სხვა არარაი არა ვიცირა.

წელსა 1833-სა. ივლისის 7-სა დღესა.

ოსტავნოი პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

122. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (I)

სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვისა და იასე ფალავანდოვის სიტყვიერი ჩვენებები:

კომისიამ სოვეტნიკ ორბელიანოვს დაუსვა კითხვა: იყო თუ არა თვითონ მას, მის ძმა დიმიტრისა და მათთან მისულ ფალავანდოვს შორის საუბარი, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა განაცხადა – გენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ მას გადაათქმევინა განზრახულება და ამის გამო შეთქმულება იშლებაო.¹

ორბელიანოვმა უპასუხა, რომ ეს საუბარი ზუსტად არ ახსოვს, თუმცა იცის, რომ ზემოაღნიშნული სტუმრობისას, ამბობდა რა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ გადაიფიქრაო, იასე გამოთქვამდა შიშს – მთავრობას არ შეატყობინოსო.

ჩვენებას ხელს ვანერ: პოდპორუჩიკი, თ. ალექსანდრე ორბელიანოვი

ამ საკითხზე დაკითხულმა იასე ფალავანდოვმა განაცხადა, რომ მაშინ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი.

ჩვენებას ხელს ვანერ: თავადი იასე ფალავანდოვი
10 ივლისი 1833 წლისა.

*გენერალ-მაიორი ბაიკოვი
გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი
გენერალ-მაიორი ჩევკინი
პოლკოვნიკი ახლესტიშევი
პოდპოლკოვნიკი ოზერეცკოვსკი*

123. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (II)

კომისიასა შინა!

თუმცა თავადი გიორგი ერისთავი დავითის ძე აჩვენებს, ვითომც ჩემთვის უთქომს, რომ მამუკა ორბელიანოვს პირველად მიეცეს აზრი ბალისა,¹ გარნა მე ესე ხსენებული გარემოება არ მახსომს.

წელსა 1833-სა. ივლისის 10-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

124. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (III)

1. მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს (2414): შეთქმულება-ში იასე ფალავანდოვის მონაწილეობის შესახებ მას თქვენ გამოუცხადეთ და ეუბნებოდით დოდაევს, რომ ფალავანდოვი ბევრს ფიქრობს რუსებისგან საქართველოს განთავისუფლება-ზეო. რამდენიმე დღის შემდეგ დოდაევი და თქვენ ენვიეთ ფალავანდოვს, სადაც დოდაევისთვის უცნობი თავადიშვილის თანდასწრებით ფალავანდოვი გეუბნებოდათ: „ბევრმა ჩემმა ნაცნობმა თავადიშვილმა იცის ამ საქმის შესახებ“!¹ იგივე მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს, რომ ფალავანდოვი თქვენი თანდასწრებით ამბობდა: „ბევრ რამეს ვფიქრობ რუსთაგან საქართველოს განთავისუფლების შესახებ“, ტრაბახობდა და კიდევ ბევრი რამე თქვა, თუმცა დოდაევს დანარჩენი არ ახსოვს. განმარტეთ დანერვილებით, სწორია თუ არა დოდაევის ჩვენება, ამბობდა თუ არა ფალავანდოვი ზემოხსენებულ სიტყვებს და ხომ არ იცით, ვინ იყო იქ მყოფი თავადიშვილი?

2. თქვენს ჩვენებებში ნათქვამია: როცა 1830 წელს იასე ფალავანდოვი შეთქმულების შესახებ გესაუბრათ, ისიც ვთხოვთ, რომ შეთქმულება თეიმურაზ ამილახვრისთვის გაგემყდენებინათ.² განმარტეთ, რომელ წელსა და რომელ თვეს გამოუცხადეთ შეთქმულების შესახებ თეიმურაზ ამილახვაროვს?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

1-ი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ჭეშმარიტი არის, რომელ მე ოსტატს დოდაევს განუცხადე³ იასე ფალავანდოვისა, განძრახვასა ესრეთსა ზედა წარსრულს. ისკი აღარ მახსომს, გასვლაზე იყო 1830-ი წელი, მაგრამ სწორეთკი 1830-ი წელი იყო. და ისიც ნამდვილი ჩვენება არის დოდაევისაგან, რომ მე უთხარ მას, იასე ფალავანდოვისა, ამა ხსენებულის სიტყვით, ვითარცა დოდაევს უჩვენებია ჩემზე, და მე ვგონებ, რომ ადრევეც მიჩვენებია კომისიასა შინა. ისიც ჭეშმარიტი ჩვენება არის, რომელი მე და დოდაევი ერთათ ვიყავით მასვე წელსა მას იასესთან, და ისიც მართალი არის, რომ იქ თავადი თეიმურაზ ამილახვაროვიც იყო, ვითარცა მახსომს, იქნებ ესე ამილახვაროვი ყოფილიყოს, და მან, თეიმურაზმა, თქო სწორეთ ესე, ვითარცა დოდაევს უჩვენებია. – დოდაევთან ლაპარაკი იასე ფალავანდოვისგან, მე ვგონებ, ადრევე, პირველს ჩვენებაშივე, განმიცხადებია კომისიასა შინა!

2-ე

სულ პირველს ჩვენებაში განმიცხადებია კომისიასა შინა თავად თეიმურაზ ამილახვაროვისა წარსრულს 1830-ის წლისა, და მეორედ კვლად კომისიასა მოვახსენე, რომელ, ვითომც პირველი ჩვენება შეცთომით ყოფილიყოს, გარნა ახლა საქმესა შინა ცხადად იხილვების, რომ ის პირველი ჩემი ჩვენება თავად თეიმურაზ ამილახვაროვზე ჭეშმარიტი არის, და ამისთვის მას პირველს ჩემს ჩვენებასა ზედა დავეფუძნები, და ის პირველი ჩვენება ნამდვილი არის, ამისთვის, რომ წარსრულს 1830-სა წელსა ჩემთან რალაც საქმე ჰქონდა თავად თეიმურაზ ამილახვაროვს, და მას დროს იყო ჩემი და მისი შერთება, ვითარცა კომისიას შინა მომიხსენებია.

წელსა 1833-სა, ივლისის 10-სა დღესა.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ა. ორბელიანოვი**

ზემოხსენებულის 2-ს პუნქტზე თავადის თეიმურაზ ამილახვაროვისა ზედა ჩვენება ჩემ მიერ, ეხლა ჭეშმარიტად არ მახსომს, 1830-ს იყო, თუ 1831-ს წელსა.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ა. ორბელიანოვი**

125. ჩვენება 1832 წლის 10 ივლისისა (IV)

ვინაიდან თქვენი ჩვენებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, განმარტეთ დაწვრილებით და ზუსტად – 1832 წლის რომელ თვეს ვთავაზობდით იასე ფალავანდოვი შეთქმულების განახლებას, სად და რა ვითარებაში მოხდა ეს და თქვენს გარდა ესწრებოდა თუ არა კიდევ ვინმე ამ საუბარს?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – წარსრულს 1832-სა წელსა, ჯერეთ პახოტსა შინა არ იყო ნაბძანებული ლენერალი ოტინფატრი, და კავალერი, საქართველოს მთავარ მართებელი ბარონ როზინი,¹ იმ დროებში სამოქალაქო ღუბენატორს, თავად ფალავანდოვს, დავებარებინეთ ჩვენ ერთობრივ ორბელიანოვნი ჩვენს გაყრასა ზედა. – ამ დროს იასე ფალავანდოვი ამოვიდა ჩვენთან,² და მე ცალკე გამიყვანა. მითხრა: რათ მოსულხართო? მე უთხარ: ჩვენს გაყრასა ზედამეთქი. – მასკვან მითხრა: რა გინდა ვითომ, რა მართალი გინდა იშოვნოვო. მე უთხარ: ახლა შენი ძმა ღუბენატორია, და ქართველი კაცი არის მეთქი, და იმან ჩვენი გარემოება დიახ კარგათ იცის, რომ ორბელიანოვნი მჩაგვრენ, და ჩემს მხუედრ წილს არ მადღევენმეთქი, და ახლა შენი ძმის შემწეობით მე ჩემის სიმართლითა ჩემს წილს მივიღებმეთქი. მასკვან მითხრა: ისევ გერჩივნა, რომ რუსი ყოფილიყო. ამ ჩვენს ქართველებს ჰგონიათო, რომ ქართველი ღუბენატრად დაჯდაო, და ყოველს მწუხარებისაგან გამოგვიხსნისო. ღმერთს ვფიცაო, ასე გაგიხდით საქმესაო, რომ სულ თავბედი განყველინოთო. – მასკვან მე უთხარ: რას ამბობ, თუ ღმერთი გწამს, ასე გასინჯე, ხელმწიფე იმპერატორი ასე გვწყალობს, რომ ქართველი ღუბენატრათ მოქვცა მეთქი. მასკვან მითხრა: ეს სულ პოლიტიკა არისო, ღმერთს გეფიცები, ამ ჩემი ძმისაგან სულ კმაყოფილებას ვერარას მიიღებ, ისევ საიდგანაც მოსულხარ, ისევ იქითკენ წადიო. მასკვან მე უთხარ: მაშ რა ვქნამეთქი. მითხრა: მოდი, ახლად გავაახლოთ ჩვენი დავინწყებული ზაგოვორიო. – მასკვან მე უთხარ: კარგი, დავდგეთ, ხელმწიფე იმპერატორი ვადიდოთ მეთქი. მასკვან მითხრა: აკი მითქომსო, რომ მხოლოდ ქვეშაგებში ხართ კარგნი ვაჟკაცნიო. – ამისთვის მოკლედ მოვახსენებ კომისიას, და ტყუილად არ

შევანუხებ, რომ ესრეთ გადამრია იასემ, რომ წამოველ და ვთქვი: 30-ი წელიწადი არის, რაც მტანჯვენ ორბელიანოვები მეთქი და, ღმერთო, როდის უნდა მამეცეს ჩემი სამართალი მეთქი. და ამასაც მოვახსენებ კომისიას, რომ იასე მეორე მხარეს საიდუმლოს კიბიდგან მეპატიჟებოდა, ოღონდაც ჩემთან დაიწყე სიარულიო.³ – ესრეთსა გარემოების დროს მონამე არა ყოფილა.

წელსა 1833-სა. ივლისის 10-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

126. ჩვენება 1833 წლის 12 ივლისისა (I)

ერთ-ერთი ჩვენებიდან (ფ. 43) ჩანს,¹ რომ თქვენ ამბობდით, თითქოს არაერთმა და, მათ შორის, მამუკამ გაიძულათ, წერილი მიგენერათ ალექსანდრე ბატონიშვილისათვის. სხვა, კერძოდ, ბიძინა ერისთავის თქვენთვის ცნობილი ჩვენებიდან (ფ. 1502) კი ირკვევა,² რომ თქვენ იმავე მამუკასთან საუბარი გქონიათ ბატონიშვილთან გამართული მიმონერის შესახებ. – კომისია მოგიწოდებთ, გულახდილად აღიაროთ, თუ რა ურთიერთობა გქონდათ თქვენ მამუკასთან ალექსანდრე ბატონიშვილთან გამართულ მიმონერასთან დაკავშირებით?

გენერალ-მაიორი ჩეკინი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – იქნება, რომ რაიმე ლაპარაკი რამ გვექონიყოს სწორეთ ამა ხსენებულს გარემოებასა ზედა მამუკა ორბელიანოვთან, მაგრამ მე ველარ მამიგონია.

წელსა 1833-სა. ივლისის 12-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

127. ჩვენება 1833 წლის 12 ივლისისა (II)

განუმარტეთ კომისიას, გაიგონეთ თუ არა თქვენი ძმისგან, ვახტანგ ორბელიანოვისგან, შემდეგი სიტყვები: საქართველო არასოდეს ყოფილა ისეთი ბედნიერი, როგორც ამჟამად არის რუსული მმართველობის ხელში; დაახლოებით როდის გაიგონეთ თქვენ ეს სიტყვები და სახელდობრ – სად? და ხომ არ სურდათ ამით თქვენს ძმასა და სხვა თანამონაწილეებს, უკუეგდოთ თავიანთი ბოროტგანზრახულება?

პოლკოვნიკი **ახლესტიშვი**

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ვითარცა მე მახსომს, და ანუ მაგონდება, ვგონებ, რომ წარსრულს 1832-სა წელსა, ოდესცა ავად ვიყავ მე, მაშინა თქო ჩემა ძმამ ვახტანგმა ესე ხსენებული გარემოება, რომ თავის დღეში საქართველო ესრეთ ბედნიერი არა ყოფილაო, ვითარცა ეხლაო, და ის კი აღარ მახსომს, რომ მას დროს იქ ჩემთან ვინ იყვნენ, და ვგონებ, ვითარცა მახსომს, რომ მაშინ კიდევ დაუშალა ჩემ ამხანაგთ, რომ სრულიად დაეტევებინათ ესრეთი განძრახვა.

ივლისის 12-სა დღესა – 1833-ს წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

128. ჩვენება 1833 წლის 14 ივლისისა (I)

განმარტეთ გულწრფელად: გასულ 1832 წელს რა და ვის მიერ გამოეცხადა შეთქმულებისა და აჯანყებისთვის მზადების შესახებ მამუკას? ამ საქმეზე მასთან ხომ არ დადიოდა დიმიტრი ერისთოვი? (ფ. 3212).¹

გენერალ-მაიორი **ჩეკვინი**

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ წარსრულის 1832-ის წლისა მე თ-ის მამუკა ორბელიანოვისა სრულებით არარაი არა ვიცირა ამა ხსენებულს განძრახვასა ზედა,² და არც ის ვიცი, რომ თ-დს დიმიტრი ერისთოვს შერთება ჰქონია რამე მასთან, თუ არა. –

წელსა 1833-ს. ივლისის 14-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

129. ჩვენი 1833 წლის 14 ივლისისა (II)

კომისიასა შინა!

მე ვგონებ, რომელ სულ პირველს პოკაზანიასა შინა მიჩვენებია კომისიასა შინა, და კიდევ მოვახსენებ კომისიასა ჩემის უფრო მკვიდრის დახსოვებისათვის შემდგომთა. – წარსრულს 1832-სა წელსა, ოდესცა მე ფეხის ტკივილით ავათ ვიყავ, მას დროს, ერთ საღამო ჟამზე, კარზე იყო ჩემი ძმა ვახტანგ, ის კი არ ვიცი, სადა, და ოდესცა შინა მოვიდა, და ჩემ სიახლოვეს დაჯდა, და მითხრა ბარონესა თავის შვილებით წასულა მისაგებებლათ ბარონთანაო,¹ მასკვან მიუბრუნდი მე, და უთხარ: ძმაო, ერთი რამ განძრახვა მაქვს მეთქი. – მითხრა: რაო. ესამეთქი, რომ მინდა ჩემს ამხანაგებსა ურჩიომეთქი, რომ ბარონი ოდესცა მოვიდეს, მივიდეთ ყველანი და ბოდიში მოვიხადოთ, რომ დიდათ შემცდარივართ, და მინდა დაუმტკიცო ლაპარაკით, რომ ჩვენ ცუდს საქმეს ვშვრებით, და ბარონი დიახ კარგი კაცი არისმეთქი, იტვირთებს, რომ ხელმწიფე იმპერატორთან შუა შემოვიდეს, და ხელმწიფე მადლობასაც გვიბძანებს გულის სინმინდისთვის მეთქი, და ეს ძალიან კარგი იქნებამეთქი, მაგრამ ჩემი ამხანაგებისთვის სწორე კი ველარა მითქომსრა, იმნამს ყელში მამწვებთან და იგინებთან მეთქი. – მასკვან ჩემა ძმამ ვახტანგმა მითხრა: ძმაო, მე დიდი ხანია ვგრძნობ, მაგრამ ვერავისთვის ვერა მითქომსრაო. – მერე მითხრა: რად გინდა შენნი ამხანაგებო, მოდი, როდისაც ბარონი მოვიდეს, მივიდეთ მე, და შენაო, და ყოველი განუცხადოთ ჩვენი განძრახვაო. – მასკვან მე უთხარ: აბა, ძმაო, კარგათ იფიქრე, როგორ იქნება მეთქი, ამა საქმეში რამთენნი ჩვენი ნათესავნი, კეთილისმყოფები, და მეგობრები ურევიან, ხომ სულ უნდა დაიღუპნენ, და საუკუნოთ ჩემი **სული** უნდა იტანჯებოდესმეთქი. – მასკვან მითხრა: შენი ნება არისო. შემდეგ მე უთხარ: რა ვქნა, ძმაო, დიდ ფიქრებში ვარ, და არ ვიცი, რა უნდა ვქნა მეთქი. ამაზე აღარა მითხრარა, და დავჩუმდით. – ამისთვის მაქვს პატივი, რათა კომისიასა შინა მოვახსენო ზემო ხსენებული გარემობა, უკეთუ მოხსენებული არა მქონდეს ამის წინათ.

წელსა 1833-ს. – ივლისის 14-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

¹ [გრიგოლ] როზენის დაღესტნიდან დაბრუნება იგულისხმება. **გ. გოზალიშვილის** შენიშვნა.

130. ჩვენება 1833 წლის 14 ივლისისა (III)

კომისიასა შინა!

თუმცა კომისიასა შინა მიჩვენებია ფურცელსა ზედა 216-ს¹ პოდპოლკოვნიკის, თავადის ასლან ორბელიანოვისა, გარნა იგი ჩვენება შეცთომით არს. ამისთვის ეხლა მოვიგონე, და მოვახსენებ კომისიას ჭეშმარიტად, ვითარცა იყო: წარსრულს 1831-ს წელსა, ერთს დროს, მეიდანზე შემხვდა იგი პოდპოლკოვნიკი თავადი ასლან ორბელიანოვი. დავდეგით, და ჩვენ ორბელიანოვთ გაყრასა ზედა ლაპარაკი დავიწყევით, და ამ ლაპარაკსა შორის უთხარ მე: რუსები რომ აქედგან წავიდნენ, არ გინდა მეთქი? ამასა ზედა სრულებით პასუხი არა რაი არა მამცარა,² და კიდევ ორბელიანოვთ გაყრასა ზედა ლაპარაკი დამინყო მან, ასლანმა.

წელსა 1833-ს. ივლისის 14-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

131. ჩვენება 1833 წლის 17 ივლისისა

პორუჩიკი გიორგი ერისთოვი უჩვენებს (ფ. 78),¹ რომ ერთხელ, საღამოს, გენვიათ ჩელოყაევი, შემდეგ ამოვიდა დიმიტრი ერისთოვი, რომელმაც თქვა: თუ დამთავრება გინდათ, დავამთავროთ და ამაზე კიდევ ფიქრს შევეშვათო. იქვე იმყოფებოდა ვახტანგ ორბელიანოვიც. – განმარტეთ სიმართლით გიორგი ერისთოვის ეს ჩვენება.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

მე ესე ხსენებული გარემოება სრულებით არ მახსოვს.

წელსა 1833-ს. ივლისის 17-ს.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

132. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (I)

დიმიტრი ერისთოვი უჩვენებს (ფ. 4366), რომ იგი ამტკიცებდა, გენერალ-მაიორი მუხრანსკი უნდა მოვკლათო, მაგრამ, როცა თქვენ წინააღმდეგობა გაუწიეთ, იგი დათანხმდა: დაპატიმრება ვაკეპროთ, თუ ჩვენს განზრახულებაში მონაწილეობას არ მიიღებსო.¹ – განმარტეთ, სწორია თუ არა დიმიტრი ერისთოვის ეს ჩვენება?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

ვითარცა მე მახსოვს, ესრეთ იყო, რომელ ამისთვის ჰკლამდნენ დენერალ მაიორს, თავადს მუხრანსკის, რომ რათ არის მთავრობის ერთგულიო,² ამაზე მეტი სხვა მიზეზი არა რაი ყოფილ არს, და არცა სხვა ლაპარაკი ყოფილარა ამის მეტი.

წელსა 1833-ს. ივლისის 19-ს.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

თუმცა თავადი დიმიტრი ერისთოვი ჰკლამდა მუხრანსკის, და ჩემი წინა აღმდეგობით დაუტევა ესრეთი განძრახვა, გარნა სხვა მის, მუხრანსკის, ჩასმისა სრულებით არა ყოფილარა ჩვენსა შორის ლაპარაკი.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

133. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (II)

1. განმარტეთ, იყო თუ არა დიმიტრი ერისთოვი თავის ძმასთან, ელიზბართან, ერთად თქვენს ბაღში 1832 წლის მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში თქვენ მიერვე გამართულ სადილზე?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

ვითარცა მახსოვს, მგონია არ იყო, ამისთვის, რომ ავათ იყო, და ვერ წამოვიდა.

წელსა 1833-ს. ივლისის 19-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

2. მასწავლებელი ყიფიანოვი უჩვენებს, რომ ერთხელ ხსენებულ ბაღში მივიდა თქვენთან, თქვენს ძმასთან – ვახტანგ-

თან, აგრეთვე, ავთანდილოვთან ერთად და იქ დიმიტრი ერის-
თოვი წინადადებას გადალევდათ, რომ, თუკი განზრახულებას
არ დაეთანხმებოდნენ, დაგეხოცათ გენერალ-მაიორი, თავადი
ბაგრატიონ-მუხრანსკი და სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი.¹ –
გამმარტეთ, როგორ იყო ეს ამბავი?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

მე ესე ხსენებული გარემოება სრულებით არ მახსოვს.

წელსა 1833-ს. ივლისის 19-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

134. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (III)

1. 1832 წლის ოქტომბრის დასაწყისში თქვენ თქვენს ძმას-
თან – ვახტანგთან, აგრეთვე, ელიზბარ და პორუჩიკ გიორგი
ერისთოვებთან ერთად იმყოფებოდით იასე ფალავანდოვთან. –
ხომ არ გაიხსენებთ, ვინ ვთავაზობდათ ბალის მონყობას, სადაც
უფროსობა უნდა ამოგენყვიტათ და, ამასთანავე, ვინ იძლეოდა
წინადადებას, თავს დასხმოდით ცისეს, ყაზარმებსა და სხვა ადგ-
ილებს?¹

2. იასე ფალავანდოვთან გამართულ ვახშამზე თქვენ ვახტანგ
ორბელიანთან, ელიზბარ, დიმიტრი და პორუჩიკ გიორგი ერის-
თოვებთან, მასწავლებლებთან: ავთანდილოვსა და ყიფიანთან
ერთად იყავით. აქ გვემავდით, თუ როგორ დასხმოდით თავს
ციხეს, არსენალსა და სხვა ადგილებს. – ხომ არ გაიხსენებთ,
ვინ ამბობდა ამ სიტყვებს: „ვინაიდან ყველანი მეგობრები ვართ,
ვილაპარაკოთ გულახდილად. ისტორია გვიმტკიცებს, რომ დაყ-
ოვნებას ყოველთვის ჩაუშლია საქმე. ყველას გთხოვთ, გამოთქ-
ვით თქვენ-თქვენი აზრი შემდგომი მოქმედებებისა და საშუალე-
ბების შესახებ“² და ვინ შემოგთავაზათ იქვე, რომ აჯანყების
დანწყებისას მაშინათვე თბილისელი ხელოსნები, ლოთები და
მანანნალები გამოგეყვანათ?

3. როცა თქვენ ვახტანგ ორბელიანთან, ელიზბარ, დიმიტრი
და პორუჩიკ გიორგი ერისთოვებთან, აგრეთვე, კაპიტან ჩელოყ-
აევთან და იასე ფალავანდოვთან ერთად ერთ-ერთ შეხვედრაზე

იმყოფებოდით, ხომ არ გახსენდებათ, ვინა თქვა: „ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა მოქმედებისთვის, რადგან გუბერნატორი ქართლშია წასული, ხოლო მის სახლში, სარდაფში, ინახება ფული“ და იქ მყოფთაგან ვინ ვთავაზობდათ საკუთარ ფულს?»

სამივე პუნქტში ნახსენები გარემოებები განმარტეთ სრული გულახდილობით.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

1-ი. ესე ხსენებულ გარემოება ჩემთან სრულებით არა ყოფილა.

თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

2-ე. ეგრეთვე ესე ხსენებული გარემოება ჩემთან არა ყოფილ არს.

თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

3-ე. და აგრეთვე ესე ხსენებული გარემოება ჩემთან არა ყოფილ არს.

წელსა 1833-ს. ივლისის 19-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

135. ჩვენი 1833 წლის 19 ივლისისა (IV)

თქვენ უჩვენებთ, რომ ერთხელ იასე ფალავანდოვმა გისაყვედურათ და გაჯავრებით ვითხრათ: „არა გრცხვენიათ, მე 200 კაცი მყავს მზად და თქვენ კი – არც ერთიო“! – განმარტეთ, როცა ფალავანდოვი ამ სიტყვებს ამბობდა, თქვენს გარდა კიდევ ვინ იყო იქ?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

ამ დროს იყვნენ იქა, ვითარცა მასხომს, ორნი ძმანი: თავადნი ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვნი.

წელსა 1833-სა. ივლისის 19-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

136. ჩვენება 1833 წლის 21 ივლისისა (I)

პრაპორშჩიკი, თავადი დიმიტრი ერისთოვი უჩვენებს,¹ რომ ერთხელ, 1832 წლის დაახლოებით ნოემბრის შუა რიცხვებში, დილით, იგი მარტო იყო თქვენთან და სხვადასხვა ამბებზე საუბრობდით. უცებ თქვენ მას დაჟინებით მიაჩერდით, შემდეგ კი სიცილი დაიწყეთ და უთხარი: „მისმინე, განა ეს სასაცილო არ არის? წინა შეხვედრებზე რას აღარ ვლაპარაკობდით და ახლა კი რას ამბობ?“. იმან კი გიპასუხათ: „კმარა! ამაზე ფიქრიც კი აღარ მინდა, ჩვენ ხომ უარი ვთქვით განზრახულებაზე და რატომ უნდა გავიხსენოთ იგი?“ – განმარტეთ, მართალია თუ არა ეს ყოველივე?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

ვითარცა მახსოვს ესრეთ იყო. – მართალია, რომ იმ ერთ დროს ჩემთან მოვიდა, მაგრამ ღამე იყო, და ჩემ სიახლოვეს დაჯდა იგი თავადი ერისთოვი, და სრულებით ხმა არ გამცა. მასკვან მე სიცილი დავიწყე და ბევრი ვიციინე. მასკვან მითხრა, რას იცინიო. შემდეგ უთხარ: ამ ჩვენ საქმესა ზედა მეთქი. მითხრა: რაღას იცინი ძმაოვო, მე სრულებით ხელი ავიღეო. მასკვან მე უთხარ: მართლა მეთქი. შემამფიცა: ღმერთს ვფიცავ, სრულებით თავი დავანებე და აღარას დროს აღარ ვიფიქრებო. მასკვან მე უთხარ: ღმერთმა გიშველოს, დიახ კეთილად გიფიქრია მეთქი. –

წელსა 1833-ს. ივლისის 21-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

137. ჩვენება 1833 წლის 21 ივლისისა (II)

კომისიასა შინა!

რომელიც ჩემ მიერ კომისიასა შინა წარმოდგენილი იყო მონმად, თავადი თეიმურაზ ამილახვაროვი საქმესა ზედა იასე ფალავანდოვისა, მას ზედა, რომელ იასემ მას თეიმურაზთანა თქო მეთქი წარსრულს 1831-სა წელსა ესრეთ, რომ რვა ათასი თუმანი მაქვს, და როდესაც აღრეულება მომზადდება, მაშინ მას გავიტან და ხალხს მივცემ, ვითარცა კომისიასა შინა მიჩვენებია მის სიტყვით.¹ – და ახლა მან, თეიმურაზ ამილახვაროვმა, ოჩნის სტავკასა შინა მითხრა მე კომისიასა შინა, რომ, თუმცა მე და

თქვენ ხშირად ვიმყოფებოდით ერთათ იასე ფალავანდოვთანაო, მაგრამ არამც თუ ამ გვარი ლაპარაკი ყოფილიყოს იასე ფალავანდოვთანაო, არამედ ამ განძრახვასა ზედა სრულებით იასეს და თქვენ ჩემთან არა რაი არას ლაპარაკობდითო. – და იასე ფალავანდოვმა ოჩნის სტავკასა შინა მითხრა მე: წარსრულს 1831-სა წელსა² მხოლოდ აგვისტოს თვეს შემოკლების დროთი, ესე იგი ორკვირასა შორის, ისიც რაოდენჯერმე იყო ჩემთან სოვეტნიკი თავადი ორბელიანოვიო, რომელიცა ჯერ აქ გამოდის ამითი არეულობითი ლაპარაკი, და ამისათვის აი ვითარი დიდი ეჭვი ძვეს ამათსა შორის: *პირველი*. თავადი ამილახვაროვი ამბობს, რომ ხშირათ ვიყავით მე და თქვენ იასესთანაო, – და *მეორე*. იასე ამბობს მხოლოდ ორს კვირას, და ისიც რაოდენჯერმე იყავ ჩემთანაო, ესე იგი მე. – და კვლავად კომისიას მოვახსენებ, *პირველი*, იგი ამილახვაროვი მის იასეს სიძე არს,³ და დიდი მეგობრები, და *მეორე*, კომისისათვის ხომ ცნობილი არს, რომ ამ ჩვენს განძრახვასა ზედა, წარსრულს 1831-სა, ჩემთან შერთება ჰქონია თავადს თეიმურაზ ამილახვაროვს, და ეგრეთვე მას იასე ფალავანდოვს. – და აბა ვითარი დასაჯერებელი არს მის ამილახვაროვისაგან, რომ მე და იგი ამილახვაროვი ხშირად ვიმყოფებოდით იასე ფალავანდოვთან და რალათ დაუმალავდით ამ ჩვენ განძრახვასა ერთმანეთს, რომელნიცა სამნივ მეგობრები ხშირად ვიმყოფებოდით ერთათ, და სამთავ ვიცოდით ესრეთი განძრახვა. – და ამისთვის აქ რაოდენიმე ნივთი არს, რომელთაცა მოვახსენებ კომისიას შემდეგათა, *პირველი*, – მე ხომ საქმით დამიმტკიცებია, რომ იგი იასე ფალავანდოვი ჩემი დიახ დიდი მტერი არს,⁴ და იგი თავადი ამილახვაროვი მის იასეს სიძე, და დიდი მეგობარი არს, და იქნება, რომ ადრიდგანვე მოლაპარაკებული იყვნენ ისე სიძე ცოლის ძმა, რათა მე, სანყალი, მამკლან ერთმანეთის სიცრუვის მოწმობითა. – და კვლავად იქნება, რომ ან იგი თეიმურაზ, და იასე ერთს ოთახში იმყოფებოდნენ, და ან იქნება, რომ ადრიდგანვე ერთს ოთახში იყვნენ ჰყრობილად, და მაშინ განძრახნენ პირობითა ესრეთითა, ვითარცა ზემორე მოვახსენე კომისიას, თორემ რა დასაჯერებელი არს, რომ სამნი ერთის აზრის განძრახველნი მეგობრები ხშირად იყვნენ ერთათ, და კვლავად უმალავდნენ ერთმანეთს თვისსა აზრსა. აბა ვითარი საფიქრებელი არს ესრეთი, და ამისთვის ვედრებითა, და უმდაბლესადა ვთხოვ კომისიას, რათა დაწვლილებასა შინა შევიდეს ზემორე ხსენებულს გარემოებასა შინა, რომ, უკეთუ ერთათ იყვნენ ჰყ-

რობილად ადრიდგანვე, და ანუ ეხლა იგი ხსენებულნი პირნი, რათა მაშინ შევიდეს კომისია განმშინჯველობასა შინა, რომელ ჩემი ჩვენება მათ პირსა ზედა ჭეშმარიტი არს, და ანუ არა? და კვლავად კომისიას უმდაბლესად ვევედრები: იასე ფალავანდოვი რომ ამბობს, მხოლოდ **ორ** კვირას, წარსრულს 1831-სა წელსა, აგვისტოს თვეში, ჩემს თვისთან სიარულს, და თავადი თეიმურაზ ამილახვაროვი რომ ამბობს, მე და თვისს იასესთან ხშირად ყოფნას, ამისთვის, უკეთუ შეიძლებოდეს, კომისიამ ჰკითხოს თავადს თეიმურაზ ამილახვაროვს, რათა სულ იმრგვლივ რაოდენს დროს იტყვის იგი ამილახვაროვი ჩვენს ერთათ სიარულს იასესთან, და მაშინ გამოჩნდება, ვითარ არეულნი არიან იასე და იგი ამილახვაროვი. მას 1831-სა წელსა, როდისაც იასესთან დავდიოდით ერთათ, და შემდეგ ქართლში წავიდა, იქ რაოდენიმე დრო დაჰყო, მასკვან ჩამოვიდა, და კიდევ ერთათ დავდიოდით იასესთან. – და კვლავად აი რა მახსომს, რომ წარსრულს 1831-სა წელსა, აგვისტოს თვეში, ოტპუსკში ვიყავ ჩემ სოფელსა შინა⁵ ოცდარვის დღით დათხოვნილი, და **ორი** კვირა კიდევ მეტი განვატარე ჩემს სოფელსა შინა ავანტყოფობით, და უკეთუ ნებავს, მოიკითხოს ისპოლიტელნი ექსპედიციასა შინა ჟურნალთა შორის ესრეთი, და მაშინ აღმოჩნდება იასე ფალავანდოვის სიმართლე, რომ მე მას აგვისტოს თვესა ქალაქსა შინა არა ვყოფილვარ. –

ამასთან დაუმატებ, რომ წარსრულს 1830-სა წელსა, ჩემ ბაღში რომ სტუმრები ჰყვანდა იასე ფალავანდოვს, და ამთვის 21-სა დღესა, იასე ფალავანდოვმა ოჩნისტავკასა შინა მითხრა, რომ ოდესცა იმ საღამოზე ჩემთან რომ მოხველ, იქ სხვა მრავალნი ხალხნიც იყვნენო. – და მე ამასა ზედა მოწმად სვიმონა მებაღე რომ დაუნერე, რათა იმას ეკითხოს, თუ იქ სხვა ხალხი ყოფილიყოს სტუმრების მეტი მეთქი. – ამისთვის დამავინწყდა სხვა, უკეთუ შეიძლებოდეს ერევანსკის კარაბინერის პოლკის შტაბს კაპიტან ონიკოვს,⁶ და მის, იასეს, სტუმრებს ეკითხოს, თუ იქ სტუმრების მეტი სხვა ყოფილიყოს ვინმე, ამისთვის, რომ იმ დროს იგი ონიკოვიც იქ იყო ჩემთან ერთათ. – და ყმანვილი იგი თავადი ასლან თარხანოვი, რომ მოვიდა ჩემთან, და ბაღი რომ მთხოვა იასე ფალავანდოვის მაგიერათა, მგონია, იასეს ზაპისკა მაიტანა მან ასლანმა, რომ თვით იგი იასე ზაპისკითა მთხოვდა ბაღსა.

წელსა 1833-სა. ივლისის 21-სა დღესა.

გადამდგარი პოდპორუჩიკი თ-ა
ალექსანდრე ორბელიანოვი

138. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (I)

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად.¹ – ვითარცა მახსომს, ესრეთ იყო: ერთ საღამო ჟამზე იასესთან ვიყავ, და მაშინ იასე ფალავანდოვმა თქო, რომ *ორასი* კაცი მზათა მყავსო, როგორც მახსომს. ამ დროს იქ იყვნენ თავადნი: ელიზბარ, და ამისი ძმა დიმიტრი, ერისთოვნი. და მაშინ მე წამოველ შინა, მოლა ზამანა ჩამოსულიყო თვისსა საკუთარს საქმესა ზედა, რომელთანაც სახლის სადაო საქმე ჰქონდა ყურბანასთან, და მაშინ მე უთხარ ლაპარაკსა შორის: მოლა ზამან, არ შეგიძლიან-მეთქი, რომ რაოდენიმე კაცი იშოვნო მეთქი. მითხრა: რატომო. – რომელიც *სიაც* დამანერინა. არ ვიცი, 15-ი კაცის სია იყო თუ 20-ის კაცისა, მაგრამკი არ უთხარ, რომლის საჭიროებისათვის, და არც მან, მოლა ზამანამ, მითხრა რაისათვის, და იქნება, რადგანაც მან, ზამანამ, იცოდა განძრახვანი ჩვენნი, რომელ არს აქ, საზოგადო, რათა მათ სურთ საქართველოს განთავისუფლება, და მაშინ იფიქრა მან, რომ უთოთ აღრეულობისათვის სურთ ეს კაცნი, და შემდეგ მის *სიის* დაწერისა, რამეთნსამე დღეს უკან ჩამოვიდა, და მითხრა: სამი კაცი მოვიყვანეო.² მასკვან უთხარ: კარგი, საჭირო აღარ არის მეთქი. – და ახლა მას, ზამანას, უჩვენებია, ვითომც, მე მეთქოს, რომ ბუნტისათვის მითხრაო, თავის თვისის სიმართლისათვის, თორემ არაოდეს არ მითქომს მე იმისთვის ესრეთი.

წელსა 1833-ს. ივლისის 24-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

139. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (II)

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად.¹ – წარსრულს 1831-სა წელსა, ზაფხულის ერთს საღამო ჟამზე, გარეთუბნისაკენ სასეიროთ ვიყავ, და შემდეგ სოლომან დოდაევის სანახავათ მიველ. ოდესცა მის სახლსა შინა შეველ, იქ ოსმალოს პოსლანიკი დამხვდა.² – მცირეს ხანს უკან თავადი ელიზბარ ერისთოვი, და ჩემი ძმა ვახტანგ, ესენიც მოვიდნენ დოდაევის სანახავად. – რომელიც ამ ჩვენსა განძრახვასა ზედა, არამც თუ გველაპარაკოს რაიმე, არამედ მაშინ არცკი ვფიქრობდით ეს-

რეთსა, მხოლოდ ამის მეტს, რომ ჩაის ვსომდით, მურაბას ვჭამ-
დით, და მე ქართულს სიმღერებს ფორტუფიანზე უკრევდი.

ნელსა 1833-ს. ივლისის 24-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

140. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (III)

მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს (ფ. 1110 და 1613),¹ რომ 1831 წელს მან თქვენგან გაიგონა: „გენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ შეთქმულების შესახებ იცის, სურს, თუმცა მიაჩნია, რომ აღსრულების დრო ჯერ არ დამდგარა“. – განმარტეთ, თქვით თუ არა ეს დოდაევთან და რას ეყრდნობოდა თქვენი დასკვნა, რომ ჭავჭავაძე თანახმა იყო?

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ ესრე ხსენებული გარემოება სრულებით არ მახსოვს.

ნელსა 1833-ს. ივლისის 24-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

141. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (IV)

ერთ-ერთი ჩვენებიდან (ფ. 4158) ჩანს,¹ რომ იასე ფალავანდოვს ეუბნებოდით – როცა აქ თავადი ალექსანდრე ჩელოყაევი იყო ჩამოსული, პოროტგანმზრახველთა საზოგადოების ჩამოყალიბებას მირჩევდნენო. – განმარტეთ, რა სახით გირჩევდათ ამას ალექსანდრე ჩელოყაევი?

პოლკოვნიკი ოზეროცკოვსკი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ სრულებით არ მითქომს მე იასე ფალავანდოვისათვის ესრეთი გარემოება, და შამიძლიან უწოდო, რათა ტყუილი მოგონება არს ესრეთი.

ნელსა 1833-სა. ივლისის 24-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

142. ჩვენი 1833 წლის 24 ივლისისა (V)

არაერთ ჩვენებაში ნათქვამია, რომ იასე ფალავანდოვის მიერ შეთხზული ამბოხების პირველი ღამის განკარგულება მანვე ნაგეკითხათ¹ დაწერიდან 12 დღისა თუ ორი კვირის შემდეგ. მანამდე კი თქვენ ნაგეჩხუბათ იმის გამო, რომ განკარგულება აქამდე არ გქონდათ ნაკითხული.² – განმარტეთ, ვინ ესწრებოდა, როცა ფალავანდოვი გეჩხუბათ იმის გამო, რომ დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში თქვენ ვერ მოახერხეთ ნაგეკითხათ მის მიერ შეთხზული ბუნტის პირველი ღამის განკარგულება?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ოდესცა იასე ფალავანდოვი მე მეჩხუბებოდა, რომ ერთი კვირა არის, რაც დაწერილი გვაქვს რასპარაჟენია, და შენ მარტო არ იციო, იმ დროს იქ იყვნენ კაპიტანი თავადი ზაქარია ჩოლაყოვი, თავადნი ელიზბარ, ამისი ძმა დიმიტრი, და ჩემი მეორე ძმა გიორგი ერისთოვები, და ეგრეთვე ჩემი ძმა ვახტანგ.

წელსა 1833. ივლისის 24-ს.

ზოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

143. ჩვენი 1833 წლის 26 ივლისისა (I)

კომისიასა შინა!

თუმცა კომისიასა შინა მიჩვენებია, ფურცელსა ზედა 1703-ს¹ თავადის ზურაბ ჭავჭავაძისა მონაწილედ ჩვენდა, და მოწმებიც წარვადგინე, გარნა მათ მოწმებთა მიერ არა დამტკიცებულ არს ესრეთ, და ახლა მეც ჭეშმარიტად მაგონდება, რომ შეცთომით არს იგი ჩვენება ჩემ მიერ მას პირსა ზედა, მაშინ, ოდესცა, რომ დიახ მცირედი მცნობი ვარ მას თავადს ზურაბ ჭავჭავაძესთან, და ახლა მაგონდება ჭეშმარიტად, ვითარ შეცთომით ვაჩვენე ესრეთ. – წარსრულს 1831-სა წელსა, ზაფხულს, მე, თ-ნი ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთოვნი, ერთს საღამო ჟამზე, ჩვენ ბაღში ვიყავით, და ამ ჩვენს განძრახვასა ზედა ვლაპარაკობდით, და ჩემს ჩვენებასა კომისიასა შინა, იგი თავადი ზურაბ ჭავჭავაძე წარმამიდგა, ვითომც ისიც იქ ყოფილიყოს, გარნა, ახლა ვხედავ

ჭეშმარიტად, რომ სრულებით შეცთომა არის ჩემ მიერ ჩვენება მას პირსა ზედა.

ნელსა 1833-ს. ივლისის 26-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

144. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა (II)

გასული 1832 წლის ოქტომბერში სხვებთან ერთად ერთ-ერთ თანამზრახველთან ჩაიზე იყავით მიწვეული. იქ მსჯელობდით განთავისუფლებისთვის საჭირო საშუალებებზე, რა დროსაც ერთ-ერთმა თანამზრახველმა თქვა: „მე უფროსი თავადიშვილების სახელით წერილს მივწერ ალექსანდრე ბატონიშვილს, რათა იგი მოვიდეს საქართველოში, ხოლო მეორე წერილს მივწერ ეგვიპტის ფაშას, რომ იგი დაგვეხმაროს ფულითა და ჯარით“. როცა ყველა იქ მყოფმა უპასუხა, რომ ხელწერის მიხედვით მიხვდებიანო, ფალავანდოვმა თქვა, რომ იცნობს რუსებისგან შეურაცხყოფილ ორ მღვდელს, რომლებიც ნაიღებენ წერილებს და ფიცით დაარწმუნებენ, რომ ეს წერილები უფროსი თავადიშვილების მიერ არის დაწერილი. ამასთანავე, ფალავანდოვმა ისიც თქვა, რომ თუ ვინმეს მიერ დაწერილი რამე ვნახე, ადვილად მივამსგავსებო და გაიხსენა, რომ ერთხელ ერთი თავადის სახელით ნაყალბევი წერილი მისწერა იმერელ ბატონიშვილს, დაპირდა აჯანყებაში დახმარებას და ეს წერილი მთავრობას წარუდგინა, რითაც ის თავადი ხათაბალაში გახვია.¹ – განმარტეთ გარკვევით და გულახდილად, თქვენი თანაგანმზრახველებიდან ვინ გთავაზობდათ შემოაღნიშნულ საშუალებებს და ვინ ამბობდა ხსენებულ სიტყვებს?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ ის კი აღარ მახსოვს, რომელი თვე იყო, და ესე ხსენებული გარემოება, იასე ფალავანდოვთან ვიყავით, როგორც მახსოვს, ჩაიზე, და თვით იასე ფალავანდოვმა თქო ესრეთი.²

ნელსა 1833-ს. ივლისის 26-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

145. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა (III)

განმარტეთ, გაიგონეთ თუ არა და, თუ გაიგონეთ – ვისგან, რომ გენერალ-მაიორ ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის გამოცხადებული იყო თქვენი განზრახულება, მან კი განზრახულება უარყო და განაცხადა, რომ რუსებისათვის სიკვდილს ამჯობინებს (ფ. 407).¹

გენერალ-მაიორი ჩეკინი

ესე ხსენებული გარემოება ჭეშმარიტი არს, მაგრამ კი აღარ მახსოვს, ვინა თქო, და ვგონებ, რომ ამ სამში ერთერთმა თქო ესრეთი, არკი ვიცი მაიორმა თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა, თავადმა ზაქარია ჩოლაყოვმა, და თუ თავადმა ელიზბარ ერისთოვმა.

წელსა 1833-ს. ივლისის 26 დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

146. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (I)

მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი უჩვენებს, რომ ერთხელ თქვენ, იასე ფალავანდოვი და ელიზბარ ერისთოვი მიხვედით მასთან. ფალავანდოვმა შემოგთავაზათ, მოქმედებების დასრულების შემდეგ დაგენესებინათ მეფე დავითისა და წმ. ნინოს ორდენები,¹ თქვენ კი მისი ეს განზრახვა მოინონეთ. – განმარტეთ გულახდილად, ასე იყო თუ არა ეს?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

ამ ხსენებულს ლაპარაკსა შორის მე სრულებით არა ვყოფილვარ.

წელსა 1833-სა. ივლისის 28-ს დღესა.

პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

147. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (II)

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა¹ მაქვს პატივი მოხსენებად. – ჩვენი ამხანაგთაგანი რომელიმე აჩვენებს: ნარსრულს, 1832-სა წელსა, ოდესცა ავად ვიყავ, და ერთს საღამოზე ჩემთან იყვნენ კაპიტანი თავადი ზაქარია ჩოლაყოვი, თავადნი ელიზბარ და გიორგი რევაზის ძე ერისთოვნი, იასე ფალავანდოვი, ჩემნი ორნი ძმანი დიმიტრი და ვახტანგ, და პრისუსტვია ამ ხსენებულ პირებთან ვითომც მეთქოს მე, რომ იმ ჩემ სახლში არ შეიძლება, და იასესთან დაწერეთ რასპარაჟენია მეთქი. – ჯერ აქვე გამოდის იმ მჩვენებელისაგან სიცრუევე, რომ ბევრჯველ შუალამე გადავიდოდა, რომ ჩემთან იყვნენ, და შევექცევოდით ხოლმე, და უკეთუ ესრეთი აზრი მეთქოს, მაშა სადღა ვიშოვიდით უკეთეს თავისუფალს ადგილს, ვითარცა ჩემთან. – ამისთვის უმდაბლესად მოვახსენებ კომისიას, რათა ამა ზემორე ხსენებულ გარემოებასა ზედა ნუ ჰკითხავს *პირველს* იასე ფალავანდოვს, ჩემის ძლიერის მტრობის გამო,² რომელიც კომისია ცნობილი არს ჩვენ ურთიერთსა მტრობას. – და *მეორეს* თავადს ელიზბარ ერისთოვს, ამისთვის, რომ იქნება მან, ელიზბარ ერისთოვმა, სადმე ილაპარაკა მის რასპარაჟენიის დაწერა, და რომელიმე ჩვენი ამხანაგთაგანი აჩვენებდეს მას ელიზბარსა ზედა ესრეთსა, და ახლა ჩემზედა თქოს თავის თავის სიმართლისათვის, რომ ვითომც მე მეთქოს ესრეთი, მაშინ, ოდესცა ადრევეცა სცოდნია ესრეთი მას ელიზბარსა, რომ მზგავს რასპარაჟენიის ლაპარაკსა შინა ყოფილან თვით იგი, თავადი ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთოვნი, ნარსრულს 1831-სა წელსა თ-დს მამუკა ორბელიანოვთან, რომელმაც პრისუსტვია კომისიას შინა გამამიცხადა ესრეთი თავადის გიორგი დავითის ძის ერისთოვისაგან ჩვენება? – ამისთვის უმდაბლესად ვთხოვ კომისიას, რათა ამა ხსენებულთა *ორთა* პირთა, ესე იგი, იასე ფალავანდოვს, და თავადს ელიზბარ ერისთოვს ნუ ჰკითხავს ჩემ მიერ დამტკიცებულის საბუთების ძალით, და სხვა ზემო ხსენებულ პირთ ჰკითხოოს კომისიამ, უკეთუ მზგავსი ლაპარაკი გაუგონიათ, ესე იგი, ჩემგნით. და ესეც უნდა მოვახსენო კომისიას: უკეთუ ერთი რაიმე ეჭვი არ იყოს მას ჩემ-

სა მჩვენებელსა ზედა ესრეთი, უთოთ ადრიდგანვე აჩვენებდა, გარნა სრულებით სიცრუე არს ესრეთი.

წელსა 1833-ს. ივლისის 28-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

148. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (III)

ტიტულარული მრჩეველი ბირთველ თუმანოვი უჩვენებს,¹ რომ მას განზრახულების შესახებ არაერთხელ ჰქონდა თქვენთან საუბარი. – განმარტეთ, რა იცით ამის შესახებ?

პოლკოვნიკი **ტრიტილევიჩი**

სრულებით მე ამა ხსენებულ პირთან ლაპარაკი არარაი არა მქონიარა ამ ჩვენსა განძრახვასა ზედა და არც არა ვიცი რა მისი.²

წელსა 1833. ივლისის 28-ს დღესა.

პოდპორუჩიკი, თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

149. ჩვენება 1833 წლის 2 აგვისტოსი

პორუჩიკი ნათალოვი უჩვენებს (ფ. 1977 და 1978), რომ 1831 წელს, როცა იგი თქვენს სახლში ცხოვრობდა, თქვენა და ელიზბარ ერისთოვი ცდილობდით, დაგეყოლიებინათ ნათალოვი, რომ მოესყიდა სასწავლო ბატალიონი, ხოლო თუ იგი ამას ვერ შეძლებდა, მაშინ რუსულად ჩაცმულ ქართველებს ჯარისკაცებისათვის ღამით იარაღი უნდა აეყარათ.¹ ნათალოვის თქმით, ამ საუბარს ესწრებოდა თქვენი ძმა ვახტანგ ორბელიანოვი. – აუხსენით კომისიას გარკვევით: ესწრებოდა თუ არა ზემოხსენებულ შემთხვევას თქვენი ძმა ვახტანგ ორბელიანოვი?

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი**

მე აღარ მახსოვს, ამა ხსენებულ გარემოების დროს ჩემი ძმა ვახტანგ იქ იყო თუ არა.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 2-ს დღეს.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

150. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (I)

1. მოლა ზამანა უჩვენებს, რომ, გარდა თათარ მაჰმადასი, აგრეთვე, თვითონ ზამანასი, თქვენ (ფ. 268) ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირი გქონდათ ერთი ნესტორიანელის მეშვეობით.¹ – განმარტეთ, სწორია თუ არა მოლა ზამანას ეს ჩვენება და რამდენჯერ და კონკრეტულად რა სახის კავშირი გქონდათ ალექსანდრე ბატონიშვილთან იმ ნესტორიანელის მეშვეობით?

– სრულებით მე ნესტორიანით შერთება არა რაი არა მქონიეს ბატონიშვილს ალექსანდრესთან, თვინიერ იმის მეტი, რომელიც კომისია ცნობილ არს.

თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

2. მოლა ზამანა უჩვენებს, რომ თქვენ საჩუქრებს აძლევდით თათარ მაჰმადას.

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

მე სრულებით არა რაი მიმიციარა მის მაჰმადასთვის.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 4-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

151. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (II)

ზოგიერთი ჩვენებიდან (ფ. 66 და 4640) ირკვევა,¹ რომ ელიზბარ ერისთოვის სახლში გამართულ შეხვედრაზე ერთმა თქვენმა თანამზრახველმა ღრმად ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი, რომ საქართველო დამცირებულია და რომ თურქები პატივს სცემენ ქართველებს. აქ კი კანტორის რომელიმე მოხელე ან ათისთავი ჩვენს თავადებს ისე ექცევა, როგორც ბატონი საკუთარ ყმებს და ხშირად სცემს კიდევაც. – განმარტეთ გარკვევით, ვინ ამბობდა ამ სიტყვებს და, ამასთანავე, აღწერეთ ამ შეხვედრასთან დაკავშირებული გარემოებები.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

ესე გარემოება ჩემთან არა ყოფილ არს.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 4-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

152. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (III)

1. როდის გაიცანით აქ ოქროპირ ბატონიშვილი: მისი აქ ჩამოსვლისთანავე, თუ რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ?

2. როდის დაგინყოთ მან, როგორც თქვენ აჩვენეთ, შთავონება შეთქმულების მონყობაზე: 1829 თუ 1830 წელს? და შემოდგომაზე თუ ზამთარში? ერთი სიტყვით, დაახლოებით რომელ თვეში?

3. სახელდობრ რომელ წელში და დაახლოებით რომელ თვეში დაგისახელათ ოქროპირ ბატონიშვილმა ელიზბარ ერისთოვი, როგორც ის ადამიანი, რომელსაც შეიძლება მიჰმართოთ შეთქმულების შესადგენად?

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

1. როგორც მახსოვს მგონია, **ორი** კვირა გავიდა რომ მაშინ გავიცან.

2. არ ვიცი, 1829 წელიწადი იყო, თუ, 1830-ი წელიწადი, – და არც ის მახსოვს, რა დრო იყო, – მახსოვს რომ შემდეგ გაცნობისა ანუ ორი და ანუ სამ კვირაზე.²

3. მაშინ ოდესცა, მე მასთან დავდიოდი, და არ მახსოვს რომელი წელიწადი იყო და არც ის მახსოვს რა თვე იყო, – ერთი სიტყვითა ვთქო, როცა მასთან დავდიოდი, მაშინ მითხრა.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 4-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**
და ელიზბარ მაშინ აქ იყო.³

153. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (IV)

მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს, რომ თქვენ და იასე ფალავანდოვმა მას თავადაზნაურობის წინამძღოლთან, დიმიტრი ორბელიანოვთან, მოლაპარაკება დაავალეთ.¹ – განმარტეთ გარკვევით: მართლაც მიეცით თუ არა ფალავანდოვთან ერთად დოდაევს ამგვარი დავალება?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

მე სრულებით არ მიტყომს დოდაევისათვის ესრეთი, და არც ის ვიცი, ვის უთქომს მისთვის.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 4-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

154. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (I)

პოდპორუჩიკი აბხაზოვი უჩვენებს, რომ ერთ-ერთ შეკრებაზე უფროსად აირჩიეთ იასე ფალავანდოვი, თუმცა მან ამაზე უარი განაცხადა.¹ – განმარტეთ სიმართლით, მართლაც აირჩიეთ უფროსად ფალავანდოვი და იგი არ დათანხმდა?

გენერალ-მაიორი ბაიკოვი

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს.

წელსა 1833-სა. აგვისტოს „9-სა“ დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

155. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (II)

იასე ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 4717),¹ რომ კაპიტან ჩელოყაევის, პორუჩიკ გიორგი და ბიძინა ერისთოვების თანდასწრებით 1832 წლის დეკემბერში ამბოხდით, რომ 1829 წელს მილიციის განწევასთან დაკავშირებული არეულობისას საკუთარი ჯაშუშები გყავდათ: თქვენივე ლეკი, დალაქი ივანე, აზნაური ქარუმიძე და სხვები, რომლებიც მდაბიო ხალხში ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს ახალგაზრდების სალდათად წაყვანას

აპირებენო. – განმარტეთ ამ საუბრის შინაარსი და ამ თემაზე სახელდობრ თქვენ რას ამბობდით?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

იასე ფალავანდოვის ჩვენებასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – წარსრულს მას 1829-სა წელსა, ოდესცა აღშფოთება იყო აქ ხალხსა შინა,² კინალამ მამკლეს მთავრობის ერთგულები-სათვის მათ მეშფოთეთ ავლაბარსა შინა, და უკეთუ ესრეთი გამძრახველი ვიყავ, მაშინ რალათ მივეცი სიცოცხლე ჩემი მათ მეშფოთეთ. – *მეორე*. მას 1829-სა წელსა მე სრულებით ვერცკი ვიცნობდი მას, ჩემ ნათლულს ლეკსა, და ეგრეთვე არა რომელ აზნაურს ქარუმიძეს ვერ ვიცნობ, და ვითარ ანუ საიდგან მიცემდი მე მათ დარიგებასა ესრეთსა. – ამისთვის შემიძლიან უწოდო იასეს ჩვენებასა, რათა არს მოგონებული, და ეგრეთვე ამა პირებთან ესრეთი ლაპარაკი სრულებით არა მილაპარაკნიარა.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 9-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

156. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (III)

თარჯიმანი მამაცოვი და მასწავლებელი დოდაევი უჩვენებენ (გვ. 404, 973 და 979), რომ ელიზბარ ერისთოვის მიერ სოლომონ რაზმაძის პატივსაცემად 1832 წელს გამართული სადილის შემდეგ თანამზრახველები თეკლა ბატონიშვილის ბაღში წავიდნენ და იქ რაზმაძეს მისცეს დავალება – მას განზრახულების სასარგებლოდ უნდა ემოქმედა და ამ საქმესთან დაკავშირებით იქ ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვედროდა.¹ – განმარტეთ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი და ვინ იყვნენ მონაწილეები, რომელთა შორის თქვენც იმყოფებოდით?

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

მე მაშინდელი ლაპარაკი სრულებით აღარ მახსოვს, და იმ დროსკი მგონია იქ იყვნენ შემდეგნი სოლომან დოდაევი, იოსებ მამაცოვი, თავადი ელიზბარ ერისთოვი, დიმიტრი ყიფიანოვი, თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი, მგონია ჩემი ძმა ვახტანგ და ზალ ავთანდილოვიც იქ იყვნენ, – და უკეთუ სურს

კომისიას, მათ პირთა ჰკითხოს, იქნება მაშინდელი ლაპარაკი მათ ახსომდეთ.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 9-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

157. ჩვენება 1833 წლის 11 აგვისტოსი

კომისიასა შინა!

წარსრულს 1831-სა წელსა ჩემის მეორე ძმის, თავადის თა-
დია ჩოლაყოვის სოფელს ყარაბულახს,¹ თავადს ივანე რუსიევს
უთხარ მე ლაპარაკსა შინა, სადილს უკან, მაშინ, ოდესცა რომ
მთვრალი იყო, შესაძლებელია, რომ საქართველო განთავისუფლ-
დეს რუსებისგანა მეთქი. – მაშინ მან რუსიევმა ხმა არ გამცა,
ვითარცა მახსომს, და იქნება აღარ ახსომდეს მაშინდელის დი-
დის სიმთვრალის გამო. იქნება ვერც გაიგონა ჩემი ლაპარაკი
სიმთვრალისა გამო.²

წელსა 1833-სა. აგვისტოს 11-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

158. ჩვენება 1833 წლის 12 აგვისტოსი

*მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს (174),¹ რომ ის, დოდაევი,
და თქვენ ელიზბარ ერისთოვის თანდასწრებით საუბრობდით
იმაზე, თუ რა ურთიერთობა გქონდათ განზრახულების თაობაზე
აქ მყოფ ოქროპირ ბატონიშვილთან. – განმარტეთ, როდის იყო
ეს: 1830 თუ 1831 წელს? გაიხსენეთ, რა დეტალებს იხსენებდით
ბატონიშვილის შეგონებებთან დაკავშირებით? თავის მხრივ, რა
გითხრათ თქვენ ამის შესახებ ელიზბარმა?*

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

სოლომან დოდაევის ჩვენებასა ზედა მაქვს პატივი, რათა
კომისიას მოვახსენო ესრეთ, რომელ შესაძლებელი არს, რომ ეს-
რეთ ყოფილიყოს, ვითარცა დოდაევს უჩვენებია, გარნა მე აღარ
მახსომს.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 12-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

159. ჩვენება 1833 წლის 14 აგვისტოს

თავადი თავია ჩელოყაევი უჩვენებს (ფ. 498): როცა იგი თქვენთან იყო და შეთქმულების სხვა მონაწილეებთან, თავად ერისთოვებთან, ერთად განზრახულების შესახებ გამოუცხადეთ, ისიც თქვით, თითქოს ბევრი წარჩინებული პირი გიჭერთ მხარს და ამ საქმის მონაწილეთა შორის გენერალ-მაიორი, თავადი სევარსამიძეც დაასახელეთ. – განმარტეთ, მართლაც თუ მონაწილეობდა თავადი სევარსამიძე მთავრობის სანინაალმდეგო შეთქმულებაში და რით დაამტკიცებთ ამას?¹

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი**

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომ არაოდეს არ მითქომს მე ესრეთი, და არა მართლიადი ჩვენება არს ხსენებულის თავადის ჩოლაყოვისაგან.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 14-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

160. ჩვენება 1833 წლის 16 აგვისტოს

შეკითხვაზე გიორგი ამილახვაროვის შესახებ, თქვენ უპასუხეთ,¹ რომ ელიზბარ ერისთოვისა და პრაპორშჩიკ გიორგი დავითის ძე ერისთოვის მიერ დიმიტრი ბატონიშვილისათვის გაგზავნილ წერილში ნახსენები იყო თავადი გიორგი ამილახვაროვი. გიორგი დავითის ძე ერისთოვმა ამასთან დაკავშირებით განმარტა² – იმ დროს, როცა გიორგი ერისთოვი თქვენს ბაღში დიმიტრი ბატონიშვილისადმი შავად დაწერილ წერილს ელიზბარ ერისთოვის თანდასწრებით გიკითხავდათ, მოვიდა გიორგი ამილახვაროვი და იკითხა, თუ რას კითხულობდით. თქვენ უპასუხეთ: წერილს დიმიტრი ბატონიშვილთანო. ამილახვაროვმა გთხოვათ, წერილში მისი მოკითხვაც ჩაგვეწერათ. ერისთოვისთვის უცნობია, ჩაწერეს თუ არა ეს მოკითხვა, რადგან ელიზბარმა წერილის შავი თან წაიღო გადასაწერად. – განმარტეთ, მართლაც ასე იყო ეს ყველაფერი?

გენერალ-მაიორი **ბაიკოვი I**

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – ეხლა ჭეშმარიტად მამაგონდა, რომ ჩემი იგი წარსრული ჩვენება შეცთომით იყო, და ვითარცა გიორგი დავითის ძე ერისთოვი აჩვენებს, სწორეთ ესრეთ იყო, მაგრამ მზათ დაწერილი წიგნიკი მაჩვენეს, და მაშინ თავადმა გიორგი ამილახვაროვმა გვთხოვა, ვინაიდან ჩემი მეორე ძმა არის დიმიტრი ბატოიშვილიო, ჩემაგიერ მოკითხვა მისწერეთო. შემდეგ ის შავათ დაწერილი წიგნი თავადმა ელიზბარ ერისთოვმა წაიღო, მერეთ აღარ ვიცი, მისწერა მოკითხვა მან ელიზბარმა თუ არა.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 16-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

161. ჩვენება 1833 წლის 17 აგვისტოსი

მე ჭეშმარიტად უნდა მოვახსენო კომისიას, არა ერთ გზის მჩვენებელმან შეცოდებანი ჩემნი! – წარსრულ 1831-სა წელსა მყოფი გუბერნატორი ზავილეისკი სთხოვდა ბატოიშვილს დედაჩემს სახლის ფათერს,¹ და ამის მწუხარებასა ზედა ძლიერ ავად გახდა, და მე მშობლიურმან სიყვარულმან დამაფიცებინა ესრეთ, რომ ოდეს ვიპოვი დროსა ზავილეისკის უმტრობ მეთქი, და ახლა ამისთვის მოუგონე მას ესრეთი, რათა გადმეხადა მაშინდელი დედი ჩემის შეწუხება, გარნა ახლა არცა ერთსა მინუტსა მოსვენებასა არა მაძლევს მე სინიდისი, და მტანჯავს ესრეთნი. ამისთვის მაქვს პატივი, რათა მოვახსენო კომისიას დანაშაული ჩემი. – კვლავად სხვა შეცთომილებანი მაგონდება, და ამისთვის ვთხოვ კომისიას, რათა პრისუსტვიასა შინა² მიყვანებულ ვიქმნა, და გამოვაცხადო შეცთომილებანი ჩემი, რომ საუკუნოდ სული ჩემი არ დაიტანჯოს.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 17-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

162. ჩვენება 1833 წლის 18 აპრილის

კომისიას შინა!

თუმცა კომისიასა შინა მიჩვენებია არა ერთ გზის ბატონიშვილს ოქროპირსა ზედა, ვითომც მას ჰქონიყოს ჩემთან შერთება ამა ჩვენსა ბოროტ განძრახვასა ზედა, გარნა არა მართლიად მიჩვენებია მას ზედა, და მიზეზი ესე იყო, რაისათვის ვაჩვენე. – ზოგიერთ ჩემთ ამხანაგთ ეჩვენებინათ ჩემზე უწყალოებითი არა მართლიადი ჩვენება, და მეც მაშინ ჩემის თავის დასაფარავად მოუგონე ოქროპირ ბატონიშვილს ესრეთი, ვითომც მიმელო რაიმე შემსუბუქება ჩემის მონაწილეობისა, ხოლო მაშინვე მსურდა, რათა გამამეცხადებინა კომისიასა შინა ჩემი შეცთომა, მაგრამ ვერ გავბედე ჩემი დამკრთალის ხასიათისა გამო. – შემდეგ რაოდენჯერმე მივიღე ვოპროსნის პუნქტი კომისიიდან მას ბატონიშვილს ზედა, და კვლავად მსურდა, რათა ყოველს ვოპროსნის პუნქტში გამამეცხადებინა შეცთომა ჩემი, მაგრამ ეგრეთვე ვერ გავბედე. – მერე პირისპირ ოჩნი სტავკასა შინა მიხდოდა, რათა აღმიარებინა ჩემი დანაშაული, მაგრამ შევკრთი სირცხვილისა გამო, და ველარ აღვიარე შეცთომა ჩემი. – შემდეგ ამისა, პრისუსტვიასა შინა ლენერლებმა გამამეცხადეს, რათა სწორეთ მეთქო, ხომ არ მოუგონე მას ოქროპირ ბატონიშვილს ესრეთი. კვლავად სირცხვილისა გამო შევკრთი და უარყყავ, გარნა ოდეს შემოვიქეც კომისიიდან შემიპყრა საშინელმა სინიდიშმა, მტანჯა, ვითარცა დანყლულული ადამიანი, და ასე მეგონა, ჩემს გულსა შინა რაღაც ცხოველი ზის, და შინაგანს მგლეჯს მეთქი, რომელიც დაუნყე თავსა ჩემსა გინება, და ვთქვი: შე გიჟო თავო ჩემო, ლენერლებმა გიბძანეს, რატო არ აღიარე შენი დანაშაული მეთქი. – რომელიც შემდეგ დავეცი და საშინელი მწარე ცრემლი ვაფრქვიე თვალთაგან, და შემდეგ ვერღა მივეც სულსა ჩემსა განსვენება, და მტანჯავს საშინლად სინიდიში, და კვლავად თავსა ჩემსა უთხარ ესრეთ: ისევ სჯობს, რათა დიდსა ხელმწიფე იმპერატორსა მართვი თავი შენი დამნაშავედ, და შენი დანაშაული აღიარე კომისიასა შინა, ქმნული მას ოქროპირ ბატონიშვილსა ზედა მეთქი, რომელიცა აღვასრულე და კომისიასა შინა აღვიარე ჩემი დანაშაული. – განა არ ვიცოდი, რომ დიახ ურიგო საქმე და შინა აღმდეგი იყო, მაგრამ რა მექნა, ჩემს თავს ვიცნობ, იქნება მწუხარებით მომკვდარვიყავ, და საუკუნოდ სული ჩემი დაიტანჯებოდა ცილის დანამებით. და ამისთვის მაქვს პა-

ტივი, რათა უმდაბლესად მოვახსენო კომისიას, და თავსა ჩემსა მოვიტან დიდ დამნაშავედ, და ვედრებით ვითხოვ ხელმწიფე იმპერატორის სახელსა ზედა, რათა მამეტეოს ესრეთი დანაშაული, აგრემც ღმერთი უცოცხლებს ხელმწიფეს კარგს შვილებს! – უკეთუ მე რიგის და კანონის მცოდნე ვიყო, ესრეთ არა მამიხდებოდა, მაგრამ რა ვქნა ჩემის უსწავლელობით მამდის ესრეთნი შეცთომილებანი.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 18-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

163. ჩვენება 1833 წლის 23 აპრისტოსი

სოლომონ დოდაევი უჩვენებს, რომ 1830 წლის ბოლოს თქვენ მას შესთავაზეთ, გამოეცა გაზეთი ამბოხისთვის საჭირო აღშფოთების დასათესად. – განმარტეთ ეს გარემოება.

პოდპოლკოვნიკი ოზერეცკოვსკი

სრულებით არა მართალი ჩვენება არს სოლომან დოდაევის-აგან და ფიქრათაც არ მამსვლია ესრეთი, არამც თუ მეთქოს!

წელსა 1833-სა. აგვისტოს 23-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

164. ჩვენება 1833 წლის 28 აპრისტოსი (I)

სოლომონ დოდაევი უჩვენებს (2413),¹ რომ ვარშავის ალექსანდრე ივანოვი თქვენ გეთათბირებოდათ და განზრახულებაზე უარის თქმას გირჩევდათ. – განმარტეთ ეს გარემოება.

პოდპოლკოვნიკი ოზერეცკოვსკი

სოლომან დოდაევის მიერ ჩვენება კომისიასა შინა ქეშმარიტი არს.

წელსა 1833-სა. აგვისტოს 28-ს დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

165. ჩვენება 1833 წლის 28 აგვისტოსი (II)

1. მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს (ფ. 985),¹ რომ, როცა იგი ელიზბარ ერისთოვს არწმუნებდა 1832 წელს ამბოხის დანაშაულის შეუძლებლობაში, ერისთოვი მასზე მეტისმეტად ბრაზობდა. მეორე შემთხვევაში კი, როცა მან ელიზბარს ისევ იგივე გაუმეორა და, თანაც, უარი განაცხადა კახეთში წასვლაზე, ელიზბარმა თქვენი და თქვენი ძმის, ვახტანგის, თანდასწრებით წარმოთქვა: ღმერთს ვფიცავ, შურს ვიძიებ და დოდაევს მოვკლავო.

2. დოდაევი ასევე უჩვენებს (ფ. 1894),² რომ, როცა თქვენ და ელიზბარ ერისთოვი მას აღმგზნები სიტყვების დანერას სთხოვდით და მან უარი განაცხადა, ელიზბარმა უთხრა: „როცა ხანჯლით მოგადგებით, მაშინაც უარს იტყვი? შენი საქმე წერაა“. – განმარტეთ გულახდილად და სიმართლით, როგორ მოხდა ეს ორი შემთხვევა?

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

1. მე ესე პირველი პუნქტის გარემოება სრულებით არ მახსოვს.

2. და მეორე პუნქტის კითხვასა ზედა მაქვს პატივი, რათა კომისიას მოვახსენო, რომელ არა მართლიადი ჩვენება არს სოლომან დოდაევისაგან. ესრეთი გარემოება სრულებით არა ყოფილ არს, და არცა ოდეს ჩვენ არ გვითქომს, რათა მას დოდაევს გამღვიძებელი **რეჩი** დაეწერა.³

წელსა 1833-სა. აგვისტოს 28-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

166. ჩვენება 1833 წლის 28 აპრილის (III)

1.

ავგისტოს 18-ს კომისიის სხდომაზე,¹ შემდეგ კი იმავე რიცხვში დაწერილ წერილობით განმარტებაში (4976) თქვენ განაცხადეთ, რომ ოქროპირ ბატონიშვილზე თქვენი ჩვენებები მართალი არ არის. – ამ ჩვენებათა არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბატონიშვილმა ჩაგაგონათ, რათა შეგედგინათ ბოროტგანმზრახველთა საზოგადოება, რომლის მიზანი იყო საქართველოს განთავისუფლება (ე. ი. მისი თვითარსებობის აღდგენა). – ბატონიშვილის მიმართ თქვენი ბრალდებანი დიდი ხნის განმავლობაში და მრავალჯერ გაქვთ განმეორებული და, ამდენად, არ შეიძლებოდა დაგვიწყობოდათ. ამიტომ კომისია, მიაჩნია რა მათი თქვენთვის შესხენება ზედმეტად, საჭიროდ თვლის მიგითითოთ ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებზე, რაზედაც უნდა მოგვცეთ დამაკმაყოფილებელი პასუხი, რომელსაც შეუძლიან დაადასტუროს, რომ თქვენი წინანდელი ჩვენებები ბატონიშვილზე მართლა ტყუილი იყო: პირველი დაწვრილებითი თქვენი ჩვენება ოქროპირ ბატონიშვილზე (1431-50, 242) დაწერილია თქვენს მიერ ნებაყოფლობით, ყოველგვარი იძულებისა და დაკითხვის გარეშეც კი, დეკემბრის 18-ს. იმ დროიდან მოკიდებული, ყოველთვის ადასტურებდით თქვენს ჩვენებებს რვა თვის განმავლობაში 18 ავგისტომდე. – თქვენ განავითარეთ და განმარტეთ იგი 17 სხვადასხვა ჩვენებაში (204, 218, 242-4, 440, 561, 878, 1040, 1071-3, 1445-6, 1877, 1921, 1984, 2675, 3540, 4816, 4916, 4931); – თქვენ დაადასტურეთ იგი თქვენი ამონაწერის ხელის მონერის დროს; – თქვენ გაიმეორეთ იგი და ოქროპირ ბატონიშვილის ორსაათიანი პირისპირ წაყენების დროს (4926).² – თქვენ დაადასტურეთ იგი (4931) პირისპირ წაყენების შემდეგაც, როდესაც კომისიამ მიიღო თქვენი უარყოფა ყოფილი გუბერნატორის ზავილეისკის მიმართ თქვენივე ჩვენებისა და მაშინ კომისიამ საჭიროდ მიიჩნია შეგკითხებოდათ, ოქროპირ ბატონიშვილზეც ასევე ყალბი ჩვენება ხომ არ გქონდათ მიცემული? – თქვენ **ღმერთი დაიფიცეთ**, რომ ოქროპირის მიმართ ყველა თქვენი ჩვენება მართალია და ბიძაშვილზე ტყუილს არ მოიგონებდით. – და ბოლოს ოქროპირ ბატონიშვილის მიმართ თქვენი ბრალდებები დაადასტურეთ კომისიაში წარმოდგენილ ხელმწიფე იმპერატორისადმი თქვენს მიერ დაწერილ თხოვნაში.³ – რამ გაიძულათ გამოგეგონათ ბატონიშ-

ვილის მიმართ ცრუ ცილისწამება, გემტკიცებინათ იგი ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში და დაჟინებით გაგემეორებინათ არა ერთხელ, მიუხედავად მრავალგზისი შეგონებისა და ამის შემდეგ კი უცებ უარყავით. – განმარტეთ ეს.

2.

ოქროპირ ბატონიშვილის მიმართ თქვენს მიერ წამოყენებული ბრალდების თქვენს მიერვე წამოყენებული უარყოფიდან (4964, 4976) გამომდინარეობს, რომ ოქროპირთან რაიმე დანაშაულებრივი ურთიერთობა არა გქონიათ. – ამის გამო განმარტეთ: მაშ როგორ ელაპარაკებოდით ასეთ ურთიერთობაზე ჯერ ისევ 1831 წელს დოდაევისა და ელიზბარს, რასაც ისინი შეთანხმებულად ადასტურებენ და თქვენც აღიარებთ?

3.

როგორ უარყოფდით ასეთ ურთიერთობას 1832 წელს ლუარსაბ ორბელიანოვსა და სოლომონ რაზმაძეზე, როგორც ისინი აჩვენებენ? (1708, 2316, 2872, 4974).

4.

როგორ შეგეძლოთ მიგენერნათ ბატონიშვილისთვის წერილი, რომელიც ტალიევს გაატანეთ და სიტყვიერადაც დაავალეთ ოქროპირისათვის სათქმელი, რასაც მონშობს არა მხოლოდ ერთი თქვენი წერილი, არამედ დოდაევის განმარტებაც და თვით წერილის შინაარსი? (1590, 1980, 1984).

5.

როგორ გატყობინებდნენ და მსჯელობდნენ თქვენთან ერთად ოქროპირ ბატონიშვილის მონაწილეობაზე შეთქმულებაში თქვენი თანაგანმზრახველნი, რაც ჩანს ჩვენებებიდან (499, 878, 880, 957, 1040, 3540) როგორც თქვენი ძმის ვახტანგისა, ისე კაპიტან ჩელოყაევისა, თავად თადია ჩელოყაევისა, მასწავლებელ ავთანდილოვისა და სხვათა?

6.

როგორც ამტკიცებენ (613, 1050, 5002, 5006, 645, 1296, 4992) თქვენი ძმა დიმიტრი და პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთავი, რომ ოქროპირ ბატონიშვილი (რომელიც ამას უარყოფს) უამბობდა მათ, რომ მან შთაგაგონათ შეთქმულება?

7.

დაბოლოს, კომისიის კითხვაზე, თუ ვინ მივაჩნიათ შეთქმულების მესვეურად და მთავარ წყაროდ? თქვენ უპასუხეთ (2675), რომ პირველი ოქროპირ ბატონიშვილი უნდა იყოს.

თქვენი განმარტება დაწერეთ, რაც შეიძლება გარკვევით და კითხვებზე ზუსტად გამოთქმული აზრით.

გენერალ-მაიორი ჩევიკინი

კომისიიდან მივიღე ვოპროსნის პუნქტინი, ბატონიშვილს ოქროპირსა ზედა, მას ზედა, რომ მე უარ ვყავ ჩემი ჩვენებაები ესრეთ, რომ ვითომც მას ბატონიშვილს ჩემთან შერთება არა ჰქონია ამ ჩვენს განძრახვასა ზედამეთქი, და ჩემი იგი წარსრული ჩვენებაები, სრულებით არა მართლიადი ჩვენებაები არსმეთქი, გარნა ახლა მე ჭეშმარიტად უნდა მოვახსენო კომისიას: ყოველი ჩემი ჩვენება კომისიასა შინა ბატონიშვილს ოქროპირსა ზედა სრულებით მართალი არს, და ტყუილათაც უარ ვყავ, მაგრამ მიზეზი ესე იყო უარის ყოფისა, მამაგონდა მისი სწეულებანი, და ვიფიქრე ესრეთ, ისევ მე დავილუპო ისა სჯობიამეთქი, და მას, ჩემს მეორეს ძმას,⁴ ჩემი მიზეზით დღე არ შეუმოკლდესმეთქი, გარნა ახლა ვხედავ კომისიის ვოპროსნის პუნქტებით, რომ იმგვრგლივ დამტკიცებულ არს, რომ ნამდვილად, რომ მას ბატონიშვილს ჩემთან შერთება ჰქონია ამ ჩვენს განძრახვასა ზედა, და ჩემგნით აღარ შეიძლება მის, ჩემის მეორის ძმის, ბატონიშვილ ოქროპირის, დაფარვა. – ამისთვის მაქვს პატივი, რათა მოვახსენო კომისიას, რომ ყოველი ჩემი ჩვენება მას ბატონიშვილზედ ამ ჩვენს განძრახვასა ზედა სრულებით მართალი არს.*

ნელსა 1833-სა. აგვისტოს 28-სა დღესა

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

* *ოქროპირ ბატონიშვილის შენიშვნა:* „ალექსანდრე ორბელიანოვის მიერ თავის ცილისწამებათა განახლების გამო, შევნიშნავ მხოლოდ, რომ ესოდენ უგუნურებათა, ამკარა წინააღმდეგობათა და გამოწინააღმდეგობათა, ჩემს წინააღმდეგ ჩვენებათა უსამართლობის ნებაყოფლობით აღიარების შემდეგ, მათი გადაჭრით უკუგდების შემდეგ, – მისი დაბეზლება და ყველაფერი, მასთან დაკავშირებული, ჰკარგავს ძალას, მე არაფერში მხილებული არა ვარ. – ქართველი ბატონიშვილი ოქროპირი“.

ალ. ორბელიანის ჩვენება კომისიას იმავე 28 აგვისტოს წარუდგენია ოქროპირ ბატონიშვილისათვის, რაზედაც მას ეს შენიშვნა დაუწერია.

გ. გოზალიშვილის შენიშვნა (გოზალიშვილი 1976: 394).

167. ჩვენება 1833 წლის 30 აგვისტოსი

თქვენი ძმა დიმიტრი ამტკიცებს, რომ ერთხელ თქვენს სახლში ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვები ამბობდნენ, ბუნტისთვის 500 კაცი გვყავს გამზადებულიო¹ და, როგორც მას ახსოვს, ამ დროს იქ იყავით თქვენ, თქვენი ძმა ვახტანგი და პორუჩიკი გიორგი ერისთოვი. – განმარტეთ, რომელ გამზადებულ კაცებზე ლაპარაკობდა ელიზბარი, საერთოდ, რა არის ცნობილი თქვენთვის იმ ადამიანებზე და, განსაკუთრებით, პოლონელებზე, რომლებსაც იგი ამბობებისთვის ამზადებდა?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს, და არც ის ვიცი, რომ მათ ხსენებულთ ერისთოვებს მოემზადებინოთ კაცი ბუნტისათვის. – და ეგრეთვე პოლიაკებისა სრულებით არა ვიცირა.

–

წელსა 1833-სა. აგვისტოს 30-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

168. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (I)

ზოგიერთი თანამზრახველი უჩვენებს, რომ 1832 წლის ნოემბრის დასაწყისში თქვენს სახლში მოწყობილ შეკრებაზე ელიზბარ ერისთოვმა წარმოადგინა აჯანყების წარმატებისთვის საჭირო ნაირგვარი ღონისძიებანი და დასძინა: „ნუთუ ამის შემდეგაც არ დაგვთანხმდებიან? გარწმუნებთ, პირველსავე მოწინააღმდეგეს ხანჯალს გავუყრი გულში!“ – განმარტეთ, მართლაც წარმოთქვა ელიზბარ ერისთოვმა ეს სიტყვები?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ მე სრულებით არ გამიგონია მის თავადის ელიზბარ ერისთოვისაგან ესრეთნი სიტყვანი.¹

წელსა 1833-სა. სექტემბრის 1-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

169. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (II)

მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს, რომ 1832 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში თქვენ მისი თანდასწრებით ფალავანდოვს უთხარით: „ჩვენ დავილუპებით, რადგან ალექსანდრე ბატონიშვილთან ჩემი მიმონერა ხელში ჩაუვარდათ ბორჩალოს დისტანციაში. მეშინია, გენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ არ გასცეს ჩვენი შეთქმულება!“ ამაზე ფალავანდოვის პასუხი იყო: „ვფიქრობ, ჭავჭავაძემ უკვე გაგვცა. იგი ჩემს ძმასთან იყო, ორი საათი შეკეტილში ისტდნენ და, მგონია, რომ ამაზე ლაპარაკობდნენ“.¹ – განმარტეთ, სწორია თუ არა ეს ყველაფერი. მართლაც ილაპარაკეთ თუ არა მიმონერის შესახებ და რა იყო ამაზე იასეს პასუხი.

გენერალ-მაიორი ბაიკოვი I

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – რადგანც ჩვენ ამხანაგთა შორის დამალული არარაი არა გვექნდარა, ამისთვის მე იასე ფალავანდოვს უთხარ დოდაევთან ესრეთ: შიხილ ალია მოვიდა, და მითხრამეთქი, რომ ალი ალა ეიბ ოლლიმ მითხრა, რომ შენ ბატონს ალექსანდრეს მოლა ზამანა გაუგზავნია ალექსანდრე ბატონიშვილთან. მე ამაზე მეტი სხვა არა მითქომსრა. და იასე ფალავანდოვისას რომ მიბძანებს კომისია, რომ მას ეთქოს ჩემთვის ესრეთ – ჭავჭავაძეს, და ჩემ ძმას კარი შეკეტილი ჰქონდათო, და **ორი** სათი მეტი ლაპარაკობდნენ, და ვგონებ, რომ ამ ჩვენს განძრახვასა ზედა ლაპარაკობდნენო, მე ხომ ესე გარემოება აღრიდგანვე მოვახსენე კომისიას, რომ იასე ფალავანდოვმა მითხრა მეთქი.

ნელსა 1833-სა. სექტემბრის 1 დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანი

170. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (III)

ელიზბარ ერისთოვი უჩვენებს, რომ ვახშამზე, რომელიც თავადმა ანტონ აბხაზმა მასწავლებელ დოდაევის სახლში გამართა და რომელსაც თქვენც ესწრებოდით, ერთ-ერთმა თქვენგანმა მეთაურის არჩევა შემოგთავაზათ.¹ დაინყო ხმების დათვლა, რის

შემდეგაც პირველად თქვენ დაგასახელეს მეთაურად, თუმცა თავადი ელიზბარი და ზოგიერთი სხვა პირი ამას არ დათანხმდნენ. შემდეგ შესთავაზეს აბხაზოვს, მაგრამ მან მაშინვე უარი განაცხადა. საბოლოოდ ყველამ ხმა მისცა იასე ფალავანდოვს, რომელიც ღიმილითა და მაღლიერებით დათანხმდა. – განმარტეთ სიმართლით, მართლაც ისე მოხდა ყველაფერი, როგორც ელიზბარ ერისთოვი უჩვენებს?

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

მე ესე გარემოება სრულებით არ მახსოვს.

ნელსა 1833-სა. სექტემბრის 1-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

171. ჩვენება 1833 წლის 4 სექტემბრისა

ზოგიერთი თანამზრახველი უჩვენებს, რომ თქვენს საზოგადოებაში იყო საბჭო, რომელზეც მხოლოდ მუდმივი წევრები დაიშვებოდნენ.¹ – განმარტეთ გარკვევით, ვინ იყვნენ ეს წევრები?

გენერალ-მაიორი **ვოლხოვსკი**

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ ესრეთი ლაპარაკი სრულებით არა ყოფილა და არც ვიცი, სადა ყოფილა ესრეთი რჩევა.²

ნელსა 1833-სა. სენტემბრის 4-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

172. ჩვენება 1833 წლის 6 სექტემბრისა

კომისიასა შინა!

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – **პირველი.** წიგნი, ბატონიშვილს ალექსანდრესთან რომ მივსწერე, მას წიგნსა შინა იყო ხსენებული ესრეთ, რომ ჩვენი საზოგადოება სთხოვს მას კახეთსა შინა გამოსვლასა, ვინაიდგან საზოგადო მსურველნი არიან მის მეფობის და საქართველოს განთავისუფლებისას რუსთაგან, და ოდესცა იგი ბატონიშვილი კახეთს გა-

მოვიდოდა, მაშინ ჩვენის საზოგადოს აზრით მოხდებოდა ვითომც აღრეულობა. – და ამ წიგნის პასუხი მის ბატონიშვილისაგან მივიღე ესრეთ, რომ მე მამიშენი შვილს არ ვენდობიო, ვინაიდან ჩემს პირის პირ მომკვდარაო;¹ მაგრამ მაინც კიდევ გენდობი, მე მოვხუცდი და, აღარ შემიძლიანო, და ახლა თქვენმა საზოგადოებამ იცის, როგორც მოიქცევიტო. – **მეორე.** წიგნი მივიღე მის ბატონიშვილისაგან ესრეთ: ადრევე თქვენი საზოგადოების მაგიერათ საკუთრივ შენგნით მივიღე წიგნიო, რომელთაც გასურთ საქართველოს განთავისუფლება, და მპირდებოდით მეფობასაო, მაგრამ თქვენგნით მე ველარა შევიტყურო, და აღარა მაცნობებთარო. – მე ამისი პასუხი მივსწერე: ახლა სრულებით მშვიდობიანობა არის მეთქი, და აღარავინ აღარას ჰფიქრობს, ვინაიდან პოლიაკები დაითრგუნვენ. – **მესამე.** მის ალექსანდრე ბატონიშვილის კაცი მაჰმადა რომ იყო ჩემთან და მითხრა შემდეგნი: ეგვიპტის ფაშისაგან ორი კაცი მოვიდა ალექსანდრე ბატონიშვილთანაო, წიგნი ჰქონდათო.² – შემდეგ რაოდენსამე დღეს უკან აზნაური გარსევან, გვარი კი აღარ მაგონდება მისი,³ ის აზნაური და მე გამოვგზავნეს ყაზი მოლასთან** წიგნებითაო, და გარემოება კი აღარ მახსოვს, თქო მან, მაჰმადამ, თუ არა მის წიგნებისა, და ყაზი მოლადგანაც წიგნები წავიღეთო, და სთხოვდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომ დაღისტანში გამოსულიყო, და მე კი აღარ მახსოვს, წიგნილა მივსწერე ბატონიშვილს თუ არა და სიტყვით დავაბარე მას მაჰმადას ესრეთ საზოგადოს მაგიერად, რომ სოლომან რაზმაძე მოჰყვება რუსეთის პოსლანიკს თავრიზს, და მას ბატონიშვილს გაეგზავნა მღვდელი, მას რაზმაძესთან ექონია შერთება. – და ესეც, რომ მას ბატონიშვილს ექონია შერთება ანგლიელების პოსლანიკებთან, რომელნიც თავრიზს არიან, და მე ვგონებ, რომ ესე ზემო ხსენებულნი აღწერილნი გარემოებანი ადრიდგანვე მოვახსენე კომისიას, ვითარცა ეხლა მოვახსენებ. –

წელსა 1833-სა. სექტემბრის 6-სა დღესა.

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

¹ ჩოკაშვილი იყო.

^{**} აჯანყებულ დაღესტნელთა ბელადი. გ. გოზალიშვილის შენიშვნები.

173. ჩვენება 1833 წლის 8 სექტემბრისა

1. თავადი ისე ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 968, 969, 1336, 1337 და 1338):¹ თქვენ მის, ფალავანდოვის, სახლში პრაპორშჩიკ ბიძინა ერისთოვის თანდასწრებით განაცხადეთ, რომ მან, ბიძინამ, განზრახვა გაუშუღავნა თავადაზნაურობის წინამძღოლს, გენერალ-მაიორ ბავრაციონ-მუხრანსკის, რომელიც თითქოს დათანხმდა და, რომ ამის შემდეგ თქვენ, ბიძინა და პორუჩიკი გიორგი ერისთოვი ლაპარაკობდით იმაზე, თუ როგორ დაგეახლოვებინათ ამ საქმეში მუხრანსკი მაიორ ლუარსაბ ორბელიანოვთან. გარდა ამისა, იგივე ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 3346), რომ თქვენ მას ეუბნებოდით: ბიძინა ერისთოვმა ზემოხსენებულ თავად მუხრანსკის მხოლოდ ვაკვერით უთხრა განზრახულების შესახებ, საფუძვლიანად კი საქმის კურსში იგი ჩააყენეთ თქვენ და ფალავანდოვის თანდასწრებით გამოთქვით იმედი, რომ თავად ჭავჭავაძესთან ერთად მუხრანსკისაც მიიმხრობდით. – განუმარტეთ კომისიას გარკვევით, სწორია თუ არა ფალავანდოვის ზემოხსენებული ჩვენებები და იცოდა თუ არა მუხრანსკიმ თქვენი განზრახულება და მონაწილეობდა თუ არა იგი მასში?²

2. კაპიტანი ჩელოყაევი უჩვენებს (ფ. 1096),³ რომ თქვენ მას ეუბნებოდით: სხვებთან ერთად თავადი მუხრანსკებიც აპირებენ საყოველთაო აჯანყების მონაწილასო. – განმარტეთ, მართლაც უთხარით თუ არა ეს კაპიტან ჩელოყაევს და იყვნენ თუ არა მუხრანსკები განზრახულების მონაწილენი 1831 წელს?

გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი

1. კომისიის პირველის პუნქტის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ ესე იასე ფალავანდოვის ჩვენებებში სრულებით არა მართლიადი ჩვენებები არს, და შამიძლიან, რათა უწოდო, რომელ მოუგონიეს ესრეთნი.

თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი

2. მეორე პუნქტის თავადის ზაქარია ჩოლაყოვის ჩვენებასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ არა პირველი მოგონება არს თავადის ჩოლაყოვისაგან ჩემსა ზედა, და ამისთვის მაქვს

პატივი, რათა მოვასხენო კომისიას, რომელ ესრეთი ჩვენება თავადის ჩოლაყოვისაგან სრულიად არა მართლიადი ჩვენება არს.

სეკტენბრის 8-ს დღესა. 1833-სა წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

174. ჩვენება 1833 წლის 11 სექტემბრისა

16 აგვისტოს სხდომაზე თქვენ აჩვენეთ (4930, 4970) და მერე წერილობითაც დაადასტურეთ, რომ ყველა თქვენი ჩვენება ყოფილ გუბერნატორ ზავილეისკის წინააღმდეგ თქვენს მიერ ყალბად არის ნაჩვენები და გამოგონილია იმ ჯავრით, რომ მან 1831 წელს შეურაცხყოფა მიაყენა დედათქვენს თეკლა ბატონიშვილს ბინის გამო.¹

უფრო მეტი გარკვეულობის მიზნით კომისია გავახსენებთ როგორც თქვენს მიერ ზავილეისკის მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს, ისე სხვათა ჩვენებებს, რომლებიც ამ ბრალდებებს ადასტურებენ.

გასული წლის 19 დეკემბრის სხდომაზე თქვენ თქვენი ნებით, ყოველგვარი დაკითხვის გარეშე, თქვით, რომ ზავილეისკიმ მოგინოდათ მოგეხდინათ **აქაც** (ე. ი. როგორც პოლონეთში) აჯანყება (156, 166).²

მეორე დღეს თქვენ განაცხადეთ, რომ (171),³ რადგან არ შეგიძლიათ დაამტკიცოთ ზავილეისკის მიმართ ბრალდება, ხოლო ზავილეისკი ამას არ აღიარებს, რასაკვირველია, ითხოვეთ არ ყოფილიყო გამოძიებული თქვენს მიერ ზავილეისკის მიმართ ნაჩვენები. ამის შემდეგ მაინც რვა თვის მანძილზე თქვენ სამჯერ დაადასტურეთ და განავითარეთ (1074, 1431, 2240) თქვენი პირველი ჩვენება.⁴

ამას გარდა, თქვენ აჩვენეთ აგრეთვე, რომ ერთხელ გუბერნატორი ზავილეისკი მოვიდა აღმასრულებელ ექსპედიციაში და მოითხოვა ვახტანგ მეფის კანონები, გადახედა და თქვა: „თუმცა აქ უნინ მეფის მმართველობა იყო, მაგრამ ამ კანონების მიხედვით, ჩანს, რომ საქართველოში თავისუფლება ყოფილაო“ (587);⁵ რომ ზავილეისკი ისე ავიწროვებდა აქაურ მოსახლეობას, რომ მოთმინებიდან გამოჰყავდა და ყველა უკმაყოფილებას გამოთქვამდა; ხოლო შეთქმულნი კი **მუდამ** ფიქრობდნენ, რომ ზავილეისკის უთუოდ აჯანყება სურსო და ხშირად მსჯელობდნენ, რომ

მასა და გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეს ამაზე რაღაც თავიანთი განსაკუთრებული აზრი უნდა ჰქონდეთო (1435-6).⁶

და ბოლოს, რომ თქვენ გაიგონეთ პორუჩიკ ნათალოვისაგან, ვითომც მისთვის ვიღაც მოხელეს უთქვამს, რომ ზავილეისკი პოლონელია, სურს აჯანყება და უკვე გადმობირებული ჰყავსო 90 მოხელეო (1588).⁷ ეს უკანასკნელი გარემოება მტკიცდება ნათალოვისა (1798, 2012) და თქვენის ძმის ვახტანგის (1633) ჩვენებებით, რაც თქვენ თვითონაც დაიმონმეთ.⁸

ამისგან დამოუკიდებლად აჩვენებენ:

იასე ფალავანდოვი, – რომ 1831 წელს თქვენ არწმუნებდით მას, რომ ზავილეისკი მონაწილეობს შეთქმულებაში როგორც პოლონელი და ამიტომ ხალხს ავინროვებსო;

მასწავლებელი დოდაევი, – რომ თქვენ უამბობდით მას, რომ შენიშნული გაქვთ ზავილეისკის რუსეთისადმი არაერთგულეობა და აჯანყების სურვილი;

პრაპორშჩიკი გიორგი ერისთოვი, – რომ 1831 წელს თქვენა და ელიზბარ ერისთოვი ეუბნებოდით მას, რომ ზავილეისკის, როგორც პოლონელს, სურს, რომ აქაც მოხდეს აჯანყება და ამიტომ ხალხს ავინროვებს;

ლუარსაბ ორბელიანოვი, – რომ თქვენ ერთხელ უთხარით, რომ ზავილეისკისთვის ცნობილია თქვენი შეთქმულება;

მასწავლებელი ავთანდილოვი, – რომ თქვენ უთხარით მას, რომ ერთხელ ზავილეისკიმ განცვიფრება გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველები ითმენენ რუსების მხრიდან ესოდენ შევიწროვებას;

პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთოვი, – რომ თქვენ გითქვამთ მისთვის, ვითომც ზავილეისკი ავინროებს ხალხს არა უმიზნოდ და კიდევ ამბობსო, რომ: „რატომ ქართველები რამეს არ ილონებენ მთავრობის მხრივ შევიწროებათა წინააღმდეგო?!“

პორუჩიკი გიორგი ერისთოვი, რომ თქვენა და ელიზბარ ერისთოვი ეუბნებოდით მას, რომ ზავილეისკი ხალხს იმ განზრახვით ავინროვებს, რომ აქ აჯანყება მოახდინოსო;

ტიტულიარნი სოვეტნიკი პაუშენკო, – როდესაც გუბერნატორმა ზავილეისკიმ და გენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ ხალხი შეჰყარეს კრივის გასამართად, პაუშენკომ, რომელსაც ეს ძალიან გაუკვირდა, გკითხათ, ეს რას ნიშნავსო? და თქვენ მას დაცინვით მიუგეთ: „ღმერთმა უწყისო“. როდესაც პაუშენკომ თქვა: ნუთუ მათ აჯანყება სურთო, თქვენ უპასუხეთ, რომ არ იცით.

თქვენს მიმართ ზემოთ დასახელებულ, ზავილეისკის მიმართ **სიძულვილზე** თქვენი ძმა პრაპორშჩიკი დიმიტრი ორბელიანოვი კი აჩვენებს, რომ 1832 წელს პეტერბურგში ჩასულმა ზავილეისკიმ მას ჩაუტანა თქვენი სარეკომენდაციო წერილი, რომლითაც ურჩევდით მას, გაეცნო ზავილეისკი, როგორც თქვენი ოჯახის **კეთილისმყოფელი**. ამას გარდა, იმავე წელს თვით ზავილეისკიმ, რომელსაც დიმიტრი მოსკოვში შეხვდა, უთხრა, რომ თქვენ **მისი მეგობარი ხართ**.

კომისია მოგიწოდებთ, მოგვცეთ ამ საქმეზე დამაკმაყოფილებელი განმარტება.

გენერალ-მაიორი ჩეკვინი

კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად. – **პირველი**. მე დიახ მსურდა, რათა მას ზავილეისკისა ზედა ყოფილიყო ჩემი ჩვენებანი, და უკეთუ რაოდენიმე ჩვენებასა შინა ვაჩვენე, და არა დავინდე იგი, მაშა სადამე შემდეგ რაისათვისლა უარ ვყოფდი, გარნა მომგონებულმან სვინიდისმა დამტანჯა, და ველარ განვაგრძელე, რათა გამეგრძელებინა ჩემი მასზედა მოგონება. – უკეთუ ნამდვილად მას, ზავილეისკის, ჩემთან შერთება ჰქონიყო ჩვენს ბოროტს განძრახვასა ზედა, და უკეთუ ერთხელ იქონიებდა შერთებას ჩემთან, უთოთ კვლავადცა იქონიებდა შერთებას, და დროს ყოველთვის იპოვნიდა, და უთოთ მეც ვაჩვენებდი მას ზედა. – **მეორე**. არა ჩემნი საყვარელნი **მეორე** ძმანი,* არა ჩემნი ახლო ნათესავნი, არა ჩემნი კეთილის მყოფები, და არა ჩემი მეორე და, თამარ ბატონიშვილი, რომელიცა მე მას ჩემს მშობლიურს დასავითა პატივსა ვცემდი და მიყვარდა ესენი, და მე გამოვიმეტე და არა დავზოგე, და ვაჩვენე მათ ზედა, რაიცა ვიცოდი, და ამისთვის მას ზავილეისკის რაისათვის დავზოგამდი, რომელიცა დიახ განშორვებული სისხლი გვაქვს. – 19-ს დეკენბრის პუნქტის ჩემს ჩვენებასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად: ოდესცა ზავილეისკი სთხოვდა ბატონიშვილს დედაჩემს ფათერს, და ამასა ზედა დიდათ ავათ შეიქნა დედა ჩემი, მაშინ დავიფიცე, ოდესცა ზავილეისკის დროს უპოვნი მეთქი, უთოთ უმტრობ მეთქი, და მას 19-ს დეკენბერს მამაგონდა მის ზავილეისკისაგან დედი ჩემის შეწუხება, და ვთქვი: ეხლა უთოთ უნდა აღვასრულო ჩემი ფიცი მეთქი. და ამისთვის ვაჩვენე მას ზავილეისკისა ზედა,

* ბატონიშვილები იგულისხმებიან. გ. გოზალიშვილის შენიშვნა.

რათა მეც მაგიერი გადამეხადა, გარნა სინიდისმა აღარ მამასვენა, და ამისთვის უარი ვყავ. – მე მგონია, აღრედგანვე მოვახსენე კომისიას, რომ მე იმ ზავილეისკისა ზედა დასამტკიცებელი არარაი არა მაქვს მეთქი, და ეს ჩემი თქმა საგრძნობლად ჩანდა, რომელ ჩემი მას ზედა ჩვენება მოგონებული იყო. – და უკეთუ რაოდენჯერმე ვაჩვენე მას ზავილეისკისა ზედა, არა ეგოდენი ჩვენება იყო ჩემი მას ზედა, რომ კვლავად არ დამხსომებიყო და ამისთვის ვაჩვენებდი ხოლმე. – და ის, როგორც მახსომს, ზავილეისკიმ ექსპედიციაში თქო, რომ ამ მეფე ვახტანგის სჯულით აქ უნინ თავისუფლება ყოფილაო,⁹ და ესე თქმა ზავილეისკისაგან უკეთუ ნინააღმდეგი ყოფილიყო მთავრობისა, მაშინ იქ მცოდნე სოვეტნიკები ისხდნენ, უთოთ მთავრობას აცნობებდნენ. – ისკი მართალია, რომ ჩვენ, ამხანაგნი, ბევრჯველ ვლაპარაკობდით ხოლმე, ვითომც ხალხს რომ ანუხებს, უთოთ აღრეულობა სურსო, და რადგანც თავადის ჭავჭავაძის მეგობარი იყო, ამისთვის ვფიქრობდით, და ჭავჭავაძე წარსრულს 1831-სა წელსა ჩვენს მონაწილედ გვეგონა. – მართალია, რომ პორუჩიკმა ნათალოვმა თქო, რომ 90-ი კაცი ჰყავს მოსყიდულიო ზავილეისკისაო. და მე კომისიაში ფიცით შეკრული ვარ, რაიც მცოდნიყო, უნდა გულის წმიდით აღმიარებინა. ამისთვის ნათალოვისაგან რაიცა მესმა, იგი მოვახსენე კომისიას. – მე აღრედგანვე მომიხსენებია კომისიისათვის, რომ არა რომლისათვის არ მითქომს ჩემი ამხანაგებისთვის, და მე იასე ფალავანდოვს საიდგან ვეტყოდი. ამისთვის ჩემის მტრობით მოუგონია. – დოდაევი რომ სწერს, ნიშანი უნდა დაეწერა, რომლის ნიშნით შევნიშნეთ ზავილეისკის მთავრობის ურწმუნობა, ამისთვის არა მართლიადი ჩვენება არს მისგან. – პრაპორშჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი რომ, სწერს, აკი მოვახსენებ კომისიას: ყველას ეჭვი გვქონდა მას ზავილეისკისა ზედა, ვინაიდგან ანუხებდა ხალხსა, უკეთუ გვეთქო, უთოთ ეჭვით ვეტყოდით. – მე რომ ოქროპირ ბატონიშვილისაგან დაფიცებული ვიყავ, რომ არავისთვის არ მეთქო, და მე ვერ ვითმენდი ხოლმე, და ვეუბნებოდი ჩემს რომელსამე ამხანაგებს, ამისთვის ვერც ზავილეისკისას დაუშალამდი, უკეთუ შერთება ჰქონიყო, და უთოთ განუცხადებდი ყველას. – მაიორი თავადი ლუარსაბ ორბელიანი რომ სწერს ზავილეისკისას: უკეთუ ბოროტი განძრახვა ჰქონიყო მას ზავილეისკის, მას, მაიორს თავადს ლუარსაბს, უფრო ეტყოდა, ვინამ მე, ამისთვის, რომ თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე, და იგი ლუარსაბ ცოლის ძმა და სიძე

არიან¹⁰ და დიდი მეგობრები. ზავილეისკი და ჭავჭავაძე თვით, მგონია, მთავრობამ უწყოდეს, რომ ვითარნი მეგობრები არიან, უკეთუ თქმა იქნებოდა, მართლ მსაჯულობით მას, მაიორს თავადს ლუარსაბ ორბელიანოვს, უფრო ეტყოდა. ამისთვის თავადის ლუარსაბ ორბელიანოვის ჩვენება არა მართლიადი ჩვენება არს, და არცა ოდესმე მისთვის არ მითქომს. – ავთანდილოვს აღარ დახსომებია, ვითარ უთხარ. მე ავთანდილოვს უთხარ, რომ ზავილეისკიმ დაიხ კარგი განკარგულება მოახდინა საქართველოს გლეხ კაცთა ზედა მეთქი. მე ამაზე მეტი მისთვის სხვა არა მითქომსრა. – უკეთუ პრაპორშჩიკს თავადს დიმიტრის ერისთოვს ვეტყოდი ესრეთ, უთოთ მის ძმას, ელიზბარს, უფრო ვეტყოდი. ამისთვის მის ზავილეისკის მტრობით მოუგონია ესრეთი მას, დიმიტრი ერისთოვს. – პორუჩიკი თავადი გიორგი ერისთოვი რომ სწერს, იმან გვითხრა: მოსკოვში ზავილეისკიმ მითხრაო, რომ ქართველებს ასე ჰგონიათ, თავადს ჭავჭავაძეს რუსული რომ აცვია, თავისი მშობელი ქვეყანა არ უყვარდესო, და ჩვენ ექვით უთხარით: ზავილეისკი ხალხს რო ანუხებდა, უთოთ აღრეულობა უნდოდაო. – ტიტულიარნი სოვეტნიკის პაუშენკოს ჩვენებასა ზედა სრულებით მცირედი ექვი არა არის. იქნება გავილიმე ჩემი ფიქრიანობით ისე უბრალოთ და სრულებითაც არ მახსომს, რომ მას პაუშენკოს ეკითხოს ესრეთი ჩემთვის, და უფრო ვგონებ მას ზავილეისკის წინააღმდეგობით მოუგონია პაუშენკოს. – ვინაიდგან ზავილეისკი ჩემი ნაჩაღნიკი იყო, ამისათვის მივედი გამოსასაღმებლად, ოდესცა მიდიოდა, და მაშინ მთხოვა, რომ თქვენ ძმას, დიმიტრის, წიგნი მისწერეთო. მაშინ დაუნერე ესრეთ: გთხოვ, ძმაო დიმიტრი, მაგ ზავილეისკის პატივსა ცემდე ხოლმე მეთქი, ვინაიდგან ჩვენი ნაჩაღნიკი იყო მეთქი. მე ამის მეტი სხვა არა მიმიწერიარა, და უკეთუ ზავილეისკიმ უთხრა, რომ ჩემი მეგობარი არის შენი ძმაო, მე ყოველთვის პატივსა ვცემდი და წინაწინ ხომ ვერ ვეტყოდი: ზავილეისკივ, მე შენი მტერი ვარ მეთქი.

სეკტენბრის 11-ს დღესა. 1833-ს წელსა.

პოდპორუჩიკი თ-ა **ალექსანდრე ორბელიანოვი**

ეპისტოლური მემკვიდრეობა

1831

1. ბიძინა ერისთავისადმი

ბიძინავ. დიახ კარგი ამბები ვიცი, და როცა გნახავ მაშინ გეტყვი. ხომ შეიტყე რაც არის. თუ გინდა, შალვასაც უთხარ.¹

თქვენი ძმა ალექსანდრე ორბელიანი

1831 წ. ივნისის 13.²

ტფილისი

2. ბიძინა ერისთავისადმი

უსაყვარლესო ძმაო ბიძინავ!

შენი შეუძლებლობა შავიტყე, დიდათ შავნუხდი, მაგრამ ძალიან სუსტი ხარ, ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას. ვიცი აქა-ურს ამბავს მოიხსენებ. ნუხელის ჩირადლანი იყო ვარშავის ალექსანდრის, ¹ მაგრამ ვარშავაკი ომით არ აუღიათ იმათი ჯარი გასულა, და ქალაქი ისე დაუნებებიათ, და შემდგომ ვნახოთ კიდევ რა იქნება. მგონია ჯერ კიდევ ვერ გადაწყდეს, ღმერთმა უკეთ იცის. – ეს იკმარე, დიახ საჩქაროთ ვწერ.

ძალუა² თავის შვილებით მამიკითხე.

შენი ალექსანდრე ორბელიანი

კე [25] სენტებერს ჩყლა [1831] წელსა.

ტფილისით

3. ოქროპირ ბატონიშვილისადმი

თქვენო უგანათლებულესო!

ოქროპირ ბატონიშვილო!

მონყალეო ხელმწიფევ.

ღმერთსა ვთხოვ თქვენს მშვიდობას ისე, ვითარცა თქვენ გსურთ, უკეთუ ჩემს ამბავს მოიხსენებთ, ამა წიგნისა მომტანი მოგახსენებთ ჩემს ვითარებას. – მე და სოლომან ივანიჩი¹ დი-

დათ მეგობრები გახლავარ ასე, როგორც თქვენ იცნობთ, დიახ
კარგათ გახლავართ სულ..... ღვთით იმედი მაქვს ჩქარა გნახოთ.

თქვენი მონა მარადის, თქვენი მამიდაშვილი
ალექსანდრე ორბელიანოვი

[სექტემბრის 18-სა. 1831-სა. ტფილისი]

4. სოლომონ დოდაშვილისადმი

მონყალეო ხელმწიფეე!

სოლომან ივანიჩ, –

სტო სემნაცატი სტოლეტის წიგნი¹ წავიკითხე, და უმდაბლესისა მადლობითა ისევ მამირთმევეია და ეგრეთვე გთხოვთ, რომელ იმ დღეს რომ მაჩვენეთ ღრეციის ისტორია მათხოვით,² და მაგ ბიჭის ხელით მიზოძოთ, რომელიც მყოფთ მადლობელს.

აქამდინ როგორ არ გნახამდით, მაგრამ ავდარმა დამამწყვდია და ველარსად გავდივარ.

ელიზბარის წიგნი მამივიდა, ხვალ საღამოზე გიხსენებით, და მოგახსენებთ. თქვენთან მოკითხვა მოეხსენებინა.

თქვენი ამბავი მიბძანეთ, როგორა ხართ, ან კარზე გამობძანდებით ხოლმე თუ არა.

თქვენი მონა
ალექსანდრე ორბელიანოვი
[1831-1832]

9.

9.

ტფილისს.
ოთხშაფათს.

5. ეპატარინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი¹

კატინო! – გეთაყვანოს ჩემი თავი, იმთენი დღეგძელობა გქონდეს, რამთენი შენ ტყუილათ ჩემზე გეთქოს და ტყუილად გეტანჯო. კარგი, ამას დავეხსნათ, კარგი იყო რომ მოგწერე ეგ... მომწერე შენი სრული გრძობა² ხვალ ადრიან, თორემ გამაიცვლება.³ ორი მანათი და ორი თაბახი ქალაღდი გამოგზავნეთ, სანერელი აღარ მინდა.

შენი სანდრო

[1833 წ.]

6. ეპატარინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

საყვარელო კატინო! დღეს რომ სამშაფათია და სადილი გაუქე[...] [...]ბილთ, მხედრობისათვის, ამ დროს მოვიდა ბარონი.¹ ამითი ვისარგებლე, და შენ, ჩემს სიცოცხლეს, გხედავდი დურბინდით. ფან[ჯრიდან] იყურებოდით, მე შენის მეტი აღარავინ დამინახავს. სულ მე შენ გიყურე, ხან თვალეებით განიშნებდი, [...] და ხან სულით გადმოვფრინდებოდი შენთან, მაგრამ შენ [...] მოვანევედი ხოლმე, ახ, სულო, ახ, როდის გნახამ, ჩვე[ნი ბედნიერება] მაშინ იქნება. აბა წარმოიდგინე, ვითარი სიხარული და სიყვარული გვექნება, მგონია ორნივე სიყვარულით [...] მახსომს ჩვენი სიყვარული, აბა სულ წარმოიდგინე, მეკი [...] მას ვხედავ. სხვა რალა მოგწერო, მე ყოველთვის [...], რაც შენთვის შემამითვლნია, შენგნითაც მას მო[...].

მე ღვთის მოწყალებით ეს [სამ...] დიდათ უკეთა ვარ, ასე რომ იმედი [არ] მქონდა რომ ასე ჩქარა ასე უკეთ შევიქნებოდი [...] და თქვენც ეცადეთ მაშინ რომ პრიბილ² [...] მაგრამ იმედი მაქუს რომ აღარ დამჭირდება [...] აკითხვინეთ, ღვინო დამელევა თუა არა. –

[1833 წ.]

7. ეპატარინა ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

კატინო! – წუხელის შენი წიგნი მოგვივიდა და პასუხს დღეს, პარასკეზ დილაზე გწერ, – არ იქნება, რომ ჩემი გრძნობა კიდევ არ მოგწერო, – ჩემი სული ყოველთვის, და ყოველს წამს შენს გარე ჰფრინავს, – და კიდევ სული ჰფრინავს. – ეს იკმარე. ვახტანგ გუშინ, წუხელის და ღვთით დღეს უკეთ არის.¹ – მაკა² არ გამილანძღავ, სიხარულით ველარა გავიგერა და ისე თავს უკრავდი. – მაკავ, გეთაყვა კატინას ნუ მოაწყენ. – ბარბარე³ აზიზი სად არი, თუ მანდ იყოს, მოიკითხეთ. ამბავი გვაცნობე.

ალექსანდრე

ღვთით გუშინ და დღეს დიდათ უკეთა ვარ და ამას იქით არ ვიცი რა იქნება.

ბეზიკის ნათქომი, *ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით*, – დამინერეთ და ჩუმათ გამამიგზავნეთ. ერთი თაბახი ქალაღდიც.

[1833 წ.]

8. ეპატარინა ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

კატინო! – ხედავ სოფელს, აქამდისინ ერთი სათი ვერ გამედლო უშენოთ, და დღეს *ათი* თვე შესრულდა, რომ ჩემს მხედველობას არ უხილავს ჩემი მაცოცხლებელი შენი თვალები. – ეხლა ეს არის დედას ბატონიშვილის წიგნიც მამივიდა, და ძალუა ბარბარესი.¹ – კატინო, რათ აჩვენე ბატონიშვილს წიგნი. – შემეგაზდამ შეშაშინებლათ მოგწერე ვითომც წამიყვანენ მეთქი, შენ ნუ მამიკვდები ჯერ კი არ მინდა მეთქო. – მე ამ ექვსის თვის წინად უფრო ადრე ვიცი, რომ ჩვენ სამნი ძმები აქ დავრჩებით.² მე სხვებისას ვერას ვიტყვი. – ახლა ცხადათ ვხედავ, რომ ღმერთი დიდათ მწყალობს, გეთაყვა, შენც მას ესავდე. მე ლენერალს ჩეკვინს, მინამ ცოცხალი ვარ, მე ის არ დამავინწყდება, ან ჩვენ სამთ ძმისთვის და ან ჩვენის სრულის ოჯახისთვის. მერწმუნე, ის არ მოსულიყო, ახლა ასე ვიტყვი, სულ ოჯახიანათ დავიღუპებოდით, ღმერთი როცა გამამიხსნის, მაშინ ჩემის პირით სცნობთ მის ჩეკვინის ჩვენზე კეთილს.³ – აი, შე ქალაჩუნავ კატინო, იქნება მე გამოსაცდელად მოგწერე, აკი შენ მხნე იყავ. – ღვთით,

ჩქარა კიდევ ვნახამთ ერთმანეთს ჩვენებურადა, ძველებურადა.
– მაკას პირს ვაკოცებ.⁴

ძალუა ბარბარევ, შენი წიგნი მამივიდა. გმადლობ ძალუავ, თუ ღმერთი გწამს, ალა მამიკითხე.⁵

კატინო, შენი **სანდრო**

ბა...⁶ მოეწერა, პრიბილმა რომ მითხრაო,⁷ ბუასილი არისო, მეც აგრე მითხრა, მაგრამ რაც უნდა იყოს, პირველათ ასე შემანუხა, რომ თავის იმედი აღარა მქონდა. ახლაც ხანდახან მამდის ხოლმე, მაგრამ ისე აღარ მანუხებს და ღვითთ ჩემს თავს უკეთ ვხედავ. – ძალუა ბარბარეს მოვიკითხავ, ეგრეთვე მაკას, მაგრამ რა იქნებოდა რომ მაგასაც ძალუა ბარბარესავით პატარა ბარათი მოეწერა.

თუ ჩვენთან დააყენებენ ვისმე, ისეც ყველას ყიფიანოვი სჯობიან,⁸ ძალიან მხიარული არის და სკრიპკაც იცის და უკრავს. – კატინო მხიარულათ იყავ, მაგრამ ამის სამახარობლოთ ყუთის კუთხეებში გექნება ხუთი მანათი, გამოგზავნე, საჭირო არის.

შენი **სანდრო**

[...]ხელის წიგნი [...]წერე და ამასთან ერთათ მოგივა და იმაზედაც ნუ შანუხდები.

[1833 წ.]

9. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

სულო კატინო! – შენი **ორი** წიგნი მამივიდა; ნუხელისა და დღეს ოთხშაფათს პასუხი მოგწერე. შენ ნუ მამიკვდები, ნუხელის შენი წიგნები გულზე მეფარა და ისე მეძინა გათენებამდისინ, ასე მეგონა, შენთან ვწევარმეთქი. ნუხელ სიზმარშიაც გნახე, და რალაებიც იყო, მასკვან გამამეღვიძა. ახ, და ახ, რომ ნამდვილათ ვერა გხედამდი. – სულო, ნეტავი ჩქარა გნახო, რა ყოფა გვექნება. – კატინო, მე ხომ იმაზე არ მამიწერია, ფეხების დაუბანლობა რომ დაგაყვედრო. – მწერ, ტუსალი ხარო. მართალია, ტუსალი ვარ, მაგრამ სხვანი ყველანი აბანოში დადიან ხოლმე და მეც მთხოვენ ხოლმე, და არ მივდივარ, შენკი არ შაგე-

ძლო, რომ აბანოში არ წასულიყავ. ნეტავი მაგ შენს დაუბანელს ფეხებზე მაკოცინა. – კატინო, გუშინ თვალამაისა გოგო ბანზე იჯდა, ¹ და ჩვენ აქედან დურბინდით უყურებდით. დიახ საუცხოვო სანახავი იყო.

შენ ნუ მამიკვდები ვახტანგ ღვითთ კარგათ არის.² – მე გიორგის³ ვკითხე, განა კატინა სწუხს მეთქი, ნუ სწუხს, ღმერთი მოწყალე არისმეთქი. – და შენ მართლობითა მწერ. ქალაღები საჭირო აღარ არის. – კატინო, [...] მე ვწერ, – დიახ კარგათა ქენით [...] მე არაფერზე არ ვწუხარ [...] კატინო, გეთაყვა, პატარა [...] და, ყოველით, მიაძება და ეხლა [...] კარგი მწერალი ხარ.

შენი **სანდრო**

[1833 წ.]

10. ქაატარინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

სიცოცხლევ და სულო კატინო! – ეხლა გწერ ამ შენი წიგნის პასუხს. რა ვქნა, ღმერთსა ვფიცავ შენთან ლაპარაკი არ მინდა გაგწყვიტო. – მწერ შენ, თვეში ერთხელ მძლივ [...] მე ვფიქრობ, ყოველს წამს ჩემს სიცოცხლედ და სულად. – კატინო, თუ დედაკაცი ხარ, მიხვალ და ღვთის მშობელს სთხოვ, მე და ჩემს ქმარს [...] ყოველ წამს მოგმართავ სულოთქო, მე ასე მიყვარხარ, და ასე ვითხოვ ყოველთვის. – კიდევ მწერ, იქნება ჯავრობდი, ფანჯარაში ჩემი ყურებისთვისაო. სულო კატინო, ახ დაჭეშმარიტებით არ გიცნობდე უთოთ მართლა გავეჯავრდები, მაგრამ ჩემ სიცოცხლეზე, და სულზე როგორ უნდა გავეჯავრდე, რომლისაგანცა მაქვს მე ცხოვრება. – თუ შენ ჩემი სიცოცხლე არ იყო, ასეთი თამამი გრძნობა არ მექმნება შენზედ. თუ გინდა, ხმას აღარ ამოვიღებ. ხომ კიდევ მწერ მეტი, რა ღონე გაქვს, რომ ფიცს არ აღასრულებო. მაშ გინდა, რომ საუკუნოთ ამ უბედურებაში ვიყო. – კატინო! აბა სწორეთ მამწერე, გინდა, რომ საუკუნოთ ამ უბედურებაში დავრჩე, თუ განთავისუფლდე მე და სათრეველი ბუნება მქონდეს. ოხ, ამას როგორ ვანბობ, ან რათ მათქმევინე. – ახ სულო, კატინო, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, გიყვარდე ისე, ვითარცა ზენარსა ღმერთსა პირველიდგან [...] ნეტავი, ყოველნი ამ ყმანვილისთანა ყოფილიყვნენ. – და მასკვან თუ ღმერთი მალირსებს რაც მინდა, მასკვან მე ვიცი და ჩემმა კაცობამ. – ბარბარე ძალუავ, ¹ ღმერთს ვევედრე ჩემთვის. – კატინო, შენს სანდროს ნუ დაივიწყებ. ახ სულო, ნეტავ ერთი

ვნახოთ ერთმანეთი, და სულ ვიტიროთ, სხვა არა მინდარა. – პავლეს ამბავი მამწერე,² იმ დღეს ქალეფთან ერთათ გამოიარა აქა, და გამოიკვირდა.

შენი **სანდრო**

[1833 წ.]

მაკავ, რალაც ყო დავისომს,³ ვერა გავიგერა. სწორეთ მაც-
ნობე, ვინ გითხრა ნუგეში.

11. **კატარინე ბარათაშვილ-ორპელიანისადმი**

კატინო! – შენი წიგნი მამივიდა და მწერ, თუ წაგიყვანეს უთოთ მეც თან გამოგყვებიო. ახ, სულო, ნეტავი შენთან ვიყო, და ჯოჯოხეთშიაც რომ ვიყო, და შორიდგან შენ მე რომ მი-
ყურებდე და მე ვიტანჯებოდე საშინელის ცეცხლით, მაშინ ჩემი საშინელი ტანჯვა სიხარულათ გარდიქცევა. – მაგრამ არა. მე მისთვის დავბადებულვარ, რომ ჩემი ცხოვრება საუკუნოთ უბედ-
ური იყოს და ჩემი სიცოცხლესაგან ამიერ სოფლით უნუგეშოთ ვიყო, ჩემო სიცოცხლე! – შენმა გაზადამ, შენ ვერ წამოხვალ, ისევ ის სიხარულე და ინუგეშე, ვისითაც ნუგეშობ. – ღმერთმა გიცოცხლოს შვილები! და ნათესავები. – შემაგაზადამ მე ცხადა-
თა ვხედავ, რომ მე ბედნიერებისაგან დატევებული ვარ, ამისათ-
ვის მე გული განსვენებით მაქვს. – ბეზიკის ლექსი **ცრემლთა ისარი** დამინერე და გამამიგზავნე და ორი თაბახი ქალაღდიც. – ვახტანგ უკეთ არის,² მაგრამ რომ ეცადნეთ და გადაყვანილოთ, დიახ, კარგი იქნება, – **ერთი** მანათი გამოგზავნეთ. – მაკა და ბარბარეს მოვიკითხამ.³ – გუშინ ზალიკო იყო ჩემთან.⁴ დიდათ მიამა.

შენი **ალექსანდრე**

ჩემს რძალს მაიკოს⁵ სთხოვეთ, რამდონიმე დღით მათხოვოს ლეოლრაფიის კარტები, რომელსაც ჰქვიან ატლას ლაპი, ადრეც გამოგეზავნა, მაგრამ მაშინ ნება არ მომცეს კამისიაში. ახლა, მგონია, აღარ დამიშლიან. თუ შეიძლება დღესვე. – კიდევ ხან შეუძლოთა ვარ, ხან უკეთა, მაგრამ პირველზედ კი უკეთა ვარ. – ვახტანგს,⁶ მაკასა და ბარბარეს მოვიკითხამ.

12. ქატირინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

კატინო! – შენი წიგნი მამივიდა, და პასუხი ეხლავ მოგწერე. მწერ, მოფარებით რად იყურები ფანჯარაშიო.¹ – ჩემისთანა უბედური ქვეყანაზე არავინ არა მგონია, და ამისთვის ჩემი თავი არავის არ მინდა ვაჩვენო. – ამ სოფელში შენის მეტი ნუგეშად არავინ არა მყავს. თუ ღმერთი მალირსებს შენს ჩქარა ნახვას, მაშინ სჯობია და ვიხარებთ, და თუ არადა, ვითარცა ჩემი ცხოვრება უბედურად განვლილა, კიდევ ისე განვლოს. ვმადლობ ღმერთს, იხარონ და იდღესასწაულონ ჩემ მკვლელთ. – ივანეს² მოგეწერა, არა გუშინან [?]. დიახ ახლო პატივისა ცემდი, და შემდეგ ცალკე ოთახში კარგათ შეინვიე. – შენმა გაზდამ მე ველარავის ვერ ვენდობი, თვინიერ ჩემი გუნების მეტს. – აქამდინ ვტყუვდე-ბოდი, სჯობია ისევ დავილუპო, ეგება გაძღენ, ვინც ჩემის სისხლის მწოველნი არიან. მე გული და სული განსვენებითა მაქვს, ღმერთი მართლმსაჯული არის. მე გკითხე გუშინ, თქვენთან არავინ არ დადის მეთქი. შენ დღეს მიმალავ, არავინაო, რომელიც ივანეს გუშინ ვჭვრეტდი და მოქმედებათ. მე გთხოვ, ამას შენა გწერ, არავის არ უთხრა. – მერწმუნე, ამ ოთხ კედელ შორის დანვრილებით ვიცი ყოველი. – მაკას და ბარბარეს მოვიკითხამ.³

შენი ალექსანდრე

1834

13. თეკლე ბატონიშვილისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ დედავ.

მოკლეთ მოგახსენოთ, ეს არის ეხლა გიახელით ყაზიბეგის სოფელში სალამოს მეთათე სათზე, და ხვალ გაუთენებლივ მივალთ, და სალამოზე ლადიკავკაზს მივალთ, და ამ წიგნს იქიდგან გამოგიგზავნით. – რალა მოგახსენოთ ამ ჩემის წამყვანელის აფიცარისა,¹ სწორეთ თავის საკუთარს ძმასავით პატივისა მცემს, და დიდათ მივლის. – ღვითთ, მე კარგათ გახლავარ. დიახ საჩქაროთა ვწერ, და ესე მცირე წერილი იკმარეთ.

თქვენი ძე ალექსანდრე

„19-ს“ ივლისს. 1834-სა.²

ყაზიბეგის სოფლით.

სარქისა კარგათ გახლავსთ.³

ამ ჩემმა წამყვანელმა აფიცარმა მოკითხვა მოგახსენათ.

14. თქვე ბატონიშვილისადმი

უგანათლებულესო დედავ.

მე იქ, ყაზიბეგის სოფელში, შემცდა და **ოცი** ეს თვე მოვიხსენე თქვენს წიგნში;¹ **ცხრამეტი** რიცხვი იყო, და დღეს რომ **ოცი** ივლისი არის, ლადიკავკაზს მოვედით შუადღიდგან **მეორეს** სათზედა. ღვთით სრულებით მშვიდობით გადმოვედით მთებს, და ამ **სათს ნახევარზედ** ეკატირინე გრადს მივდივართ. – ამაღამ სულ ვივლით, და ხვალკი იქ გიახლებით. იქიდგანაც წიგნს მოგართმევთ, და ამ წიგნს დიახ საჩქართა ვწერ, და ყაზიბეგის სოფელში დანერილიც წიგნი დიახ საჩქართო დავწერე, შუაღამე იყო, და სტავროპოლიდგან მოგართმევთ თქვენს საკადრის წიგნს და მაშინდელი მაპატიეთ. გვედრებით თქვენს რძალს ნუგეში ეცით.² – გამდლებს ყოველთ მოვიკითხამ, ეგრეთვე სხვათა მოახლეებს, და კვლავად ბიჭებს. სარქისა³ კარგათ იმსახურება, და კარგათაც მასიამოვნებს.

თქვენი ძე **ალექსანდრე**

„20-ს“ ივლისს. 1834-სა.

ლადიკავკაზით.

ამ ჩემა მიმყვანელმა აფიცარმა⁴ უმდაბლესად მოკითხვა მოგახსენათ. რალა მოგახსენოთ, როგორც ეს მე მიფთხილდება, ასე მგონია, ჩემი ძმა არის მეთქი.

15. თქვენი ბატონიშვილისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ დედავ.

ლადი კავკაზიდან ხომ წიგნი მოგართვით, და მოგახსენეთ, რომ ეკატერინე გრადიდანაც მოგართმევთ მეთქი, მაგრამ გუშინ რომ 22-ი ივლისი გახლდათ, გაუთენებლივ ეკატერინე გრადს გაიხელით; ნახევარი სათი აღარ დავყავით, მაშინვე ჩავსხედით, და წამოვედით. რალა მოგახსენო ფოშტის დანყობილობანი, ან მშვენიერთა ცხენთა ქება და ანუ ფიცხლათ აღმასრულებელთ ქცევა, მაგრამ ჩვენმა სწრაფმა გამორბენამკი აჯობა ესრეთ, რომ ჩვიდმეტს სათზე გაიხელით **ეკატერინე გრადიდან სტავრაპოლს**, რომელიცა გზა ამისი არის **ორას სამოცი** ვერსტი და დღეს რომ 23-ი ივლისი გახლავთ, აქ სტავრაპოლს ვზივარ ამ დილით და ამ წიგნს გწერთ და ვგონებ ამ საღამოსა ჟამზედ წარვემართოთ შემდეგსა გზასა. – იქნება არ დაიჯეროდ, ამთენს ჟამზედ ავდენს გზას ვერ გაივლიდნენო, უფრო საკურველი მოგახსენოთ: ერთს სტანცაში მოვედით. სტანცის პატრონმა წითელი ცხენები შეგვიბა. მე უთხარ ავდებით, ამ შენტან ჩვენ მომყვანელსავით მგონია ნახევარს ძლივ გაგვარბევინებთქი. ამაზე გაიღიმა და არა მითხრარა. ამ დროს კიდევ ჩავსხედით; ნახევარი ვერსტი ჩორთით გაგვარბენინა, მერეთ დაიძახა – ბარინ, მაგრა დადექო. ის მანძილი თვრამეტი ვერსტი გახლდათ. თქვენ ნუ მამიკვდებით, ამ ცხენებს ერთი დაჰკივლა. ვნახე, უეცრად რალამაც მამგლიჯა, და ასე მეგონა ჰაერში გამიტაცესმეთქი; რიგინათ ველარა დავინახე რა, თვალები დავხუჭე, და ისე ვიყავ, ველარ გავახილე მეტის ცხენთა მისწრაფებისაგან. მასკვანათ გავახილე, რომ ამ ქუჩარმა დაიძახა, სამი ვერსტი კიდევ გვიკლიაო. ამ დარჩომილს გზასაც დასძახა და უფრო მოუმატეს სისწრაფე. ვგონებ შორით მნახველს ეგონებოდა, რომ მიჰფრინავენო. მოკლედ მოგახსენო, ამ დროს კიდევ მივედით. ვნახე დანიშნული სათი, რომ სწორეთ ნახევარს სათზე მიგვიყვანა 18-ი ვერსტი. როდისაც ამ მშვენიერთა მინდორსა ზედა გამოვედით, უთუოთ მეგონა, რომ სხვას ახალს სიხარულის საცხოვრებელში შევედითმეთქი, რა საკურველი თვალუნდომნი და განსაცვიფრებელი მინდორი უძევს. – ამ მინდორთ აშლია სხვა და სხვა ყვავილნი და ერთი რალაც მშვენიერი სუნი ტრიალებს ამ მინდორსა შინა ყვავილებთაგან, რომ თქვენს თავს ვფიცავ, ჯერ საქართველოთ

არა რომელს მინდორში არ მინახავ ესრეთი სუნი. არ ვიცი, რა ყვავილი არის, მაგრამ თქვენი რძალი ეკატერინევი ყოველთვის თვალწინ მიდგას ჩემის გულის დასატყვევენელად.

გთხოვთ ესე მცირედი წერილი იკმაროთ, და ამის შემდეგ როგორც გაივლის ჩემი გარემოება, ყოველს წვრილად მოგახსენებ. რომელსაც ადგილს ქალაქში მივალ, იქიდან მოგართმევთ წიგნს.

თქვენს თავს ვფიცავ, და ღმერთს ენდევით, ასე მშვიდობით, და კარგათ გახლავარ, რომ დიდი ხანია, ასე ძლიერს ღონეზე არა ვყოფილვარ. როგორც ჩემი ნება და სასიამოვნო არის სწორეთ ისე მექცევა,¹ და რაც ჩემი სასიამოვნო არ იქნება, არასდროს არა იქს. არ ვიცი, ჩემი ნათესავია თუ ჩემი კარგი კეთილის მყოფი. მეკი ამის მეტათ კი ვერ ვიცნობ. მე და ეს ერთს ჩასაჯდომში ვსხედვართ და თქვენს თავს ვფიცავ, თავს თავის მუხლზე დამადებინებს ხოლმე და მეხვეწება, რომ ჩემს მუხლზე დაიძინეო. სანყალი ჩემის გულისთვის ასე იტანჯება, რომ დიდათ ვწუხარ, ღმერთმა დაუმაღლოს, და გევედრებით, თქვენც დალოცოთ.

აქ, სტავროპოლში, ბეზობრაზოვი² ვნახე. გამიცნა და თქვენ უმდაბლესი მოკითხვა მოგახსენათ.

ვახტანგს³ პირს ვაკოცებ, და ღ-თსა ვთხოვ მაგის მშვიდობას.

ძალუა მაიკოს⁴ ხელს ვაკოცებ, პატარა ლიზიკას ვაკოცებ⁵ და ჩერკასკიდგან დიმიტრის წიგნს მივსწერ უთუოთ.⁶

ჩემს მოჭირნახულეს მოხუცებულს გამდეღს⁷ დედაშვილურად მოვიკითხამ.

ნაისახარს პატივით მოვიკითხამ.⁸ – ძველს დარდიმანდს ვარდისახარს მრავლად მოვიკითხამ.⁹ – ჩემი ნათლულის აღას დაჭკვიანებას ღმერთსა ვთხოვ, და სხვათ კერძობით სულ ერთობრივ მოვიკითხავ.

ბრიჭკის გარემოებას ორენბურლიდგან მოგახსენებთ. – მშვიდობით გთხოვთ, ჩემთვის ნუ სწუხართ. მრავალს უცხოებას, და სამხიარულოთ ვხედავ.

თქვენი ძე **ალექსანდრე**

„23-ს“ ივლისს. 1834-ს წელსა.

სტავრაპოლით.

სარქისა კარგათ გახლავს,¹⁰ დიდათ მასიამოვნებს და ბევრს გვაცინებს. ეკატერინე გრადში რომ მოვედი, მკითხა, ბატონო

ხვალ მივალთ ჩვენს ბინაზედო? მე უთხარ, დიახ მეთქი. ახლა ამას ჰგონია, რო სწორეთ მოვედით, და ჯერ კი არ იცის, რომ სალამოზე წავალთ. ამაზედ ვიცინით. ახლა ვნახოთ შემდეგ რა მოხდება, იმასაც მოგახსენებთ.

ამ ჩემმა მიმყვანელმა აფიცარმა¹¹ უმდაბლესად მოკითხვა მოგახსენათ.

16. ეპატარინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეე კატინო!

ამ შენს სახელის დაწერაზე ძლიერი გულის სიღრმის ოხვრა ამომვარდა. ახ! ნეტავი ოდესცა მე გავჩნდი, შენ არ დაბადებულყავ, და თუ შენ გასაჩენი იყავ, მაშ, რაღათ დავიბადე. უკეთუ ორნივ დავიბადენით, მაშ ჩვენთა მშობელთა რაღათ შეგვაულლეს, და უკეთუ შეუღლდით, მაშ ესრეთი სიყვარული რადღა გამოვისახეთ გულსა ზედა. აბა ეხლა რა ვქნა შენს მომშორებელს, ღმერთს ვფიცავარ, რომ მინდა, რადგანც მოგშორდი, მინამ მომშორებული ვარ, რომ მცირედ დამავიწყდე, მაგრამ არ იქნა, ეს ჩემი გული შენ სამფლობელოდ გქონია. რამდენიც გშორავ, ივდენი შენის ალტრფობის ცეცხლი მიძლიერდება. ეს ჩემი გული სწორეთ შენ საპყრობილედ მაქვს და ასე მგონია, რომ მას შიგანა ხარ ჯაჭვებით დამწყვდეული და შენი იქიდგან გამოსვლა თავის დღეში აღარ იქნებამეთქი.

თუ ღმერთი გნამს, გებრალეობდე. შენს თავს ისე ნუ შეაწუხებ, როგორც რომ გიყვარვარ. – ეს მცირედი წერილი იკმარე. – შენი სახე, და ყმანვილებისა, რომ გითხარ, პავლეს სთხოვე! ისე დახატვინოს, და გამამიგზავნოს. თუ ჩემი გარემოება გინდა, ხომ ბატონიშვილის წიგნითაც შეიტყობ და მაშ, რაც ჩვენთვის საჭირო არის, ისეები მივწეროთ ხოლმე ერთმანეთს. –

მამაშენს, და დედაშენს² უმდაბლესად მშობლიურის სიყვარულით მოკითხვას მოგახსენებ. – შენს ძმას პირს ვაკოცებ.³ პატარა ჩვენის ბალების მშვიდობით ყოფნას ღმერთსა ვთხოვ. – იმედისეული მომიკითხე⁴ და სხვა შენი კერძობანიც.⁵

ბეზობრაზოვი⁶ აქ, სტავროპოლში, გავიცან, და მთხოვა წიგნი რომ მისწეროთო, მარი ივანოვნა,⁷ თქვენი მეუღლე ყმანვილებით მამიკითხეთო, რა საუცხოვო კეთილშობილი კაცი ყოფილა. – მშვიდობით კატიმო.

შენი ალექსანდრე

23-ს ივლისს. 1834-ს.
სტავროპოლით.

17. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლე კატიმო!

ჩემ სანუგეშოდ მიმდევ შენი სიყვარული, და მით ვიცოცხლებ. ოდესცა დავდუმდები, და სრულიად წარმოვიდგენ შენს სიყვარულს, მაშინ ვითარსა დატკობასა და განცხრომასა შინა ვცურამ. სიხარული და სიცოცხლე აუარებით ესხმის საწყალს ჩემს სურვილით დამწარს გულს, და შემდეგ, ოდესცა განვიღვიძებ ფიქრ მოცული, მაშინ ვხედავ, რომ ამაოდ შემქმნია და ამასთან მომივიღის აღტრობილი აღზნება. ახ! კატიმო ეს ორნი მომსევიან, და მლახვენ, *ერთი* სიცოცხლითი სიყვარული, და *მეორე* აღზნებითი ტროფობა. – მე ვგონებ, რომ ესრეთ შეპყრობილი არც ყოფილიყოს, არც იყო, და მომავლობდეს, მაგრამ მეკი ვარ. – მშვიდობით, მშვიდობით ჩემო ცხოვრებაო.

შენი ალექსანდრე

სარქისამ ხელ კოცნა მოგახსენათ.¹ მშვიდობითა და კარგათ არის.

მამაშენს, და დედაშენს² უმდაბლესად მოკითხვას მოგახსენებ, და ღმერთსა ვთხოვ მაგათ მშვიდობას; ზალს პირს ვაკოცებ.³ აბა ახლა გამოუჩნდება შენი ძმობა. პატარა ჩვენ ბალებზე მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. – იმედისეული მომიკითხე⁴ და ეგრეთვე სხვა შენი კერძობანი.

25-ს ივლისს. 1834-სა.
ჩერკასკით.

18. ქაბტარინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლე კატინო!

მე რომ შენის ოთახიდან გამოველ, ამ დროს შენი ქვითინის ხმა გავიგონე, ¹ ეხლაც ის ხმა ყურთ მესმის და გული მიწყლულდება, არ ვიცი რა მოგწერო, იმ ღამეს ცრემლით გავათენე ბრიჩკაში² და ხშირათ ვიყურებოდი უკან, მაგრამ უფრო სასიკვდილოს სისხლით მემსებოდა გული. მე სასიხარულოთ აღარა მექნებარა, თვინიერ ამის მეტი, რომ ნაცვლად შენისა, სულთქმა და ოხვრა ნუგეშად მექმნება და მაქვს, ეს მცირე წერილი იკმარე, დიახ სწრაფათა ვწერ. – ვახტანგს და ძალუას³ პირს ვაკოცებ ეგრეთვე შენს ძმას⁴ და ჩვენს ყმანვილებსაც.⁵

მამაშენს, და დედაშენს⁶ მოკითხვას მოვახსენებ. –

შენი ალექსანდრე

[1834]

19. თაკლე ბატონიშვილისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ დედავ.

მესამე წიგნი ხომ ახლის ჩერკასკიდან მოგართვით, 25-ს ივლისს დაწერილი, და ამ *მეოთხეს* წიგნს სარატოვიდან გწერთ, 31-ს ივლისს, რომელნიც ეს ქალაქი ერთმანეთს ჰპორვენ *ცხრა-ასს* ვერსტს. – ჩვენ ჩერკასკიდან გამოვედით 28-ს ივლისს, დილის მეხუთე სათზე, და აქ ივლისის 31-ს რიცხვს, დილის მექვსეს სათზე გაიხელით. ვგონებ, ეს სწრაფი სიარული საკურველი იყოს. მე მგონი ეს ქალაქები გვაბრკოლებენ, თორემ აქამდის ორენბურღს მივიდოდით. მეტათ კარგნი და მშვენიერნი ქალაქები ყოფილა, ყოვლის სიკეთილით სავეს. – ამ ქალაქშიც ვგონებ ოთხი დღე დავყოთ. სადილს უკან ვოლგაზე გაიხლებით ლოტკით. უნდა შევექცეთ, მაგრამ მე არ ვაპირებ წასვლას. ალექსანდრე ოსეფიჩი¹ არ მეშვება. სწორეთ მოგახსენო, ბევრი სამხიარულო, და სასიხარულო შესაქცევები არის, მაგრამ უთქვენ რძალს ეკატრინეთ არა მაქვს რა სასიამოვნოთ,² ყოველი ჩემი სიხარული ეგ გახლავთ.

სხვა რალა მოგახსენოთ, ღვთით სრულებით ასე კარგათ გახლავარ, თქვენს თავს ვფიცავ, რომ ფჩხილიც არ წამამტკივებია, და შემდგომაც ღვთისგან ვსასოებ, რომ მარადის მშ-

ვიდობით ვიყო. – ეს მცირედი წერილი იკმარეთ. ყოველს ჩემს დანვრილებით ამბავს ორენბურლიდგან მოგწერთ. ეხლაც მოგახსენებდით, მაგრამ დასასრულს ველი, ვნახო ჩემი გზა ვითარ დაბოლოვდება და მაშინ უფრო სასიამოვნოთ წაიკითხავთ. – ღმერთსა ვთხოვ, რომ მშვიდობით იყოთ, ისე ვითარცა მე მიიდა.

ჩემ ძალუა მარი ივანოვნას უმდაბლესად ხელს კოცნას მოვახსენებ,³ და პატარა ლიზიკოს ვაკოცებ⁴ და ღმერთსა ვთხოვ, თავის სათნოს ქვეშ აღზარდოს. – ჩერკასკიდგან წიგნი მივწერე დიმიტრის.⁵

ჩემ ძმას ვახტანგს პირს ვაკოცებ,⁶ ძალიან არ ინატრებს, რომ ნეტავ ლოტკით მე მატარაო.

ჩემს სასურველს დას მაკას ათასობით პირს ვაკოცებ;⁷ ეგრეთვე თამარს სიხარულით დავკოცნი.⁸

ძალუა ბაბალეს ხუმრობით მოვიკითხამ.⁹

მოხუცებულს ჩემს გამდელს დედაშვილურის სიყვარულით მრავლად პატივისა ვცემ.¹⁰

ნაისახარს და ვარდისახარს მოკითხვას უძღვნი.¹¹

თქვენს კერძობას ერთობით მოვიკითხამ.

თქვენი ძე **ალექსანდრე**

„31-ს“ ივლისს, 1834-ს წელსა.

სარატოვით.

ალექსანდრე ოსიფიჩმა უმდაბლესად მოკითხვა მოგახსენათ, და უფრო და უფრო ჩემს სიამოვნეს ცდილობს. თქვენ რძალს ეკატერინეს უბძანეთ, რომ ერთი კარგი ქართული აბრაშუმის ქამარი, და ერთი ოქრომკედის თამბაქოს ქისა მოუქსოვოს კარგები, და როცა გიახლოთ მანდ ჩემის წიგნით, მაშინ ისინი უთავაზოს.

20. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

სიცოცხლეო ჩემო კატინო!

ორენბურლის ქალაქს მოვედი შენი სურვილით, და სიყვარულით აღტრფობილი. ვიცი ჩემს ვითარებას იკითხავ. ღვთით სრულებით კარგათა ვარ. – ჩემს ბატალიონში ვაპირებ წასვლას, სადაც დანიშნული ვარ, ამ ათს დღეზე. – ხედავ სოფელს, და იცნობ რა არის. აქავდის ერთი მინუტი მოგშორდებოდი ხოლმე,

და ის მინუტი ჩემთვის ძვირფასი აღმიჩნდებოდა, და ახლა სად მიმაგდო დაუდგრომელმა სოფელმა. ეჰ, ღვთის ნება იყოს, უღვთოთ არა იქნებარა. უნდა მივითმინოთ. მხოლოდ ამას გევედრები, შენის წიგნით მანუგეშე ხოლმე. თუ ჩემი სიცოცხლე გინდა და შენს გულს ნუ დაივიწყებ, შენს სა...¹ – გეთაყვანე, ყოველი ჩვენი სახლის გარემოება დანვლილებით მამწერე. რას მდგომიარებაზე დაშთა. ეს წერილი იკმარე და, ვიცი, პავლე თავის წიგნს წაგაკითხვებს² და, რაც ეწეროს, უთუოთ სწრაფათ გამამიგზავნეთ.

საუცხოვო ფარფორის ალუბლის ფერი *ექვსი* ფინჯანი, *ერთი* ჩაინიკი, *ერთი* შაშაქრე, კიდევ თავისი განწყობილობით შენ მოგართვი. – *ოთხი* პატარა წვრილი ფინჯნები, რადგანც ჩვენს სახლში *ოთხნი* წვრილნი ყმანვილნი არიან: დარია, დათიკა, მაიკო³ და ლიზიკა.⁴ ამ ოთხთ თითო ჩემაგიერ დაურიგე, და ეგ ერთი თლილი ბროლის ფინჯანი, ჩემაგიერ ჩემს პატარა დათიკას იმ წითელს ფინჯანზე ეს მომატებული მიეცი, ჩემაგიერ ჰქონდეს. ვიცი, პატარა ქალებისთვის საწყენი არ იქნება, რომ ეს მომატებული ბროლის ფინჯანი დათიკას ჰქონდეს. – შენ ნუ მამიკვდები, მაგ ქალებსაც ბროლის ფინჯნებს გამოუგზავნიდი, მაგრამ მაგ ერთის მეტი ვერ ვიშოვნე.

ერთი კარგი ახალი მოდის, ჩეფჩიკი ძალუა მარი ივანოვნას მოვართვი.⁵

ჩემ სიმამრს, და ჩემ სიდედრს⁶ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ და ღმერთსა ვთხოვ მაგათ მშვიდობას. – ზალს პირს ვაკოცებ.⁷

ჩვენის პატარა შვილების მშვიდობას და სიცოცხლეს ღმერთსა ვთხოვ.

იმედისეული მამიკითხე,⁸ ეგრეთვე სხვა შენი კერძობანი.

სარქისამ მუხლთ კოცნა მოგახსენა,⁹ დიდათ მასიამოვნებს, და კარგათ მემსახურება.

ჩემი ნათესავები, რომელნიც ჩემგნით მოკითხვას მიიღებდენ, უმდაბლესად მოკითხვა განუცხადე ჩემ მაგიერ.

კატიწო, ალექსანდრ ოსიფიჩს პატივსა სცემდე ხოლმე.¹⁰ მერწმუნე, დიდათ დამავალა, მრავლის ჩემის სიამოვნით. სადილი გაუკეთე, და დაჰპატიჟე, მამაშენსაცა ვთხოვ დაჰპატიჟოს, ეგრეთვე პავლესაც. – და რაც ადრე მოგწერე, ისინი მოუქსოვე, და უთავაზე.¹¹

მშვიდობით ჩემო სიცოცხლე. ხშირათ მოგივა ჩემი წიგნი.

შენი ალექსანდრე

„13-ს“ აგვისტოს, 1834-ს

ქ: ორენბურლით.

კატინო, ბატონიშვილი თუ მანდ აღარ ბძანდებოდეს, ეგ მისი წიგნი გახსენით, და წაიკითხეთ, და ისეე დაბეჭდეთ და გაუგზავნეთ, და თუ ისეე მანდ ბძანდებოდეს, მაშ ჩემს ვითარებას ხომ იმის წიგნითა სცნობთ.¹²

21. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო კატინო!

ჩემი ნუგეში ეს არის, რომ ყოველს ფოშტაში¹ ჩემს წიგნს მოგწერ. სხვა რა უნდა მოგწერო, თუ არ შენი ტრფიალება. თუ იტყვი, თავის ვითარებას და ამბავს რატო არ მწერსო, რათ გინდა, ჩემს ვითარებას ბატონიშვილის წიგნით, და ან პავლეს წიგნით ხომ შეიტყობ.² მაშ, ნება მამეცი, რომ ყოველთვის შენი ტრფიალება ვილაპარაკო. – გუშინ ორენბურლის საგულაოს ადგილს ვიყავ. მთელი ქალაქი, კაცნი თუ ქალნი იქ შექცეოდნენ. მეც ვითომც შევექცეოდი. და მრავალთა მშენიერთა ვსჭვრეტდი, მაგრამ გულსკი ათასი საგმირელი რალაც ხვდებოდა, და შესაბრალისად მძგერდა და ეჰ, მერწმუნე, აღარა მინდარა ვთქო. მწარედ ფიქრ მორტყმული დავდიოდი. შემდეგ მიველ და ერთ სკამზე დავეგდე. გულხელდაკრეფით უყურებდი ამლელს, და ჩამლელს. მცირეს ხანს ვიჯექ, გულმა ვეღარ გამიძლო, ავდექ და სწრაფათ წამოველ. მოველ სახლში დიადის ოხვრით, შენ ნუ მამიკვდები, მე სასიხარულოთ არა მაქვსრა. – ახ! ნეტავ კიდევ გნახო, რომ ჩვენ ბაღში ორნი მთვარიანს მაისის ღამეს ჩვეულებისამებრ შევექცეულიყვნეთ. ღვთით და ხელმწიფის წყალობით, ვგონებ, ჩქარა გვეღირსება. – მამაშენს, და დედაშენს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ და ღმერთსა ვთხოვ მათ მშვიდობას. – ზალს პირს ვაკოცებ.⁴

ძალუა ბარბარეს⁵ სიყვარულით მოვიკითხამ.

შენი და მამიშენის კერძობანი ერთობრივ მამიკითხე.

სარქისამ მუხლთ კოცნა მოგახსენათ.⁶

კატინო! აქ პოლიცმეისტარის ძმასთან ვდგევარ, და ყოვლით ცდილობს ჩემს სიამოვნეს, ასე რომ თავის საკუთარს ოთახში მე დამაყენა, და თითონ სხვას ოთახში დადგა. ამისთვის პავლეს სთხოვე, რომ ერთი კარგი ბუზმენტიანი ჩოხა შეაკერვინოს და საჩქაროთ გამოგზავნოს. – ჩემო კატინოჯან, ეს პოლიცმეისტარი მოსკოვის კარგი კეთილშობილი არის.

შენი **სანდრო**

კატინო! კაბის ტანი კი დამავინყდა. ის კაბა საპოჟნიკს სვიმონას ტანზე შეაკერვინოს,⁷ მაგრამ ტანში დიახ ცოტა ვინროთ დაიჭირონ.

„20-ს“ აგვისტოს, 1834.

ქ: ორენბურლით.

22. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეე კატინო!

შენმა სურვილმან კიდევ ვერ მამათმენინა და გწერ სრულსა სიყვარულსა. – შენ, ჩემო ზეციურო ანგელოზო, და მეგობარო, თუმცა მე მოგშორდი, გარნა ჩემს გვამის ბუნებასა შინა განისვენებ შენის კეთილშობილურის სიმშვენიერებითა, და მე უკვდაებად გსომ მარადის. – გუშინ, სალამოს ჟამზე, ურალის წყალის პირზე წარვედ მარტო, რომლისამე ჩემის მცირედის აღტყინებულის ტრფობის მოსაკვლელად. – მიველ, და ერთ ხის ძირის მწვანე ბალახზე დავეგდე სულთქმით, და განცვიფრებით ვჭვრეტდი წყნარსა ურალსა. ამა ბუნებამან მომიცო, და ნამდვილი ჩემი სიცოცხლეე წარმამიდგა თავის წარწარის აგებულებითა, და დაუნყე აღერსით უბნობა ესრეთ: – მოვედ ჩემდა, ჩემო მეგობარო, ჩემო დაო, ჩემო ძმაო, ჩემო მშობელო, ჩემო მეუღლეო. – ჩემო კატინო, მოვედ შენის მეუღლისადმი საცოცხლებელად და საცხოვრებლად, მოვედ, და აჰა განვუყარ ხელნი შესაპყრობლად, რათა შეხვევითა გულსა მიმეყრდნა, მაგრამ თვინიერ ჰაერის მეტი ვერარა ვუყარა და ესრეთ მკვდარი მყისვე შემოვიქეცი. კარგია, ნულარას მათქმევიანებ, დასასრულზე სცნობ ვითარ მაქვს შენი სურვილი.

ზევით ურალს ვაპირებ წასვლას, იქნებ ხშირათ ველარ მოვინერო და ამისთვის გთხოვ მაპატიო.

ჩემ სიმამრს, და ჩემ სიდედრს¹ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ. ზალს პირს ვაკოცებ.²

ჩვენი პატარა შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.³

იმედისეული⁴ მამიკითხე, ეგრეთვე სხვანი. – სარქისამ მუხლ კოცნა მოვახსენა.⁵

შენი **სანდრო**

„26-ს“ აგვისტოს, 1834.

ქ. ორენბურლით

მამიდა გუქას უმდაბლესი მოკითხვა შეუთვალეთ ჩემაგიერ,⁶ ეგრეთვე ჩემ მამიდასშვილებს, ძალუა ბარბარეს⁷ სიყვარულით მოვიკითხავ.

თადია სიყვარულით მამიკითხეთ თავის ცოლ-შვილით.⁸ – შენ-გაზდას კატინო, მამიდაშენი ბარბარე უმდაბლესად მამიკითხე,⁹ ალექსანდრე სუმბათოვიც მამიკითხე.¹⁰

23. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლევ კატინო!

ყოველს ჩემს გარემოებას პავლეს წიგნითა სცნობ¹ და ახლა ზღვის ჰაერი უნდა ვსუნთქო, მარადის შენ მოგიგონო. სულ ახლა სხვა სურვილით გეტრფიალები. იქნება ფიქრობდე, რომ ნეტავი ახლა ის რასა ფიქრობსო. მერწმუნე, როცა ამას იფიქრებ, იცოდე, რომ შენ გფიქრობ, და შენ საგონებელში ვიქნები. – ახ! კატინო რა გულის წმიდით ვანბობ, ნეტავი ერთი კიდევ გნახო და მაშინვე რომ მოვკვდე, მერწმუნე, რო არას ვინალვლი.

კატინო, შენ გეთაყვანოს ჩემი სიცოცხლე, რომ პავლე დიას სწრაფათ გაბეჯითე, რომ საჩქაროთ გამამიგზავნოს ფული, თორემ შენ ნუ მამიკვდები, ჩემი ვითარება ძნელათ იქნება, რაღას გეხვეწო. – ეს მცირედი წერილი იკმარე.

შენ ძმას ზალს პირს ვაკოცებ² და მაგის მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. – ჩვენი შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.³ – ვწუხარ, რომ თქვენი ამბავი არა ვიცირა.

იმედისეული მამიკითხე,⁴ და ეგრეთვე შენი კერძობანი.

კატინო, როცა ნიგნის მონერა გინდოდეს, აქ, ორენბურლსვე, მამნერეთ ხოლმე. აქ მითქომ, სადაც ადგილი არის, იქ გამამიგზავნიან.

სიცოცხლევ, კიდევ გთხოვ შენსას და შენი შვილების პატრეთს,⁵ გთხოვ საჩქაროთ გამამიგზავნოთ.

შენი **სანდრო**

„4-ს“ სენტემბერს. 1834-ს.

ქ: ორენბურლით.

24. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო კატინო!

ჩემს ვითარებას პავლეს ნიგნითა სცნობ, ¹ მაგრამ შენს სიყვარულს მარადის მე ვგრძნობ, და მით ვცოცხლებ. გეთაყვა, ნუ დამივიწყებ, და გახსომდე. – შენი ჭირიმე ფული საჩქაროთ.

მამაშენს, და დედაშენს უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ,² ზალს პირს ვაკოცებ.³

ჩემ საყვარელს დას მაკას თავის შვილებითურთ პირს ვაკოცებ.⁴

ძალუა ბარბარეს სიყვარულით მოვიკითხავ.⁵

ჩვენი პატარა შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.⁶

ჩემ მოხუცებულს გამდელს⁷ დედაშვილურის სიყვარულით მოვიკითხავ.

ნანისახარს, და ვარდისახარს მრავლობით მოვიკითხავ.⁸

კერძობას ერთობით მოვიკითხავ.

სიცოცხლევ, ეს მცირე წერილი იკმარე, დიახ საჩქაროთა ვწერ.

შენი **სანდრო**

„22-ს“ სენტემბერს. 1834-სა.

ალექსანდროვკით.

25. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისა და ზაალ ბარათაშვილისადმი

ჩემო სიცოცხლე კატინო!

შენი სამი წიგნები მამივიდა ერთათ, და ასეთსა სიხარულსა შინა აღმიყვანა, რომ არ ვიცი, რა უნდა მექნა. ეს შენი წიგნები გულსა ზედა მაქვს დაკიდებული და ისე გიჟსავით დავდივარ. მე შენ ასე მიყვარხარ, რომ გამოთქმა ძნელია, მხოლოდ ჩემი გულის მეტი სხვა ძნელად იტყვის, და შენ კი ეჭვებით ავსებ შენს ფიქრს. შენმაგაზდა, ჩემთვის კიდეც სასიამოვნო არის, რომ შენს ცუდს ფიქრებს გულით იღებ, მაგრამ ესკი მკლავს, რომ შენს გულს ანუხებ. კარგი, ოღონდ ნუ შანუხდები, და აღარც წიგნს მოვწერ და აღარც მოკითხვას. მე საიდუმლოთ იმისთვის არ მამინერიარა, შენი ნათესავი იყო, შენ დავგვაახლოვე, ჩემი ბრალი ხომ არ არის. კარგი, მერწმუნე, აღარ მივწერ. – ამასთანავე იწერები, ვითომ მე შენთვის იმ აზრზე მამენეროს, რომ ვითომც მე იმისთვის ვიხედებოდი უკან, რომ მე სხვების მომლოდინელი ვიყავ. ეგ ამასა გავს, რომ აქ ჩემთან ერთ ღამეს ჩაიზე ერთ ყაზახის აფიცარი იყო, შანპანსკიზე რალაც საქებური ლაპარაკი შემოვიდა. მასკვან ყაზახის აფიცარმა თქო: ახ, შანპანსკი რა კარგიაო. შემდეგ მე მითხრა: მოდი, კნიაზო, თითო ბუთლიკაზე¹ დავნაძლევედითო. – მე უთხარ: კარგი იქნება მეთქი. – და დავნაძლევედით. სამი დღე არ გამოვიდა, რომ მოუგე. მერეთ იმან მითხრა: კნიაზო, შინ წადით, ეხლავ მოვიტანო. მე დიახ სიხარულით წამოველ, და დიდის მოთმინებით ველოდი შანპანსკის. მცირეხანს უკან აფიცარი მოვიდა და ერთი ბუთლიკა სტოლზედ დადგა. შევხედე, რომ ცარიელი იყო. მე ვკითხე: ეს ცარიელი ბუთლიკა რა არის მეთქი? – იმან მითხრა: მე და თქვენ თითო ბუთლიკაზე დავნაძლევედით, და ემანდა თქვენი სანაძლევეოვო. – მე რალა უნდა მეთქო, ბევრი ვიციწე, და მასკვან უთხარ: არ ვიცოდი, თორემ ხელწერილით შევიკვროდი მეთქი. – ამისი არ იყო, მე სწორეთ დავდივარ, შენ ასე გგონია, თავდა ყირა დავდიოდე. – აბა ეგ ბატონიშვილთან² რვეული რომ არის წიგნათ, კარგა გულის ხმით წაიკითხე, ვითარ მიყვარხარ. შენ ნუ მამიკვდები, შენთანაც მინდოდა ცალკე მამენერა, მაგრამ მოცლა არა მქონდა, და შენ მაგისი პირი გადა-ალებინე შენ ძმას³ და კიკოს,⁴

და ეგევეკი დიახ საჩქაროთ მიართვი ბატოიშვილს, მაგრამ გაფრთხილდით, რომ არ გასვართ.

ჩემს ამბავს პავლეს წიგნითა სცნობთ.⁵ ერთს კარგ ლექსს ვაკეთებ, რომელიცა მეორეს წიგნში მოგივა.⁶ კატინო, ფულს არ გამამიგზავნით, არა განა, თქვენ იცით.

კატინოჯან, გეთაყვანოს ჩემი თავი, მაგ ბატოიშვილთან რვეულს ნუ წაიკითხავ. შენა, პავლემ, შენმა ძმამ, დედაშენმა და მამაშენმა,⁷ და კიდევ მანდ შინაურებმა, ერთათ შეიყარენით და ერთმა კარგმა წამკითხველმა წაიკითხოს, და შენ თუ ცალკე წაიკითხამ, მაშინ ყველას უანბობ და ლაზათი წაუვა, და თუ არავის არ უანბობ, მამ წაიკითხე. გეთაყვანოს ჩემი თავი, როგორცა მწერ ისე აღასრულე. – აბა სიყვარული აგრე უნდა, და შენმაგაზდამ სწორეთ აგრე მიყვარხარ. მე უშენოთ აღარ მინდა სიცოცხლე, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ხელმწიფე იმპერატორი თავის უმონყალესს გულს ჩვენზე მოაქცევს.

სხვა რა მოგწერო. ღვითთ მშვიდობითა ვარ, სერგეი გაბრილიჩის დიდათ უყვარვარ,⁸ და რაოდენ შეიძლება, კარგათ ვატარებთ დროს.

სანყალს ჩემს გამდელს⁹ დედაშვილურის სიყვარულით მოვიკითხამ.

პატარა ჩვენს ცუცუნა შვილებს,¹⁰ პირს ვაკოცებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.

კერძობანი ერთობრივ მამიკითხე.

შენი ჭირიმი, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, ხშირათ წიგნი მამწერე.

კატინო! შენ ნუ მამიკვდები, მხატვარი სულ არ არი აქა, თორემ აგრე როგორ გავძალღებოდი, რომ ჩემი საძაგელი სახე არ გამამეგზავნა.

ეგ ლურჯი ქალღი კარგათ გასწორებით გაშალე, და ღამე სათლები რო ანთოთ, სანთელი კედლის მოშორებით სკამზე დადგით, თუნდა ადლნახევარიმეტი. არა და ეგ ლურჯი ქალღი კედელთან ერთ მტკაველზე გაშლილი მიტანეთ თავით მაღლა, სანთლის პირდაპირ მიტანეთ და კედელზე ნახამთ, რაც სახე გამოვა. თუ იმ კაცს გვანდეს მაგისი სახე, სხვა მაგისთანა მაგაზე გამოსჭერით, და ბატოიშვილსაც გაუგზავნეთ.

მშვიდობით სიცოცხლე.

შენი სანდრო

6-ს იანვარს. 1835-ს.
ალექსანდროვკით.

სარქისამ თაყვანის ცემა მოგახსენათ ყოველთ, დიახ კარგათ გახლავთ და კარგათ მემსახურება.¹¹

ძალუა ბარბარე¹² სიყვარულით მამიკითხე, არ ვიცი, რას მემდურის.

საყვარელო ძმაო ზალ,¹³

შენგნით მოწერილი მოკითხვა დიახ სიამოვნით და სიხარულით ნავიკითხე. ბიჭო, განა არ გეკადრებოდა, რომ ცალკე წიგნი მოგენერა. ღმერთსა ვთხოვ შენ მშვიდობას, და ჩქარა ნახვას. ნუ დამივიწყებ. ახლა შენ იცი, როგორც შენ დას გაუფთხილდები. – მამიდაშენი უმდაბლესად მამიკითხე, ქაიხოსროთი.¹⁴

შენ გაზდას თამაზ¹⁵ მამიკითხე.

შენი ძმა ალექსანდრო

26. კაბატარინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო კატინო!

ხომ კარგათ დარწმუნებული ხარ, როგორ მიყვარხარ, და გული დაჯერებული გაქვს შენს სიყვარულზე, და ირწმუნე, რომ ველარცკი გამამითქომს შენი სიყვარული ასეთს მაღალ ხარისხზე მიყვარხარ, მაგრამ ახლა სხვა გითხრა, თუმცა საჭიროდ არა ვრაცხ თქმასა, და თვითონ შენც ჭკვიანი დედაკაცი ხარ, და შეგიძლიან, რომ ავი და კარგი ცხადად დაინახო, მაგრამ ესეც ვიცი, რომ ჩემი დარიგებაც არ გენყინება, ამისთვის, რომ შენ არამც ქმრობით გიყვარდე, არამედ დარწმუნებით ვიცი, რომ მეგობრულათ მიცნობ. აი ჩემი თქმა ეს არის.

შენ ყმანვილი აღარა ხარ, ნამეტნავათ ეხლა. როგორც კარგმა დურგალმა ხე კარგათ გარანდოს, ეგრეთვე შენი კეთილი გონება მარდს შენს გულსა ზედა უნდა უსოვდე და კეთილს გონიერებით გულსა სწმენდდე, თორემ თუ ადამიანი გულს აჰყვა, გონებას დაბრმავებს, და ველარას ნივთს ველარ გარჩევინებს. აი კიდევ მაგალითი გითხრა: კარგი ჭანდრაკის მოთამაშე ჯერ კაცებს

დააწყობს, მასკვან იფიქრებს და მერე ისე ითამაშებს. ისე ადამიანი არის. თუ ადამიანი უფიქრელათ საქმეს დაიჭერს, ავსა და კარგს არ გარჩევს, შემდეგ უთუოთ წაწყდება. ამისთვის იმედი მაქვს, რომ შენის გონებით მარადის პატიოსნათ მოიქცევი, და არვის არ ათქმევინებ, რომ აი ქმარი უცხოს ქვეყანაში ჰყავს, და იმის ცოლს კიდევ უხარიანო. ესეც კარგათ იცოდე, რომ ყოველი ადამიანი ამ სოფელში თავის პატიოსნებისთვის ცოცხალა. თუ პატიოსნებას შეურაცხ ჰყოფს, იცოდე, რომ ის ადამიანი პირუტყვს ემზგავსება და მას ცოცხალს მკვდარს დაუძახებენ. ნამეტნავათ შენ რა პატიოსნებითი ქცევა გმართებს, ამისთვის, რომ ყოვლის ბედნიერებითი სავსე ხარ. მაგისტანა დედმამანი, მაგისტანა ძმა, მაგისტანა შვილები და მაგისტანა უზრუნველი ცხოვრება. აბა ესენი მარად თვალნინ გქონდეს წარმოდგენილი, და მაშინ ვიმედოვნებ, რომ დიას კარგათ და პატიოსნათ მოიქცევი. – ამასაც ვიცი, რომ იტყვი, დიდი ეჭვიანი არისო. არა შენმამიკვდები, ვგრძნობ და უნდა გითხრა და ახლა შენ იცი.

დედაშენს და მამაშენთან¹ წიგნი ველარ მოვასწარ, რომ მამენერა, და უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ, და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. – ზალს ათასობით პირს ვაკოცებ.² რა დაგემართათ, ქორწილი უყავით თუ არა.³

ძალუა ბარბარე⁴ სიყვარულით მამიკითხე.

მოხუცებული ჩემი გამდელი⁵ დედაშვილურის სიყვარულით მამიკითხე.

კერძობანი მამიკითხე.

კატინო, ნუ დამივიწყებ.

შენი ალე

„11-ს“ მარტსა, 1835-სა.

ალექსანდროვკით.

მამიდაშენს ბარბარეს⁶ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ.

27. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისა და დავით ბარათაშვილისადმი

ჩემო სიცოცხლო ეკატერინე!

შენი წიგნები მივიღე, რომელშიაც შენი მშვიდობის გან-
თავისუფლება მოგეწერა, და ქალის ყოლა.¹ იფიქრე, ვითარსა
სიხარულს მივიღებდი შენი მშვიდობისთვის. ღმერთმა თავ-
ის საფარველს ქვეშ აღზარდოს ეგე ახალ შობილი, და მაგაზე
უფროსებიც.²

ახ, ჩემო კატინო! როდის მეღირსება შენი ნახვა, რომ პატარა
შენის ყურებით ჩემს გულს ესიხარულოს. ნეტავ მითხრა ის დღე,
რა დღე იქნება ჩემთვის. ნეტავ ერთი კიდევ გნახო და მასკვან
თუნდა მოვკვდე, არას ვინაღვლი.

კატინოჯან, ფულები გეთაყვანე, რა გაგიხდათ. თუ საჭირო
არ იყოს, განა ტყუილათ დავიბარებდი.

მშვიდობით ჩემო ცხოვრებავ. ღმერთსა ვთხოვ შენსას და
შენი შვილების მშვიდობას, რომ მარადის ჩემს ყურებს თქვენი
მშვიდობა ესმოდეს.

მამიდა ბარბარეს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ, და
ღმერთსა ვთხოვ მაგათ მშვიდობას.

კატინო, შენს წიგნს ნუ დამაკლებ და ხშირათ მამწერდე, თუ
ჩემი სიცოცხლე გინდა.

შენი ალექსანდრე

29-ს ივნისს. 1835-ს.

ორენბურლით.

ჩემო სიმამრო და მამავ დავით!⁴

თქვენი წერილი მივიღე, რომლისათვისაც მადლობას მოგახ-
სენებ, და თქვენი მშვიდობისათვის ღმერთს მადლობა შევწირე.
ვიცი, ჩემს ამბავს მოიხსენიებთ. ღვთის მონყალებით დიახ კარ-
გათ გახლავარ. ზალის ქორწილებისათვის მეტათ ვისიხარულე,⁵
და მოგილოცამთ მის ქორწინებას. ღმერთმა ასე შეაბეროს ერთ-
მანეთს, ვითარცა თქვენ, მშობელთ, გსურდეთ. ოჰოჰოჰო, ჩემ
სიდედრს დიდი ყოფა არ ექნება, ბევრჯელ არ შავა და არ გავა
ბალკონზე. თვალთ წინ მიდგას ჩემი სიდედრის სიხარული. მარ-
თებს კიდევ. ჭეშმარიტათ და უმდაბლესად მოკითხვას მოვახ-

სენებ. – ახალ მექორწინებთ პირს ვაკოცებ, ვინძლო ჩემსავით ერთ წლის თავზე ბიჭს გაკეთებენ.

გთხოვთ თქვენს ამბავს ნუ დამაკლებთ.

თქვენი სიძე **ალექსანდრე**

28. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო ეკატერინე!

შენი წიგნი მივიღე ივლისის 19-სა, ივნისის 9-ს დაწერილი. ჯერ პირველად ღმერთს მადლობა შევწირე ბატონიშვილის მოძანებისათვის¹ და მშვიდობისათვის და მეორედ მწერ, ვითომც მე შენთვის მეთქოს, რომ არც შენ და არც მე ერთმანეთს ნურას ვკითხამთ მეთქი. დიახ მართალია, მაგრამ კარგი ეს არის, რომ მე სხვაზედ გითხარ და ახლა ის ნამდვილი აღარ მოგგონებია და სხვაზედ გაგიკეთებია. გახსოვს ჯორაშვილის სახლში² სადილების, და ვახშმების გაკეთება რომ იყო ხოლმე და მე რომ ნებას არ გაძლევდი მათთან სიარულისას, და შენ რომ დიახ გულმოდგინებით გინდოდა მათთან შექცევა, და მაინც ხომ ორჯელ იყავ მათთან. ამასაც ეუბნებოდი ჩემ რძალს:³ რა ვქნა, ჩემი ქმარი დიდი ეჭვიანი არის და არსად არ მიშვებსო და, მეორე, ყოველთვის დროშკით შესაქცევათ რომ დახვიდოდით, აბა წარმოიდგინე, ვის აუვლიდით და ვის ჩამოუვლიდით ხოლმე. მე შენ ამაებს გიშლიდი და არ მიჯერებდი. მაშინ გაჯავრებულმა გითხარ: კარგი, მამ ერთმანეთს ნულარ ვკითხამთმეთქი, და ახლა ის სიტყვა აღარ მოგგონებია და სხვაზედ გაგიკეთებია.

კიდევ მწერ, ამ ცამეტ წელნადში რით ვერ მიცანიო. ჩემო კატინო, შენ ხარ დიახ ჭკვიანი, შორს დამნახავი, ყოველი ნივთის გამრჩევი, და დიახ კეთილი, რომელიცა ამ კეთილობით შენ ჩქარა მასტყუვდები, და ჩქარა ენდობი ადამიანს. ხომ კარგად იცი, ერთის თვისებით ვცხოვრებთ მე და შენ. როგორც მე კეთილობით დავილუბე, ეგრეთვე შენი კეთილი გულით ჩქარა ენდობი ადამიანს, ამისთვის დიადი გაფთხილება გინდა შენა, და რათ უნდა გეწყინოს ჩემგნით.

კიდევ მწერ, დადიან და მლანძღვენო. ჩემო სიცოცხლეო კატინო, იმათ ხომ იცნობ, რაც არიან, და შენს სვინიდისაც ხომ იცნობ რა არის. მერწმუნე, რომ იმათი ლანძღვა იმათ ტუჩებს შორს არსად აღარ წავა. ამისთვის იმათი ტუჩები ტყუილათ

ნამხდარი იქნება და შენ არა შემოგეხებარა. გთხოვ ჩემო კატი-
ნო, თუ ჩემი სული ხარ, მოთმინებით და დიდსულოვნათ იყო.
ამის მეტს მე არას გეტყვი.

კიდევ მწერ შენი ს...⁴ მეგობარი ბევრს კეთილს საქმეს სთ-
ესსო. თუ ჩემი მეგობარი ხარ, ერთი წვრილათ მამწერე, რაებს
შვრება, რომ ერთი კარგათ ვიცინო. განა ეგ ასეთი რამ შეიქნა,
რომ კაცის დაკლებაც შეუძლიან. ჭეშმარიტად მერვეს საკურ-
ველებაში უნდა აღირიცხოს.

კატინოჯან, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მოითმინე და კიდევ
მოითმინე. ნურაფერზე ნუ მწუხარებ და ამის მეტს არას არა
გთხოვ, მაგრამ ნუკი ქვეშევშობ, ფანჯრის ამბავიც მამწერე.

ჩემ სიმამრს, და ჩემ სიდედრს⁵ უმდაბლესად მოკითხვას
მოვახსენებ, და მათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს პირს
ვაკოცებ.⁶ ჩვენი შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. კატინო,
მაგათ დაწვლილებით ამბავს რატომ არა მწერ.

შენი კერძობანი მამიკითხე. სარქისა⁷ კარგათ არის, და ხელს
კოცნა მოვახსენათ.

მშვიდობით ჩემო სულო. ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას.

შენი **ალექსანდრე**

23-ს ივლისს. 1835-ს.

ქ. ორენბურლით.

29. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო ეკატერინა!

აქამდის შენი პატრეთის¹ თხოვნით დავიღალე, და ახლა ბა-
ტოიშვილი დედაც შემანუხებინე, რომ მაგას ვთხოვე. ეკატერინე,
განა აგეთი მზე უნახავი შეიქენ, რომ შენი პატრეთის ხილვასაც
აღარ ვღირსვარ. მაგრამ ამ ჩემი გულის ამბავსკი აღარ კითხ-
ულობ, რას მდგომიარობაში იმყოფება, და ან შენს სიყვარულს
ვითარა გრძნობს. აქამდის ჩემდღემი არა მიწერია და ახლა შენი
სიყვარული ასე გამხურებია, რომ დანერილს სიყვარულს გიგზა-
ვნი ვითარ აღმგზვნია შენი სიყვარული. რომ სრულად იცოდე,
ვითარ უყვარხარ ამ ჩემს საცოდავს გულს, არამც თუ პატრეთს,

არამედ შენ პატრეთ აღმასით მოსჭედდი, და ისე გამამიგზავნიდი. კარგი ახლა, ნულარ გამაგრძელებინებ ყბედობას, ეხლა მაინც ეცადე, რომ საჩქარო გამოაგზავნინო შენი პატრეთი.

შენი **ალექსანდრე**

ჩემ სიმამრს, და ჩემ სიდედრს² უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ, და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს პირს ვაკოცებ.³

თქვენი კერძობანი მამიკითხე.

სარქისამ ხელს კოცნა მოგახსენათ.⁴

„30-ს“ ივლისს. 1835-ს.

ქ. ორენბურლით.

30. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო ეკატერინე!

დაგინიჟნია, რომ მიყვარხარო, შემაგაზდამ, და ღმერთსა ვფიცავ, რომ მეთასედი ის სიყვარული არა გაქვს ჩემი, როგორც მე შენ მიყვარხარ. თუ მე გიყვარდე, მშიერს არ მამკლავთ და ფულს გამამიგზავნიდი, არამც თუ ფული მივიღე, არამედ კიდევცა მწერ, რომ ვითომც ბევრს ვხარჯამდე და იყვედრები. კარგათ უნდა იცოდე, რომ ეს სიყვარული არ არის. არა გეცხარ აქ ერთი კეთილშობილის ცოლს, რომ ამის ამბავი მოგწერო, მაშინ იტყვი, აი, მართალი და ჭეშმარიტი სიყვარული ესა ყოფილაო. მე ამის მეტს აღარას მოგწერ.

დედაშენს, და მამაშენს¹ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ. ზალს² თავის ცოლით პირს ვაკოცებ. ჩვენი შვილების³ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.

თქვენი კერძობანი ერთობით მამიკითხე.

ალექსანდრე

„13-ს“ აგვისტოს. 1835-ს.

ქ: ორენბურლით.

31. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლო ეკატერინე!

შენი სიყვარულით აღვსილი წიგნი 13-ს სექტენბერისა წავიკითხე, რომელმაცა ხან დიდათ შემანუხა, და ხან მრავლის ნეტარებით აღმავსო. – სხვათა შორის მწერ: „ოჰ, რა ნისია წიგნებს ინერებო...“ – განა მე ასე ნისიათ მიყვარხარ, რომ ამ საყვედურსაც ველირსე. შენ დარწმუნებით იცოდე, მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს და მხოლოდ ეს სიტყვაცა რომ მოვიხსენო ხოლმე, შენი ალე... მხოლოდ ამ სიტყვასა ზედა, ჩემი სრული სურვილი ზედ დაქცეული იქნება, არამც თუ ჩემო სიცოცხლო ეკატერინესა ზედა. ვგონებ ნაიკითხე სიყვარულსა ვითარა ვგრძნობ. ბევრი საუკუნოები გავა, რომ ჩემი სიყვარული ვერავინ ვერ გამოთქოს, თვინიერ ჩემი გულის გრძნობის მეტმა. ჩემო ბედნიერების ვარსკვლავო! შენ ნუ მამიკვდები, არ იცი, ვითარ მიყვარხარ და ვითარ ვაფასებ შენს სიყვარულს.

აბა ეგ ლექსი ნაიკითხე, რომელნი პირები არიან მანდ გამოყვანილნი.¹

მანდ დავმღერ ნაზ ნიკნიკა ტინაბანს,
ვიტყვი მოვედ სად არია ჩემსა ბანს,
რას და, ვით ვჭვრეტ სავსით გულსა წამს გაბანს,
ხმაი ამის მცემს ცხოვრების ნაბანს,
და გულს მღელე ნეგო მოვედ სოფლის ბანს.

შენგაზდას ეკატერინე, ამ ნენუცას² სახე აღმიწერე, ანუ თმა როგორი არის, ახლა გამოგიჩნდება მწერლობა, და გამამიგზავნე.

ჩემს სიმამრს, და ჩემს სიდედრს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ, და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს⁴ თავის ცოლით პირს ვაკოცებ.

ჩვენი შვილების მშვიდობასა ღმერთსა ვთხოვ.

შენ კერძობათ ერთობით მოვიკითხავ.

საქუამ⁵ მუხლთ კოცნა მოვახსენათ.

მშვიდობით ეკატერინე, ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას.

შენი ალექსანდრე

„24“ სექტენბერს. 1835-ს.

ქ: ორენბურლით.

32. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო ეკატერინე!

მწუხარებით აღვსილი შენი წიგნი მივიღე, რომელმაცა დიდათ შემანუხა. აბა, რა გითხრა? თუ დაგძრახო მაგ მოკლე სულობისათვის? აბა ეს როგორ იქნება ჩემგნით, და თუ გითხრა „მოითმინემეთქი“, აბა ან ეს როგორ იქნება? ვიცი დედათ ბუნება რა არის, და ამისთვის ესენი არც ერთი არ გეთქმის. მაშ, თუ პირ გეთნოვო, და აბა ვითარი მეგობარილა ვიქნები შენი? ამისთვის ესკი გაიგონე: თუ რომ კარზე მზეში გახვალ, მაშინ მზის სხივი ზედ გადმოგეფინება. ისე ჩირქი არის. ახლა გლუხურათ გეტყვი: ტალახით შესვრილს ჯოხს თუ ხელს მოჰკიდებ, უთუოთ ხელი წაგიხდება. ამისთვის ყოველი ჩირქიანი ადამიანი ცდილობს თავის ჩირქი სხვით გაიბანოს. ძალი რომ ყეფით დაილალება, კუდ ამოძუებული შერცხვენილი თავის ეზოსა შევარდება. დიდ სულოვანი ადამიანი მედიდურადვე უნდა დარჩეს, და მოითმინოს. ახლა ცხადად გეტყვი. განა ეგ ადამიანის ანგარიში არის, რომ მაგაზე კეთილ გონიერმა ადამიანმა გული გაიჯავროს, თუნდა მრავალი დასაკლისი მიიღოს მაგისგან. ჭეშმარიტათ ასე არ დავიმდაბლებ თავს, რომ მაგისაგან რამ მწუხარება შევიმცნო, თუნდა უკანასკნელს განწირულებაში ვიყო. კარგი, თუ ღმერთი გწამს! ამ ჩემ პატიოსანს ენას იმათზე ნუ მასვრევიანებ და შენცა გთხოვ, რომ ყურნი [...]! და ცარიელი კი გქონდეს. აქამდისინ რაც მოხდა, აღარ დატრიალდება, და ახლა თუ შენი ნახვა მეღირსა, მაშინ ნახავ, ვითარ უნდა ცოლქმრობა, და მგონია რომ არც აქამდის ჩემგნით სიყვარული რამ გკლებიყოს.

ღმერთსა ენდევ, რომ სრულებით მშვიდობითა ვარ, რომ არა მიჭირსრა.

მამაშენს, და დედაშენს, ესე იგი ჩემ სიმამრსიდედრთ² უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს³ თავის ცოლით პირს ვაკოცებ.

ჩვენი შვილების⁴ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.

ყოველი თქვენი კერძობანი ერთობით მაიკითხე.

საქუამ⁵ თავყანის ცემა მოვახსენა.

მშვიდობით. ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას, და ჩქარა შენს ნახვას, რომ ჩვენს მაგ ბაღში ერთათ შევექცევოდეთ. შენს ამბავს ნუ დამაკლებ. – ამ წიგნს დიახ საჩქაროთა ვწერ.

შენი ალექსანდრე

8-ს ოკტონბერს 1835-სა.

ქ: ორენბურლით.

33. ეკატერინე გარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლო ეკატერინე!

შენი წიგნი მამივიდა, რომელმაცა დიახ მრავალს სიხარულსა მიმცა, მაგრამ პავლეს წიგნმაკი დიდათ შემანუხა.¹ დიახ კარგათ ვიცი, რომ რაც მოეწერა, სულ მართალი არის, მაგრამ აქაური გარემოება რომ ნამდვილად იცოდეთ, მაშინ სხვა რიგათ იტყვი.

სხვა ღვთის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფები, და ღმერთსა ვთხოვ თქვენ ყველათ ერთობით მშვიდობასა.

მამაშენსა და დედაშენს² უმდაბლესად მოკითხვას მოგახსენებ, და ზალს³ თავის ცოლით პირს ვაკოცებ.

ჩემს საყვარელს დას მაკას ათასის სიყვარულით თავის შვილებით პირს ვაკოცებ,⁴ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ჩემო კატინო, ბოდიში მამხადე წიგნის მოუწერლობისთვის, და ვთხოვ თავის წიგნით ნუ დამაგდებს.

შენი კერძობანი ერთობით მამიკითხე.

საქუამ⁵ თაყვანისცემა მოგახსენათ.

მშვიდობით. ღმერთსა ვთხოვ შენს ჩქარა ხილვას.

შენი ალექსანდრე

„5-ს“ ნოემბერს. 1835-სა.

ქ: ორენბურლით.

ჩვენი შვილების⁶ მშვიდობას და სიცოცხლეს ყოვლად მონყალეს ღმერთსა ვთხოვ.

34. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

საყვარელო ეკატერინე,

თითქმის ეს ორი თვე იქნება, რომ შინადგან წიგნი აღარ მამდის, და არ ვიცი, რა ანბავი უნდა იყოს. თუ ღმერთი გნამს, მაგ პატარა ყმანვილების ამბავი მამწერე რამე, როგორ არიან და ან ხომ არა ასტეხიათრა. თუ მართლარა რომელსამე ასტეხია რამე, მამწერე და მადლობა ღმერთს, ყოველსავე მწუხარებას ჩემი გული ახლა სიხარულით მიიღებს. სხვა რაღა მოგწერო მე ღვთის მონყალებით მშვიდობითა ვარ და შენს მშვიდობას ვისურნებ.

ძალუა ბარბარეს¹ სიყვარულით მოვიკითხავ. ჩემ გამდელს² დედაშვილური სიყვარულით მოვიკითხავ. კერძობანი ერთობით მამიკითხე.

შენი ალექსანდრე

10-ს დეკენბერს, 1835-ს.

ქ: ორენბურლით.

დედაშენს და მამაშენს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვასხენ-ებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს⁴ თავის ცოლ-ითურთ პირს ვაკოცებ.

35. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

საყვარელო

მწერ, ვითომც სერგეი გაბრიილიჩი¹ ჯერ არ გენახოს. არ ვიცი, მაგისტანა რა მიზეზი უნდა გქონიყოს, რომ არ შეგ-ძლებიყოს იმის ნახვა, მაგრამ შენ უფრო კარგათ იცი ხომ ყოველი. კიდევა მწერ, ვითომც მე ხშირათ არ ვინერებოდე. მე მგონია, ჩემი მონწერილი წიგნები ერთ დიდ არხივათ გაკეთ-დეს და მიკვირს, მაგას როგორ ამბობ. კიდევა მწერ, გრიგო-ლა დიაკვანს მოვანათვლინეო.² დიახ კარგი საქმე გიქნია, და ამისთვის მადლობა მამიხსენებია.

სხვა რაღა მოგწერო, მე ღვთის მონყალებით მშვიდობით ვიმყოფები, და შენს მშვიდობას ვისურვებ.

ჩემ სიმამრს, და სიდედრს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს⁴ თავის ცოლითურთ პირს ვაკოცებ.

ჩვენი შვილების⁵ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.

დაუფინყებლობისთვის მელანიას, დიახ დიდ მადლობას მოვახსენებ.⁶

სარქისამ⁷ ერთობით თაყვანის ცემა მოვახსენათ.

ერთობით კერძობანი მამიკითხე.

შენი ალექსანდრე

„14-ს“ დეკენბერს. 1835-სა.

ქ: ორენბურლით.

1836

36. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

საყვარელო

დეკენბრის ივ [16]-სა შენი დაწერილი წიგნი 15-ს იანვარს მივიღე, რომელმაცა გამაკვირვა ამ მარტო შენმა წერილმა; აქამდისინ სხვის პაკეთით გამოგზავნილი შენი წიგნები მამდიოდა ხოლმე და ახლა არ ვიცი რა მიზეზი უნდა ჰქონდეს ამ მარტოს წიგნს. სხვათა შორის მწერ საყვედურს, ვითომ მე წიგნს დიახ იშვიათათ ვინერებოდე, რომელიცა პირველისაგან მესმის, რომ სამთვეში ერთხელ ვინერებოდე.

კიდევ მწერ და ნატრობ ჩემს ნახვას. ამის პასუხი ქვემოთ წაიკითხე.

მე იმ სიტკბობებს ვკრეფდი ადრევე, რომელიცა იყო ახალი სიცოცხლე და იმ სიტკბობებს შენ ახალს ცხოვრებად გაძლევდი ხოლმე; მე ახლა ის სურვილი დავმარხე, რომელიცა ახალს ყმანვილკაცობაში მქონდა სულის ნუგეშად და ეკატერინე რადლა გინდა ახლა ჩემი ნახვა? მოხუცებულის კაცისა, აღარც ლამაზისა, ტანად მომცროსი, არა მომატებულის მოლაპარაკისა, არა მომღერალისა და არა ცელქისა, ასე გაშინჯე, თვით მე მიკვირს ჩემი თავი ასე როგორ გამოვიცვალე, ამისთვის რად გინდა. რომ მნახო? და ან რა სანახავი ვარ?

მე პატიოსანს პირობას მოქცემ, რომ საუკუნოთ ისე მეყვარები, როგორც პირველით მიყვარდი და ამ ჩემს გულიდგან მაგ შენს სიყვარულს ვერავინ ვერ მიმიღებს, თუნდ რომ ანგელოზნი მომეველინონ.

მშვიდობით. შენგაზდას იმხიარულე, ისიხარულე, განისვენე, განსცხერი, მაგრამ რადგანც რომ ქმარი განშორებული გყავს, ამისთვის არავინ არ შეიტყოს, რომ არ დაგძრახონ, და მეკიწიგნს ნუ დამაკლებ. ახ, ეკატერინე, რა კარგი შვილები გყავს,¹ და სამშობლონი.²

მე ღვთის მონყალებით მშვიდობით ვიმყოფები და შენს მშვიდობას ვისურვებ.

შენი ალექსანდრე

„21-ს“ იანვარს. 1836-სა
ქ: ორენბურლით.

ჩემ სიამამს და ჩემ სიდედრს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს⁴ ცოლითურთ პირს ვაკოცებ. ჩვენი შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.

ძალუა ბარბარეს⁵ სიყვარულით მოვიკითხავ.

ჩემ გამდელს⁶ დედაშვილურის სიყვარულით მოვიკითხავ. ერთობით კერძობანი მომიკითხე.

37. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

საყვარელო ეკატერინე!

შენი დეკემბრის კი [30]-ს დაწერილი წიგნი ა [1]-ს თებერვალს მივიღე, რომელშიც ქალების¹ მშვიდობიანობას მწერ, და დათიკას ამბავიკი სულ არა მოგენერარა,² ეგრეთვე არც ერთის წიგნში იმისი ამბავი სულ არა იყორა.

თუ მართლა ვნება შემთხვევია რამე, მიკვირს, რათ მიმალამ, და არა მწერო. თუ შენ დედაკაცი ხარ, და მოითმენ, მაშ მე კაცსა რა მმართვებს, ჭეშმარიტად სათაკილოდა მაქვს. გთხოვ სულ დაწვლილებით მამწერო. თუმცა შევწუხდები, მაგრამ მწუხარება ჩემს მოთმინებას ვერ მოერევა.

დედაშენს და მამაშენს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვასხენებ. ზალს⁴ თავისის ცოლით პირს ვაკოცებ.

თაღია უნიგნობისთვის ნუ დამემდურება,⁵ და სიყვარულით პირს ვაკოცებ, ეგრეთვე დავითს ნათალოვს თავის ცოლითურთ პირს ვაკოცებ.⁶ რაზდენს მოკითხვის მადლობას მოვასხენებ,⁷ და უმდაბლესად მოვიკითხავ, როდის იქნება მაგის ხუმრობაები კიდევ გამეგონოს.

მშვიდობით. შენს მშვიდობას ვისურვებ შენის ქალებითურთ და მე ღვთის მშვიდობითა ვარ.

შენი ალექსანდრე

„4-ს“ თებერვალს. 1836-სა.

ქ: ორენბურლით.

38. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

საყვარელო ეკატერინე,

მე თუმცა ადრითგანვე ვგრძნობდი დათიკას სიკვდილსა, ¹ მაგრამ წინათ გრძნობას მაგთენი არა დაეჯერებარა; ამთვის 4-ს მოვიდა სერგეი გაბრიილიჩი² და დათიკას სიკვდილი სწორეთ მაცნობა. როგორ იქნება, შვილის სიკვდილზე მშობელნი არ შეწუხდენ, მაგრამ ეკატერინე, ღვთის მადლობით უნდა მოვითმინოთ. რა ვქნათ, ყოველი წარმავალი უნდა წარვიდენ და არა დარჩენ. იმან უფრო კარგად იცის, რომელმანცა რაისათვის მოგვცა და რაისთვისვე მიგვიღო. ამისთვის მისი სურვილის აღსრულებისათვის როგორღა უნდა შევწუხდეთ.³ თუ ამ საზიზღარს სოფელში ვინმე დარჩება საუკუნოდ, მაშინ დიახ შესანუხებელი არის, მაგრამ არა, ყოველნი მიწას ქვეშ მოვექცევით და მაშ რაღა შესანუხებელი არის?

გთხოვ, ღვთის მადლობით მოითმინო; ვიმედოვნებ კიდევ, რომ მოითმენ და მაგ ლამაზ ქალებზე⁴ იმხიარულო. მხოლოდ ამას გთხოვ, სწორეთ მაცნობო, როდის მოკვდა, რითა და შენ რათი იყავ ავათ, მაგრამ ნურას დამიმალავ, თორემ მერწმუნე, სწორეთ შევიტყობ.

მე ღვთის შეწევით მშვიდობით ვიმყოფები, და შენს მშვიდობას ვისურნებ.

დედაშენს და მამაშენს⁵ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ამ ჟამათ ნუ დამემდურებინან, რომ წიგნების პასუხი ვერ მივართვი. ზალს თავის ცოლითურთ⁶ პირს ვაკოცებ.

ნურც თადია დამემდურება უწიგნობისათვის, და სიყვარულით პირს ვაკოცებ თავის შვილებითურთ,⁷ ძალუას⁸ ხელს კოცნას მოვახსენებ.

ქეთევანს⁹ მოკითხვის მადლობას მოვახსენებ და სიყვარულით პირს ვაკოცებ. ძალუა ბარბარეს¹⁰ მრავალი მოკითხვის მადლობა განუცხადე, და სიყვარულით მომიკითხე.

კერძობანი ერთობით მამიკითხე. სარქისამ¹¹ თაყვანის ცემა მოვახსენათ ერთობით, და კარგათ გახლავთ.

ეკატერინე ამ შენი წიგნის პასუხს მომავალს ფოშტაში მოგწერ.

შენი ალექსანდრე

„19“ თებერვალს. 1836-სა.

ქ: ორენბურლით.

39. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ქ: აღსდგა!

საყვარელო ეკატერინე!

მომილოცავს ესე დღე სასწაული, ღმერთმა დედით, მამით, ძმით, რძლით, და შენი წვრილშვილებით მრვალს აღდგომას დაგასწრათ და მომავალს აღდგომას მეც თქვენთა შორის ვმხიარულებდე¹ და მათ ყოველთ ჩემაგიერ ასე მიულოცე და ჩემთს ღმერთს ასე სთხოვონ. ახ, ეკატერინე, ნეტავ მითხრა კიდევ გიყვარვარ თუ აღარ; შენ ნუ მამიკვდები ღმერთს ვფიცავ, აღარაოდეს მე აღარა მჯერა, ამისთვის, რომ საქართველოს ქალებთ ბუნებას დიახ კარგად ვიცნობ, და იმათი ტვინი როგორც ფრინავს, დიახ კარგათ ვიცი. თუ მართლა ღმერთი გამწყრომია და მართლა ასეა, მაშინ ვიქნები უბედური, თორემ სხვას მე უბედურებას არ დაუძახებ. ეს რა არის ეკატერინე, რომ რაც ჩემს წიგნში არა მოგეწონებარა, იმის პასუხს სულ არას მამწერ? არ ვიცი, ვისგან გისწავლია ეგენი.

სხვა მშვიდობით, ღმერთსა ვთხოვ შენი შვილებითურთ² თქვენს მშვიდობას, და შენ გაზღადა ჩემაგიერ კარგის გემოვნებით დამიკოცნე ეგენი.

შენი ალექსანდრე

28-ს მარტსა. 1836-სა.

ქ: ორენბურლით.

მამაშენს და დედაშენს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვასხენ-ებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ, ზალს თავის ცოლ-ითურთ⁴ პირს ვაკოცებ.

ერთობით თქვენი კერძობანი მამიკითხე.

40. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

საყვარელო ეკატერინე! – წარსრულს ფოშტაში შენი წიგნი მომივიდა და პასუხი ვერ მოგწერე, რომელშიაც წარსრულს წიგნში მოვიხსენე მიზეზი. ამისთვის ახლა მოგწერ პასუხს, და ვიცი არც გეწყინება, რომ მაშინვე ვერ მოგწერე. შენც მწერდი „დავბერდიო“. არასდროს არ დავიჯერებ. შენ სხვა გული გაქვს, სიკვდილამდის სულ არ დაბერდები თუნდა **ორას** წლამდის ოცოცხლო; თუ იცოდე დიდი ხანი არის, რაც დაბერდი, და შენ ეხლა მწერ? მე ასე მეგონა, ამ წარსრულს თხუთმეტ წელიწადს უკან დაბერდი მეთქი, და ნახე მე შემცდარი ვყოფილვარ! თურმე შენ კიდევ ყმანვილობ. ვაიმე, თუ მართლა ასე ყმანვილი იყო, რომ აღუს გეუბნებოდენ, და შენც იცინოდე, და პირსა შოშიასავით აღებდე. მე ხომ ეს არა მჯერა, მაგრამ შენი წიგნის პასუხი ეს არის. ვიცი, გაიცინებ ამ წერაზე, მაგრამ ჰა, ისე არ გაიცინო, რომ შოშიასავით პირი გალო და მე აქედან არ დაგიძახო: აგუ, ჰო, დედავ, გაიცინე და გაიღიმე გეთაყვანე, იჰ, იჰჰჰ. მაშინ რა საუცხოვო იქნება და ხშირათ ჩემს წიგნს მიღებ. – კარგი ეს სიცილი ვიკმაროთ და ღმერთსა ვთხოვ შენი შვილებითურთ¹ თქვენს მშვიდობას, მაგ მაიკოს გაქნილობას რომ ინერები, დარი-ამ და ნენუცამ² რალა დაგიშავეს, რატო მაგათ ამბავს აღარას ინერები?

დედაშენს და მამაშენს³ მშობლიურის სიყვარულით მოვ-
იკითხავ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს ცოლ-
ითურთ⁴ პირს ვაკოცებ.

თქვენი კერძობანი ერთობით მომიკითხე.

მე ღვთის მონყალებით მშვიდობით ვიმყოფები.

შენი **ალექსანდრე**

ეკატერინე, ამ შენს მეორეს წიგნში რომ ინერები და ეჭვი
გაქვს, ვითომც ჩემი წიგნები იკარგებოდეს, შენ ნუ მამიკვდები,
ნურაოდეს ამაზე ეჭვი ნუ გექნება; დარწმუნებით იცოდე, რამ-
თენს წიგნსაც მოგწერთ, სულ მოგივათ და არც არა ფარატი-
ნი არა დაიკარგებარა, არამც თუ ნამდვილი წიგნი. თუნდა ჩემი
წიგნების ანგარიშის სია გამამიგზავნე, რომ აქ ფოშტიდგან გამ-
ორთმეული მაქვს ჩემი წიგნების ბარათები, რომ შევამოწმო, თუ
სწორეთ არ მოვიდეს. –

ეკატერინე! – ამას წინათ თადიასთვის თავის მოკითხვის
წიგნის პასუხი უნდა მომეწერა,⁵ მაგრამ ვიფიქრე, რა უნდა მივწ-
ერო მეთქი. თუ მეც მოკითხვა მიმეწერა ხომ მაგის სასიამოვნო
არ იქნებოდა, თუ აქაური მდგომიარობა მომეწერა, ეს უფრო არ
იამებოდა, ამისთვის მაგის სასიამოვნოთ გაზაფხულის ეგ ლექსი
მოვწერე.⁶ ვიცი, რაც უყვარს მაგას, და ან მაგის სასიამოვნო რა
არის, და ეხლა გაზაფხულიც არის, მაგრამ ჩემმაგიერ სთხოვე,
რომ ნურავის ნუ აჩვენებს, ამისთვის, რომ ყოველნი მასხარათ
ამიგდებენ და რათ უნდა, რომ მაგ ცუდ ლექსზე ჩემზე აცინოს
ყველანი.

„28-ს“ აპრილს. 1836-ს.

ქ: ორენბურლით.

41. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

საყვარელო ეკატერინე!

შენი წიგნი მივიღე, რომელსაცა შინა მწერ, რომ მოვითმი-
ნო და არაფერზე არ შევწუხდე; ჭეშმარიტად მიხარია, რომ მაგ-
ისთანა გული შექქნია, მაგრამ, ჩემო ეკატერინე, მე დარიგება არ
მეჭირება, ამისთვის, რომ მე კარგად ვიცი კაცი რა არის და, ან
იმის საჭიროება რა უნდა იყოს. მე ამის მეტი შესაწუხებელი სხვა
არა მაქვსრა, რომ ვაიმეთუ შენ მწუხარეობდე და ისე მაგრათ

ვერ იყო, როგორც მე მინდოდა. ამისთვის გთხოვ დიდს თხოვით, რომ ეს ჩემი თხოვა დაისწავლო, რომ რაც მწუხარებაები შეგემთხვა და ან კიდევ შეგემთხვას, ყოველსავე სასაცილოთ უყურე და ღვთის მადლობით მოითმინე. რა ვქნათ, სოფლის წესი ასე არის და ასე მოხდა.¹ ეკატერინე, შენი სახე რომ არ გემეტება, შენ გაზდას მაგ შენი ქალების სახე მაინც გამამიგზავნე,² მაგრამ კარგ მხატვარს კი დახატვინე, რომ ნამდვილნი იყოს. სხვა რაღა მოგწერო. მაკას³ თავის შვილებითურთ სიყვარულით დავკოცნი. ჩემ სიმამრს და ჩემ სიდედრს⁴ მშობლიურის სიყვარულით მოვიკითხამ. ზალსაც ცოლითურთ⁵ პირს ვაკოცებ. ჩვენი ქალების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. კერძობანი ერთობით მამიკითხე. საქუამ⁶ თაყვანის ცემა მოგახსენათ ერთობით. – ღმერთსა ვთხოვ შენ მშვიდობას და მე ღვთით კარგად ვიმყოფები.

შენი ალექსანდრე

1836-სა წელსა. მაისის 5-ს დღესა.

ქ: ორენბურლით

42. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო ეკატერინე! შენი წიგნი მივიღე, რომელშიაც მწერ თქვენს გარემოებას. მე დარიგება არ მეჭირება ამისთვის, რომ ვაჟი და ქალი ერთის დარსებულის სულდგმულნი არიან. მე დათიკას სიკვდილზე რათ უნდა შევწუხდე?¹ ან რა მოხდა მაგისთანა, რომ ქვეყანაზე არა მომხდარ იყოსრა? ჩვენ ქართველთ გვაქვს ძველად დარჩომილი სულელური ამაო რწმუნება, რომ თუ ვაჟი არ გვეყოლება, დიახ უბედურად ვსახავთ ჩვენს თავსა. რომელიცა არს ქვეყანაში არ არის ეს, თუ არ ჩვენ ქართველებში. მე შენ ერთს მაგალითს გეტყვი, რომელსაცა მე ეხლა ვხედავ აქ, ორენბურლში: ერთს **ოცდაათის** წლის ქალს მოჰკდომიყო ქმარი, რომელსაცა **ცხრა** წვრილნი ობოლონი დაჰრჩენიყო, და ხოლერის დროს ის თავის ობლებიც სუ დაჰხოციყო, შემდეგ მოჰკდომიყო კიდევ ორი ძმა და კიდევ სამი და, რომელსაცა იმათი წვრილშვილები სულ იმ ქალს დარჩენიყო, რომელიცა ეს ქალი დიახ ჩინებულის სახლისა არის. და აბა ახლა მე შენ გკითხავ, იმ ქალს რა მმართვედა იმათ შემდეგ, რომელსაცა გული და სული თავის ქმრისთვის და შვილებისთვის ჰქონიყო შეწირული? მამ ისევ მე გაიმბობ იმ ქალის დიდსულოვნობას – მოჰკ-

დომიყო ქმარი და ნაცვლად შეწუხებისა, ღვთისთვის მადლობა მიერთმია, და ეთქო: „ამაო ესე შენგნით დაბადებული შენვე მიღე ღმერთო, რომელიცა მისი სული განიცდის დიდებასა შენასა და ამისთვის როგორღა უნდა შევწუხდე? რომელსაცა ნაცვლად მწუხარებისა ამისთვის მმართვეს, რომ გამხიარულდე“. შემდეგ ამისა მოჰკდომიყო ერთი შვილი და კიდევ ღვთის მადლობით მოეთმინა, მერეთ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, და მეცხრე. შემდეგ კიდევ ორი ძმა და სამი და; სულ ესენი სამს წელიწადში დახოციყო, მაგრამ ღვთის მადლობითკი მოეთმინა, რომელსაცა ამა უბედურობის დროს არა თავის პატიოსნება და არა თავის ერთგული გული თავის ქმარზედ და შვილებზე შეცვლილი არა აქვს, რომელსაცა სთხოვენ მრავალნი ჩინებულნი მეუღლობას, მაგრამ ყოველსავე მრისხანეთ უარს განუცხადებს და ამისთვის სამაგალითოთ არის დარჩენილი და საუკუნოთაც ეს ქალი სამაგალითოთ დარჩება. ამისთვის მე, ამ ქალის მნახავი, მრავალს ნუგეშს მაძლევს და მოთმენით ვიმყოფები. ეგრეთვე შენა გთხოვ, ეს მაგალითათ იქონიო, მაგრამ, როდისაც ეს წიგნი მოგივიდეს და წაიკითხო, ამ წიგნის პასუხი მაშინვე მამწერე, რომ გული დავაჯერო შენს მოთმინებაზე. სხვა რა მოგწერო; არ ვიცი, მე რა ფირუზები უნდა დავიბარო. შენგაზდას, ცხადად მამწერე, შენ ნუ მამიკვდები აღარ მახსოვს. ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას და მოთმინებას; მე, ღვთის მონყალებით, კარგათ ვიმყოფები.

შენი ალექსანდრე

1836-ს წელსა. მაისის 12-ს დღესა.

ქ: ორენბურღით.

ჩემთ სიმამრს და სიდედრს² უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ, და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს ცოლითურთ³ პირს ვაკოცებ. – ძალუა ბარბარე⁴ რა იქნა? აღარას იწერები მაგისას. ხომ არ დაიკარგა? ჩვენი ქალების⁵ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ.

გეთაყვანე კატინო! მაკასთან ბოდიში მამხადე,⁶ რომ თავის წიგნის პასუხი ვერ მოვწერე; და სიყვარულთ პირს ვაკოცებ თავის შვილებითურთ და ღმერთსა ვთხოვ, რომ მშვიდობით იყვნენ.

კერძობანი ერთობით მამიკითხე. სერგეი ოსიფიჩმა თაყვანის ცემა მოგახსენათ ერთობით, ესე იგი სარქისამ; აქ ასეთი კაცი შეიქნა, რომ სერგეი ოსეფიჩს ეძახიან.⁷

უკაცროდ, მაპატიე რომ ველარ დავბეჭდე, რა ვქნა, ლალქა აღარ ეყო ამას და ფოშტას კი ვეშურებოი.⁸

43. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო ეკატერინე! – მე არა მაქვს იქამდისინ მოთმინება, რომ კიდევ არ გამოგელაპარაკო! და ჩემი გრძნობა შენ წინაშე არ გაგიფინო! იქნება შენთვის სასიამოვნო არცკი იყოს, ჩემი შენთან ავდენი ტრფიალებითი ყბედობა! მაგრამ მე რას დავდევ, ვინც მიყვარს, ვისთვისაც გული და სული მაქვს შენირული, ამისთვის მე არ შემოძლიან, რომ ჩემი სულ თქმის მალნიზი¹ კვლავად არ გამოვატანო ამ წიგნს. ჩემო სიცოცხლეო, და კვლავად ჩემო სიცოცხლეო! ეკატერინე! ორენბურლის გარეშე ბუნებამან შეიმოსა გაზაფხული, რომელსაცა მწვანე ხავერდული ნორჩი გადაეშალა, და ჰაერი ზედ ნაზობით დაღიმარობს. ხენი საწყურად შრიალებენ, მასზედ შემსხდარნი ჩიტნი საცოდავის მხიარულებით უცხოდ ჭიკჭიკობენ და ბულბულნი გულსაკვდავად, ფოთლებთა შორის მოჰგალობენ და მგრძნობელნი ამას ჰგონებენ, რომ სიყვარულსა თავისთან ინვევენო. მწვანე შეხამებულნი მოლნი, გაფუჩქვნილებით ყვავილთ ეფიფინებთან და ყვავილნიც მათ შორის მშვენიარებით აქეთიქით ზედ ერწევა. ახალი დანმენდილი ურალი ტრფიალებით ქალაქს გარს მოენანწკარება, რომელსაცა მის ნაპირსა ზედა მოსეირენი, მოელვარენი, მომხევარენი, მონარნარენი, მოჩინარენი, მომღიმარენი, მოსტვინარენი, მონაზნაზნები, დაბროლებულნი, განსაკვირველნი, განსაცვიფრელნი, და უცხოთ სუნთა ესე მფრქვეველნი ქალნი უცხოთ შექცევიან, რომელიცა დედამინაც გრძნობით ინაცვალებს მასთა ფეხთა ზედადგომას. და იფიქრე, ბუნებისა ამა მშვენიერებასა ხშირათა ვჭვრეტ და სიხარულით უნდა ვიყო თუ არა? „ნეტავ მითხრა“ გაზაფხული რომელთ ახარებს? წმინდა ჰაერი რომელთ ასულდგმულებს? ხეთა შრიალნი რომელთ ასიამოვნებს? ჩიტთა ჭიკჭიკნი რომელთ დატებობს? ბულბულთ გალობანი რომელთ ასიხარულებს? შეხამებულნი მოლნი რომელთ მისცემს კმაყოფილებას? ყვავილნი რომელთ გამხიარულებენ? მონანწკარე მდინარე რომელთ მისცემს შვებას? იგი მშვენიარნი ქალნი რომელთ ანუგეშენებს? „ – უშენოთ ესენი? – ჩემთვის სულ ამაოა“. ესე ბუნება ტყუილად მღერს, და კვალად ტყუილად მღერს; უშე-

ნოთ დაღონებულსა ამა გულსა, ვერა ფრით ვერ ასიხარულებს და კვალად ვერ ასიხარულებს. მხოლოდ ამასა ვთხოვ, რომ ეხლა მაისია და 27-ს ამ თვეს 34-ის წლისა შევესრულდი და ჩემაგი-ერ მანდ იდღესასწაულო და შენთა ქალებთან განცხრებოდე და იშვებდე მარადის. ღმერთსა ვთხოვ, რომ ასე მშვიდობით იყო, როგორც მე მინდოდეს. მე ღვთის მონყალებით მშვიდობით ვი-მყოფები. მაკას² თავის შვილებითურთ პირს ვაკოცებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. გეთაყვანე, ჩვენი ცუცუნა ქალები³ დიახ სიამოვნებით დამიტლოშნე. კერძობანი ერთობით მა-მიკითხე. სარქისამ⁴ თაყვანის ცემა მოგახსენათ ერთობით. კა-ტინო, სწორეთ მამწერე როგორა ხარ?

შენი ალექსანდრე

1836-სა წელსა. მაისის 19-ს დღესა.

ქ: ორენბურლით.

ჩემთ სიმამრს სიდედრს⁵ უმდაბლესად მოკითხვას მოგახსენებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. ზალს ცოლითურთ⁶ პირს ვაკოცებ.

44. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო ეკატერინე! – შენი მწუხარებიათი წიგნი მივიღე; აბა რა გითხრა? თუ გითხრა, რომ მასიამოვნა? ეს ხომ არ იქნებოდა? თუ გითხრა, რომ შემანუხამეთქი? აბა ამის პა-სუხი რა გითხრა? ჩემი გული თავის დღეში აღარ იკადრებს ამას, რომ შენუხდეს. რაც შენუხდა და მწუხარება მიიღო ისის იყო; ესეს არის ჩემ მწუხარებას დასასრული მიეცა მაშინ, როდისაც მაგ ტფილისის ქალაქიდგან ვერაზე გამოველ. ესკი ნუ გეგონე-ბა, შენი სიყვარულის მწუხარება ჩემი გულისაგან აღმოიფხ-ვრას? არა, ეკატერინე, ეს თავის დღეში ჩემგნით არ იქნება და საუკუნოთ ასე დამიბეჭდია ზედ გულსა ზედა, რომ კარგი ხელოვანი უკეთეს დაღს ვერ დასომს. – ჩემსა იმ დაუბეჭდავს წიგნზე რომ უცინიათ მირზაჯანას¹ და სუმბათოვს,² შენ გაზდას, ეკატერინე, მაგათი სიცილი ნუ გენყინება. შენ ნუ მამიკვდები, მეკი არ მენყინა ამისთვის, რომ ეგენი მარადის ეგენი არიან, და ამისთვის არ შეგწუხდი. მხოლოდ ამის მეტი სირცხვილი არის

მაგათთვის, რომ ამისთანას უმზგავსოს დღესასწაულობით სიხ-
არულობენ, და გახარებულნი არიან უბედურებზედა? მამაშენს
და დედაშენს³ უერთგულესის სიყვარულით მოკითხვას მოვასხენ-
ებ და მაგათ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. – ზალს ცოლითურთ⁴
პირს ვაკოცებ. – ერთობით კერძობანი მამიკითხე. მშვიდობით.
ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას, და მე ღვთის მონყალებით
კარგათ ვიმყოფები. შენ წიგნს ნუ დამაკლებ.

შენი ალექსანდრე

1836-სა. ივნისის 2-სა დღესა.

ქ: ორენბურლით.

45. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო კატინა! – შენი წიგნი მივიღე, და შენ მშ-
ვიდობიანობას იწერები. არ ვიცი, მატყუებ თუ მართლა ამბობ.
ნეტავ შენი მშვიდობა მარადის ჩემს ყურს ესმოდეს, თორემ მე
სხვა მწუხარება თავის დღეში არა მექნებარა, და იფიქრე შენი
მშვიდობიანობა ჩემს გულს როგორ ასიამოვნებდა. ესლა ვაპირებ
ჩემს ძმებთან გადასვლის თხოვას¹ და იმედი მაქვს, რომ მოხერხ-
დეს; რა დროსაც გადამიყვანენ, მაშინვე შენც იქ წაგიყვან. რო
იცოდე, რა კარგი ქალაქი თურმეა;² ყოვლის სიმხიარებით სავსე
და განყობილი, და იქ ცხოვრებაც დიახ იაფათაც დაგვიჯდება.
ჩემო ეკატერინე, შენც უნდა გაჩვენო რუსეთი და გაგანათლო. –
სხვა რაღა მოგწერო, ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობით სიცოცხ-
ლეს, და მე ღვთის მონყალებით მშვიდობით ვიმყოფები. – ჩემ
სიამარს და სიდედრს³ უმდაბლესად მოკითხვას მოვასხენებ, და
ღმერთსა ვთხოვ, რომ ანასტასიას ერთი კარგი ბიჭი ეყოლოს.⁴
ზალს⁵ პირს ვაკოცებ, და ნუ დამემდურება უწიგნობისათვის,
რა ვქნა ამ პატარა ფარატინის წიგნების ფულიც ძლივ ვიშოვნე,
რომ ფოშტაში მიმეცა. – გეთაყვა, შენ წიგნებს ნუ დამაკლებ.

შენი ალექსანდრე

1836-ს. ივნისის 30-ს დღესა.

ქ: ორენბურლით.

46. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლეო ეკატერინე! ჩემი მაცოცხლებელი და ჩემი მასულდგმელი შენი წიგნი მივიღე. შენ ნუ მამიკვდები, არ ვიცი, ვითარ გამოვთქო ჩემი სიხარული, რომ შენი მშვიდობა მე წავიკითხე. ვმადლობ ყოვლად მოწყალეს ღმერთსა. – ჩემო ეკატერინე! ჩემი მოწერილი წიგნი როგორღაც გწყენია. შენ ნუ მამიკვდები, მე ასეთს არას მოგწერ, რომ შენი შესანუხებელი და სანყენი იყოს. – ანტონისას,¹ მამუკასას,² და მამაცოვის³ მოსვლას იწერები, და ავთანდილოვსაც⁴ მოელიანო. აკი ერთ ადრინდელს წიგნში გითხარით, რომ მოითმინეთმეთქი, ამისთვის, რომ ბარონს⁵ დიახ კეთილს კაცად იცნობენ ყველანი და კეთილი კაცი ყოველთვის მწუხარეთათვის ზრუნავს. – ეკატერინე! დარიასთვის დიდათ ვწუხარ,⁶ ამისთვის, რომ აგრე გაუზდელი და უსწავლელი რჩება. მარტო დავითნი რას ასწავლის? არ შეიძლება, რომ ერთს კარგს კეთილს ცოლშვილიანს რუსს მიაბაროთ, რომელმაც ასწავლოს რუსული და ფრანციცული? თორემ დავითნი მაგის გონებას ვერ გახსნის. მაიკოს ქებას იწერები ხშირათ.⁷ ვმადლობ ღმერთსა, რომ მაგისთანა არის და თქვენ ნუგეშათა გყავთ. მამ ჩვენი შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. – ჩემ სიმამრს და ჩემ სიდედრს⁸ უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ. ზალს⁹ პირს ვაკოცებ. – ნეტავ მითხრა რუსუდანა¹⁰ რა იქნა? – კერძობანი მამიკითხე. – სარქისამ¹¹ თაყვანის ცემა მოგახსენათ ერთობით, და კარგათ გახლავთ. – მაგ პლუტს ივანე დალაქს¹² ჩემი მოკითხვის მადლობა უბძანე, და ჩემაგიერთაც მოიკითხე. – მშვიდობით ჩემო სიცოცხლეო ეკატერინე. ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობას, და მე ღვთის მოწყალებით მშვიდობით ვიმყოფები.

შენი ალექსანდრე

1836-ს. ივლისის 13-ს დღესა.

ქ: ორენბურლით.

47. თქველი ბატონიშვილისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ მშობელო! 8-ს ივნისის დან-
ერილი თქვენი წიგნი ივლისის 10-ს მივიღე, რომელმაცა თქვე-
ნის მშვიდობისთვის ღმერთს მადლობა მივართვი და კვალად
ღმერთსა ვთხოვ ასე მშვიდობით ბძანდებოდეთ, როგორც მე
მინდოდეს. – სხვა რაღა მოგახსენო. მე ღვითთ კარგათ გახლა-
ვარ. – ბატონიძალს და ბატონიშვილებს¹ მოკითხვის მადლობას
მოგახსენებ, და უმდაბლესად ხელს ვაკოცებ და ღმერთსა ვთხ-
ოვ, რომ მშვიდობით ბძანდებოდენ. – თადიას თავის ცოლშვილ-
ით სიყვარულით მოვიკითხამ.² – მაკას³ თავის შვილებითურთ
პირს ვაკოცებ. – ჩემს გამდელს⁴ დედაშვილურის სიყვარულით
მოვიკითხამ. ერთობით კერძობათ მოვიკითხავ. – გთხოვთ ბა-
ტონიშვილო, თქვენს ამბავს ნუ დამაკლებთ.

თქვენი ძე **ალექსანდრე**

1836-ს, ივლისის 13-ს.

ქ: ორენბურლით.

1842

48. დიმიტრი ორბელიანისადმი

ძმავ დიმიტრი! იმედი მაქვს, როდისაც შენი სახლის საქმეს
მოივარგებ, უთუოთ ჩამოხვალ, ამისთვის, რომ როგორც რიგი
არის, ისე უნდა გავიყარნეთ ჩვენ ძმები! ღმერთმა მოგცეს შენ
შენი წილი და მე ჩემი, ეგრეთვე ვახტანგს თავისი. როგორც
რჯული იყოს, ისე მოვშველდეთ ერთმანეთს. აქამდისინ კაზრე-
თის კაცნი მეყვედრებოდნენ და ამაზედ მოსვენებული არ ვი-
ყავ მე და ახლა ღმერთმა გიშველოს, ძმავ დიმიტრი, ყოველს
შენუხებაში, ამისთვის, რომ იმ ერთის სიტყვით მე მომასვენე,
რო მითხარ: „შენი მზითვის მამულში² ჩვენი კაცნი არ უნდა
დაგეყენებინაო“. ამისათვის მანდაც გთხოვე და ახლა წიგნითა-
ცა გთხოვ, რომ ორი სამი სათის საქმისთვის ბევრს დროს ნუ
გაიყვან და გაყრისთვის წამოდი.³

შენი ძმა **ალექსანდრე**

ქ. ტფილისს. 1842 წელსა. 31-ს ოკტონბერს.

49. დიმიტრი ყიფიანისადმი

თქვენო აღმატებულებაჲ
 მონყალეო ხელმწიფეჲ
 დიმიტრი ივანოვიჩ!

ჩვენი ხელმწიფის იპერატორის სურვილი, თავის საიმპერიოს მებატონეთ ყმების განთავისუფლება მებატონეთაგან, ¹ არის დიდი განსხვავებული ეპოხა რუსეთში! ამაზედ ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა, ამას მთელი ევროპია გაიძახის, რომლებმაცა ეს ეპოხა, ჩვენი ხელმწიფისა ესე წადილი, ჩვენ საქართველოს მებატონეებმა დიდის გულმოდგინებით მივიღეთ და მისთვისა საქმეს შეუდევით, მაგრამ ამაზედკი ნება მქონდეს, რომ რავდენიმე სიტყუა გულახდითა განვაცხადო აქა.

დიახ კარგი იქნებოდა, თუ ასე მომხდარიყო, რომ ყოველი საქართველოს მებატონეთ ყმების და მებატონეთ მამულების მდგომარეობა დანვრილებით ცნობაში მოყვანილიყო: მთაბარობა, ესე იგი ზევიტყვევითი ადგილები, ანუ რავდენ რიგი აჩხირულობა ერთმანეთში და ანუ რავდენ გუარი გაჩნელებულობა, რომლებთაცა შორის, ავდენ გაძნელებულს საქმეებში, ესეცა მოისმინეთ. ჩემი მამაპაპის ყმები თვრამეტ კომლამდისინ ან ჩემი მეუღლის მზითვის მამულზედ დასახლებულნი არიან, იქნება ორმოცი წელიწადი, ანუ მეტნაკლები, ტფილისის უეზდის, თრიალეთის საპრისტოს სოფელს კაზრეთში, ² რომელიცა უმორჩილესად გთხოვთ, ვალისამებრ თქვენის ღუბერსკის წინამძღომლობისა, ³ გარემოება ესე ცენტრალნისა კომიტეტსა აუნყოთ, ⁴ რომ თავის დროზედ ჩემი ესე ყმები ჩემს მამაპაპის მამულზედ გადავასახლო და ხსენებული ესე კაზრეთი თავის გარემომამულებით თავისუფლათ დაშთებს მეუღლესა ჩემსა, რომლისათვისაცა ვალდებული ვიქმნები მარადის.

დავშთები თქვენი აღმატებულების უპატივცემულესი თქუენი უმორჩილესი მონა

თ-ა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი
 11-ს მაისს. 1864-სა წელსა.

50. ღიმიტრი ყიფიანისადმი

თქვენო აღმატებულებაჲ
მონყალეო ხელმწიფეჲ
ღიმიტრი ივანოვიჩ!

პატივისცემით მრავალს მოკითხუას მოგიძღვნი და თქვენს მშვიდობას მარადის ვისურვებ.

ვიცი თქვენც კარგათ იცნობთ მაიორს, თავადს სულხან ბარათაშვილს. ჩემი დარწმუნება საჭირო აღარ იქნება ამის ღირსებაზედ. მე დიდათ საჭიროთ ვხედავ ჩვენს ახლანდელს ყმების კომიტეტში ეს იქ დანიშნოთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ტფილისის უეზდი უკეთესს ვერავის ამოარჩევს.¹ ამისთვის უმდაბლესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებაჲ, ინებეთ ამის ამორჩევა. იმედი მაქვს, მთელი საზოგადო ბოლოს მადრიელი ვიქნებით, ასე დარწმუნებული გახლავარ მე. ამაზედ ჩემს ცოლის ძმას ზაალთან ინებეთ მოლაპარაკება.² ისიც ამაზედ ძალიან მონადინებული თურმეა და გულ მოდგინეთ შეუდექით შეინჭიმე. ზაალს მე წიგნი აღარ მოვწერე. ვჯავრობ მე იმაზედ: პირველი ამაზედ, რომ ჩემი წიგნის პასუხი არ მაღირსა და მეორეთ, მეითიას³ საქმე ჩავაბარე ყურადღებით ყოფილიყო. ნაცუვვლად ამისა, ჩემი ყმა და მამული და შემოსავალი აპეკით შეაკვრევიანა.⁴ ვინ აჩქარებდა, ვინ მოსდევდა უკან ხმლითა? – მე კიდეც ისე არა, როგორც მაგისი და⁵ ემდურის ჩვენ ხელში დაბადებულს, ჩვენ ხელში გაზდილს. ეს წიგნი ასე წააკითხე შეინჭიმე: ყადმა თავის მამიდა ვირზე შასო, ზაალ შენც ასე სჩადი.

თქვენო აღმატებულებაჲ! თუმცა გულით და სულით შევწუხდები სულხანის მოშორებაზე,⁶ მაგრამ რადგან მანდ კომიტეტში საჭირო იქნება, ამისთვის მანდაური სარგებლობისათვის გამამიმეტებია. სულხან უთუოთ მანდ კომიტეტში იყო.

სრულებრ დავშთები თქვენი უერთგულესი
უმორჩილესი მოსამსახურე

თ-ა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი

20-ს ოკტონბერს 1864-სა წელსა.

ნაღჩიკით.

თუ მოიცალოთ ამ წიგნის პასუხი მიბძანეთ და ყმების ამბავიცა წვრილათ შეინჭიმე.⁷

1865

51. დიმიტრი ყიფიანისადმი

თქვენო აღმატებულებავ
დიმიტრი ივანოვიჩ!
მონყალეო ხელმწიფევ

თქვენის ბძანებით ამ ჩემს წიგნთან მამირთმევეია ჩემი რწმუნების წერილი ჩვენს ბანკის თაობაზედ, ¹ რომელმაცა ღმერთს მადლობა შევწირე, ძლივს ერთი კარგი რამ იფიქრა ჩვენმა კეთილშობილთ საზოგადოებამ თავისთვის. შაგირდი სიბერემდისინ არა სწავლობს. ამ განათლებულს დროში 65-ი წელიწადია სასწავლებელში ვართ. ვისაცკი სვინიდისი აქვს, სირცხვილმა უნდა უკბინოს, ჩვენს სვინიდისს ამისათვის, ეხლა მაინც სასწავლებლიდგან გამოვიდეთ, ამთენი კარგი დავინახოთ ქვეყანაზედ: ცა ახალი და ქვეყანა ახალი. ასე იტყვიან ჩვენში.

ეხლა ეს ჩვენი ბანკი, ასეთი საქმე მოხდა, რომ ჩვენი საზოგადოება ისტორიის პირი შეიქმნა და ცივილიზია² მადლობას მოუძღვნის. თუ ასე კარგებს მივყვებით ბევრს კარგსა ვიქმთ... ღმერთო! შენი მართლმსაჯულება და შენ კეთილი გული გვიძლოდეს წინ საწყალთ ქართველთ კეთილშობილთა: მოხუცი სტირს გულმხურვალედ.

თქვენო აღმატებულებავ! ვისურვებ თქვენს კეთილს დღეობასა და დღეგრძელობასა...

დავშთები გულით და სულით თქვენი პატივისმცემელი თქვენი ერთგული და უმორჩილესი მონა

თ-ა **ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი**
19-სა მარტსა, 1865-სა წელსა.

ნალჩიკით.

უთარილო

52. გრიგოლ ორბელიანისადმი

ჩემს გულითად ძმას თავადს გრიგოლ ჯ. ორბელიანს!
უმორჩილესათ მიერთოს ეს ორიოდ სიტყვა.

შენ ჩვენო და ჩვენზედ უხილაო მოქმედო ბედო, ამ შენს ერსა შორის ამთენს საკურველს ღირს სახსოვარს ნიჭებს რომ დაჰბადებ! ამაოებისათვის თუ არსებობისათვის? თუ ჩამჩურჩულე ყურში: ყოველი ამაოაო, მეც მოგიგებ: არა ამაო, არამედ გონების მოქმედი ძალი შენს ერში გაბნეული უხვად!.. და თუ ამას არ ჩამჩურჩულე და ჩამჩურჩულე: არსებობისათვისაო, როგორ არსებობისთვისა? ჩვენო ბედო, ამ სიტყვასთანავე მაშ პირზედ ხელი რალათ დამაფარე? პირზედ ხელის დაფარებას ვილა დაიჩივლებს, ეგ შენი დიდი მძიმე კლიტე პირზედ რომ დამადე, რომელმანცა ვაი გამაჩუმა, გული მიკვნესის, ძლივს ვანბობ ამას. რას მეტყვი ამისთვისა? „არა, ველარაფერს“.

ჩემო ძმაო სისხლ ხორცობით, მხოლოდ ჩვენ ეს ორნი დავრჩენილვართ, ორი ღერი ჩვენ, რომლებსაცა ჩვენს ზეცის ვარსკვლავებსა წმინდას თვალთ უყურებთ და გულს სულსა მარად ვატრფობთ იმათ, მაგრამ დალონებით, ნაღვლიანად!

ჩვენი ძველი ანბები ბევრი ბევრეული არის, ნამეტნავათ მეფის ირაკლის ანბები!.. რომელს ქვას და კლდესა ხელს მოვკიდებთ, თუ ენა ქონდესთ აუარებელს იმ ანბებისას მოგვითხრობდნენ, მაგრამ ეს რომ არ იქნება, მაშ ის ვიკმაროთ დიდის მადლობითა, რომლებიცა გამოთქვით მაგ წარჩინებულს მაღალს თქვენს ლექს მგოსნობაში!

ჩემის გულით შეწირული თქვენი ძმა ბებიდაშვილი!

თ-ა ალექსანდრე ორბელიანი

შენი ჭირიმე კნიაზო გრიგოლ, ბოდიშს ვითხოვ, რომ ჩემის ხელით ვერა გწერთ, რადგანაც შეუძლოთ გახლავართ და ჩემს დარიკოს² ვანერინებ.

ს ბ 3 ა ზ ა ს ბ 3 ა

ჩანაწერები

1835

ჩემი დილის და საღამოს ლოცვა

ყოვლისა ჩემისა გონებითა და გულით აღმოვალ ზეცად, წინაშე დამბადებლისა ჩემისა! თაყვანს ვცემ ძლიერებასა შენსა! თავსა დაგიმონავებ ჭეშმარიტსა დაწესებულსა რჯულსა! სულით მოვფრინდები წმინდასა ცხოვრებასთან! და მოგმართავ ერთსა სამებასა და ერთსა მღვთაებასა!.. რომელმანცა არა არსსა მომანიჭე მე ჯილდოდ სიცოცხლე, რომ გიცნა შენ ვინცა ხარ და ყოველთვის მიკვირდეს ყოველი შემძლებელი საკვირველებანი შენი სადიდებლად შენდა, და ვცხოვრობდეცა ქვეყანაზედ კეთილ-მოქალაქეობით, ამისთვის გულმხურვალედ გევედრები, რათა მოქცეული იყოს წყალობისა თვალი შენი ჩემზე მარადის, რომ ყოველთვის კეთილსა ვიქმოდე და იმის წმინდა მოქალაქურ პატიოსნებით ვცხოვრებდე ამა შენსა დაარსებულსა სოფელსა შინა, და ყოვლისა განსაცდელისაგან მიხსენ მე ღმერთო!

ქ. ორენბურღში დავწერე 1835-სა.

1845

კმაყოფილების წადილი და ვნების სურვილი

სხვათა შორის კაცსა შინა იმყოფება ძალნი ესე: ვნება და კმაყოფილება. უკეთუ კმაყოფილების წადილით მოქმედებს ანუ საქმობს კაცი, იგი დიდს სიტკბობასა შინა იქმნება: ვითარცა სულით, ეგრეთვე ხორცითა, და სასიცოცხლოდ თვისად რავდენ რიგად ინუგეშებს და რავდენ კაცსა გამოიხსნის შეწუხებისაგან. შემდგომად, ოდეს თავის თანამდებობის საქმეს შეასრულებს, მადლობას შესწირავს ღმერთსა და თავისა თვისისა დიდი მადრიელი იქმნება, რათა სამართლიერად დააბოლოვა საქმე. ვინაიდგან სვინიდისი განწმენდილი ექმნება, კმაყოფილებით და სიხარულით იცხოვრებს მარადის. – გარდა ამისა, რავდენს ნეტარებას მიიღებს მისი სული... და ვითარის განსვენებით დაიძინებს! – მხოლოდ გრძნობით უნდა მივხვდეთ, ესრეთი კაცი ვითარი ბედნიერი იქმნება თავისა თვისისა, თორემ ენა ვერ გა-

მოსთქომს სრულად. – მაგრამ ვისაც ვნების სურვილი სძალავს და იმისი ძლიერებით მოქმედებს ანუ საქმობს? ვერას დიდებით ბედნიერი ვერ შეიქმნება იგი; მის ვნებისა სურვილსა დასასრული და საზღვარი არ ექმნება. რაზედაცა დაადგრება სრული მისი გონებისა ძალა, მას საგანზედ მიქცეული იქმნება და სული ტანჯვას დაუნყებს. ოდეს მას საქმესა შეასრულებს? მით კმაყოფილი არ იქმნება, გული ნუხილს დაუნყებს და ვნების სურვილი დასტანჯავს. არ ეცოდინება, რაი უნდა ქმნას.

ვნების სურვილიდგან წარმოდგება უზომო პატივის მოყვარულობა! უზომო მედიდურობა! უზომო ამპარტავნება! და უზომო შური! – უბედურნი, გაჭირებულნი, გლახაკნი, და შენუხებულნი მისთვის არაფერია; ოღონდ თვითონ იყოს და არა სხვა ვინმე. უკეთუ კეთილსა იქმს და შეენევა ვისმე, ისიც განძრახვითა, რათა ითქვას მისი დიდება, ანუ იყოლიოს შემწე თავისა თვისისა დიდებისათვის; არავინ არარად მიაჩნია, თვინიერ თავისა თვისისა. აქ ხსენებულს ორს აზრსა შორის, რომელიც სამჯობინარო იყოს კაცობრიობისათვის, იგი მიიღოს.

თ-ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი

29-ს ნოემბერს 1845-ს წელსა.

ქ. ტფილისს.

სამეფოს დასაცველი საფუძველი და იმის გამაბაღნიერებალი

სახელმწიფოს ანუ სამეფოს დასაცველად ხუთი უპირველესი საგანი ეს არის:

პირველი. სარწმუნოების ჭეშმარიტი მოსაობა ხალხისაგან. **მეორე.** სამოქალაქოს შინაგანი რჯულის რიგი ანუ წესი. **მესამე.** სამხედროს ჯარის დანყობილობა და სამეფოში რიგიანს ადგილებში დაყენება. **მეოთხე.** სამზღვრებზედ ანუ სადაც საჭირო იყოს ციხეების გაკეთება და ციხეში ჯარის დაყენება. და **მეხუთე.** განათლებისათვის სასწავლებლები, და ენისათვის ლიტერატურა.

აი სამეფოს მაგარი საფუძველი და იმისი მხმილავი მცველნი ესენი არიან, რომელიცა ხუთი ესე საგანი შემატებს: ხაზინასა, ვაჭრობასა, კეთილმდგომარეობასა, და სხვას მრავალს კარგსა! ამისთანა სახელმწიფოსა ანუ სამეფოსა დიახ გონიერი და კეთილგამძრახველი მართველი უნდა ჰყვანდეს, რომ ხუთი ესე

საგანი მოიხმაროს და შემთხუევაში არ დაზოგოს თავის თავი, ანუ გარემოებისგამო ცოლშვილიც, მაგრამ ამისთანა კარგსა მართველს კარგი ხელქვეითი აღმასრულებლები უნდა ჰყვანდეს, რომელთაცა იმათაც ისე უნდა უყვარდეთ თავისი ქვეყანა და ისე უნდა სტკიოდეთ გული თავი მშობლის მამულისათვის, როგორათაც პირველს მართველს.

აი ამაებით გაბედნიერდება მშობელი მამული ანუ ქვეყანა, და მაღალს ხარისხში აჰყვავდება, რომლისაგანაცა დიდს დიდებასა შეიძინებს ხალხი და საუკუნოდ განთქმული იქნება იმათი სახელი!..

თ-ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი

1845-სა წელსა
ქ. ტფილისს.

1846

1834-ს წელსა რუსულს ბიბლიოთეკა დღია ჩტენიესა შინა სამსში¹

ახალი ასტრონომიული გაშინჯულება. – მზის სისტემა უპიტერი, უფრო შენიშნული პლანეტა არს თანამიმდევართურთ ოთხთა მოგზაურთა ანუ მთოვარეთა, და რომლისა წელიწადი მისი თითქმის თორმეტს ჩვენს წელიწადებთან სწორე არს. ლაპლასის განზომილება აღრიცხავს 130 ჯერ სიმაღლესა მისსა და კუბიჩესკის სისქეს 1474 ჯერ უმეტეს ჩვენს ქვეყანასა ზედა. ახლა ჩვენა ვპოვებთ უ. ვაიტის მომდინარეს წლის (1834) ასტრონომიულსა ეფემერდში,² რომ პრაფესორი ერი³ განსჩხრეკდა უპიტერის დადგენილებასა მეოთხესა მოგზაურსა. მის სიდიდე პლანეტისა სწორეთ განსაზღვრა დიდისა სიმართლითა, და ჰპოვა ლაპლასის განზომილება შეცდომილებით. უპიტერ ბევრით მცირედი არს, ვითარცა ჰგონებდენ. სიმაღლე მისი მხოლოდ მეტობს მიწის სიმაღლესა 322-იდგან 323-ე ჯერამდინ და კუბიჩესკის სისქე მისი დაიპყრობს თვისსა შორის არა მომატებულ 1048 ⁶⁹/₁₀₀ მიწის სისქესას. – გამოჩენილება დიადი საუკეთესო არის ასტრონომიისათვის!

თ-ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი

1-ს სენტებერს 1846-ს წელსა.
ალგეთის პირზე ქოთიშს.

ჩემი წერილები

ბევრი ჩემი დაწერილი ამბები დამეკარგა, ნამეტნავად ერთს შკაფში, თვით ის შკაფი და იმ შკაფში დიახ ბევრი ძველი და ახალი ამბები გადმენო 1845-სა წელსა, ¹ ნოემბრის 9-სა, შუალამისას. ბატონიშვილი დედიჩემის მონერილი წიგნები ჩემთან რუსეთში, ის იყო, რომ ცეცხლი ნაჰკიდებოდა, იმას კი მიუსწარ და გამოვიტაცე.² თუ გადმირჩა რამე, დიახ ცოტა, ისინიც თახჩებში აქა იქ ეყარა, როგორათაც უთაურის ქართველისა. პირველ რუსების გადმოსვლიდგან, ვიდრე ვარანცოვამდისინ, მრავალი ამბები მქონდა დაწერილი, თვალთ ნახული ანუ გაგონილი. ჩუენი ძველი ამბები ხომ რასაკვირველია... დიდათ ვეცადე, კიდევ მამეგონა ის ანბები, მაგრამ ველარ მოვიგონე. მაინც კიდევ არ ვეშვები, რასაც მოვიგონებ ხოლმე, დავწერ. იმ ჩემის წერილების დაწვაზე მეტის წყენისაგან ავათ გავზხდი ზაფრით და კინალამ ტყავი გავჭიმე. ბევრი კარგი ამბები მქონდა გამოსადეგი.

თ-ა ალექ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

5-ს სექტენბერს 1846-ს წელსა.

ს. კაზრეთს

1854

გარყვნილობისაგან დაფარვა ყმანვილისა

გარყვნილობა არის გაფუჭებული ხასიათი. ყოველი უმზგავსოება უფრო მოსანონია ყმანვილისათვის, რომელიცა ადვილათა შეუდგება იმის სწავლას და მალეც მიიღებს. იმაზე უფრო მიდრეკილია ყმანვილი, რომ რაც სავნებელია იმისათვის, იმაზე მიიქცევა იმისი ყურადღება და ბოლოს შეიქნება იმ უმზგავსოების მონანილე, ამისთვის ყმანვილს დიდი გაფთხილება უნდა პატრონისაგან ანუ ოსტატისაგან, ქცევის ნაკლულევანება არა დაინახოსრა და ლაზლანდარობისა არა გაიგონოსრა. გარდა სხვა სწავლისა; ბევრი ყმანვილების თამაშობა არის და შექცევის ლალობა, რომ იქიდგან ზნეობითი სწავლა გამოკრიბოს და მკვიდრათა დაიბეჭდოს თავის გონებაზე, მაგრამ მინამ სრული წლოვანი არ შეიქნას ყმანვილი და სწავლა არ შეისრულოს, მანამდისინ ხელიდგან გასაშვები არ არის ყმანვილი. როდისაც შეისრულოს და სოფლიერათ გავიდეს, ¹ მაშინ თვით იქნება მოვალე თავისა თვისისა, და ეს უფრო მომატებული ვალი იქნება

იმისათვის, მინამ იმისი გამზდელებისაგან. ამის გამო იმას მარ-
თებს პატოსანი ყმანვილკაცების საზოგადოება გაიცნას და
კეთილბრძნული სახლეულობა.

თ-ა **ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი**
2-ს ივნისს. 1854-სა წელსა.
ქ. ტფილისს.

1856

ქველ ინდუსთა სამეცნიეროს ვედის ანუ ვედანტის ნიგნსა' შორის ყოვლად შამქლახელზა

ანგელოზნი შემოიკრიბებიან, ყოვლადშემძლებელის საყდრის
გარე და ჰკითხვენ მას მოწინებით:

– რაი უნდა იყოს იგი?

პასუხს უგებს იგი.

– გარდა ჩემისა, უკეთუ სხვაცა ყოფილიყო, მაშინ საშუა-
ლობითა მისითა აღვწერდი თავსა ჩემსა; მე ვიყავ საუკუნედგან
და ვიქმნები უკუნისამდე; მე ვარ პირველი ყოვლისა მიზეზი აღ-
მოსავლეთს და დასავლეთს, ჩრდილოეთს და სამხრეთს, მთებსა
და ბარსა. მე ვარ ყოველი, უძველესი ყოველთა, მეფე მეფეთა,
ჭემმარიტება, სული დამბადებელისა და თვით დამბადებელი; მე
ვარ მცოდნე, სინმინდე და ნათელი... მე ყოვლადშემძლებელი!

შვედის ლენარლის ღრაფ ბიორნშტიერნის წიგნიდგან.²

1856-სა 4-ს მარტსა.

ქ. ტფილისს.

უთარილოები

ბრძნობა*

ეკატერინე! მე შენ უნდა მოგშორდე! ახ! რო იცოდე, ამ გულს როგორ უყვარხარ. – ვინ იტყვის, ვინ გამოსთქომს, ვინ სრულ ჰყოფს და ვინ გამოხატავს, თუ არ კვალად ჩემი გრძნობა. – მე აკი მომეცი სახსოვარი, მაგრამ შენკი არ იცი, ამ ჩემს გულსა ზედა მაქვს გამოსახული შენი სახე. ეს მეყოფა. – გარნმუნებ, რომ უკეთუმცთა საფლავსა შინა დაირღვიოს ჩემი სხეული, მაშინცა კვალად ჩემს გულის ფიცარსა ზედა იქნება დანერილი, ესრეთ ამ გულს ეკატერინა უყვარდა. –

ახ! მშობელო დედავ,² შენცა გშორდები, რომელიცა მოელოდი ამ შენსა მოხუცებულებასა შინა, რომ ვითომც უნდა დასტკობილიყავ შენის შვილების** სიყვარულით, მაგრამ ჩვენ შენ მოგშორდით, მიზეზი ამისი არის წყეული სოფელი. – ოჰ, და ოჰ, ღმერთო!

ჩემი მიუღწეველი სოფელს კაზრითში¹

ლაპარაკმა მოიტანა და ჩემა გლენმა სვიმონა ბასილაშვილმა თქვა: რაკი ორმოცდა ათის წლისა შევსრულდი, ჩემ ცოლთან აღარა ვიცირა.

ხუმარა ამხანაგის პასუხი:

– შენი ცოლის ადგილას იქნება სხვაზედ გადინაცვლე?

– თუ ღმერთი გწამს, მაგისტანა ხუმრობას დაეხსენ.

მასუკან სხვამ, კიდეც ხუმრობით:

– უთუოთ აღარ ვარგიხარ?

– რას მასხარაობთ ბიჭო? კიდევაც ვარგივარ და მასუკან აღარ მივკარებივარ ჩემს ცოლს, დაიჯერეთ.

მერე მე:

– რათ აგიღია ხელი, ეგ რა ცოდვაა?

* ვზივარ საპყრობილესა შინა, და წარმომიდგება ბევრი ბევრეული, და იმათ შორის რომელიმე, მცირე რაიმე დავწერე.

** მოხუცებულს დედას ჰყვანდა სამი ვაჟი კაცი შვილი, და სოფლის ვითარებითა სამნივ განვშორდით უცხოს ქვეყანას.

– ორმოცდა ათის წელიწადის შემდგომ კაცს აღარ ეკადრება და დედაკაცს ორმოცდა ხუთის წელიწადის შემდგომ. ჩემი ცოლიც ასე მოგახსენებს.

– მერე გიყვარს ცოლი, პატივისა სცემ?

– ძალიან, როგორ არა.

– ქვეშაგები გაყრილი გაქვთ თუ ერთათ ნევხართ?

– მამ შეინჭიმე? დიახ გაყრილი გვაქს, აღარ ვწევართ ერთათ.

– დედაკაცზედ სურვილი მოგდის ხოლმე თუ არა?

– ხშირათ.

– მასუკან როგორ ითმენ?

– ჩემი გული ჩემ ხელთ არის, მე ხომ გულის ხელში არა ვარ.

ორმოცდა ათის წელიწადის შემდგომ ოცი წელიწადი მეტი კიდევ იცოცხლა იმ ძუელმა სვიმონამ.ეს სწორეთ მართალია, მთელი იმისი სახლეულობაც ასე ამტკიცებდნენ.

აი ზნეობა და აი ხასიათი!

თ-ა ა. ვახ. ძე ჯ.

ორბელიანი

[როგორ დაინვა ჩემი დედისა და ცოლის წერილები]

ყოველი წარსრული მოსაგონი, თუნდა არაფერი იყოს, სასიამოვნო არის კაცისათვის. მეც, ვისგანაცკი პორტიკულიარნი წიგნები¹ მამივიდოდა, ჩემი მახლობლებისა თუ სხვებისაგან, სულ ერთიან დიდს ტილოს პარკში მქონდა ჩანყობილი, და თუ კიდევ მამივიდოდა, იმასაც იქ შევინახამდი თავთავისათ რიგზე დანყობით.

1842-სა წელსა,² ერთს შუალამისას, როდისაც რომ გვეძინა, ერთი საშინელი ალიაჩოჩქოლი შეიქნა ჩვენ სახლში. ყველანი სამოახლოში შევცვივდით. ვნახეთ, რომ კუთხეში ცარიელი შკაფი რომ იდგა, იმისი ზევითი თავი ცეცხლის ალით იყო გადაქცეული და ოთახის ჭერს სწვდებოდა ცეცხლის ალი. მინამ გავაქრობდით, მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, მაგრამ ის ჩემთან მონერილი წიგნების პარკი იმ შკაფის თავზე იდო იმ ჟამათ, და რაც წიგნები იყო პარკში, სულ დამწვარიყო, მაგრამ იმ შუა წიგნებში ეს ბატონიშვილის დედი ჩემის წიგნები ეწყო და სრულს ცეცხლს ველარ მიეხნია და დანვისაგან მორჩომილიყო.³

ცეცხლისას აღარას ვიტყვი, ამისთვის, რომ მოახლისაგან გაუფთხილებლობით მომხდარიყო, მარამ ამანკი შემანუხა, რომ ჩემი ცოლის⁴ სიყვარულიანი და სურვილიანი წიგნები, რაც იყო ჩემთან მოწერილი ყმანვილკაცობის დროს თუ შემდგომ, სულ დაფერფლებულიყო.

ამ დედი ჩემის წიგნებში ჩემი ძმების⁵ და ჩემი მამიდაშვილის მაკას⁶ წიგნებიც არის. დედი ჩემის წიგნებს ბევრი აკლია ჩემთან მოწერილი, რომლებიცა არ ვიცი, სად ან როგორ დამკარგვია, მხოლოდ რაერთიც არის დარჩომილი, ჩემთვის განძი არის და განძსავითაც ვინახამ.

[ახალგაზრდების აღზრდის შესახებ]

1. ჩუენმა მამებმა იცოდნენ: თავის პატარა შვილებს, შვიდის ანუ რვისა და ანუ მეტნაკლების წლისას, თავის შუაში დაგვსხამდნენ, თავის სახლში დედმამანი და ყოველს შეყრილობაშიაც, რომ კარგათ გაიგონეთ და კარგათ დაისწავლეთ რასაც ვლაპარაკობთ, ჩვენც ჩვენი მამა-პაპები ასე დაგვსხამდნენ თავის შუაშიო.

2. ესეც სჭირდათ იმ ჩვენს მშობლებს და უფროსებსა, რომ ჩვენ, ყმანვილებს, არ გვაჭმევდნენ, მინამ ვაჟიკაცი არ შევიქნებოდით: არც ბატის ხორცს, არც ღორისას, არც ორაგულს, არც მომატებულს მჟავეს, არც მომატებულს ტკბილს, არც მომატებულს მლაშეს და არც არა ფერს მწვანის: ესენი სულ ყმანვილს აწყენსო. ღვინოსაც ძალიან ცოტას დაგვალევიებდენ, მაგრამ წყალსკი არ გაურევდენ. –

თ-ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

[„როსტომიანის“ ხელნაწერის შესახებ]

როსტომიანი ესე ნაქონია მეფის ვახტანგისა.¹ როდესაც დარეჯან დედოფალი პეტერბურლს წაიყვანეს, მამაჩემი ვახტანგ თან ახლდა და იქიდგან დაბრუნებაზე მოსკოვში დიმიტრი ბაგრატიონს ერუქებინა მამიჩემისათვის² როსტომიანი ესე ნათესაობის სიყვარულის გამო.

თ-ა ალექსანდრე ჯამბაკურიანი ორბელიანი

მე თქვენისთანა არა ვარ, დავჩუმდე. თქვენ ბრუნდე სიარული გიყვართ და მე იმ გზაზე არ შემოძლიან გავლა. მეფე ვახტანგ ჩვენი სახლის ნათესავი ასე იყო: იმის დისწული ელენე პაპიჩემის მამის ელიზბარ ეშიკალაბაშის ცოლი³ იყო და ნათესავი ყოფილა თუ არა? და თუ დიმიტრი ბაგრატიონის ნათესაობაც გინდათ შეიტყოთ, მობძანდით და იმისაგან მოწერილს წიგნს გაჩვენებთ შენ. მ. რ. და კნ. გ.⁴

თ-ა ა. ვ.-ძე ჯ. ორბელიანოვი

[„სული ჩემი მონებითა გემორჩილებს...“]

სული ჩემი მონებითა გემორჩილების წინაშე შენსა. – გარნა მუხლთა ჩემთა ეგრეთ არა ძალუძსთ. – შენ უპირველესო. – და ამისთვის აღსდევით ღენუელნო.

[ჩემი რუსი ნაცნობები]

ტფილისის ქალაქს

- ვ. 1. ვალიხოვსკი, ვლადიმირ დიმიტრიჩ, ღენერალ მაიორი.¹
- ე. 2. ეკუბოვიჩი, ალექსანდრ ფეოდორიჩი, მაიორი.
- მ. 3. მინიციკი, ალექსანდრ ოსიპიჩ, პორუჩიკი.
- კ. 4. კაროვინი ნიკოლაი ანდრეიჩი, პორუჩიკი.²
- ბ. 5. [...] ³
- ი. 6. ჩერქასკის ქალაქს გავიცანი ვარონიჟის ღუბერნიის პომესჩიკი⁴ მიხაილ გრიგორიჩ ივანოვი.

სარატოვის ქალაქს

- ვ. 7. ორნი ძმანი ვედენიაპინნი, პირველი ალექსანდრ ოსიპიჩ და მეორე ალექსეი ოსიპ...
კ. 8. დე კარაველი, პეტრ ვასილიჩ, მაღაზიის მქონე.
- ს. 9. მერე სტერაცეს ცოლი ალიონა ივანოვნა სეგინოვა.
- ბ. 10. ბულაჩევიჩ, ვასილი პეტროვიჩ, სიმბირსკის ღუბ. ქ. სიზრანს ფოშტის ნაჩაღნიკი.

ბ. 11. ორენბუ. ლუბ. გზაზე, სოფელს მოივანავინკას გადამ-
დგარი პოლკოვნიკი ივან ივანიჩ ხრისტი., ამის შვილი ნიკალაი
ივანიჩ.

ორენბურლის ქალაქს

- პ. 12. პეროვსკი ვასილი ალექსეიჩ.
რ. 13. რაკასოვსკი, პლატონ ივანიჩ, შტაბ ნაჩალნიკი; ამის
ცოლი ალექსანდრა ვასილევნა.
ჟ. 14. ჟემჩუჟნიკოვი, აპოლონ სტეფანიჩ, დევიზიონის კომან-
დერი.
ს. 15. სტელიხ, ივან პეტროვიჩ, ბრილადნის კომანდერი. ამის
ცოლი ვერა ივანოვნა.
ჩ. 17. ჩილიაევი სერგეი გაბრილიჩ.
ფ. 18. ფოვ. ალექსანდრ ალექსანდრიჩ.
დ. 19. დიბჟ. ალექსანდრ ოსიპიჩ. შტაბის ადუტანტი. ამის
ცოლი ალექსანდრა მიხაილოვნა.
ბ. 20. ხალეცკი კუპრიან მატვეიჩ. პლაც მაიორი.
ს. 21. სჩერბაჩევ. სერგეი ნიკალაიჩ. პოლიცემისტერი. ამის
ცოლი მარი ვასილევნა. ამათი შვილები: ანნა, ლიზავეტა, ვასი-
ლი, და ალექსანდრ.
ს. 22. სჩერბაჩევ. ფეოდორ ნიკალაიჩ. პრაპორსჩიკი.
ს. 23. სერედა. აკიმ ივანიჩ. ვოენი ლუბერნატორის პრავიტე-
ლი კანცელარიისა. ამის ცოლი ნატალი ნიკალაევნა.
ბ. 24. ბერეზოვსკი. დიმიტრი ივანიჩ.
ნ. 25. ნიკიფოროვ. პრაკოფი ანდრეიჩ. სვიტსკის შტაბსკაპ-
იტანი.
ს. 26. სტრუკოვ. დიმიტრი მიკალაიჩ.
გ. 27. გაევსკი. პაველ ივანიჩ. 1835-ს ამან გამამიხსნა ურალის
წყალში დახრჩვისაგან.⁵
პ. 28. პეუტლენგ. ალექსანდრ პეტროვიჩ.
მ. 29. მანცუროვ. ნიკოლაი ალექსანდროვიჩ, პოლკოვნიკი.
კ. 30. კარელინ. გრიგორი სილიჩ.
პ. 31. პაკატილოვ. ვასილი ოსიპიჩ, ურალსკის ყაზახების ატ-
ამანი.
ა. 32. ადარაცკი. იზმაილ ალექსეიჩ. აქიმი.
მ. 32.⁶ მობიც. ფედრი იაკოვლევჩი. კიდევ აქიმი.
ტ. 33. ტურბაევ. გარასიმა. ქ. ასტრახანის მოქალაქე.

- ლ. 34. ლიხაშასტოვ. ივან ნესტერიჩ. პოდპოლკოვნიკი.
- ნ. 35. ნემიატოვ. ნიკალაი ანდრეიჩ. ორენბურლის კომისი-
არედსკოსდეპოს ნაჩალნიკი. ამის ცოლი მარი ფეოდოროვნა.
ამათი შვილები: მარია, ანდრეი, გრიგორი და სოფია. ამ ნემია-
ტოვის ცოლის და ალექსანდრა ფეოდოროვნა.
- პ. 36. პავლოვ. ვოინ იაკოვლევიჩ. პოლკოვნიკი. ამის ცოლი
ლუდმილა ნიკალაევნა.
- კ. 37. კანდრატოვიჩ. ივან ტიმოფეიჩ. კაპიტანი.
- ი. 38. იჩიტოვ. მიხაილ მატვეიჩ. პოდპოლკოვნიკი. ამის ცოლი
ოლგა დანილოვნა.
- მ. 39. მატვეევ. ეფიმ მატვეიჩ. ურალსკის ატამანის სეკ-
რეტარი.
- ბ. 40. ხინცინსკი. ეგნატი მატვეიჩ. პრაპორჩიკი.
- ს. 41. სიმბუხინ. ნიკალაი სიმონიჩ. პორუჩიკი.
- ლ. 42. ლიამინ. ივან პრაკოფიჩ. კაზნაჩეი.
- ს. 43. სკლიარევიჩ. პეტრ ფედოტიჩ. კონო არტილერიის
პორუჩიკი.
- დ. 44. ლერნ. კარლ იბანიჩ, ინჟინერის პრაპორშიკი.
- რ. 45. რენიე. ალექსანდრ იაგორიჩ.
- მ. 46. მარტინოვ. გრიგორი ალექსანდრიჩ.
- ს. 47. სკრიაბინ. აფანასი გრიგორიჩ.
- ი. 48. ივანოვ. პეტრ ნიკალაიჩ. ტოპოლრაფის პოდპორუჩიკი.
- გ. 49. გლაგოლიევი. ვასილი ანდრეიჩ. აქიმი.
- ბ. 50. ბიკბულატოვ. ალექსანდრ მაქსიმჩ. ტოპოლრაფის
პორუჩიკი. ამის უნცროსი ძმა ნიკოლაი, არტელერიის პრაპორში-
კი.
- ბ. 51. ბელიაევ. გრიგორი ივანიჩ. სამხედრო სამსახურიდგან
გადაყენებული.
- კ. 52. კალამიციოვ. ნიკოლაი ანდრეიჩ.
- ლ. 53. ლავრილენკო. პეტრ მარკიჩ. პოდპორუჩიკი.
- ბ. 54. ბეკირ. ივან კარლიჩ. აფთიეჟარი.
- ს. 55. სკაჩკოვ. სერგეი ივანიჩ. ექიმი.
- დ. 56. დე-ბუხოზრ. ნიკალაი პავლოვიჩ.
- კ. 57. კრუტიკოვ. ანდრეი დიმიტრიჩ. პორუჩიკი.
- დ. 58. დვორნიკოვ. ვლადიმირ ვასილიჩ. კონო არტილერიის
პორუჩიკი.
- ფ. 59. ფაკეევ. ალექსანდრ ბორისიჩ. ამის ძმა კოსტანტინ.
პრაპორშიკები.

- პ. 60. პადეისკი. მიხაილ ნიკიფორიჩ. დევიზიონის ადუტანტი.
- კ. 61. კაუსტოვ. ნიკიტა მაკარიჩ. ადუტანტი კორპუსნის კომანდერისა.
- ბ. 62. ბარანოვ. ვიონ ხრისტაფორიჩ. ინჟინერის პრაპორშკიკი.
- პ. 63. პლატონოვ. ნიკოლაი ოსიპიჩ. ამის ცოლი მარი ივანოვნა. პოლტავის ლუბერნიის ქ. ვიბილიაკს წავიდნენ.
- გ. 64. გლაზოვ. არდალიონ ივანიჩ. შტაბის ადუტანტი.
- ბ. 65. ბეტკო. კრავერი ფრანციჩ. აქიმი.
- გ. 66. გრაზოვსკი. ანტონ კირილიჩ. ამის ცოლი ოლგა ივანოვნა. ამათი შვილები: ალექსანდრ, ოლგა, კლარისა, ნიკალაი, კატარინა და აუჩკა. გრაზოვსკის ცოლის და ნატალია.
- ჩ. 67. ჩერნეშოვ. უნკერი და სახეთ მხატვარი.
- კ. 68. კალიშკა. ანტონ ივანიჩ. აქიმი.
- ბ. 69. ბიდერმან. კარლ ივანიჩ. აქიმივე.
- დ. 70. დე-ბუზობრ. ვლადიმირ პავლოვიჩ.⁷ ამის ცოლი კატარინა ალექსანდროვნა.
- პ. 71. პუჩკინ. მიხაილ ფეოპენტიჩ. ამის ცოლი სოფია პავლოვნა.
- პ. 72. პოლჩანინოვ. სერგეი ივანიჩ. სიბირსკის პომესჩიკი.
- ი. 73. ისეევ. ფეოდორ პარფენიჩ. ორენბურლის პომესჩიკი. ამის ცოლი ანნა ანდრეევნა.
- ი. 74. იაგოროვ. კოსტანტინ გრიგორიჩ. კონტროლერი.
- ბ. 75. ბიგზულატოვ. მაქსიმ მიხაილიჩ. ინჟინერების ღენერალ მაიორი. ამის ცოლი ანნა ივანოვნა, ამათი ქალები: მარია, ანნა, და ელიზავეტა.
- ჟ. 76. ჟემჩუჟნიკოვ. აპოლონ აპოლონიჩი. სვეტსკის პოლკოვნიკი, ამის ცოლი ნადეჟდა დმიტრიევნა.
- კ. 77. კუზმინსკი. ვასილი ივანიჩ. არტელერიის პოლკოვნიკი.
- ს. 78. სნიტკო. ოსიპ მიხაილიჩ. ინჟინერის პრაპორშკიკი.
- ბ. 79. ბარანსკი. გუგო კარლიჩ. ინჟინერისივე პრაპორშკიკი.
- ბ. 80. ბიბიკოვი. ევსტრატი ურევიჩ. ტროიცკის დამოჟნის უპრავლიაუსჩი.
- ს. 81. სიტნიკოვი. ივან ვასილიჩ. დამოჟნის ჩინოვნიკი.
- ა. 82. ალშამოვსკი. ნიკალაი კლემენტიჩ. დამოჟნის ჩინოვნიკი.
- ტ. 83. ტიმაშოვი. ვლადიმირ ივანიჩ. დამოჟნის ჩინოვნიკივე.
- ტ. 84. გელდ. ადოლფ ადამიჩ. ორნებურლის კომენდანტი. ღენე. მაი.

ლ. 85. ლავროვ. ნიკალაი ივანიჩ. შტაბის ადუტანტი, ამის ცოლი დარია ივანოვნა.

პ. 86. პაპოვ. ნიკალაი ივანიჩ. დამოყენის ჩინოვნიკი.

ს. 87. სოკოლოვ. ნიკალაი ივანიჩ. ლოშპიტლის ლეკარი.

ვ. 88. ვერნიკოვსკი. ივან ანტონიჩ. უჩიტელი ლუბერსკის ქ. სიმბირსკის ლიმნაზიაში.

ვ. 89. ვილჩინსკი. შომან ევსტაფევიჩ. ვიატკაში, კუპცის ვოლოშინინას სახლში მოსკოვსკის ქუჩაში.

პ. 90. პაზუხინ პეტრ სერგეიჩ. სიბირსკის ქალაქის კაზიონი პალატის პრედსედატელი.⁸

ვ. 91. ვასილიევ ივან ოსიპიჩ, ასტრონომი. ამის ცოლი ელიზავეტა ვასილევნა.

პ. 92. პაზუხინ პეტრ სერგეიჩ. სიბირსკის კაზიონის პალატის პრედსედატელი. ამის ცოლი.

ნ. 93. ნორტმან, პეტრ დავიდიჩ. ინჟინერის პორუჩიკი.

ი. 94. ისეევ, ფეოდორ პარფენიჩ, ორენბურლის პომესჩიკი. ამის ცოლი ანნა ანდრეევნა.⁹

ქ. სარატოვს

კ. 95. კნორინდ. ედუარდ მიხაილოვიჩ. კონნო არტელერიის კაპიტანი.

დ. 96. დუკონსკი. სტეპან კუზმიჩ. პორუჩიკი იმავე არტ. –

ზ. 97. ზელიონკა. მიხაილ მატვეევიჩ. შტაბსკაპიტანი იმავე არტე. –

[ჩემი სარჯი]

I.

სამი მანათი სარტყელი.

ოთხი მანათი და ერთი აბაზი ხელსახოცები.

ოთხი აბაზი წინდები.

ერთი აბაზი ნენეს.

ერთი აბაზი დროშკა.

ერთი მანათი საპონი.

სამი მანათი დედას.

სამი აბაზი ქოშები.

სამი მანათი ქათიბისა.

შვიდი აბაზი ბიჭის ახალუხი.
ერთი აბაზი მაროს ნულეზი.
ერთი აბაზი დროშკა.
ერთი აბაზი შაქარი.
სამი აბაზი აფთიაქში.
ერთი აბაზი აფთიაქში.
ათი შაური აფთიაქში.
ათი შაური აფთიაქში.
ორი აბაზი აფთიაქში.
ერთი აბაზი შაქარში.
ერთი აბაზი შაქარში.
სამი აბაზი შაქარში.
სამი აბაზი აფთიაქში.
ერთი აბაზი ალიბუხარში.

II.

დახარჯული. –

1. 50-ი ოქრო არზის დანერაში. –
2. არზის გადასანერი 2-ი მინანთული¹ თეთრი.
3. ორი თავი შაქარი, და ერთი ქირვანქა ჩაი. –
4. ათი თუნგი ღვინო.
5. კიდევ არზის დასანერში. – 15 ოქრო.
6. 4-ი მინანთული საქმის გადასანერებში.
7. კიდევ მეორე არზის გადასანერში 2 თეთ.
8. კიდევ ოცი თუნგი ღვინო გაუგზავნე ერთს.
9. დავერენოსტების ღერბიანის ქალაქში სამრუბლიანი.²

[**განცხადება ნალკის პრისტავ მარაბლისადმი**]

ნალკის პრისტავს, კნიაზ მარაბელს

თ-ა ალექსანდრე ვახტანგის ძის ორბელიანისაგან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

უნყებულ ვიქმენ ეხლა ეს არის და ამასთან მიცნობებია თქვენთვის, რომ რატევნის ნემეცები შემოსულან ჩუმათ ჩემს ახალშნის და მალნარის მამულეებში ამ ერთის კვირის, – ორის თუ სამის დღის, – წინათ და ჩემის ტყიდგან თხუთმეტი ურემი ხეები გაუზიდიათ დიახ დაფარვით, რომლისათვისაცა მიცნობებია თქვენთვის და ამასთან გთხოვთ, მოსწეროთ რატევნის ნემეცებს, რომ ამას იქით უჩემოთ არ გაბედონ ზევით ხსენებულის ჩემის მამულეებიდგან ხეების ანუ შეშის გატანასა.

პოდპორუჩიკი თ-ა ა. ვახ. ძე ორბელიანი
28-ს აგვისტოს 1862-სა წელსა.
ს. კაზრეთი

[**სამედიცინო რეცეპტაჟი**]

საბრი არყი.¹ ბუასილის წამალი. ერთი სტოლის კოვზი² უნდა წმინდათ დაინაყოს ნახევარ სტაქან ადულებულ წყალში. გაციებულში უნდა წყნარ-წყნარად ჩაიყაროს და ურიოს. ერთი ნატეხი შაქარი უნდა ჩაგდოთ, და ჩაისავით უნდა დალიოს. პატარისთვის კი ერთი ჩაის კოვზი. თუ ერთ დაღვევაზედ არ მოეჭრა, მეორეთ და მესამეთაც დალიოს.

ხველისა და გულის ტკივილისთვის მზე უჭვრიტას ყვავილი და ტეხტის ყვავილი³ ერთათ უნდა მოდულდეს და ჩაისავით დილა საღამოს უნდა დალიოს.

შენიშვნები და კომენტარები

ტექსტისათვის

ამ ტომში სრულადაა შესული ალექსანდრე ორბელიანის მიერ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული 174 ჩვენება და 52 პირადი წერილი. განყოფილებაში „სხვადასხვა“ შეტანილია ავტორის ჩანაწერები, განცხადება წალკის პრისტავ მაჩაბლისადმი და სამედიცინო რეცეპტები.

ტექსტების უმრავლესობა ქვეყნდება პირველად [89 ჩვენება (მოიძია ჯულიეტა გაბოძემ), 46 პირადი წერილი, ჩანაწერები (გარდა ერთისა – „ჩემი დილის და საღამოს ლოცვა“; პუბლიკატორი როსტომ ჩხეიძე).

ტექსტები დალაგებულია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით. ტომში შესულ ტექსტებს არა აქვს ვარიანტები და, შესაბამისად, *ყველა ტექსტი ძირითადია*.

პასპორტში ვუთითებთ მონაცემებს: ა) ტექსტის ხელნაწერის დაცულობის შესახებ [საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (ქლსმ), კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). დაცულობის ადგილი მითითებულია პირობითი ნიშნებით – ლიტერებით); ბ) პირველნაბეჭდის შესახებ (*მიუხედავად იმისა, დაიბეჭდა თუ არა ესა თუ ის ტექსტი ავტორის სიცოცხლეში*); გ) სათაურის, თარიღისა და ხელმოწერის შესახებ.

თუ ტექსტი უსათაუროა, ვასათაურებთ ჩვენ თვითონ და სათაურს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში; როცა ტექსტი უთარილოა, დადგენილ ან სავარაუდო თარიღს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო აუცილებელ განმარტებებს ვიძლევიტ შენიშვნებსა და კომენტარებში. თუ ავტორი თარიღთან ერთად უთითებს დანერის ადგილს, პასპორტში შეგვაქვს ორივე მონაცემი.

ტომში შესული ტექსტები, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი ადრე გამოქვეყნებული, წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება *დედნის* მიხედვით.

ალექსანდრე ორბელიანი, განსხვავებით შეთქმულთა უმრავლესობისა, ჩვენებებს (ორიოდე გამონაკლისის გარდა) წერს ქართულ ენაზე, კომისიის მიერ დასმული კითხვები კი რუსულ ენაზეა. გ. გოზალიშვილის მიერ თარგმნილი შეკითხვები გადმოგვაქვს უცვლელად (თუნდაც პუბლიკატორის დამსახურები-

სადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად. გასწორებულია მხოლოდ რამდენიმე უნებური შეუსაბამობა, რომელიც **ცვლის შინაარსს** და ხსენებული სწორებების შესახებ ვუთითებთ შენიშვნებსა და კომენტარებში). იმ შემთხვევაში, როცა გ. გოზალიშვილს გამოქვეყნებული აქვს ჩვენება, ხოლო შეკითხვები კი – არა, კომისიის ამ შეკითხვებს დედნიდან ჩვენ თვითონ ვთარგმნით და ვუთითებთ შენიშვნებსა და კომენტარებში.

ძველ, ხმარებიდან ამოღებულ (ე. წ. ფუნქციონირებად) ასოებს ავტორი ტომში შესულ ტექსტებში იყენებს იშვიათად (რამდენიმე ჩვენებაში *ა-სა* და *ჟ-ს*; აგრეთვე, *ფ-ს*, *ა-ს*, *ჟ-სა* და *ჟ-ს* წერილებში დიშ. ყიფიანისადმი და ორიოდვე სხვა შემთხვევაშიც). წინამდებარე გამოცემაში ძველი ასოები შეცვლილი გვაქვს და სიტყვები, თანამედროვე დანერგობითაა წარმოდგენილი.

აღ. ორბელიანი ხშირად იყენებს ამა თუ იმ სიტყვის პარალელურ ფორმებს (ზოგ შემთხვევაში, ამა თუ იმ პარალელურ ფორმას ერთსა და იმავე ტექსტშიც კი): კომისია/კამისია, ამბავი/ანბავი, ერთმანეთი/ერთმანერთი, მასუკან/მასკვან, არის/არს, უთუოდ/უთუოთ/უთოთ, ბრძანება/ბძანება, რომ/რო და სხვ.; ასეთ ფორმებს, ისევე, როგორც აღ. ორბელიანის ნაწერების სხვა გრამატიკულ თუ ორთოგრაფიულ თავისებურებებს (ვთქვათ, კომპოზიტების დანერგობას და სხვ.) ვტოვებთ უცვლელად (ვასწორებთ მხოლოდ აშკარა ლაფსუს კალამს).

სხვა ვითარებაა პუქტუაციასთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ აღ. ორბელიანი პუქტუაციის ნიშნებს (განსაკუთრებით, *მიძმეს*), ერთობ უსისტემოდ იყენებს. წინამდებარე გამოცემაში ეს ხარვეზი **ძირითადად** გასწორებულია, თუმცა შესაძლებლობის ფარგლებში შენარჩუნებულია ავტორის წერის მანერის ეს თავისებურება [მაგალითად, *მიძმე* (,) კავშირ *და-ს* წინ].

აღ. ორბელიანის წერის თავისებურება ისიც არის, რომ იგი არ ხმარობს გაორმაგებულ ასოებს (მაგალითად, წერს: **შერთება**, ნაცვლად **შეერთებისა**, **სათი**, ნაცვლად **სათისა**, **დამარცხეს** და არა **დაამარცხეს**, **ჩემა** და არა **ჩემმა**, **ზალ** და არა **ზაალ** და სხვ.; მოგვიანებით და იშვიათად ზოგიერთ ჩანაწერში იგი არღვევს მის მიერვე შემუშავებულ ამ „ნესს“). ჩვენ ამ ვითარებასაც ვტოვებთ უცვლელად.

ავტორი ხშირად იყენებს ქარაგმებს, რომლებიც გახსნილი გვაქვს: *შ-ა/შინა*, *შ-ს/შორის*, *ზ-ა/ზედა*, *შ-დგ/შემდეგ* (შემდ-

გომ), რ-ლიც/რომელიც, კ-დ/კვლავად, ვ-ა/ვითარცა, მ-რ/მიერ, თ-ა/თავადი, ღ-თი/ღმერთი და სხვ.; გამონაკლისია **თ-ა** [თავადი], როცა იგი ავტორის ხელმოწერაშია ფიქსირებული.

ჩვენებებში ქართულად ნაწერ რუსულ სიტყვებს შესაბამის კომენტარებსა და შენიშვნებში განვმარტავთ ცალკე.

ტომში არ შეგვიტანია ალ. ორბელიანის რამდენიმე ჩვენება, რომლებიც შესულია გ. გოზალიშვილის წიგნში „1832 წლის შეთქმულება“ (ტ. I-III. თბ.: 1935-1976). კერძოდ, ჩვენებები: 1. 1833 წლის 1 აპრილისა (გოზალიშვილი 1935: 449-450; სეა. ფონდი 1457. რვ. 13. ფ. 2296-2296ა); 2. 1833 წლის 31 მაისისა (გოზალიშვილი 1935: 472; სეა. ფონდი 1457. რვ. 17. ფ. 3250). საქმე ის არის, რომ ეს ჩვენებები ეკუთვნის არა ალექსანდრე **ვახტანგის** ძე ორბელიანს, არამედ სხვა შეთქმულს – ალექსანდრე **გიორგის** ძე ორბელიანს (მეტსახელად „ბაკლანას“). ამაზე მეტყველებს: ა) აშკარა კალიგრაფიული განსხვავება; და ბ) ალექსანდრე ვახტანგის ძე ხელს აწერს, როგორც „პოდპორუჩიკი“, ხოლო ალექსანდრე გიორგის ძე – „ოტსტავნოი [გადამდგარი] პორუჩიკი“ (ალ. გ. ორბელიანი დაპატიმრებისას, მისივე ჩვენების მიხედვით, სწორედ „გადამდგარი პორუჩიკი“ იყო – გოზალიშვილი 1935: 356).

ტომში არ არის, აგრეთვე, შეტანილი ალ. ორბელიანის მიერ 1831 წ. 6 მარტს ქალაქ ბელასტოკიდან [ბელოსტოკიდან] იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილი წერილი (იხ. იონა ხელაშვილის ავტოგრაფული კრებული. S-388, ფ. 26-27). ამ წერილის მიხედვით, იონა ხელაშვილის „**მონაფე**“ ალექსანდრე ორბელიანი (მამის სახელი არ არის მითითებული) ადრესატს სთხოვს, არ დაივინოს, ლოცვებში მოიხსენიოს და, თუ რამე შეემთხვევა, ალექსანდრეს ძმამ, დიმიტრიმ, ის მისი „სანადინელი ალასრულოს“ („ჩემს ძმას დიმიტრის ჩემს აზრს ვწერ და ვსთხოვ მას, რო მე თუ რაიმე შემემთხვას, ის ჩემი სანადინელი ალასრულოს, რომელზედაცა მაქვს სრული იმედი უეჭველად აღსრულების... ჩემს ძმას დიმიტრის, თუ რამე შემემთხვას, რომელ სათხოვარი ჩემი და მოწერილი ალასრულოს“). მიუხედავად იმისა, რომ წერილში ნახსენებია დიმიტრი [ორბელიანი] (ალექსანდრეს ძმა დიმიტრი ორბელიანი იმ დროს რუსეთში იყო და პოლონეთის აჯანყების ჩახშობაშიც მონაწილეობდა), ეს წერილი, ჩვენი აზრით, მაინც არ უნდა ჩაითვალოს ალექსანდრე **ვახტანგის** ძე ორბელიანის დანერვილად, რადგანაც: ა) 1800-იანი წწ. დასაწყისში რუსეთში (გო-

რონეჟი, მოსკოვი) წასული, ხოლო 1806 წლიდან პეტერბურგში მცხოვრები და იქვე 1837 წ. გარდაცვლილი იონა ხელაშვილი ვერ იქნებოდა ალ. ვ. ორბელიანის ნაცნობი და, მით უმეტეს, ალ. ვ. ორბელიანი ვერ იქნებოდა იონა ხელაშვილის *მონაწე* [1833 წ. 7 თებერვალს ალ. ვ. ორბელიანი კომისიას ჩვენებას აძლევს: „არც პეტერბურღს ვყოფილვარ და არც მოსკოვში“, ალ. ვ. ორბელიანი („ბაკლანა“) კი 1820-იან წწ. კომერციული მიზნით რამდენჯერმე იყო მოსკოვში (გოზალიშვილი 1935: 357]; გ) 1831 წლის მარტში ალ. ორბელიანი თბილისში იყო და არა – პოლონეთის ქალაქ ბელოსტოკში. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, ადასტურებს, რომ იონა ხელაშვილისადმი წერილის ავტორი, შესაძლოა, ალექსანდრე გიორგის ძე („ბაკლანა“) ან ვინმე სხვა ალექსანდრე ორბელიანი იყოს. რაც შეეხება ხსენებული წერილის კალიგრაფიულ ანალიზს, ამას აზრი არა აქვს იმდენად, რამდენადაც იონა ხელაშვილის კრებულში შესული ეს (და სხვა პირთა არაერთი) წერილი დედანი კი არ არის, არამედ ერთი და იმავე ხელითაა **გადანწერილი**.

ტომს დართული აქვს შემოკლებათა განმარტებები, პირთა ანოტირებული და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები. ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ შენიშვნებსა და კომენტარებში განმარტებებს ვაკეთებთ აუცილებლობის შემთხვევაში: როცა პირი ნახსენებია ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვარით, ან ინიციალით, ან კიდევ, როცა *ამა თუ იმ პირის შესახებ კომენტარის დართვა აუცილებელია ავტორის ტექსტში მოცემული ცნობის განმარტება-განვრცობისათვის*. სხვა შემთხვევებში მონაცემები ტექსტებში ნახსენებ პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბანურ-ანოტირებულ საძიებელში.

გეოგრაფიული სახელები საძიებელში არ შეგვაქვს ორ შემთხვევაში: ა) დამონშმებული წიგნისა თუ პერიოდიკის გამოცემის ადგილი (თბილისი, ტფილისი, Тифлис, Санкт-Петербург...); ბ) როცა ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი პერიოდული გამოცემის სახელწოდებაა („ივერია“, „Кавказ“...).

პირობითი ნიშნავი

K – კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

T – გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

Z – საქართველოს ეროვნული არქივი.

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებაები

თვალსაზრისს, თითქოს 1832 წლის შეთქმულება სუსტად იყო ორგანიზებული, არ მოიცავდა საზოგადოების ფართო ფენებს და სხვ. და, შესაბამისად, არ გააჩნდა პერსპექტივა, საფუძვლად უდევს ნიკოლოზ I-ის გადაწყვეტილება, რომელიც პირნმინდად განახორციელა საგამომძიებლო კომისიამ. სინამდვილეში შეთქმულთა ჩვენებების **შეჯერება** (და არა ცალკეულ ჩვენებებზე პირდაპირი დაყრდნობა), აგრეთვე, თბილისსა და პეტერბურგს შორის გამართული კონფიდენციალური მიმოწერა დიამეტრულად განსხვავებულ სურათს იძლევა. კერძოდ, „ფარული საზოგადოება“ კარგად იყო ორგანიზებული, გამოირჩეოდა ეთნიკური მრავალფეროვნებით, მოიცავდა ყველა სოციალურ ფენას, ჰქონდა ფართო (კავკასიური) მასშტაბი და მიზანდასახულობა, გეგმა აჯანყებისა სკრუპულოზურად იყო დამუშავებული, არსებობდა საერთაშორისო კავშირები და სხვ. (ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2023: 250-279).

შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალების გაცნობისა და ანალიზისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი არსებითი მნიშვნელობის გარემოებები: იასე ფალავანდიშვილმა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, გენერალ ვლ. ვოლხოვსკის, შეთქმულების შესახებ 1832 წლის 9 დეკემბერს, ნაშუადღევს, განუცხადა (აქტები 1881: 391-392; გოზალიშვილი 1935: 9; დასმენის ტექსტი იასეს მოგვიანებით, 11 დეკემბერს, დაანერინეს – გოზალიშვილი 1935: 130-138; ჯოლოგუა 2013^ა: 230). ამბავი იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ დამსმენი არ დაუპატიმრებიათ. 10 დეკემბრის დილას ი. ფალავანდიშვილის მონათხრობი მის მიერ დასახელებულ ერთ-ერთ შეთქმულთან, ანტონ აბხაზთან, გადაამოწმეს (გოზალიშვილი 1935: 9). რასაკვირველია, შეთქმულთათვის მამინვე ცხადი გახდებოდა, რომ აჯანყების იდეა ჩავარდა და, თუ რამდენიმე წლის წინ დეკაბრისტთა – რუსეთის თვალსაჩინო არისტოკრატიული ოჯახების შვილთა – მიმართ ნიკოლოზ I-ის მიერ გამოჩენილ სისასტიკესაც (ჩამოხრჩობა, კატორღაში გაგზავნა, რიგით ჯარისკაცებად გამწესება...) გავითვალისწინებთ, შეთქმულნი ქართული არისტოკრატიული და ინტელექტუალუ-

რი ელიტის განადგურების, შესაბამისად, ეროვნული პერსპექტივის მოსპობის საფრთხესაც დაინახავდნენ. დაპატიმრების პირველ ტალღამდე (10-11 დეკემბრის ღამე) დარჩენილი იყო მთელი დღე და ამ დროში შეთქმულების ძირითადმა ბირთვმა არა მარტო მტკიცებულებათა განადგურება მოასწრო (მხოლოდ რამდენიმე წერილობითი მტკიცებულება გადარჩა შემთხვევით), არამედ, როგორც ჩანს, თავდაცვის ტაქტიკა და სტრატეგიაც შეიმუშავა: „დანაშაულის“ აღიარება, „გულწრფელი“ მონანიება, უკვე გამომჟღავნებულ მონანილეთა დასახელება, „ფარული საზოგადოების“ სულისკვეთების, მიზნებისა და მასშტაბის დაკნინება, მტკიცება იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლებისა და პოლიტიკურ სისტემის წინააღმდეგნი კი არ იყვნენ, არამედ – ადგილობრივი მმართველობისა და სხვ. [გ. გოზალიშვილის თქმით, „საფიქრებელია, რომ მთავარ შეთქმულთ უკვე მოასწრეს მოლაპარაკება, რაც აშკარად ეტყობა მათ პირველ ჩვენებებს...“ (გოზალიშვილი 1935: 9); ვრცლად საკითხის შესახებ იხ. გოზალიშვილი 1935: 9-14]. ისიც უნდა ითქვას, რომ შეთქმულები საპატიმროშიც ახერხებდნენ ერთმანეთთან კავშირსა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას (საკნინდან საკანში გადაძახილი, მიმოწერა, რომელსაც საპირფარეოში, სპეციალურ სამალავში ტოვებდნენ, გადალაპარაკებები დერეფნებსა და სასაირონოდ გამოყვანისას და სხვ.). განსაკუთრებით საინტერესოა ხერხი, რომელსაც ფილადელფოს კიკნაძე და ტარასი ალექსი-მესხიშვილი იყენებდნენ: „გამოძიებისას, პოკროვსკის ყაზარმებში ჯდომისას, ტარასისა და ფილადელფოს კიკნაძეს, როგორც ბერებს, უთხოვნიათ ხელისუფლებისათვის – ნება მოგვეცით ხმამალა ვილოცოთ და ვიკითხოთ სახარებაო. ყაზარმების ადმინისტრაციას ეს თხოვნა შეუწყნარებია. ამათაც დაუწყიათ ხმამალა ლოცვა და სახარების კითხვა, შიგადაშიგ, საეკლესიო კილოთი, ცალკე ოთახებში გამომწყვდეულ შეთქმულთა გასაფრთხილებლად ამბობდნენ გამომძიებელმა რა ჰკითხა, რა უპასუხეს და შემდეგში ვინ როგორი ჩვენება მისცეს“ (ბერძნიშვილი 1980: 119).

დასასრულ, არსებითი მნიშვნელობის საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ გამოიჩინა ნიკოლოზ I-მა „გულმონყალბა“ და რატომ აღმოჩნდა შეთქმულთა მიმართ გამოტანილი განაჩენი არცთუ მკაცრი [რუსეთის გუბერნიებში 35-მდე შეთქმული გადაასახლეს სამოქალაქო ან სამხედრო სამსახურის უფლებით, საქართველოში დატოვებული „დამნაშავეები“ უმრავლესობას

კი პოლიციური მეთვალყურეობა აკმარეს (გოზალიშვილი 1976: 427-437)]:

ა) ხელისუფლებისთვის არ იყო სასურველი (არც შინ, მით უმეტეს – არც საზღვარგარეთ), გამჟღავნებულები არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმით საყოველთაო უკმაყოფილება „ნებაყოფლობით შეერთებულ“ ქვეყანაში.

ბ) რუსეთს გაჩაღებული ჰქონდა სისხლისმღვრელი ომი ჩრდილოეთ კავკასიაში და, ცხადია, არ სურდა სერიოზული კონფლიქტი ამ ომის პლაცდარმად ქცეულ საქართველოში.

გ) ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ არ იყო ჩანყნარებული რუსეთის მიერ პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობისა და აჯანყებულ პატრიოტთა ხოცვა-ჟლეტის გამო.

დ) რუსეთის მონარქიას განზრახული ჰქონდა, საქართველოში (საერთოდ კავკასიაში) თავისი პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი თავადაზნაურობა გადაექცია და მისთვის, ცხადია, უფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნებოდა, ურთიერთობა ჰქონოდა არა **დასჯილ**, არამედ **შენყალბულ** ფენასთან (უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2023: 272-279).*

რაც შეეხება საკუთრივ ალექსანდრე ორბელიანს, როგორც ცნობილია, იგი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური იყო [მასალების მიხედვით, შეთქმულების ხელმძღვანელობის ვერტიკალი ასეთი ჩანს: დიმიტრი ბატონიშვილი პეტერბურგში, ოქროპირ ბატონიშვილი მოსკოვში, თამარ ბატონიშვილი თბილისში. აქვე (თბილისშივე) აჯანყების ორგანიზებას პრაქტიკულად ხელმძღვანელობდნენ: ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი და იასე ფალავანდიშვილი (საკითხის შესახებ, აგრეთვე, ნყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2013: 10-14, 146-154, 179-181)].

შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ ალ. ორბელიანი შეიყვანა „დამნაშავეთა“ მეორე კატეგორიაში [„მოთავენი (Зачинщики), რომლებიც ხალხს აღძრავდნენ შეთქმულებაში მონაწილეობისა და თვით ამბოხებისკენაც კი“]. მას მიესაჯა თავადური ღირსების აყრა და სიკვდილი – ოთხად განკვეთა, ამასთანავე, მისი წილი შთამომავლობითი ქონებისა უნდა გა-

* ეს მონაკვეთი მცირეოდენი ცვლილებებით გადმოღებული გვაქვს ჩვენ მიერ შედგენილი დიპ. ყიფიანის თხზულებათა VI ტომიდან (ყიფიანი 2021: 336-339).

დასცემოდა სახელმწიფო ხაზინას.* მოგვიანებით ალ. ორბელიანს განაჩენი შეუცვალეს, მიუსაჯეს 12 წელი და პრაპორშჩიკის ჩინით ორენბურგის გუბერნიაში მდგარ ერთ-ერთ ბატალიონში გაგზავნეს (თბილისიდან 1834 წლის 17 ივლისს გავიდა). ორენბურგიდან იგი 1838 წელს „კავკასიის ხაზზე“ გადმოიყვანეს, ხოლო სამშობლოში 1840 წელს დააბრუნეს (ალ. ორბელიანზე, როგორც შეთქმულზე, იხ. გოზალიშვილი 1970: 47-51; ბერძნიშვილი 1980: 17-19; ბერძნიშვილი 1983: 125-126; ჩხეიძე 1996: 61-196; ჯოლოგუა 2013⁶: 154-156).

საქართველოში დაბრუნებულმა ალ. ორბელიანმა, ყოფილი თანამებრძოლებისა და თანამოაზრეების უმრავლესობისაგან განსხვავებით, არ ისურვა სახელმწიფო სამსახურში შესვლა და კარგა ხანს საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზსაც იყო გარიდებული. მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, სახელი ძირითადად დაკავშირებულია ივანე კერესელიძის „ციცკართან“ (1857-1875), რომლის დაარსებასა და გამოცემაში ალ. ორბელიანს არსებითი ხასიათის წვლილი აქვს შეტანილი. იქვე აქვეყნებდა თავის ნაწერებს: ლექსებს, დრამატულ ნაწარმოებებს, საისტორიო თხზულებებს, რეცენზიებს, ნაშრომებს ქართული სასაუბრო თუ სალიტერატურო ენის საკითხებზე, მოგონებებს...

1. ჩვენება 1832 წლის 16 დეკემბრისა

(გვ. 21-22).

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 1. ფ. 107-107^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 74-75. **თარიღი:** 1832 წ. 16 დეკემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

* სამხედრო სასამართლომ თავდაპირველად ანალოგიური განაჩენი გამოუტანა შეთქმულების სხვა წევრებსაც: ელიზბარ ერისთავს, სოლომონ დოდაშვილს, დიმიტრი ერისთავს, ვახტანგ ორბელიანს, ლუარსაბ ორბელიანს, ალექსანდრე გიორგის (იაგორის) ძე ორბელიანს, ზაქარია ჩოლოყაშვილს, სოლომონ რაზმაძესა და მოლა ზამანას (გოზალიშვილი 1976: 431), თუმცა შემდეგ ნიკოლოზ I-ის გადაწყვეტილებით მათ სასჯელი შეუცვალეს და სხვადასხვა ვადით რუსეთის გუბერნიებში განაწესეს [მხოლოდ ლუარსაბ ორბელიანი გადაურჩა სასჯელს, რასაც თანამედროვენი ძირითადად კავკასიის ხელისუფლებაში მისი სიძის (ქალიშვილის ქმრის), ნიკოლოზ ფალავანდიშვილის, ავტორიტეტსა და გავლენას მიაწერდნენ].

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 16 დეკემბერს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ეს არის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის ალ. ორბელიანის მიერ მიცემული პირველი **წერილობითი** ჩვენება, რომლის შესახებაც კომისიის 16 დეკემბრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „იყო გამოძახებული თავადი ალ. ორბელიანოვი, რომელმაც უარჰყო რა ყველაფერი, წერილობით უპასუხა წარდგენილი კითხვების პირველ პუნქტზე ნაშუადღევის 5 საათზე. ამ ორბელიანოვმა ითხოვა გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის მისვლა მის ოთახში, სადაც მას გამოუტყდა ყველაფერში, აღიარა თავისი თავი დამნაშავედ და ითხოვა ნებართვა, რათა თავის ოთახში ყველაფერი დაწვრილებით დაწეროს ამ საქმის ირგვლივ, რაზედაც კომისიამ თანხმობა მისცა“ (Z: ფონდი 1457. რგ. 1. ფ. 91; გოზალიშვილი 1935: 173). მანამდე კი საგამომძიებლო კომისიას ალ. ორბელიანი გამოუკითხავს **სიტყვიერად**. ამის შესახებ კომისიის 1832 წლის 13 დეკემბრის სხდომის ოქმში წერია: „სიტყვიერად დაკითხულ იქნა აღმასრულებელი ექსპედიციის სოვეტნიკი, თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი, მაგრამ, რადგანაც მან სრულიად გადაჰფიცა, რომ მან განზრახულების შესახებ არა იცის რა, ამიტომ გადაიდო მისთვის კითხვითი პუნქტების წარდგენა, ვიდრე დიდი ბრალდებები მოიყრიდეს თავს“ (Z: ფონდი 1457. რგ. 1. ფ. 33; გოზალიშვილი 1970: 73. თარგმანი გ. გოზალიშვილისა).

¹ (გვ. 21) – „...სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს“ – ალ. ორბელიანი 1829 წლიდან საქართველოს აღმასრულებელ ექსპედიციაში მსახურობდა *სოვეტნიკის* (მრჩეველი) თანამდებობაზე: „1829-ს წელსა საზოგადოებამ ამამარჩია სოვეტნიკად ისპოლიტელის ექსპედიციაში და აქამომდე მას ექსპედიციაში ვემსახურებოდი“ (იხ. აქვე, გვ. 67). დაპატიმრებიდან ცოტა ხანში იგი დაუთხოვიათ სამსახურიდან – 1833 წლის 2 იანვარს ალ. ორბელიანი კომისიის მასალებში უკვე *ყოფილ სოვეტნიკად (бывший советник)* იხსენიება (რგ. 3. ფ. 326). რაც შეეხება „*ისპოლიტელის ექსპედიციას*“, იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს დამტკიცებული დებულების საფუძველზე 1802 წლის მაისში დაარსდა „საქართველოს უზენაესი მთავრო-

ბა“, რომელიც ოთხი: აღმასრულებელი (Исполнительная), სამოქალაქო (Гражданская), სისხლის სამართლისა (Суда и расправы) და სახაზინო საქმეთა (Казённых дел) – განყოფილების, ანუ ექსპედიციისგან შედგებოდა. აქედან „აღმასრულებელი ექსპედიციის“ ფუნქციას შეადგენდა: ადმინისტრაციული განკარგულებების გაცემა, კანონების გამოქვეყნება და ამ კანონების შესრულებისათვის თვალყურის დევნება. მას ემორჩილებოდა პოლიცია, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. აღმასრულებელი ექსპედიციის თავმჯდომარედ საქართველოს მმართველი ითვლებოდა, ხოლო წევრებად – ორი მრჩეველი (ან მდივანბეგი), რომელთაგან ერთ-ერთი რუსის მოხელე უნდა ყოფილიყო, მეორე კი ქართველი თავადი“ (ჩხეტია 1940: 29; ტექსტი დებულებისა იხ. აქტები 1866: 437-438).

² (გვ. 21) „ოსმალეთიდან დაბრუნებული იმერელი აზნაური თეიმურაზ ლორთქიფანიძე“ – „ფარულ საზოგადოებას“ თავისი წევრები ჰყავდა იმერეთშიც (გ. და ნ. ჩიჯავაძეები, ბ. ლორთქიფანიძე, ზ. ჩახუნაშვილი...): „იმერეთთან ურთიერთობა შედარებით მკრთალად არის მასალებში წარმოდგენილი, თუმცა საფიქრებელია, რომ იმაზე მეტი უნდა ყოფილიყო, რასაც ჩვენ აქ ვტყობილობთ. როგორც სხვა ბევრი რამის დაფარვა მოახერხეს შეთქმულთ, უეჭველია, რომ აქაც ბევრი რამ დამალეს“ (გოზალიშვილი 1935: 71). შეთქმულთა იმერეთის ჯგუფს, როგორც ეს კომისიის მასალებში ჩანს, ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა თეიმურაზ ლორთქიფანიძე და იგივე პირი იყო მეკავშირე ცენტრსა და იმერელ შეთქმულთა შორის, მასვე უნდა გაეგრცვლებინა ხმა – იმერეთში „საქართველოდან რუსებს ხალხი სალდათად მიჰყავთ“ (გოზალიშვილი 1970: 517).

თ. ლორთქიფანიძე აქტიურად მონაწილეობდა 1819-1820 წწ. იმერეთის აჯანყებაში და დამარცხებამ აიძულა, ოსმალეთში (ახალციხე, არზრუმი, ტრაპიზონი, კონსტანტინოპოლი) გადახვეწილიყო [გოზალიშვილი 1970: 369; „ახალციხეში ემიგრანტების მეთაურად თეიმურაზ ლორთქიფანიძე იყო“ – უნერია უბის წიგნაკში მიხეილ ჯავახიშვილს (ჯავახიშვილი 2011: 326)]. რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების შემდეგ თ. ლორთქიფანიძე ჯერ ოდესაში გადაუყვანიათ, საიდანაც, მისივე სიტყვებით, „თანახმად უმალლესი ბრძანებისა, რედუტ-ყალას გზით თბილისში... გაგვგზავნეს. აქ დავრჩით რვა თვე“ (გოზალიშვილი 1970: 369). ასე მოხვდა 1831 წელს

თ. ლორთქიფანიძე თბილისში, სადაც გაიცნო გიორგი დავითის ძე ერისთავი, რომელმაც იგი ალ. ორბელიანთან დააკავშირა (გოზალიშვილი 1935: 71). თ. ლორთქიფანიძისადმი შეთქმულთა ნდობაზე, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარტო ის ფაქტი მეტყველებს, რომ თბილისში მას დაწვრილებით აცნობენ აჯანყების გეგმას (გოზალიშვილი 1970: 370).

თ. ლორთქიფანიძის შესახებ საგამოძიებლო კომისიის დასკვნაში წერია: „იმერელი თეიმურაზ ლორთქიფანიძე გადასახლებულ იქნას ციმაში“ (გოზალიშვილი 1976: 429). ამის შემდეგ მისი სახელი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ ჩანს და, ადვილი შესაძლებელია, ვერც ჩამოსულიყო გადასახლებიდან (თ. ლორთქიფანიძის შესახებ იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 71-76, 409; გოზალიშვილი 1970: 370, 381, 406 და სხვ.).

³ (გვ. 21) **„საქართველოში ჯარისკაცებს აგროვებენ ... იგივე უნდა გაევერცელებინათ ხალხში მათ ასაჯანყებლად“** – შეთქმულთა „არსენალში“ პროპაგანდისტული ხერხებიც შედიოდა და, მათ შორის, თითქოს მთავრობა გლეხების „საღდათად“ განწვევას აპირებდა (გოზალიშვილი 1935: 32, 325, 487 და შმდ.), რასაც გლეხობის მასობრივი გამოსვლები უნდა მოჰყოლოდა [იასე ფალავანდიშვილის დასმენის ქალაქში ვკითხულობთ: „წინადადებით უნდა წერილობითა და სიტყვიერად ყველგან მდაბიო ხალხში გაევერცელებინათ ხმები, რომ რუსები ქართველების ჯარისკაცებად წაყვანას ლამობენ, მაგრამ თავადები არ ეთანხმებიან, ამიტომ სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე იმაზე დათანხმდებიანო, და მაშინ მდაბიო ხალხში არეულობა მოხდებოდა (გოზალიშვილი 1935: 90)], მით უმეტეს, საამისო გამოცდილება უკვე არსებობდა – 1829 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, მთავარმართებელმა ივანე პასკევიჩმა 1829 წლის 28 თებერვლის დებულებით სახალხო ლაშქარში („მილიციაში“) განწვევის წესი შეცვალა და იგი სამხედრო ბეგარას დაუახლოვა: ყოველ ხუთ მამაკაცზე ერთი უნდა გაეწვიათ, ჯარში სამსახური ექვსი თვით განისაზღვრა, „მილიცია“ ნაწილობრივ სახელმწიფო ხარჯზე უნდა გადასულიყო და სხვ.; ეს ყველაფერი არსებითად „გასაღდათებას“ ნიშნავდა, რაც შეუთავსებელი იყო სახალხო ლაშქარში განწვევის ტრადიციულ წესთან. თბილისში 9 მარტს გამოცხადებულ ამ მოთხოვნას მაშინვე მოჰყვა მღელვარება, რომელიც სწრაფადვე გავრცელდა თელავის, სიღნაღის, გორის, დუშეთის მაზრებში, ბორჩალოსა და ყაზახის დისტანციებში, ელიზავეტ-

პოლის ოლქის მუსლიმურ და სომხურ მოსახლეობაში... მღელვარების გასამწვავებლად ენერგიულად ამოქმედნენ ალექსანდრე ბატონიშვილის ნდობით აღჭურვილი პირები. ქართლის მაზრებიდან აღშფოთებული მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ნაკადი მოადგა თბილისის მისადგომებს და შეიქმნა თბილისში შეიარაღებული შეტაკებების რეალური საშიშროება. მღელვარების ჩაქრობას დასჭირდა ენერგიული ახსნა-განმარტებითი მუშაობა ნარჩინებული ქართველი თავადებისა (კ. მუხრანბატონი, ალ. ვ. ორბელიანი, გ. ი. ერისთავი და სხვ.), რომლებმაც მოვლენათა ესკალაციით შეშფოთებულ ი. პასკევიჩს „ხუთიდან ერთის განწვევის“ წესი გააუქმებინეს. მოგვიანებით მთავრობამ სხვადასხვა ფორმით (სასამართლოში გადაცემის ჩათვლით) დასაჯა ის დიდგვაროვნები, რომლებმაც სახალხო მღელვარების ინსპირაციასა და გამწვავებაში მიიღეს მონაწილეობა (აბელ და თადია ჩოლოყაშვილები, ასლან, ლუარსაბ, ქაიხოსრო, მამუკა ორბელიანები და სხვ.). ამ მოვლენასთან დაკავშირებული გარემოებები აღწერილია აქვს ალ. ორბელიანს თავის თხზულებაში „1829-სა წელსა აღრეულობა საქართველოში“ (ალ. ორბელიანის თხზ. ხუთ ტომად. ტ. III; დოკუმენტური მასალა 1829 წლის გლახთა მღელვარების შესახებ, აგრეთვე, ალ. ორბელიანის ხსენებული თხზულება იხ. იოსელიანი 1990: 431-564).

⁴ (გვ. 21) **„ხომ არავის უამბია თქვენთვის პოლონეთის აჯანყებაზედ ... აქაც ამავე დროს მოგეხდინათ იგივე“** – კომისიას აქ მხედველობაში აქვს რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყება, რომელიც პოლონელთა დამარცხებით დამთავრდა. ზოგიერთი ქართველი შეთქმულის ჩვენებებით, მათ 1831 წელსვე, პოლონეთის აჯანყების პარალელურად სურდათ აჯანყება საქართველოშიც (გოზალიშვილი 1935: 61, 85-86 და შმდ.), თუმცა პოლონელთა დამარცხებამ ქართველ შეთქმულთა მოქმედების ინტენსივობა მნიშვნელოვნად შეამცირა [„როცა დაიწყო პოლონეთის რევოლიუცია, მაშინ აქაც მზათ იყვნენ, დაეწყათ აჯანყება“ – უჩვენებს კომისიას დიმი. ყიფიანი (ყიფიანი 2021: 90)]. ქართველთა შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პოლონელები: საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (ამ თანამდებობაზე 1832 წ. იანვარში ნიკოლოზ ფალავანიშვილმა შეცვალა) პეტრე ზავილეისკი და მისი ძმა – მათე ზავილეისკი. 1832 წელს აჯანყების მომზადებაში ჩართულნი იყვნენ დასჯილი და საქართველოში გადმოსახლებული პოლონელები, რომელთა

ნაწილი, განსაკუთრებით არტილერისტები, აჯანყების დამეს „თათრის მოედანზე“, შეთქმულთა შტაბში უნდა გამოცხადებულ იყვნენ (აჯანყებაში ჩართვის მსურველი პოლონელები სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ელიზბარ ერისთავი ერთ-ერთ ჩვენებაში წერს – პოლონელებმა მითხრესო: „სამშობლოსათვის, ბატონო“ (**за отчизну, пане**), ხოლო კითხვაზე, რა წოდებისანი არიან, მიპასუხეს: გლეხთაგანი ვართო“ – გოზალიშვილი 1970: 476; ქართველთა შეთქმულებაში პოლონელების მონაწილეობის შესახებ იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 58-61; ნიკოლაიშვილი 1967: 65-81). ბედის ირონიითა და სამხედრო ვალდებულებით, პოლონელთა აჯანყების ჩახშობაში ჩვენს შეთქმულებსაც აქვთ მონაწილეობა მიღებული (დიმ. ორბელიანი, ზ. ჩოლოყაშვილი, გ. რ. ერისთავი... – გოზალიშვილი 1970: 230, 241, 260) და, იქნებ იმ სამხედროების მხარდამხარაც კი, რომლებმაც შემდეგ ისინი გაასამართლეს – „პოლონეთის კამპანიაში“ მონაწილეობდნენ საგამომძიებლო კომისიის მეორე (ბოლო) თავმჯდომარე, გენერალი კ. ჩეკვინი (ბროკჰაუზი-ეფრონი 1903: 454; ბერძნიშვილი 1983: 215) და წევრი კომისიისა – გენერალი ვლ. ვოლხოვსკი (აქტები 1881: XI). სხვათა შორის, „პოლონეთის კამპანიაში“ უნდა მიეღო მონაწილეობა გენერალ ივანე აბხაზსაც, რომელსაც შეთქმულები გამარჯვების შემდეგ სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას უპირებდნენ (გოზალიშვილი 1935: 91), თუმცა იგი, პოლონეთისკენ დაძრული, 1831 წლის 31 აგვისტოს გზაში, ქ. ბრესტ-ლიტოვსკში, ქოლერისგან გარდაიცვალა (ბერძნიშვილი 1980: 160, 164; შეთქმულებაში პოლონელთა მონაწილეობის შესახებ იხ. აგრეთვე: ჯოლოგუა 2013⁵: 191-194).

⁵ (გვ. 21) **„გენერალ-მაიორი ბაიკოვი I“** – კავკასიაში ერთდროულად ორი გენერალი ბაიკოვი მსახურობდა: 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის პირველი თავმჯდომარე ივანე ბაიკოვი (ბაიკოვი I) და 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე სერგეი ბაიკოვი (ბაიკოვი II).

2. ჩვენება 1832 წლის 18 დეკემბრისა

(გვ. 22-43).

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რეგული 1. ფ. 135-150, 152. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 196-215. **თარიღი:** 1832 წ. 18 დეკემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენება“ და „მიღებულია 1832 წლის 18 დეკემბერს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს (მოგვყავს ანბანური რიგით):

„**ბედნაია ვალავა**“ – საბრალო (საწყალი, საცოდავი) ადამიანი.
„**ზაგოვორს გააკეთებსო**“ – Заговор: შეთქმულება.
„**ზავალეზზე მივედით**“ – Завал: ჩამოშლილი მიწა (თოვლი), ხერგილი.

„**ზდეს ნადუბნაო ბუნტუო**“ – აქ ბუნტია საჭიროო.
„**მაგისტანა პრაკაზებს დაეხსენით მეთქი**“ – Проказа: ცელქობა, ეშმაკობა. აქ: შფოთვის დათესვა.

„**მალადეც, მალადეცო**“ – Молодец: ყოჩაღ!
„**მასხარა ზაგოვორჩიკები იყავითო**“ – Заговорщик: შეთქმულის.

„**მენინავე სტრელოკში მე ვიყავ**“ – Стрелок: მსროლელი (აქ: მსროლელთა რაზმი).

„**პადლეცნი ხალხნი**“ – Подлец: სალახანა, არამზადა.
„**სპორს უწევდა**“ – ეკამათებოდა.
„**ტრუსი რამა ხარო**“ („ტრუსი არისო“; „ტრუსი ყოფილხარო“; „დამცინოდნენ ტრუსობაზე“) – Трус: მხდალი, ლაჩარი.

„**შტაბის პლოსჩადზე**“ – Площадь: მოედანი.
„**ჩემს სტრელოკებსა**“ – Стрелок: მსროლელი.

¹ (გვ. 22) „ოქროპირ ბატონიშვილი მოვიდა ამ ქალაქში და ცხოვრობდა რაოდენსამე თვესა“ – შეთქმულთა მოსკოვის ჯგუფის დამაარსებელი (1826 წ.) ოქროპირ ბატონიშვილი, რომელსაც საქართველოში ჩამოსვლა აკრძალული ჰქონდა, 1829 წელს კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ გაემგზავრა და იმავე წლის 1 სექტემბერს (ბერძნიშვილი 1983: 157)

მოულოდნელად თბილისში გამოჩნდა. დაბნეულმა ხელისუფლებამ ვითარება არ გაამწვავა და არასასურველ „სტუმარს“ აქ 1830 წლის 3 ივნისამდე (გოზალიშვილი 1976: 378)* დარჩენის საშუალება მისცა [დმიტრი ორბელიანის ჩვენებით, მოსკოვში დაბრუნებულმა ოქროპირმა მითხრაო, რომ „მან დაათვალიერა კავკასიის გზები და მონასტრები და აქებდა მათ, როგორც თავდაცვის მოხერხებულ საშუალებებს“ (გოზალიშვილი 1976: 388)].**

მიუხედავად თვალთვალისა, ოქროპირ ბატონიშვილმა თბილისში მაინც მოახერხა „ფარული საზოგადოების“ წევრებთან (თამარ ბატონიშვილი, ს. დოდაშვილი, ალ. ვ. ორბელიანი, ე. ერისთავი...) შეხვედრები და მათთან შეთქმულების საქმეებზე საუბარი. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ ოქროპირის თბილისში ჩამოსვლას უკავშირდება შეთქმულების ორგანიზაციული ჩამოყალიბება. საგამომძიებლო კომისიის დასკვნით, „ამ ბოროტგანზრახულების საქმეს საქართველოში საძირკველი ჩაუყარა შემთხვევით ჩამოსულმა ოქროპირ ბატონიშვილმა 1830 წელს“ (გოზალიშვილი 1935: 15; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 25, 26).

დაკითხვებზე ოქროპირ ბატონიშვილი უარყოფდა შეთქმულებასთან რაიმე სახის კავშირს, ხოლო ერთ-ერთ ჩვენებაში საგანგებოდ აღნიშნავდა: „ნამოყვანილი ვარ საქართველოდან რვა წლის ბავშვი და, ოცდაექვსი წლის განვლის შემდეგ თბილისში დაბრუნებულს, მე არ შეიძლებოდა მქონოდა იმედი, რომ ქართველებში მომხრე პარტიას ვიშოვნოდი; მე არ ვიყავი რაიმე საქმიანობით ცნობილი, – არც ჩემს საგვარეულოში უხუცესი,

* ერთ-ერთ ჩვენებაში ოქროპირ ბატონიშვილი წერს: „თბილისში ჩამოვედი 1829 წლის 1 იანვარს (გოზალიშვილი 1976: 377), რაც სწორი არ არის. სხვა ჩვენებაში იგი სწორად მიუთითებს: „ცხრა თვე თბილისში ვცხოვრობდი“ (გოზალიშვილი 1976: 209). თუ გავითვალისწინებთ, რომ ოქროპირ ბატონიშვილი თბილისში 1829 წ. სექტემბერში ჩამოვიდა და აქედან 1830 წ. ივნისში გაემგზავრა (იხ. ზემოთ), მისი თბილისში ყოფნის დრო მართლაც ცხრა თვე გამოდის.

** ამ მიზნით ათვალიერებდა, როგორც ჩანს, კავკასიის გზებს თბილისიდან რუსეთისკენ გამგზავრებული გრიგოლ ორბელიანიც, რომელსაც, ლარსიდან ვლადიკავკაზისკენ მიმავალს, 1831 წლის 18 ივნისს თავის დღიურში ჩაუწერია: „არავითარსამე ძლიერსა ჯარსა ფერად ძალიანად გადმოსვლად ამა მათათა ზედა, უკეთუ წინააღმდეგების მას გინა ვერად მცირედი ჯარი. მოსასვლელი არსაით არს. გზა არს ფრიად ვიწრო, რომელიცა ადვილად სრულებით აღიხოცების: ჩასჭრას ორსა ანუ სამსა ადგილსა გზასა, რომელსაცა მყისვე დაჰფარავს თერგი“ (ორბელიანი 1959: 162; სწორედ ამ თვალთ აქვს ნაკითხული დღიურის ეს მონაკვეთი პ. ინგოროყვას: ინგოროყვა 1963: 277).

არ გამაჩნდა არავითარი ფულადი სახსრები და განა შემეძლო იმდენი ნდობა მომეპოვებინა, რომ რუსეთის მთავრობისადმი ერთგულებით გამსჭვალული ხალხი ჩემსკენ გადმომებირებინა?“ (გოზალიშვილი 1976: 219). ისიც აღსანიშნავია, რომ, თუკი ალექსანდრე ბატონიშვილი უარს იტყოდა ტახტზე, მაშინ შეთქმულების ორგანიზატორები საქართველოს მეფობის ერთ-ერთ კანდიდატად ოქროპირ ბატონიშვილსაც განიხილავდნენ, თუმცა თვითონ ოქროპირი თავის ჩვენებებში, ცხადია, ამას უარყოფდა: „მე, დაავადებულსა და ყოველგვარ ფიზიკურ ძალას მოკლებულს, როგორ შემეძლო მეფიქრა სამეფოზე, რომლისთვისაც, სხვა საშუალებათა გარდა, დაულალავი მოღვაწეობაა საჭირო“ (გოზალიშვილი 1970: 323-324; შეთქმულებასთან ოქროპირ ბატონიშვილის კავშირებზე იხ.: აგრეთვე: ბერძნიშვილი 1983: 157-158; ჯოლოგუა 2013³: 149-154).

² (გვ. 22) **„ერთს კვირა დილას მიველი მის სანახავათ ნათესაობისა გამო ... ჩემი მამიდაშვილი ალექსანდრე უნდა იყოვო“** – დედა ალ. ორბელიანისა, თეკლე ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული იყო მამიდა ოქროპირ გიორგი XII-ის ძე ბატონიშვილისა.

³ (გვ. 23) **„დიახ სწრაფათ მამეცემა ჩემი წილი მეთქი“** – საქმე „*ორბელიანოვთ გაყრასა ზედა*“, რომელიც, ალ. ორბელიანის თქმით, 1803 წლიდან მიმდინარეობდა, 1820-იანი წწ. ბოლოს პეტერბურგიდან ამიერკავკასიის მმართველობის სარევიზიოდ მოვლინებულ სენატორებს, პ. კუტაისოვსა და ე. მეჩნიკოვს, ალ. ორბელიანის სასარგებლოდ გადაუნყვეტიათ, თუმცა ამას საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ შეუცვლია და ეს დავა მხოლოდ 1840-იან წლებში, მ. ვორონცოვის მმართველობის დროს მოგვარებულა: „[ვორონცოვმა] ჩემს ოჯახს ორმოცი ათასი მეტი დესეტინა მამული გვარგუნა წილით... მაშინ, როდესაც რომ სამიათასი დესეტინა მამული ჩვენს ოჯახს არა შჭერია ჩვენი მამაპაპებისა, ის მომატებულები სულ სხვა სახლთ ორბელიანებს მიმძღავრებული ჰქონდათ“ (ორბელიანი 1999: 60).

⁴ (გვ. 23) **„როდესაც იმერეთში ბუნტი იყო და წედისის ზავლებზე მივედით ... როდისაც სამსახურიდან გამოველ“** – *იმერეთის ბუნტში* იგულისხმება იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყება, რომლის ჩახშობაშიც ალ. ორბელიანმა მონაწილეობა მიიღო, ხოლო რაც შეეხება ზოგადად მის სამხედრო სამსახურსა და

მონაწილეს სამხედრო კამპანიებში, ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 66-67 (იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 334).

⁵ (გვ. 23) **„მოჰყვა ბერძულს ისტორიას...“** – ბერძული აქ ბერძულს ნიშნავს. როგორც ჩანს, ოქროპირ ბატონიშვილი ალ. ორბელიანს უამბობდა საგმირო ისტორიებს ძველი ბერძნული მითოლოგიიდან. სხვა ჩვენებაში ალ. ორბელიანი წერს – ოქროპირი „საბერძნეთის ისტორიას მიამბობდა“ (იხ. 1833 წლის 7 თებერვლის ჩვენება, პუნქტი 10; გოზალიშვილი 1935: 335). იგივეს უჩვენებს ს. დოდაშვილიც: „მცხეთამდის გზაში ოქროპირ ბატონიშვილი მიამბობდა საბერძნეთისა და საქართველოს ისტორიას“ (გოზალიშვილი 1935: 220).

⁶ (გვ. 24) **„პაპაჩემიც თქვენის ბიძის წინ მოკვდა ომში“** – ალ. ორბელიანის პაპა დიმიტრი ორბელიანი 1778 წელს მოთარეშე ლეკებთან ბრძოლაში დაიღუპა საგურამოს მახლობლად (ბერძნიშვილი 1983: 140). დარჩა ვაჟიშვილი ვახტანგი (მამა ალ. ორბელიანისა) და ორი ქალიშვილი: ეკატერინე – მეუღლე გიორგი ჩოლაყაშვილისა და გუქა – მეუღლე გორჯასკ ნათალიშვილისა. როცა მამა ალ. ორბელიანისა, ვახტანგი, 1812 წელს კახეთში აჯანყებას ახშობდა, მისი დები, ეკატერინე და გუქა, აჯანყებულთა აქტიური მხარდამჭერნი იყვნენ, რის გამოც ორივე რუსეთში გადაასახლეს (ბერძნიშვილი 1983: 140; უფრო ვრცლად გუქა ნათალიშვილზე იხ. ბერძნიშვილი 1983: 116).

⁷ (გვ. 24) **„ყოველთვის ჩემის ოჯახის დაქცევაში ყოფილხართ მეთქი“** – თბილისში ალ. ორბელიანთან შეხვედრების შესახებ ოქროპირ ბატონიშვილიც წერს თავის ჩვენებებში, რომელთაგან ერთ-ერთში იგი ორბელიანთა ოჯახის დაქცევის მიზეზებსაც განმარტავს: „ჩვენს ქვეყანაში საყოველთაოდ არის ცნობილი ჩემი ოჯახისადმი მისი (ალ. ორბელიანის – თ. ჯ.) ოჯახის მტრობა... თავადი ორბელიანოვი არის ალალი დისწული სპარსეთში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილისა, რომელმაც არაერთხელ აღმართა იარაღი, რათა ჩამოეგდო ტახტიდან მამაჩემი და ჩვენთვის კი მოესპო თავისუფლება; მისი დედა თეკლე ბატონიშვილი მუდამ მტრობდა ჩემს მშობლებს“ (გოზალიშვილი 1976: 209).

⁸ (გვ. 24) **„მამა ჩემიც იმათ სამსახურს ქვეშე მოკვდა 1812-სა წელსა და ალ. ბატონიშვილს თოფს ესროდა მეთქი“** – მამა ალ. ორბელიანისა, ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანი, 1812 წლის მარტში სოფ. ჩუმლაყთან მოკლეს აჯანყებულმა კახელებმა [ალ.

ორბელიანის ვერსიით, გაორებული სინდისით განამებულმა, ერთ-ერთ აჯანყებულს შეგნებულად შეაკლა თავი (ორბელიანი 1992ა: 165-172); ვ. დ. ორბელიანზე იხ. ბერძნიშვილი 1983: 140-145).

უნდა ითქვას, რომ ვახტანგ ორბელიანი ტახტის ერთ-გულებით არ გამოირჩეოდა არც მანამ, სანამ ერეკლე II-ის სიძე გახდებოდა (იხ. ალ. ორბელიანის „მამიჩემისაგან ღალატი მეფის ირაკლისა“) და არც მას მერე, რაც თეკლე ბატონიშვილს შერთეს (რუსეთში გადასახლებამისჯილი მოხუცებული და ავადმყოფი სიდედრი, დარეჯან დედოფალი, ვ. ორბელიანმა 1803 წ. შემოდგომაზე პ. ციციანოვის დავალებით პირადად ჩაიყვანა მოზდოკამდე, რისთვისაც პოლკოვნიკის ჩინი მიიღო და ხელფასიც დაენიშნა – ბერძნიშვილი 1983: 143). ამიტომაც მისი ხსოვნა მტკივნეულად შემორჩა შთამომავლობას. ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავის უაღრესად საინტერესო მოგონებებში მოთხრობილია ავტორის სტუმრობა ვახტანგის შვილიშვილთან, მარიამ (მამო, მაშა) ორბელიანთან: „ერთხელ შევედი მამასთან და ვნახე თეკლე ბატონიშვილის დიდი სურათი მოლბერტზე თირმალამით მორთული და მისი მეუღლე კი სხვა ოთახში იყო ჩამოკიდული. მე უთხარი მამას, რა არის მეთქი, რომ პაპა შენი ეგრე გათახსირებული გყავს მეთქი, რა დაგიშავა? იმან მითხრა: სამშობლოს ღალატობდაო!“ (ერისთავი 2022: 98-99).

⁹ (გვ. 25) „**მამა ჩემმა გიორგი მეფემ მფარველობა სთხოვაო**“ – ოქროპირ ბატონიშვილს მხედველობაში აქვს ე. წ. „სათხოვართა პუნქტები“, რომლითაც გიორგი XII-მ 1800 წელს თავისი დესპანების მეშვეობით რუსეთის იმპერატორს, პავლე I-ს, მიმართა. ავადმყოფობით, შინააშლილობითა და საგარეო საფრთხეებით სასონარკვეთამდე მისული გიორგი XII თმობდა „გეორგიევსკის ტრაქტატით“ გათვალისწინებულ დამოუკიდებლობას საშინაო ცხოვრებაში და თავის სამეფოს ფაქტობრივად რუსეთის გამგებლობაში გადასცემდა იმ პირობით, რომ რუსეთი არ გააუქმებდა ქართლ-კახეთის ტახტს და არ მოსპობდა მასზე გიორგი XII-ის პირდაპირ შთამომავალთა უფლებას: „უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჭეშმარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერთგან დაიდვას სამეფო

ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ... სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარდა ოდენ სამეფოს შემკვიდრითი შემკვიდრე ვითარცა წინაპარნი ჩემნი“ (იოსელიანი 1936: 92; იხ. აგრეთვე: დუბროვინი 1897: 162-164). ამის საპასუხოდ პავლე I-მა 1800 წლის 18 დეკემბერს, გიორგი XII-ის სიცოცხლეშივე, გამოსცა მანიფესტი, რომლითაც უქმდებოდა ბაგრატიონთა ტახტი და ქართლ-კახეთში რუსეთის პირდაპირი და უშუალო მმართველობა მყარდებოდა. მოგვიანებით ალექსანდრე I-მა გააუქმა წინამორბედი იმპერატორის მანიფესტი და 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით კიდევ ერთხელ, უკვე პრაქტიკულადაც, გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო.

¹⁰ (გვ. 25) **„ჩვენ გადაგვრეკეს რუსეთშიო“** – წინააღმდეგობისა და ქართლ-კახეთის ტახტის აღდგენის პერსპექტივა რომ მოსპობოდათ, რუსული ხელისუფლება 1801 წლიდანვე შეუდგა „საკუთარი ნებითა“ თუ ძალდატანებით, „მიპატიჟებითა“ თუ მოტყუებით, ოჯახითა თუ ოჯახის გარეშე ბატონიშვილთა რუსეთში გადასახლებას (პეტერბურგი, მოსკოვი, ბელგოროდი, ოლონეცი, ტულა, ვორონეჟი და სხვ.; სია რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილებისა შესაბამისი თარიღების მითითებით იხ. ჯოლოგუა 2013: 143-145).

რუსეთში გადასახლეს აგრეთვე ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლები: **მარიამ გიორგი ციციშვილის ასული**, მეუღლე გიორგი XII-ისა, 1803 წ. 3 აპრილს, ბელგოროდში, შვილებთან ერთად (ჯიბრაილ, ილია, ოქროპირ, ირაკლი, თამარ, ანა ბატონიშვილები; ბელგოროდის დედათა მონასტერში მათი ცხოვრების შესახებ იხ. ტანკოვი 1901; ინტერნ. 1), აგრეთვე, **დარეჯან დედოფალი**, მეუღლე ერეკლე II-ისა, 1803 წლის 25 ოქტომბერს, პეტერბურგში. 1811 წლიდან მარიამი ცხოვრობდა მოსკოვში, 1849 წ. ნიკოლოზ I-მა მას საქართველოში დაბრუნების უფლება მისცა, თუმცა გამომგზავრებამდე მარიამი 1850 წ. 30 მარტს მოსკოვშივე გარდაიცვალა, ჩამოსვენეს თბილისში და 1850 წლის 17 ივნისს მეუღლის გვერდით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში (დაკრძალვის გარემოებებზე იხ. კავკაზ 1850; მარიამ დედოფლის გადასახლების, რუსეთში ცხოვრების, სამშობლოში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის შესახებ იხ.: პაპავა 1956: 183-255; ბერძნიშვილი 1983: 89-91; გონიკაშვილი 1986: 167-190). რაც შეეხება დარეჯან დედოფალს, იგი სამუდამოდ პეტერბურგში

დარჩა და იქვე გარდაიცვალა 1807 წლის 8 ნოემბერს: „დარია დედოფლისა გუამი დაიდვა [პეტერბურგის] წმიდისა ალექსანდრე ნევესკის ლავრა-მონასტრის ხარებობის ეკკლესიასა შინა, პეტრე მესამისა ნასაფლავარსა ზედა, დაბლა ანბ[ი]ონისა მუნვე“ (ხელაშვილი 1959: 266; დარეჯან დედოფლის გადასახლებისა და რუსეთში ცხოვრების შესახებ იხ. გონიკაშვილი 1986: 141-155; პაპავა 1990: 270-288). დაჭერა-გადასახლებას გადაურჩა ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც მრავალწლიანი თავგანწირული წინააღმდეგობის შემდეგ სპარსეთში (თეირანი) გარდაიცვალა უკიდურეს სიღარიბეში (1844 წელს; დაკრძალულია იქვე, სომხური ეკლესიის გალავანში).

¹¹ (გვ. 25) **„ჩვენის გულისათვისაც ადრე დატყვევებული იყო რუსეთში“** – ოქროპირ ბატონიშვილს მხედველობაში აქვს ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობა 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში (იბრძოდა ფარნაოზ ბატონიშვილის მხარდამხარ), რის გამოც იგი ტამბოვში იყო გადასახლებული (გრიშაშვილი 1952: 25-27).

¹² (გვ. 25) **„სოლომან დოდაევი ჩვენთვის თავდადებული კაცი არისო, მე ვიცი, ისიც იყაბულებსო“** – სოლომონ დოდაშვილი, რომელიც პეტერბურგში შეთქმულთა წრეში ტრიალებდა, სამშობლოში მოსკოვის გავლით ჩამოვიდა (გოცაძე 1955: 52). მოსკოვში კი იგი ოქროპირ ბატონიშვილს ოჯახში სტუმრობდა (გოზალიშვილი 1935: 220) და, შეუძლებელია, მათ შეთქმულების გარშემო საუბარი არ ჰქონოდათ.

¹³ (გვ. 26) **„დამინახვებია საქართველოსთვის ერთგულება და ორჯერ გაქცეულვარ“** – იასე ფალავანდიშვილი სამხედრო სამსახურზე ოცნებობდა და თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ოჯახს რუსეთში გაგზავნას ევედრებოდა. უარის შემდეგ, 1826 წელს, ოსმალეთში გაიქცა. ახალციხეში ჩასულ ი. ფალავანდიშვილს ჯაშუშობა დასწამეს, მაგრამ სიკვდილით დასჯას იქ მყოფმა ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილმა გადაარჩინა. ამის შემდეგ იასემ გზა სტამბოლისკენ გააგრძელა, იქ ოტომანის პორტასთან რუსეთის წარმომადგენელს გააუცხადა – ოდესაში უნდა გამიშვათ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლოება უნდა გავამჟღავნოო. ოდესაში ჩასულმა იასემ დასმენის ქალაქი დაწერა: სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანსა და ოსმალეთში გაქცეულ ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილს ერთმანეთთან მიმონერა აქვთ, რუსების წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებენო და საბუთად დადიანის წერილიც წარადგინა (იასეს

სხვის ნაწერთან ზედმინევენითი კალიგრაფიული მიმსგავსების უნარი ჰქონდა). ამ საქმემ მიაღწია იმპერატორ ნიკოლოზ პირველამდე, რომელმაც სასწრაფო გამოძიება დანიშნა. გამოიკვავა, რომ დამსმენი ცრუობდა და ეს მას ერთი წლის პატიმრობად დაუჯდა (სასჯელს მეტეხის ციხეში იხდიდა).

1828 წლის დეკემბერში, იასე ფალავანდიშვილმა კიდევ ერთხელ სცადა ოსმალეთში გაქცევა, ახლა უკვე გურიის გზით, თუმცა მისი ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა (საკითხის შესახებ იხ.: აქტები 1874: 638-643; ბერძნიშვილი 1983: 192-193; ჯოლოგუა 2013³: 8-9).

¹⁴ (გვ. 26) **„ერთი უბრალო ღვდლის შვილი ვარო“** – იასე იყო შვილი დეკანოზ *იოსებ ფალავანდიშვილისა* (გარდ. 1831 წ.; დაკრძალულია სიონის ტაძრის გალავანში). სასულიერო პირი იყო, სხვათა შორის, ი. ფალავანდიშვილის პაპაც (დედის მხრიდან) – ცნობილი მოღვაწე, მქადაგებელი და მნიგნობარი *ამბროსი ნეკრესელი* (მიქაძე; 1728-1815. დაკრძალულია სიონის ტაძარში).

¹⁵ (გვ. 26) **„აქ სამი ადგილი არის შესაკვრელიო, ერთი შავი ზღვაო, მეორე არაგვის მთაო, და მესამე დერბენტის ზღვაო“** – აფხაზეთიდან რუსების განდევნასა და *შავი ზღვის* ზოლის ჩაკეტვას კისრულობდა აფხაზეთის მთავრის გიორგი (საფარალი-ბეი) შარვაშიძისა და თამარ კაციას ას. დადიანის ვაჟი, მომდევნო მთავრების, დიმიტრი (ომარ-ბეი) და მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძეების ძმა კონსტანტინე შარვაშიძე. ვახტანგ ორბელიანი კომისიას უჩვენებს: „იცი თუ არა, მითხრა თავადმა შერვაშიძემ, რომ მე თქვენს განზრახულობას დიდი სარგებლობა შემიძლია მოვუტანოო. – მე შემიძლიან მთელი აფხაზეთი ავაჯანყოო; ორი ათასი აფხაზით სრულებით გავნმენდავ აფხაზეთს რუსებისგანო“ (გოზალიშვილი 1970: 363-364). იგივე კ. შარვაშიძე შეთქმულებს ჰპირდებოდა აჯანყების დღეებში თბილისში 300 (სხვა ცნობით – 500) აფხაზის ჩამოყვანას (გოზალიშვილი 1970: 364; გოზალიშვილი 1976: 366; კ. შარვაშიძე, გასაგებ მიზეზთა გამო, ამას უარყოფს – გოზალიშვილი 1976: 366-367; პეტერბურგში სწავლისას კ. შარვაშიძე ხშირად ხვდებოდა იქ მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებსა და სწორედ მათ წრეში შეიტყო შეთქმულების შესახებ, 1832 წელს იგი ჩამოვიდა თბილისში, სადაც დააპატიმრეს კიდევ – ბერძნიშვილი 1983: 214). ფრთხილი ვარაუდით იმის თქმაც შეიძლება, რომ, შესაძლებელია, ამგვარი განზრახულება (საზღვაო ზოლის ჩაკეტვა) ჰქონოდა სამეგრელოს სამთავრო

ოჯახის წევრს (შემდგომში მთავარს) დავით დადიანს, რომელმაც იცოდა შეთქმულების შესახებ და მზად იყო, მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში (გოზალიშვილი 1970: 367-368, 378). რაც შეეხება არაგვის მთისა და დერბენტის [კასპიის] ზღვის შეკვრას, ალ. ორბელიანი ამ საკითხზე სხვა ჩვენებაში უფრო ვრცელ ცნობებს იძლევა (იხ. აქვე. გვ. 82).

¹⁶ (გვ. 26) **„ამ დროებაში კიდევ ნავიდა რუსეთს ოქროპირ. მე კუკიამდისინ გავაცილე“** – ოქროპირ ბატონიშვილი 1830 წლის სამ ივნისს თანამოზრეებმა კუკიის (დღევანდელი მარჯანიშვილის მოედანი და მიმდებარე ტერიტორია) გავლით მცხეთამდე გააცილეს და გზაში, ვახტანგ ორბელიანის ჩვენებით, ოქროპირ ბატონიშვილს ს. დოდაშვილისთვის უთქვამს: „დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს **რესპუბლიკისმაგვარ** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.) სახელმწიფოდ“ (გოზალიშვილი 1935: 92). ვ. ორბელიანის ამ ჩვენებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა და გავრცელდა შეხედულება ოქროპირ ბატონიშვილისა და ს. დოდაშვილის რესპუბლიკელობის შესახებ, რაც არ ჩანს სწორი და, ვფიქრობთ, ეჭვქვეშ არ აყენებს თვალსაზრისს, რომ შეთქმულნი გამარჯვების შემდეგ ერთსულოვნად აპირებდნენ საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას [„ამ ეპოქაში (XIX ს. I ნახევარი – თ. ჯ.) სიტყვა „რესპუბლიკა“ (სიტყვასიტყვით: საზოგადო, სახალხო საქმე) იხმარებოდა იმის აღსანიშნავად, რასაც ჩვენ წარმომადგენლობით სახელმწიფოს ვუნოდებთ და არა მონარქიის ანტიპოდს... რესპუბლიკა, როგორც წარმომადგენლობითი ხელისუფლება, უპირისპირდება აბსოლუტურ ხელისუფლებას და არა მონარქიას საზოგადოდ. კონსტიტუციური მონარქია კი თვითონ არის წარმომადგენლობითი ხელისუფლების სახე და ექცევა „რესპუბლიკის“ გარკვეულ გაგებაში“ (კაციტაძე 1997; უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ.: ჯოლოგუა 2022^a: 198-200)].

¹⁷ (გვ. 27) **„ყიზილბაშში მინდა ნავიდე და იქიდან ჯარები მოვიყვანო, რომ ეს რუსები გაიყვანონ მეთქი“** – როგორც ჩანს, აქ სპარსეთში (*ყიზილბაშში*) გადახვენილ ალექსანდრე ბატონიშვილთან შეხვედრისა და მისგან დახმარების მიღების სურვილი იგულისხმება.

¹⁸ (გვ. 28) „**ეხლა ჩინოვნიკი ხარ, და შკოლის ოსტატი**“ – პეტერბურგიდან ახალჩამოსული სოლომონ დოდაშვილი 1827 წლის 26 ივლისს მეათე კლასის ჩინით მასწავლებლად დაინიშნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, მისი გიმნაზიად გადაკეთების (1830 წ.) შემდეგ კი დაპატიმრებამდე გიმნაზიის მასწავლებელი იყო [ასწავლიდა ქართულ ენასა და სიტყვიერებას, აგრეთვე, გეოგრაფიას (ბერძნიშვილი 1980: 212)].

¹⁹ (გვ. 28) „**ჩემ ძმას კიდევ ბაგრატ ზრდისო, და იმის მონყალებით იზრდებაო**“ – *ჩემ ძმას*: იგულისხმება უმცროსი ძმა ს. დოდაშვილისა – სტეფანე დოდაშვილი, რომელიც 1828-1836 წწ. ცხოვრობდა და დაბალი რანგის მოხელედ (სენატის ერთ-ერთი დეპარტამენტის კანცელარისტად) მსახურობდა პეტერბურგში [„ჩემი ძმა სტეფანე 1828 წლის დამლევს გააუგზავნე პეტერბურგში ბაგრატ ბატონიშვილს, რათა მას იგი სამსახურში მოენყო“ – წერს ერთ-ერთ ჩვენებაში სოლომონ დოდაშვილი (გოზალიშვილი 1970: 474-475)]. სტ. დოდაშვილი, სულ ცოტა, შეთქმულების კურსში იყო (გოზალიშვილი 1935: 217; გოზალიშვილი 1970: 99, 475; გოზალიშვილი 1976: 188, 202-203). საგამომძიებლო კომისია არ ჩაუღრმავდა ამ საქმეს და სტ. დოდაშვილი გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან, თუმცა კომისიის გადაწყვეტილებით ის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იქნა დატოვებული (გოზალიშვილი 1935: 497; გოზალიშვილი 1976: 430; სტ. დოდაშვილზე იხ. აგრეთვე: ბერძნიშვილი 1980: 215-216; ჯოლოგუა 2013^ბ: 64-66).

²⁰ (გვ. 28) „**სოლომან ივანიჩმა თქო კობიაშვილებს სულ მე ვიშოვნო და ქიზიყშიც ბევრს კაცს ვიშოვნო**“ – ა) ს. დოდაშვილი („*სოლომან ივანიჩი*“) სიძე იყო კობიაშვილებისა, ცოლად ჰყავდა *ელენე კობიაშვილი*, რომელიც მამინაცვლის, ინჟინერ თედორე ბარაშკინის, მიერ იყო აღზრდილი (გოცაძე 1955: 24); ბ) ს. დოდაშვილი ქიზიყელი იყო (სოფ. მალაროდან) და ამიტომაც ჰქონდა იქ *ბევრი კაცის შოვნის* იმედი.

²¹ (გვ. 28) „**ელიზბარმა თქო... ლუარსაბ ორბელიანოვი ვიშოვნო ამისთვის, რომ ის ჩემი ბიძა არისო**“ – ელიზბარ ერისთვის დედა, *ელენე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიანი*, იყო და ლუარსაბ ორბელიანისა.

²² (გვ. 29) „**მთის ხალხი...**“ – ალ. ორბელიანი აქ ჩრდილოკავკასიელებს გულისხმობს.

²³ (გვ. 29) „**პირველი მინისტრი იქნებაო, და ბევრს საქმეებს დაგინყობსთო**“ – იასე ფალავანდიშვილს აქ, უნდა ვი-

ფიქროთ, არა მაინცადამაინც მინისტრობა, არამედ კავკასიის მმართველობაში მაღალი თანამდებობა ჰქონდა მხედველობაში და, მართლაც, 1832 წლის იანვარში ნიკოლოზ ფალავანდიშვილი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი გახდა (1837 წლის ნოემბერში ნიკოლოზ I-მა კავკასიის მთავარმართებელი გრ. როზენი გადააყენა და, აქედან მოკიდებული ვიდრე 1838 წლის მარტამდე – ახალი მთავარმართებლის, ევგენი გოლოვინის, თბილისში ჩამოსვლამდე – კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას ნ. ფალავანდიშვილი ასრულებდა. ნ. ფალავანდიშვილის შესახებ იხ.: აქტები 1884: XXV; ისარლოვი 1900: 1-14; პაპავა 1990: 352-356; ბერძნიშვილი 1983: 195-196; ჯოლოგუა 2013²⁴: 188-191). რაც შეეხება „ფარული საზოგადოების“ წევრთა დამოკიდებულებას ნ. ფალავანდიშვილისადმი, შეთქმულები მას თავიდან ლიკვიდაციას უპირებდნენ და ამ საქმეს მისივე ძმა, იასე, კისრულობდა (გოზალიშვილი 1970: 458; გოზალიშვილი 1976: 72, 73, 86, 87...), საბოლოოდ კი შეთანხმდნენ, რომ აჯანყების გამარჯვების შემდეგ ნ. ფალავანდიშვილისთვის ფინანსთა მინისტრის თანამდებობა შეეთავაზებინათ (გოზალიშვილი 1935: 134, 167). ისიც უნდა ითქვას, რომ გავრცელებული აზრი, თითქოს ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა ალ. ჭავჭავაძესთან საუბრისას გაიგო ფარული საზოგადოების არსებობა და ამის შემდეგ აიძულა იასე – გაეცა შეთქმულება, დოკუმენტურად არ დასტურდება (სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კომისია იმასაც არკვევდა, თუ რატომ არ გაანდო იასემ თავის ძმას შეთქმულების ამბავი. საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2013²⁴: 200-202).

²⁴ (გვ. 30) „ჩემთან ერთი ფრანციცი დადისო ... ამ ლაპარაკით გავიყარენით“ – იასე ფალავანდიშვილის მიერ ნახსენებები ფრანციცი არის თბილისში ტრაქტირის მფლობელი **ოდიე**, რომელიც ადრე მსახურობდა ფრანგულ არმიაში და მონაწილეობდა ნაპოლეონის სამხედრო კამპანიებში ესპანეთსა და იტალიაში. 1798 წელს ოდიე ეგვიპტეში გასაგზავნად გამზადებული პოლიდან გაიქცა და მოხეტიალე ცხოვრებას შეუდგა (საფრანგეთი, იტალია, რუსეთი...), სხვადასხვა დროს მუშაობდა მზარეულად, მარკიტანტად, ხსნიდა პურის საცხობებსა და ტრაქტირებს, 1824 წელს ოდესიდან ჩამოვიდა თბილისში, აქაც გახსნა პურის საცხობი და ტრაქტირი, 1830 წელს ჩხუბი მოუვიდა თბილისში მცხოვრებ ერთ-ერთ ფრანგთან, რის გამოც ორი წლით ციხეში ჩასვეს. სწორედ აქ (მეტეხის ციხეში) გაიცნო იგი

იასე ფალავანდიშვილმა და ფულიც ისესხა მისგან (ბიოგრაფიული ცნობები ოდიეზე იხ. გოზალიშვილი 1970: 348-350; ბერძნიშვილი 1983: 123).

იასე ფალავანდიშვილი ოდიეს მოიხსენიებს ნაპოლეონის არმიის პოლკოვნიკად (გოზალიშვილი 1935: 203), თუმცა თვითონ ოდიე ამას უარყოფს და ამბობს, რომ მხოლოდ ჩვეულებრივ დრაგუნად არის ნამსახური. კომისიამ გადაწყვიტა, ეს საკითხი იასესა და ალ. ორბელიანის პირისპირ წაყენებით გამოერკვია. იასემ ჯერ უარყო ოდიესთან ნაცნობობა, შემდეგ კი დაადასტურა [ციხეში ფრანგისგან ფული ვისესხე და ჯერ ამ ფულის წასაღებად მოვიდა ჩემთან, ხოლო მეორედ იმისთვის მესტუმრა, რომ საერთო ნაცნობის, პანოვის, წერილი ეჩვენებინაო (გოზალიშვილი 1970: 320-321)]. გამოძიება ამაზე შორს აღარ წასულა და საბოლოოდ ოდიე უდანაშაულოდ ცნო [ბერძნიშვილი 1983: 123; სხვათა შორის, უყურადღებოდ დატოვა კომისიამ კიდევ ერთი ფრანგის, იმჟამად პარიზში მცხოვრები ქართველოლოგის, მარი ბროსეს, სავარაუდო კავშირები 1832 წლის შეთქმულებასთან (საკითხის შესახებ იხ. გოზალიშვილი 1935: 37-39).

ამის შემდეგ ოდიეს კვალი არ ჩანს. გარდა იასესი, იგი მეტეხის ციხეში დაუმეგობრდა რუს პორუჩიკს პანოვს, რომელიც ციხიდან გათავისუფლების შემდეგ თავის ფრანგ ნაცნობს წერილებს სწერდა და თავისთან (სარატოვის გუბერნიაში) ინვევდა, თანაც გზის ფულსაც ალუთქვამდა (გოზალიშვილი 1970: 349). უნდა ვიფიქროთ, ოდიემ მიიღო ეს მიწვევა, რადგანაც, ჯერ ერთი, შეთქმულთა საქმეებში მისი სახელის გარევის შემდეგ თბილისში მისი დარჩენა სახიფათო უნდა ყოფილიყო და, მეორეც, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ამგვარი „მიმოსვლა“ მისთვის ისედაც უცხო არ იქნებოდა, მით უმეტეს, იასესთვის 1832 წლის დეკემბრის დასაწყისში ოდიეს ნათქვამი ჰქონდა: მალე რუსეთში წასვლას ვაპირებო (გოზალიშვილი 1970: 329).

გ. გოზალიშვილი ოდიეს შესახებ წერს: „იგი მიგვაჩნია ერთ-ერთ იმ აგენტად, რომელთა მსგავსი ალბათ მოეპოვებოდა თბილისში საფრანგეთის საკონსულო მდივანს ლეტელიეს, რომლის მონაწილეობაც შეთქმულებაში დადასტურებულია“ (გოზალიშვილი 1970: 350).

რუს მწერალს, ლეონტი რაკოვსკის, აღწერილი აქვს ოდიეს რესტორნის მენიუ (რაკოვსკი 1983).

²⁵ (გვ. 30) **„ყოველ შაფათ სანთელი უნდა დაუნთო მეთქი ... ჩემის ძმის დიმიტრის მშვიდობისთვისა მეთქი“** – იგულისხმება **დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი**, შეთქმულების აქტიური წევრი, რომელიც რუსეთში სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მისივე სიტყვებით, მონაწილეობდა „პოლონეთის კამპანიაში და იმათ რიცხვში, ვინც ქ. ვარშავის იერიშის დროს წინა რიგებში იყვნენ“ (გოზალიშვილი 1970: 230). ჩანს, ამიტომაც უნდა დაენთო ალ. ორბელიანს სანთელი **„დიმიტრის მშვიდობისთვის“**.

²⁶ (გვ. 31) **„მეორეს დღეს გიორგი ერისთავი მოიყვანა“** – იგულისხმება გიორგი *დავითის* ძე ერისთავი. სხვა გიორგი ერისთავებისაგან (მათ შორის, შეთქმულ გიორგი რევაზის ძე ერისთავისგან) რომ განესხვავებინათ, თანამედროვეები მეტსახელად **„გლუხარიჩს“** ეძახდნენ.

²⁷ (გვ. 31) **„...ისე წავიდა პეტერბურლს გრიგოლი“** – 1831 წელს გრიგოლ ორბელიანმა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსის, გენერალ ნ. პანკრატიევის, ბრძანებით „რუსეთს წაასხა კავკასიის კორპუსში შერჩეული ჯარისკაცები ნოვგოროდში დაბანაკებულ საგანგებო ქვეითი პოლკისათვის“ (განურელია 1959: 07). თბილისიდან იგი გავიდა 1831 წლის 9 ივნისს, 24 ოქტომბერს ჩავიდა ნოვგოროდში, ხოლო პეტერბურგში – 11 ნოემბერს [იხ. მისი „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის“ (ორბელიანი 1959: 155-265)]. გრ. ორბელიანი ნოვგოროდში იმყოფებოდა, როცა შეთქმულება გამოიმუღავნდა. იქვე დააპატიმრეს 1833 წლის თებერვალში [დაპატიმრების სცენა, თვითონ გრიგოლის მონაყოლი, ი. მეუნარგიას აქვს დამონმებული (მეუნარგია 1954: 46-47)], ჯერ პეტერბურგში წაიყვანეს, იქ არაერთხელ დაკითხეს (გოზალიშვილი 1976: 133-153, 199-202, 254-256, 425), შემდეგ ჩამოიყვანეს თბილისში და სხვა შეთქმულებთან ერთად სამხედრო ყაზარმებში გამოამწყვდიეს. რუსეთში წასვლის წინ შეთქმულები მას ოქროპირ (მოსკოვში) და დიმიტრი (პეტერბურგში) ბატონიშვილებთან შეხვედრებს ავალებენ, რაზეც იგი თანხმობას აცხადებს (გოზალიშვილი 1935: 22, 427-428) და პირობას ასრულებს კიდევ (ორბელიანი 1959: 186-188, 263-264).

საბოლოოდ გრ. ორბელიანს შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ ასეთი სასჯელი გამოუტანა: **„გრენადერთა ქართული რაზმის პორუჩიკი თ. გრიგოლ ორბელიანოვი გადაყვანილ იქნას პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთ-ერთ რაზმში რამოდენ-**

იმე წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით“ (გოზალიშვილი 1935: 496; გოზალიშვილი 1976: 429; შეთქმულებასთან გრ. ორბელიანის კავშირებზე იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 58-69).

²⁸ (გვ. 32) **„ჩემი სახლი კაცი ალექსანდრე ორბელიანოვიც იქ იყო“** – ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი (1800-1870) იყო სამხედრო პირი (1832 წ. გადამდგარი პორუჩიკია), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის ახლო ნათესავი [ბიძაშვილი (იხ. აქვე, 1833 წ. 15 თებერვლის (II) ჩვენება)]. საგამომძიებლო კომისიამ ჯერ „ოთხად განკვეთა“ მიუსაჯა (გოზალიშვილი 1976: 431), შემდეგ სასჯელი შეუცვალა, გაიყვანა სამხედრო სასამართლოზე და „სელენგინის ქვეით პოლკში“ განაწესა (გოზალიშვილი 1976: 437).

აღ. გ. ორბელიანი „ბაკლანას“ ზედმეტსახელით ნახსენებია გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის წერილებში (ორბელიანი 1936: 76, 263; ორბელიანი 1937: 52; ბარათაშვილი 1972: 121, 126). გ. გოზალიშვილის სამტომეულში შეტანილი ორი ჩვენება ალექსანდრე ორბელიანისა (რვ. 13. ფ. 2296; გოზალიშვილი 1935: 449-450; რვ. 17. ფ. 3250; გოზალიშვილი 1935: 472) ეკუთვნის არა აღ. ვახტანგის ძე, არამედ აღ. გიორგის ძე ორბელიანს („ბაკლანას“).

აღ. გ. ორბელიანის შესახებ იხ. აქტები 1881: 409; გოზალიშვილი 1935: 356-358; ცერცვაძე 2019: 116.

²⁹ (გვ. 32) **„თამარ ბატონიშვილთან და ლაპარაკსა შორის თქო, ნეტავ იერუსალიმში იყოს ვინმე წამსვლელი, ღმერთს ვფიცავო წავყებოდით“** – იერუსალიმში წასვლის წამდელი მიზეზების შესახებ (ჯერ ალექსანდრე ბატონიშვილთან, ხოლო ამის შემდეგ საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკურ წრებთან შეხვედრა...) აღ. ორბელიანი მოგვიანებით მიცემულ სხვა – 1833 წ. 16 თებერვლის – ჩვენებაში უფრო ვრცლად წერს [საკითხის გარშემო იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 95, 333; გოზალიშვილი 1976: 9-10, 31; თამარ ბატონიშვილი თავის ამ გეგმას კომისიის წინაშე, რასაკვირველია, უარყოფს (გოზალიშვილი 1976: 36)]. თამარ ბატონიშვილის განზრახვა იერუსალიმში წასვლის შესახებ კომისიის დასკვნაშიც მოხვდა: „იერუსალიმის მოსალოცავად წასვლის საბაბით თამარ ბატონიშვილს საზღვარგარეთ წასვლა და იქ ალექსანდრე ბატონიშვილთან შეხვედრა ჰქონდა განზრახული, თუმცა გადაიფიქრა ხელისუფლების მიერ ამ ამბის გამოძულანების შიშით“ (აქტები 1881: 401).

შეთქმულების ჩავარდნისა და სასჯელის მოხდის შემდეგ თამარ ბატონიშვილი, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მინიმუმ ორჯერ იყო იერუსალიმში: ერთხელ 1847 წელს [ერთი უცხოელი პილიგრიმის ჩანაწერის მიხედვით, „ნათესავი მრავალნაქები ქართველი მეფის ერეკლესი, დედოფალი თამარ მოვიდა საქართველოდან, რათა ელოცა წმინდა ადგილებში“ (ფერაძე 1995: 68)], ხოლო მეორედ – 1857 წლის გაზაფხულზე (კავკაზ 1857; ბერძნიშვილი 1983: 31).

ოჯახთან ერთად 1805 წელს რუსეთში გადასახლებული და პეტერბურგიდან თბილისში 1829 წელს დაბრუნებული თამარ იულონის ასული ბატონიშვილი – შეთქმულების წამომწყების, დიმიტრი ბატონიშვილის, უფროსი და – საკვანძო ფიგურა იყო „ფარული საზოგადოების“ ვერტიკალში. თამარ ბატონიშვილის სამშობლოში დაბრუნებას ჰქონდა კონკრეტული პოლიტიკური მიზანი და იგი დიმიტრი ბატონიშვილის (აგრეთვე, ოქროპირ ბატონიშვილის) მიერ საქართველოში აჯანყების ორგანიზებისა და მეთაურობის სპეციალური მისიით იყო გამოგზავნილი. ამის შესახებ შეთქმულების მასალებში საგამომძიებლო კომისიის პირდაპირი მითითებაც მოიპოვება: „თამარ იულონის ასული [თბილისში] იყო მონაცვლე დიმიტრი ბატონიშვილისა და თავისი რჩევებით ხელმძღვანელობდა შეთქმულთა მოქმედებებს...“ (აქტები 1881: 401; უფრო ვრცლად ხსენებულ ვერტიკალსა და შეთქმულებაში თამარ ბატონიშვილის როლისა და ადგილის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2013²: 13-14, 178-187; აგრეთვე: ჯოლოგუა 2010³: 75-79).

საბოლოოდ, კომისიამ თამარ ბატონიშვილს ქ. სიმბირსკში გადასახლება მიუსაჯა [გოზალიშვილი 1976: 428; მანამდე კი მას ბატონიშვილის (царевна) ტიტული ჩამოართვეს (აქტები 1881: 216-217); სიმბირსკში თამარ ბატონიშვილის ყოფნის შესახებ იხ. ცერცვაძე 2011: 22-24)]. 1836 წ აგვისტოში იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა თამარ ბატონიშვილს სასჯელი მოუხსნა და დააბრუნა თბილისში, სადაც იგი განმარტოებით ცხოვრობდა ანჩისხატის ქუჩაზე (ბერძნიშვილი 1983: 31).

თამარ ბატონიშვილი გარდაიცვალა თბილისში (1857 წ. 6 ოქტომბერი), დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში (მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის გარემოებებზე იხ. კავკაზ 1857; თამარ ბატონიშვილზე იხ. აგრეთვე: პაპავა 1990: 42-57; ვახანია 2009: 195-209).

³⁰ (გვ. 32) **„წავიდეთ ლუარსაბის სანახავათ“** – იგულისხმება ლუარსაბ ორბელიანი (აჯანყების ღამეს რუსი დიდმოხელეებისა და რუსების ერთგული ქართველების ნეიტრალიზაცია სწორედ ლუარსაბ ორბელიანის სახლში გამართულ წვეულებაზე უნდა მომხდარიყო – გოზალიშვილი 1935: 138; გოზალიშვილი 1970: 157 და შმდ.). თავიდან ლ. ორბელიანი შეიყვანეს „დამნაშავეთა“ III კატეგორიაში [„ვინც შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აჯანყების მოხდენას ეთანხმებოდა“ (გოზალიშვილი 1935: 37)]. თავიდან მას, როგორც მნიშვნელოვან ფიგურას „ბოროტგანმზრახველთა“ შორის, მიუსაჯეს ოთხად განკვეთა (გოზალიშვილი 1976: 431), თუმცა სასჯელი შეუცვალეს და გადასცეს სამხედრო სასამართლოს (გოზალიშვილი 1976: 428). ამის შემდეგ ლ. ორბელიანის საქმე ჯერ დაყოვნდა, ხოლო 1834 წლის ივნისში ნიკოლოზ I-ის შეწყალების საფუძველზე მოულოდნელად გაათავისუფლეს პატიმრობიდან (გოზალიშვილი 1935: 499; გოზალიშვილი 1976: 435). გამორიცხული არ არის, ამგვარ გადაწყვეტილებაზე ემოქმედა ლუარსაბის სიძის, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის, ავტორიტეტსა და გავლენას კავკასიის ხელისუფლებაში [როცა შეთქმულება ჩავარდა, ნ. ფალავანდიშვილი ახალი დაქორწინებული იყო ლუარსაბის ქალიშვილზე, მარიამ ორბელიანზე (ბერძნიშვილი 1983: 196)].

³¹ (გვ. 33) **„სულ ოცი კომლი თათარი მყავს, და ისიც სულ სანყალი ხალხნი არიან მეთქი“** – ალ. ორბელიანის მამულებსა და ყმაგლეხებზე (მათ შორის, ბორჩალოს დისტანციაში 18 კომლზე) იხ. მისივე 1833 წ. 7 თებერვლის ჩვენება (პუნქტი 4).

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს (ფუნქციურადაც, ერთგულებითაც) ბორჩალოელი მუსლიმების მონაწილეობა შეთქმულებაში (მოლა ზამანა, შიხილ ალია, ალავერდა და სხვ.). შეთქმულნი ბორჩალოდან „რამოდენიმე ასეულ თათართა ცხენოსანს“ ელოდნენ (გოზალიშვილი 1935: 79).

³² (გვ. 33) **„მამა ჩემი იმას თოფს ესროდა, და ამათის გულისთვი თავი მოიკლა მეთქი, მე როდილა მენდობა, და ახლა მოსისხლე არის ის ჩემი მეთქი“** – იგულისხმება ალ. ორბელიანის მამის, ვახტანგ ორბელიანის, მონაწილეობა კახეთის 1812-1813 წწ. აჯანყების ჩახშობაში და მისი იქ დაღუპვა (იხ. აქვე, კომენტ. 8).

³³ (გვ. 34) **„გზაზე თულები არიანო“** – თულები: ყაჩაღები [თული: მეკობარი, ავაზაკი (ჩუბინაშვილი 1984: 570)].

³⁴ (გვ. 34) „**მითხრა, არსად არის იმისთანა კაციო, სხვა აღ- არა უთხარრა ამის მეტი**“ – სინამდვილეში ბორჩალოელი (სოფ. ასანხოჯალო) მოლა ზამანა აქტიურად იყო ჩართული შეთქმულე- ბაში და შეთქმულთ სპარსეთში (სალმასტში) გადახვენილ ალე- ქსანდრე ბატონიშვილთან მეკავშირობასაც უწევდა [იხ. აქვე, აღ. ორბელიანის 1832 წ. 19 და 30 დეკემბრისა და სხვ. ჩვენებე- ბი. მოლა ზამანას სახელი არაერთი შეთქმულის ჩვენებებში ჩანს და, მათ შორის, იასე ფალავანდიშვილის დასმენის ქალაქშიც: „აღ. ორბელიანმა თქვა – მე მაქვს ურთიერთობა ბიძა ჩემ ალე- ქსანდრესთან ჩემი სოფლის მცხოვრებ თათარ მოლა ზამანას სა- შუალებით. როგორც კი აქ აჯანყება მოხდება, ის დაუყოვნებლივ კახეთში გაჩნდებაო. ... აღ. ორბელიანმა განაცხადა: დიდი ხანია მიწერ-მოწერა მაქვს ალექსანდრე ბატონიშვილთან ჩემი მოლა ზამანას საშუალებითაო. ... დეკემბრის 2-ს იყო ჩემთან აღ. ორ- ბელიანი. ამბობდა, რომ ჩემი მოლა ზამანა მოვიდა და მითხრა, რომ ეგვიპტის ფაშის შვილი ქ. ყარსს უახლოვდება და უსათუოდ ახალციხეშიაც მოვაო“ (გოზალიშვილი 1935: 131-136)].

მოლა ზამანა კომისიამ დამნაშავეთა III კატეგორიაში მოაქცია (გოზალიშვილი 1935: 37) და არხანგელსკში რიგით ჯარისკაცად განაწესა (გოზალიშვილი 1976: 436), სადაც იგი დაიღუპა [მდინ- არე დვინაში დაიხრჩო (ყიფიანი 2020: 308)]. სხვათა შორის, გარ- და მოლა ზამანასი, ალექსანდრე ბატონიშვილთან შეთქმულთა მეკავშირეები იყვნენ აგრეთვე ბორჩალოელები: ქოსა მუსტაფა, შიხილ-ალია... [იხ. მოლა ზამანას ჩვენება (გოზალიშვილი 1935: 171)].

³⁵ (გვ. 35) „**1827-ში სპარსეთის კამპანიაში კნიაზ ვარშავსკიმ, ღრაფ პასკევიჩ ერევანსკიმა ერთი ბატალიონი ღრუზინსკის ჯარი გაგზავნა ურდობათსა**“ – ა) 1827 წლის სპარსეთის კამპა- ნია: იგულისხმება 1826-1828 წწ. რუსეთ-სპარსეთის ომი; ბ) გრაფი პასკევიჩ-ერივანსკი: კავკასიის მთავარმართებელი და ჯარე- ბის სარდალი ივანე პასკევიჩი, რომელსაც რუსეთ-ირანის ომში ერევნის ალბისთვის მინიჭებული ჰქონდა გრაფ ერევანსკის (Граф Эриванский; 1828 წ.) ტიტული. მოგვიანებით მას პოლო- ნეთის აჯანყების ჩახშობისა და ვარშავის ალბისთვის უგანათ- ლებულეს თავად ვარშავსკის (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ტიტულიც მიენიჭა; გ) „ღრუზინსკი ჯარი“ აქ ნიშნავს ქართულ მილიციას [მთავრობის მიერ საგანგებო ვითარებაში

ფორმირებულ არარეგულარულ (მათ შორის, მოხალისეებისაგან შემდგარ) სახალხო ლაშქარს (ლათ. militia – მხედრობა).

³⁶ (გვ. 35) „სარვაზი“ – ჩვენ ამ სიტყვის რაობა ვერ გამოვარკვეით. კონტექსტის მიხედვით, *ქვეით ჯარს* უნდა ნიშნავდეს.

³⁷ (გვ. 35) „**ივანემ დიდათ შორს დაუჭირა, და სულ უარი თქო**“ – ივ. მაჩაბლის მიერ უარის თქმას თავის ჩვენებებში ადასტურებს ელიზბარ ერისთავი (გოზალიშვილი 1970: 93; გოზალიშვილი 1976: 100). კომისიას, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა შეთქმულებაში ივ. მაჩაბლის მონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტები და ამიტომ იგი დააპატიმრეს (თავის ჩვენებაში ივ. მაჩაბელი ადასტურებს შეხვედრას ალ. ორბელიანსა და ე. ერისთავთან, თუმცა დასძენს: „მეგონა მცდიდნენ ისინი ან ხუმრობით მითხრეს“ (გოზალიშვილი 1935: 305; ივ. მაჩაბელს შეთქმულთა შორის ასახელებს გიორგი რ. ერისთავი – გოზალიშვილი 1935: 169). საბოლოოდ კომისიამ ივანე მაჩაბელი გაათავისუფლა, თუმცა დატოვა საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ (გოზალიშვილი 1935: 497; გოზალიშვილი 1976: 430).

³⁸ (გვ. 36) „**ის ერთი უბრალო კაცი არისო**“ – სოლომონ დოდაშვილი სოციალური წარმომავლობით *სახაზინო გლეხი* იყო. მამამისს, ივანე (იოანე) დოდაშვილს, სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული გარეჯისა და ბოდბის სამონასტრო სასწავლებლებში და სიცოცხლის ბოლომდე მღვდელი იყო მშობლიური სოფლის, მალაროს, წმ. გიორგის ეკლესიაში (ი. დოდაშვილის შესახებ იხ. გოცაძე 1955: 17-22; ბერძნიშვილი 1980: 210-211).

³⁹ (გვ. 36) „**მითხრა: ღმერთმა ნუ ინებოსო, რომ ჩვენზე ხელი აიღონო, მეორეს დღეს სულ ერთიანათ წავხდებითო**“ – სინამდვილეში თბილისელი სომეხი აზნაურის, სტეფანე ავთანდილოვის, ვაჟი *ზაალ (ზაქარია) ავთანდილოვი* (წყაროებში გვხვდება *ავთანდილაშვილის* გვარითაც) აქტიური წევრი იყო „ფარული საზოგადოებისა“. მოგვიანებით, 1833 წ. 22-24 თებერვლის ჩვენებაში, ალ. ორბელიანი ზ. ავთანდილოვს ასახელებს 12 (საკუთარი თავის ჩათვლით) შეთქმულთა შორის (ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, იასე ფალავანდიშვილი, ზაალ ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანი, გიორგი დ. ერისთავი, ზაქარია ჩოლოყაშვილი, გიორგი რ. ერისთავი, დიმიტრი ერისთავი) და დასძენს: „აი ჩვენი ძლიერი საზოგადოება, და ჩვენ გვსურდა, რომ საქართველო განგვეთავისუფლებინა“.

თვითონ ზ. ავთანდილოვი ერთ-ერთ ჩვენებაში ამბობს: შეთქმულებაში „მხოლოდ გარეგნულად ვიღებდი მონაწილეობას“ (გოზალიშვილი 1970: 254), მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი შეთქმულთა შეკრებებში რეგულარულად მონაწილეობდა, იცნობდა ფილადელფოს კიკნაძის „აკტი გონიურს“ და დადებული ჰქონდა ფიცი (გოზალიშვილი 1935: 409; გოზალიშვილი 1970: 380), იცნობდა „პირველი ღამის განკარგულებას“ და მონაწილეობდა მის განხილვაში (გოზალიშვილი 1975: 325-326, 332, 348) და სხვ.; ერთ-ერთ ჩვენებაში ზ. ავთანდილოვი იძლევა საინტერესო ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოედგინათ შეთქმულებს გამარჯვების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა (კონსტიტუციური მონარქია) და მმართველობის ფორმები [მათ შორის, სეიმის არჩევა (გოზალიშვილი 1970: 254)].

საბოლოოდ ზ. ავთანდილოვს მიესაჯა გადასახლება ქ. პერმში (გოზალიშვილი 1975: 428-429). 1836 წლის აპრილში ნიკოლოზ I-მა ზ. ავთანდილოვი შეინყაღა იმ პირობით, რომ მას სასწავლო დაწესებულებებში სამსახური აეკრძალებოდა, სხვა ნებისმიერ სამოქალაქო სამსახურში შესვლის უფლება კი ეძლეოდა (ქლსმ. №20838, ფ. 54). გადასახლებიდან დაბრუნებული ზ. ავთანდილოვი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის (Действительный статский советник) მაღალ ხარისხს მიაღწია.

„ფარული საზოგადოება“ კონსპირაციის მიზნით დაყოფილი იყო მცირე-მცირე „უჯრედებად“, რომლებიც ცენტრს ან სხვა ჯგუფებს თავ-თავიანთ ხელმძღვანელთა მეშვეობით უკავშირდებოდნენ (გოზალიშვილი 1935: 7). ჩვენი წინასწარი დაკვირვებით, ზ. ავთანდილოვი შედიოდა ერთ-ერთ ასეთ „უჯრედში“, რომლის სხვა წევრები იყვნენ: გიორგი დ. ერისთავი, დიმ. ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, იოსებ მამაცაშვილი.

⁴⁰ (გვ. 37) **„ასეთი შამოკვარ თავში ... მასკვან მე კარგი პანლური ამოკვარ და გავაგდე“** – მთელი ეს სცენა, რომელიც ჩვენებაშია აღწერილი (*თავში შემოკვრა, წიხლის დარტყმა, წვერის დაჭერა, პანლურის ამოკვრა*) ალ. ორბელიანის მიერ მოგონილია. სინამდვილეში მოლა ზამანა, როგორც ზემოთ ითქვა (კომენტ. 34), ალექსანდრე ბატონიშვილთან შეთქმულთა მეკავშირე იყო და მათივე (პირველ რიგში, ალ. ორბელიანის) მკაცრი მითითებებითა და მკაცრი კონსპირაციით მოქმედებდა. გარდა

ამისა, შეთქმულების მასალების მიხედვით, ზამანა არ ჩანს ის კაცი, რომელსაც შეიძლებოდა ასე უდიერად მოპყრობოდნენ.

⁴¹ (გვ. 37) **„კახეთში გამოსაძიებლად გამგზავნეს სიღნაღის ნაჩაღნიკისა, და მოვრჩი გამოძიება, მაშინ მე ჩემ სიძეს აბელ ენდრონიკოვთან მივედი სანახავათ ... ამ რუსებმა იმ ღვთის მშობელს გამოართვესო, ახლა იმ ღვთის მშობელმა იცის და ამ რუსებმაო, მე ამის მეტს არას ვიტყვიო“** – ა) *კახეთში გამოსაძიებლად* ალ. ორბელიანი, უნდა ვიფიქროთ, სიღნაღის მაზრის უფროსსა და გლეხებს შორის კონფლიქტის გამოსარკვევად იყო გაგზავნილი. ანტონ აბხაზი კომისიას უჩვენებს: „ალექსანდრე ორბელიანოვი განაგრძობს, რომ მე ვიყავი საქმეების გამო აღმასრულებელი ექსპედიციიდან სიღნაღის რაიონში მივლინებული. რაც იქ ვნახე, იმის აღწერა ძნელიაო. გლეხები მოდიოდნენ ჩემთან და მემუდარებოდნენ, რომ მიხსენით ამ უბედური მდგომარეობისაგანაო“ (გოზალიშვილი 1935: 224); ბ) *„ჩემ სიძეს...“*: აბელ ანდრონიკაშვილის ცოლი იყო ანა ორბელიანი – თამარ ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილისა და დავით ორბელიანის (დავით სარდლის) ასული (ბერძნიშვილი 1983: 30) და, შესაბამისად, აბელი სიძე იყო თეკლე ბატონიშვილის ძის – ალ. ორბელიანისა; გ) *„იმ ღვთის მშობელმა იცის...“*: ქოდალოში აბელ ანდრონიკაშვილთან ალ. ორბელიანის სტუმრობისა და მათ შორის გამართული საუბრის შესახებ სულ სხვა ვერსიას (ვფიქრობთ, უფრო სწორს) უჩვენებს კომისიას იასე ფალავანდიშვილი – ალ. ორბელიანმა მითხრაო: „როდესაც ვიყავ მე კახეთში, ამ საგანზედ დაუწყე ლაპარაკი აბელ ანდრონიკოვსაო თავის შვილებთანაო, რომელიც ჩემის ბიძის (ალექსანდრე ბატონიშვილის – თ. ჯ.) ერთგულებისათვის იყო გაგზავნილი ციმბირშიო, და იმან პასუხად ეს მომცაო: „ჩვენ ჩვენი ვეცადნეთ და რადგანაც საქართველო წილად არის ნარგები ღვთის მშობლისა, ისიც შეგვეწვეაო“ (გოზალიშვილი 1935: 482). ვინაიდან სხვა შეთქმულთა ჩვენებებში ა. ანდრონიკაშვილის სახელი არ ფიგურირებდა, ხოლო საკუთრივ ალ. ორბელიანის ჩვენება ხელჩასაჭიდს ბევრს არაფერს იძლეოდა, საგამომძიებლო კომისიამ აბელ ანდრონიკაშვილი უდანაშაულოდ ცნო.

რაც შეეხება ი. ფალავანდიშვილის ჩვენებაში ნახსენებ *ციმბირში გაგზავნას*, ალ. ორბელიანის სტუმრობისას აბელ ანდრონიკაშვილს რუსების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება უკვე ჰქონდა – კახეთის 1812 წ. აჯანყებისას იგი ჯერ რუსების

მხარდამხარ იბრძოდა, თუმცა შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს შეუერთდა და ამის გამო გააციმბირეს კიდევ [ტობოლსკში, საიდანაც 1818 წ. აგვისტოში დაბრუნდა (ბერძნიშვილი 1983: 145)]. პლატონ იოსელიანი ციმბირიდან ა. ანდრონიკაშვილის დაბრუნების თარიღად 1817 წელს უთითებს: „აბელ ანდრონიკაშვილი, მიმბაში მეფისა გიორგისა, აღმაშენებელი ქოდალას ღვთაებისა გუმბათიანისა ეკკლესიისა ქაშოეთისა თფილისს ეკკლესიისა პლანისა. 1812 წელსა ბუნტისა გამო გაგზავნეს სიბირსა და უკუმოიქცა 1817 წელსა... მოკვდა და დაეფლა მუნვე 1835 წელსა“ (იოსელიანი 1936: 266)].

დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ სიღნაღში მივლინება ალ. ორბელიანს შეთქმულების სასარგებლოდ გამოუყენებია და თანამოაზრეთა შემოკრება უცდია. გარდა ა. ანდრონიკაშვილისა, იგი იმავე სოფელში, ქოდალოში, ივანე ანდრონიკაშვილსაც შეხვედრია და მასთან საქართველოს განთავისუფლებაზე უსაუბრია (იხ. ალ. ორბელიანის 1833 წ. 5 თებერვლის ჩვენება).

⁴² (გვ. 38) **„მე უთხარ ამ რიგათა, რომ სომხითი“** – *სომხითი*: გვიანდელი შუა საუკუნეების ქვემო ქართლის პროვინცია [შუა საუკუნეების სამშვილდისა და ხუნანის (გარდაბანი) საერისთავოების ტერიტორია].

⁴³ (გვ. 38) **„ამ რიყიდგანაო ლეკებს ჩაფაული მოჰქონდათო“** – *ჩაფაული*, დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, სპარსული სიტყვაა და დარბევას [თავდასხმას, თარეშს...] ნიშნავს (*ჩაფაული... დარბევა*, *ნაბერ* – ჩუბინაშვილი 1984: 1562); ლ. მიქიაშვილის მიხედვით, ჩაფაული *დამრბევი რაზმია* (ხერხეულიძე 1989: 119), ხოლო მ. ჯანაშვილის აზრით, „ჩაფაული თათრული სიტყვაა, ქართულად *ჭენება*“ (ხერხეულიძე 1890). ასეა თუ ისე, ალ. ორბელიანის ჩვენებაში, კონტექსტის მიხედვით, *ჩაფაულში* ლეკ მარბიელთა მიერ მოპოვებული *ნადავლი (ნაალაფარი)* უნდა ვიგულისხმოთ.

⁴⁴ (გვ. 39) **„ვარშავა აულიათო. შამამფიცა იასემ, რომ იმ თავადიშვილებმა იტირესო და ისე წავიდნენ“** – აჯანყებული ვარშავა რუსეთის ჯარს 1831 წლის 8 სექტემბერს დანებდა. რუსეთის ეს გამარჯვება თბილისში საგანგებო ზემოთა და ზარბაზნების სროლით იმავე წლის 24 სექტემბერს აღნიშნეს (ბერძნიშვილი 1989: 408). ასე რომ, იასე ფალავანდიშვილთან შეხვედრა, რომელიც ალ. ორბელიანის ამ ჩვენებაშია აღწერილი, 1831 წლის სექტემბრის ბოლოს მოხდებოდა.

⁴⁵ (გვ. 39) „ჩემი ძმა ლუბენატორი არისო“ – იგულისხმება **ნიკოლოზ ფალავანდიშვილი**, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 1832 წლის იანვრიდან 1838 წლის მარტის ჩათვლით (ამ თანამდებობაზე შეთქმული პეტრე ზავილესკი შეცვალა. ნ. ფალავანდიშვილის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. აქვე. კომენტ. 23).

⁴⁶ (გვ. 39) „ჩემი დედიდაშვილი გიორგი მოვიდა რუსეთიდან“ – იგულისხმება **გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერისთავი**, ანასტასია ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილის ვაჟიშვილი, რომელიც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დედამ სამხედრო განათლების მისაღებად პეტერბურგში გაგზავნა (1825 წ. სექტემბერი). იუნკერთა სკოლის დამთავრების შემდეგ, 1829 წლიდან, რ. გ. ერისთავი უნტერ-ოფიცრის ჩინით მსახურობდა ფინეთის პოლკში, მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში (მათ შორის, ვარშავის აღებაში), რისთვისაც მიიღო კორნეტის ხარისხი. 1832 წლის ივლისში შვებულებით ჩამოვიდა თბილისში და აქტიურად ჩაერთო შეთქმულთა საქმეებში. მანამდე კი იგი დიმიტრი და ელიზბარ ერისთავებთან ერთად 1828 წლის 13 მაისს პეტერბურგში ხელს აწერს ერთგულების ხელშეკრულებას – „**კანდრახტს**“, რომელიც, გ. გოზალიშვილის შეხედულებით, „არის შეთქმულების პირველი **ფორმალური** ჩამოყალიბება, თუმცა ძალიან ვიწრო წრეში“ (გოზალიშვილი 1935: 17; „კანდრახტის“ თაობაზე გ. რ. ერისთავის მიერ საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემული განმარტებები იხ. გოზალიშვილი 1970: II, 176-177, 473-474). ამასთანავე, გ. რ. ერისთავი პეტერბურგშივე შედიოდა დიმიტრი ბატონიშვილის წრეში (გოზალიშვილი 1970: 151-153, 165-166, 194, 261, 263, 330, 351-354 და შმდ.; ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში გადასახლებულ თითქმის ყველა ბატონიშვილთან (გოზალიშვილი 1970: 262), ხოლო პეტერბურგიდან სამშობლოში მომავალს, საქართველოს გათავისუფლების თაობაზე მოსკოვში საუბარი ჰქონდა ოქროპირ ბატონიშვილთან – გოზალიშვილი 1970: 350-351; გოზალიშვილი 1976: 190). საქართველოში ჩამოსულს, მანანა ორბელიანისთვის უთქვამს: „რუსეთიდან იმიტომ ჩამოვედი, რათა სამშობლო საქართველო ვიხსნა რუსების ხელთაგანო“ (გოზალიშვილი 1970: 467). შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გ. რ. ერისთავი იცნობს „პირველი

ლამის განკარგულებას“ (გოზალიშვილი 1935: 167; გოზალიშვილი 1976: 164, 432, 433; გოზალიშვილი 1976: 61, 82, 103, 348 და შმდ.) და მონაწილეობს აჯანყების დაგეგმვაში (გოზალიშვილი 1935: 165-166; II, 164, 289; გოზალიშვილი 1976: 86-87, 325-326, 331-332); იცის ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევასთან დაკავშირებული გარემოებები (გოზალიშვილი 1935: 167, 169); ესწრება თამარ ბატონიშვილთან (გოზალიშვილი 1976: 16, 17, 19, 22) და ტარასი მღვდელ-მონაზონთან (გოზალიშვილი 1970: 138, 148, 278, 288) გამართულ საუბრებს [სხვათა შორის, ტარასის პეტერბურგიდანვე იცნობდა (გოზალიშვილი 1970: 139)]; პეტერბურგში ურთიერთობა აქვს საფრანგეთის საკონსულოს მდივან ვ. ლეტელიესთან (გოზალიშვილი 1970: 152, 154, 162-163, 352-353); იცნობს საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტს და შეთქმულთა წრეში მსჯელობს ამ პროექტზე (გოზალიშვილი 1935: 167; გოზალიშვილი 1970: 122; გოზალიშვილი 1976: 61, 103). ასე რომ, არ მტკიცდება მაქს. ბერძნიშვილის მოსაზრება: „1832 წლის შეთქმულებისა ის (გ. რ. ერისთავი – თ. ჯ.) უფრო მაყურებელი იყო, ვიდრე მონაწილე“ (ბერძნიშვილი 1980: 231).

საგამომძიებლო კომისიამ გ. რ. ერისთავს მიუსაჯა სამსახური „ქალ. არხანგელსკის ერთ-ერთი გარნიზონის ბატალიონში, საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით“ (გოზალიშვილი 1976: 428). 1840 წლის მარტში იგი კაპიტნის ჩინით დაბრუნდა სამშობლოში (ბერძნიშვილი 1980: 231), განაგრძო სამხედრო კარიერა და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხს მიაღწია. 1840-1851 წლებში გ. რ. ერისთავი მონაწილეობდა „კავკასიის ომში“, 1852 წ. იყო კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი და მართავდა თერგისა და ყუბანის მხარეს (ამის გამო, სხვა გიორგი ერისთავებისაგან რომ განესხვავებინათ, სიცოცხლის ბოლომდე „ატამანს“ ეძახდნენ). იყო თავისი დროის თვალსაჩინო მოღვაწე, ქველმოქმედი და კულტურტრეგერი (ივერია 1890; ივერია 1891; კვალი 1893: 1-3; ქაჯაია 1995: 18-20).

გ. რ. ერისთავის გარდაცვალების (1891 წ. 5 ნოემბერი), თბილისიდან გასვენებისა და დუშეთის მაზრის სოფ. ოძისში „ზარბაზნების სროლით“ დაკრძალვის შესახებ იხ. ივერია 1891 (ბიოგრაფიული ცნობები გ. რ. ერისთავის შესახებ იხ.: აქტები 1885: XXXIV; ბერძნიშვილი 1980: 230-232).

შეთქმულების ნევრები იყვნენ, აგრეთვე, რ. გ. ერისთავის ძმები: ბიძინა და შალვა ერისთავები.

⁴⁷ (გვ. 39) „...და დიმიტრი, ამისი ძმა, ხომ ადრე მოვიდა რუსეთიდან“ – იგულისხმება დიმიტრი შანშეს ძე ერისთავი, შეთქმულების აქტიური წევრი, რომელიც 1825-1832 წწ. პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებელში სწავლობდა [თბილისში დაბრუნდა 1832 წლის 16 აპრილს. პეტერბურგში ცხოვრობდა ფარნაოზ ბატონიშვილთან, რომლის შესახებაც დიმი. ერისთავი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „სურდა საქართველოში ყოფნა არა როგორც მეფეს, არამედ როგორც კერძო პირს, რომ აქაური ჰაერით ესუნთქა“ (გოზალიშვილი 1935: 191)].

მართალია, ერთ-ერთ ჩვენებაში დიმი. ერისთავი ამბობს – დროზე მოვეგეთ გონს და „მე და ჩემმა ძმამ [ელიზბარმა] ხატზე დავიფიცეთ, რომ ამიერიდან ზემოხსენებულზე არა თუ აღარ ვილაპარაკებდით, აღარც კი ვიფიქრებდით და [შეთქმულთა წრიდან] წამოვედით“ [გოზალიშვილი 1935: 190; იმავეს იმეორებს სხვა ჩვენებაშიც (გოზალიშვილი 1970: 291), მაგრამ სინამდვილეში დიმიტრი შეთქმულების ჩავარდნამდე მხურვალე მონაწილეობას იღებდა აჯანყების მომზადებაში, უფრო ადრე კი ელიზბარ ერისთავთან და გიორგი რ. ერისთავთან ერთად 1828 წლის 13 მაისს იგი ხელს აწერს „კანდრახტს“ [იხ. წინა კომენტარი; შეთქმულების მასალებში მოიპოვება აგრეთვე ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის ტექსტზე დიმი. ერისთავის კრამოლური ხასიათის მინაწერები (გოზალიშვილი 1935: 117-119)].

დიმიტრი ერისთავი საქმის კურსშია ალექსანდრე ბატონიშვილთან გამართული მიმონერის შესახებ (გოზალიშვილი 1970: 541; გოზალიშვილი 1976: 314), კავშირი აქვს თბილისში მყოფ პოლონეთის აჯანყების მონაწილეებთან (გოზალიშვილი 1970: 39, 305), რამდენიმე შეთქმულთან ერთად დავალებული აქვს აჯანყების ღამეს არსენალისა და სხვა პუნქტების აღება (გოზალიშვილი 1935: 137) და სხვ.

საგამომძიებლო კომისიამ, როგორც „ყველაზე უფრო დამნაშავეთაგანი“, დიმი. ერისთავი გადასცა სამხედრო სასამართლოს (გოზალიშვილი 1976: 428), რომელმაც მას ჯერ ჩამოართვა თავადური წოდება, სამხედრო ჩინი (არტილერიის პრაპორშჩიკი იყო) და მიუსაჯა ოთხად განკვეთა (გოზალიშვილი 1976: 431), შემდეგ კი სასჯელი შეუცვალა და განაწესა „არტილერიის მე-10 ბრიგადაში“ (გოზალიშვილი 1976: 436).

დიმი. ერისთავს ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა თეატრალური ინტერესები (გოზალიშვილი 1970: 533). სასჯელის მოხდისა

და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად აღარ ჩანს კულტურულ-სალიტერატურო ასპარეზზე, თუმცა მისი სახელი იხსენიება გორის მაზრაში მცხოვრებ იმ 27 პირს შორის, რომელთაც 1840-იან წლებში განზრახული ჰქონდათ, დაეარსებინათ ფართო პროფილისა და უაღრესად საინტერესო მიზანდასახულების ყურნალი „სინათლე“ (ბერძნიშვილი 1980: 82; ვრცლად ამ ყურნალის შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1948: 80-108).

⁴⁸ (გვ. 40) **„დიმიტრის, თუშ რომ ეძახიან, სიონის კანდელაკი და პრაპორშჩიკი იოსელიანი“** – დიმიტრი თუშის ვინაობა ჩვენ ვერ გამოვარკვევთ, ხოლო რაც შეეხება პრაპორშჩიკ იოსელიანს, იგი (**როსტომ** იოსელიანი) ნახსენებია ფილადელფოს კიკნადის ჩვენებებში (გოზალიშვილი 1935: 264, 315) და თვითონ მასაც, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის *პრაპორშჩიკ იოსელიანს*, საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული აქვს ჩვენება (გოზალიშვილი 1970: 399). საბოლოოდ როსტომ იოსელიანი კომისიამ მიიჩნია უდანაშაულოდ და გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან (ხომერიკი 1999: 71, 95).

⁴⁹ (გვ. 40) **„მელიქოვის ტრაქტირში წავიდეთ“** – ეს არის ყორხმაზ (კორხმაზ) მელიქიშვილის (მელიქოვის) ქარვასლის ტრაქტირი, რომელშიც შეთქმულები ხშირად იკრიბებოდნენ. ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებით, „სადაც უნდა მოეკლათ კორპუსის უფროსი და ყველა სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, დანიშნული იყო არა ჩემი სახლი, არამედ კორხმაზ მელიქოვის ქარვასლაში“ (გოზალიშვილი 1935: 144), ზაქარია ჩოლოყაშვილი კი უჩვენებს: „იასემ სთქვა, რომ არის თანხმობა გაიმართოს ბალი კორხმაზ მელიქოვის სახლში, მაგრამ მე გადაჭრით უარი ვთქვი“ (გოზალიშვილი 1970: 455). საბოლოოდ კი იმ ბალის მონყობა, რომელზეც რუსი სამხედრო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის, აგრეთვე, ანტაგონისტი ქართველების განეიტრალება უნდა მომხდარიყო, ლუარსაბ ორბელიანის სახლში გადაწყდა (გოზალიშვილი 1935: 138).

⁵⁰ (გვ. 41) **„...მუხრან ბატონი უნდა მოვკლათ“** – იგულისხმება კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონი (*მუხრანსკი, ბავრაციონ-მუხრანსკი*), ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1812-1839 წწ.; თავიდან შეთქმულები კ. მუხრანბატონის (ისევ, როგორც ნიკოლოზ ფალავანდიშვილის – იხ. აქვე, კომენტ. 23) ლიკვიდაციას აპირებდნენ: „მას, მუხრანსკის, სიკვდილს უპირებდნენ მთავრობის ერთგულებასა ზედა“, – წერს

აღ. ორბელიანი სხვა ჩვენებაში [იხ. აქვე, ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (II)], დიმი. ერისთავი კი თავის ჩვენებაში აცხადებს: „მე ვუთხარი [აღ. ორბელიანს], მოვწამლოთ იგი, მოვკლათ ან დავამწყვდიოთ სადმე მეთქი, მაგრამ მას დიდი შრომა არ დასჭირვებია დავეთანხმებინე, რათა იგი ცოცხალი დაგვეტოვებინა“ (გოზალიშვილი 1970: 288; კ. მუხრანსკის მოკვლის განზრახვაზე იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 458; გოზალიშვილი 1976: 309). საბოლოოდ შეთქმულები შეთანხმდნენ, გამარჯვების შემდეგ კონსტანტინე მუხრანბატონისათვის იუსტიციის მინისტრის პოსტი შეეთავაზებინათ (გოზალიშვილი 1935: 92, 167; სხვათა შორის, თავიდან შეთქმულები აჯანყების ღამეს ბალის გამართვას სწორედ კონსტანტინე მუხრანბატონის სახლში აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს – „უხერხო (მოუხერხებელი – თ. ჯ.) სახლი არისო“ (გოზალიშვილი 1935: 324) და საბოლოოდ ბალის გამართვის ადგილად შეარჩიეს ლუარსაბ ორბელიანის სახლი, რადგან იგი „ფართეა და მოედანზე დგას“ – გოზალიშვილი 1935: 138).

რაც შეეხება საკითხს, იცოდა თუ არა კ. მუხრანბატონმა შეთქმულების შესახებ, იასე ფალავანდიშვილი ერთ-ერთ ზეპირ ჩვენებაში ამბობს: „სოვეტნიკ [ალექსანდრე] ორბელიანოვს უთქვამს, რომ ბიძინა ერისთავს გენერალ-მაიორ მუხრანსკისთან ულაპარაკნია ჩვენს შეთქმულებაზე გადაკვრით, მისახვედრად და ვითომც მუხრანსკის ეთქვა მისთვის, რათა ბიძინამ ამაზე არაფერი უთხრას მის, მუხრანსკის, ძმებს“ (გოზალიშვილი 1976: 120), მისივე წერილობითი ჩვენების მიხედვით, ერთ-ერთი გაცხარებული კამათის დროს თითქოს ალექსანდრე ორბელიანს ეთქვას: „მე ვიყავი მუხრან ბატონთან და ყოველივე გაუტყდი და იმისგან დიდი იმედი არის და კიდევ ეთანხმება, უფრო ხმაცა აქვს“ (გოზალიშვილი 1935: 325), თუმცა თვითონ აღ. ორბელიანი კატეგორიულად ამბობს: „პირველი გაგონება არის ჩემთვის ესრეთი, რომ თ. ბიძინა ერისთავს რაიმე ულაპარაკი ჰქონიყოს, ღენერალ მაიორ მუხრანსკისთან აზრსა ესრეთსა ზედა!.. და არცარა ვისთვისმე არა რაი რამ მითქომს მას მუხრანსკისა ზედა“ [იხ. აქვე, ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (II)]. ვახტანგ ორბელიანის ჩვენებით, პ. ზავილეისკის აღ. ჭავჭავაძისთვის უთქვამს, თითქოს პეტერბურგიდან ჩამოსული ახალგაზრდები „თავისუფალ აზრებს“ ავრცელებენო და ამასთან დაკავშირებით მუხრანსკიმ ასეთი სიტყვებით მომმართაო: „იცოდე, ვახტანგ, თავი

დაანებთ თავისუფლებასა და სხვადასხვა სისულელებზე ლაპარაკო“ (გოზალიშვილი 1970: 364).

ამგვარი ურთიერთსანინაღმდეგო ჩვენებებისთვის საგამომძიებლო კომისიას ყურადღება არ მიუქცევია. ასევე კომისიას მხედველობიდან გაუშვია ოქროპირ ბატონიშვილის სიტყვებიც: „თბილისში მე დავიარებოდი თავად მუხრანსკისთან, თავადაზნაურობის წინამძღოლთან“ (გოზალიშვილი 1970: 322) და კონსტანტინე მუხრანბატონზე ეჭვი არ მიუტანია.

⁵¹ (გვ. 42) **„ოც ნოემბერს უნდა მოხდეს ბუნტით“** – 1832 წლის 20 ნოემბერს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) არჩევნები იყო დანიშნული. შეთქმულთა მიერ ორგანიზებული შეკრებისთვის ხელისუფლებას ყურადღება რომ არ მიექცია, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, აჯანყება ხსენებული არჩევნებისთვის დაემთხვიათ: „თავდაპირველად აჯანყების დაწყება 20 ნოემბერს იყო განზრახული, რაც თავად-აზნაურთა ტფილისში არჩევნებისთვის თავის მოყრასთან იყო შეფარდებული“ [გოზალიშვილი 1935: 87; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 143, 488; გოზალიშვილი 1970: 307, 450, 488; გოზალიშვილი 1976: 131-132, 355; დიმიტრი ერისთავის ჩვენებით, 20 ნოემბერი იასე ფალავანიშვილმა შეარჩია (გოზალიშვილი 1970: 289)]. ზამთრის პირზე აჯანყების დაწყება იმითაც იყო ხელსაყრელი, რომ: ა) რუსების სამხედრო ძალა ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში იყო გადასროლილი და დიდთოვლობის გამო კავკასიონის უკან გადმოლახვა უკიდურესად გაძნელებოდა; ბ) ზამთრის პირობებში რუსეთის ჯარის კასპიის ზღვით გადმოსროლაც გართულებოდა (გოზალიშვილი 1935: 88). არჩევნების შემდეგ, საღამოს, ნადიმზე, ლუარსაბ ორბელიანის სახლში, რუსი და ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო ხელისუფალნი უნდა მოეწვიათ, ყველანი დაეპატიმრებინათ, შემდეგ კი სპეციალურ ნიშანზე (შუშუნების გასროლაზე) აჯანყებაც უნდა დაწყებულიყო (გოზალიშვილი 1935: 138; გოზალიშვილი 1970: 157 და შმდ.), მაგრამ „მარშლის“ არჩევნები რამდენჯერმე გადაიდო, საბოლოო თარიღად კი 20 დეკემბერი დადგინდა და, შესაბამისად, აჯანყების ღამედ 20 დეკემბერი გადაწყდა (გოზალიშვილი 1935: 88). ამასობაში ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი შიკრიკი ჩავარდა ბორჩალოში და იქ ხმა გავრცელდა მოსალოდნელი არეულობების შესახებ. ამ ხმამ თბილისში სწრაფად ჩამოაღწია და შეთქმულთა საქმიანობაში დეზორგანიზაცია შეიტანა. იასე

ფალავანდიშვილმა გადაწყვიტა, აჯანყების საქმე განწირულია და, თავი რომ გადაერჩინა, 1832 წლის 9 დეკემბერს კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, გენერალ ვლადიმირ ვოლხოვსკისთან, გამოცხადდა და გასცა შეთქმულება (აქტები 1881: 391-392); ეს იყო ზეპირი დასმენა, ხოლო რაც შეეხება წერილობით დასმენას, იგი ი. ფალავანდიშვილმა 11 დეკემბერს დაწერა (ტექსტი დასმენისა იხ. გოზალიშვილი 1935: 130-138).

⁵² (გვ. 42) **„ალ. ჭავჭავაძეს ეთქო ასეთი უარი, რომ სულ ფიქრშიაც ნუ მოგივათო“** – ალ. ჭავჭავაძის უარი შეტანილია საგამომძიებლო კომისიის საბოლოო ანგარიშში, თითქოს მან ზაქარია ჩოლოყაშვილი და ლუარსაბ ორბელიანი „დაარწმუნა შეთქმულთა განზრახულების უპერსპექტივობაში და დაბეჯითებით სთხოვა მათ, თავი დაენებებინათ ამ საქმისათვის. ჩოლოყაშვილმა და ლუარსაბმა დაუყოვნებლივ აცნობეს შეთქმულების ხელმძღვანელებს ჭავჭავაძის გადაწყვეტილება და ამის შემდეგ მათ ერთხმად თქვეს უარი თავიანთ ზრახვებზე“ (აქტები 1881: 406). იმავე კომისიის სხვა ანგარიშში ვკითხულობთ: „თავადი ჭავჭავაძე შეიძლება მხილებულად ჩაითვალოს იმაში, რომ მან იცოდა შეთქმულება, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი მას არ ეთანხმებოდა და სხვებსაც კი მან მარჯვედ აალებინა მასზე ხელი“ (გოზალიშვილი 1976: 397).

კონტექსტის გაუთვალისწინებლად შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს ალ. ჭავჭავაძემ მართლაც უარი თქვა აჯანყებაში მონაწილეობაზე, თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ არის. ის კი მართალია, რომ თავიანთ რიგებში ალ. ჭავჭავაძის ყოფნას შეთქმულები საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ: „არც ერთ შეთქმულს არ უნდოდა მონაწილეობის მიღება გენერალ ჭავჭავაძის გარეშე“ – უჩვენებს საგამომძიებლო კომისიის ელიზბარ ერისთავი (გოზალიშვილი 1935: 41), ზაქარია ჩოლოყაშვილს კი ალ. ჭავჭავაძისათვის უთქვამს: „თქვენს ერთს სიტყვას მთელი საქართველოს შეიარაღება შეუძლიან, რადგან ყველანი მხოლოდ თქვენს ბრძანებას ელიან და ყველანი მზად არიან, თქვენ გემორჩილონ“ (გოზალიშვილი 1935: 44) და სხვ.

შეთქმულთა ჩვენებების ურთიერთშეჯერება ასეთ სურათს იძლევა:

ა) ჭავჭავაძისათვის ცნობილი იყო აჯანყებისათვის მზადების ამბავი [გოზალიშვილი 1970: 150, 159, 161, 236, 269, 338, 597 და

შმდ.; შეთქმულების არსებობა ალ. ჭავჭავაძისათვის 1831 წლის ზაფხულში გაუქმდევნებია ცოლისძმას, ლუარსაბ ორბელიანს (გოზალიშვილი 1970: 161)].

ბ) აჯანყების თაობაზე ალ. ჭავჭავაძეს საუბარი ჰქონდა 1829-1830 წწ. თბილისში მყოფ ოქროპირ ბატონიშვილთან (გოზალიშვილი 1976: 387).

გ) ალ. ჭავჭავაძის ინიციატივა იყო ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევა საქართველოში და ამის შემდეგ სპარსეთს შეხიზნულ ბატონიშვილთან კავშირის დამყარება შეთქმულებმა ალ. ორბელიანს დაავალეს (გოზალიშვილი 1935: 42-43; გოზალიშვილი 1970: 265, 496; გოზალიშვილი 1976: 7, 114 და შმდ.).

დ) ალ. ჭავჭავაძე 1829-1831 წწ. თბილისში ხვდებოდა საფრანგეთის საკონსულოს მდივან ვიქტორ ლეტელიეს (გოზალიშვილი 1970: 317), შემდეგ კი წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგში მყოფ ფრანგ დიპლომატთან (გოზალიშვილი 1970: 152, 155-156, 162, 352-353), რომელსაც, თავის მხრივ, უდავოდ ჰქონდა კონფიდენციალური კავშირები შეთქმულების ორგანიზატორებთან (გოზალიშვილი 1935: 45-47).

ე) ალ. ჭავჭავაძე, სულ ცოტა, იცნობდა „პირველი ღამის განკარგულებას“ [გ. გოზალიშვილის ვარაუდით, 1832 წლის ნოემბრის ბოლოს ალ. ჭავჭავაძის ჩამოსვლა კახეთიდან თბილისში სწორედ აჯანყების გეგმის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული (გოზალიშვილი 1935: 43)].

ვ) ალ. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა – შეთქმულთა წრეში მისი ყოფნა „ფარული საზოგადოების წევრთა“ მხოლოდ განსაზღვრული (მეტისმეტად ვიწრო) ნაწილისთვის იყო ცნობილი და მათთანაც ურთიერთობა ალექსანდრეს ძირითადად ლუარსაბ ორბელიანის მეშვეობით ჰქონდა (გოზალიშვილი 1935: 45). ალ. ჭავჭავაძის სიფრთხილეს ისიც განაპირობებდა, რომ იგი არ ენდობოდა იასე ფალავანდიშვილსა და ზაქარია ჩოლოყაშვილს [გოზალიშვილი 1976: 120; სხვათა შორის, მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა ამგვარი უნდობლობის საფუძვლიანობა: იასემ გასცა შეთქმულება, ხოლო ზ. ჩოლოყაშვილმა პირველსავე ჩვენებაში აღიარა ყველაფერი და ამით საგამომძიებლო კომისიას თავიდანვე გაუადვილა მუშაობა (გოზალიშვილი 1935: 144-152).

ზ) სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძეს სამხედრო მინისტრის თანამდებობა უნდა დაეკავებინა (გოზალიშვილი 1935: 91, 92, 134, 167...).

საბოლოოდ, ალ. ჭავჭავაძე ტამბოვში გადასახლეს (გოზალიშვილი 1976: 429), თუმცა იქ დიდხანს ყოფნა არ მოუწია. ბარონ გრ. როზენის მიერ რუსეთის სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვისადმი 1834 წლის 30 აგვისტოს გაგზავნილი მიმართვიდან ირკვევა, რომ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ალ. ჭავჭავაძე პეტერბურგში ხაზგასმული კეთილგანწყობით მიუღია, სუფრაზე მიუწვევია და უთქვამს: რაც წარსულში იყო, დავიწყებას მივცეთო (აქტები 1881: 423). ალ. ჭავჭავაძე პეტერბურგში დარჩა 1837 წლამდე და, სხვათა შორის, იქიდან ცდილობდა, გრიგოლ ორბელიანის სამშობლოში დაბრუნებისათვის მიეღწია (ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების ამ პერიოდზე იხ. მახათაძე 1996: 120-128; უფრო ვრცლად 1832 წლის შეთქმულებაში ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2013^ა: 194-202).

⁵³ (გვ. 42) „პირველი ღამის განკარგულება ნამიკითხა თავადმა იასე ფალავანდოვმა“ – პირველი ღამის განკარგულება: გეგმა, რომელიც აჯანყების დაწყებისთანავე უნდა ამოქმედებულიყო. იგი საგამომძიებლო კომისიას იასე ფალავანდიშვილმა პირველივე, 1832 წლის 11 დეკემბრის, წერილობით ჩვენებაში გაუმჟღავნა (გოზალიშვილი 1935: 137-138). რაც შეეხება „განკარგულების“ ტექსტს (გოზალიშვილი 1935: 130-138), მის ინიციატორსა თუ ავტორზე შეთქმულები თავ-თავიანთ ჩვენებებში ერთმანეთისგან განსხვავებულ ცნობებს იძლევიან. კერძოდ, იასე ფალავანდიშვილი ხან ამბობს, სხვების კარნახით დავწერეო (გოზალიშვილი 1935: 134; გოზალიშვილი 1976: 331), ხანაც – დიმიტრი ერისთავის შედგენილია, მანვე წაგვიკითხა და მე, უბრალოდ, ჩავიწერეო (გოზალიშვილი 1935: 323; იხ. აგრეთვე: 1970: 307, 538; დიმიტრი ერისთავი რამდენჯერმე ადასტურებს კიდევაც, ჩემი დანერილიაო – გოზალიშვილი 1970: 433, 568), თუმცა საბოლოოდ იასე ფალავანდიშვილი იძულებულია აღიაროს: „ალექსანდრე ორბელიანოვი ამბობს, რომ განკარგულება ჩემი დანერილია. მართლაც მე დავწერე...“ (გოზალიშვილი 1970: 425), კომისია კი დაასკვნის: გეგმას სახელწოდება („**Распоряжение на первую ночь бунта**“) ელიზბარ ერისთავმა მისცა, ხოლო რაც შეეხება „განკარგულების“ ტექსტს, იგი „თავიდან მოკლედ დანერა

დიმიტრი ერისთავმა იასე ფალავანდიშვილის კარნახით, ხოლო შემდეგ, რადგანაც ერისთავმა ნაწერი დაწვა, ფალავანდიშვილმა თავიდან დაწერა გავრცობილი სახით“ (აქტები 1881: 405). ესა და სხვა გარემოებები – განსაკუთრებით, შეთქმულთა ჩვენებების ურთიერთშეჯერება – საბოლოოდ ასეთ სურათს იძლევა: „პირველი ღამის განკარგულების“ საბოლოო რედაქცია ყველა შემთხვევაში ჩამოყალიბებულია იასე ფალავანდიშვილის მიერ, რომელსაც, თავის მხრივ, გამოუყენებია დიმიტრი ერისთავის მიერ შედგენილი (ან: იასეს მიერ დიმიტრი ერისთავისთვის ნაკარნახევი) ვარიანტი, ხოლო გეგმის დახვეწა-კორექტირებაში სხვა შეთქმულებსაც (ალ. ორბელიანი, ზ. ჩოლოყაშვილი, ე. ერისთავი და სხვ.) მიუღიათ მონაწილეობა (გოზალიშვილი 1976: 331).

⁵⁴ (გვ. 42) **„საქართველოს მმართველობის პროექტი“** – გამარჯვების შემდეგ შეთქმულების ორგანიზატორებს საქართველოში სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად კონსტიტუციური მონარქიის შემოღება ჰქონდათ განზრახული. უნდა ყოფილიყო ორპალატიანი მმართველობა: ზედა პალატა – მეფე და მინისტრთა საბჭო მეფის თავმჯდომარეობით, ქვედა პალატა – არჩეული დეპუტატები მაზრების მიხედვით, ადგილებზე კი – სამდივნოები (ერთგვარი თვითმმართველობის ორგანოები), რომლებშიც საზოგადოებრივ ფენებს (თავადაზნაურობა, „საერო ხალხი“, სამღვდელეობა) თავ-თავიანთი წარმომადგენლები ეყოლებოდათ (გოზალიშვილი 1935: 92-93, 134, 167; სურგულაძე 1968: 304; ბენდიანიშვილი 1980: 111-112).

⁵⁵ (გვ. 43) **„თქვენო აღმატებულებაჲ ვლადიმერ დიმიტრევიჩ! მონყალეო ხელმწიფეჲ“** – ეს არის წერილი, რომელიც ალ. ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის ჩვენებას აქვს დართული. ადრესატია საგამომძიებლო კომისიის წევრი, გენერალი ვლადიმერ ვოლხოვსკი. ტექსტს ახლავს კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): ა) „მიღებულია 1832 წლის 18 დეკემბერს“; ბ) „სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, წერილი მისი აღმატებულების, ვლადიმერ ვოლხოვსკის, სახელზე“; გ) „საქართველოს უზენაესი მმართველობის აღმასრულებელი ექსპედიციის სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, 1832 წლის 18 დეკემბრის წერილი გენერალ-მაიორ ვოლხოვსკისადმი“. ჩვენებისა და მასზე დართული წერილის შესახებ კომისიის 1832 წ. 18 დეკემბრის სხდომის ოლქში ვკითხულობთ (თარგმანი გ. გოზალ-

იშვილისა): „ქართულად დაწერილი ჩვენება წარმოადგინა სოვეტ-ნიკმა თ. ალექსანდრე ორბელიანოვმა. ჩვენება გადათარგმნილ და წაკითხულ იქმნა. შემდეგ მან გამოგზავნა გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის სახელზე წერილი, რომელშიც გამოაცხადა, რომ ის თავის თავს დამნაშავედ აღიარებს ყველაფერში, რასაც კი მის წინააღმდეგ მისი თანაგანმზრახველნი იტყვიან“ (გოზალიშვილი 1970: 77).

3. ჩვენება 1832 წლის 19 დეკემბრისა

(გვ. 43-45).

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 2. ფ. 166-167. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 215-217. **თარიღი:** 1832 წ. 19 დეკემბერი. **ხელმოწერა:** გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი, პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი: „მიღებულია 1832 წლის 19 დეკემბერს“, რასაც მოსდევს კიდევ ერთი მინაწერი: „გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის განუცხადა სოვეტნიკმა, თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა“.

თარგმანი ვ. ვოლხოვსკის ტექსტისა და ალ. ორბელიანის მიერ დართული დამატებებისა ეკუთვნის გ. გოზალიშვილს.

¹ (გვ. 43) „**კორპუსის უფროსის მეტმა...**“ – *კორპუსის უფროსში* კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური (1831-1837), ბარონი *გრიგოლ როზენი* უნდა იგულისხმებოდეს.

² (გვ. 43) „**ყოფილმა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორმა...**“ – იგულისხმება პეტრე ზავილეისკი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი იყო 1829 წლის ივლისიდან 1832 წლის იანვრამდე (ამ თანამდებობაზე ნიკოლოზ ფალავანდიშვილმა შეცვალა).

³ (გვ. 44) „**თავად გარსევანთან ერთად**“ – *გარსევანის* (დედანი: Герцеван) შესახებ გ. გოზალიშვილი შენიშნავს: „ჩოკაშვილი იყო“ (გოზალიშვილი 1935: 55), მეორეგან კი იგი წერს: „გვარად ჯორაშვილია“ (გოზალიშვილი 1935: 216). ჩვენ სხვა მონაცემი გარსევანზე ხელთ არა გვაქვს. ის კი ცნობილია, რომ დარეჯან დედოფალსა და ბატონიშვილებს (ალექსანდრეს,

თეიმურაზს) 1800-იანი წწ. მიმონერისას შიკრიკად აზნაური *ზაქარია ჯორაშვილი* ჰყავდათ (პაპავა 1990: 263; ზ. ჯორაშვილზე იხ. აგრეთვე: უთურაშვილი 1991: 29).

⁴ (გვ. 44) **„ბატონიშვილთან ორი კაცი გამოგზავნა აგრეთვე ეგვიპტის ფაშამო“** – ეგვიპტის ფაშა *მუჰამად ალი* ამ დროს ოსმალეთის დასაპყრობად იბრძოდა და სტამბოლამდე იყო მისული. შეთქმულთა ჩვენებებში ეგვიპტის ფაშასთან დაკავშირებული საყურადღებო ცნობები გვხვდება (გოზალიშვილი 1935: 135-136, 325, 454, 457; გოზალიშვილი 1970: 488, 559; გოზალიშვილი 1976⁶: 43, 218, 340, 373), ჩვენთვის კი ამჟამად ყველაზე საინტერესო ის არის, რომ 1832 წელს ალექსანდრე ბატონიშვილმა იკისრა შუამავლობა მუჰამად ალისა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეთაურს, ყაზი-მოლას, შორის. ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ყაზი-მოლასთან საიდუმლო დავალებით გაგზავნილი სამი პირიდან ერთ-ერთი, ბალა მაჰმადა, უკანა გზაზე თბილისში ჩერდება, აქ ალ. ორბელიანს ხვდება და მისგან ალექსანდრე ბატონიშვილის სახელზე დაწერილი წერილი მიაქვს [ამ საკითხზე იხ. აქვე: ალ. ორბელიანის 1833 წ. 11 აპრილისა და 6 სექტემბრის ჩვენებები].

შეთქმულთა იმედები, დაკავშირებული მუჰამად ალისთან, არ გამართლდა: კრიტიკულ ვითარებაში ოსმალეთს დახმარების ხელი გაუწოდა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, რომელმაც ჯერ სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალები მიაშველა სულთან მაჰმუდ II-ს, ხოლო მოგვიანებით იმავე ნიკოლოზ I-ის ძალისხმევითა და ევროპული სახელმწიფოების თანამონაწილეობით 1833 წლის 4 მაისს მუჰამად ალისა და სულთან მაჰმუდ II-ს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო.

⁵ (გვ. 44) **„კახეთში რომ იყო მივლინებული...“** – კახეთში (კერძოდ, სიღნაღში) ალ. ორბელიანის მივლინების შესახებ იხ. აქვე, გვ. 37, 334-335.

⁶ (გვ. 44) **„მასწავლებელ დოდაევის ძმამ, რომელიც სენატის 5-ე დეპარტამენტში კანცელარისტად მსახურობს“** – *დოდაევის ძმა*: იგულისხმება სტეფანე დოდაშვილი, რომლის შესახებ იხ. აქვე, გვ. 324.

4. ჩვენება 1832 წლის 21 დეკემბრისა (I)

(გვ. 45-46)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 2. ფ. 202-202^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 230-231. **თარიღი:** 1832 წ. 21 დეკემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები: „სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენება“ და „მიღებულია 1832 წლის 21 დეკემბერს“ (ორივე რუსულ ენაზეა).

¹ (გვ. 45) **„იმ სიყმანვილით ესრეთ მიყვარდა რუსნი, რომ თხუთმეტის წლისა შევედი სამსახურსა კარაბინერის პოლკში“** – ალ. ორბელიანის აქ ნათქვამი რუსების სიყვარულის შესახებ არ არის გულწრფელი, რასაც მისივე გვიანდელი ნაწერები ადასტურებს; მაგალითად: „რა ვქნა, რა უყო, ღმერთს ასე დაუბადებიაგარ, რომ საქართველოში მე რუსები არ მიყვარან?... ბევრჯველ ვეცადე, ეს ჩემი უსიყვარულობა იმათზე ჩემს გულში მამეკლა, მარამ ვერას მოთმინებით ვერ შევძელ, არა გამეწყორა“ („რუსების დასი ქართველები ჩემზედ“, იხ. ალ. ორბელიანი, თხზ. ხუთტომეული, ტ. III). საბოლოოდ კი თავისი დამოკიდებულება რუსებისადმი ალ. ორბელიანმა ასე ჩამოაყალიბა: „მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედგან ასე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ველარ მიედინოს და რუსეთშიკი ბედნიერათ იყვნენ“ („ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“, იხ. ალ. ორბელიანი, თხზ. ხუთტომეული, ტ. IV).

² (გვ. 45) **„ვიმსახურე 1817-კა ანუ 1823-ა ანუ 1824-მე წელმდე“** – სხვა ჩვენებაში (იხ. აქვე, გვ. 66) ალ. ორბელიანი *კარაბინერთა პოლკიდან* გამოსვლის თარიღად ასახელებს 1824 წელს. შედარებით უფრო ვრცელია ცნობები ალ. ორბელიანის სხვა ნაწერიდან: „როდესაც სამხედრო სამსახური დაუტევე, იყო 1824 წელიწადი, მაგრამ მე 1823-ის წლიდგან მაისის დამდეგიდანვე, აგრერიგად აღარ ვასრულებდი თანამდებობასა, ამისთვის რომ გული ამეყარა სამსახურზედ და ჯვარის დაწერასაც ვაპირებდი ჩემს ეკატერინეზედ, რომლებმაცა ამ წელს 8-ს ივლისს ვიქორწინეთ და ახლა ხომ სრულიად შევიძავე სამსახური“ („რუსების დასი ქართველები ჩემზედ“).

³ (გვ. 45) „ოდესცა ოქროპირ ბატონიშვილი მოვიდა აქა და წარსულ დღესაც მოვახსენე კომისიას ამის გარემოება“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის ჩვენება.

5. ჩვენება 1832 წლის 21 დეკემბრისა (II)

(გვ. 46-47)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 2. ფ. 206-206^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 231-232. **თარიღი:** 1832 წ. 21 დეკემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება“ და „მიღებულია 1832 წლის 21 დეკემბერს“.

¹ (გვ. 46) „„პრაკლამაციას რომ მკითხავს კამისია სოლომან დოდაევისაგან იყო დაწერილი ... ქილაში ჩავანყე და საკუჭნაოში შევინახე რომ არავინ არ იცოდა“

– ა) იგულისხმება აჯანყების დაწყებისთანავე გასავრცელებელი პროკლამაცია, რომლის შედგენა ალ. ორბელიანის ინიციატივა იყო და შეთქმულებმა ს. დოდაშვილს, დიმ. ყიფიანსა და ი. მამაცაშვილს დაავალეს (გოზალიშვილი 1970: 126, 210, 219), შედგენით კი ს. დოდაშვილს შეუდგენია [მაქს. ბერძნიშვილის აზრით, „1831 წ. პოლონეთის აჯანყების ხანებში და, რასაკვირველია, არა უგვიანეს 1831 წ. 24 სექტემბრისა, როცა ქალაქ ვარშავის ალება თბილისში დიდი ამბით იდღესასწაულეს“ (დოდაშვილი 1989: 408)]; ბ) პროკლამაციის შესახებ ალ. ორბელიანი 1833 წ. 3 იანვრისა და 10 მარტის ჩვენებებშიც წერს, ხოლო რაც შეეხება სამხილებს *ქილაში ჩანყობასა და საკუჭნაოში შენახვას*, ამ ამბავს იგი მოგვიანებით (1868 წ.) ასე გადმოგვცემს: „მინამ დაგვიჭერდნენ, ერთის თვის წინათ გული მიგრძნობდა ჩვენ დაჭერას, ამიტომ ჩემი საიდუმლო ქალაქდები და ის ჩემი დაწერილი ძველი ამბების სია ერთს ქილაში ჩავანყე, ზევიდგან ერთი სალა სიპიქვა პირზედ დავადე; საკუჭნაოს კუთხეში მე და ჩვენმა გრიგოლა დიაკვანმა ორმო მოვთხარეთ, ის ქილა შიგ ჩავდგი და მინით ამოამსე ამ სიტყვით: გრიგოლა დიაკვანო, შენ ჩემი სარწმუნო პირი ხარ და ჩვენი ამბებიც იცი, რაც ანებებში ვართ ჩვენ ყმანვილკაცები, ვინიცოა არის, რა ვიცი იქნება დაგვიჭირონ, ეს

ქილა მაშინვე ამოიღე და რაც ამაში ქალაღდები იყოს, საჩქაროთ დანვი, მაგრამ გაუფრთხილდი დანვის დროს არავინ გნახოს. იმ ქილაში ჩემი მინერილი წიგნის პასუხიც მქონდა ბიძიჩემის ბატონიშვილის ალექსანდრესი. ჩვენ რომ დაგვიჭირეს, გრიგოლა დიაკვანსაც ის ჩემი თქმული აღესრულებინა“ („რუსების დასი ქართველები ჩემზედ“).

ასე დაიკარგა ს. დოდაშვილის მიერ შედგენილი დედანი პროკლამაციისა, რომლის დანერასაც ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიის წინაშე თავიდან კატეგორიულად უარყოფდა (გოზალიშვილი 1970: 126, 210), თუმცა შემთხვევით გადარჩა შავად ნანერი ტექსტი და იგი, როგორც ეჭვმიუტანელი მტკიცებულება, კომისიის ხელში აღმოჩნდა (ხელნაწერი პროკლამაციისა იხ. სეა. ფონდი 1457. რვ. 10. ფ. 1833; ნაბეჭდი: გოზალიშვილი 1935: 95-96; დოდაშვილი 1989: 242; ფოტოასლი ხელნაწერისა იხ. ყიფიანი 2009: 69).

6. ჩვენება 1832 წლის 23 დეკემბრისა

(გვ. 48-50)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 2. ფ. 216-218. დედანი. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 91-93. **თარიღი:** 1832 წ. 23 დეკემბერი. **ხელმოწერა:** Подпоручик Князь Александр Орбелианов.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1832 წლის 23 დეკემბერს“.

თარგმანი გ. გოზალიშვილისა.

¹ (გვ. 48) „...შესაძლებელია, მასწავლებელმა დოდაევმა ან თავადმა ელიზბარ ერისთოვმა აცნობეს მას იგი“ – მამუკა (მაკარ) ორბელიანს შეთქმულების ამბავი ელიზბარ ერისთავმა გაუმჟღავნა [„მამუკა ორბელიანს ველაპარაკე ჩვენს განზრახვაზე 1831 წელს, მის ეზოში, ზაფხულში. იგი დათანხმდა მონაწილეობის მიღებაზე“ (გოზალიშვილი 1970: 333)]. თვითონ მამუკა ორბელიანი, ცხადია, უარყოფს შეთქმულებაში რაიმე ფორმით მონაწილეობას: „წარმოუდგენ რა ყველა ზემოდაწერილს კომისიას, მას შეუძლიან აქედან დაინახოს ჩემი უდანაშაულობა და დამიფაროს ამ ქვეყნის დამღუპველ ცილისმწამებელთაგან“ (გოზალიშვილი 1970: 361; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: გოზალ-

იშვილი 1970: 347-348, 407-411 და შმდ.), თუმცა საგამომძიებლო კომისიამ გზადაგზა გაარკვია, რომ მამუკამ არა მარტო იცოდა შეთქმულების შესახებ, არამედ აქტიურადაც იყო მასში ჩართული და მონაწილეობდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში (გოზალიშვილი 1970: 377, 607), ხოლო აჯანყების ღამეს თათრის მოედანზე უნდა ყოფილიყო (გოზალიშვილი 1935: 137). როგორც „ყველაზე უფრო დამნაშავეთაგანი“, მამუკა ორბელიანი გადასცეს სამხედრო სასამართლოს (გოზალიშვილი 1976: 428), რომელმაც, თავის მხრივ, იგი „პირველ მალოროსიულ ყაზახთა პოლკში მაიორად“ განაწესა (გოზალიშვილი 1976: 437).

1840-იან წლებში მამუკა ორბელიანს უკვე განჯის მაზრის უფროსის თანამდებობაზე ვხედავთ და, სხვათა შორის, ნიკოლოზ ბარათაშვილის საბედისწერო გადაწყვეტილებას (განჯაში წასვლა – ნაცვლად კახეთისა, სადაც ნ. ბარათაშვილი თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ იყო დანიშნული) სწორედ მის ინიციატივას მიაწერენ (ენიკოლოპოვი 1968: 145; მოგვიანებით, 1847 წელს, მ. ორბელიანი შედიოდა იმ ჯგუფში, რომელსაც ნ. ბარათაშვილის თხოვლობათა კრებულის გამოცემა და პოეტისათვის ძეგლის დადგმა ჰქონდა განზრახული (ალექსიევი-მესხიევი 1893), თუმცა ეს განზრახვა არ შესრულებულა.

² (გვ. 49) **„სიღნაღის მაზრის თავად აბელ ანდრონიკოვთან მხოლოდ ის მითქვამს, რაც ჩემს ჩვენებაშია განმარტებული“** – იგულისხმება ალ. ორბელიანის 18 დეკემბრის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 49).

³ (გვ. 49) **„მის შვილებთან კი არასოდეს მილაპარაკნია“** – აბელ ანდრონიკოვის *შვილებს* თავის ერთ-ერთ ჩვენებაში ასახელებს იასე ფალავანდიშვილი (ალ. ორბელიანმა შეთქმულთა შორის სხვა პირებთან ერთად დაასახელაო „სიღნაღის მაზრიდან აბელ ანდრონიკოვი და მისი ორი შვილი“ – გოზალიშვილი 1970: 298), თუმცა კომისიას ამ გარემოებისთვის ყურადღება აღარ გაუმახვილებია.

⁴ (გვ. 49) **„თუმცა ჩემი სადაო საქმეების გამო მასთან კავშირი მქონდა“** – *სადავო საქმეებში* იგულისხმება ორბელიანთა დავა გაყრის თაობაზე (იხ. აქვე, გვ. 317).

⁵ (გვ. 49) **„ამას წინათ თავადის დავით ბარათოვის კაცს, ივანე დალაქს, წერს რომ მპარსავდა, ხუმრობით ვუთხარი...“** – გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში ამ ფრაზის თარგმანი ზუსტი არ არის: „ამას წინად, თ. დავით ბარათოვის კაცს ივანე დალაქი

წვერს რომ პარსავდა, ხუმრობით უთხრა...“ (გოზალიშვილი 1970: 92). დედანში ასეა: „ამას წინათ ივანე დალაქს, თავად დავით ბარათოვის კაცს, წვერს რომ მპარსავდა, ხუმრობით ვუთხარი...“ („Недавно в шутку сказал я брившему меня цирюльнику Ивану, человеку князя Давида Баратова...“ – ფ. 217°).

⁶ (გვ. 50) **„დედაჩემ თეკლე ბატონიშვილთან კი ამაზე ლაპარაკს ვერც გავზედავდი“** – ალ. ორბელიანი, რასაკვირველია, დედას (ისევე, როგორც თამარ ბატონიშვილსა და ს. დოდაშვილს ამავე ჩვენებაში) ხელს აფარებს. სინამდვილეში მან შესანიშნავად იცოდა თეკლეს მონაწილეობის შესახებ შეთქმულებაში (გოზალიშვილი 1935: 56 და შმდ.) და, ზოგიერთი შეთქმულის ჩვენების მიხედვით, ისინი ერთადაც იღებდნენ მონაწილეობას „ფარული საზოგადოების“ საქმეების განხილვაში. მაგალითად, ბიძინა ერისთავი კომისიას უჩვენებს: „1832-სა წელსა ნოემბერში თუ დეკემბრის თვეში, სწორედ არ მახსოვს, შეველ მე ბატონის შვილს თეკლესთან, სადაც იყვნენ შვილი მისი ალექსანდრე ვახტანგი ორბელიანოვი, ჩემი ძმა კორნეტი გიორგი; ჩვენ სამთა დავიწყეთ ლაპარაკი და მაშინ ალექსანდრემ სთქვა, რომ გენერალ ალექსანდრე ჭავჭავაძეს უნდა შევატყობინოთ ეს ჩვენი განზრახულება...“ [გოზალიშვილი 1935: 422; იხ. აგრეთვე, ზაქარია ჩოლოყაშვილისა და გიორგი რ. ერისთავის ჩვენებები (გოზალიშვილი 1935: 146; გოზალიშვილი 1970: 430-431)]. თეკლე ბატონიშვილის „დანაშაულის“ თავის თავზე აღება ალ. ორბელიანს სხვა დროსაც უცდია. გ. გოზალიშვილის აზრით, „პირველი წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მართლა თეკლე ბატონიშვილს დაუწერია, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანი თვითონ იბრალეbs ამას, რათა თეკლას მონაწილეობა შეთქმულებაში დამალოს“ (გოზალიშვილი 1976: 451).

საბოლოოდ, საგამომძიებლო კომისიამ თეკლე ბატონიშვილს ასეთი სასჯელი გადაუწყვიტა: „გაძევებულ იქნას საქართველოდან სამუდამოდ ქალაქ კალუგაში“ (გოზალიშვილი 1976: 429). კალუგაშივე გადასახლებულ შვილთან, ვახტანგთან, ერთად თეკლე ბატონიშვილი თბილისიდან 1834 წლის 21 აგვისტოს გაიყვანეს, დედა-შვილმა კალუგაში იმავე წლის 9 ოქტომბერს ჩააღწია (იქ დახვდათ თეკლეს კიდევ ერთი დასჯილი შვილი – დიმიტრი ორბელიანი). 1834 წლის დეკემბერში ნიკოლოზ I-მა თეკლე შეინყალა, თუმცა მან მკაცრი ზამთრის გამო მხოლოდ 1835 წლის 8 მაისს დატოვა კალუგა, თბილისში კი 6 ივნისს ჩამოვიდა

(შეთქმულებაში თეკლე ბატონიშვილის მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ბერძნიშვილი 1983: 38; უთურაშვილი 1991: 32-42; ჯოლოგუა 2010^ბ: 70-73).

⁷ (გვ. 50) „**თავად ბირთველ თუმანოვისა და მისი შვილისთვის, პორუჩიკ გიორგი თუმანოვისთვის, ჩვენი განზრახულების შესახებ მე არაფერი მითქვამს და არც ის ვიცი, იცოდნენ თუ არა მათ ეს განზრახულება**“ – ჩვენების ეს მონაკვეთი არის დედანში (ფ. 217^ა), ხოლო გ. გოზალიშვილის პირველნაბეჭდში იგი გამორჩენილია.

7. ჩვენება 1832 წლის 30 დეკემბრისა

(გვ. 50-51)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 2. ფ. 298-298^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 235-236. **თარიღი:** 1832 წ. 30 დეკემბერი. **ხელმოწერა:** თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1832 წლის 30 დეკემბერს“.

აღ. ორბელიანის ამ ჩვენებას წინ უძღოდა: ა) იმავე 30 დეკემბერს საგამომძიებლო კომისიის მიერ მუსტაფას დაკითხვა, რომელზეც ბრალდებულმა განაცხადა – თბილისში 1831 წელს სააღდგომოდ ჩამოვედი, რათა ჩემი ბატონისთვის, ალექსანდრე ორბელიანისთვის, ძღვენი მიმერთმია, მან კი სალმასტში ბატონიშვილთან წერილის ნაღება დამავალა, რაზეც უარი ვთქვიო. აგვისტოს დამლევს კი, ჩილდირში გადახვეწილს, მოლა ზამანა მეწვია და სალმასტში გავემგზავრეთო; ბ) მუსტაფასა და მოლა ზამანას პირისპირ წაყენება, რომელზეც გაირკვა, რომ ისინი იყვნენ სალმასტში, სადაც შეხვდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს, გადასცეს მას ალექსანდრე ორბელიანის წერილი და იქიდან საპასუხო წერილი წამოიღეს და ეს საპასუხო წერილი ზამანამ აღ. ორბელიანს ჩააბარა (რვეული 2. ფ. 290-291. გოზალიშვილი 1935: 232-235).

აღ. ორბელიანის ჩვენებას იმავე 30 დეკემბერს მოჰყვა მისი და მუსტაფას [Татарин Коса-Мустафа] პირისპირ წაყენება. ამის თაობაზე კომისიის მასალებში ვკითხულობთ: „ქოსა მუსტაფამ

განაცხადა, რომ 1831 წელს ის მართლაც იბრეიმ ყარა-მამად-ოღლის [Ибрагим Карамамед Оглы] საშუალებით დაბარებულ იქმნა თავადთან, ალექსანდრე ორბელიანოვთან, რომელმაც იბრეიმას თანდასწრებით წინადადება მისცა მას ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილი წაელო, მაგრამ ეს არ დასთანხმდა. თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა აღიარა ეს ჩვენება და წერილობითაც წარმოადგინა. იგი უმტკიცებდა, ქოსა მუსტაფამ ბატონიშვილთან წასვლაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ რადგანაც წერილი ჯერ მზად არ იყო, ამიტომაც იგი (ქოსა მუსტაფა) მაშინ აღარ იქნა გაგზავნილი“ (რვეული 2. ფ. 296; გოზალიშვილი 1970: 114; თარგმანი გ. გოზალიშვილისა).

¹ (გვ. 51) „**მოლა ზამანამ წიგნი რომ მამიტანა, იმისი გარემოება ამას წინათ მამიხსენება**“ – იხ. ალ. ორბელიანის 18 და 19 დეკემბრის ჩვენებები.

² (გვ. 51) „**მგონია, რომ ცხენიც დავპირდი ყურბანას**“ – ყურბანას (ყურბან-ალავერდი-ოღლი) 1833 წ. 14 ივლისის დაკითხვის ოქმი იხ. სეა. ფონდი 1457. რვ. 23. ფ. 4576-4576^ბ.

8. ჩვენება 1832 წლის 31 დეკემბრისა (გვ. 51-52)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 2. ფ. 308-309. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 236. **თარიღი:** 1832 წ. 31 დეკემბერი. **ხელმოწერა:** თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1832 წლის 31 დეკემბერს“.

¹ (გვ. 51) „**აქ გვერდზე რომ სწერია, ამის ხელზე დავწერე კახეთს გამოსვლისა**“ – ჩვენების პირველ გვერდზე, მარცხენა აშიაზე, განსხვავებული კალიგრაფიით წერია: „მონყალეო ხელ-მწიფე“.

² (გვ. 52) „**ოთხი მინანთული მივეცი**“ – *მინანთული* ანუ *მინ-ალთუნი* ფულის ერთეულია: „**მინალთუნი** ხუთი აბაზი ვეცხლის ფული“ (ჩუბინაშვილი 1961: 283)

9. ჩვენება 1833 წლის 2 იანვრისა

(გვ. 52-53)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 3. ფ. 326-326^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 239-240. **თარიღი:** 1833 წ. 2 იანვარი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 2 იანვარს“.

¹ (გვ. 53) „გვითხრა უბილეთოთ არ მიდისო“ – ბილეთი აქ ნიშნავს ოფიციალური დანესებულების მიერ გაცემულ წერილობით საბუთს, რომელიც გადასახადის გადამხდელი ფენის წარმომადგენელს ერთი გუბერნიიდან სხვა გუბერნიაში ან ერთი სახელმწიფოს ქვეშევრდომს სხვა სახელმწიფოში გამგზავრებისა და იქ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყოფნის უფლებას აძლევდა.

10. ჩვენება 1833 წლის 3 იანვრისა

(გვ. 53-54)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 3. ფ. 392-392^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 3 იანვარი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 3 იანვარს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 53) „ამასწინათ კამისიას ხომ მოვახსენე, პრაკლამაცია ქილაში მქონდა მეთქი“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1832 წ. 21 დეკემბრის ჩვენება (II). თვითონ *პროკლამაციის* რაობის, ს. დოდაშვილისგან მისი წამოღების, ქილაში მოთავსებისა და შენახვის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

² (გვ. 54) „გიორგი დავითის ძე ერისთოვი რომ კახეთს იყო გრიგოლ ჩოლოყაევის დასამარხავათ ... სტოლზე რაღაცა რვეული იდო. მითხრეს: აქ მოდიო, რა წავიკითხოთო“ – 1832 წლის ზაფხულში თბილისში გარდაიცვალა თავადი გრიგოლ ჩოლოყაშვილი, რომელიც დაკრძალეს ახმეტაში (გოზალიშვილი

1935: 261). პროცესიას ახლდა გიორგი დავითის ძე ერისთავი, რომელიც გრ. ჩოლოყაშვილს უწოდებს *ბიძას* [მამიდის ქმარს (გოზალიშვილი 1935: 247)]. დაკრძალვის შემდეგ გ. დ. ერისთავმა შუამთაში ბერ ფილადელფოს კიკნაძეს გამოართვა მის მიერ შედგენილი „აკტი გონიური“, რომელშიც ჩამოყალიბებულია „ფარული საზოგადოების“ მიზანდასახულობა, ნევრთა მოპოვებისა და მიღების წესები, შეთქმულთა ურთიერთობის ნორმები, კონსპირაციის ხერხები, ტექსტი ფიცისა... (ტექსტი „აკტი გონიურისა“ იხ.: გოზალიშვილი 1927; გოზალიშვილი 1935: 111-116; კიკნაძე 1996: 36-42; ტექსტის რაობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ხომერიკი 1999: 99-117). თბილისში „აკტი გონიურს“ კითხულობდნენ შეთქმულთა წრეებში, დებდნენ ერთგულების ფიცს იქ შესული ტექსტის მიხედვით („ფიცი ნევრთა“) და სხვ. [გ. დ. ერისთავმა „აკტი გონიური“ შეთქმულებს პირველად დიმ. ყიფიანის სახლში წაუკითხა: „აკტი პირველად წაუკითხე ყიფიანოვსა და ავთანდილოვს, ყიფიანოვის სახლში, მათ გაიმეორეს ფიცი. ამის შემდეგ წაუკითხე იგი ალექსანდრე ორბელიანის სახლში მას, ვახტანგსა (ორბელიანს – თ. ჯ.) და ელიზბარ ერისთავს; ამათაც გაიმეორეს ფიცი...“ (გოზალიშვილი 1935: 409; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 380)].

ფილადელფოს კიკნაძის მიერ იყო შედგენილი აგრეთვე შეთქმულთა კონფიდენციალური მიმოწერისთვის საჭირო საიდუმლო ანბანი (გოზალიშვილი 1935: 33-36). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ შეთქმულები სხვა საიდუმლო ანბანითაც სარგებლობდნენ. ელიზბარ ერისთავი კომისიას უჩვენებს: „1830 წელს, პეტერბურგიდან გამომგზავრების წინა დღეს, რადგან დიმიტრი ბატონიშვილს ვიცნობდი, ამიტომ მომცა მან საფოსტო ქალაქის ნახევარი, რომელიც ალაგ-ალაგ ამოჭრილი იყო და მითხრა ამ ქალაქის საშუალებით შემეტყობინებინა მისთვის, რაც საქართველოში მოხდებოდა“ (გოზალიშვილი 1935: 34; ამ ანბანის შესახებ იხ.: გოზალიშვილი 1935: 35-36; გოზალიშვილი 1970: 166-167, 582).

³ (გვ. 54) „**კახეთს რომ ვნახე ბერი...**“ – იგულისხმება **ფილადელფოს კიკნაძე**, რომელიც აქტიური ნევრი იყო „ფარული საზოგადოებისა“ [მისივე თქმით, შეთქმულთა წრეში იგი თბილისში მყოფ ოქროპირ ბატონიშვილს შეუყვანია (გოზალიშვილი 1935: 31)]. შეთქმულების გამომყვავნების შემდეგ საგამომდიებლო კომისიამ ფილადელფოსის კვალი ადვილად აღმოაჩინა

ნა. იგი შუამთაშივე დააპატიმრეს, თბილისში ბორკილდადებული ჩამოიყვანეს და სამხედრო ყაზარმებში სხვა პატიმრებთან დაამწყვდიეს. დაკითხვებზე ფილადელფოსი შეთქმულებაში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფდა (გოზალიშვილი 1935: 347), თუმცა მასთან საკანში მყოფ დაპატიმრებულ მღვდელს, ეფრემ ალექსი-მესხიშვილს, ამას ეუბნებოდა: „ქიზიყში იმედი მქონდა, რომ კაცნი მყვანდნენ იმისთანანი, რომელნიც შესძლებდნენ გაღმა ლეკებისა და გამოღმა ხალხის არევას და კახელი გლეხ-კაცობისა ადვილი იყო ყველგან ამითი, რომ ეთქვა სალდათს ითხოვენ, მაშინვე აირეოდნენ“ (გოზალიშვილი 1976: 69, 181). კომისიამ ფილადელფოს კიკნაძე „დამნაშავეთა“ მეოთხე კატეგორიაში შეიყვანა, თუმცა მისი გასამართლება ვერ მოასწრო – 1833 წლის 5 სექტემბერს ფილადელფოსი საპატიმროშივე „ნაღვლის ანთებითა და კუჭის მწვავე ანთებით“ (გოზალიშვილი 1976: 447) გარდაიცვალა. დაკრძალეს თბილისშივე, წმ. დარბას ფერისცვალების მონასტერში, სადაც შუამთაში გადასვლამდე მოღვაწეობდა [1828-1830 წლებში (ბერძნიშვილი 1980: 65)].

⁴ (გვ. 54) „ის დაწერილი ძალიან მაღალზე იყო“ – იგულისხმება ტექსტის *სტილი*, რომელიც მართლაც მეტად მაღალფარდოვანია. სხვათა შორის, ფილადელფოს კიკნაძის „აკტი გონიურთან“ დაკავშირებით ძალზე საინტერესოა დიმ. ყიფიანის 1833 წლის 2 იანვრის ჩვენება, რომელშიც ვკითხულობთ (როგორც ზემოთ ითქვა, „აკტი გონიური“ გ. დ. ერისთავმა შეთქმულებს პირველად დიმ. ყიფიანის სახლში გააცნო): „არ იყო განმარტებული სიტყვა სექტა, რომელიც სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე იყო ნახსენები“ (დანელია 1993-1994: 433-434; ყიფიანი 2021: 91). „აკტი გონიურის“ ჩვენს ხელთ არსებულ, ერთმანეთისგან მცირედენ განსხვავებულ, ვერსიებში (იხ. ზემოთ, კომენტ. 2) სიტყვა *სექტა* არსად არ არის ნახსენები, რაც გვაფიქრებინებს, რომ არსებობდა ტექსტის კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ჩვენთვის უცნობია. უცნობი ვერსიის შესაძლო არსებობაზე გ. გოზალიშვილი ჯერ კიდევ 1927 წელს მიუთითებდა (გოზალიშვილი 1927: 1-2). ეს სიტყვა (*სექტა*) გვხვდება თვითონ ფილადელფოსის ერთ-ერთ ჩვენებაში, რომელშიც იგი თავისი ტექსტის მოტივაციას ისე ხსნის, თითქოს იგი ღვთის სიყვარულის, ხელმწიფის მორჩილებისა და ადამიანთა შორის სიყვარულის გამოსახატავად დაწერა: „მომითხრობდა მე რუსეთს ყოფაში (1821-1828 წწ. ფილადელფოს კიკნაძე რუსეთში იმყოფებოდა – თ. ჯ.) *ციციანოვი*

ევსტათი ესრეთ: *იყო რუსეთში დაფარული სეკტი, იპოვს ქალაქად, რომელშიაც იყო რამდენიმე პუნკტი, ბოროტნი განზრახულებანი სარწმუნოებაზე, სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე. ამისთვის მრავალნი სასტიკად დასაჯეს, და მრავალნი დაშთნენო.* მოგონებისათვის ამის აკტიისა მამსახურა მე იმან აზრმან, ვუტეო, ვინაითგან ყოფილა რაიმე ბოროტი დაფარული საზოგადოება, შევთხოო მეცა წინააღმდეგი და შევსთხოე კეთილად, დამტკიცება სამისა ნივთისა, სიყვარულისა ღვთისა, მორჩილება ხემწიფისა, და სიყვარული ურთიერთისა“ (გოზალიშვილი 1935: 282).

11. ჩვენება 1833 წლის 6 იანვრისა

(გვ. 54-55)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 3. ფ. 438-438^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 6 იანვარი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 6 იანვარს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 54) „**ბატონიშვილს მისწერო, რომ ანგლიელებთან დაიჭიროს საქმეო**“ – შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალებში მიმოფანტული ცნობების თავმოყრა და შეჯერება იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ შეთქმულებს ჰქონდათ საერთაშორისო კავშირები, მათ შორის, საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებთან. გ. გოზალიშვილის დაკვირვებით, „თუ მოვიგონებთ თავრიზში ალექსანდრე ბატონიშვილის ინგლისის წარმომადგენლებთან ურთიერთობას და ელიზბარ ერისთავის არაერთხელ ნათქვამს მოსალოდნელი დახმარების შესახებ, – შეიძლება ვაღიაროთ, რომ შეთქმულება ევროპის დიპლომატების გავლენას თუ მათს ნაქმულებს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო“ (გოზალიშვილი 1970: 163).

შეთქმულებს სპარსეთში მიმავალ სოლომონ რაზმაძისთვის დავალებული ჰქონდათ კავშირის დამყარება როგორც ალექსანდრე ბატონიშვილთან, ისე „თავრიზში მყოფ ინგლისელებთან, მაგრამ საქმიდან არა ჩანს, რომ მას ურთიერთობა ჰქონოდა

მათან“ (გოზალიშვილი 1976: 444; შეთქმულთა საზღვარგარეთულ კავშირებზე უფრო ვრცლად იხ.: შველიძე 2014: 42-58; ჯოლოგუა 2022^ბ: 260-261, 266-272).

² (გვ. 54) **„თავის ღვდელი გაგზავნოს თავრიზში“** – თავის ღვდელში იგულისხმება რომანოზ ტალიაშვილი, რომელიც „იყო მღვდელი ქიზიყში. გაიქცა სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან“ (ბერძინიშვილი 1983: 181). შვილი რომანოზისა, გრიგოლ ტალიაშვილი, აქტიური წევრი იყო 1832 წლის შეთქმულებისა (იხ. აქვე, გვ. 399-400). კომისიის მასალებში დაცულია გრ. ტალიაშვილის 1833 წლის 16 აპრილის სიტყვიერი ჩვენების ჩანაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „მისი (გრ. ტალიაშვილის – თ. ჯ.) მამა, მღვდელი, ახლავს ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთში, თითქოს ორი წლის წინათ უნდა იყოს გარდაცვლილი ქოლერისაგან, როგორც ეს უთქვამს რომელიღაც ქართველს, სპარსეთის საელჩოში მოსამსახურეს“ (გოზალიშვილი 1976: 251).

³ (გვ. 55) **„ჩვენ ფულის სუმა არ გვექონია“** – „სუმა“ (რუს. сума): თანხა.

⁴ (გვ. 55) **„პეტერბურღს ბატონიშვილთან შანშევი რომ არის...“** – შანშევი: იგულისხმება იარალი შანშიაშვილი, გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსის („იარალის“) ადრესატი, რომელიც პეტერბურგში ფარნაოზ ბატონიშვილთან ცხოვრობდა. ვინაიდან იარალი შანშიაშვილი ბატონიშვილთან წრეში ტრიალებდა და შეთქმულების ინიციატორ დიმიტრი ბატონიშვილთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა, პეტერბურგში დაარსებულმა საგამომძიებლო კომისიამ მასზეც მიიტანა ეჭვი. კომისიის მასალებში ვკითხულობთ (საბუთი 1833 წლის 8 მარტითაა დათარიღებული): „იარალი შანშიევი, აზნაური 60 წლისა, ცხოვრობს ფარნაოზ ბატონიშვილთან, მასზე აჩვენებენ თავადები ჯორჯაძე, გიორგი ერისთავი და ვახტანგ ორბელიანოვი, რომ იგი ესწრებოდა აღმამშფოთებელ საუბრებს დიმიტრი ბატონიშვილთან, თვითონ კი უპასუხებს, რომ, თუმცა ხშირად არის დიმიტრი ბატონიშვილთან, რომელთანაც იკრიბებიან ხოლმე ს.-პეტერბურგში მცხოვრები თითქმის ყველა ქართველები, მაგრამ არასდროს გაუგონია უმართებულო მსჯელობა, არც ერთ დასახელებულ პირთან მას არა ჰქონია რამე განსაკუთრებული დამოკიდებულება და საერთოდ არაფერი იცის საქართველოში რაიმე შეთქმულებაზე“ (გოზალიშვილი 1976: 205; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1976: 256-257).

⁵ (გვ. 55) **„ვილასაც ორ გაკრეჭილ ღვდლებს გზავნიდა“** – გაკრეჭილი მღვდლების ვინაობის გარკვევა საგამომძიებლო კომისიამ იასე ფალავანდიშვილთან სცადა. ერთ-ერთ დაკითხვაზე იასეს ეკითხებიან: „თქვენ გაგიგზავნიათ ალექსანდრე ბატონიშვილთან ორი გაკრეჭილი მღვდელი. განმარტეთ, ვინ არიან ეს გაკრეჭილები და რა საქმეზე იყვნენ ბატონიშვილთან?“. ი. ფალავანდიშვილი უპასუხებს: „ალექსანდრე ბატონიშვილთან არავითარი გაკრეჭილი მღვდლები არ გამიგზავნია და ასეთს არც არავის ვიცნობ“ (გოზალიშვილი 1970: 492).

⁶ (გვ. 55) **„პარიზში ვილაც ფრანციცისა ქართულის მცოდნისა და ვითომცა მიწერ-მოწერა ჰქონდეს ბატონიშვილს თეიმურაზთან“** – *„ვილაც ფრანციცში“* იგულისხმება *მარი ბროსე*, რომელიც მონაფე იყო თეიმურაზ ბატონიშვილისა და მათ მართლაც ჰქონდათ ერთმანეთთან მიმოწერა, მაგრამ არსად ჩანს, რომ ეს მიმოწერა რაიმე კავშირშია 1832 წლის შეთქმულებასთან, ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილის დამოკიდებულება შეთქმულებისადმი კარგად ჩანს მის წერილში სოლომონ რაზმაძისადმი – ს. რაზმაძემ, რომელიც, მამით დაობლებული, თეიმურაზ ბატონიშვილის გაზრდილი იყო, სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ წერილი მისწერა თავის აღმზრდელს და სთხოვა, ცარსკოე-სელოში ან პეტერგოფში გადასვლაში დახმარებოდა, თუმცა თეიმურაზ ბატონიშვილისგან ასეთი პასუხი მიიღო: „ეს არის პასუხი სოლომონავ შენის მოწერილობისა: ეგ ჩემი საქმე არ არის... აქაც რომ იყო, ჩემთან საქმე არ გაქვს. არც ჩემს სახლში შემოვიშვებ და არც ჩემთან მოვიშვებ. გაგზარდე, ამაგი დაგდევე, კარგს გზაზე დაგაყენე და შენ ეშმაკის გზაზედ დადეგ“ (ბერძინიშვილი 1983: 165). რაც შეეხება მარი ბროსეს კავშირს „ფარულ საზოგადოებასთან“, ამ მხრივ, შეთქმულების მასალებში საინტერესო ცნობებია დაცული. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ნესელროდე სწერს კავკასიის მთავარმართებელ გრ. როზენს: „პარიზიდან მიღებული ცნობების თანახმად, სომხური ენის პროფესორს ლევალიანს [უნდა იყოს: ლევაიანი (იხ. ბუაჩიძე 1983: 41) – თ. ჯ.] და ვინმე ბროსეს განზრახული ჰქონიათ **საფრანკეთის მთავრობის ბრძანებით** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.) სომხეთსა და საქართველოში ვითომდა სამეცნიერო მოგზაურობა, რომლის ნამდვილი მიზანია ამ ქვეყნებში აღრეულობის თესლის მიმობნევა და ჯაშუშური მოღვაწეობა“ (გოზალიშვილი 1935: 38). გარდა ამისა, მარი ბროსეს ურთიერთობა ჰქონდა პარიზში გადახვენილ

ვახტანგ და ტარიელ იმერეთის ბატონიშვილებთან. იმავე კ. ნესელროდეს მიერ გრ. როზენისთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ბ-ნი ბროსე თავის სიტყვებში არა ჰმალავს, რომ იმერელთა ვადებთან ურთიერთობა მისი პოლიტიკის გარეშე არ დგას. ის მათ ქართულ ენაზე აცნობებდა რუსეთისათვის არახელსაყრელ ცნობებს იმათ სამშობლოში აღრეულობის დროს და, ამასთანავე, აიძულებდა მათ, რომ დაუბრუნდებოდათ სამემკვიდრეო მამული საფრანგეთის მთავრობის გავლენით...“ [გოზალიშვილი 1935: 39; საკითხის გარშემო იხ. აგრეთვე: ბუაჩიძე 1983: 40-44; მ. ბროსესა და იმერელი ბატონიშვილების ურთიერთობის შესახებ იხ.: ხანთაძე 1966: 25; ბუაჩიძე 1983: 33-36; მ. ბროსეს (ერთ ფრანგს, „რომელმაც ქართული სიგელ-გუჯრების ნაკითხვა იცის“) ერთ-ერთ ჩვენებაში იასე ფალავანიშვილიც ახსენებს (გოზალიშვილი 1970: 133)]. გ. გოზალიშვილი მიიჩნევს, რომ მარი ბროსეს მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულრბაში „დადასტურებულად“ უნდა ჩაითვალოს (გოზალიშვილი 1970: 133).

12. ჩვენება 1833 წლის 12 იანვრისა

(გვ. 55-56)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 4. ფ. 559. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 267-268. **თარიღი:** 1833 წ. 12 იანვარი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 12 იანვარს“.

დაცულია მხოლოდ ალ. ორბელიანის *პასუხები*. საგამომძიებლო კომისიის *კითხვები* საბუთში არ ჩანს.

13. ჩვენება 1833 წლის 13 იანვრისა

(გვ. 56)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 4. ფ. 585. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 268. **თარიღი:** 1833 წ. 13 იანვარი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 13 იანვარს“.

¹ (გვ. 56) **„სტატცის სოვეტნიკის ღვრილენკოვის დროს იყო ესე გარემოება, და სტატცის სოვეტნიკი რეზნიკოვიც იმ ჟამად იქ იყო“** – გუბერნატორ ზავილეისკის მიერ *ვახტანგის კანონის* მოთხოვნის შესახებ კომისიამ აღ. ორბელიანს მოგვიანებით, 1833 წ. 11 სექტემბერს, კიდევ ერთხელ დაუსვა კითხვა (იხ. აქვე, გვ. 223). ამის თაობაზე კონსტანტინე ჩევეკინმა კომისიას წარუდგინა ცნობა: „საგამომძიებლო კომისიის მიერ მოცემული დავალების გამო, მაქვს პატივი მოვასხენო მას, რომ დღეს ჩემს მიერ დაკითხულმა სტატცის სოვეტნიკმა რეზნიკოვმა სოვეტნიკ ორბელიანოვის მიერ გუბერნატორ ზავილეისკის ნებადაურთველი ნათქვამის შესახებ ჩვენებაზე (587, 5345) განაცხადა, რომ ორბელიანოვის მიერ ნაჩვენები გარემოება არ ახსოვს. სტატცის სოვეტნიკი გავრილენკო, რომელიც აგრეთვე დაასახელა ორბელიანოვმა, არ იქნა დაკითხული იმის გამო, რომ იგი სამსახურის გამო ამჟამად იმერეთს იმყოფება. 12 სექტემბერი. 1833 წ. – გენერალ-მაიორი ჩევეკინი“ (გოზალიშვილი 1976: 417).

² (გვ. 56) **„ზავილეიცის უნცროსი ძმა ამასთან იდგა“** – ა) *„უნცროსი ძმა“*: იგულისხმება ტიტულარული მრჩეველი (Титулярный советник) *მათე დემიანის ძე ზავილეისკი*, ძმა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის – პეტრე ზავილეისკისა. მათე ზავილეისკი მთავარმართებელ ივ. პასკევიჩის კანცელარიაში მსახურობდა (გოზალიშვილი 1976: 205), შეთქმულების ჩავარდნამდე, 1832 წლის სექტემბერში, დატოვა საქართველო და რუსეთში გაემგზავრა (გოზალიშვილი 1970: 415). 1833 წლის მაისში მ. ზავილეისკი უკვე ვარშავაში მსახურობს და „მას იქ ჩამოერთვა საქმის გამო განმარტებები და ჩვენებები, რაც გადაეგზავნა გენერალ-ადიუტანტ ბარონ როზენს“ (გოზალიშვილი 1976: 425). ეჭვმიტანილმა, ცხადია, უარყო შეთქმულებასთან რაიმე სახის კავშირი (გოზალიშვილი 1976: 161-162) და საგამომძიებლო კომისია ამის შემდეგ საქმეს აღარ ჩასძიებია; ბ) *„ამასთან იდგა“*: მათე ზავილეისკი ერთხანს იასე ფალავანდიშვილთან ერთად თბილისის გუბერნატორის სახაზინო სახლში ცხოვრობდა (გოზალიშვილი 1970: 415).

14. ჩვენება 1833 წლის 18 იანვრისა

(გვ. 57)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 4. ფ. 659. **თარიღი:** 1833 წ. 18 იანვარი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, ალექსანდრე ორბელიანოვის, განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 18 იანვარს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 57) „**ორნივ ჩემნი ნათესავნი არიან**“ – თადია ჩოლოყაშვილი და ალ. ორბელიანი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ [მამიდა ალ. ორბელიანისა, ეკატერინე ორბელიანი, იყო მეუღლე საგარეჯოს მოურავისა და სუფრაჯის, გიორგი ჩოლოყაშვილისა და – დედა თადია ჩოლოყაშვილისა (ბერძნიშვილი 1983: 225)]. რაც შეეხება ალ. ჭავჭავაძესთან ნათესაობას – მეუღლე ალ. ჭავჭავაძისა, სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიანი, შვილიშვილი იყო ალ. ორბელიანის დედის – თამარ ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილისა (კიკნაძე 2020: 7).

თადია ჩოლოყაშვილი აქტიურად მონაწილეობდა კახეთის 1812-1813 წწ. კახეთის აჯანყებაში, რომლის დამარცხების შემდეგ სპარსეთში გაიქცა, მომდევნო წელს დაბრუნდა სამშობლოში, აქ გაასამართლეს, თუმცა ცოტა ხანში გაათავისუფლეს (ბერძნიშვილი 1983: 226). შეთქმულება თადია ჩოლოყაშვილს ალ. ორბელიანის ოჯახში გაუმჟღავნეს (იხ. აქვე, გვ. 166-167). დაკითხვებზე თადია თავიდან უარყოფდა შეთქმულებაში მონაწილეობას, თუმცა ბოლოს თავისი „დანაშაული“ აღიარა (გოზალიშვილი 1976: 411). კომისიამ აღარ მოინდომა ამ საქმის სიღრმეში შესვლა, თადია ჩოლოყაშვილი მოაქცია VII კატეგორიაში, გაათავისუფლა პატიმრობიდან, თუმცა „სასტიკი მეთვალყურეობა“ დაუნესა (გოზალიშვილი 1976: 430).

15. ჩვენება 1833 წლის 23 იანვრისა

(გვ. 57-59)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 5. ფ. 775-776^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 288-290. **თარიღი:** 1833 წ. 23 იანვარი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 23 იანვარს“.

¹ (გვ. 57) **„იასე ფალავანდოვს რომ დაენერა პირველი განკარგულება“** – იგულისხმება აჯანყების გეგმა – „პირველი ღამის განკარგულება“, რომლის შესახებ იხ. აქვე, გვ. 344-345.

² (გვ. 58) **„იქ ეწერა დანიშვნა მინისტრთა...“** – *მინისტრთა* შესახებ იხ. აქვე გვ. 378).

³ (გვ. 58) **„ლუარსაბ ორბელიანოვმა... თქო: მგონია ის ყველას სჯობდეს, ხელმწიფე იმპერატორთან დეპუტატები გავგზავნოთ, და 1801-ს წლის მანიფესტის აღსრულება ვთხოვოთ“** – ლუარსაბ ორბელიანი შეთქმულების აქტიური წევრი იყო და, საეჭვოა, მას ხელმწიფე იმპერატორთან დეპუტატების გაგზავნის საჭიროება დაენახა ან სურვილი ჰქონოდა – იმდროინდელი საქართველოს უმეტეს ნაწილში (მათ შორის, ქართლ-კახეთში) პოლიტიკური ვითარება და მმართველობითი სისტემა სწორედ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით იყო განპირობებული. და თუ ლუარსაბ ორბელიანმა მართლაც თქვა ის, რასაც ალ. ორბელიანი უჩვენებს, მაშინ მას, უნდა ვიფიქროთ, მხედველობაში ექნებოდა მანიფესტში მოცემული დაპირებების **რეალური** და **პრაქტიკული** შესრულება [ბატონიშვილთა და თავადაზნაურობის ინტერესების დაცვა, მათთვის პრივილეგიების შენარჩუნება, სამართლიანი მართლმსაჯულება, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და სხვ. (იხ. აქტები 1866: 433; იოსელიანი 1936: 238-239)].

⁴ (გვ. 58) **„ალექსანდრე ბატონიშვილთან წადიო, ის გრანიცაზე მოიყვანე“** – ა) იგულისხმება აჯანყების დაწყებისთანავე ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენა კახეთში, რაზეც ალ. ორბელიანი სხვა ჩვენებებშიც წერს; ბ) *გრანიცა* (რუს. граница) – საზღვარი.

16. ჩვენი 1833 წლის 25 იანვრისა

(გვ. 60)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 5. ფ. 840-840^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 307-308. **თარიღი:** 1833 წ. 25 იანვარი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 25 იანვარს“.

¹ (გვ. 60) „პოპეიკასთან თავის დღეში ახლოს ცნობა არა მაქვსრა“ – პოპეიკა (უნდა იყოს პოპეიკო) ივანე ალექსანდრეს ძე: პოლონელი ექიმი (გოზალიშვილი 1935: 102), რომელიც 1820-იანი წლებიდან თბილისში ცხოვრობდა და საექიმო პრაქტიკას ეწეოდა. შეთქმულების მასალებში ის იშვიათად იხსენიება, თუმცა, რაც ხელთა გვაქვს, ის მწირი მასალაც იძლევა საშუალებას დავსკვნათ, რომ პოპეიკო, მინიმუმ, შეთქმულების საქმის კურსში იყო. ფილადელფოს კიკნაძე 1833 წლის 28 იანვრის ჩვენებაში მასზე წერს: „1824 წელს სიღნაღში მიმკურნალა“ (გოზალიშვილი 1935: 314), 1833 წლის 23 ივნისის ჩვენებაში კი პირდაპირ მიუთითებს, რომ პოპეიკო „ფარული საზოგადოების“ წევრია (გოზალიშვილი 1976: 171) და დასძენს: „პოპეიკა მყავდა სხვადასხვა სამეფოთა და საკოროლოთა შორის გასაგზავნათ და იქედანაც წიგნს ვაწერინებდი“ (გოზალიშვილი 1976: 172; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1976: 178; ხომერიკი 1999: 57-58). მამუკა (მაკარ) ორბელიანი პოპეიკოს ასახელებს იმ პირთა შორის, რომლებიც თეკლე ბატონიშვილის ბაღში სადილზე ჰყავდათ მიწვეული (გოზალიშვილი 1970: 446; მართალია, ამ უკანასკნელ ჩვენებაში საკუთრივ პოპეიკოსთან დაკავშირებით თითქოს კომისიისთვის საეჭვო ან სასარგებლო არაფერი ჩანს, თუმცა ამგვარ „სადილებზე“, ჩვეულებრივ, შეთქმულებასთან დაკავშირებული საქმეები განიხილებოდა ხოლმე).

რაც შეეხება ალ. ორბელიანის ჩვენებას: „პოპეიკასთან თავის დღეში ახლოს ცნობა არა მაქვსრა“, სინამდვილეში ეს ასე არ იყო – [1832 წლის] 15 ივნისს გიორგი დავითის ძე ერისთავი საიდუმლო ანბანით სწერს ფილადელფოს კიკნაძეს: „მამაო, მწერთ პოპეიკა გაიცან ჩემთვის საჭირო არისო. იმას თუმცა ვიცნობ, მაგრამ ახლო ვერ ვიცნობ. ალექსანდრე (ორბელიანი

- თ. ჯ.) კარგათ იცნობს და სულ ერთია, თუნდა მე მიცვნია“ (გოზალიშვილი 1935: 102]. საგამომძიებლო კომისია, უნდა ვიფიქროთ, ივ. პოპეიკოს საქმეს არ ჩაეძია. ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ ფორმით დასჯილთა შორის იგი არ ჩანს.

1838 წლის ოქტომბერში შტაბს-ექიმი (штаб-лекарь) ივ. პოპეიკო ახალციხეშია მივლინებული და იქ გავრცელებულ შავ ჭირს ებრძვის (აქტები 1884: 79), 1840-1850-იან წწ. იგი კვლავ თბილისშია, გუბერნიის სამედიცინო მმართველობაში მსახურობს და საექიმო პრაქტიკასაც ეწევა (იხ. შესაბამისი წლები „Кавказский календарь“).

17. ჩვენება 1833 წლის 28 იანვრისა

(გვ. 61)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 5. ფ. 878. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 185. **თარიღი:** 28 იანვარი, 1833 წ. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ჩვენება ალ. ორბელიანის ხელით რუსულ ენაზეა დანერილი. ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი: „მიღებულია 1833 წ. 28 იანვარს“. თარგმანი გ. გოზალიშვილისა.

18. ჩვენება 1833 წლის 30 იანვრისა

(გვ. 61)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 5. ფ. 908. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 192. **თარიღი:** 30 იანვარი, 1833 წ. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ჩვენება ალ. ორბელიანის ხელით რუსულ ენაზეა დანერილი (თარგმანი გ. გოზალიშვილისა). ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი: „მიღებულია 1833 წ. 30 იანვარს“.

19. ჩვენება 1833 წლის 5 თებერვლისა

(გვ. 62-64)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 6. ფ. 1034-1036. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 327-330. **თარიღი:** 1833 წ. 5 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები: „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წ. 6 თებერვალს“.

¹ (გვ. 62) „სიღნაღის უეზდს ვიყავ მთავრობისაგან გაგზავნილი“ – „სიღნაღის უეზდში“ (მაზრაში) მივლინების შესახებ იხ. აქვე, გვ. 37, 44, 334-335.

² (გვ. 62) „მაგ აზრზე რაღაც ფიქრი რამ უნდა ჰქონდეთო ღენერალ მაიორ თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ივანე აფხაზოვს, ვასილ ბებუთოვს, და დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკს თავადს ნიკოლაი ფალავანდოვს, და დიდნი მეგობრებიც არიან ერთმანეთისაო“ – ჩამოთვლილთაგან, გარდა ალ. ჭავჭავაძისა, შეთქმულების მასალების მიხედვით, არც ერთი არ უნდა ყოფილიყო შეთქმულების საქმის კურსში, თუმცა შეთქმულების ორგანიზატორები გამარჯვების შემთხვევაში მათთვის თანამდებობების შეთავაზებას აპირებდნენ: ივანე აფხაზს – სამხედრო მინისტრისას (1831 წ. გარდაიცვალა და საბოლოოდ ალ. ჭავჭავაძის კანდიდატურაზე შეჩერდნენ), ვასილ ბებუთოვს – საგარეო საქმეთა მინისტრისას, ნიკოლზ ფალავანდიშვილს – ფინანსთა მინისტრისას (გოზალიშვილი 1935: 91-92, 167). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ვერსია, თითქოს იასე ფალავანდიშვილმა თავის ძმას, ნიკოლოზს, გაუმჟღავნა შეთქმულების ამბავი და იასეს ამ უკანასკნელმა აიძულა დასმენა, დოკუმენტურად არ დასტურდება (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 325).

³ (გვ. 62) „1812-სა წელსა ... ვითარ დათრგუნა რუსეთმა ევროპაო“ – იგულისხმება საფრანგეთ-რუსეთის 1812 წლის ომი, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა.

⁴ (გვ. 63) „არბოობას ნიგნი მივწერე“ – არბოობა: წმ. გიორგის სახელთან დაკავშირებული რელიგიური დღესასწაული, რომელიც აგვისტოს ბოლო კვირადლიდან სამი კვირის განმავ-

ლობაში ქართლის რამდენიმე სოფელში იმართებოდა. მთავარ დღეობას იხდიდნენ სოფელ არბოში.

⁵ (გვ. 63) **„ნიგნი მივწერე ჩემ დედიდაშვილს თავადს ბიძინა ერისთოს“** – ბიძინა ერისთავი იყო ალ. ორბელიანის დედის, ანასტასია ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილისა და ქართლელი თავადის, რევაზ ერისთავის, ვაჟიშვილი. ბიძინა ერისთავი, რომელიც აჯანყების ღამეს „ნავთლულის კომისიაზე“ თავდასხმას უნდა ჩასდგომოდა სათავეში (გოზალიშვილი 1935: 137; გოზალიშვილი 1970: 604), შეთქმულებაში ალ. ორბელიანმა ჩააბა 1831 წელს (გოზალიშვილი 1935: 174).

⁶ (გვ. 63) **„მამუკასაც უთხარით მეთქი...“** – იგულისხმება შეთქმულების წევრი *მამუკა (მაკარ) ორბელიანი*.

⁷ (გვ. 64) **„ჩემა ძმამ დიმიტრიმ, და დიმიტრი ერისთოვი ნადუელში რომ გადიოდნენ“** – *ნადუელი*: დუელში განწვევა. დიმ. ერისთავის მიერ დიმ. ორბელიანის დუელში განწვევის შესახებ ალ. ორბელიანი 1833 წლის 3 ივლისის ჩვენებაშიც წერს (ეს დუელი არ შემდგარა).

⁸ (გვ. 64) **„ჩემი ძმა ალექსანდრეც აპირებს ფრანციაში წასვლას“** – იგულისხმება *ალექსანდრე ჩოლოყაშვილი*, შვილი რიფსიმე გიორგი XII-ის ას. ბატონიშვილისა. იგი შეთქმულებაში მონაწილეობის მიუხედავად, საგამომძიებლო კომისიამ საბოლოოდ გაათავისუფლა, თუმცა საიდუმლო მეთვალყურეობა დაუწესა. ცოტა ხანში (1833 წ. 19 ივნისს) პეტერბურგში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს (ალ. ჩოლოყაშვილის შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1983: 219-220).

⁹ (გვ. 64) **„პოლიაკებმა ხუთის კაცის ძეგლები ამართესო, რილევისაო და იმისი ოთხთ ამხანაგთ ... იმ ძეგლებს პატივსა სცემდნენ პოლიაკები“** – *რილევი*: დეკაბრისტა მიერ სახელმწიფო გადატრიალების მიზნით შექმნილი ფარული საზოგადოების ერთ-ერთი მეთაური. აჯანყება უნდა მომხდარიყო 1825 წ. დეკემბერში, მაგრამ იგი ჩავარდა და ხელმძღვანელები (კ. რილევი, პ. პესტელი, პ. კახოვსკი, მ. ბესტუჟევ-რიუმინი, ს. მურავიოვ-აპოსტოლი) 1826 წელს ჩამოახრჩვეს. პოლონელების მიერ დეკაბრისტებისთვის ძეგლის დადგმის ფაქტი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

¹⁰ (გვ. 64) **„პოლკოვოის კომანდრები“** – პოლკების მეთაურები [Командир (რუს.) – მეთაური, უფროსი].

20. ჩვენება 1833 წლის 7 თებერვლისა (გვ. 67-71)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 6. ფ. 1065-1068. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 333-339. **თარიღი:** 1833 წ. 7 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკ ორბელიანოვის პუნქტობრივი პასუხები“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს
(მოგვყავს ანბანური რიგით):

- „**ვოპროსნი**“ – *Вопросный*: კითხვისა, კითხვათა.
- „**ზაგოვორი**“ – *Заговор*: შეთქმულება.
- „**ისპოლიტელის ეკსპედიცია**“ – *Исполнительная экспедиция*: აღმასრულებელი ექსპედიცია.
- „**კამანდირი**“ – *Командир*: მეთაური, უფროსი.
- „**კრესლა**“ – *Кресло*: სავარძელი.
- „**ნაჩალნიკი**“ – *Начальник*: უფროსი.
- „**ოსტავნოი**“ – *Отставной*: სამსახურიდან გადამდგარი.
- „**პლოშადი**“ – *Площадь*: მოედანი.
- „**პოკაზანიე**“ – *Показание*: ჩვენება.
- „**რასპარაჟენია**“ – *Распоряжение*: განკარგულება.
- „**სლესტვიე**“ – *Следствие*: გამოძიება.
- „**სოვეტნიკი**“ – *Советник*: მრჩეველი (სამოქალაქო ჩინი).
- „**სუდი**“ – *Суд*: სასამართლო.
- „**უეზდი**“ – *Уезд*: მაზრა.
- „**ღუბერსკის სეკრეტარი**“ – *Губернский секретарь*: საგუბერნო მდივანი (სამოქალაქო ჩინი).

¹ (გვ. 65) „...ეკატერინა, ორი შვილი მყავ: პირველი ქალია, მეოთხეს წელიწადში დგას, და მეორე ვაჟია, იქნება შვიდის თვისა“ – ა) ეკატერინა: ეკატერინე (კატინა) დავითის ას. ბარათაშვილი, აღ. ორბელიანის მეუღლე (ეკატერინეს მზითვის წიგნის შესახებ იხ. მასალები... 1974: 178), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე: „კატინას ვალად დასდეს რევალუციის (აჯანყების – თ. ჯ.) ბაირახი შეეკერა“ – წერს აღ. ორბელიანი („ჭეშმარიტი

სიყვარული“). გარდაიცვალა 1873 წლის დეკემბერში. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში, მეუღლის გვერდით (ე. ბარათაშვილ-ორბელიანის შესახებ იხ. პაპავა 1990: 68-70; პ. უმიკაშვილის მიერ ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანის დაკრძალვაზე წარმოსათქმელად მომზადებული სიტყვა იხ. დროება 1873); ბ) „პირველი ქალია“: იგულისხმება **დარეჯან (დარია, დარიკო)**, რომელიც კახელ (კისისხეველ) თავადზე, დავით ქობულაშვილზე, იყო გათხოვილი (დარეჯან-დარიას მზითვის წიგნი იხ. ლომჯარია 2001: 482-288); გ) „მეორე ვაჟია“: იგულისხმება მომდევნო შვილი ალ. ორბელიანისა – **დავით (დათიკა)**, რომელიც 1835 წლის მიწურულს მცირეწლოვანი გარდაიცვალა (დაიბადა 1832 წ.). ამის შემდეგ ეკატერინე და ალ. ორბელიანებს კიდევ ორი შვილი ეყოლათ: **მარიამ (მაიკო) ორბელიანი**, რომელიც 1855 წლის 3 ოქტომბერს თბილისში ქოლერისგან გარდაიცვალა (22 წლისა; ალ ორბელიანის მიერ შედგენილი ტექსტი ეპიტაფიისა იხ. ალ. ორბელიანის თხზ. ტ. I) და **ელენე** (დაიბადა 1835 წ. ზაფხულში და მცირეწლოვანი გარდაიცვალა).

² (გვ. 65) „**მამული ჩემი მამაპაპისა არის სომხითს...**“ – *სომხითი*, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული (გვ. 335) ისტორიულად იყო ქართული (ქვემო ქართლი) პროვინცია.

³ (გვ. 65) „**იმის სახლიდგან გოგო გყავს გამორთმეული**“ – *გოგო*: იგულისხმება *შინამოსამსახურე*.

⁴ (გვ. 66) „**ბორჩალოს დისტანციაში არის სოფელი არანხოჯალო**“ – *არანხოჯალო* (სხვაგან – *ჰასან-ხაჯალო*): სოფელი *ასანხოჯალო*, ამჟამად *ხიდისყური* ბოლნისის მუნიციპალიტეტში.

⁵ (გვ. 67) „**ოდესცა ოქროპირ ბატონიშვილი აქ იყო**“ – ოქროპირ ბატონიშვილის *აქ* (თბილისში) ყოფნის შესახებ იხ. აქვე, გვ. 315-317.

⁶ (გვ. 69) „**მამულისაც მე ერთგულეა ვაჩვენეო, რომ ორჯელ გავიქეო...**“ – იასე ფალავანდიშვილის *ორჯერ გაქცევის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322.

⁷ (გვ. 69) „**მელანია, მელნიკოვის ცოლთან, მივედი სანახავად**“ – *მელანია*: შეთქმულების წევრი, და „ფარული საზოგადოების“ აქტიური წევრების: ელიზბარ, დიმიტრი, იასე ერისთავებისა, შეთქმულ ანდრეი მელნიკოვის მეუღლე [თავიდან მელანია დანიშნული იყო მამუკა (მაკარ) ორბელიანზე, მაგრამ ამ უკანასკნელს რაღაც მიზეზით ქორწინება ჩაუშლია (გოზალ-

იშვილი 1970: 408)]. მელანიას მონაწილეობა შეთქმულებაში აღიარეს ი. ფალავანდიშვილმა, გ. რ. ერისთავმა, გ. დ. ერისთავმა და სხვებმა (გოზალიშვილი 1935: 229, 411; 1970: 342; 1976: 318-319 და შმდ.), ელიზბარ ერისთავი კი ერთ-ერთ ჩვენებაში აცხადებს: „ჩემს დას მელანია მელნიკოვას გამოვუცხადე შეთქმულება როგორც 1831, ისე 1832 წელს“ (გოზალიშვილი 1976: 166). თვითონ მელანიამ შეთქმულებაში მონაწილეობა კატეგორიულად უარყო (გოზალიშვილი 1976: 293-294). თავის მხრივ, არც კომისია ჩაეძია საქმეს და იგი სასჯელისგან გაათავისუფლა. 1832 წლის 4 ნოემბერს მელანია ერისთავ-მელნიკოვას გარდაეცვალა ერთადერთი შვილი (მცირეწლოვანი ქალიშვილი), 1836 წელს ქოლაგირში ქმარიც მოუკლეს და ამის შემდეგ მას, დეპრესიაში ჩავარდნილს, დიდხანს არ უტოცხლია (გარდაიცვალა 1836 წელს). რაც შეეხება **ანდრეი მელნიკოვს**, იგი შეთქმულებამდე თბილისის პოლიცემისტერი იყო (1827 წელს მთავარმართებელმა პასკევიჩმა გაათავისუფლა თანამდებობიდან), „ფარულ საზოგადოებაში“ ა. მელნიკოვის მონაწილეობის საკითხს კომისია არ ჩაუღრმავდა – შეიყვანა იგი „დამნაშავეთა“ მეშვიდე კატეგორიაში (შეთქმულების კურსში იყო, ხოლო აჯანყების იდეას არ ეთანხმებოდა) და გაათავისუფლა, თუმცა დაუნიშნა „სასტიკი მეთვალყურეობა“ (გოზალიშვილი 1935: 497). 1836 წლის 8 აგვისტოს ანდრეი მელნიკოვი ქოლაგირში მოკლეს (ა. მელნიკოვზე იხ. ბერძნიშვილი 1983: 102). დიმიტრი ყიფიანი თავის „მემუარებში“ ანდრეი მელნიკოვზე წერს: „მელნიკოვზე ამბობდნენ, როგორც მრისხანე და პატიოსან პოლიცემისტერზე, ახლაც რომ ახსოვთ ტფილისში იმ დროის მოხუცებულებს, და ისე რომ მოქცეულიყო, როგორც იქცეოდნენ ტიტულიარნი სოვეტნიკები, გამდიდრება ადვილად შეეძლო, მაგრამ სამსახურიდან რომ გამოვიდა, სიღარიბეში ჩავარდა“ (ყიფიანი 2020: 306).

⁸ (გვ. 69) **„ნამიყვანა ერევანის პლოშჩადზე“** – *„ერევანის პლოშჩადი“: ერევანსკის (პასკევიჩ-ერევანსკის)* მოედანი თბილისში [მიენიჭა 1828 წელს მთავარმართებელ ი. პასკევიჩის პატივსაცემად]. დღეს – თავისუფლების მოედანი.

⁹ (გვ. 69) **„როგორ მისტუმრებდა ყიზილბაშში“** – ელიზბარ ერისთავის მიერ აღ. ორბელიანის *ყიზილბაშში გასტუმრების შესახებ* იხ. აქვე, გვ. 27, 323.

¹⁰ (გვ. 71) **„მეფე ვახტანგის სჯულზე თავისუფლება“** – იგულისხმება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული

(„ვახტანგის კანონები“), რომელიც რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგაც ათწლეულების განმავლობაში გამოიყენებოდა ჩვენში.

¹¹ (გვ. 71) **„პირველად დამდვეს ვალად, რომ შენ იყავ ჩვენი ნაჩაღნიკიო ... მახსომს, ელიზბარ ერისთოვმა იკისრა, მე ვიქნები თქვენი კამანდირიო“** – ელიზბარ ერისთავი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში კომისიას განსხვავებულ ვერსიას აწვდის: „ანტონ აბხაზოვთან ვახშამზე თვით აბხაზოვი ავირჩიეთ უფროსად, მაგრამ მან უარი თქვა. მერე ავირჩიეთ იასე ფალავანდოვი, მაგრამ მას უარი არ უთქვამს“ (გოზალიშვილი 1976: 379).

21. ჩვენება 1833 წლის 8 თებერვლისა

(გვ. 72)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 7. ფ. 1134. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე (თარგმანი ჩვენია). **თარიღი:** 8 თებერვალი, 1833 წ. **ხელმოწერა:** გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი, გენერალ-მაიორი ჩევეკინი, პოლკოვნიკი ახლესტიშვილი.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 72) **„დიმიტრი ბატონიშვილს საქმის კურსში აყენებდნენ და იწვევდნენ მას საქართველოში“** – დიმიტრი იულონის ძე ბატონიშვილი ინიციატორი იყო 1832 წლის შეთქმულებისა (1805 წ. იულონი ცოლშვილიანად გადაასახლეს ტულაში, საიდანაც მომდევნო წელს პეტერბურგში გადაიყვანეს). 1820-იან წწ. დიმიტრი ბატონიშვილის სახლში იკრიბებოდა პეტერბურგის სამხედრო სასწავლებლებში მყოფი ქართველი ახალგაზრდობა, რომელთაგან მან 1825 წელს შეთქმულთა პირველი ჯგუფი ჩამოაყალიბა. ელიზბარ ერისთავი საგამომძიებლო კომისიას უჩვენებს: „დიმიტრი ბატონიშვილი ხშირად მეკამათებოდა საქართველოზე და მიმტკიცებდა, რომ რუსებს არა აქვთ უფლება საქართველო ჰქონდეთო რომელიღაც მანიფესტის ძალით. მერე მეუბნებოდა, თქვენ, ვინც საქართველოში მიდიხართ, უნდა ეცადოთ შეადგინოთ საზოგადოება, მიიმხროთ ხალხი, რათა იმოქმედოთ და სამშობლო გაანთავისუფლოთ“ (გოზალიშვილი 1935: 16). სხვადასხვა ვარიაციით არსებითად იმავეს ამბობენ დიმიტრი ერისთავი (გოზალიშვილი 1935: 16), გ. რ. ერისთავი (გოზალიშვილი 1935:

16-17), დ. ჯორჯაძე (გოზალიშვილი 1970: 479), დიმ. ორბელიანი (გოზალიშვილი 1970: 155) და სხვ.

პეტერბურგში შექმნილმა სპეციალურმა საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა, რომ დიმიტრი ბატონიშვილს საიდუმლო მიმონერა ჰქონდა თბილისში მყოფ შეთქმულებთან (გოზალიშვილი 1970: 122, 153, 264, 294, 295, 364; გოზალიშვილი 1976: 12, 14, 15, 115, 116 და შმდ.). მთავარი და არსებითი კი ის არის, რომ შეთქმულნი მას (ხან ცალკე, ხანაც – ოქროპირ ბატონიშვილთან ერთად) „ფარული საზოგადოების“ ხელმძღვანელად მიიჩნეოდნენ (გოზალიშვილი 1970: 241, 255, 619, 620, 622, 625 და შმდ.) და საქართველოს მეფობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილავდნენ (იხ. აქვე, გვ. 78).

დაკითხვაზე დიმიტრი ბატონიშვილმა კატეგორიულად უარყო შეთქმულებასთან ყოველგვარი კავშირი და დასძინა: „დაე, ნუ იფიქრებს პატივცემული კომისია, რომ შიშმა ან სხვა რამე უღირსმა გრძნობამ დაამახინჯა ჩემი ჩვენებების გულწრფელობა და სიმართლე. მე რომ სინამდვილეში რამე დანაშაული მიმიძლოდეს, ყოველთვის მეყოფოდა გამბედაობა მეღიარებინა ჩემი დანაშაული... მადლობა ღმერთს, მე არაფერი მაქვს მოსანანიებელი, სინდისი სუფთა მაქვს, ხელმწიფე იმპერატორის მართლმსაჯულება ჩემთვის კარგად ცნობილია, ამიტომ ჩემთვის უცხოა შიშიცა და რისიმე დამალვაც“ (გოზალიშვილი 1976: 238).

საბოლოოდ კომისიამ ოქროპირ ბატონიშვილთან ერთად დიმიტრი ბატონიშვილი „პირველ დამნაშავეებად და ბოროტგანზრახულების დასაბამის მიმცემად“ მიიჩნია, ხოლო კომისიის ამ დასკვნის საფუძველზე იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა „უზენაესად ინება“: თუმცა ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები „ღირსნი არიან სასტიკი საჯელისა კანონების მიხედვით, – მხოლოდ და მხოლოდ მონარქის მიერ მათი შეწყალებისა გამო, – გაიგზავნონ: პირველი კოსტრომაში, უკანასკნელი კი სმოლენსკში“ (გოზალიშვილი 1976: 427-428).

სამწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებული დიმიტრი ბატონიშვილი სიცოცხლის ბოლომდე პეტერბურგში ცხოვრობდა. გარდაიცვალა იქვე, 1845 წელს, 42 წლისა, დაკრძალულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თევდორეს ეკლესიაში (ბერძნიშვილი 1980: 208).

ალ. ბენდიანიშვილი დიმიტრი ბატონიშვილის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას ამგვარად აყალიბებს: „[რუსეთმა] დაარღ-

ვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, გააუქმა გეორგიევსკის 1783 [წლის] ტრაქტატი და ცალმხრივი აქტით (მანიფესტი) თვითნებურად შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო; [დიმიტრი ბატონიშვილს] მიაჩნდა, რომ გარეშე ძალის გამოყენებით (ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.) შესაძლებელი იყო ზეგავლენა მოეხდინა ცარიზმზე, აქძულებინა იგი აღედგინა ქართლ-კახეთის სამეფო 1783 [წლის] ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე“ (ბენდიანიშვილი 1978: 553).

² (გვ. 72) „...ელიზბარ ერისთოვმა მას მხოლოდ წაუკითხა“ – ალ. ორბელიანის ამ აღიარებასთან დაკავშირებით კომისიამ მას ცალკე განმარტება მოსთხოვა (იხ. მომდევნო, 12 თებერვლის, ჩვენება).

22. ჩვენება 1833 წლის 12 თებერვლისა

(გვ. 72-73)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 8. ფ. 1400-1401; ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 362-363. **თარიღი:** 1833 წ. 12 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, განმარტება“ და „მიღებულია 13 თებერვალს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს
(მოგვყავს ანბანური რიგით):

„**ვლიანიე**“ – *Влияние*: გავლენა.

„**ზაგოვორი**“ – *Заговор*: შეთქმულება.

„**რამკა**“ – *Рамка*: ჩარჩო

¹ (გვ. 72) „1832-სა წელსა, ოდესცა ჩვენი ზაგოვორი იწყებოდა“ – 1832 წელი, უნდა ვიფიქროთ, ლაფსუს კალამია. ჯერ ერთი, ალ. ორბელიანი ამავე ჩვენებაში 1831 წლის ამბებს გადმოსცემს და, გარდა ამისა, იგი ადრინდელ ჩვენებებში (მაგალითად, 1832 წ. 18 დეკემბერს ჩვენებაში. იხ. აქვე, გვ. 22-43) თავის

ჩართულობას შეთქმულებაში 1829 წელს თბილისში ოქროპირ ბატონიშვილთან შეხვედრით იწყებს.

² (გვ. 73) „**რამკა მოიტანა საიდუმლოს წიგნების მისაწერი დიმიტრი ბატონიშვილთან**“ – საიდუმლო მიმონერისთვის საჭირო „*რამკის*“ შესახებ დიმიტრი ბატონიშვილი წერს: „ს. პეტერბურგიდან ჩემი გამომგზავრების წინ დიმიტრი ბატონიშვილმა გამიმჟღავნა საიდუმლო მიმონერის საშუალება... იგი შემდეგში მდგომარეობდა: ფოსტის ქალაქის ნახევარზე იყო ამოჭრილი რამდენიმე გარდი-გარდმო ხვრელი, რომელშიც იწერებოდა მთელი სიტყვა, ამ ფორმას დავადებდით მეორე სუფთა ქალაქს და ამოჭრილ ადგილებში ვწერდით, რაც გვინდოდა. შემდეგ ამ ქალაქს მოვაცლიდით და იწერებოდა უკვე სხვა სიტყვები ისე, რომ, ვინც არ იცოდა, მას, როგორც ჩვეულებრივ წერილს, კითხულობდა, ხოლო ვისთანაც იგი იყო მიწერილი – დაადებდა ზემოხსენებულ ჩარჩოს და ამოიკითხავდა იმას, რაც საჭირო იყო“ (გოზალიშვილი 1970: 294; ხსენებული „*რამკის*“ შესახებ იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1935: 34-36; გოზალიშვილი 1970: 166-167, 582).

³ (გვ. 73) „**იმ წიგნში გიორგი ამილახვაროვი იყო ნახსენები**“ – იმ წიგნთან გიორგი ამილახვარის კავშირის შესახებ ელიზბარ ერისთავი უჩვენებს: „1831 წელს დიმიტრი ბატონიშვილისადმი მიწერილ წერილში... არ შეგვეძლო მოგვეხსენებინა გიორგი ამილახვაროვი, რადგან მე არ ვიცოდი, მისთვის ცნობილი იყო თუ არა ჩვენი შეთქმულება“ (გოზალიშვილი 1976: 116; იხ. აგრეთვე, ელიზბარ ერისთავის კიდევ ერთი ჩვენება – გოზალიშვილი 1976: 115).

23. ჩვენება 1833 წლის 15 თებერვალისა (I)

(გვ. 73-74)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 8. ფ. 1429-1429ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 47-48. **თარიღი:** 1833 წ. 15 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 15 თებერვალს“.

¹ (გვ. 73) „**მითხრა: ლუბენატორის კაცი ვარო**“ – ლუბენატორი: იგულისხმება თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი (1829-1832.) **პეტრე ზავილეისკი**.

24. ჩვენება 1833 წლის 15 თებერვლისა (II)

(გვ. 74-76)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 8. ფ. 1433-1434. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 48-49. **თარიღი:** 1833 წ. 15 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 15 თებერვალს“.

¹ (გვ. 74) „**დედა ჩემს ფათერს ართმევდა პოლიციით**“ – *ფათერი:* ბინა (სადგომი, საცხოვრისი). მომდინარეობს რუსული სიტყვიდან „*Фатера* (квартира, помещенье, жильё, стоянка“ – იხ. ვ. დალის ლექსიკონი. ინტერნ. 2). პ. ზავილეისკის მიერ თეკლე ბატონიშვილისთვის „*ფათერის*“ ჩამორთმევის მცდელობაზე აღ. ორბელიანი 1833 წ. 17 აგვისტოსა და 11 სექტემბრის ჩვენებებშიც წერს (იხ. აქვე, გვ. 211, 225).

² (გვ. 75) „**ვოენი ლუბენატორი სტრეკალოვი**“ – ა) „*ვოენი*“: სამხედრო (რუს. Военный); ბ) გენერალი *სტეფანე სტრეკალოვი* თბილისის სამხედრო გუბერნატორი იყო 1828-1831 წწ. (აქედან ყაზანის გუბერნატორად გადაიყვანეს).

³ (გვ. 75) „**...დიდი კრივი იქნება, და ბარემ რითაც ღონით იყოს, ხვალ ვეცადნეთ ბუნტისას, რომ ამისთანას დროს ვერ ვიპოვნით**“ – კრივის მსვლელობისას არეულობის გამოწვევა და მისი აჯანყებაში გადაზრდა შეთქმულთა წრეში, როგორც ჩანს, სერიოზულად განიხილებოდა. გ. გოზალიშვილი შენიშნავს: „კრივი უმაღლესი მთავრობის მიერ აკრძალული იყო და ზავილეისკისაგან პოლონეთის აჯანყების დროს მისი აღდგენა შეფასებული იყო შემდეგში, როგორც კანონის დარღვევა და კრივის ნებართვით შეთქმულებისათვის აჯანყების დაწყების გაადვილების ცდა, რაც, როგორც ალექსანდრეს (ორბელიანის – თ. ჯ.) სიტყვებიდან ჩანს, საფუძველს მოკლებული არ ყოფილა“ (გოზალიშვილი 1935: 49). ისიც საგულისხმოა, რომ კრივის

გამართვის ნებართვა გასცა შეთქმულმა პ. ზავილეისკიმ, რომელმაც ამ შემთხვევაში ისარგებლა გენერალ ნ. პანკრატიევის (ვის კომპეტენციაშიც ასეთი საქმეები შედიოდა) თბილისში არყოფნით და აკრძალული სანახაობის ნებართვა გასცა (გოზალიშვილი 1935: 187). კომისიამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და საკითხის გარკვევა სცადა; მაგალითად, ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანს* დაუსვა შეკითხვა:

„1831 წელს, როდესაც ყოფილმა გუბერნატორმა ზავილეისკიმ კრივის ნება დართო ქალაქსა და გარეთ უბანში, მაშინ ზოგიერთი თქვენი თანამზრახველნი ფიქრობდნენ და ეს თქვენც იცოდით, – ესარგებლათ ამ შემთხვევით და ხალხი აეჯანყებინათ. – განმარტეთ დაწვრილებით რაც კი იცით ზემოხსენებული გარემოების ირგვლივ, და რატომ ვერ განხორციელდა მაშინ თქვენი განზრახვა; და ხომ არა გქონიათ ან თქვენ ან თქვენ ამხანაგებს ბატ. ზავილეისკიზე ეჭვი, რომ მან მთავრობისადმი ბოროტგანზრახულების მიზნით დართო ნება კრივისა, რაც ქალაქში მუდამ აღკრძალული იყო?“ (გოზალიშვილი 1935: 449).

ალ. გ. ორბელიანი, თავის მხრივ, ცხადია, უარყოფს „ბოროტგანზრახულებასთან“ თავის კავშირს, თუმცა ადასტურებს ელიზბარ ერისთავის „ეჭვს“, რომ ზავილეისკის კრივი აჯანყების დასაწყებად სურდა: „ელიზბარ ერისთავის შვილი დამხვდა და... მითხრა: გახსოვს წასულს კვირაში რომ კრივის დასტური დაგვცაო ზავილეისკიმაო, ის პოლაკი (პოლონელი – თ. ჯ.) არისო, იქნება ბუნტი უნდოდესო“ (გოზალიშვილი 1935: 449).

25. ჩვენება 1833 წლის 16 თებერვლისა

(გვ. 76-79)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 8. ფ. 1441-1444. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 364-367. **თარიღი:** 1833 წ. 16 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

* როგორც ეს ზემოთ გვაქვს აღნიშნული (იხ. ტექსტისათვის, გვ. 303; აგრეთვე: 328) ესა და კიდევ ერთი ტექსტი (იხ. გოზალიშვილი 1935: 472) გ. გოზალიშვილს თავის სამტომეულში შეტანილი აქვს, როგორც ალექსანდრე *ვახტანგის ძე* ორბელიანის ჩვენება, სინამდვილეში კი ეს ჩვენებები ალექსანდრე *გიორგის ძე* ორბელიანს („ბაკლანას“) ეკუთვნის და ამიტომ ვერ მოხვდა ისინი წინამდებარე გამოცემაში.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 15 თებერვალს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს (მოგვყავს ანბანური რიგით):

„**ზაგოვორ**“ – Заговор: შეთქმულება.

„**ნაჩალნიკი**“ – Начальник: უფროსი, ხელმძღვანელი.

„**პლანი**“ – План: გეგმა, განზრახულება.

¹ (გვ. 76) **„1831-სა განზრახვა გვექონდა წინადადებითა თამარ ბატონიშვილისათა ... უნდა წავსულიყავით იერუსალიმის სახელზე ... ვაითუ ავით მოგვიხდეს საქმეო“** – თამარ ბატონიშვილის *წინადადებით* შეთქმულთა იერუსალიმში გამგზავრების განზრახვაზე იხ. აქვე: ალ. ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის ჩვენება (გვ. 32) და იმავე ჩვენების კომენტ. 29 (გვ. 328-329).

² (გვ. 77) **„მხედართ მთავრად პირველად ... აქედგან ყოველი სამხედრო განკარგულება უნდა მომხდაროდა“** – ალ. ორბელიანის მიერ ჩამოთვლილ პირებს, როგორც ჩანს, დროებითი მთავრობა უნდა შეედგინათ. მეფის (ალექსანდრე ან ოქროპირ, ან დიმიტრი ბატონიშვილის) ტახტზე ასვლის შემდეგ, გიორგი რევაზის ძე ერისთავის ჩვენების მიხედვით, მთავრობა ასე უნდა დაკომპლექტებულიყო: სამხედრო მინისტრი **ალექსანდრე ჭავჭავაძე**, იუსტიციის მინისტრი **კონსტანტინე მუხრანბატონი**, ფინანსთა მინისტრი **ნიკოლოზ ფალავანდიშვილი**, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი **იავორ (გიორგი) ჭილაშვილი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **ვასილ ბებუთაშვილი (ბებუთოვი)** (გოზალიშვილი 1935: 167).

³ (გვ. 77) **„ბოდბელიც ჩამოგვეყვანა...“** – იგულისხმება **იოანე ბოდბელი** (მაყაშვილი), ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის მღვდელმთავარი (იოანე ბოდბელის შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1983: 50).

⁴ (გვ. 78) **„შემდეგ რაოდენისამე დღისა მომხდარიყო განკარგულება“** – *განკარგულებაში* აქ, უნდა ვიფიქროთ, მთავრობის ფორმირება იგულისხმება.

⁵ (გვ. 78) „საქართველოს პირველს გამგებლად დაგვედგინა, მინამ ალექსანდრე ბატონიშვილი, ან ოქროპირ, და ან დიმიტრი ბატონიშვილი მოვიდოდნენ აქ საქართველოში“ – ალექსანდრე ბატონიშვილი *მოხუცებულობის* გამო ყოყმანობდა (იხ. ალ. ორბელიანის 1832 წ. 19 დეკემბრის, აგრეთვე, 1833 წ. 25 აპრილისა და 6 სექტემბრის ჩვენებები; გვ. 44, 133, 221), ამიტომ მისი უარის შემთხვევაში, როგორც ირკვევა, შეთქმულების ხელმძღვანელები ტახტის კანდიდატად ოქროპირ ან დიმიტრი ბატონიშვილებსაც განიხილავდნენ.

26. ჩვენება 1833 წლის 18 თებერვლისა

(გვ. 79-80)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 8. ფ. 1459-1459ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 18 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 18 თებერვალს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 80) „აი, ამ იახტნებსა...“ – *იახტანი*: ხურჯინი (ჩუბინაშვილი 1984: 578); „1. მოზრდილი სკივრი ხელით ნაქარგ-ნაკვეთი; 2. ხურჯინი“ (გრიშაშვილი 1997: 119).

² (გვ. 80) „კახეთს სალოცავად ალავერდს ... ორი კვირა დაჰყვეს კახეთში, და ისევ ჩამოვიდნენ“ – „*კახეთს სალოცავად ალავერდს*“ ყოფნას თავის ერთ-ერთ ჩვენებაში თამარ ბატონიშვილი ადასტურებს: „დიმიტრი და მამუკა ორბელიანოვთ ვიცნობ და ნათესავნიც არიან ჩემნი. სხვა ამის მეტი მახლობლობა არა მაქვს რა. მხოლოდ ალავერდის დღესასწაულზედ ჩემი ბიძაშვილები ბარბარე და ქეთევან ერთად ვიყავით“ [გოზალიშვილი 1935: 375]. თამარ ბატონიშვილის ჩვენებაში ნახსენები პირები არიან: **დიმიტრი** – ძმა მამუკასი, **დიმიტრი თამაზის (თომას) ძე ორბელიანი**; **ბარბარე (ვარვარა) გრუზინსკაია** – მეუღლე დიმ. თ. ორბელიანისა, ბაგრატ ბატონიშვილის ასული; **ქეთევანი** – ქეთევან ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილი.

27. ჩვენება 1833 წლის 20 თებერვლისა (გვ. 81-87)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 9. ფ. 1481-1486. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 85-87 (დაბეჭდილია ბოლონაკლულად. აქ იბეჭდება სრულად). **თარიღი:** 1833 წ. 20 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 20 თებერვალს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს
(მოგვყავს ანბანური რიგით):

„**პოკაზანიე**“ – Показание: ჩვენება.

„**სუდნოები**“ – Судно: გემი, ხომალდი.

„**ღრუზინსკი პოლკი**“ – Грузинский полк: ქართული პოლკი.

¹ (გვ. 82) „**კაცნი უნდა გყვანდეთ, რომ ლეკებში გაგზავნოთ ... სახანოებშიც კაცი უნდა გაგზავნოთ, თავადები, რომ ისინიც აბუნტდნენო**“ – შეთქმულთა მიზანი და განზრახვა იყო, აჯანყება საერთო-კავკასიურ წინააღმდეგობაში გადაეზარდათ. ასე, მაგალითად, ფილადელფოს კიკნაძის ერთ-ერთი ჩვენების მიხედვით, „ნოდარ ჯორჯაძეც გამზადებული თავის სამოურაო ხალხის დიდებით, რომ ისინი დალესტანსაც აურევდენ“ (გოზალიშვილი 1935: 32) და სხვ.; ალ. ორბელიანი ერთ თავის გვიანდელ მოგონებაში წერს: „ეს შეთქმა ასე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკაზია შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა“ („რაც რუსები მოსულან საქართველოში იქიდგან აქამდისინ ქართველების შეთქმა წინააღმდეგ რუსეთისა“, იხ. ალ. ორბელიანის თხზ. ტ. III).

² (გვ. 82) „**მეორე შავი ზღვა არისო ... ვერასოდეს ვერ გამოვივლენ ჯარებიო**“ – შავი ზღვის ზოლის ჩაკეტივისა და ამ საქმეში კონსტანტინე შარვაშიძის როლზე იხ. აქვე, გვ. 322.

³ (გვ. 82) „**ყიზილბაშში...**“ – იგულისხმება ირანი.

⁴ (გვ. 84) „**ჩემი დედიდაშვილი გიორგი მოჰყვა პოლშის ამბავს, და როგორ აიღეს ვარშავა**“ – ვარშავის აღებაში (1831 წ.

8 სექტემბერი), გარდა ალ. ორბელიანის „დედიდაშვილ“ გიორგი რევაზის ძე ერისთავისა (გოზალიშვილი 1970: 260), მონანილეობდნენ როგორც 1832 წლის შეთქმულების სხვა წევრები (დიმ. ორბელიანი, ზ. ჩოლოყაშვილი... – გოზალიშვილი 1970: 230, 241), ისე შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე კ. ჩეკვინი (ბერძნიშვილი 1983: 215) და იმავე კომისიის წევრი ვლ. ვოლხოვსკი (აქტები 1881: XI).

⁵ (გვ. 85) **„ამერიკაში და შვეიცარიაში ვითარი რჯული აქვთ, ისინი ილაპარაკებდნენ ხოლმე, ესე იგი, თამარ ბატონიშვილი, გიორგი, და ელიზბარ“** – თამარ ბატონიშვილი 1833 წ. 6 მაისს კომისიას უჩვენებს: „ელიზბარ ერისთავმა რამდენჯერმე ლაპარაკში გაატარა, კარგი არ არისო როგორც შვეიცარია არისო და ან სოიუზნი შტატიო (ამერიკის შეერთებული შტატები – თ. ჯ.), საქართველოც რომ ისე იყოსო, კარგი იქნებაო. მე პასუხად ეს მიუგე: არც ხალხია იმისთანა და არც გარემოება აქვს, ამთენი საშინელნი მტრები გარს ახვევიან და არ მოასვენებენ. ეს ლაპარაკი ასე ვგონებ 1831-ში იყო“ (გოზალიშვილი 1976: 32-33).

⁶ (გვ. 86) **„პირველად მჭირს მე პოხონდრია“** – სიტყვას *პოხონდრია* (არასერიოზულობა, ხასიათის ცვალებადობა) ალ. ორბელიანი *გულმაკინეობის (მეხსიერების სისუსტის)* მნიშვნელობით ხმარობს, მოგონებაში „ჭემმარიტი სიყვარული“ კი წერს: ვიფიქრე „სჯობია, რომ თავი დავისუსტო, ეს უფრო გამოგვიხსნის, იტყვიან, სულელები ყოფილანო და ბოლოს იქნებ იმით ვარგო რამე ჩვენს ქვეყანას“ („ჭემმარიტი სიყვარული“, იხ. ალ. ორბელიანის თხზ. ტ. IV).

⁷ (გვ. 86) **„ოქროპირ ჩემი მეორე ძმა არის, და თამარ ბატონიშვილი ჩემი მეორე და არის“** – *მეორე ძმას (მეორე დას)* ალ. ორბელიანი აქ და სხვა ჩვენებებში **ახლო ნათესავის** (ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი...) მნიშვნელობით ხმარობს.

⁸ (გვ. 87) **„ვითხოვ შემცოდელობის მოტყუებას“** – 1832 წლის შეთქმულების მასალებში დაცულია ალ. ორბელიანის მიერ იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სახელზე დანერილი შეწყალების თხოვნა (სეა. ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 5050-5051. *უთარილო*). ვიმონებთ სრულად:

„ყოვლად მონყალეო ხელმწიფეო თვით მპყრობელო სრულიად რუსეთისავ, დიდო იმპერატორო ნიკოლოოზ პავლეს ძევ, და სხვა, და სხვა, და სხვა!

გადამდგარის პოდპორუჩიკის თ-ა ალექსანდრე ვახტანგის
ძის ორბელიანოვისაგან!

შემცოდლობის მოტევების თხოვნა. –

სიყრმით ჩემითგან აღვზრდილვარ ერთგულებასა შინა დი-
დის რუსეთის იმპერატორისა, ჩაგონებით მშობელთა ჩემთაგან,
რათა მარადის ვიყო შემწირველი სისხლისა მისდამი, რომელიცა
ვალასრულებდი ესრეთსა. –

ოდესცა მიმზიდნა მე უბედურებამან, და მოანია იგი დღე
ჩემის დანიშვნის უბედურებისა, და ვიქმენ წინა-აღმდეგ მთავ-
რობისა, გარნა მიზეზნი ამისნი იყვნენ შემდეგნი. – **პირველი.**
ოქროპირ ბატონიშვილი, რომელიცა ჩემი გონება მოეცო მას. –

მეორე. თავადი იასე ფალავანდოვი, რომელიც გაუნელებელის
სხვისა და სხვისა ცეცხლით აღმაგზნებდა და უნამეტნავესად
მისნი ფიცხელნი მოქმედებანი, რომელსაცა ვჭვრეტდი მას, და
ვფიქრობდი ესრეთ: იასე იყო ღვდლისშვილი, რომელსაცა სანა-
ტრელად ჰქონდა დლიური ცხოვრება, და ახლა ესრეთი ამაღლე-
ბული იქმნა, რომელიცა ბრწყინვალედ მკრთოლვარებს საქართ-
ველოსა შინა იგი იასე, და მე პირველის გვარიშვილს რალა
მმართველს მეთქი, და ამისთვის ჩემი ამა ბოროტის განძრახვის
აზრის მომცემი უნამეტნავესი იასე ფალავანდოვი არს. ესრეთ
გადარეული იყო იგი იასე ამა ბოროტის აზრისათვის, რომელ
თვისთა მფარველთ განყვეტა დაუნესა, და სხვას რას არ იქმო-
და. –

მესამე. თავადი ელიზბარ ერისთოვი, რომელიც მაყვედრი-
და ქალაჩუნობით, და ჩვენ საქართველოსა შინა დაწესებული
არს, უკეთუ ვინ ვის ეტყვის, თუ კაცი ხარ, ესე სიტყვაც დიახ
დიდი თქმა-არს, გარნა თავადი ელიზბარ ქალაჩუნათ მახსენებ-
და, და შთამაგდებდა კაცობრივსა სირცხვილსა შინა ხოლმე. –

მეოთხე. უფლის სოლომან დოდაევის საქმენი განმაკვირვებდნენ
ესრეთ, რომელ დოდაევი იყო გლეხი კაცი, და ახლა მთავრობის
მიერ აწყვაებული იქმნა, და ამა ბოროტს განძრახვასა შინა ვი-
თარ ფიცხლად იქმნებოდა, რომელნიც განმაშტერებდნენ მისნი
ესრეთნი საქმენი. – **მეხუთე.** ჩემის მეორის **დის** და დედაკაცის
თამარ ბატონიშვილისაგან მესმა კაცურად ჩაცმა და ჩვენდა გან-
კარგულების მძლეველად. და სხვანი რაოდენნი არიან საქმესა
შინა აღმოჩენილნი, რომელ უნამეტნავესა ცეცხლსა მიკიდებდ-

ნენ, რომელსაცა თვით ხელმწიფობა თქვენი იხილავს, რომელიცა ველარც ერთი ველარ მამიგონია. –

აი! ყოვლად მონყალეო ხელმწიფეო, რომელიც გარემოებანი ზემორე აღწერით მოგახსენე, მათ გარემოებათ დამარღვევინეს ვალი ფიცისა. – გარნა ამასა ჭეშმარიტად მოგახსენებ, თუმცა მონანლიე ვიყავ ესრეთისა, მაგრამ გულსა ჩემსა არა ნდომიეს ესრეთნი, ხოლო კაცობრივსა სირცხვილსა შინა ვიყავ შთავარდნილი, თორემ რაოდენ იხილვების საქმესა შინა, რომელ მე არა მდომიეს ესრეთი. და სხვა რაოდენნი სიმართლენი კიდევა მაქვს, რომელ აღარც ერთი აღარ მაგონდება ჩემი გულმავინყობის გამო, რომელიცა ვგრძნობდი მე ვინა, და ვისი დიახ მართალი-არს, რომელ უკეთუ ვგრძნობდი ცუდად, მაშინ რალათ ვიქმნებოდი მონანლიედ, გარნა მტანჯავს ესრეთნი, ამისთვის, რომ ბუნებას ესრეთ დაუბადივარ, რომ ვგრძნობ, და ვერ ვიტყვი წინააღმდეგს. – *მეორე*. რაოდენნი არს მაგალითნი, რომელ უფრო დიდრონი კაცი, განათლებულნი, და მცოდნენნი უფრო უდიდეს შეცთომილებასა შინა ყოფილან, რომელიც მე არც განათლებული ვარ, და არც მცოდინარე და ამისთვის არა დია საკვირველი-არს, რათა მე ბოროტის გამძრახველებს შევეცდინე. –

ყოვლად მონყალეო ხელმწიფეო, ოდეს ვიქმენ პყრობილად, და შემდეგ თქვენის იმპერატორებითის დიდებულების მიერ წარმოვლენილმა მისმან აღმატებულებამან ღენერალ მაიორმა ჩევკინმა გამოგვიცხადა სანუგეშო ქალაღი ესრეთ, უკეთუ შემთქმელნი გულის წმიდით აღიარებენ თვისსა დანაშაულსა, არამც სხვანი, არამედ რომელიც თავნი არიან, იგინიცა მიღებენ მონანლიეობის შემსუბუქებასა. და კვლავად კომისიიდგან მივიღე ვოპროსნის პუნკტნი, და მას ვოპროსნის შორის შევიკარ, და ვინ ვისაც ღმერთს მონმად მისცემს, და პატიოსანს პირობას, იგი კიდევ აღასრულებს თვისსა აღთქმულსა! – რომელიცა შევიკარ, და შემდეგ კიდევ აღვასრულე ესრეთ, რომ აღარავინ აღარ დაფოგე, ესე იგი, არა ჩემნი მეორე ძმანი, არა ჩემნი მეგობრები, არა ჩემნი კეთილის მყოფენნი, არა ჩემნი ნათესავნი, და არა ჩემი მეორე დაი. –

უკეთუ შეცთომილება რაიმე მამსვლია ჩვენებაებსა შორის, კომისიასავე შინა აღმიარებია ჩემი შეცთომა, და არც დია საკვირველი-არს, რათა მე ზოგიერთი ჩვენებაები შეცთომით მეჩვენებინა. – *პირველი*. ვრცელი გარემოება, *მეორე*. ჩემი

მწარე მწუხარება, და *მესამე*. ჩემი გულმავიწყობა, და ფიქრი-ანობა; და უკეთუ დღიური ზაპისკები მექონია, მაშინ ყოველი ჩემი საქმე რიგზე მექმნებოდა, და ამისთვის ვედრებით ვითხოვ, რათა ესრეთი შეცთომილებანი მამეტეოს. –

ყოვლად მონყალეო ხელმწიფეო, ოდეს ვიქმენ პყრობილი, დაუტევე მოხუცებული ბატოიშვილი დედა, და სანყალნი ჩემნი ცოლშვილნი ობლად, რომელნიცა იქნება ესლა საუკუნოდ ველარცკი ვიხილო. – ოჰ, ვითარნი ძნელი გამოთქმა-არს ესე ჩემთვის, ოდესცა მამაგონდება ესრეთი და მათი მწუხარებანი, მაშინ ვიქმნები ხოლმე, ვითარცა გაგიჟებული მწარისა ცრემლითა. გარნა ოდესცა მამაგონდება სამაგალითო ცხადნი ღვთაებრივი მონყალებანი თქვენის იმპერატორებითისა მზგავსსა საქმესა შინა, ვითარცა მე უბედური ვარ შთავარდნილი ესრეთ, რომელ ვიეთნიმე შემცოდენი იქმნებოდნენ წინაშე ხელმწიფობისა თქვენისა, გულმტკივნეულ შემნანებელნი და სამაგალითო ღვთაებრივ მსჯულობითნი, მონყალებანი თქვენი მიევიტნებოდა მათ ზედა, და ხელახლად განა-ახლებდნენ ცხოვრებასა თვისსა, ამისთვის იგი ღვთაებრივი მსაჯულობითნი, სამაგალითო მონყალებანი თქვენნი გულსა ზედა დაბეჭდილადა მაქვს კანონად! – ყოვლად მონყალეო ხელმწიფეო დიდო იმპერატორო, – ყოველი კანონი თქვენ მიერ დანესებულარს და თქვენ მიერ სუფევს იგი, რომელნიცა თქვენი ძლიერი მართალი მარჯვენა ხელი ჰფარავს მას, და რომელნიცა თქვენი ქვეშევრდომნი, *სამოცი* მილიონი მეტი ხალხნი თქვენსა სამაგალითოსა მონყალეებასა ქშინვენ მტკბარის სულთქმითა, და მნათობენ ბრწყინვალენნი მონყალებანი თქვენი მათსა ზედა. – ყოვლად მონყალეო ხელმწიფეო, ამისთვის მოვიტან თავსა ჩემსა წინაშე თქვენსა, მწარის სინანულით, და ცხარის ცრემლით, და ვედრებით ვითხოვ შემცოდელობის დამნაშაობის მოტევენას, რათა სანყალნი ჩემი ცოლშვილნი დაშთენ ხელმწიფობისა თქვენის სიცოცხლისათვის საუკუნოდ მლოცველნი, და მოევიტნოს ჩემსა უბედურსა თავსა ზედა სამაგალითო ხელმწიფური მონყალეობა თქვენი, რათა ცხოვრება ჩემი სულ ახლად განვა-ახლო, მზგავსად, რომელიცა გულსა ჩემსა დაბეჭდილადა მაქვს კანონად თქვენი სამაგალითო მონყალებანი. –

ყოვლად მონყალეო ხელმწიფეო დიდო იმპერატორო. – ეგრეთვე მოგახსენებ, რომელ საბრალო განსვენებული მამა ჩემი მოიკლა ძლიერის რუსეთისათვის კახეთსა შინა მეტეჟნიკებათგან წარსრულს 1812-სა წელსა! – ამისთვის ვედრებითა, და

უმდაბლესად გვედრები, ყოვლად მონყალეო ხელმწიფეო დიდო იმპერატორო, რათა თქვენი სამაგალითო მონყალეა მოველინოს ჩვენსა უბედურსა სახლსა ზედა, და ვიძახდე თ ჩვენ, შვილები, რათა მამა ჩვენი კიდეც ცოცხალი სუფევს, და ვადიდებდე თ სამაგალითოსა მონყალებასა თქვენსა საუკუნოს ლოცვით. –

პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი“

28. ჩვენება 1833 წლის 22-24 თებერვლისა

(გვ. 87-92)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 9. ფ. 1599-1601. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 389-393. **თარიღი:** 1833 წ. 22-24 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 25 თებერვალს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს (მოგვეყავს ანბანური რიგით):

„ზაგოვორი“ – *Заговор*: შეთქმულება.

„პრისუსტვიე“ – *В присутствии*: თანდასწრებით.

„რასპარაჟენია“ – *Распоряжение*: განკარგულება.

„ჩლენი“ – *Член*: წევრი.

¹ (გვ. 88) „იასეს რაი და ან ვითარი დაფარული რა უნდა გამოეჩინა, რომ შპიონი ყოფილა“ – ალ. ორბელიანს აქვს უნდა ვიფიქროთ, მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის 1833 წლის იანვრის ჩვენება, რომელშიც იასე წერს: „რასაც მელაპარაკებოდნენ, როდესაც წავიდოდნენ, მაშინათვე დავჯდებოდი რას თვეში და ან რომელს რიცხვში რას მელაპარაკებოდნენ ან ადრე რა ჰქონდათ დანყობილება, ამას ვნიშნავდი, რომ არ დამავინწყდეს და ვაცნობო, ვითარცა ერთგულმა ხელმწიფე იმპერატორის ყმამ, სადაც ჯერ იყოს“ (გოზალიშვილი 1935: 258). იმავე საკითხს ი. ფალავანდიშვილი 1833 წ. 10 თებერვლის ჩვენებაშიც უბრუნდება: „სხვა არაფერი განმალავიძებელი მიზეზი არა მქო-

ნია რა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იმის მეტი, რომ ყველაფერი დანვრილებით შემეტყო და მთავრობისათვის მეცნობებინა, რაც კიდევაც შევასრულე“ (გოზალიშვილი 1970: 310), მოგვიანებით, მარტის (რიცხვი არ არის მითითებული) ჩვენებაში კი იგი წერს: „რომ ჯაშუში მე ვიყავი, მან (აღ. ორბელიანმა – თ. ჯ.) ეს უწინვე იცოდა, მიხვედრილი იყო, რადგანაც როდესაც იგი აფხაზოვთან ერთად ერთ საკანში იჯდა, იგი მას ჩემზე ეუბნებოდა: როგორც მელა, ისე დაგვეძვედა უკან, უსათუოდ იმან გაგვცაო“ (გოზალიშვილი 1970: 424) და სხვ.

უნდა ითქვას, რომ საგამომძიებლო კომისიამ არაერთხელ მოაწყო აღ. ორბელიანისა და ი. ფალავანდიშვილის პირისპირ წაყენება: 1832 წ. 30 დეკემბერს (თეიმურაზ ამილახვართან ერთად. რვ. 2. ფ. 302), 1833 წ. 7 იანვარს (რვ. 3. ფ. 448), 7 ივლისს (რვ. 21, ფ. 4172-4172^ა), 10 ივლისს (ორჯერ: ფ. 4210, 4218-4219), 21 ივლისს (სამჯერ: რვ. 23. ფ. 4494, 4496, 4498-4499^ა), 26 ივლისს (რვ. 23. ფ. 4612). ერთ-ერთი ასეთი დაპირისპირების შესახებ თავის მოგონებაში „ჭეშმარიტი სიყვარული“ აღ. ორბელიანი წერს: „ასე გაუჭირე იასეს, რომ კომისიაში მამადგა და აღიარა: მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავ თქვენში, რაც თქვენი გაზრახვა იყო, უნდა შემეტყო და გამამეცხადებინა“ (გოზალიშვილი 1935: 127).

ი. ფალავანდიშვილს „შპიონის“ როლი, როგორც ჩანს, თავის დაძვრენისთვის სჭირდებოდა. სინამდვილეში იასეს „შპიონობისა“ არც აღ. ორბელიანს სჯეროდა (ამავე ჩვენებაში იგი ამბობს: „იასე ფალავანდოვი, არამც შპიონი ყოფილიყო, არამედ ჩვენი პირველი ჩლენი იყო 1832 წელს, ზაგოვორისა“) და, რაც მთავარია, არც – საგამომძიებლო კომისიას (გაცემის მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობას სხვა შეთქმულებიც „აღიარებდნენ“: ზ. ჩოლოყაშვილი, ს. რაზმაძე და სხვ.). მიზეზი, თუ რატომ გასცა ი. ფალავანდიშვილმა შეთქმულება, კომისიამ თავიდან ასე განსაზღვრა და მთავარმართებელ გრ. როზენის პირით 1833 წლის თებერვალში რუსეთის სამხედრო მინისტრ აღ. ჩერნიშოვს აცნობა: „[იასე ფალავანდიშვილისთვის შეთქმულების] გაცემა უნდა აეძულებინა ბორჩალოს თათართა შორის გავრცელებულ ხმებს ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერის თაობაზე, რამაც შეაშინა იგი, ამ შემთხვევით მთავრობას შეთქმულება არ აღმოეჩინა“ (გოზალიშვილი 1976: 455), საბოლოოდ კი კომისიამ

დაასკვნა: ი. ფალავანდიშვილს სინამდვილეში თავის გადარჩენა სურდა, თორემ ბოროტგანზრახულობის გამოძევავენების სურვილი რომ ჰქონოდა, ამას ორი წლის წინაც მოახერხებდაო [აქტები 1881: 407; იასე ფალავანდიშვილის მიერ შეთქმულების გაცემის მიზეზის შესახებ (ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილი შიკრიკის ჩავარდნა ბორჩალოში) იხ. ჯოლოგუა 2013²: 14-16].

² (გვ. 88) **„თუ რომ უნდოდა იასე ფალავანდოვს რომ ესენი შეეცყო, მაშ ხომ თითონ დანერა პირველი ლამის რასპარაჟენი“** – პირველი ლამის განკარგულებასთან იასე ფალავანდიშვილის კავშირის შესახებ იხ. აქვე, გვ. 344-345.

³ (გვ. 90) **„რაისთვის გზავნიდა ის გაკრეჭილს ღვდელს ალექსანდრე ბატონიშვილთან“** – იასე ფალავანდიშვილის მიერ ალექსანდრე ბატონიშვილთან გაკრეჭილი მღვდლის (მღვდლების) გაგზავნის შესახებ იხ. აქვე, გვ. 359-360.

⁴ (გვ. 91) **„იასეს დაუყრია ხმა ბაზარში, რომ სალდათს სთხოვენო და ეხლა უეცრათ ბუნტი რომ მოხდეს რალა უნდა ვენათო“** – გლეხების „სალდათად“ განვევის შესახებ ხმების დაყრის, როგორც პროპაგანდისტული ხერხის, შესახებ იხ. აქვე, გვ. 312. სხვათა შორის, იგივე ხმები უნდა დაეყარათ იმერეთშიც (გოზალიშვილი 1970: 517).

⁵ (გვ. 91) **„...ჩვენი პირველი ჩლენი იყო 1832 წელს ზაგოვორისა“** – იასე ფალავანდიშვილი ე. ერისთავთან, ს. დოდაშვილსა და ალ. ორბელიანთან ერთად შედიოდა იმ ოთხეულში, რომელიც პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა აჯანყების მომზადებას. ამ საკითხზე, აგრეთვე, შეთქმულების ორგანიზაციულ ვერტიკალზე (დიმიტრი ბატონიშვილი პეტერბურგში, ოქროპირ ბატონიშვილი მოსკოვში, თამარ ბატონიშვილი თბილისში) იხ. ჯოლოგუა 2013²: 10-14.

⁶ (გვ. 91) **„ზაქარია ჩოლოყაშვილი... ჩემი ახლო ნათესავი არის“** – ზაქარია ჩოლოყაშვილი იყო თეკლე ბატონიშვილის ძმისწულის, რიფსიმე გიორგი XII-ის ას. ბატონიშვილის, ძე (ბერძნიშვილი 1983: 223). ალ. ორბელიანთან ზაქარიას ახლო ნათესაობაც აქედან მოდიოდა.

29. ჩვენება 1833 წლის 25 თებერვლისა (გვ. 92-94)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 9. ფ. 1585-1586. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 385-387. **თარიღი:** 1833 წ. 25 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 25 თებერვალს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„**უჩენი**“ – *Учѣбный*: სასწავლო.

„**ნაუჩენიე**“ – სასწავლო წვრთნები.

¹ (გვ. 92) „ნათალიშვილი შენი მამიდაშვილი არისო, და წერეთელი კიდევ შენი სიძე არისო“ – პორუჩიკი დავით ნათალიშვილი იყო ძე ალ. ორბელიანის მამიდის, კახეთის 1812-1813 წწ. აჯანყების მონაწილისა და ამის გამო კურსკის გუბერნიაში (ბელგოროდის დედათა მონასტერში) გადასახლებული გუქა ორბელიან-ნათალიშვილისა (მამა დავითისა, გორჯასპ ნათალიშვილი, იყო 1795 წ. კრწანისის ბრძოლის გმირი და მონაწილე კახეთის 1812-1813 წწ. აჯანყებისა, რომლის ჩახშობის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს გაჰყვა ირანში და იქვე გარდაიცვალა). შეთქმულების მასალების მიხედვით, ორგანიზატორებს სერიოზული სამუშაო ჰქონდათ განეული ქართველი სამხედროების (ზოგადად სასწავლო ბატალიონის ოფიცრობის) გადმოსაბირებლად და ამ საქმეში დავით ნათალიშვილი არსებითი ხასიათის მონაწილეობას იღებდა. ელიზბარ ერისთავი კომისიას უჩვენებს: „ნათალოვმა 1831 წელს იცოდა ჩვენი შეთქმულება. მას ელაპარაკა სოვეტნიკი [ალექსანდრე] ორბელიანოვი. მას ეუბნებოდნენ, რომ აჯანყების დროს ის რომელიმე პოსტზე უნდა იყოს, რათა ხელი შეგვიწყოს მის ალებაში, რაზედაც ის დაგვეთანხმა და გვითხრა, ეცდება იქ მოხვდეს, სადაც საჭიროა“ (გოზალიშვილი 1970: 394). სხვა ჩვენებაში კი იგივე ელიზბარ ერისთავი წერს: „სამოსწავლო ბატალიონის შესახებ ჯერ უნინ შემოიტანა წინადადება ნათალოვმა, რომ ადვილია განიარაღება, თუკი რამდენ-

იმე გადაცემულ ქართველს ყაზარმებში შევსპარებთო, თვითონ კისრულობდა ამ საქმის შესრულებას“ (გოზალიშვილი 1970: 406; იმავეს ადასტურებს იასე ფალავანდიშვილი – გოზალიშვილი 1935: 387). უფრო კატეგორიული იყო თავის ჩვენებაში ანტონ აბხაზი: „ალექსანდრე ორბელიანი ამბობდა, რომ სამოსწავლო ბატალიონის ყველა ოფიცრები მოსყიდული იყვნენ და ჩემმა ნათესავმა ნათალიშვილმაც, რომელიც ამ დროს ამ ბატალიონში იყო, ეს იცოდაო“ (გოზალიშვილი 1935: 82). საბოლოოდ დ. ნათალიშვილს ეპატია „დანაშაული“, თუმცა იგი „სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ“ დატოვეს (გოზალიშვილი 1976: 430).

რაც შეეხება ალ. ორბელიანთან *ჯიბრაილ ნერეთლის* ნათესაურ კავშირს, ჩვენ ეს საკითხი ვერ გამოვარკვეით.

² (გვ. 93) „**ამაში გავიდა ათი... კვირა**“ – *ათი*: ასეა დედანში, რაც, როგორც ჩანს, ლაფსუს კალამია და სინამდვილეში *ერთი* უნდა იყოს.

30. ჩვენება 1833 წლის 28 თებერვლისა

(გვ. 95-98)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 9. ფ. 1645-1647. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 398-402. **თარიღი:** 1833 წ. 28 თებერვალი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, განმარტება“ და „მიღებულია 28 თებერვალს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„**ისპრავნიკი**“ – *Исправник*: სამაზრო პოლიციის უფროსი.

„**სტაცკი სოვეტნიკი**“ – *Статский советник*: სამოქალაქო მრჩეველი.

¹ (გვ. 97) „**შაზადა აბაზ მირზას**“ – *შაზადა*: როგორც ჩანს, უნდა იყოს *შაჰზადე* – ტიტული, რომელიც შაჰის მემკვიდრეებს ენიჭებოდა (აბას-მირზა იყო ფათალი-შაჰის ძე და მემკვიდრე).

² (გვ. 98) **„აღარ მახსომს, რომ მე იმ ეგნატი ღვდელთან შერთება რამ მქონიყოს, და ან ლაპარაკი“** – ამ ჩვენებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (12 ივლისს) საგამომძიებლო კომისიამ მოაწყო ალ. ორბელინისა და ეგნატი იოსელიანის პირზე წაყენება (Очная ставка), რომელსაც დართული აქვს ტექსტის ქართული თარგმანი: „ორბელიანოვი ამტკიცებდა, პირველად რომ სწორედ ერთხელ ზაფხულში ჩყლა[1831]-სა წელსა უთქვამს იმას იოსელიანისათვის თავისი განზრახვა სპარსეთად წასვლისა, ჯარის მოყვანისა და რუსების გაყრისა, მაგრამ იოსელიანს უპასუხნია, რომ ეგ შესაძლებელი საქმე არ არისო; და მეორედ რამდენსამე ხანს უკან იმავე ორბელიანოვს უთქვამს ხელახლად იოსელიანისათვის, შესაძლებელიაო, რომ საქართველო განთავისუფლდეს რუსთაგანო; იოსელიანს კი უპასუხნია: ღმერთმა ნუ ჰქმნასო, ამიტომ რომ რასაც დროს საქართველო თავისუფალი შეიქნებაო, მაშინვე მტაცებელნი ხალხნი იმას დაატყვევენო. – სოვეტნიკი ორბელიანოვი დადგა თავის სიტყვაზედ, რომ დარწმუნებით ახსოვს ზემო ხსენებული ლაპარაკი იოსელიანთან; მაგრამ იოსელიანმა სრულებით უარჰყო და ამასთანავე სთქვა, რომ რადგანც ორბელიანოვის ნაჩვენები არ არის იმის სავენებელი, ამისთვის იმას უფრო არა აქვს მიზეზი უარის თქმისა“. პირისპირ წაყენების ტექსტს, გარდა კომისიის წევრებისა, ხელს აწერენ „პოდპორუჟიკი, თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი“ და „პროტოიერეი ეგნატი იოსელიანი“ (რვ. 22. ფ. 4264-4264*).

³ (გვ. 98) **„...შემდეგ აღარ მინახავს ის აკტი, და ან ვის დაუფიცნია იმაზე, ისიც არ ვიცდი, და არც მახსომს“** – ალ. ორბელიანი აქ მცირეოდენი სხვაობით იმეორებს თავის 1833 წ. 3 იანვრის ჩვენებას (იხ. აქვე. გვ. 54; აგრეთვე, იმავე ჩვენების კომენტარები, გვ. 355-356).

31. ჩვენება 1833 წლის 1 მარტისა (I)

(გვ. 99)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 10. ფ. 1695. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 1 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჟიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, განცხადება“ და „მიღებულია 1833 წლის 1 მარტს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 99) „დაუნყია გინება, და ლანძღვა მთავრობისთვის“ – ამავე საკითხზე 1833 წ. 4 მარტს მეორე *ალექსანდრე ორბელიანი* (გიორგის ძე „ბაკლანა“) კომისიას უჩვენებს, ა. მელნიკოვისგან მთავრობის ლანძღვა არ გამიგონია, დიმიტრი და მამუკა ორბელიანებს კი ლანძღავდაო: „კამისია რომელსაც მკითხავს მელნიკოვისას, მე შემიტყოს რომ მთავრობაზედ ელაპარაკნოს რამე ჩემთან, არა ულაპარაკნიარა არც ავათ და არც კარგათ, მხოლოდ ეს შემიტყვია მელნიკოვისაგან, რომ ლანძღავდა ხომე დიმიტრი ორბელიანოვსა და მამუკასა ორბელიანოვს და მე დაუშლიდი ხომე – კეთილშობილს კაცს არ ეკადრება მაგისთანა ლანძღვა. მეც გამლანძღავდა ხომე. მე ამის მეტი არა შემიტყვიარა...“ (რვ. 10. ფ. 1777).

ამავე ჩვენებაში ალ. გ. ორბელიანი კომისიას მოუთხრობს ამბავს, რომელიც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შეთქმულთა ლიტერატურული მუშაობის ისტორიისათვის: „ერთს დღეს ათას რვას ოც და თერთმეტში, არ მახსოვს, რომელს თვეში ანუ რომელს რიცხვში, გიორგი ერისთვის შვილს შეეთხზა წიგნი და კითხულობდა, რომ ჩვენი მამა პაპანი მეფეების დროს აი, როგორი ვაშკაცნი ყოფილანო. იმ წიგნს მელნიკოვის სახლში კითხულობდა. მე ეს შემიტყვია მელნიკოვის სახლში“.

გიორგი ერისთვის შვილის წიგნში იგულისხმება გიორგი დავითის ძე ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა“ („მოთხრობა“ აქ ამბავს ნიშნავს), რომელშიც ასახულია 1659 წლის (ბახტრიონის) აჯანყება. პოემა ამ სათაურით ბოლონაკლულად დაიბეჭდა ს. დოდაშვილის ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (ერისთავი 1832), მოგვიანებით კი ავტორმა პოემას სათაური შეუცვალა („ზარე და ყანიმათ“) და გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“ (ერისთავი 1853: 6-26; პოემა ტექსტოლოგიური აპარატით იხ. ერისთავი 1966: 89-100, 463-470).

ალ. გ. ორბელიანის მონათხრობი ადასტურებს სხვა შეთქმულთა ჩვენებებს, რომ გ. დ. ერისთავი, სანამ თავის პოემას ჟურნალში გამოაქვეყნებდა, მას თანამზრახველთა წრეში კითხულობდა. მაგალითად, დიმ. ყიფიანის 1833 წლის 27 იანვრის ჩვენებაში ვკითხულობთ: „მაისსა თუ ივნისში, ზუსტად არ მახსოვს, ჩემს მეგობართან, მასწავლებელ ავთანდილოვთან, ერთად თავად ელიზბარ ერისთავის მიერ სადილად ვიყავი მიწვეული.“

დაახლოებით 12 საათისთვის ავთანდილოვს შევუარე და პირველ საათზე უკვე ვიყავით ბ-ნი მელნიკოვის სახლში, სადაც იმ დროს ერისთოვი ცხოვრობდა. იქ იყვნენ ძმა მისი, არტილერიის პრაპორშჩიკი, თავადი დიმიტრი ერისთოვი, რომელიც გამაცნეს; თავადი ალექსანდრე ორბელიანოვი და მისი ძმა ვახტანგ ორბელიანოვი; მასწავლებელი დოდაევი; ბ-ნი სოლომონ რაზმაძე; თავადი გიორგი დავითის ძე ერისთოვი; პრაპორშჩიკი, თავადი დავით ჯორჯაძე და სისხლის სამართლის ექსპედიციის თარჯიმანი, ბ-ნი მამაცოვი ... **ელიზბარ**. (ერისთოვს) აბა, აბა! ნაგვიკითხე ის ადგილი შენი პოემიდან. – და მან ნაგვიკითხა, ერთი ადგილი თავისი პოემიდან, როგორც მახსოვს, ის პასუხი, სპარსეთის შაჰს რომ გასცეს მის წინაშე მდგარმა თავადებმა, ბიძინამ და შალვამ, რომლებიც სპარსთა შემოსევისგან თავსაც იცავდნენ და სამშობლოსაც: „რატომღა გვეძახიან ჩვენ ივერიის მამაც შვილებს, თუ ვერ შევძლებთ სამშობლოს დაცვას მტრისაგან და არ გავათავისუფლებთ მას მტაცებლებისგან“. ამ სიტყვებმა იქ მყოფნი აღაფრთოვანა. ამასობაში სტუმრები გაშლილ მაგიდასთან მიიწვიეს და სადილიც დაიწყეს“ (ყიფიანი 2021: 93-94; იხ. აგრეთვე, ყიფიანი 2021: 81-82).

² (გვ. 99) **„ბარონიკი მოსწონდა ხოლმე“** – იგულისხმება კავკასიის მთავარმართველი, ბარონი **ვრიგოლ როზენი**.

32. ჩვენება 1833 წლის 1 მარტისა (II)

(გვ. 99-102)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 10. ფ. 1701-1702. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 412-414. **თარიღი:** 1833 წ. 1 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 1 მარტს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„დეჟურნი“ – *Дежурный*: მორიგე.

„მაშენიკი“ – *Мошеник*: თაღლითი, გაიძვერა.

„პრისტავი“ – Пристав: ბოქაული.

„რასპარაჟენია“ – Распоряжение: განკარგულება.

„სპალნა“ – Спальня: საწოლი ოთახი.

„სტაციო სოვეტნიკი“ – Статский советник: სამოქალაქო მრჩეველი.

„სტიხი“ – Стих: ლექსი.

¹ (გვ. 99) „მინამ ყარაბალს წავიდოდა თავადი ანტონ აფხაზოვი...“ – ყარაბალში ყოფნას ანტონ აბხაზი თავის ჩვენებებში არაერთხელ ახსენებს: „ყარაბალიდან რომ დავბრუნდი, სადაც ორი თვე ვიმოგზაურე...“ (გოზალიშვილი 1935: 225); „მე ყარაბალში გავემგზავრე 1832 წლის 15 ოქტომბერს (სხვა ჩვენებაში 14 ოქტომბერს წერს – გოზალიშვილი 1976: 128) და დავბრუნდი დეკემბრის თვის პირველ რიცხვებში. ექვსი დღე შინ ავადმყოფი ვინექი“ (გოზალიშვილი 1970: 568; აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 314, 465, 619), ხოლო რა მიზნით იმოგზაურა ყარაბალში ა. აფხაზმა, ეს მის ჩვენებებში არ ჩანს.

² (გვ. 100) „ელიზბარ ერისთოვმა მისცა რილევის სტიხი გრიგოლ ორბელიანოვს სათარგმნელად ქართულად, ნეგავარი ატეც სვიატოისა, რომელიც თარგმნა ქართულად სტიხადვე“ – ეს არის ფრაგმენტი კ. რილევის პოემისა „ნალივაიკო“, კერძოდ, XVI ს. უკრაინულ კაზაკთა ანტიფეოდალური აჯანყების მეთაურის, თანამებრძოლთა მიერ მოწინააღმდეგისთვის ჩაბარებული სევერინ ნალივაიკოს აღსარება. გრიგოლ ორბელიანმა „ნალივაიკოს აღსარება“ გადმოაკეთა, მისცა სათაური „გივი ამილახვრის აღსარება“ და მიუტანა ს. დოდაშვილს ჟურნალში „სალიტერატურონი ნანილნი ტფილისის უწყებათანი“ გამოსაქვეყნებლად (ს. დოდაშვილი უარყოფს: ლექსის „დაბეჭდვა არ უთხოვია“ – გოზალიშვილი 1970: 436). საგამომცემლო კომისიამ ტექსტი სწორედ ს. დოდაშვილის ქალაქებში იპოვა, ხოლო გრ. ორბელიანს აკრძალული ავტორის თარგმნის გამო კომისიის წინაშე თავისი „შეცოდების“ მონანიება რამდენჯერმე მოუწია: „ღრმად ვგრძნობ მთელ ჩემს დანაშაულსა და შეცდომას იმაში, რომ მე არ უნდა გადმომეთარგმნა ნალივაიკოს ლექსი და სხვებიც არ უნდა დამენერა, თუმცა ისინი თარგმნილი და დაწერილია არა იმ მიზნით, რათა შეთქმულება გამეღვივებინა...“ (გოზალიშვილი 1976: 259; აგრეთვე: გოზალიშვილი 1976: 137, 143; საკითხის შესახებ იხ. გოზალიშვილი 1970: 38-39; გოცაძე

1954: 204-206; ჯოლოგუა 2013^ა: 124; თარგმნილ-გადმოკეთებული ლექსი „გივი ამილახვრის აღსარება“ სათაურით „აღსარება“ იხ. ორბელიანი 1959^ბ: 111-112). სავარაუდო პროტოტიპი გრ. ორბელიანის ტექსტისა უნდა იყოს XVIII ს. პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარი, საამილახვროს გამგებელი და ზემო ქართლის სადროშოს სარდალი, რომელიც იბრძოდა ხან თურქთა და ირანელთა მხარდამხარ, ხანაც – მათ წინააღმდეგ, მონაწილეობდა ნადირ-შაჰის ლაშქრობაში ავღანეთში, არაერთხელ იყო ტყვეობაში, თუმცა სიცოცხლის ბოლო წლები საქართველოში გაატარა და თავი ციხესიმაგრეებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენით გამოიჩინა (გივი ამილახვრის შესახებ, აგრეთვე, ლიტერატურა მასზე იხ. ქსე. I. თბილისი: 1975: 391).

³ (გვ. 101) „შალვა აქ ქალაქში იყო და თავად ლუარსაბ ორბელიანოვთან იდგა მეგობრობის, და ახლო ნათესაობისა გამო“ – გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარ-შალი“) შალვა რევაზის ძე ერისთავი სიძე იყო ორბელიანებისა – ცოლად ჰყავდა ეკატერინე ასლანის ას. ორბელიანი (ბერძნიშვილი 1983: 129). მიუხედავად იმისა, რომ, კომისიის მასალების მიხედვით, შეთქმულებაში შალვა ერისთავის მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს, საგამომძიებლო კომისიამ იგი მოაქცია შეთქმულთა იმ კატეგორიაში, რომელთაც ბრალი ედებოდათ „არაკეთილგანზრახვითი საუბრების მოსმენაში“ და გაათავისუფლა სასჯელისაგან.

33. ჩვენება 1833 წლის 3 მარტისა

(გვ. 102)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 10. ფ. 1827. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 420-421. **თარიღი:** 1833 წ. 3 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 7 მარტს“.

34. ჩვენება 1833 წლის 7 მარტისა

(გვ. 103-106)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 11. ფ. 1871-1873. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 422-425. **თარიღი:** 1833 წ. 7 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, განცხადება“ და „მიღებულია 1833 წლის 8 მარტს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს (მოგვეყავს ანბანური რიგით):

„და ზდრავსტუეტ სვაბოდა“ – *Да здравствует свобода:* გაუმარჯოს თავისუფლებას!

„ნაჩალნიკი“ – *Начальник:* უფროსი, ხელმძღვანელი.

„სპალნა“ – *Спальня:* საწოლი ოთახი.

„სტაქანი“ – *Стакан:* ჭიქა.

„სტოლი“ – *Стол:* მაგიდა, სუფრა.

¹ (გვ. 104) **„ნემეცების კალონიაში ვიყავით დროშკებით, და სეიდაბათის ბალებში“** – ა) *ნემეცების კალონია:* გერმანელი კოლონისტების დასახლება მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კუკიის ისტორიულ საზღვრებში (გერმანელები აქ 1818 წლიდან სახლდებიან, ხოლო კალონია თბილისს ოფიციალურად 1862 წელს უერთდება – ბერიძე 1977: 219-220); ბ) *სეიდაბათი (სეიდაბადი):* დღევანდელი ხარფუხ-აბანოთუბნის ტერიტორია.

² (გვ. 105) **„ბიძა ჩემი ღენერალ-ლეიტენანტი გიორგი ერისთოვი“** – *გიორგი იასეს ძე ერისთავი,* რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი და ინფანტერიის გენერალი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, უმამაცესი მეომარი, პოეტი და ორატორი, ჰქონდა ზედმეტსახელები „დიდი კნიაზი“, „ჰერი-ჰა“, „ტავრიჩესკი“ (1827 წ. მცირე რაზმით ქ. თავრიზი აიღო). სხვა გიორგი ერისთავებისაგან რომ განესხვავებინათ, „სენატორსაც“ ეძახდნენ (1830 წ. მიანიჭეს სენატორის სტატუსი საქართველოში ცხოვრების უფლებით, ხოლო 1840-იან წწ. თბილისში ხელმძღვანელობდა სენატის კომისიას, რომელსაც თავადურ და აზნაუ-

რულ უფლებებთან დაკავშირებული საქმეები უნდა განეხილა). საგამომძიებლო კომისია დაინტერესებული იყო შეთქმულებასთან გ. ი. ერისთავის კავშირით, თუმცა ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვა (გ. ი. ერისთავის, მათ შორის, შეთქმულებასთან მისი მიმართების შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1980: 226-230).

³ (გვ. 105) „**ორჯერაც გავიქეც**“ – იასე ფალავანდიშვილის *ორჯერ გაქცევის* შესახებ იხ. აქვე: გვ. 321-322.

⁴ (გვ. 105) „...**და ვერა გრძნობთ თქვენს მშობელს მამულსაო**“ – გარემოებები, რომლებსაც ალ. ორბელიანი აქ უჩვენებს, მან 1833 წ. 10 ივლისს ი. ფალავანდიშვილთან პირზე წაყენებისას კიდევ ერთხელ გაიმეორა, თუმცა იასესთან ამ შეხვედრის თარიღად 1830 წელი დაასახელა. თავის მხრივ, ი. ფალავანდიშვილმა ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ 1831 წლის აგვისტომდე არც შეთქმულებისა იცოდა რამე და არც ალ. ორბელიანს იცნობდა (რვ. 21. ფ. 4218-4219).

35. ჩვენი 1833 წლის 8 მარტისა

(გვ. 106-108)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 11. ფ. 1918-1919. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 8 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 8 მარტს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 107) „**გრიგოლს ის რილევის სტიხი ეთარგმნა ქართულად ... და ის სტიხი ელიზბარმა გამოართო**“ – კ. რილევის „*სტიხის*“ გრ. ორბელიანისეული თარგმანის შესახებ იხ. აქვე, გვ. 393-394.

² (გვ. 108) „**რუსეთს მოემზადა წასასვლელად გრიგოლ ... რომელიც აღვითქვა აგრე აღვასრულებო**“ – გრ. ორბელიანის რუსეთში წასვლისა და ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებთან მისი შეხვედრების შესახებ იხ. აქვე, გვ. 327.

³ (გვ. 108) „რომელიც პრაკლამაცია გამამიცხადეს, დოდაევის დანერილი ... ბევრი დანერილი იყო, თორემ ძალა კი და აზრი ერთი და იგივე იყო“ – ს. დოდაშვილის მიერ დანერილი *პროკლამაცია*, რომელიც შეთქმულებს აჯანყების დანყებისთანავე ხალხში უნდა გაეგრცელებინათ, აღ. ორბელიანმა ჯერ თავისთან დაიტოვა, დაპატიმრების შემდეგ კი გრიგოლ დიაკვანს დაანვევინა, თუმცა გადარჩა შავი ვარიანტი პროკლამაციისა, რომელიც საგამომძიებლო კომისიამ ს. დოდაშვილის ქალაქებში აღმოაჩინა და საქმეს მტკიცებულებად დაურთო (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350).

⁴ (გვ. 108) „სოლომან რაზმაძის არაკი ესე არს, რომელიც ამის პირიც მეც მქონდა“ – ს. რაზმაძის ლექსი „დათვი და ცხვარი“, რომელიც, ს. ხუციშვილის თქმით, „ნარმოადგენს ალეგორიას იმპერატორისა და ქართველ ბატონიშვილთა ურთიერთობაზე ... ს. რაზმაძეს, როგორც ჩანს, პეტერბურგში ჰქონია დანერილი და თან ჩამოუტანია თბილისში 1832 წელს“ (რაზმაძე 1990: 56), თუმცა თვითონ ს. რაზმაძე 1833 წ. 8 მარტის ჩვენებაში წერს: „იგავი „დათვი და ცხვარი“ დავწერე აქ, თბილისში, გასული წლის ზაფხულში, არ მახსოვს რომელი თვე იყო. არსად გამიგზავნია, ვაჩვენე მხოლოდ თავადებს ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს. მათ იგი თავისთან დაიტოვეს“ (გოზალიშვილი 1970: 439). თავის მხრივ, კომისია ვარაუდობდა, რომ ეს „იგავი რაზმაძისა კი არ არის, არამედ სხვისია, რომელიც უფრო კარგად იცნობს აქაურობას. კომისია ფიქრობს, იგავი დანერა სხვამ: ან თეიმურაზმა, უფრო კი ფარნაოზ ბატონიშვილმა“ (რაზმაძე 1990: 56). „დათვი და ცხვარი“ (ხელნაწერი იხ. სეა. ფონდი 1457. რვ. 11. ფ. 1911) გ. გოზალიშვილს შეტანილი აქვს თავის წიგნში „1832 წლის შეთქმულება“ (გოზალიშვილი 1935: 98-101). იგი შესულია აგრეთვე ს. რაზმაძის ლექსების კრებულში (რაზმაძე 1990: 15-18). უნდა ითქვას, რომ ს. რაზმაძეს შეთქმულებისთვის ნაკითხული აქვს აგრეთვე თავისი თარგმანი – ა. მიცკევიჩის „ფარისი“ (გოზალიშვილი 1970: 392; ყიფიანი 1930: 140; ყიფიანი 2021: 81; თვითონ თარგმანი იხ. რაზმაძე 1990: 35-41).

36. ჩვენება 1833 წლის 10 მარტისა

(გვ. 109)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 11. ფ. 1964. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 429. **თარიღი:** 1833 წ. 10 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 11 მარტს“.

¹ (გვ. 109) „ოდესცაო თეოფილაქტე შევიდა იმერეთში“ – *თეოფილაქტე*: საქართველოს ეგზარქოსი (1817-1821), თანამედვერული რუსიფიკატორი, რაც ძირითადი მიზეზი გახდა იმერეთის 1819-1820 წწ. (ე. წ. „საეკლესიო“) აჯანყებისა (იხ. გოგოლაძე 1973: 932-937; გურული 2017: 361-373; დოკუმენტური მასალა საკითხის შესახებ იხ. აქტები 1874: 391-405, 536-601). რა *ლექსი* წაუკითხა ი. ფალავანდიშვილმა შეთქმულებს, ჩვენ ეს ვერ გამოვარკვეით (გამორიცხული არც ის არის, რომ აქ *ლექსში* იგულისხმებოდეს *სიტყვა*). თვითონ იასე თავის ერთ-ერთ ჩვენებაში თანამზრახველებისთვის იმერეთის აჯანყებასთან დაკავშირებული *ლექსის* წაკითხვას უარყოფს [„მე არავითარი ლექსი არ წამიკითხავს, რომელიც, ვითომდა, იმერეთს აჯანყებისკენ მოუწოდებდა და არასოდეს მითქვამს, წავეუკითხოთ ეს ლექსი ჩვენს ხალხს და ისინი სულ გადაირევიან და, მერე დავინახავთ, რა მოხდება-მეთქი. მე არ ვიცი რა აზრს შეიცავდა იგი და არც იმედი მქონდა, რომ ხალხში აჯანყებას გამოიწვევდა“ (გოზალიშვილი 1976: 364)].

37. ჩვენება 1833 წლის 11 მარტისა

(გვ. 110-111)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 11. ფ. 1982-1983. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 431-432. **თარიღი:** 1833 წ. 11 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წ. 11 მარტს“ და „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„ვერშოკი“ – *Вершок*: გოჯი.

„ტოჩკები“ – *Точка*: წერტილი.

¹ (გვ. 110) „წარსულს 1831-სა წელსა, ჯერ ვარშავა არ იყო აღებული, იმ ზაფხულს დოდაევმა ერთი წიგნი მისწერა ოქროპირ ბატონიშვილს, რომელიც მეორე გვერდზე მეც დავწერე იმასთან“ – ოქროპირ ბატონიშვილისადმი ს. დოდაშვილის წერილი ალ. ორბელიანის მინაწერთურთ 1831 წ. 18 სექტემბერსა დაწერილი (იხ. აქვე, გვ. 231-232; ს. დოდაშვილისა და ალ. ორბელიანის მიერ ოქროპირ ბატონიშვილისადმი მიწერილ სხვა წერილს ჩვენ არ ვიცნობთ), ვარშავა კი ივ. პასკევიჩმა ათი დღით ადრე, 8 სექტემბერს, აიღო.

² (გვ. 110) „იმ წიგნში ტოჩკები უჯდა“ – უნდა ვიფიქროთ, აქ იგულისხმება დიმიტრი ბატონიშვილის მიერ შემუშავებული საიდუმლო ანბანი (იხ. ალ. ორბელიანის 1833 წლის 3 იანვრის ჩვენების კომენტ. 2).

³ (გვ. 110) „ღვდლის შვილი მოვიდა, ჩემთანა დგასო, რომელიც რუსეთს აპირებს წასვლასაო“ – *ღვდლის შვილი*: მღვდელ რომანოზ ტალიაშვილის (იხ. აქვე, 1833 წ. 6 იანვრის ჩვენების კომენტ. 2) შვილი *გრიგოლ ტალიაშვილი*, რომელიც წვერი იყო 1832 წლის შეთქმულებისა. იგი 1822-1823 წწ. სიღნაღის სემინარიაში ს. დოდაშვილის მონაფე იყო (გოზალიშვილი 1976: 252; მოგვიანებით თბილისის სემინარიაში გადაიყვანეს – გოზალიშვილი 1976: 247). შეთქმულების გაცემისას გრ. ტალიაშვილი პეტერბურგში იმყოფებოდა და იქაურ სემინარიაში სწავლობდა, იქვე დააპატიმრეს, თბილისში 1833 წ. 5 ივნისს ჩამოიყვანეს და ყაზარმებში სხვა შეთქმულებთან ჩასვეს. თავიდან საგამომძიებლო კომისიას გადაწყვეტილი ჰქონდა გრ. ტალიაშვილის გადასახლება რუსეთის რომელიმე გუბერნიაში სამსახურში შესვლის უფლებითა და საქართველოში დაბრუნების აღკვეთით (გოზალიშვილი 1935: 496; გოზალიშვილი 1976: 429), თუმცა ამასობაში მან მოლა ზამანასთან ერთად გაქცევა მოახერხა („ქამრითა და

ლეიბის პირიდან მოხეული ტილოს საშუალებით ჩამოეშენენ აივნიდან“). გაქცეულები დაახლოებით ორკვირიანი ტყე-ტყე ხე-ტიალის შემდეგ შეიპყრეს, 1833 წ. 17 დეკემბერს მოლა ზამანა თბილისში ჩამოიყვანეს, ტალიაშვილი კი გზიდან გაექცათ (გოზალიშვილი 1976: 420-422). ამან, ცხადია, გრ. ტალიაშვილის მდგომარეობა დაამძიმა და საბოლოოდ მას რიგით ჯარისკაცად გამწესება მიესაჯა (აქტები 1881: 414). ამის შემდეგ გრიგოლ ტალიაშვილის კვალი იკარგება და ჩვენ არ ვიცით, შეძლო თუ არა მან სამშობლოში დაბრუნება (გრ. ტალიაშვილის შესახებ იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1976: 203-204, 251-252, 338; ბერძნიშვილი 1983: 181-182).

შეთქმულების მასალებში დაცულია ალ. ორბელიანისა და გრ. ტალიაშვილის 1833 წ. 24 ივლისის პირზე წაყენების ოქმი – ალ. ორბელიანი ადასტურებს ტალიაშვილთან იმ შეხვედრას, რომელზეც წინამდებარე ჩვენებაში წერს, თუმცა ამის მეტად ტალიაშვილი თვალთ არ მინახავსო. გრ. ტალიაშვილი კი აცხადებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილისგან ქეთევან ბატონიშვილთან გამოგზავნილი წერილი მქონდა, ოქროპირ ბატონიშვილისთვის ალექსანდრე ბატონიშვილს არაფერი მიუწერია, ხოლო ალ. ორბელიანს იმიტომ ვენვიე, რომ მინდოდა, ოქროპირთან სარეკომენდაციო წერილი მეთხოვაო (რვ. 23, ფურც. 4568).

⁴ (გვ. 110) **„დღეს მიეტანა ის წიგნი ბატონიშვილს ქეთავანთანაო ... რომელიც ესრეთ აღესრულათ და გაეგდოთ ის ღვდლის შვილიო“** – გრ. ტალიაშვილი კომისიას უჩვენებს, რომ ქეთევანისთვის განკუთვნილი წერილი მან პეტერბურგში ფარნაოზ ბატონიშვილს გადასცა (გოზალიშვილი 1976: 203, 249). ზოგადად ქეთევან ბატონიშვილი, როგორც ჩანს, ცუდად არ იყო განწყობილი ტალიაშვილის მიმართ, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ქეთევანის შუამდგომლობით მიიღეს გრ. ტალიაშვილი პეტერბურგში სემინარიაში (გოზალიშვილი 1976: 203).

⁵ (გვ. 111) **„უნდა ოცდა ოთხის წლისა ყოფილიყო, ხუთი ვერშოკი სიმაღლე ექნებოდა“** – საგამომძიებლო კომისიის მიხედვით, 1833 წლის მარტში (ანუ, როცა ალ. ორბელიანის წინამდებარე ჩვენება ინერებოდა), გრ. ტალიაშვილი 21 წლისა იყო (გოზალიშვილი 1976: 203). ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი მონაცემი, რამდენადაც იგი ოფიციალურ საბუთში წერია, უფრო სანდოა და, ამდენად, გრიგოლ ტალიაშვილი 1812 წელს ჩანს დაბადებული. რაც შეეხება *ხუთ ვერშოკს* (ასეა დედანში!), „ვერ-

შოკი“ (გოჯი) ძველი რუსული საზომი ერთეულია და ოთხ-ნახევარ სანტიმეტრს უდრიდა. გრ. ტალიაშვილი, ცხადია, უფრო მაღალი იქნებოდა.

⁶ (გვ. 111) „**არც ერთს ბატონიშვილს არ მიუღიათ, და დაუთხოვნიათ**“ – უნდა ვიფიქროთ, ალ. ორბელიანს აქ კომისიის შეცდომაში შეყვანა აქვს განზრახული. სინამდვილეში რუსეთში ჩასული გრ. ტალიაშვილი ოქროპირ ბატონიშვილსაც შეხვდა (მოსკოვში) და – ფარნაოზ ბატონიშვილსაც (პეტერბურგში). ამის შესახებ თვითონ გრ. ტალიაშვილი უჩვენებს კომისიას (გოზალიშვილი 1976: 203, 248).

38. ჩვენება 1833 წლის 17 მარტისა

(გვ. 112-113)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 12. ფ. 2170-2170^ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 442-443. **თარიღი:** 1833 წ. 17 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თარგმანი ნაკითხულია 28 მარტს 1833 წ.“ და „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, განმარტება“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„პოკაზანიე“ – Показание: ჩვენება.

„სტიხი“ – Стих: ლექსი.

¹ (გვ. 112) „ელიზბარს უნდა, რომ ბუნტი მოახდინოს ამ 20-ს ნოემბერსა ... საძაგელს საქმეს შვრება მეთქი, არ შაიძლება, ხელი აღებინეთ მეთქი“ – შეთქმულებს სურდათ, აჯანყება ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) საარჩევნო ყრილობისთვის დაემთხვიათ. ყრილობა თავიდან 20 ნოემბერს იყო დანიშნული, თუმცა მოგვიანებით თარიღი შეიცვალა და არჩევნები 20 დეკემბერს დაინიშნა. შესაბამისად, აჯანყების დღემაც 20 დეკემბრისთვის გადაინია (იხ. აქვე, გვ. 341-342). ელიზბარ ერისთავი, როგორც ჩანს, აჯანყების 20 დეკემბრისთვის გადატანის წინააღმდეგი იყო (იხ. აგრეთვე, აქვე, 1833 წ. 13 აპრილის ჩვენება, გვ. 123-124).

² (გვ. 112) „როგორც კამისიას ვაჩვენე ამას წინათ“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს 1833 წ. 16 თებერვლის ჩვენება (გვ. 77).

³ (გვ. 113) „ოდესცა ოქროპირ საქართველოს მოახლოვებია, მაშინ მშობელს მამულსა ზედა სტიხი დაუნერია“ – ოქროპირ ბატონიშვილის ლექსით საგამომძიებლო კომისია დაინტერესდა და რამდენიმე შეთქმულს (დიმ. ორბელიანი, ს. რაზმაძე, ე. ერისთავი, გ. დ. ერისთავი...) სპეციალური კითხვებიც დაუსვა (გოზალიშვილი 1970: 470, 472; გოზალიშვილი 1976: 388-390). მათი ჩვენებების მიხედვით: ა) ლექსი რუსულ ენაზე იყო დაწერილი; და ბ) იგი დიმიტრი ბატონიშვილისადმი იყო მიძღვნილი, რასაც თვითონ ოქროპირიც ადასტურებს (ბერძნიშვილი 1983: 159). ოქროპირ ბატონიშვილის ლექსს ერთ თავის ჩვენებაში ფილადელფოს კიკნაძეც ახსენებს (გოზალიშვილი 1935: 419).

საერთოდ, ოქროპირ ბატონიშვილს ჰქონდა კულტურულ-სალიტერატურო ინტერესები. გარდა ლექსთა თხზვისა, მას გამოცემული აქვს წიგნი: ვეფხვის ტყაოსანი. ტრალედია. თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან (მოსკოვი: 1853); თარგმნიდა საქართველოს ისტორიას (გოზალიშვილი 1976: 213; უნდა ვიფიქროთ, რუსულ ენაზე. საკითხის შესახებ იხ. ხომერიკი 1999: 21-22); მასვე ეკუთვნის ქართული ეროვნული ბალეტის დაარსების იდეა (ჩხაიძე 1986: 94) და სხვ.; ლიტერატურული და მუსიკალური ინტერესები ჰქონდა ოქროპირის მეუღლესაც, ანა კუტაისოვას, რომლის ზოგიერთ რომანსზე ჯაკომო მეიერბერს ნათქვამი აქვს – სიამოვნებით ვიქნებოდი მათი ავტორიო (ოქროპირის ცოლ-შვილზე იხ. ბერძნიშვილი 1983: 159).

39. ჩვენება 1833 წლის 29 მარტისა

(გვ. 113-116)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 12. ფ. 2232-2239. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 495-499. **თარიღი:** 1833 წ. 29 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „კითხვითი პუნქტები ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე

ორბელიანოვისადმი. 28 მარტი 1833 წლისა“ და „მიღებულია 29 მარტს“.

კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„**ვოპროსნი**“ – *Вопросный*: კითხვისა, კითხვათა.

„**მაშენიკი**“ – *Мошенник*: თაღლითი, გაიძვერა.

„**სტიხი**“ – *Стих*: ლექსი.

¹ (გვ. 114) „**მე სტიხი დავწერე ჟურნალისტვის, რომელსაც დოდაევი გამოსცემდა ხოლმე, მთოვარესა ზედა**“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ლექსი „მთოვარე“ [„მთვარე“], რომელიც გამოქვეყნდა ს. დოდაშვილის ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილინი ტფილისის უწყებათანი“ (1832, №1, გვ. 39). ლექსი, ვფიქრობთ, ალევგორიული ხასიათისაა – მთვარეში უნდა იგულისხმებოდეს სამშობლო, რომელიც შავ ღრუბლებს დაუფარავს.

² (გვ. 114) „**ამას წინათაც მოვახსენე კომისიას**“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1833 წ. 15 თებერვლის ჩვენება (I) (გვ. 73-74).

³ (გვ. 114) „**სოვეტნიკად ამამარჩიეს 1830-სა წელსა საზოგადოობამ**“ – ალ. ორბელიანი საქართველოს აღმასრულებელი ექსპედიციის სოვეტნიკი იყო 1829 წლიდან (გოზალიშვილი 1935: 334). დაპატიმრების შემდეგ იგი მალევე გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან (უფრო ვრცლად იხ. აქვე, გვ. 310-311).

⁴ (გვ. 115) „**ამას წინათაც მოვახსენე კომისიას**“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1833 წ. 15 თებერვლის ჩვენება (II) (გვ. 74).

⁵ (გვ. 115) „**ივანე ჯორჯაძის საქმე სრულებით არა ვიცირა ამ ჩვენის განძრახვისა**“ – ივანე ჯორჯაძეს ი. ფალავანდიშვილი თავის 1832 წ. 11 დეკემბრის დასმენაში ფარული საზოგადოების აქტიურ წევრთა შორის ასახელებს (გოზალიშვილი 1935: 131) და ამას მოგვიანებითაც იმეორებს (გოზალიშვილი 1970: 298), თუმცა საგამომძიებლო კომისიას ამ ფაქტისთვის საგანგებო ყურადღება არ მიუქცევია.

⁶ (გვ. 116) „ამას წინათაც მოვახსენე კომისიას“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1833 წ. 25 თებერვლის ჩვენება (გვ. 92-94).

⁷ (გვ. 116) „თავადი დავით ბაგრატიონ მუხრანსკი ... ვითომც ის იყოს მაშენიკი და ავი კაცი“ – დავით ბაგრატიონ-მუხრანსკიზე (მუხრანსკიზე) შეთქმულების მასალებში უაღრესად მწირი მასალაა. ი. ფალავანდიშვილი კომისიას უჩვენებს: „არ არის არც ერთი თავადი, რომელიც კი „სოვეტნიკ“ ორბელიანოვის სახლში დაიარებოდა, რომ არ სცოდნოდა მისი განზრახულება, განსაკუთრებით კი მის ჭეშმარიტ მეგობართ: თ. დავით ბაგრატიონს, თ. პავლე თუმანოვს და თ. რევაზ ანდრონიკოვს“ (გოზალიშვილი 1935: 387-388). ელიზბარ ერისთავი კი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „მე მაჩვენა ი. ფალავანდოვმა ალ. ორბელიანოვის სახლში პროექტი ანუ პირველი ღამის განკარგულება... ამ დროს შემოვიდა თ. დავით მუხრანსკი, რომელმაც საუბარში ხელი შემიშალა, რამოდენიმე წუთისა შემდეგ წავიდა იქიდან“ (გოზალიშვილი 1935: 185). ვახტანგ ორბელიანის ჩვენებით, „...ამ დროს შემოვიდა დრაგუნთა რაზმის პრაპორშჩი. მუხრანსკი და ხელი შეგვიშალა, საუბარი ველარ განვაგრძეთ“ (გოზალიშვილი 1935: 364). დავით ნათალიშვილი უჩვენებს: „...ამ დროს შემოვიდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკი თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი და მაშინ ყველა გაჩუმდა“ (გოზალიშვილი 1976: 65). ვფიქრობთ, ი. ფალავანდიშვილის ჩვენება ვერ გამოდგება ანგარიშგასაწევ არგუმენტად და, რადგან დავით ბაგრატიონ-მუხრანსკის გამოჩენაზე ჩუმდებოდნენ ხოლმე, იგი შეთქმულების კურსში არ უნდა ყოფილიყო.

40. ჩვენება 1833 წლის 30 მარტისა

(გვ. 116-118)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 12. ფ. 2256-2257ა. ავტორაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წლის 30 მარტი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „კითხვითი პუნქტები ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 29 მარტი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის

31 მარტს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 116) **„მან ჯერ კიდევ პეტერბურგში გაიგო ამის შესახებ“** – შეთქმულებაში (მათ შორის, პეტერბურგის წრეში) გიორგი რევაზის ძე ერისთავის მონაწილეობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 336-337.

² (გვ. 117) **„გიორგი რევაზის ძე ერისთავი ლაპარაკობდა ვარშავის ალებას“** – გ. რ. ერისთავის მიერ *ვარშავის ალების* გემის შესახებ *ლაპარაკს* თავიანთ ჩვენებებში სხვა შეთქმულებიც იხსენებენ. ასე, მაგალითად, ზ. ავთანდილოვი კომისიას უჩვენებს: „მე და ყიფიანოვი მივედით ელიზბართან, სადაც გიორგი [რევაზის ძე] ერისთავს შემოხვეოდნენ თავადები: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები და ორივე ძმანი ერისთავები [„ელიზბარი და დიმიტრი“ – გ. გოზალიშვილის შენიშვნა]. მას ხელში ეჭირა ფანქარი და ქალაღი და უანბობდა ვარშავის ალებას“ (გოზალიშვილი 1935: 154). იასე ფალავანდიშვილი კი 1833 წ. 10 თებერვალს თავის ჩვენებაში წერს: „სახლში მომავალს გზაზე შემომხვდა ელიზბარ ერისთავი, რომელმაც თავისთან შემინვია. იქ დამხვდნენ: ბირთველ თუმანოვი, ბატონი სოვეტნიკი ორბელიანოვი თავის ძმა ვახტანგით, გიორგი [რევაზის ძე], ელიზბარი და დიმიტრი ერისთავები, მასწავლებლები ყიფიანოვი და ავთანდილოვი. აქ გიორგი ერისთავი რაღაც გეგმას ხაზავდა და თან უმარტავდა. მე ვკითხე, რა გეგმა არის მეთქი. მან მიპასუხა, ვარშავის ალების გეგმაო“ (გოზალიშვილი 1970: 301).

³ (გვ. 117) **„ჯერ ერთი, ზამთარია და, მეორეც, მთელი თქვენი საზოგადოება შეიკრიბება კენჭისყრაზე“** – *ზამთარი* აჯანყებისთვის ხელსაყრელი დრო იმიტომ იყო, რომ ჯარების ძირითადი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში იბრძოდა და მათი სასწრაფოდ გადმოყვანა საქართველოში ბუნებრივი პირობების (თოვლის) გამო ძნელად თუ მოხერხდებოდა; **კენჭისყრა**: იგულისხმება ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის შეკრება თბილისში წინამძღოლის („მარშლის“) ასარჩევად.

⁴ (გვ. 118) **„ვიმყოფებოდით სეკრეტში“** – იგულისხმება საკანში ყოფნა გუშაგების მეთვალყურეობის ქვეშ (**Поставить секреты** – გუშაგების დაყენება).

41. ჩვენება 1833 წლის 1 აპრილისა

(გვ. 118-119)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2300. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 516. **თარიღი:** 1833 წ. 1 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს“ და „მიღებულია 1833 წლის 5 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 118) „1831 წელს თქვენ მისწერეთ ქართლში ბიძინა ერისთოვს ... რომლებიც მაშინ დღეობაზე იყვნენ არბოში“ – ალ. ორბელიანის მიერ ბიძინა ერისთავისთვის მიწერილი ეს კონკრეტული წერილი შეთქმულების მასალებში არ ჩანს. კომისიამ წერილის შესახებ კითხვა ბიძინა ერისთავსაც დაუსვა და მან ასეთი პასუხი გასცა: „ალექსანდრე ორბელიანის წიგნი მომივიდა შარშან ჩემ სოფელში ყოფნაში, რომ გეორგი ერისთოვს დავითის ძეს, ელიზბარ ერისთოვს, მამუკა ორბელიანოვს, ზაქარია ციციანოვს და ლუარსაბ თარხანოვს აცნობეო, რომ ჩამოვიდნენო. ეს წიგნი წარსულის წლის აგვისტოში ვაჩვენე ელიზბარ ერისთოვს ქართლში სოფელს არბოს წმინდის გიორგის დღეობას, სადაც ვიყავ სალოცავათ და იქ იყვნენ სხვათა თავადთა შორის მამუკა ორბელიანოვი, ელიზბარ ერისთოვი, სვიმონ მაჩაბელოვი, ზაქარია ციციანოვი, გიორგი ერისთოვი დავითის ძე და თეიმურაზ ამილახვაროვი და რომელთაც ქონდათ ლაპარაკი არეულობისათვის, მაგრამ მე კი არ მახსოვს, თუ სახელდობრ რას ამბობდნენ“ (გოზალიშვილი 1935: 177).

² (გვ. 118) „მეორე ძმას ბიძინა ერისთოვს“ – „მეორე ძმას“ („მეორე დას“), როგორც ითქვა (გვ. 381) ალ. ორბელიანი ახლო ნათესავს უწოდებს. ბიძინა ერისთავი დეიდაშვილი იყო ალ. ორბელიანისა (იხ. აქვე, გვ. 368).

42. ჩვენება 1833 წლის 5 აპრილისა

(გვ. 119)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2324. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 527. **თარიღი:** 1833 წ. 5 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „კითხვითი პუნქტები გადამდგარ პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს (ყოფილ სოვეტნიკს). 5 აპრილი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 10 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 119) „დავით გოსტაშაბის ძის...“ – ასეა გ. გოზალიშვილის თარგმანში. დედანში კი წერია: „დავით გოსტომოშის ძის“, რაც ვ. ვოლხოვსკის შეცდომაა და ეს შეცდომა ალ. ორბელიანმა კითხვისთვის თავის ასარიდებლად გამოიყენა (იხ. აგრეთვე, აქვე, 1833 წ. 10 აპრილის ჩვენება).

² (გვ. 119) „ამას წინათ ვაჩვენე კომისიასა თავადს ივანე ზალის ძეზე“ – ალ. ორბელიანს თავისი 1833 წ. 25 თებერვლის ჩვენება აქვს მხედველობაში (იხ. აქვე, გვ. 94).

43. ჩვენება 1833 წლის 7 აპრილისა

(გვ. 120)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2328. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 529-530. **თარიღი:** 1833 წ. 7 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 1833 წ. 6 აპრილს“ და „მიღებულია 1833 წლის 10 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„სეკრეტარი“ – Секретарь: მდივანი.

„ჩერვონეცი“ – *Червонец*: ხუთ- ან ათმანეთიანი მონეტა (ოქროთი).

¹ (გვ. 120) **„ოდესცა სენატორები მოვიდნენ აქ, საქართველოში“** – *სენატორები*: იგულისხმებიან რუსი სენატორები **პავლე კუტაისოვი** და **ევგრაფი მეჩნიკოვი**, რომლებიც მეფისნაცვალ ივ. პასკევიჩის ინიციატივით პეტერბურგიდან მოავლინეს ამიერკავკასიის მხარის მმართველობის რევიზიისა და ადმინისტრაციული რეფორმის პროექტის შესამუშავებლად, თუმცა ეს წამოწყება საბოლოოდ წარუმატებელი გამოდგა (საკითხის შესახებ იხ. ჩხეთია 1944: 4-12; გურული 2017: 479-483; სენატორების დასკვნა იხ. აქტები 1881: 1-14). სხვათა შორის, პ. კუტაისოვი სიმამრი იყო ოქროპირ ბატონიშვილისა. როცა ოქროპირი 1829 წელს შეთქმულების საქმეებზე თბილისში ჩამოვიდა, სიძე-სიმამრი ქართველ თავადებთან ერთად ზოგჯერ თბილისის ახლო-მახლო მიდამოებში სანადიროდაც დადიოდნენ (ბერძნიშვილი 1983: 157).

² (გვ. 120) **„მე მათ არზა მივართვი ჩვენთ ორბელიანოვთ გაყრასა ზედა“** – *ორბელიანთა გაყრის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 317.

44. ჩვენი 1833 წლის 10 აპრილისა

(გვ. 120-121)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2324ა-2325. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი**: 1833 წ. 10 აპრილი. **ხელმოწერა**: პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 11 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა, პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„ვოპროსნი“ – *Вопросный*: კითხვისა, კითხვათა.

„იზვოროტი“ – *Изворот*: ხრიკი, გაიძვერული (თაღლითური) ხერხი.

¹ (გვ. 120) „დავით ბარათოვი გოსტაშაბის ძეა და არა – გოსტამობისა. ჩვენ ეს შეცდომით დავწერეთ“ – *შეცდომის შესახებ* იხ. აქვე, გვ. 407.

² (გვ. 121) „ჩემა სიმამრმა თავადმა დავით ბარათოვმა სრულებით არ იცოდა ესე ჩვენი განძრახვა, არამცთუ მონაწილე ყოფილიყო ჩვენი“ – ალ. ორბელიანი აქ გულწრფელი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, შეთქმულების მასალებში დავით დიმიტრის ძე ბარათაშვილის მონაწილეობის კვალი არ ჩანს.

45. ჩვენება 1833 წლის 11 აპრილისა

(გვ. 122)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2363-2363ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 450-451. **თარიღი:** 1833 წ. 11 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, ალექსანდრე ორბელიანოვის, განცხადება“ და „მიღებულია 1833 წლის 11 აპრილს“.

¹ (გვ. 122) „არ ვიცი, რა შერთება ჰქონია ბატონიშვილს ალექსანდრეს ანგლიჩანებთან“ – *ანგლიჩანებთან* (ინგლისელებთან) ალექსანდრე ბატონიშვილის შესაძლო კავშირის, ამ საქმეში ს. რაზმაძის როლის, აგრეთვე, მაჰმადასთან შეხვედრების შესახებ ალ. ორბელიანი შედარებით უფრო ვრცელ ჩვენებას 1833 წლის 6 სექტემბრის ჩვენებაში იძლევა (იხ. აქვე, გვ. 220-221). მაჰმადასთან ალ. ორბელიანის ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ იხ. აგრეთვე, 1832 წლის 19 დეკემბრის ჩვენების კომენტ. 4.

² (გვ. 122) „მღვდელს, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილთან არის“ – იგულისხმება მღვდელი *რომანოზ ტალიაშვილი* (იხ. აქვე, გვ. 359).

46. ჩვენი 1833 წლის 12 აპრილისა

(გვ. 123)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2433. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 555-556. **თარიღი:** 1833 წ. 12 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 1833 წლის 12 აპრილს“ და „მიღებულია 1833 წლის 15 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 123) **„პირველი ღამის რასპარაჟენია“** – *„პირველი ღამის რასპარაჟენიის“* (განკარგულების) შესახებ იხ. აქვე, გვ. 344-345.

² (გვ. 123) **„ბეჟან ამილახვაროვის დანიშვნას“** – ი. ფალავანდიშვილის დასმენის მიხედვით, *ბეჟან ამილახვარი* შედიოდა იმ ჯგუფში (დ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, გ. თუმანიშვილი, ივ. ერისთავი), რომელსაც არსენალი, საპროვიანტო კომისია, ხაზინა და ორდონანს ჰაუზი (კომენდატურა და ჰაუპტვახტი) უნდა ჩაეგდო ხელში (გოზალიშვილი 1935: 137), ხოლო ბეჟანის ძმას, *თეიმურაზ ამილახვარს*, ბიძინა და იასე ერისთავებთან ერთად ნავთლულის კომისიაზე უნდა მიეტანა იერიში (გოზალიშვილი 1935: 137).

³ (გვ. 123) **„არც ვიცი თავადმა ბეჟან ამილახვაროვმა იცოდა ჩვენი ესე განძრახვა ანუ იცის თუ არა“** – მართალია, ი. ფალავანდიშვილის დასმენის მიხედვით, ბეჟან ამილახვარს აჯანყების ღამეს გარკვეული დავალება უნდა შეესრულებინა (იხ. წინა კომენტარი), თუმცა სხვა (1833 წ. 11 აპრილის) ჩვენებაში იგივე ი. ფალავანდიშვილი წერს: „[ალ.] ორბელიანოვმა კი სთქვა, რასაკვირველია თეიმურაზი ეტყვის თავის ძმას ბეჟან ამილახვაროვს და [იაში] ისიც შეიტანეო. მე არავისგან გამიგონია და არ ვიცი, [იასე] ერისთოვმა და [ბეჟან] ამილახვაროვმა იციან თუ არა ეს განზრახულება“ (გოზალიშვილი 1970: 538-539). საბოლოოდ საგამომძიებლო კომისიამ ბეჟან ამილახვარის „დაკითხვა უსაფუძვლოდ ცნო“ (გოზალიშვილი 1935: 40).

ხეც-ში დაცული ამილახვართა ნაქონი 1780 წლის ხელნაწერი კრებულის (H-958) ერთ-ერთი მინაწერი იძლევა, უნდა ვიფიქროთ, სანდო ბიოგრაფიულ ცნობებს ბეჟან ამილახვრის შესახებ: „წელსა ჩყლგ [1833]-სა, სეკდემბრისა გ[3]-სა დღესა, კვირა საღამოზედ ვიკურთხე გვირგვინი თავადის პოდპოლოკოვნიკის და კავალერის *მირმანოზ ერისთავის* ქალს *ქეთევანზედ*. მეორესა წელსა თოთხმეტსა, თიბათვის თვრამეტსა მოგვეცა ვაჟი, დღესა ორშაბათსა, და უწოდეთ სახელათ *გივი*. სახლსა ჩემსა მოვიყვანე მეუღლე ჩემი ქეთევან წელსა ჩყლგ [1835]-სა, მარტის სამსა, დღესა კვირიაკესა. თ[ავადი] პოდპორუჩიკი *ბეჟან ამილახვაროვი*“ (148v).

რაც შეეხება ალ. ორბელიანის ჩვენებაში ნახსენებ თეიმურაზ ამილახვარს, დაკითხვებზე თავიდან იგი შეთქმულებასთან კავშირს უარყოფდა, თუმცა საბოლოოდ აღიარა – შეთქმულების შესახებ კი გავიგე და არ განვაცხადე, მაგრამ „მაქს იმედი, რომ ყოვლად მოწყალემ ხელმწიფე იმპერატორმა, გულშემატკივნემ მამამ, მომიტეოს და დამაფარვინოს სისხლითა ჩემითა, რომელიცა არცა აქამომდე ვზოგავდი არცა მე და არცა სახლი ჩემი“ (გოზალიშვილი 1970: 269). კომისიამ გაითვალისწინა თ. ამილახვრის მონანიება და მას შედარებით მსუბუქი სასჯელი – „სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ“ ყოფნა – აკმარა (გოზალიშვილი 1976: 430). ამილახვართა ნაქონ ზემოხსენებულ კრებულზე დართულ გვიანდელი ანდერძ-მინაწერებიდან ერთ-ერთი თეიმურაზ ამილახვარს ეკუთვნის: „წელსა ჩყლბ [1832], დეკემბრის იზ [17] დამიჭირეს და განვთ[ავ]ვისუფლდი შეწევნითა მლთისათა აგვისტოს კი [30] დღესა, ოთხშაფათსა, წელსა ჩყლგ [1833], რომელიცა ამ ცხრა თვეში მზეც არ მინახავს, რომელსაც კლიტე[ე]ბი გვედო კარებზედ“ (H-958: 143 v). ერთ-ერთი მინაწერი (ბეჟან ამილახვრისა) კი ეხება თეიმურაზ ამილახვრის გარდაცვალებას: „თავადი თეიმურაზ ამილახვარი გარდაიცვალა და დაუტევა ესე სოფელი და მიმართა საუკუნე სასუფეველსა წელსა ჩყლთ [1839], ივლისის ე [5], ოთხშაბათს, შუადღისას“.

47. ჩვენება 1833 წლის 13 აპრილისა

(გვ. 123-125)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2415. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 546-548. **თარიღი:** 1833 წ. 13 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თა-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ გადამდგარ პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს (ყოფილ სოვეტნიკს). 12 აპრილი 1833 წ.“ და „მიღებულია 1833 წლის 15 აპრილს“. კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 124) **„უთხრა ელიზბარს: რას გაუგეჟებხარო, როგორ შეიძლება რაღაც 20-ი ნოემბერი გამოგიტყვრენიაო“** – აჯანყების 20 ნოემბერს დანიშვნასთან დაკავშირებით ელიზბარ ერისთავთან კონფლიქტს ალ. ორბელიანი სხვა ჩვენებებშიც ახსენებს (გვ. 112; აჯანყების 20 ნოემბერს დაწყების მოტივაციის შესახებ იხ. აქვე, გვ. 341-342).

² (გვ. 124) **„ნარსრულს 1831-სა წელსა“** – გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში მექანიკური შეცდომაა: წერია 1832 წელი (გოზალიშვილი 1970: 547), დედანშია „ნარსრულს 1831-სა წელსა“.

³ (გვ. 125) **„ვახტანგისგან სრულებით არ გამიგონია რომ რუსეთში სცოდნიყოს ესე ჩვენი განძრახვა“** – ვახტანგ ორბელიანი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში სასწავლებლად გაემგზავრა 1827 წლის 26 დეკემბერს (იქ 1833 წ. თებერვალში ჩავიდა – გოზალიშვილი 1935: 442). 1828 წელს შევიდა პაჟთა კორპუსში, ავადმყოფობის გამო 1829 წლის 6 ოქტომბერს დაბრუნდა თბილისში (პეტერბურგიდან გამოემგზავრა 1829 წ. 26 სექტემბერს – გოზალიშვილი 1935: 442). პეტერბურგში ვ. ორბელიანი ცხოვრობდა დიმიტრი ბატონიშვილთან, ესწრებოდა მასპინძლის „აღმამფოთებელ“ საუბრებს (რუსების მიერ საქართველოს ჩაგვრას) პეტერბურგში მყოფ ახალგაზრდებთან (გოზალიშვილი 1935: 442; გოზალიშვილი 1970: 361-362, 403, 523...), თუმცა ძნელია დარწმუნებით ითქვას, რომ შეთქმულების არსებობა მისთვის პეტერბურგშივე იყო ცნობილი [ალ. ორბელიანი 1833 წ. 5 ივლისის ჩვენებაში (IV) კვლავ იმეორებს: „ოდესცა ჩემი ძმა ვახტანგ პეტერბურ-

ლიდგან მოვიდა, მაშინ ამა საგანსა ზედა ჩემთვის სრულებით არარაი არა უთქომსრა“]. საგამომძიებლო კომისიის მასალების მიხედვით, შეთქმულება ვახტანგ ორბელიანს 1831 წელს ელიზბარ ერისთავმა თბილისში გამოუცხადა (ელიზბარმა მითხრო: „ჩვენ ვცდილობთ, რათა საქართველო რუსებისაგან განთავისუფლდესო. სირცხვილია ჩვენთვის მათი მონობა მაშინ, როდესაც პოლონელებს, რომლებიც მათივე შთამომავლობის არიან, არ სურთ მათი უფლების ქვეშ ყოფნა და თავს სწირავენ იმისათვის, რომ დამოუკიდებელი იყვნენო“ – გოზალიშვილი 1970: 235; 1833 წ. 5 ივლისის ჩვენებაში კი ალ. ორბელიანი წერს: „მე და თ-მა ერისთავმა გამოუცხადეთ აზრი ესრეთი ჩემს ძმას ვახტანგს“). დაკითხვებზე ვ. ორბელიანი ინანიებს ჩადენილ „დამნაშაულს“ (გოზალიშვილი 1970: 234-236). მიუხედავად ამისა, გამოძიების დასრულების შემდეგ იგი გადასცეს სამხედრო სასამართლოს (გოზალიშვილი 1976: 419, 428), რომელმაც მას თავადური ღირსების აყრა, ქონების ჩამორთმევა და „ოთხად განკვეთა“ გადაუწყვიტა (გოზალიშვილი 1976: 431), თუმცა შემდეგ სასჯელი შეუცვალეს, შეიყვანეს „დამნაშავეთა“ მესამე კატეგორიაში („ვინც შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აჯანყებას ეთანხმებოდა“) და კალუგაში გადასახლეს (გოზალიშვილი 1976: 436; კალუგაშივე იყვნენ გადასახლებულნი ვახტანგ ორბელიანის დედა თეკლე ბატონიშვილი და უფროსი ძმა – დიმიტრი). 1834 წელს ბადრაგის თანხლებით დედასთან, თეკლე ბატონიშვილთან, კალუგაში გაგზავნის წინ ვახტანგ ორბელიანი სამშობლოს ლექსით („გამოსალმება“) გამოემშვიდობა:

მშვიდობით ჩემო გამომზრდელი, ჩემო მამულო!
მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტკბილი...
გმირთ ძეთ სამარევ, იმათ წმინდა სისხლით მორწყულო,
სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი!
(ორბელიანი 1992ა: 470)

ვ. ორბელიანი სამშობლოში დაბრუნდა 1837 წელს (ბერძნიშვილი 1983: 145), სამხედრო სამსახურში ჩადგა, იბრძოლა ე. წ. „კავკასიისა“ და ყირიმის ომებში, 1860 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ხარისხი, შემდეგ სამოქალაქო სამსახურში გადავიდა და კარიერა 1881 წელს დაასრულა (დოკუმენტური მასალა ვ. ორბელიანის ბიოგრაფიის შესახებ იხ. ტაბლიაშვილი 1971: 3-182).

48. ჩვენება 1833 წლის 15 აპრილისა

(გვ. 125)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2403. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 542. **თარიღი:** 1833 წ. 15 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 15 აპრილი 1833 წ.“ და „მიღებულია 1833 წლის 15 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 125) „აპრილის 15-ს დღესა“ – გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში შეცდომით **13** აპრილია მითითებული, დედანში **15** აპრილია.

49. ჩვენება 1833 წლის 15-17 აპრილისა

(გვ. 125-127)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 13. ფ. 2465. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 565-566. **თარიღი:** 1833 წ. 15-17 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 15 აპრილი 1833 წ.“ და „მიღებულია 1833 წლის 18 აპრილს“. კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში საერთო თარიღად მითითებულია *აპრილის 17*. დედანში კი ჩვენების პირველი ორი ნაწილი დათარიღებულია **15** აპრილით, ბოლო ნაწილი კი – **17** აპრილით.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„**ახ ტი**“ – *Ах ты*: ჰაი, შენ... (აქ: დამცინავი მიმართვა).

„**დალოი**“ – *Долой*: ძირს, შორს.

„**პრისუსტვიე**“ – *В присутствии*: თანდასწრებით.

¹ (გვ. 125) **„გაიგონა პოლკოვნიკ ლაზარევისა და სომხების ცუდი ზრახვების შესახებ სომეხთა სამეფოს აღდგენის შესახებ“** – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის 1831 წ. 31 მარტის ჩვენება, რომელშიც იასე წერს: „ჩემს ძმასთან 10 დეკემბერს მოვიდნენ ძმები ალექსანდრე და დიმიტრი ორბელიანოვები და რაღაცას ეკითხებოდნენ ბრძოლაში დაღუპულ თავად ორბელიანოვზე (იგულისხმება ზაალ ორბელიანი – თ. ჯ.), მისგან კი ჩემთან შემოვიდნენ. დიმიტრიმ თქვა, თუ ამ წელიწადში არა გავაკეთებ რა, სომხები რაღაცას აპირებენო. როდესაც ვბრუნდებოდი რუსეთიდანაო (დიმ. ორბელიანი რუსეთიდან 1832 წელს დაბრუნდა – თ. ჯ.) და მოზდოკზე გამოვიარე, ერთმა სომეხმა მითხრაო, რომ როდესაც პოლკოვნიკი ლაზარევი საქართველოდან ბრუნდებოდა, ყიზლარისა და მოზდოკის თავკაცები მას პურმარილით შეხვდნენ და ვითომც ამ სომეხს ეთქვას მისთვის (დიმიტრისთვის), რომ ღვთის წყალობით, ჩვენი სახელმწიფოც აღდგებაო“ (გოზალიშვილი 1970: 508). თვითონ დიმ. ორბელიანი 1833 წ. 16 აპრილს ჩვენებაში წერს: „თავადი იასე ფალავანდოვი სრულიად ყალბად უჩვენებს: პირველი იმიტომ, რომ 10 დეკემბერს არც ის მინახავს და არც ჩემი ძმა და არასოდეს არც მითქვამს, რომ პოლკოვნიკი ლაზარევი და სომხები განიზრახავენ სომხეთის სამეფოს აღდგენას, მით უმეტეს, რომ პოლკოვნიკ ლაზარევის მე სრულებით არ ვიცნობ; და მეორე, რომ მე ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ მოზდოკში...“ (გოზალიშვილი 1970: 563-564).

აქ ნახსენები *პოლკოვნიკი ლაზარევი* უნდა იყოს **ლაზარე იეკიმის (იოაკიმეს) ძე ლაზარევი** (დაახლ. 1797-1871; პოლკოვნიკობა მიიღო 1826 წ.), რომელიც 1827 წლიდან მეფისნაცვალ ივ. პასკევიჩის საგანგებო დავალებათა მოხელე იყო, აღ. გრიბოედოვთან ერთად მონაწილეობდა ირანთან თურქმანჩაის ზავის (1828) დადებაში და არსებითი მნიშვნელობის მონაწილეობა აქვს მიღებული სპარსეთში მცხოვრებ სომეხთა ამიერკავსაიაში გადმოყვანასა და ჩასახლებაში.

² (გვ. 126) **„ჩემი ძმის დიმიტრის მეუღლეს ძმა მოუკლეს ლეკებსა შინა“** – დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის მეუღლე იყო **მარიამ ლუარსაბის (ივანეს) ას. ორბელიანი**, რომელზეც აღ. დიუმა-მამა წერს: „ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა წარჩინებული მანდილოსანი, რომელსაც ესოდენ მედიდური გარეგნობა ჰქონდეს“ (დიუმა 1970: 278). რაც შეეხება მარიამ ორბელი-

ანის ძმის, ზაალ ორბელიანის, მკვლევობას, ჩვენ ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს.

³ (გვ. 127) **„მე აღარ მახსოვს იმათი გვარი“** – როგორც გ. რ. ერისთავის ჩვენებიდან ირკვევა, დასახელებული ყოფილან თავადები: გოლიცინი, ბუტურლინი და რომანოვი“ – **გ. გოზალიშვილის შენიშვნა** (გოზალიშვილი 1970: 566).

50. ჩვენება 1833 წლის 17 აპრილისა

(გვ. 127-130)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2487-2488. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 452-455. **თარიღი:** 1833 წ. 17 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 22 აპრილს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„ზაგოვორი“ – Заговор: შეთქმულება.

„რასპარაჟენია“ – Распоряжение: განკარგულება.

¹ (გვ. 128) **„...მხოლოდ მფარველობით მიურთმევიათ საქართველო“** – საქართველოში აქ ქართლ-კახეთი (აღმოსავლეთი საქართველო) იგულისხმება.

² (გვ. 129) **„ბატონიშვილს თამარს, რომ დაეშალა ყმაწვილი კაცებისათვის...“** – როგორც ჩანს, ალ. ორბელიანს აქ მხედველობაში აქვს თავისი 1833 წ. 17 მარტის ჩვენება (გვ. 112).

³ (გვ. 129) **„მეორედ შპიონმა იასე ფალავანდოვმა“** – იასე ფალავანდოვის *შპიონობის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 385-387.

⁴ (გვ. 129) **„იასეს ტყუილის გესლიანის, და მომხიბლულის რასპარიაჟენიით“** – *რასპარიაჟენია*: იგულისხმება „პირველი ღამის განკარგულება“ (იხ. აქვე, გვ. 344-345).

51. ჩვენება 1833 წლის 20 აპრილისა

(გვ. 130)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2517. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 574. **თარიღი:** 1833 წ. 20 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს“ და „მიღებულია 1833 წლის 20 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

52. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (I)

(გვ. 130-131)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2501. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 569-570. **თარიღი:** 1833 წ. 22 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, ბ-ნ პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 20 აპრილი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 22 აპრილს“. კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 130) „ის ამბობდა თქვენი განზრახულების შეუძლებლობაზე და რომ ელიზბარმა იგი ჩააჩუმა“ – კომისიას, უნდა ვიფიქროთ, მხედველობაში აქვს იოსებ მამაცაშვილის 1833 წ. 4 იანვრის ჩვენება, რომელშიც წერია: „ვცდილობდი მათი აზრი უარმეყო, მაგრამ ელიზბარმა მრისხანედ თქვა: ვინც კი გაბედავს მათი განზრახვის აღსრულებას ხელი შეუშალოს, თვითონ პირველი ჩასცემს მას გულში ხანჯალს. მე იძულებული გავხდი გავჩუმებულიყავი“ (გოზალიშვილი 1970: 130).

53. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (II)

(გვ. 131-132)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2531. რუსულ ენაზე (თარგმანი გ. გოზალიშვილისა). **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 579. **თარიღი:** 1833 წ. 22 აპრილი. **ხელმოწერა:** გენერალ-მაიორი ბაიკოვი I, გენერალ-მაიორი ვოლხოვსკი, გენერალ-მაიორი ჩეკვინი, პოლკოვნიკი ტრიტილევიჩი.

¹ (გვ. 132) „თავად აბხაზოვის ჩვენების წინააღმდეგ“ – კომისიას მხედველობაში აქვს ანტონ აბხაზის 1832 წ. 21 დეკემბრის ჩვენება (გოზალიშვილი 1935: 221-226).

² (გვ. 132) „იასე ფალავანდოვის ჩვენების წინააღმდეგ“ – იგულისხმება ი. ფალავანდიშვილის 1833 წ. მარტის (რიცხვი არ არის მითითებული) ჩვენება (გოზალიშვილი 1970: 517).

³ (გვ. 132) „პოლკოვნიკი ტრიტილევიჩი“ – გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში: *პოდპოლკოვნიკი ტრიტილევიჩი*, დედანშია *პოლკოვნიკი ტრიტილევიჩი*.

54. ჩვენება 1833 წლის 22 აპრილისა (III)

(გვ. 132)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2590. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 22 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 25 აპრილს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 132) „ალექსანდრე ონიკოვისა სრულებით არა მითქომსრა იასეს ფალავანდოვისთვის“ – ალ. ორბელიანი აქ გულისხმობს იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. მარტის (რიცხვი არ არის მითითებული) ჩვენებას: „დეკემბრის 10 რიცხვში ჩემთან მოვიდნენ ალექსანდრე ორბელიანოვი და მისი ძმა დიმიტრი. ალექსანდრემ მითხრა, რომ მან ეს განზრახვა გაუმჟღავნა

შტაბს-კაპიტან ონიკოვსა და მის ძმას ალექსანდრე ონიკოვს“ (გოზალიშვილი 1970: 517).

² (გვ. 132) „არცარა გამიგონიარა რომ მას ონიკოვს სცოდ-ნიყოს ესე ჩვენი აზრი“ – ალ. ორბელიანის მიერ შეთქმულებაში ალ. ონიკაშვილის მონაწილეობის უარყოფა საკმარისი აღმოჩნდა კომისიისთვის, რომ აღარ ჩასძიებოდა ამ საქმეს.

55. ჩვენება 1833 წლის 25 აპრილისა

(გვ. 132-133)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2592-2593. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 594-595. **თარიღი:** 1833 წ. 25 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 25 აპრილი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 25 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 132) „პრაპორშჩიკი გიორგი ერისთოვი ამბობს...“ – გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენება, რომლის შესახებაც კომისია ალ. ორბელიანს კითხვას უსვამს, იხ. გოზალიშვილი 1970: 576-577.

² (გვ. 132) „როდის და ვისთან ერთად ჩამოვიდა თქვენთან ნესტორიანელი, რაზედაც ლაპარაკობს... მოლა ზამანა“ – ნესტორიანელის შესახებ მოლა-ზამანა კომისიას უჩვენებს: „მიმდინარე [1832] წლის შემოდგომაზე, როცა რთვლებისთვის ვემზადებოდით, ბალა მაჰმადა მოვიდა ჩემთან და მიაშბო, რომ ის ორი ამხანაგით, რომლებიც ალექსანდრე ბატონიშვილთან მსახურობენ – ქართველ გარსევანთან და ერთ ნესტორიანელთან ერთად იყო გაგზავნილი ყაზი მოლასთან, რომელთანაც მივიდნენ სომხეთის ოლქისა და განჯის გავლით. – მან ისინი კარგად მიიღო და დაასაჩუქრა. მიიღეს მისგან წერილი და ორი მათგანი უკანვე გაემგზავრნენ ჭარის ოლქით, ხოლო ნესტორიანელი მოკვდა მთებში, შულავრის მახლობლად“ (გოზალიშვილი 1935: 55; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: საგამომძიებლო კომისიის 1832

ნ. 29 დეკემბრის სხდომის ოქმი – გოზალიშვილი 1970: 109-110; ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ყაზი მოლასთან გაგზავნილ პირთა მისიის შესახებ იხ. აქვე, გვ. 347; ამ საკითხის შესახებ ალ. ორბელიანი ჩვენებას მოგვიანებითაც, 1833 წ. 6 სექტემბერს, იძლევა – იხ. აქვე, გვ. 221; რაც შეეხება *ნესტორიანელობას*, ეს არის მიმდინარეობა ქრისტიანობაში, რომელიც, ორიოდე სიტყვით რომ ვთქვათ, ქრისტეს აღიარებს, როგორც მხოლოდ კაცს, რომელშიც სულიწმინდის მეშვეობით შთაინერგა ლოგოსი. 431 წლის ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრებამ ნესტორიანელობა გამოაცხადა ერესად).

³ (გვ. 133) **„ალექსანდრე ბატონიშვილის ნიგში სულ არა წერებულა ხსენებული გარემოება“** – ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმონერით კომისია საგანგებოდ იყო დაინტერესებული, რაც კონკრეტულად ალ. ორბელიანის არაერთ ჩვენებაშიც ჩანს [იხ. აქვე: 1832 წ. 18 და 21 დეკემბრის, 1833 წ. 6, 12 და 23 იანვრის, 11 მარტის, 11 აპრილის, 26 მაისის (II), 6 სექტემბრის ჩვენებები].

56. ჩვენება 1833 წლის 26 აპრილისა (I)

(გვ. 134)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2604. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 596-597. **თარიღი:** 1833 წ. 26 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 25 აპრილი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 29 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 134) **„თავადი ვახტანგ ორბელიანი თავის ერთ ჩვენებაში ... ის ნაწილობრივ დათანხმდაო“** – კომისიას მხედველობაში აქვს ვახტანგ ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის ჩვენება (იხ. გოზალიშვილი 1935: 194).

57. ჩვენება 1833 წლის 26 აპრილისა (II)

(გვ. 134-136)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2674-2675. **თარიღი:** 1833 წ. 26 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 1833 წ. 25 აპრილი“ და „მიღებულია 1833 წლის 29 აპრილს“.

ქვეყნდება პირველად

1 (გვ. 134) **„თქვენი ჩვენებების შესავსებად კომისია მოგიწოდებთ ... მის განხორციელებასაც კი შესდგომოდით?“** – ეს არის სტანდარტული შეკითხვები, რომლებსაც კომისია შეთქმულების ყველა აქტიურ წევრს უსვამდა (შეკითხვების თარგმანი გ. გოზალიშვილისა).

2 (გვ. 135) **„წინააღმდეგ მთავრობის აზრის მიმცემი პირველი ოქროპირ ბატონიშვილი უნდა იყოს, და მეორე დიმიტრი ბატონიშვილი“** – შეთქმულების მასალების მიხედვით, შეთქმულების ინიციატორი და წამომწყები დიმიტრი ბატონიშვილია. 1820-იან წლებში მის სახლში (პეტერბურგი) იკრიბებოდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელთა უმრავლესობა იქაურ სამხედრო სასწავლებლებში სწავლობდა. 1825 წლისთვის სწორედ მათგან ჩამოაყალიბა დიმიტრი ბატონიშვილმა შეთქმულთა პირველი ჯგუფი, ხოლო რაც შეეხება ოქროპირ ბატონიშვილს, იგი იმავე მიზანდასახულობის ჯგუფს მოსკოვში 1826 წელს აყალიბებს.

3 (გვ. 136) **ოთხი გვარი უნდა გადაასახლონ რუსეთში: ერთი მუხრანსკებო, მეორე ერისთოვნო, მესამე ორბელიანოვნო, და მეოთხე ენდრონიკოვნო“** – ხმების დაყრა, მთავრობა გლეხებს „საღდათად წაყვანას“ (იხ. აქვე, გვ. 312-313) უპირებს, ხოლო გავლენიან თავადიშვილებს („დიდრონს კაცებს“) – რუსეთში „გადარეკვასო“ (იხ. აქვე, გვ. 96), შეთქმულთა პროპაგანდისტული მუშაობის ნაწილი იყო და ფართო ფენებში აჯანყებისთვის საჭირო განწყობების ფორმირებას ისახავდა მიზნად.

58. ჩვენება 1833 წლის 29 აპრილისა (I)

(გვ. 136)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2704. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1970: 627. **თარიღი:** 1833 წ. 29 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 29 აპრილი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 29 აპრილს“. შეკითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 136) „...მოგესყიდათ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი“ – შეთქმულები მუშაობდნენ დრაგუნთა პოლკისა და სასწავლო (учебный) ბატალიონის ოფიცრობის მოსყიდვასა თუ გადმობირებაზე [აჯანყების ღამეს „ციხეზე და ჰაუბტვახტზე მორიგედ ჩვენი კაცები უნდა ყოფილიყვნენ“ – წერს თავის დასმენაში იასე ფალავანდიშვილი (გოზალიშვილი 1935: 90)]. ელიზბარ ერისთავის ჩვენების მიხედვით, „სამოსწავლო ბატალიონის შესახებ ჯერ უწინ შემოიტანა წინადადება [დავით] ნათალოვმა, რომ ადვილია განიარაღება, თუკი რამდენიმე გადაცმულ ქართველს ყაზარმებში შევაპარებთო, თვითონ კისრულობდა ამ საქმის შესრულებას“ (გოზალიშვილი 1970: 406). იასე ფალავანდიშვილი კომისიას უჩვენებს: „გუსართა რაზმის პორუჩიკი ნათალოვი... სამოსწავლო „ბათალიონის“ მოსყიდვას აღუთქვამდა... ურთიერთობა ჰქონდა თავიანთივე რაზმის პოლონელ პორუჩიკთან, რომელიც ნათალოვის ჭეშმარიტი მეგობარია... ალექსანდრე [ორბელიანი] ამბობდა, რომ დრაგუნთა რაზმის ოფიცრებმა 1831 წელს იცოდნენ შეთქმულება, რადგან ელიზბარის ორივე ძმები იქა მსახურობენ, პრაპორ. შერვაშიძეს კი თვითონ ელაპარაკა თავის სახლში“ (გოზალიშვილი 1935: 387). ანტონ აბხაზი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „ალექსანდრე ორბელიანი ამბობდა, რომ სამოსწავლო ბატალიონის ყველა ოფიცერი მოსყიდული იყო და ჩვენმა ნათესავმა ნათალიშვილმაც, რომელიც ამ დროს ამ ბატალიონში იყო, ეს იცოდა“ (სურგულაძე 1968: 257).

² (გვ. 136) „არც გამიგონია არცარა ვისგანმე შემიტყვია ესრეთი გარემოება“ – გასაგები მიზეზების გამო, ნეჟეგოროდის

დრაგუნთა პოლკის მოსყიდვის მცდელობა ელიზბარ ერისთავმა და ლუარსაბ ორბელიანმაც კატეგორიულად უარყვეს (გოზალ-იშვილი 1970: 627).

59. ჩვენება 1833 წლის 29 აპრილისა (II) (გვ. 137)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 14. ფ. 2706. **თარიღი:** 1833 წ. 29 აპრილი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 29 აპრილი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 29 აპრილს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 137) „თავადი იასე ფალავანდოვი უჩვენებს...“ – იგულისხმება იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 31 მარტის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „მითხრა ალექსანდრე ორბელიანოვმა, რომ გუშინ გამოგიგზავნე ელიზბარ ერისთავი, რათა თქვენ ნახვიდეთ ლუარსაბთან, ამბობს: „შეიძლება ლუარსაბს ჰგონია, რომ მის ხარჯზე ვაპირებთ ბალის გამართვას მის სახლში, უთხარით, რომ ჩვენ ფული გვაქვს, ბატონიშვილმა მისცა ნდობის ხელწერილი თავის ვაჟს გიორგი ერისთავს (არ მახსოვს, ხაზინიდან, თუ საიდან ამბობდა). მან უნდა მიიღოს 10 000 მანეთი ასიგნაციებით და დედას უნდა წაუღოსო, მაგრამ ფულს ჩვენ მოვიხმართ ბალზე, ბატონიშვილს კი რუსები შიმშილით არ მოჰკლავენო“ (გოზალიშვილი 1970: 508). აქ ნახსენები გიორგი ერისთავი არის *გიორგი რევაზის ძე ერისთავი*, ხოლო *ბატონიშვილი* – დედამისი, *ანასტასია ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილი*.

² (გვ. 137) „დედაშენს ბატონიშვილს მზითევი არ მიუღია“ – ანასტასია ბატონიშვილის მიერ მზითვის მიუღებლობის შესახებ მაქს. ბერძნიშვილი შენიშნავს: „ანასტასია 1814 წ. დაქვრივდა. 1817 წ. აღძრა საქმე მისთვის მიუცემელი მზითვის ნაცვლად ერთდროული ფულადი დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1818 წ. ალექსანდრე I-ის ბრძანებით მას მისცეს 4250 მანეთი. 1825 წ.

მიემგზავრება პეტერბურგს, თან მიჰყავს უმცროსი ვაჟი გიორგი სასწავლებლად“ (ბერძნიშვილი 1980: 133).

³ (გვ. 137) „თ-ე: ფ-უ“ – თეთრი ფული (იგივეა, რაც ვერცხლის ფული).

⁴ (გვ. 137) „ოლონდაც ბალი გავაკეთოთ“ – აჯანყების დამეს გასამართი **ბალის** შესახებ იხ. აქვე, გვ. 339. საინტერესოა, რომ ბალის ლუარსაბ ორბელიანის სახლში გამართვის ინიციატორად იასე ფალავანდიშვილი აღ. ორბელიანს ასახელებს: „სთქვა ალექსანდრე ორბელიანოვმა, ეგების შევაგულიანოთ მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი, რომ იმის სახლში მოხდეს ბალი, ამიტომ, რომ მოხერხებული ადგილი არის და დიდი მოედანი და ჰსთხოვა ელიზბარს, ლუარსაბს შეადეგო“ (გოზალიშვილი 1935: 324). დიმ. ყიფიანი ბალის გამართვის ინიციატორად იასე ფალავანდიშვილს ასახელებს (ყიფიანი 2021: 120).

60. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (I)

(გვ. 138)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2736. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წლის 2 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 2 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 2 მაისს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

61. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (II)

(გვ. 138)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2736. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წლის 2 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 2 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 2 მაისს“. კომისიის

კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 138) **„ვახტანგ ორბელიანი უჩვენებს (ფ. 1567) ... შერვაშიძესთან, თქვენც გქონდათ საუბარი“** – კომისიას მხედველობაში აქვს ვახტანგ ორბელიანის 1833 წ. 23 თებერვლის ჩვენება: „თავად შერვაშიძეს ჩვენს განზრახვაზე ელაპარაკა ჩემი ძმა ალექსანდრე და, მგონია, ელიზბარ ერისთოვიც“ (გოზალიშვილი 1970: 364).

62. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (III)

(გვ. 139)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2748. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 2 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, პოდპორუჩიკს, თავად ორბელიანოვს. 2 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 2 მაისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 139) **„თქვენ ადრე დაგისვენს შეკითხვა ... 1831 წელს არავითარი განკარგულება არა გქონიათ და არც ამბოხების თარიღი დაგინიშნავთ“** – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 26 აპრილის (II) ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 134-135; იხ. აგრეთვე: მისივე ჩვენება 1833 წ. 20 თებერვლისა, გვ. 81-84).

² (გვ. 139) **„სხვა თქვენი თანამზრახველები უჩვენებენ (ფ. 2598 და 2696) – კომისიას მხედველობაში აქვს გიორგი დავითის ძე ერისთავის 1833 წ. 25 აპრილის ჩვენება (მეორე თანამზრახველის ვინაობა ვერ გამოვარკვიეთ): „1831 წელს ასე ვაპირებდით განხორციელებას: მოგვეწყო ბალი, მოგვეპატიჟა ყველა უფროსები და დანიშნულ დროს ყველა ამოგვეხოცნა, ამასთა-**

ნავე, ერთდროულად თავს დავსხმოდით ყველა მთავარ პოსტებს, აგველო არსენალი, ციხე, თოფის ნამლის მაღაზია და სხვა სახაზინო დანესებულებები, აგრეთვე უნდა თავს დავსხმოდით ერთდროულად მთავარ შტაბებს. ასე ვფიქრობდით მოგვეყვანა სისრულეში“ (გოზალიშვილი 1970: 625; იხ. აგრეთვე, იმავე გ. დ. ერისთავის 1833 წ. 26 თებერვლის ჩვენება – გოზალიშვილი 1935: 394).

³ (გვ. 139) **„ეს ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინათ შემოდგომაზე, რადგან ამ დროისთვის ყველა სამუშაო უკვე დასრულებულია ხოლმე“** – შეიძლება ვიფიქროთ, რომ კომისიას აქ საშემოდგომო (სასოფლო-სამეურნეო) სამუშაოების დასრულება აქვს მხედველობაში.

63. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (IV)

(გვ. 140-141)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2760-2761. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 2 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „აღმასრულებელი ექსპედიციის ყოფილ სოვეტნიკს, ბ-ნ გადამდგარ პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 2 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 6 მაისს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხები – ქართულ ენაზე.

ქვეყნება პირველად.

¹ (გვ. 140) **„თქვენი ადრინდელი ჩვენებიდან ჩანს (ფ. 1488)“** – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1833 წ. 20 თებერვლის ჩვენება [იხ. აქვე, გვ. 81-87. კომისიის მიერ მითითებულია ჩვენების რუსული თარგმანის პაგინაცია (ფ. 1488)].

² (გვ. 140) **„...თქვენივე აღიარებით (1445)“** – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1833 წ. 16 თებერვლის ჩვენება [იხ. აქვე, გვ. 76-79. კომისიის მიერ მითითებულია ჩვენების რუსული თარგმანის პაგინაცია (ფ. 1445)].

³ (გვ. 140) **„გარდა თქვენ ორისა, კიდევ ვისთვის შეიძლება და ყოფილიყო ეს ცნობილი (42)?“** – კომისია უთითებს ([ფ.]42) ზაქარია ჩოლოყაშვილის 1832 წ. 13 (?) დეკემბრის ჩვენებას: „[ალექსანდრე ორბელიანმა] გამინვია ი. ფალავანდოვთან, რო-

მელთან მისვლისთანავე ალექსანდრემ უამბო მასაც ყველაფერი და კვლავ მთხოვა რჩევა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. მე ვთხოვე ალექსანდრეს, გულწრფელად ეთქვა, თუ როგორ, რა მისწერა და ვისი დარიგებით [ალექსანდრე ბატონიშვილს]. „ჩემო ძმავო ზაქარიავ, უნდა გამოგიტყდე, რომ შარშან მე და თამარ ბატონიშვილი ვაპირებდით ვითომდა იერუსალიმში წასვლის საბაბით ალექსანდრე ბატონიშვილის ნახვას, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრეთ და ლუარსაბმა, მამუკამ [ორბელიანებმა], [ალექსანდრე] ჭავჭავაძემ და ყველა სხვებმა მაიძულეს მიმეწერა მისთვის წერილი, რომელიც გავატანე მოლა ზამანას და ერთ სხვა თათარს, და აი მე ვფიქრობ, რომ ამ მეორე თათარმა ეს ვილაცხას უამბო, რომელსაც შეუძლიან ყველაფერი მთავრობას აცნობოს და მაშინ მე დავიღუპებიო... აქ იყო აგრეთვე თ. გუსარი [გიორგი რევაზის ძე] ერისთავი“ (გოზალიშვილი 1935: 151). ალ. ორბელიანის მიერ ნახსენები **„მეორე თათარი“** არის **მაჰმადა (ბალა მაჰმადა)**.

⁴ (გვ. 141) **„კაპიტანი ჩელოყაევი უჩვენებს (1097 და 2680)“** – კომისიას მხედველობაში აქვს ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენებები: ა) „ალექსანდრე ორბელიანოვმა განმიცხადა... თავადები: ორბელიანოვები, მუხრანბატონები, [ალექსანდრე] ჭავჭავაძე, ბატონიშვილები თეკლე და თამარ იულონის ასული, ერთი სიტყვით, ყველანი, წარსულ 1831 წელში განვიზრახვიდით მოგვეხდინა საერთო აჯანყება...“ (გოზალიშვილი 1970: 242); ბ) „ალექსანდრე ორბელიანოვისაგან გავიგონე, რომ მესვეურად ითვლება თამარ ბატონიშვილი“ (გოზალიშვილი 1970: 621).

64. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (V)

(გვ. 141-144)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2770-2774ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 2 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 2 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 6 მაისს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხები – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 142) „სახელდობრ რა იცით თამარ ბატონიშვილისგან ამ მიმონერის შესახებ“ – თამარ ბატონიშვილს თბილისიდან პეტერბურგსა და მოსკოვში მიმონერა ჰქონდა დიმიტრი, ოქროპირ, ფარნაოზ, სალომე ფარნაოზის ას. ბატონიშვილებთან. კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველ წერილებს იგი წვავდა (გოზალიშვილი 1976: 37), დანარჩენს კი ინახავდა (დიმიტრი ბატონიშვილის წერილები თამარისადმი იხ. გოზალიშვილი 1935: 105-109). ეს შემონახული წერილები საბოლოოდ საგამომძიებლო კომისიის ხელთ აღმოჩნდა (გოზალიშვილი: 1970: 514), თუმცა იქ კომისიამ სასარგებლო და გამოსადეგი ვერაფერი იპოვა. რაც შეეხება პეტერბურგში მცხოვრებ სალომე ფარნაოზის ას. ბატონიშვილს, იგი, ისევე, როგორც მამამისი, უდავოდ იყვნენ მონაწილენი შეთქმულებისა, თუმცა კომისია ამ საქმეს არ ჩაეძია. ფარნაოზ ბატონიშვილის შესახებ რუსეთის სამხედრო მინისტრ ალ. ჩერნიშოვისადმი კავკასიის მთავარმართებელ გრ. როზენის 1833 წ. 16 მარტის წერილში ვკითხულობთ: „ფარნაოზ ბატონიშვილზე და ზოგიერთ სხვებზე შეიძლება იქნეს მიტანილი ეჭვი და ისიც იმაში, რომ ისინი ან თანაუგრძნობდნენ, ან ნაწილობრივ იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ვიდრე მონაწილეობაში. ამიტომ რომელიმე მათგანის აქ (პეტერბურგიდან თბილისში – თ. ჯ.) გამოგზავნა სრულიად ზედმეტი იქნებოდა, რასაკვირველია, თუკი მათ წინააღმდეგ რამე ახალი და მნიშვნელოვანი რამ არ გამოირკვევა“ (გოზალიშვილი 1976: 457), სალომე ბატონიშვილს კი კომისიამ საბოლოოდ მკაცრი მეთვალყურეობა დაუნიშნა [აქტები 1881: 412; ფარნაოზ და სალომე ბატონიშვილთა კავშირებზე შეთქმულებთან იხ.: ბერძნიშვილი 1983: 170-171, 197-198; პაპავა 1990: 64-67; პეტერბურგში ფარნაოზ ბატონიშვილის ოჯახის წევრებთან, მათ შორის, სალომესთან შეხვედრას ახსენებს გრ. ორბელიანი თავის თხზულებაში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (ორბელიანი 1959: 223)].

² (გვ. 144) „ელიზბარ ერისთოვმა მითხრა მართა მესხიევისასი“ – მართა მესხიევი (ალექსი-მესხიშვილი; იხსენიება მესხიშვილის გვართაც): იოველ ალექსი-მესხიშვილის ქვრივი (იოველი იყო ძმა შეთქმულ ტარასი ბერისა (ალექსი-მესხიშვილისა; ტარასის აზრი რძალსა და მის ოჯახზე იხ. – გოზალიშვილი 1970: 413-414). მართა ალექსი-მესხიშვილი შეთქმულ დავით და დიმიტრი თარხანოვებთან (თარხნიშვილებთან, თარხან-მოურავებთან) იყო დაახლოებული და მათ ერთგვარ შუამავლობასაც უწევდა თამ-

არ ბატონიშვილთან [იასე ფალავანდიშვილი კომისიას უჩვენებს: „ელიზბარ და გიორგი ერისთოვები მეუბნებოდნენ, როგორც მახსოვს, რომ ალექსიევის ცოლს დავალბებული ჰქონდა ეთქვა დიმიტრი თარხანოვის ცოლისათვის, რათა დაეთანხმებინა თავისი ქმარი (გოზალიშვილი 1970: 398) და ა. შ.]. მართა ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობა შეთქმულებაში ეჭვს არ იწვევს (მის მიერ მიცემული ჩვენებები იხ.: გოზალიშვილი 1935: 370-371, 428-429, 434-435 და შმდ.), თუმცა მის „დანაშაულს“ კომისია ბოლომდე არ მიჰყვა, ხოლო 1833 წ. 5 (?) ივლისს მთავარმართებელ გრ. როზენს იმავე კომისიამ აცნობა: „მართა მესხი-ალექსიევი შეიძლება განთავისუფლდეს, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება იქნებოდეს მიღებული მის მიმართ, რადგანაც ერთის მხრით, ეჭვი მის კავშირურთიერთობაზე თავადებთან დამაკმაყოფილებლად არის გამორკვეული; მეორე მხრით მის წინააღმდეგ ჩვენებები და პირდაპირი ბრალდება საკმარისად არ მოიპოვება. კომისიას აქვს პატივი გამოითხოვოს თქვენი აღმატებულებისაგან ნებართვა ქვრივ მართას განთავისუფლების შესახებ და ამასთანავე წარმოგიდგინო საბოლოო ამონაწერი მისი მონაწილეობის შესახებ“ (გოზალიშვილი 1976: 286). *საბოლოო გადაწყვეტილება*ს რაც შეეხება, მართა ალექსი-მესხიშვილი სასჯელისგან გაათავისუფლეს, თუმცა დაუწესეს საიდუმლო მეთვალყურეობა (გოზალიშვილი 1976: 430).

65. ჩვენება 1833 წლის 2 მაისისა (VI)

(გვ. 144)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2790. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 2 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თ-დ ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 2 მაისი 1833“ და „მიღებულია 1833 წლის 6 მაისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 144) „მამუკასთან ლუარსაბის თანდასწრებით“ – იგულისხმებიან *მამუკა (მაკარ)* და *ლუარსაბ ორბელიანები*.

66. ჩვენება 1833 წლის 5 მაისისა
(გვ. 145-146)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2802-2804ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 5 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 5 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 6 მაისს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხები – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 145) „**როგორც იასე ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 2630)**“ – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის ჩვენება: „თანაგანმზრახველთაგან, როგორც არიან: სოვეტნიკი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანოვები, ელიზბარ, გიორგი და დიმიტრი ერისთოვები და კაპიტანი ჩელოყაევი, მოენყოს ბალი, მოვიწვიოთ კორპუსის უფროსი და სხვა რუსი მოხელეები, აგრეთვე, ქართველები. ამ ბალზე უნდა იყვნენ თავადები, რომლებმაც იციან შეთქმულება, გამბედავნიც არიან“ (გოზალიშვილი 1970: 605; ბალის შესახებ იხ. აქვე, გვ. 339).

² (გვ. 145) „**მე ამას წინათაც მოვახსენე კომისიას**“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 1833 წ. 12 აპრილის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 123).

³ (გვ. 145) „...**იასე ფალავანდოვს ჩემზე ხომ მტრობა არ-არაი აქვს, ანუ იქნება მამი ჩემისა რაიმე ახსოვს ძვირი, და იმისთვის სწერდეს ესოდენს აუფს ჩემზე**“ – ფალავანდიშვილებსა და ორბელიანებს შორის ჩამოვარდნილი აქ ნახსენები *მტრობის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 156, 441.

⁴ (გვ. 145) „**თავადი ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 7)**“ – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის 1832 წ. 11 დეკემბრის ჩვენება: „...თქვა ალ. ორბელიანმა, რომ შარშან ამ საგანზე ელაპარაკა ის დრაგუნთა პოლკის პროპორშიკ შერვაშიძეს, რომელმაც უთხრა მას, რომ ოლონდ ეს აღსრულდეს და ის თავის მხრივ გამოიყვანს თავისი სამფლობელოებიდან 2000 კაცს“ (გოზალიშვილი 1935: 134).

⁵ (გვ. 146) **„ვახტანგ ორბელიანოვი კი უჩვენებს (ფ. 1568)“** – კომისიას მხედველობაში აქვს ვახტანგ ორბელიანის 1833 წ. 23 თებერვლის ჩვენება: „მითხრა თავადმა შერვაშიძემ, რომ ... მე შემიძლიან მთელი აფხაზეთი ავაჯანყოო; ორი ათასი აფხაზით სრულებით გავწმენდავ აფხაზეთს რუსებისგანო“ (გოზალიშვილი 1970: 363-364; შეთქმულებაში კ. შარვაშიძის მონაწილეობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 322.

67. ჩვენება 1833 წლის 6 მაისისა (გვ. 146-147)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2794. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 6 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 4 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 6 მაისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 146) **„თავად ლუარსაბ ორბელიანოვის ჩვენებიდან ჩანს...“** – კომისიას, უნდა ვიფიქროთ, მხედველობაში აქვს ლუარსაბ ორბელიანის 1833 წ. 28 თებერვლის ჩვენება: „1832 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძემ [ორბელიანმა] მითხრა, რომ მისმა დედამ [თეკლე ბატონიშვილმა] და თამარ ბატონიშვილმა აგრეთვე იციან ეს საქმე; მიმახვედრა, რომ ქეთევან ბატონიშვილმაც უნდა უსათუოდ იცოდესო“ (გოზალიშვილი 1970: 384).

² (გვ. 147) **„მტრობა აქვთ ერთმანეთში მათ მუხრანცკებს“** – ქეთევან ბატონიშვილი იყო მეუღლე ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეთა (ერეკლე II, გიორგი XII) სახლთუხუცესის, **იოანე მუხრანბატონისა** (ბაგრატიონ-მუხრანსკისა).

68. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (I)

(გვ. 147)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2858. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 9 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 9 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 მაისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 147) „შეიტანეთ თუ არა მასზე საჩივარი ან განსვენებულ გრაფ დიბიჩ-ზაბალკანსკისთან“ – გენერალი ივანე ივანეს ძე დიბიჩ-ზაბალკანსკი 1827 წელს პეტერბურგიდან კავკასიაში სპეციალურად იყო მოვლინებული ა. ერმოლოვსა და ივ. პასკევიჩს შორის წარმოშობილი კონფლიქტის გამოსარკვევად.

69. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (II)

(გვ. 147-149)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2864-2865. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 9 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ორბელიანოვს. 9 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 მაისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„ველიკი კნიაზი“ – Великий князь: დიდი მთავარი.

„პადლეცები“ – Подлец: სალახანები, ნაძირლები.

¹ (გვ. 147) „ვახტანგ ორბელიანოვი უჩვენებს (ფ. 2800)“ – იგულისხმება ვახტანგ ორბელიანის 1833 წ. 5 მაისის ჩვენე-

ბა (გოზალიშვილი 1935: 457-458), რომელშიც გადმოცემულია ის ამბავი, რასაც კომისია ალ. ორბელიანს ეკითხება (საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე, აქვე, გვ. 201).

² (გვ. 148) „...თითქოს თავადი დადიანი იმერეთის ბატონიშვილს უგზავნიდა და ამით დადიანი ხათაბალაში გავხვიეო“ – იასე ფალავანდიშვილის ნაყალბევი წერილების შესახებ იხ. აქვე, გვ. 201, 321-322, 488.

³ (გვ. 148) „ორი გაკრეჭილი ღვდელი ვიცეო“ – ორი გაკრეჭილი მღვდლის შესახებ იხ. აქვე, გვ. 55, 359-360.

⁴ (გვ. 148) „დადიანის მაგიერად განგებ წიგნი გავაკეთე ბატონიშვილებთანაო“ – იგულისხმებიან: ა) სამეგრელოს მთავარი **ლევან დადიანი**; და ბ) **ვახტანგ და ტარიელ იმერეთის ბატონიშვილები**, რომლებსაც (იმერეთის ბატონიშვილებს), პოლიტიკური მიზნებით ოსმალეთის გავლით საფრანგეთში მიმავალთ, იასე ფალავანდიშვილი ახალციხეში გადაეყარა (ვახტანგ და ტარიელ ბატონიშვილების პარიზში ყოფნისა და მარი ბროსესთან მათი ურთიერთობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 360-361).

⁵ (გვ. 148) „წიგნი ერმალოვს ჩაუვარდა...“ – *ერმალოვი*: საქართველოს მთავარმართებელი (1816-1827) და კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1816-1826) **ალექსი ერმალოვი** (იასემ ცრუწვენება ლევან დადიანისა და ვახტანგ ბატონიშვილის „დანაშაულებრივი“ კავშირის შესახებ მისცა ოდესაში, საიდანაც ჩვენების დედნები იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სახელზე პეტერბურგში, ხოლო ასლები თბილისში ა. ერმალოვთან გაიგზავნა – ბერძნიშვილი 1983: 192).

⁶ (გვ. 148) „რუსეთში ორ რიგად მოხდა აღრეულობა ... ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ პავლოვიჩისას“ – ორ აღრეულობაში ი. ფალავანდიშვილი, უნდა ვიფიქროთ, გულისხმობდა: ა) რუსეთის საიმპერატორო ტახტზე დიდი მთავრის („Великий князь“), *კონსტანტინე პავლეს ძის*, კანონიერ უფლებასთან დაკავშირებულ კონფლიქტს. მას შემდეგ, რაც 1825 წ. 1 დეკემბერს (აქ და ქვემოთ: ახ. სტ.) უშვილო ალექსანდრე I გარდაიცვალა, ტახტი მის მომდევნო ძმას, კონსტანტინეს, უნდა დარჩენოდა და იგი 1 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე ითვლებოდა კიდევაც რუსეთის ფორმალურ იმპერატორად, თუმცა მას მომდევნო ძმა, ნიკოლოზი, ეცილებოდა. შესაბამისად, ფაქტობრივი ორმეფობის გამო პოლიტიკური ვითარება რუსეთში ალექსანდრე I-ის გარდაცვალებიდან ნიკოლოზ I-ის მიერ ფიცის მიღებამდე მეტად

გამწვავებული იყო; და ბ) აბსოლუტური მონარქიის დასამხობად დეკაბრისტების 1825 წ. დეკემბრის ცნობილი გამოსვლას, რომელიც წინ უსწრებდა ნიკოლოზ I-ის ასვლას ტახტზე.

იასე ფალავანდიშვილის მონათხრობში ძნელია გარჩევა, სად ამბობს იგი სიმართლეს და სად – ტყუილს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოდან გაქცეულმა იასემ ოსმალეთში (ახალციხეში) 1826 წლის გაზაფხულზე (10 მაისს) ჩააღწია (აქტები 1874: 639), ამ დროს კი მის მიერ ნახსენები რუსეთის „აღრეულობები“ კარგა ხნის ჩამცხრალი იყო (ვრცლად იასეს ოსმალეთში გაქცევისა და ამასთან დაკავშირებული პერიპეტიების შესახებ იხ.: აქტები 1974: 638-643; ბერძინიშვილი 1983: 192-193; ჯოლოგუა 2013¹: 8-9; საერთოდ, ი. ფალავანდიშვილს ფანტაზია განვითარებული ჰქონდა. ამის დასადასტურებლად საკმარისია დავიმოწმოთ, თუ როგორ უყვებოდა იგი 1850-იან წლებში პეჩ-ორაში, სოფ. უსტ-ცილმაში, ჩასულ რუს ეთნოგრაფს, სერგეი მაქსიმოვს, თბილისში ალ. პუშკინის ჩამოსვლის ცრუისტორიას – იხ. ჯოლოგუა 2013¹: 54-55, 108-109).

70. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (III)

(გვ. 149)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2866. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 9 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ გადამდგარ პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს (ყოფილ სოვეტნიკს). 9 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 მაისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 149) „ამბოხებისთვის მონდომებით მუშაობდა პრაპორუჩიკი, თავადი ზაქარია ციციანოვი (ფ. 1589)“ – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 25 თებერვლის ჩვენება. იასე იმონმებს ალ. ორბელიანის ნათქვამს, რომ 1831 წელს აჯანყების მოსამზადებლად „გაცხარებით მუშაობდნენ“ და მათ შორის, ვინც „გაცხარებით მუშაობდა“,

დასახელებულია **ზაქარია ციციშვილი** (გოზალიშვილი 1935: 387). უნდა ითქვას, რომ კითხვა ზ. ციციშვილის შესახებ მოგვიანებით კომისიამ ალ. ორბელიანს კიდევ ერთხელ დაუსვა (იხ. აქვე, გვ. 154-155).

71. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (IV)

(გვ. 149-151)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2888-2889. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 464-466. **თარიღი:** 1833 წ. 9 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს“ და „მიღებულია 1833 წლის 9 მაისს“. შეკითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 149) „**მოლა ზამანამ აჩვენა (268-269)**“ – მოლა ზამანას აქ ნახსენები ჩვენება იხ. გოზალიშვილი 1970: 110.

² (გვ. 150) „**რაც იმ მაჰმადას დავაბარე, ხომ კომისიისათვის მომიხსენებია**“ – ჩანს, აქ ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 1833 წ. 11 აპრილის ჩვენება [იხ. აქვე, გვ. 122. საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე, 1833 წ. 6 სექტემბრის ჩვენება (გვ. 220-221)].

³ (გვ. 151) „**უთხარ: კარგი, ნადით, საჭირო აღარ არის მეთქი, და მგონია, რომ, არ ვიცი, სამი, თუ ორი მინანთულიც ვაჩუქე**“ – მოლა ზამანას მიერ *კაცების* ჩამოყვანისა და *მინანთულის* ჩუქების შესახებ ალ. ორბელიანი თავის 1832 წ. 31 დეკემბრის ჩვენებაშიც წერს (იხ. აქვე, გვ. 52).

72. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (V)

(გვ. 151)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 15. ფ. 2896. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 9 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 9 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 მაისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

73. ჩვენება 1833 წლის 9 მაისისა (VI)

(გვ. 151-152)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 16. ფ. 2908. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 77. **თარიღი:** 1833 წ. 9 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 9 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 16 მაისს“. შეკითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 151) „...გამოუთქვამს თქვენი თანადასწრებითაც, როგორც ამას თქვენი ძმა ვახტანგი აჩვენებს“ – კომისიას მხედველობაში აქვს ვახტანგ ორბელიანის 1833 წ. 17 თებერვლის ჩვენება: „თამარ ბატონიშვილმა იცოდა ჩვენი შეთქმულება 1831 წ. და თანახმა იყო, თუ უსისხლოდ მოხდებოდა. – აგრეთვე იცოდა 1832 წელს და თანხმდებოდა უსისხლოდ მოხდენაზე. თამარ ბატონიშვილთან ამ საგანზე ულაპარაკნია: თ. ელ. ერისთოვს, ჩემს ძმას ალექსანდრესა და მე“ (გოზალიშვილი 1935: 367).

74. ჩვენება 1833 წლის 11 მაისისა

(გვ. 152-153)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 16. ფ. 2958-2959ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 63-64. **თარიღი:** 1833 წ. 11 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 9 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 16 მაისს“. შეკითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 152) „...როგორც ამაზე არსებობს ჩვენება (გვ. 1589)“ – იგულისხმება იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 25 თებერვლის ჩვენება: „ალექსანდრემ მითხრა, რომ ლუარსაბს დავალებული ჰქონდა თავის მოურავ ავთანდილოვისათვის, რათა აქ აჯანყების შემთხვევისათვის მას გლეხები მზადა ჰყოლოდა“ (გოზალიშვილი 1935: 387). ლუარსაბ ორბელიანის მოურავი იყო სტეფანე ავთანდილოვი, მამა შეთქმულ ზაალ ავთანდილოვისა.

² (გვ. 152) „ჩვენებათაგან 2112...“ – იგულისხმება ზაქარია ჩოლოყაშვილის 1833 წ. 28 მარტის ჩვენება: „მან (ლუარსაბ ორბელიანმა – თ. ჯ.) გვითხრა: გთხოვთ, ბატონებო, დაიცადოთ, ვიდრე ყველა თავადი აქ შეიკრიბება არჩევნებზე (ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნები იგულისხმება – თ. ჯ.) და მაშინ, თუ ისინი თანახმა იქნებიან, მე გთავაზობთ ჩემს სახლს და პირობას გაძლევთ, რომ ბალი ჩინებული იქნებაო“ (გოზალიშვილი 1970: 456). აქ ნახსენები **ბალის** შესახებ იხ. აქვე, ალ ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის (კომენტ. 49), აგრეთვე, 1833 წ. 29 აპრილისა (II) და 19 ივლისის ჩვენებები.

³ (გვ. 153) „მაჩვენეს მე ის რასპარაჟენია“ – რასპარაჟენია (განკარგულება): იგულისხმება „პირველი ღამის განკარგულება“, რომლის შესახებ იხ. აქვე, გვ. 344-345.

⁴ (გვ. 153) „თავადი ივანე ზაალის ძე ბარათოვი უჩვენებს ... ცხოვრებაში პურს არ შეჭამთ ერთმანეთის ოჯახებში“ – კომისიას მხედველობაში აქვს ივანე (იოანე) ბარათაშვილის 1833 წ. 9 მაისის ჩვენება (გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში შეცდომით 29 მაისია): „ალექსანდრე [ორბელიანი] როგორ გამიბედავდა, რომელიც არის ჩამომავლობით მტერი და მამულის მოდავე. საქართველოში ვერ იმოვის ორს კეთილშობილს, რომ ჩემს დღეში მაგის სახლში პური მეჭამოს და ან მაგას ჩემს სახლში პური ეჭამოს და თუ ვილაც ამხანაგნი ჰყოლია, თუ ისინი ტყუილად იმონებენ, ხომ არ დაეჯერება“ (გოზალიშვილი 1976: 58). მანამდე ალ. ორბელიანი ივ. ბარათაშვილს, როგორც შეთქმულებაში თანაგანმზრახველს, მოიხსენიებს თავის 1833 წ. 25 თებერვლისა

და 5 აპრილის ჩვენებებში (იხ. აქვე, გვ. 94, 119). თავის მხრივ, კომისია ივ. ბარათაშვილს პასუხს სთხოვს ალ. ორბელიანის 5 აპრილის ჩვენებაში ნათქვამ გარემოებებზე.

75. ჩვენება 1833 წლის 13 მაისისა

(გვ. 154)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 16. ფ. 2974. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 67. **თარიღი:** 1833 წ. 13 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, ბ-ნ გადამდგარ პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 13 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 16 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 154) „**თქვენს ჩვენებაში (1650) თქვენ განაცხადეთ**“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 28 თებერვლის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 96-97). კომისიის შეკითხვაში მითითებული შეთქმულების მასალების პაგინაცია (ფურცელი 1650) არის ალ. ორბელიანის ხსენებული ჩვენების რუსული თარგმანის მონაცემი, თვითონ ქართულ ენაზე დანერილი ჩვენების ფურცლებია 1645-1647. კომისიის შეკითხვასა და ალ. ორბელიანის ჩვენებაში ნახსენები *ისპრავნიკი პაუშენკო* არის დუშეთის მაზრის პოლიციის უფროსი („ისპრავნიკი“) და 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი **დიმიტრი პავლეს ძე პაუშენკო**, რომელზეც გიორგი დავითის ძე ერისთავი უჩვენებს: „თუმცა წინათ მერიდებოდა პაუშენკო, როცა ალექს. ორბელიანთან მოდიოდა ხოლმე, მაგრამ როცა დაინახა, რომ შეთქმულებას გატაცებით მოვეკიდე, მაშინ კი გულახდილად მელაპარაკებოდა, მაძლევდა რჩევას, აღგვაგზნებდა, რომ არც დღე და არც ღამე არ უნდა დაიძინოთ. ის ყოველ საღამოს დაიარებოდა ალექსანდრესთან და მოჰქონდა ამბები: პოლონეთში ესა და ეს ხდება, საფრანგეთში ესა და ესაო“ (გოზალიშვილი 1935: 395).

დიმ. პაუშენკო დაპატიმრებისას 40 წლისა იყო, ჰყავდა მეუღლე და ერთი წლის გოგონა – ელენე (ბიოგრაფიული ცნობები

დომ. პაუშენკოს შესახებ იხ. გოზალიშვილი 1976: 433). საგამომძიებლო კომისიამ იგი „მონაწილეთაგან ყველაზე უფრო დამნაშავეთა“ რიცხვში შეიყვანა (გოზალიშვილი 1976: 428). საბოლოოდ დომ. პაუშენკო ასტრახანში გადასახლეს [თბილისიდან ასტრახანში გაგზავნეს 1834 წ. 27 ივნისს (გოზალიშვილი 1976: 437)].

შეთქმულების მასალებში დომ. პაუშენკო **რუსად** იხსენიება და ერთგან თვითონაც ამბობს „**რუსი ვარო**“ (გვ. 161), თუმცა წყაროების მიხედვით, იგი **უკრაინელი** (მალაგოსიელი) ჩანს – მამამისი, ვაჭარი *პავლე გრიგოლის ძე პაუშენკო*, ეკატერინოსლავის გუბერნიის ქ. ალექსანდროვსკის მკვიდრი იყო (იხ. ნოვიცკი 1905: 203, 206, 208).

76. ჩვენება 1833 წლის 17 მაისისა

(გვ. 154-155)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 16. ფ. 2996-2996ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 74-75. **თარიღი:** 1833 წ. 17 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ გადამდგარ პოდპორუჩიკს, ალექსანდრე ორბელიანოვს (ყოფილ სოვეტნიკს). 16 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 20 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში ჩვენება დათარიღებულია 27 მაისით (დედანში 17 მაისია), ხოლო ჩვენების კომისიაში მიღება – 26 მაისით (დედანში 20 მაისია).

¹ (გვ. 155) „**ჩემზე მას მტრობა ხომ არარაი აქვს, და ანუ მამიჩემისა**“ – ი. ფალაგანდიშვილისა და ალ. ორბელიანის ოჯახებს შორის ჩამოვარდნილი მტრობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 441.

² (გვ. 155) „**ადრიდგანვე მოვახსენე კომისიას**“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 1833 წ. 20 თებერვლისა და 26 აპრილის (II) ჩვენებები (იხ. აქვე, გვ. 83-84, 135).

77. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (I)

(გვ. 156)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 16. ფ. 3018. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 23 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ა. ორბელიანოვს. 23 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 23 მაისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 156) „ფილადელფისა მხოლოდ იმ აკტის მეტი სხვა არა რაი ვიცირა“ – იგულისხმება ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილი „აკტი გონიური“ („აკტი გონიურის“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 355-356, 357-358).

78. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (II)

(გვ. 156)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 16. ფ. 3034-3034^ა. **თარიღი:** 1833 წ. 23 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად იასე ფალავანდოვს. 23 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 23 მაისს“.

ქვეყნდება პირველად.

აღ. ორბელიანის ეს ჩვენება (ქართულ ენაზე) დართული აქვს იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 23 მაისის ჩვენებას. ი. ფალავანდიშვილი უპასუხებს კომისიის კითხვას, ჰქონდათ თუ არა, ერთი მხრივ, მას ან მის ოჯახსა და, მეორე მხრივ, აღ. ორბელიანს ადრე რაიმე სახის მტრობა ან უკმაყოფილება და, თუ ჰქონდათ – რასთან დაკავშირებით? იასე უპასუხებს: „ჩვენსა და ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვს შორის არის მტრობა. როგორც გამიგონია, ჩემს გვართან დაკავშირებით

მამამისს საჩივარი ჰქონდა შეტანილი“ (იასეს ჩვენება რუსულ ენაზე).

¹ (გვ. 156) **„განსვენებული მამა ჩემი შევიდა მთავრობასა შინა დანოსით ესრეთ ... მაგისი გვარი არის ნამდვილად მიქაიჩი, და არა თავადი ფალავანდოვიო“** – ალ. ორბელიანის მიერ ნახსენები „დანოსის“ (რუს. **Донос** – დაბეზღება; აქ: საჩივარი) შესახებ მაქს. ბერძნიშვილი წერს: „იოსებ დეკანოზის შვილები მიხეილ და ნიკოლოზ ფალავანდიშვილები 1812 წ. თავადობას ეძიებდნენ. მაშინ ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანმა (ალ. ორბელიანის მამამ – თ. ჯ.) საჩივარი შეიტანა – ეგენი თავადები არ არიან, მათი მამა იოსები მოვაჭრე ყონჩიას შვილიაო; უფრო გვიან პუპლია (ალ. ორბელიანი – თ. ჯ.) აღნიშნავს ერთ თავის მოგონებაში: „იმათი პირველი გვარი გლეხნი იყვნენ და გვართ ყორჩიშვილები (დედანში *ყორჩიშვილია* – თ. ჯ.) ერქოთ. ახლანდელს დროში... ნიკოლოზ თავის ეშმაკურის და გაიძვერა ხასიათით ჯერ აზნაურიშვილი შეიქნა და გვართ მიქაიჩი დაირქო, მასკვან თავადად იწოდა და გვართ ფალავანდოვი შეიქნა“ (ბერძნიშვილი 1983: 190; მაქს ბერძნიშვილი აქ იმონმებს მონაკვეთს ალ. ორბელიანის მოგონებიდან „ჭემმარიტი სიყვარული“). **მიქაიჩად** კი ფალავანდიშვილები იმიტომ იწოდებოდნენ, რომ მათი პაპა დედის მხრიდან იყო ამბროსი ნეკრესელი (მიქაძე). წყაროებში ფალავანდიშვილები *ყორჩიშვილებადაც* იხსენიებიან, რადგან „იოსებ დეკანოზის მამა იყო ყორჩი, პაპა კი ყორჩიბაში. თანამდებობის აღმნიშველი ეს სახელები მაშინ გვარსაც გამოხატავდნენ“ (ბერძნიშვილი 1983: 191).

² (გვ. 156) **„ჩემი ძმა ვახტანგ, მე, და თავადი ანტონ აფხაზოვი ერთათ ვიმყოფებოდით სეკრეტსა შინა“** – *სეკრეტსა შინა*: იგულისხმება ხსენებულ პირთა ყოფნა ერთ საკანში, გუშაგების მეთვალყურეობის ქვეშ (**Поставить секреты** – გუშაგების დაყენება).

79. ჩვენება 1833 წლის 23 მაისისა (III)

(გვ. 157)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3070. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 85. **თარიღი:** 1833 წ. 23 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 23 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 26 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა – გოზალიშვილი 1976: 83), პასუხი – ქართულ ენაზე.

კომისიამ იგივე შეკითხვა დაუსვა ელიზბარ ერისთავს, ვახტანგ ორბელიანსა და გიორგი რევაზის ძე ერისთავს. სამივეს პასუხი იყო: დიშ. ერისთავის შენიშვნების შესახებ არაფერი ვიცით და არც მას უჩვენებია ჩვენთვის რამეო (გოზალიშვილი 1976: 83-85).

¹ (გვ. 157) „არც სრულებით ვიცი რა ზამეჩანიე არის“ – *ზამეჩანიე* (რუს. Замечание – შენიშვნა). კომისიის შეკითხვა და აღ. ორბელიანის პასუხი ეხება ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის ტექსტზე დიმიტრი ერისთავის მინაწერებს, რომელიც კომისიას ჩაუვარდა ხელში (ტექსტი მანიფესტისა დიშ. ერისთავის მინაწერებით იხ. გოზალიშვილი 1935: 117-119; იქვეა დიშ. ერისთავის 1833 წ. 21 იანვრის მოკლე ჩვენება იმის შესახებ, რომ მან მანიფესტს თავისი „შენიშვნები“ პეტერბურგში მიანწერა და არავისთვის უჩვენებია).

80. ჩვენება 1833 წლის 26 მაისისა (I)

(გვ. 157)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3116. **თარიღი:** 1833 წ. 26 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 26 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 26 მაისს“. კომისიის შეკითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 157) „აი, ეს (ე. ი. ყორღანოვი) ასამდე კაცს იშოვის“ (**ფურც. 1017**) – ეს არის ფრაგმენტი იასე ფალავანდოვის 1833 წლის 4 თებერვლის ჩვენებისა, რომელშიც ნათქვამია: „ამ დროს ოთახში შემოსულ ზალიკა ყორღანოვს მე ვეუბნები, – ბატონე-

ბო, აი ეს ზალიკაც ასამდე კაცს იშოვნის მეტეჟი“ (გოზალიშვილი 1970: 225-226). *ზაალ (ზალიკო) ყორღანაშვილი* იასეს მსახური იყო (გოზალიშვილი 1970: 225). იგი ერთ-ერთ ჩვენებაში იასეს ნათქვამს ბუნტისთვის ასი კაცის *შოვნის* შესახებ კატეგორიულად უარყოფს (გოზალიშვილი 1935: 475). თვითონ ზ. ყორღანაშვილის ჩვენებით, მისთვის შეთქმულების ამბავი ელიზბარ ერისთავს გაუმჟღავნებია (გოზალიშვილი 1935: 474). საბოლოოდ ზ. ყორღანაშვილს რიგით ჯარისკაცად გამწესება მიესაჯა („გაიგზავნოს უბრალო ჯარისკაცად მე-19 ფეხოსანთა დივიზიის ერთ-ერთ რაზმში“ – გოზალიშვილი 1976: 429).

81. ჩვენება 1833 წლის 26 მაისისა (II)

(გვ. 157-159)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3138-3138ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 466-467. **თარიღი:** 1833 წ. 26 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 26 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 26 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 157) „გენ. მაიორის ჭავჭავაძის ბრძანება ალექსანდრე ბატონიშვილის კახეთში გამოწვევაზე, რაც თქვენ თავადმა ლუარსაბ ორბელიანოვმა გამოგიცხადათ“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის, 1833 წ. 7 თებერვლისა (პუნქტი 10) და 29 მარტის (პუნქტი 1) ჩვენებები.

82. ჩვენება 1833 წლის 27 მაისისა

(გვ. 159)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3184. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 468. **თარიღი:** 1833 წ. 27 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, ორბელიანოვის, განცხადება“ და „მიღებულია 1833 წლის 29 მაისს“.

¹ (გვ. 159) „...**მან მაჩაბელოვმა უარ ჰყო, და თანხმა არ შეიქნა**“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 1832 წ. 18 და 23 დეკემბრის ჩვენებები (იხ. აქვე, გვ. 35, 48).

83. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (I)

(გვ. 159-160)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3218. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 469-470. **თარიღი:** 1833 წ. 29 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვს. 29 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 29 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 159) „**ბიძინა ერისთოვი აჩვენებს, რომ როდესაც თქვენ პირველად ელაპარაკეთ მას განზრახულებაზე, ის არ დათანხმდა**“ – კომისიას, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ბიძინა ერისთავის 1832 წ. 16 დეკემბრისა (გოზალიშვილი 1935: 174) და 1833 წ. 10 თებერვლის (გოზალიშვილი 1935: 353) ჩვენებები, რომლებშიც იგი აცხადებს – 1831 წელს ალექსანდრე ორბელიანმა შეთქმულება კი გამომჟღავნა, მაგრამ მე არ დავთანხმდით.

² (გვ. 160) „**არაოდეს არა სურდა მას, რათა მომხდარიყო აღრეულობანი**“ – მთელი ეს ჩვენება ალ. ორბელიანისა, რასაკვირველია, კომისიის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა – ბიძინა ერისთავი აქტიური წევრი იყო შეთქმულებისა და ალ. ორბელიანთან, როგორც ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, მჭიდრო კონსპირაციული ურთიერთობა ჰქონდა.

84. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (II)

(გვ. 160)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3220. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 470. **თარიღი:** 1833 წ. 29 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თ-დ ა. ორბელიანოვს. 29 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 29 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

85. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (III)

(გვ. 161)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3222. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 470. **თარიღი:** 1833 წ. 29 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თ-დ ორბელიანოვს. 29 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 29 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 161) „...არ დამვიწყებია, როგორ ვიტანჯე უდანაშაულოდ რამოდენიმე წელს“ – კომისია იმავე დღეს იმავე კითხვას უსვამს ვახტანგ ორბელიანს, რაზეც იგი უპასუხებს: „მე გამიგონია ისპრავნიკ პაუშენკოსაგან 1831 წ., რომ ის შეურაცხყოფილია და რომ რამდენიმე წლის განმავლობაში იტანჯებოდა უდანაშაულოდ, მაგრამ არ მახსოვს, რომ მისგან აქ მოხსენებული ნათქვამი გამეგონოს“ (გოზალიშვილი 1935: 471). რაც შეეხება საკითხს, თუ რისთვის იტანჯებოდა უდანაშაულოდ დიმი. პაუშენკო, ჩვენ ეს ვერ გამოვარკვიეთ [სავარაუდოდ, საქმე სამსახურებრივ სასჯელს უნდა ეხებოდეს – 1833 წ. 6 მარტის ჩვენებაში დიმი. პაუშენკო უკმაყოფილებას გამოთქვამს გუბერნატორ ზავილეისკის მიმართ: სახელმწიფო მოხელეებს უდანაშაულოდ აძლედა პა-

სუხისგებაში ან თანამდებობიდან საქმის გამოუძიებლად უშვებ-
დაო (გოზალიშვილი 1935: 67)].

² (გვ. 161) „ნარსრულს 1832-სა“ – გ. გოზალიშვილის პუბ-
ლიკაციაში ლაფსუს კალამია: „1831-სა წელსა“, დედანშია „1832-
სა წელსა“.

86. ჩვენება 1833 წლის 29 მაისისა (IV)

(გვ. 161-162)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3230. **თარიღი:**
1833 წ. 29 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე
ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე):
„ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს ორბელიანოვს. 29 მაისი. 1833“ და „მიღე-
ბულია 1833 წლის 29 მაისს“. შეკითხვა რუსულ ენაზეა, პასუხი
– ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 161) „იასე ფალავანდოვი არის დიას ჩემი მტერი“ –
ი. ფალავანდიშვილსა და ალ. ორბელიანს შორის ჩამოვარდნილი
მტრობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 156, 441.

87. ჩვენება 1833 წლის 30 მაისისა

(გვ. 162)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3258-3258ა. ავ-
ტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 472-
473. **თარიღი:** 1833 წ. 30 მაისი. **ხელმოწერა:** ოსტავნოი [გადამ-
დგარი] პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე):
„სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის განცხადება“ და „მიღე-
ბულია 1833 წლის 31 მაისს“.

ამ ჩვენებაზე ალ. ორბელიანის გვიანდელი მინაწერი იხ. აქვე,
გვ. 164.

¹ (გვ. 162) „კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენ-
ებად“ – საბუთში ტექსტი შეკითხვისა არ არის.

² (გვ. 162) „ბიძინა ერისთოვს წიგნი რომ მივსწერე ქართლ-
ში, და ვთხოვე, რათა ხსენებულნი პირნი ჩამოეყვანა ქალაქს“

– ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 1833 წ. 5 თებერვლის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 63).

³ (გვ. 162) „აქ, ქალაქში, მოახდინეთ აღრეულობა, და მასკვან ჩვენ ჯარით ჩამოვალთ“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 1833 წ. 20 თებერვლის (გვ. 83-84), 26 აპრილის (II. პუნქტი 3. გვ. 135) და 17 მაისის (გვ. 155) ჩვენებები.

88. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (I)

(გვ. 163)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3264. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 473. **თარიღი:** 1833 წ. 31 მაისი. **ხელმოწერა:** ოსტავნოი [გადამდგარი] პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ა. ვ. ორბელიანოვს. 30 მაისი, 1833“ და „მიღებულია 1833 წლის 31 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 163) „ბიძა ჩემს, ლუარსაბ ორბელიანოვს...“ – ელიზბარ ერისთავის დედა (ელენე ორბელიანი) იყო ლუარსაბ ორბელიანის და.

89. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (II)

(გვ. 163)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3278. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 476. **თარიღი:** 1833 წ. 31 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 31 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 31 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 163) „უნდა დავიფიცოთო, და ჩვენი ფიცი უნდა მოხდეს ალექსანდრეს ბაღშიო“ – შეთქმულთა შეხვედრებზე ფიცს ალ. ორბელიანი ითხოვდა (გოზალიშვილი 1935: 132, 165, 218 და

შმდ.), რაზეც ელიზბარ ერისთავი უპასუხებს: „ვინც პატიოსანი სიტყვას გასტყვს, ის ფიცსაც დაარღვევს. ამიტომ ფიცი საჭირო არ არის“ (გოზალიშვილი 1935: 183), ს. დოდაშვილის ერთ-ერთი ჩვენების მიხედვით კი, „გ. ერისთოვმა მიუგო, რომ პატიოსანი სიტყვაც საკმარისიაო“ (გოზალიშვილი 1935: 218).

90. ჩვენება 1833 წლის 31 მაისისა (III)

(გვ. 164)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3290-3290ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 476-477. **თარიღი:** 1833 წ. 31 მაისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 31 მაისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 31 მაისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 164) „თქვენ აჩვენეთ ... ფალავანდოვმა გკითხათ თქვენ, ნაკითხული გაქვთ თუ არა პირველი ღამის განკარგულება“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 23 იანვრის ჩვენება (გვ. 58). რაც შეეხება ალ. ორბელიანის მიერ ამ ჩვენებაში ნახსენებ *რასპარაჟენიას* (პირველი ღამის განკარგულებას), მის შესახებ იხ. აქვე, გვ. 344-345.

² (გვ. 164) „ჩემი მეორე ძმა გიორგი ერისთოვი“ – გიორგი [რევაზის ძე] ერისთავი (ანასტასია ბატონიშვილის ძე) ალ. ორბელიანის დეიდაშვილი იყო და ამიტომ უწოდებს იგი გ. რ. ერისთავს *მეორე ძმას* (იხ. აგრეთვე, გვ. 381).

91. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (I)

(გვ. 164)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 17. ფ. 3259. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 2 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ეს ჩვენება გვიანდელი მინაწერია ალ. ორბელიანის 1833 წ. 30 მაისის ჩვენებაზე (იხ. აქვე, გვ. 162).

ქვეყნდება პირველად.

92. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (II)

(გვ. 165)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3310. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 116. **თარიღი:** 1833 წ. 2 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ორბელიანოვს. 2 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 2 ივნისს“. კომისიის კითხვა, რომელიც გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში გამოტოვებულია, რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 165) „**თქვენ უჩვენებთ (ფ. 1402)**“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 12 თებერვლის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 73; ფ. 1402 მიუთითებს არა თვითონ ჩვენებას, არამედ მის რუსულ თარგმანს. ალ. ორბელიანის ჩვენების პაგინაციაა – ფ. 1400-1401).

² (გვ. 165) „**დიმიტრი ბატონიშვილისთვის ... გაგზავნილ წერილში**“ – *წერილის* შესახებ იხ. წინა კომენტარში მითითებული ალ. ორბელიანის 12 თებერვლის ჩვენება და მისი კომენტარები (გვ. 375).

³ (გვ. 165) „**შეკითხვაზე თქვენ უპასუხეთ (ფ. 2240)**“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 29 მარტის ჩვენების მე-4 პუნქტი (იხ. აქვე, გვ. 114).

93. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (III)

(გვ. 165)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3314. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 2 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ა. ვ. ორბელიანოვს. 2 ივნისი. 1833“ და „[მიღებულია] 1833 წ. 2 ივნისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 165) „ელიზბარ ერისთავის ჩვენებით...“ – კომისიას მხედველობაში აქვს ელიზბარ ერისთავის 1833 წ. 1 მარტის ჩვენება, რომელშიც ალ. ორბელიანის მიერ დიმ. პაუშენკოსთვის ნათქვამი სიტყვების შესახებ წერია: „ალექსანდრემ უთხრა მას (დიმ. პაუშენკოს – თ. ჯ.), რომ ალექსანდრე ბატონიშვილს წერილი მივწერეთო“ (გოზალიშვილი 1935: 410).

94. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (IV)

(გვ. 166)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3317. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **უთარილო.** **ხელმოწერა:** ალექსანდრე ორბელიანოვი.

ეს არის გიორგი დავითის ძე ერისთავის **1833 წ. 2 ივნისის** ჩვენებაზე დართული ალ. ორბელიანის მინაწერი, რომელიც კომისიის მიერ ასეა დასათაურებული (რუსულ ენაზე): „პაუშენკოს შესახებ პრაპორშჩიკ გიორგი ერისთავის პასუხზე დართული შენიშვნა ალექსანდრე ორბელიანოვისა“. ამის მიხედვით, ალ. ორბელიანის წინამდებარე ჩვენება **1833 წ. 2 ივნისით უნდა დათარიღდეს.**

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 166) „კომისიის კითხვასა ზედა“ – როგორც ითქვა, ალ. ორბელიანის ეს მინაწერი გიორგი დავითის ძე ერისთავის ჩვენებას აქვს დართული. თვითონ გიორგი დ. ერისთავის ჩვენ-

ებაში კი ვკითხულობთ: „ისპრავნიკი პაუშენკო დაიარებოდა ყოფილ სოვეტნიკ ალექსანდრეს სახლში, სადაც მეც ვიყავი ხოლმე, სოვეტნიკი ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთოვიც და აქ იგი გვაძლევდა რჩევა-დარიგებას და ალგვაგზნებდა, როგორც ეს წინათაც ვაჩვენე“ (გოზალიშვილი 1976: 116-117). თავის მხრივ, გ. დ. ერისთავის ეს ჩვენება პასუხია გენერალ-მაიორ ჩეკვინის შეკითხვისა: „*თქვენს ჩვენებაში (1616) ნათქვამია, რომ პაუშენკო გადალევდათ ხოლმე რჩევას თქვენი შეთქმულების შესახებ, ალგაგზნებდათ და გეუბნებოდათ: არც დღე და არც ღამე არ უნდა დაიძინოთ. განმარტეთ, სად და ვისი თანდასწრებით გაგიგონიათ პაუშენკოს დარიგება და აღმგზნები სიტყვები*“ (გოზალიშვილი 1976: 116-117).

² (გვ. 166) „**კომისიასა შინა ადრე მოვახსენე**“ – ალ. ორბელიანს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს თავისი 1833 წლის 28 თებერვლისა და 13 მაისის ჩვენებები (იხ. აქვე, გვ. 96-97, 154).

95. ჩვენება 1833 წლის 2 ივნისისა (V)

(გვ. 166)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3319. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 117. **უთარილო.** **ხელმოწერა:** ალექსანდრე ორბელიანოვი.

ეს არის ელიზბარ ერისთავის **1833 წ. 2 ივნისის** ჩვენებაზე დართული ალ. ორბელიანის მინაწერი, რომელიც კომისიის მიერ ასეა დასათაურებული (რუსულ ენაზე): „პაუშენკოს შესახებ ელიზბარ ერისთავის პასუხის უარყოფა ალექსანდრე ორბელიანის მიერ“. ამის მიხედვით, ალ. ორბელიანის წინამდებარე ჩვენება **1833 წ. 2 ივნისით უნდა დათარიღდეს.**

¹ (გვ. 166) „**წინააღმდეგ ამის პასუხისა**“ – იგულისხმება ელიზბარ ერისთავის პასუხი კომისიის კითხავზე: „*თქვენ აჩვენეთ (ფ. 1687), რომ პაუშენკო გარწმუნებდათ: საკმარისია აჯანყება დაიწყოთ და საქართველოში მყოფი პოლონელები ყველანი მონაწილეობას მიიღებენ მასშიო.* – და, ამას გარდა, კიდევ ვისაყვედურებდათ, რომ ცუდად ირჯებით, უფრო მეტად უნდა ეცადნეთო. – განმარტეთ, სად და ვისი თანდასწრებით ხდებო-

და ეს“. ელიზბარ ერისთავის პასუხია: „ყველა ჩემი ნათქვამი სინამდვილეში ნალაპარაკებია ბატონ პაუშენკოს მიერ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანთან 1831 წელს, თბილისში, თვით ალექსანდრეს სახლში“ (გოზალიშვილი 1970: 117).

96. ჩვენება 1833 წლის 5 ივნისისა (I)

(გვ. 166)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3342. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 119. **თარიღი:** 1833 წ. 5 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 7 ივნისს“.

¹ (გვ. 166) „კომისიის კითხვასა ზედა...“ – საბუთში კითხვა არ არის.

² (გვ. 166) „არ მახსომს, რომ მე პაუშენკოსათვის მეთქოს ალექსანდრე ბატონიშვილთან მიწერა წიგნისა“ – ალ. ორბელიანი აქ არსებითად თავის 1833 წ. 2 ივნისის (III) ჩვენებას იმეორებს.

97. ჩვენება 1833 წლის 5 ივნისისა (II)

(გვ. 166-167)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3356. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 123-124. **თარიღი:** 1833 წ. 5 ივნისი. **ხელმოწერა:** ოსტავნოი [გადამდგარი] პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, პოდპორუჩიკს, თავად ორბელიანოვს. 5 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 7 ივნისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 167) „ჰკითხოს ზემოხსენებულ პირთ...“ – იმავე 5 ივნისს, რა დღესაც ალ. ორბელიანის წინამდებარე ჩვენებაა დაწერილი, ელიზბარ ერისთავი კომისიას უჩვენებს: „თავად თადია ჩელოყაევს უჩვენებია, ვითომც მე მას ვუთხარი, რომ: „ხომ დაუ-

ჯერებ ბიძა ჩემს, მასთან მიგიყვან და იმას თითონ ვათქმევინებ შენთვის, რომ ის არ დაიხევს უკან, რათა ჭაღარა თმა სისხლით შეღებოს“. ჩელოყაევის ეს ჩვენება სწორი არ არის! როდესაც მე მას განზრახულებაზე ველაპარაკე, მან პირველი სიტყვისთანავე უარი თქვა და მეც ამაზე ლაპარაკი შევწყვიტე, განსაკუთრებით არ მითქვამს ზემოხსენებული სიტყვები“ (გოზალიშვილი 1976: 123). ფაქტს უარყოფენ (ელიზბარის ეს სიტყვები არ გავგიგონიაო) დიმიტრი და ბიძინა ერისთავებიც (გოზალიშვილი 1976: 124, 125).

98. ჩვენება 1833 წლის 7 ივნისისა

(გვ. 167-168)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3398. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 126. **თარიღი:** 1833 წ. 7 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 7 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 ივნისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 167) „ნუთუ რუსებმა არ იციან, რომ საქართველო სამუდამოდ ვერ იქნება რუსეთზე დამოკიდებული?“ – კომისიის შეკითხვაში დამონმებული ეს სიტყვები, იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 10 თებერვლის ჩვენების მიხედვით, ზაქარია ჩოლოყაშვილს უთქვამს [გოზალიშვილი 1970: 303-304; იხ. აგრეთვე, ელიზბარ ერისთავის 1833 წ. 7 ივნისის ჩვენება (გოზალიშვილი 1976: 125)].

² (გვ. 168) „სხვა არა რაი ლაპარაკი არ მახსომს მას ტრასტირსა შინა“ – კომისიის შეკითხვაში დამონმებული სიტყვები ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებმა, აგრეთვე, სოლომონ დოდაშვილმაც უარყვეს (ეს სიტყვები არ გვახსოვსო – გოზალიშვილი 1976: 125-126).

99. ჩვენება 1833 წლის 9 ივნისისა (გვ. 168-169)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3414. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 478-479. **თარიღი:** 1833 წ. 9 ივნისი. **ხელმოწერა:** ოსტავნოი [გადამდგარი] პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, პოდპორუჩიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 12 ივნისს“.

¹ (გვ. 168) „კომისიის კითხვასა ზედა...“ – საბუთში კითხვა არ არის.

² (გვ. 168) „ფალავანდოვმა რასპარაჟენია რომ წაიკითხა...“ – „რასპარაჟენიის“ (პირველი ლამის განკარგულების) შესახებ იხ. აქვე, გვ. 344-345.

³ (გვ. 168) „1801-ს წლის მანიფესტის აღსრულება ვთხოვთ იმპერატორს, და მაგ განძრახვას დავეხსნათ“ – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 58, 364.

⁴ (გვ. 169) „...დაუძინებელი მტერი არის, რომელიც საქმით დამიმტკიცებია, და კომისია უწყებულ არს“ – აქ ნახსენები მტრობისა და ალ. ორბელიანის მიერ საქმის კურსში კომისიის ჩაყენების შესახებ იხ. აქვე, გვ. 156, 441.

100. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (I) (გვ. 169)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3444. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 12 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 12 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 14 ივნისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 169) „თუმცა შეიძლება რუსების საქართველოდან გაყვანა ... ჩვენს წინააღმდეგ აღსდგებიანო“ – ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება, რომელშიც ალექსანდრე ჭავჭავაძის ეს სიტყვებია დამონმებული, იხ.: გოზალიშვილი 1935: 136. ამ საკითხზე კომისიას ჩვენება მისცა ელიზბარ ერისთავმაც, რომელმაც ეს ფაქტი „ვერ გაიხსენა“ (გოზალიშვილი 1976: 127).

101. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (II)

(გვ. 170)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3450. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 129-130. **თარიღი:** 1833 წ. 12 ივნისი. **ხელმოწერა:** ოსტავნოი [გადამდგარი] პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, განცხადება“ და „მიღებულია 1833 წლის 14 ივნისს“.

¹ (გვ. 170) „კომისიის კითხვასა ზედა...“ – საბუთში კომისიის კითხვა არ არის.

² (გვ. 170) „საზოგადოება ჩამოვა კეთილშობილთ აღრჩევ-ისთვისაო, და ასე ერთიანათ ჩვენ შეყრილს საზოგადოს ველ-არ ვნახავთო“ – შეთქმულების ორგანიზატორებს განზრახული ჰქონდათ, აჯანყება ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“) არჩევნებისთვის დაემთხვიათ (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 341).

102. ჩვენება 1833 წლის 12 ივნისისა (III)

(გვ. 171)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 18. ფ. 3452. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 130-131. **თარიღი:** 1833 წ. 12 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილი სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, განცხადება“ და „მიღებულია 1833 წლის 14 ივნისს“.

¹ (გვ. 171) „კომისიის კითხვასა ზედა...“ – საბუთში კომისიის კითხვა არ არის.

² (გვ. 171) „ბეზირგანოვის ტრახტირსა შინა მე სხვა არა რაი გარემოება არ მახსოვს“ – „ბეზირგანოვის ტრახტირში“ გამართული შეხვედრის შესახებ იხ. აქვე. გვ. 167-168.

³ (გვ. 171) „მთების ხალხს...“ – ჩრდილოკავკასიელი ხალხები იგულისხმება.

⁴ (გვ. 171) „ჩვენთვის რუსებს რა დაუშავებიათ, მხოლოდ სიკეთის მეტიო“ – ალ. ორბელიანი, ცხადია, კომისიის შეცდომაში შეყვანას ცდილობს – ზ. ჩოლოყაშვილი აქტიური წევრი იყო შეთქმულებისა და უყოყმანოდ უჭერდა მხარს შეიარაღებულ აჯანყებას.

103. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (I)

(გვ. 172)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3550. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ თავადს, ა. ვ. ორბელიანოვს. 19 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 19 ივნისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 172) „სად ამბობდა თავადი ელიზბარ ერისთოვი, რომ ელოდება მამასახლისებს ბუნტში მონაწილეობის მისაღებად“ – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 4 თებერვლის ჩვენება: „ელიზბარი ამბობს: სხვა და სხვა სოფლებიდან ჩემი გლეხების თორმეტ მამასახლისს ველოდები, რომლებსაც მიეცემათ ბრძანება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ აჯანყების დროსაო“ (გოზალიშვილი 1970: 225).

104. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (II)

(გვ. 172)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3562. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 157-158. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ თავადს, ა. ვ. ორბელიანოვს. 19 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 19 ივნისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 172) „ჩვენებიდან (ფ. 3356) ჩანს“ – იგულისხმება „გენერალ ბაიკოვის განცხადება კომისიაში“, რომელიც იასე ფალავანდიშვილის ჩვენებას ეხება და რომელშიც ნათქვამია: „სოვეტნიკი [ალექსანდრე] ორბელიანოვს უთქვამს, რომ ბიძინა ერისთოვს მუხრანსკისთან ულაპარაკნია ჩვენს შეთქმულებაზე გადაკვრით, მისახვედრად და ვითომც მუხრანსკის ეთქვას მისთვის, რათა ბიძინამ ამაზე არაფერი უთხრას მის, მუხრანსკის, ძმებს. სოვეტნიკი ამბობდაო, რომ რადგანაც მუხრანსკისა და ჭავჭავაძის შორის მტრობაა, ამიტომ ბიძინასა და მუხრანსკის საუბარს არ იცნობს და ამასთანავე დაუმატებია სოვეტნიკს, რომ იმედი აქვთ ლუარსაბ ორბელიანოვის შუამდგომლობით ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად შეახვედრონ ერთმანეთს მუხრანსკი და ჭავჭავაძე. ამის შემდეგ სოვეტნიკმა უამბო ფალავანდოვს, როდესაც ბიძინა მისახვედრად ელაპარაკა მუხრანსკის, მაშინ სოვეტნიკიც ესაუბრა მას, მუხრანსკის, შეთქმულებაზე და დაწვრილებით უამბო ამ საქმეზე. ამასთანავე, სოვეტნიკმა თქვაო, რომ ეხლა ორი საზოგადოება გვექნებაო, ერთი გენერალ მაიორ ჭავჭავაძესი ლუარსაბ ორბელიანოვთან ერთად, მეორე გენერალ მაიორ თავად მუხრანსკისაო“ (გოზალიშვილი 1976: 120-121).

² (გვ. 172) „მუხრანსკის სიკვდილს უპირებდნენ მთავრობის ერთგულებასა ზედა“ – კონსტანტინე მუხრანბატონისადმი შეთქმულთა დამოკიდებულების შესახებ იხ. აქვე, გვ. 41, 339-341.

105. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (III)

(გვ. 173)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3570. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 479. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ორბელიანოვის განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 19 ივნისს“.

¹ (გვ. 173) „იმ დღესაც მოვახსენე კომისიას“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 12 ივნისის (II) ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 170).

106. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (IV)

(გვ. 173)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3592. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 479. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ორბელიანოვის განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 19 ივნისს“.

¹ (გვ. 173) „ჩემ სიძეს, მაიორს თავად დიმიტრი ორბელიანთან, ვიყავიო“ – დიმიტრი თამაზის (თომას) ძე ორბელიანს ცოლად ჰყავდა ზაქარია რიფსიმე ბატონიშვილის ძე ჩოლოყაშვილის ბიძაშვილი ბარბარე ბაგრატი ბატონიშვილის ასული (ბარბარე გრუზინსკაია – ბერძნიშვილი 1983: 140).

107. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (V)

(გვ. 174)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3606-3606ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 161. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 19 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 21 ივნისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

108. ჩვენება 1833 წლის 19 ივნისისა (VI)

(გვ. 175)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3612. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივნისი. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ა. ვ. ორბელიანოვს. 19 ივნისი, 1833“ და „მიღებულია 1833 წლის 21 ივნისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 175) „თავდაპირველად თქვენ უჩვენეთ (ფ. 777)“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 23 იანვრის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 58). კითხვაში ნახსენები **ფ. 777** მიუთითებს არა თვითონ ჩვენებას, არამედ მის რუსულ თარგმანს. ალ. ორბელიანის ჩვენების პაგინაციაა – **ფ. 775-776**.

² (გვ. 175) „**მეორედ ვაჩვენე, ლუარსაბ ორბელიანოვი თანხმა იყო იმ პირველი ღამის რასპარაჟენიისა მეტიქი**“ – იმას, რომ ლუარსაბ ორბელიანი თანახმა იყო *პირველი ღამის „რასპარაჟენიისა“ (განკარგულებისა)*, ალ. ორბელიანი არაერთ ჩვენებაში ადასტურებს [იხ. მისი ჩვენებები: 1833 წ. 7 თებერვლისა (გვ. 70), 11 მაისისა (გვ. 152-153), 9 ივნისისა (გვ. 168-169)].

109. ჩვენება 1833 წლის 20 ივნისისა

(გვ. 175)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3608. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 20 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 19 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 21 ივნისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 175) „თუ ალექსანდრე ჭავჭავაძე უარზეა, განა უიმისოდ ჩვენ არ შეგვიძლია, ეს გავაკეთოთ?“ – როგორც ჩანს, კომისიას მხედველობაში აქვს ბიძინა ერისთავის 1832 წ. 16 დეკემბრის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „ილაპარაკეს ჭავჭავაძეზე, ცუდი კაცი არისო ... მე უთხარ, თანახმა კი არავინ არის მეთქი. ამათ თქვეს – იასემ და ზაქარიამ [ჩოლოყაშვილი] – ჭავჭავაძე რომ არ იყოს, განა არ შეგვიძლიანო, მაგრამ ლუარსაბიცი აღარ არის თანახმაო. იასემ ალექსანდრე [ორბელიანი] დაიბარა, გიორგიც [ერისთავი] ჩამოვიდა... ცოტა ხანს ვისხედით, [იასემ] ჩაი დაგვაღვივინა და წამოვედით“ (გოზალიშვილი 1935: 176).

110. ჩვენება 1833 წლის 21 ივნისისა

(გვ. 176)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3642. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 21 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 21 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 21 ივნისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 176) „პორუჩიკი გიორგი ერისთავი უჩვენებს (ფ. 1655)“ – კომისიას მხედველობაში აქვს გიორგი რევაზის ძე ერისთავის 1833 წ. 28 თებერვლის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „ნათალოვზე, ხერხეულიძეზე, ახვერდოვზე, თავად ჯორჯაძეზე და მამაცოვზე გამიგონია თავად ფალავანდიშვილისაგან, თავად ელიზბარ ერისთავისა და თავად ალექსანდრე ორბელიანოვისაგან, რომ ზოგი მათგანი სურდათ დაენიშნათ პოსტებზე, ზოგი კი სადარაჯოებზე. ჯორჯაძეზე და მამაცოვზე კი მათგანვე გამიგონია, რომ ისინი ამ განზრახულების თანახმა იყვნენ“ (გოზალიშვილი 1970: 375).

² (გვ. 176) „ესე სსენებული გარემოება პირველი გაგონება არის ჩემთვის“ – ალ. ორბელიანი აქ, ცხადია, გულწრფელი არ არის. დავით ჯორჯაძეს შეთქმულებთან აქტიური კავშირი ჰქონდა. მართალია, თავიდან იგი ამას კატეგორიულად უარყოფს (გოზალიშვილი 1970: 237), მაგრამ მისი აქტიური როლი შეთქმულთა საქმეებში დაადასტურეს ს. დოდაშვილმა, ი. მამაცაშვილმა, დიმ. და ვ. ორბელიანებმა, გ. რ. და გ. დ. ერისთავებმა და სხვ., ელიზბარ ერისთავმა კი კომისიას უჩვენა: „პრაპორშჩიკ დავით ჯორჯაძეს გამოვუცხადე განზრახულება 1831 წლის ზაფხულში. მე ვგულისხმობდი, რომ დავით ჯორჯაძისთვისაც ცნობილი იყო იგი უკვე ს.-პეტერბურგში“ (გოზალიშვილი 1976: 163). საბოლოოდ დ. ჯორჯაძემ აღიარა „ბოროტგანზრახულებაში“ თავისი მონაწილეობა და „დანაშაული“ მონანია კიდევ: „თუკი მონარქის კანონი, რომელსაც შეუდრეკელი ერთგულებით შევფიცე, მე მსჯავრს დამდებს იმის გულისათვის, რომ მქონდა ურთიერთობა იმ ხალხთან, რომელნიც გულში ღალატს ატარებდნენ, – სიხარულით მივიღებ სასჯელს ჩემი აღმზრდელი მეფის კანონებისას“ (გოზალიშვილი 1970: 197). საგამომძიებლო კომისიამ სარწმუნოდ არ მიიჩნია „აღმზრდელი მეფისადმი“ დავით ჯორჯაძის ერთგულება, მოაქცია იგი შეთქმულთა VI კატეგორიაში და გადასცა სამხედრო სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა: „პრაპორშჩიკები: თბილისის ფეხოსანი რაზმისა თავადი დავით ჯორჯაძე და გაბრიელ მამაცოვი გადაყვანილ იქნან პირველი მე-5, უკანასკნელი კი მე-6 ფეხოსანთა კორპუსებში“ (გოზალიშვილი 1976: 429).

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, დაკითხვებზე დავით ჯორჯაძემ გამოიჩინა სიმტკიცე და შეთქმულების სხვა მონაწილეები არ დაასახელა.

111. ჩვენება 1833 წლის 26 ივნისისა

(გვ. 176)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3718. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 182-183. **თარიღი:** 1833 წ. 26 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 28 ივნისს“.

¹ (გვ. 176) „პრისუსტვიე კომისიასა შინა გამამეცხადა“ – „პრისუსტვიე კომისიაში“ შეთქმულების საგამომძიებლო კომისია იგულისხმება.

112. ჩვენება 1833 წლის 28 ივნისისა (I)

(გვ. 177)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3728. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 28 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ თავადს, ა. ვ. ორბელიანოვს. 27 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 28 ივნისს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

113. ჩვენება 1833 წლის 28 ივნისისა (II)

(გვ. 177-178)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 19. ფ. 3750. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 186-187. **თარიღი:** 1833 წ. 28 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 28 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 28 ივნისს“. კითხვა რუ-

სულ ენაზე (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 177) **„ერთერთ შეკრების დროს ... მზად არის ხმალი ჰკრას ხელმწიფეს, როდესაც იგი ნევის პროსპექტზე დასეირნობს“** – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 3 იანვრის ჩვენება: „დეკემბრის სამს, სალამოს ჟამზე, ჩემთან იყვნენ გვარდიის კაპიტანი ჩოლოყაყევი, ბიძინა და გიორგი ერისთოვები, ალექსანდრე ორბელიანოვი. კაპიტანი ჩოლოყაყევი ამბობს: „პეტერბურგში ხშირად დავიარებოდი ქართველ ბატონიშვილებთან. აღარ მახსოვს, იულონისა თუ ივანე ბატონიშვილისა თქვა. თურმე უთქვამს: ხან და ხან ისეთ გულზე მოვდივარ, რომ მზად ვარ ხელმწიფეს ხმალი ვკრა, როცა იგი ნევის გამზირზე დასეირნობსო“ (გოზალიშვილი 1970: 133-134). მოგვიანებით იასემ ჩვენება შეცვალა: „თუმცა წინათ ვაჩვენე კაპიტან ჩელოყაყევზე, მას ეთქვას, რომ როდესაც იგი პეტერბურგში ცხოვრობდა, გამიგონიაო, რომელიღაც ბატონიშვილისაგან, რომ: „ზოგჯერ ისეთ გუნებაზე ვდგები, მინდა ხელმწიფეს ხმალი ვკრა, როდესაც ის ნევის პროსპექტზე დასეირნობსო“, – მაგრამ, როგორც მახსოვს, ეს სიტყვები წარმოსთქვა დოდაევმა კაპიტან ჩელოყაყევის თანდასწრებით“ (გოზალიშვილი 1976: 154-155). უნდა ითქვას, რომ საიმპერატორო ოჯახის ნევერისთვის (რომელიღაც დიდი მთავრისთვის) *ხმლის კვრის* სურვილი ზაქარია ჩოლოყაშვილსაც ჰქონია. იასე ფალავანდიშვილი კომისიას უჩვენებს: „ზაქარია ჩოლოყაყევა სახელდობრ გვითხრა მე და ელიზბარ ერისთოვს, რომ როცა აქაური კორპუსიდან გაგზავნეს ჯარისკაცები სემიონოვსკის გვარდიის პოლკის შესავსებად, და როცა ისინი წარუდგინეს მის უმაღლესობასა და მარშით გაიარეს, მაშინ დიდმა მთავრმა მათ უწოდა ქართველი ბატონიშვილებიო. ზაქარია ამბობს, რომ მაშინ მე მის გვერდით ვიდექი და ჯავრისაგან სისხლი ამიჩქროლდა, მინდოდა მომცემოდა შემთხვევა, რომ მისთვის ხმალი მეკრაო (გოზალიშვილი 1970: 227).

² (გვ. 178) **„ივანე ბატონიშვილი“** – ძნელია თქმა, თუ რომელი ბატონიშვილი იგულისხმება აქ: *იულონი*, *თუ* – *იოანე* [ზაქარია ჩოლოყაშვილი პეტერბურგში ცხოვრობდა 1811-1832 წწ. (გოზალიშვილი 1970: 241-242) და შეიძლება, ერთსაც შეხვედროდა და – მეორესაც].

114. ჩვენება 1833 წლის 28 ივნისისა (III)

(გვ. 178)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4014. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 28 ივნისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 28 ივნისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 30 ივნისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 178) „**მე სრულებით არ მახსომს, სადა ყოფილა იგი დანიშნული**“ – იასე ფალავანდიშვილის დასმენის მიხედვით, დიმიტრი ორბელიანს აჯანყების ღამეს ზაქარია ჩოლოყაშვილთან ერთად ორი ზარბაზნითა და 200 კაცით სამხედრო ყაზარმებზე უნდა მიეტანა იერიში (გოზალიშვილი 1935: 137).

² (გვ. 178) „**ოდესცა წაიკითხა იასემ რასპარაჟენია**“ – ლუარსაბ ორბელიანის სახლში იასეს მიერ „რასპარაჟენიის“ (პირველი ღამის განკარგულების) წაკითხვის შესახებ ალ. ორბელიანი ცნობებს თავის 1833 წ. 9 ივნისის ჩვენებაში იძლევა (იხ. აქვე, გვ. 168-169).

115. ჩვენება 1833 წლის 3 ივლისისა

(გვ. 179-180)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4096. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 269-270. **თარიღი:** 1833 წ. 3 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 3 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 3 ივლისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 179) **„დიმიტრი ერისთავმა ნადუელში რომ გაითხოვა ჩემი ძმა“** – დიმ. ერისთავის მიერ დიმ. ორბელიანის დუ-ელში განვევის შესახებ იხ. აქვე, გვ. 64, 368.

116. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (I) (გვ. 180)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4120. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 5 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ თავადს, ა. ვ. ორბელიანოვს. 5 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 5 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 180) **„თავადი ლუარსაბ ორბელიანოვი უჩვენებს (ფ. 1707)“** – კომისიას მხედველობაში აქვს ლუარსაბ ორბელიანის 1833 წ. 28 თებერვლის ჩვენება, რომელშიც ქაიხოსრო ჯავახიშვილის შესახებ ვკითხულობთ: „მე მგონია, ამ ქაიხოსროს 1831 წელსვე უნდა სცოდნოდა, რადგან 1832 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა მითხრა: შეთქმულება ქაიხოსრო ჯავახოვმაც იცისო. შეიძლება ქაიხოსრო ჯავახოვს ალექსანდრემ გაუმჟღავნა“ (გოზალიშვილი 1970: 383).

² (გვ. 180) **„მე არა რაი არ გამიგონიარა თავად ქაიხოსრო ჯავახოვისა ამა ჩვენსა განძრახვასა ზედა“** – ქაიხოსრო ჯავახიშვილს ალ. ორბელიანი ახსენებს თავის 1833 წ. 1 და 7 მარტის ჩვენებებში (იხ. აქვე, გვ. 101, 103). თვითონ ქ. ჯავახიშვილმა თავის 1833 წ. 5 ივლისის ჩვენებაში უარყო შეთქმულებაში მონაწილეობა (გოზალიშვილი 1976: 271-272). იმავე ჩვენებაში ქ. ჯავახიშვილი საკუთარ თავზე წერს: „ჩემი სახელი არის ქაიხოსრო ივანეს შვილი ჯავახოვი. პრაპორშჩიკის ჩინი მაქვს. ოცდაცამეტის წლისა ვარ. გავზდილვარ ჩემს სახლში სოფელში. წელიწადში მექნება ორას თუმნამდინ თეთრ ფულზე. ომებში ვყოფილვარ, არ დავჭრილვარ. პოდსუდში და შტრაფ ქვემ არა ვყოფილვარ“ (გოზალიშვილი 1976: 272).

117. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (II)

(გვ. 180-181)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4128. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 5 ივლისი. **ხელმონერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის, განცხადება“ და „მიღებულია 1833 წლის 5 ივლისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 180) „**თუმცა კომისიასა შინა მიჩვენებია ფურცელსა ზედა 1702-სა**“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 1833 წ. 1 მარტის (II) ჩვენება. მიხეილ ჯავახიშვილმა 1833 წ. 5 ივლისის ჩვენებაში რაიმე სახის მონაწილეობა შეთქმულებაში კატეგორიულად უარყო (გოზალიშვილი 1976: 272-274). მისი საქმით კომისია არ დაინტერესდა და იგი სასჯელს გადაურჩა (კომისიის დასკვნით: „რადგან საბუთები ცოტაა და ერთი მეორის სანინააღმდეგო, კომისიამ არ ცნო საჭიროდ მის. ჯავახიშვილზე შემდგომი გამოძიება“ – გოზალიშვილი 1935: 41). მიხეილ ჯავახიშვილი ლუარსაბ ორბელიანის დისწული იყო (გოზალიშვილი 1970: 383).

შეთქმულების საქმის კურსში იყო მიხეილის მამაც – ესტატე ჯავახიშვილი, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა, დიმიტრი ბატონიშვილის წრეში ტრიალებდა და მის „კრამოლურ“ საუბრებსაც ესწრებოდა (გოზალიშვილი 1970: 403, 469, 473 და სხვ.). პეტერბურგში შექმნილმა კომისიამ დაკითხა ესტატე ჯავახიშვილი (გოზალიშვილი 1976: 204). მან, რასაკვირველია, ყველაფერი უარყო. საბოლოოდ კი კომისიამ იგი შეიყვანა მე-9 კატეგორიაში [ბერძნიშვილი 1983: 266. ამ კატეგორიაში მოაქციეს ის პირები, რომლებიც შეთქმულების მონაწილეებად ვერ ჩაითვლებოდნენ, თუმცა ბრალი ედებოდათ „არაკეთილგანზრახვითი საუბრის მოსმენაში“ (გოზალიშვილი 1976: 430)] და გაათავისუფლა სასჯელისგან.

118. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (III)

(გვ. 181)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4164. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 5 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 5 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 7 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 181) „პორუჩიკი გიორგი რევაზის ძე ერისთოვი უჩვენებს...“ – კომისიას მხედველობაში აქვს გ. რ. ერისთავის 1832 წ. 15 დეკემბრის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „მე რომ ჩამოვედი, არ მახსოვს სად, მაგრამ ვგონებ ალ. ორბელიანოვის სახლში, გამომიცხადეს ალ. ორბელიანოვმა და ელ. ერისთოვმა, რომ მათ წარსულ წლებში ჰქონდათ ეს განზრახვა, მაგრამ ხელი აიღეს მასზე ვარშავის აღების გამო“ (გოზალიშვილი 1935: 169).

119. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (IV)

(გვ. 181-182)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4166. ავტოგრაფი. დედანი. **უთარილო.** ქართულ ენაზე. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 1833 წლის 5 ივლისს“ და „მიღებულია 1833 წლის 7 ივლისს“.

ტექსტს ვათარილებთ კომისიის მიერ ალ. ორბელიანისთვის გაგზავნილი შეკითხვისა (1833 წ. 5 ივლისი) და ჩვენებათა თანამიმდევრობის, კერძოდ, პაგინაციის (ფ. 4166) მიხედვით.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 181) „*თქვენი ძმის, ვახტანგის, ჩვენების მიხედვით...*“ – კომისიას მხედველობაში აქვს ვახტანგ ორბელიანის 1833 წ. 6 თებერვლის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „[შეთქმულების ამბავი] ელიზბარ ერისთოვმა გამომიცხადა ამ სიტყვებით: ჩვენ ვცდილობთ, რათა საქართველო რუსებისაგან განთავისუფლდესო. სირცხვილია ჩვენთვის მათი მონობა მაშინ, როდესაც პოლონელებს, რომლებიც მათივე შთამომავლობის არიან, არ სურთ მათი უფლების ქვეშ ყოფნა და თავს სწირავენ იმისათვის, რომ დამოუკიდებელი იყვნენო... ეს მოხდა ჩემს ოთახში 1831 წლის დამდეგს. ჩემი ძმა ალექსანდრე, ელიზბარ ერისთოვი და მე ვიყავით მარტო“ (გოზალიშვილი 1970: 235).

ძნელია თქმა, თუ რამდენად სანდოა ვახტანგ ორბელიანის ეს ჩვენება – პეტერბურგში მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა დიმიტრი ბატონიშვილის წრესთან (გოზალიშვილი 1935: 442; გოზალიშვილი 1970: 361-362, 403, 623 და შმდ.) და, ადვილი შესაძლებელია, პეტერბურგშივე სცოდნოდა შეთქმულების შესახებ (უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 412-413).

120. ჩვენება 1833 წლის 5 ივლისისა (V)

(გვ. 182)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4192. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 5 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 4 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 10 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 182) „*ჩემი ძმა ვახტანგ სრულებით არ მახსოვს, რომ იქ ყოფილიყოს, ოდესცა გიორგი ერისთოვმა ის აკტი წაიკითხა*“ – სინამდვილეში გიორგი დ. ერისთავის მიერ ფილადელფოს კიკნაძის „აკტი გონიურის“ წაკითხვისას ვახტანგ ორბელიანი იქ იყო. ამის შესახებ იგი თავის 1833 წ. 28 თებერვლის ჩვენებაში წერს: „1832 წლის ადრე გაზაფხულზე მივედი თავად ელიზბარ ერისთოვთან. იქ დამხვდნენ: თვით ელიზბარი, მისი ძმა დიმიტრი და გიორგი დავითის ძე ერისთოვები. მაშინ გიორგი

ერისთოვმა ამოიღო ჯიბიდან აქტი და თქვა, – მე თქვენ რომ გაჩვენეთ, აქ ნათქვამია, უნდა დავიფიცოთო. მაშ დაიფიცეთო, რის შემდეგაც მან ასწია მარჯვენა ხელი მალლა და დაიწყო აქტის კითხვა. ჩვენ ამაზე სიცილი დავაყარეთ და მან თვითონაც კითხვა შეწყვიტა და სიცილი დაიწყო“ (გოზალიშვილი 1970: 374). ვახტანგ ორბელიანის სიტყვები (სიცილი დავიწყეთო), რასაკვირველია, სარწმუნო არ არის.

121. ჩვენება 1833 წლის 7 ივლისისა (გვ. 183-184)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4154. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 481. **თარიღი:** 1833 წ. 7 ივლისი. **ხელმოწერა:** ოსტავნოი პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 7 ივლისს“.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„**ზაპისკები**“ – Записки: ჩანაწერები.

„**ოსტავნოი**“ – Отставной: სამსახურიდან გადამდგარი.

„**პრისუსტვიე**“ – В присутствии: თანდასწრებით.

„**სტიხი**“ – Стих: ლექსი.

¹ (გვ. 183) „ჩემ მიერ ჩვენება ფურცლისა 1918-სასა“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1833 წ. 8 მარტის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 106-108).

² (გვ. 183) „რილიევის სტიხი, გადათარგმნილი ქართულად, თავად გრიგოლ ორბელიანოვისაგან, გრიგოლმავე, წავგიკითხა“ – იგულისხმება გრიგოლ ორბელიანის მიერ რილიევის (რილეევის) „ნალივაიკოს“ მონაკვეთის თარგმნა (იხ. აქვე, გვ. 100, 107, 393-394).

122. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (I)

(გვ. 184)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4210. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი, თ. ალექსანდრე ორბელიანოვი; თავადი იასე ფალავანდოვი. **თარიღი:** 1833 წ. 10 ივლისი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 10 ივლისს“. ტექსტი რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 184) „გენერალ-მაიორმა ჭავჭავაძემ გადაათქმევინა განზრახულება და ამის გამო შეთქმულება იშლებაო“ – ამ საკითხისა და ზოგადად შეთქმულებაში აღ. ჭავჭავაძის ადგილისა და როლის შესახებ იხ. აქვე, გვ. 342-344.

123. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (II)

(გვ. 185)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 21. ფ. 4236. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 10 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 10 ივლისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 185) „მამუკა ორბელიანოვს პირველად მიეცეს აზრი ბალისა“ – კომისიას აქ, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს გიორგი დავითის ძე ერისთავის 1833 წ. 26 თებერვლის ჩვენება: „მამუკა ორბელიანოვზე მახსოვს, რომ 1831 წელს მე და ელიზბარი მივედით მასთან ... ელიზბარმა უამბო ყველაფერი ჩვენს შეთქმულებაზე ... მამუკამ უპასუხა, საუკეთესო საშუალება ეს არისო, რომ გავმართოთ წვეულება, მოვინვიოთ ყველა მთავარი მოხელეები, და მაშინ ყველგან მზად ვიყოთ... და ერთსა და იმავე დროს თავს დავესხათ, ყველა უფროსები დავხოცოთ, ისე რომ ხელმძღვანელი აღარავინ დარჩესო ... შემდეგ კი წავედით

სოვეტნიკ ალ. ორბელიანოვთან და ეს ყველაფერი უამბოთ“ (გოზალიშვილი 1935: 394).

124. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (III)

(გვ. 185-186)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4254-4254ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წლის 10 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ა. ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 10 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 12 ივლისს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხები – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 185) „მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს ... „ბევრმა ჩემმა ნაცნობმა თავადიშვილმა იცის ამ საქმის შესახებ“ – კომისიას მხედველობაში აქვს ს. დოდაშვილის 1833 წ. 12 აპრილის ჩვენება (გოზალიშვილი 1970: 545-546).

² (გვ. 185) „თქვენს ჩვენებებში ნათქვამია ... შეთქმულება თეიმურაზ ამილახვრისთვის გაგემყლავნებინათ“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრისა და 1833 წ. 7 თებერვლის (პუნქტი 10) ჩვენებები.

³ (გვ. 186) „ოსტატს დოდაევს განუცხადე“ – *ოსტატი* აქ მასწავლებელს ნიშნავს.

125. ჩვენება 1833 წლის 10 ივლისისა (IV)

(გვ. 187-188)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4256-4257. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 10 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 10 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 12 ივლისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 187) „პახოტსა შინა არ იყო ნაბძანებული ლენერალი ოტინფატრი, და კავალერი, საქართველოს მთავარ მართებელი ბარონ როზინი“ – იგულისხმება კავკასიის მთავარმართებლის, *ინფანტერიის გენერლის* („ოტინფატრი“), ბარონ გრიგოლ როზენის, *სალაშქროდ* („პახოტსა შინა“) ნასვლა ჩრდილოეთ კავკასიაში.

² (გვ. 187) „ამ დროს იასე ფალავანდოვი ამოვიდა ჩვენთან“ – იასე და ნიკოლოზ ფალავანდიშვილები 1832 წელს ერთად ცხოვრობდნენ „სახელმწიფო სახლის ოთახებში“ (გოზალიშვილი 1935: 257; გოზალიშვილი 1976: 162).

³ (გვ. 188) „იასე მეორე მხარეს საიდუმლოს კიბიდგან მეპატიჟებოდა, ოღონდაც ჩემთან დაიწყე სიარულიო“ – აქ ალ. ორბელიანი არსებითად თავის 1833 წ. 7 მარტის ჩვენებას იმეორებს (იხ. აქვე, გვ. 103, 105).

126. ჩვენება 1833 წლის 12 ივლისისა (I)

(გვ. 188)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4250. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 12 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ თავადს, ა. ვ. ორბელიანოვს. 11 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 12 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 188) „ერთ-ერთი ჩვენებიდან (ფ. 43) ჩანს“ – კომისიას მხედველობაში აქვს ზაქარია ჩოლოყაშვილის 1832 წ. 13 დეკემბრის ჩვენება (გოზალიშვილი 1935: 151).

² (გვ. 188) „თქვენთვის ცნობილი ჩვენებიდან (ფ. 1502) კი ირკვევა“ – იგულისხმება ბიძინა ერისთავის 1833 წლის 21 თებერვლის ჩვენება (გოზალიშვილი 1935: 370).

127. ჩვენება 1833 წლის 12 ივლისისა (II)

(გვ. 189)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4266. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 12 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 12 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 12 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

128. ჩვენება 1833 წლის 14 ივლისისა (I)

(გვ. 189)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4298. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 14 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 14 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 14 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 189) „ფ. 3212“ – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 27 მაისის ჩვენება: „დღიმიტრი ერისთოვი რამდენჯერმე იყო მამუკა ორბელიანოვთან, როდესაც ის ავად იყო, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოახერხა საუბარი და უთხრა, რომ სასურველია მალე განიკურნოს იგი, რადგან ჩვენ რაღაცას ვაპირებთო. თვით დღიმიტრიმ მითხრა ეს“ (გოზალიშვილი 1976: 103).

² (გვ. 189) „მამუკა ორბელიანოვისა სრულებით არარაი არა ვიცირა ამა ხსენებულს განძრახვასა ზედა“ – შეთქმულებასთან მამუკა ორბელიანის მიმართების შესახებ იხ. აქვე, გვ. 350-351.

129. ჩვენი 1833 წლის 14 ივლისისა (II)

(გვ. 190)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4396. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 484-485. **თარიღი:** 1833 წ. 14 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ორბელიანოვის განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 19 ივლისს“.

¹ (გვ. 190) „**ბარონესა თავის შვილებით წასულა მისაგებებლათ ბარონთანაო**“ – *ბარონესა*: იგულისხმება ბარონ გრიგოლ როზენის მეუღლე *ელისაბედ ზუბოვა*, რომელსაც თბილისში ჰქონდა სალონი, სადაც კვირაში ორჯერ (ხუთშაბათსა და პარასკევს) თბილისის რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა (ბალახაშვილი 1940: 107-111). გრ. როზენსა და ე. ზუბოვას ექვსი შვილი ეყოლათ და აქედან ერთ-ერთი, ლიდია, იყო მეუღლე რუსეთში (სიმბირსკის გუბერნიის სენგილევესკის მაზრა) დაბადებული და აღზრდილი სამხედრო პირის, პოლკოვნიკ ალექსანდრე ლევანის (ლეონის) ძე დადიანისა. 1837 წლის ოქტომბერში თბილისში ჩამოსულმა იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა არაკეთილსინისიერებისა და ხელქვეითთა დამამცირებელი მოპყრობისათვის ალ. დადიანი საჯაროდ დასაჯა [ალლუმის შემდეგ ფლიგელ-ადიუტანტის აქსელბანდი ააგლიჯეს, იმ დღესვე გაგზავნეს ბობრუისკის ციხეში, შემდეგ გაასამართლეს, ჩამოართვეს სამხედრო ჩინი, ჯილდოები, თავადური ღირსებაც აჰყარეს და რიგით ჯარისკაცად გაგზავნეს ვიატკაში (აქტები 1881: XX; ისარლოვი 1899: 181-185; უილბრაჰამი 1990: 43-44)]. ამ ამბავმა გრიგოლ როზენის კარიერა შეინირა – იმავე 1837 წლის ნოემბერში ნიკოლოზ I-მა იგი კავკასიიდან გაიწვია და საერთოდ უსამსახუროდ დატოვა, რამაც კავკასიის ყოფილი მთავარმართებელი გადაიყოლა კიდევაც [გარდაიცვალა 1841 წელს მოსკოვში; იქვეა (წმ. დანიელის მონასტერში) დაკრძალული. გრ. როზენზე იხ. აგრეთვე: ბერჟე 1874; აქტები 1884: XXVII; ვირსალაძე 1947: 125-129; ორჯონიკიძე 1992: 153-162, 169].

130. ჩვენება 1833 წლის 14 ივლისისა (III)

(გვ. 191)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4398. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 14 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 14 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 14 ივლისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 191) „კომისიასა შინა მიჩვენებია ფურცელსა ზედა 216-ს“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1832 წ. 23 დეკემბრის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 48).

² (გვ. 191) „შემხვდა იგი პოდპოლკოვნიკი თავადი ასლან ორბელიანოვი ... სრულებით პასუხი არა რაი არა მამცარა“ – მართალია, ასლან ორბელიანის შესახებ თავის 1832 წ. 23 დეკემბრის ჩვენებაში ალ. ორბელიანი უჩვენებს: „პოდპოლკოვნიკ ასლან ორბელიანოვს მხოლოდ შარშან ველაპარაკე საქართველოს განთავისუფლებაზე და მან ეს განზრახვა მოიწონა“ (იხ. აქვე, გვ. 29), ხოლო იასე ფალავანიძევილის ჩვენების მიხედვით, იგი იმ პირთა შორის უნდა ყოფილიყო, რომლებიც აჯანყების ღამეს თათრის მოედანზე შეიკრიბებოდნენ (გოზალიშვილი 1935: 137), მაგრამ საგამომძიებლო კომისია ამ საქმეს არ ჩაუღრმავდა. ასლან ორბელიანი არ დაუპატიმრებიათ (მხოლოდ ერთხელ დაკითხეს), საბოლოოდ კი კომისიამ იგი შეიყვანა IX კატეგორიაში („ვისზეც შეიძლება ეჭვის მიტანა მონაწილეობაში ან ბოროტგანზრახული საუბრის მოსმენაში“) და სასჯელისგან გაათავისუფლა (ბერძნიშვილი 1983: 129-130).

131. ჩვენება 1833 წლის 17 ივლისისა

(გვ. 191)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4372. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 17 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 17

ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 19 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 191) „პორუჩიკი გიორგი ერისთავი უჩვენებს (ფ. 78) – კომისიას მხედველობაში აქვს გიორგი რევაზის ძე ერისთავის 1832 წ. 14 დეკემბრის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „სალამოთი ჩოლაყაშვილი მოვიდა ალ. ორბელიანთან, სადაც იყო აგრეთვე ვახტანგ ორბელიანი. იქვე მოვიდა დიმიტრი ერისთავი, რომელმაც თქვა: „ბატონებო, თუ გათავება გინდათ, გაათავეთ ეს საქმე და მეტს ნულარ ვიფიქრებთ მაგაზეო“. ჩვენ უპასუხეთ, რომ უნდა გავათავოთ და ის წავიდა“ (გოზალიშვილი 1935: 166).

132. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (I)

(გვ. 192)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4370. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 19 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 19 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 192) „დიმიტრი ერისთავი უჩვენებს ... დაპატიმრება ვაკმაროთ, თუ ჩვენს განზრახულებაში მონაწილეობას არ მიიღებსო“ – იგულისხმება დიმიტრი ერისთავის 1833 წლის 17 ივლისის ჩვენება: „გენერალ-მაიორ თავად მუხრანსკის შესახებ მე მართლაც ვამტკიცებდი, რომ უნდა იგი მოვკლათ მეთქი, მაგრამ სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის მხრით წინააღმდეგობის გამო დავეთანხმე მის დაპატიმრებაზე“ (გოზალიშვილი 1976: 309).

² (გვ. 192) „ჰკლამდნენ ღენერალ მაიორს, თავად მუხრანსკის, რომ რათ არის მთავრობის ერთგულიო“ – კონსტან-

ტინე მუხრანბატონის (მუხრანსკის) მკვლევლობის განზრახვისა და, საერთოდ, შეთქმულებასთან მისი მიმართების შესახებ იხ. აქვე, გვ. 339-341.

133. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (II)

(გვ. 192-193)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 22. ფ. 4381-4381ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 19 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 19 ივლისს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხები – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 193) „**მასწავლებელი ყიფიანოვი უჩვენებს ... დაგეხოცათ გენერალ-მაიორი, თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი და სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი**“ – ა) კომისიას მხედველობაში აქვს დიმიტრი ყიფიანის 1832 წ. 13 დეკემბრის ჩვენება (ყიფიანი 1930: 142-143; ყიფიანი 2021: 83-84; ბ) თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი: **კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკის** (მუხრანბატონის) მკვლევლობის განზრახვის, აგრეთვე, შეთქმულებასთან მისი მიმართების შესახებ იხ. აქვე, გვ. 339-341. გ) **სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი: იაგორ (გიორგი) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი** (რუსულ წყაროებში: ჩილაევი, ჩილიაევი) მნიშვნელოვანი ფიგურა იყო 1820-იანი წწ. კავკასიის მმართველობაში (საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორი, თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველი), იურისტი, ფილოსოფოსი, მასონი [ძმებთან, ბორის (ბაბანა), კონსტანტინე და სერგეი ჭილაშვილებთან, ერთად იყო ალ. ლაბზინის მასონური ლოჟის, „მომაკვდავი სფინქსის“, წევრი]. შეთქმულების მასალებში ი. ჭილაშვილის შესახებ მწირი და ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებია დაცული და ამიტომ ძნელი სათქმელია, იყო თუ არა იგი შეთქმულების საქმის კურსში. ერთი კი ცხადია, რომ გამარჯვების შემთხვევაში მისთვის შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრის პოსტი უნდა შეეთავაზებინათ (გოზალიშვილი 1935:

92, 167). საგამომძიებლო კომისიამ გვერდი აუარა შეთქმულე-ბაში ი. ჭილაშვილის მონაწილეობის საკითხს, თუმცა კავკასიის მმართველობა ასე არ მოიქცა – 1833 წელს იგი ჩამოაქვეითეს, გადაიყვანეს ლენქორანში, სადაც გარდაიცვალა 1838 წელს (ბერძნიშვილი 1983: 258).

134. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (III)

(გვ. 193-194)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4456-4456ა. ავ-ტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივლისი.

ხელმოწერა: პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, ბ-ნ პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 19 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 21 ივლისს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხები – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 193) „1832 წლის ოქტომბრის დასაწყისში... ვინ გთავაზობდათ ბალის მონყობას ... თავს დასხმოდით ციხეს, ყაზარმებსა და სხვა ადგილებს“ – კომისიას, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ვახტანგ ორბელიანის 1833 წ. 5 მაისის ჩვენება: „1832 წლის დასაწყისში ფალავანდოვმა მიგვიწვია ჩაიზე: ელ. ერისთოვი, ჩემი ძმა ალექსანდრე, პორუჩიკი გ. ერისთოვი და მე, სადაც ფალავანდოვმა დაიწყო საქართველოს განთავისუფლებისათვის საშუალებათა ძებნა და მერე თქვა ... გაგვემართა საღამო-წვეულება და იქ მთავრობის ხალხი ამოგვეწყვიტა, რომ თავს დაესხმოდით ციხეს, ყაზარმებსა და სხვა, რომ მან უკვე გამოუცხადა ტფილისის 200 მცხოვრებს, რომლებიც მოხარული არიან, ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ, რომ ძმამ მიაბარა მას 30 000 მან. ვერცხლით და რომ ეს ფული საკმარისი იქნება პირველი ღამის განკარგულების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“ (გოზალიშვილი 1935: 457-458).

² (გვ. 193) „ისტორია გვიმტკიცებს, რომ დაყოვნებას ყოველთვის ჩაუშლია საქმე“ – დიმიტრი ყიფიანის ჩვენებით, ეს სიტყვები ერთ-ერთ შეკრებაზე უთქვამს იასე ფალავანდიშვილს

და მასვე შეუთავაზებია აჯანყებაში ლოთებისა და მანანნალების ჩართვის იდეა (ყიფიანი 2021: 87-88).

³ (გვ. 194) **„გუბერნატორი ქართლშია წასული, ხოლო მის სახლში, სარდაფში, ინახება ფული“ და იქ მყოფთაგან ვინ გთავაზობდათ საკუთარ ფულს?**“ – კომისიამ ამ კითხვით დიმიტრი ერისთავსა და ვახტანგ ორბელიანსაც მიმართა. დიმ. ერისთავი უპასუხებს: „სიტყვები, რომ ეხლა ხელსაყრელი დროა აჯანყების დასაწყებად, რადგან გუბერნატორი ქართლშია წასულიო, თქვა იასე ფალავანდოვმა და მიუთითა ამ სიტყვებით: აქ არის სახაზინო ფულიო; გვთავაზობდა აგრეთვე საკუთარ ფულსაც“ (გოზალიშვილი 1976: 327), ხოლო ვახტანგ ორბელიანის ჩვენებით: „იასე ფალავანდოვმა, გამოგვიცხადა რა თავისი აზრი საშუალებებზე, რომ უნდა გამართულიყო ბალი, ამოგვეხოცნა მთავრობის წევრები, თავს დავსხმოდით ციხეს, არსენალსა და სხვა, – თქვა, რომ სხვებსაც გამოეთქვათ თავისი აზრი; ამასთანავე, შემოგვთავაზა, რომ პირველივე შემთხვევისათვის გამოიყვანდა თბილისელ ხელოსნებს 200 თუ 300 კაცის შემადგენლობით, რომელთაც მან უკვე გამოუცხადა ჩვენი განზრახულება. არ მახსოვს, რომელ კრებაზე და ვინ წარმოსთქვა სიტყვები: „ეხლა ძალიან ხელსაყრელი დროა მოქმედებისათვის, რადგან გუბერნატორი ქართლშია წასული და მის სახლში ინახება ფული“. ხოლო რაც შეეხება თავისი ფულის შემოთავაზებას, რამდენჯერმე გამიგონია იასე ფალავანდოვისაგან მის სახლში, რომ მისმა ძმა გუბერნატორმა ჩააბარა მას 30 000 ვერცხლით, რასაც იგი გვთავაზობს აჯანყების მოსახდენად ხარჯებისათვის“ (გოზალიშვილი 1976: 328).

135. ჩვენება 1833 წლის 19 ივლისისა (IV)

(გვ. 194)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4472. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 19 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 19 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 21 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 194) „იასე ფალავანდოვმა გისაყვედურათ და გაჯავრებით გითხრათ: „არა გრცხვენიათ, მე 200 კაცი მყავს მზად და თქვენ კი – არც ერთიო“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1832 წ. 31 დეკემბრის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 52).

136. ჩვენება 1833 წლის 21 ივლისისა (I)

(გვ. 195)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4454. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 21 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 21 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 21 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 195) „პრაპორშჩიკი, თავადი დიმიტრი ერისთავი უჩვენებს...“ – კომისიას მხედველობაში აქვს დიმიტრი ერისთავის 1833 წ. 19 ივლისის ჩვენება: „მას შემდეგ, რაც სოვეტნიკმა ორბელიანოვმა ზურგი აქცია განზრახულებას დაახლოვებით 1832 წლის ნოემბერში, მე მარტო ვიყავ მასთან დილით და დავინწყეთ საუბარი, რომელშიაც ვკიცხავდით ბელგიის გათიშვას ჰოლანდიისაგან. სოვეტნიკმა ორბელიანოვმა დამიწყო დაჟინებით ცქერა, დაიწყო სიცილი და მომმართა ამ სიტყვებით: გამიგონე, ნუთუ სასაცილო არ არის? წინათ რას არ ვლაპარაკობდით და ესლა კი რას ამბობო. მე კი მას ვუპასუხე: კმარა, მე ამაზე აღარც კი მინდა ვიფიქრო, რადგან ჩვენ უკვე მივატოვეთ განზრახულება და რილასთვის უნდა გავიხსენოთ იგი მეთქი“ (გოზალიძვილი 1976: 325). რასაკვირველია, როგორც დიმიტრი ერისთავი, ისე ალ. ორბელიანი კომისიას ცრუ ჩვენებებს აძლევენ – შეთქმულების ჩავარდნამდე არც ერთ მათგანს არ ჰქონია განზრახული, საქართველოს განთავისუფლების იდეაზე ხელი აეღო.

137. ჩვენება 1833 წლის 21 ივლისისა (II)

(გვ. 195-197)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4502-4502^ა. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 21 ივლისი. **ხელმოწერა:** გადამდგარი პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ორბელიანოვის განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 21 ივლისს“.

ქვეყნდება პირველად.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„**ზაპისკა**“ – Записка: ჩანაწერები.

„**ისპოლიტელნი**“ – Исполнительный: აღმასრულებელი.

„**ოტპუსკი**“ – Отпуск: შვებულება.

„**ოჩნი სტავკა**“ – Очная ставка: პირზე წაყენება.

¹ (გვ. 195) „**ვითარცა კომისიასა შინა მიჩვენებია მის სიტყვით**“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი 1833 წ. 18 თებერვლის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 80).

² (გვ. 196) „**იასე ფალავანდოვმა ოჩნის სტავკასა შინა მითხრა მე წარსრულს 1831-სა წელსა**“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში აქვს კომისიის მიერ მისი და იასე ფალავანდოვის პირზე წაყენება. ამ ფაქტთან დაკავშირებით კომისიის ოქმში წერია (ტექსტი რუსულ ენაზე): „იასე ფალავანდოვმა განაცხადა, რომ მანამდე, სანამ თეიმურაზ ამილახვაროვმა არ განუცხადა შეთქმულების შესახებ, ამ საქმისა არაფერი იცოდა და არც სოვეტნიკ ორბელიანოვს იცნობდა. მისივე თქმით, 1830 წლიდან 1831 წლის აგვისტომდე სოვეტნიკი ორბელიანოვი მასთან სახლში საერთოდ არ არის ნამყოფი. ხოლო თვითონ ფალავანდოვი დიდი ხნის განმავლობაში ავადმყოფ მამას გვერდიდან არ მოშორებია. ფალავანდოვმა ისიც განაცხადა, რომ თეიმურაზ ამილახვაროვს თავისი საქმეების გამო ტფილისში თვეობით უხდებოდა ყოფნა და იგი ამ დროს მასთან, ფალავანდოვთან, რჩებოდა, ხოლო თუ სხვაგან დარჩებოდა, ფალავანდოვს მაინც ხშირად ნახულობდა. – თავის მხრივ, ორბელიანოვი ისევ თავის ჩვენებას ადგა და ამტკიცებდა, რომ იგი ფალავანდოვის სახლში

და, კერძოდ, მის ოთახში ხშირად მიდიოდა ხოლმე. მისი თქმით, იმ დროს ფალავანდოვი მამასთან და ძმასთან (ამჟამინდელი გუბერნატორი) ერთად საკუთარ სახლში ცხოვრობდა.* ორბელიანოვი მასწავლებელ დოდაევს იმონებდა. ამას გარდა, მეტი დამაჯერებლობისთვის ორბელიანოვმა არა მარტო ფალავანდოვის სახლი, არამედ ის ოთახიც დახატა, რომელშიც ფალავანდოვი ცხოვრობდა. – ფალავანდოვი ისევ თავის ჩვენებაზე დადგა და უარყო ორბელიანოვის ნაამბობი, ხოლო პირზე წაყენების ოქმზე ხელმოწერისას ისევ მოსთხოვა ორბელიანოვს, კიდევ ერთხელ მიეთითებინა, თუ რომელ ოთახში ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს 1830 წელს. სოვეტნიკმა ორბელიანოვმა განაცხადა, რომ 1830 წელს იგი ფალავანდოვს სტუმრობდა ხოლმე სახლის ზემო სართულზე. ფალავანდოვმა განაცხადა, რომ 1830 წელს იგი ცხოვრობდა სახლის არა ზემო, არამედ ქვემო სართულზე, ზემო სართულზე კი 1831 წელს, ყველიერის წინ, გადავიდა, როცა მისი ძმა (ამჟამინდელი გუბერნატორი) ყუბანიდან დაბრუნდა. მან დასძინა, რომ ამას დაამონებდნენ მზარეული ნინია და მოახლეები: ბარბარე, ლომისეული და მარინე. – სოვეტნიკი ორბელიანოვი კი ისევ ამტკიცებდა, რომ იგი 1830 წელს ფალავანდოვს ზემო სართულზე ხვდებოდა“ (ფ. 4218-4219).

³ (გვ. 196) „ამილახვაროვი მის იასეს სიძე არს“ – ის, რომ თეიმურაზ ამილახვარი იასეს *სიძე* იყო, ალ. ორბელიანის ადრინდელ, 1833 წ. 7 თებერვლის, ჩვენებაშიც არის ნათქვამი: „იასე ფალავანდოვმა მითხრა... აქ ჩემი სიძე თეიმურაზ ამილახვაროვი არის, იმას უთხარო“ (იხ. აქვე, გვ. 69). ცოლი თ. ამილახვარისა *ფავლენიშვილის* ქალი იყო (გოზალიშვილი 1970: 267), ხოლო იასე ფალავანდიშვილის და, რომლის სახელი ჩვენთვის უცნობია, თბილისელ სარაჯიშვილზე იყო გათხოვილი (ბერძინიშვილი 1983: 191). ასე რომ, როგორ გამოდიოდა თ. ამილახვარი იასე ფალავანდიშვილის სიძე, ჩვენ ვერ გამოვარკვეით.

⁴ (გვ. 196) „იასე ფალავანდოვი ჩემი დიახ დიდი მტერი არს“ – ალ. ორბელიანსა და იასე ფალავანდიშვილს შორის ჩამოვარდნილი მტრობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 156, 441.

* 1832 წლის იანვრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ნიკოლოზ ფალავანდიშვილი სამოქალაქო გუბერნატორი გახდა, იგი ძმასთან, იასესთან, ერთად, როგორც ადრე ითქვა (გვ. 472), საცხოვრებლად „სახელმწიფო სახლის ოთახებში“ გადავიდა. თ. ჯ.

⁵ (გვ. 197) „ვიყავ ჩემ სოფელსა შინა“ – იგულისხმება სოფელი **ასანხოჯალო** (არანხოჯალო; ამჟამად ხიდისყური ბოლნისის მუნიციპალიტეტში).

⁶ (გვ. 197) „შტაბს კაპიტან ონიკოვს...“ – იგულისხმება **სოლომონ ონიკოვი**, ძმა ალექსანდრე და დიმიტრი ონიკაშვილებისა [დიმ. ონიკაშვილი ადრესატია გრ. ორბელიანის ლექსისა (ორბელიანი 1959: 63-64)]. ბიძინა ერისთავი თავის 1833 წ. 23 იანვრის ჩვენებაში ს. ონიკაშვილზე წერს: „ჩემთან იყვნენ სადილათ ალექსანდრე ორბელიანოვი ვახტანგის ძე და სოლომონ ონიკოვი სახლში, სადაც მე ვიდექი... ვკითხეთ სოლომონ ონიკოვს: შეიძლება თუ არა მოხდეს აღრევა, როგორ გონია. იმან გვითხრა, არ შეიძლებაო და არც არის კარგიო. და ეს კი არ მახსოვს, მე უთხარ პირველათ თუ ალექსანდრე ორბელიანოვმა ვახტანგის ძემ. მე ამის მეტი არა მახსოვს რა, რომ გველაპარაკნოს რამე“ (გოზალიშვილი 1935: 305). თვითონ ონიკოვმა დაადასტურა, რომ ალ. ორბელიანისა და ბიძინა ერისთავის ჩვენებებში ნათქვამი – განზრახვა გამომიცხადეს, თუმცა ჩემი პასუხი ეს იყო: „საქართველო ვერასოდეს ვერ შეძლებს რუსების წინააღმდეგობას მეთქი“ და კატეგორიულად უარყო შეთქმულებაში რაიმე ფორმით მონაწილეობა (გოზალიშვილი 1970: 173). ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, საგამომძიებლო კომისიის ინტერესი სოლომონ ონიკაშვილის მიმართ ამით ამოიწურა.

138. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (I)

(გვ. 198)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4512. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 485. **თარიღი:** 1833 წ. 24 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 24 ივლისს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 198) „კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად“ – საბუთში კითხვა არ არის.

² (გვ. 198) „**მიტხრა, სამი კაცი მოვიყვანო**“ – მოლა ზამანას მიერ *კაცების* ჩამოყვანაზე აღ. ორბელიანს თავის 1832 წ. 31 დეკემბრისა და 1833 წ. 9 მაისის ჩვენებებშიც უწერია, ოღონდ იქ არა **სამ**, არამედ **ოთხ** კაცს ასახელებს (იხ. აქვე, გვ. 52, 151).

139. **ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (II)**

(გვ. 198-199)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4514. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 24 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკის, თავად ორბელიანოვის განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 24 ივლისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 198) „**კომისიის კითხვასა ზედა მაქვს პატივი მოხსენებად**“ – საბუთში კითხვა არ არის.

² (გვ. 198) „**იქ ოსმალოს პოსლანიკი დამხვდა**“ – თუ ოსმალეთის „*პოსლანიკთან*“ (დესპანთან/ელჩთან) შეხვედრას აღ. ორბელიანი შემთხვევითობას მიაწერს, სულ სხვა რამეს უჩვენებს ს. დოდაშვილი: „ოსმალეთის ელჩი 1831 წლის დასასრულს ჩემი ბინის მახლობლად, გენერალ კომაროვსკის ცოლის სახლში, ცხოვრობდა. გავიცანი რა იგი, მასთან ხშირად დავიარებოდი. ერთ საღამოს ჩაიზე მოვიწვიე, რადგან თავისი თარჯიმანის პირით მთხოვა, რომ სურდა მოესმინა ფორტეპიანოზე და მის ტონთან თავისი ბალალაიკა შეეთანხმებინა. ამიტომ მე მოვიწვიე სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი, რომელიც ფორტეპიანოზე აზიურ სიმღერებს კარგად უკრავს და მისი ძმა ვახტანგი, რომელიც რუსულ სიმღერებს უკრავს, და ელჩის მოსალხენად პატარა კონცერტი შევადგინე; ფორტეპიანოზე და ბალალაიკაზე ვუკრავდით და ვმღეროდით ევროპიულ და აზიურ სიმღერებს, ამავე დროს იყო აგრეთვე ელიზბარ ერისთავი. მთავრობის წინააღმდეგ განზრახვის შესახებ ოსმალეთის ელჩთან არც იმ დამეს და არც სხვა დროს არავითარი ლაპარაკი არა მქონია“ (გოზალიშვილი 1935: 57-58).

აღ. ორბელიანიცა და ს. დოდაშვილიც კომისიას ცრუ ჩვენებას აძლევენ – რასაკვირველია, შეთქმულები ოსმალეთის „პასლანიკს“ არც შემთხვევით და არც ბალალაიკაზე დასაკვრელად არ ხვდებოდნენ [ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებით, აღ. ორბელიანს მისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ „ის დაიარება აქ ოსმალეთის ელჩთან და აქვს ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი“ (გოზალიშვილი 1935: 57), ვახტანგ ორბელიანი კი თავის ერთერთ ჩვენებაში წერს: „გავიგონე დოდაშვილისაგან 1831 წ., რომ ოსმალეთის ელჩი ერთ საღამოს მასთან იყო“ (გოზალიშვილი 1935: 58)].

შეთქმულთა ურთიერთობა ოსმალეთის „პასლანიკთან“ „ფარული საზოგადოების“ ორგანიზატორთა საერთაშორისო კავშირების მცდელობებისა და ინტერესების (ინგლისი, საფრანგეთი, ეგვიპტის ფაშა მუჰამად ალი, ირანი...) კონტექსტში უნდა იქნეს განხილული (ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2022^ბ: 266-272).

140. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (III)

(გვ. 199)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4556. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 24 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, ალექსანდრე ორბელიანოვს. 24 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 24 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 199) „მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს (ფ. 1110 და 1613)“ – კომისიას მხედველობაში აქვს ს. დოდაშვილის 1833 წ. თებერვლის ორი ჩვენება (ჩვენებებზე რიცხვები არ არის მითითებული). აქედან პირველ ჩვენებაში (ფ. 1110) საკითხის შესახებ ს. დოდაშვილი წერს: „გენერალ-მაიორ თ[ავად] ჭავჭავაძეს ვიცნობ პირადად 1830 წლიდან, მაგრამ შეთქმულების თაობაზე მე თვითონ მასთან არავითარი საუბარი არა მქონია. მხოლოდ

გამიგონია თ. თ. ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვისაგან, რომ მან ეს შეთქმულება იცის და სურს, მაგრამ ჯერ აღსრულების დრო არ არისო“ (გოზალიშვილი 1970: 248). მეორე ჩვენებაში კი ვკითხულობთ: „...არც გენ.-მაიორ ჭავჭავაძესთან მქონია საუბარი, ხოლო თ. ალექსანდრე ორბელიანოვისა და ელიზბარ ერისთოვისაგან 1831 წ. გავიგონე, რომ მან იცის შეთქმულება და კიდევაც სურს, მაგრამ ჯერ აღსრულების დრო არ არისო“ (გოზალიშვილი 1935: 397).

141. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (IV)

(გვ. 199)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4562. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 24 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 24 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 24 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 199) *„ერთ-ერთი ჩვენებიდან (ფ. 4158) ჩანს...“* – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის ჩვენება: „მითხრა ალექსანდრემ, როდესაც მე უთხარო [ზაქარია] ჩოლაყაევს ჩვენი საზოგადოებისაო, თითონ მთხოვაო, რომ ზამთარი არის, ახლავე მოახდინეთო. და როდესაც კაპიტან ჩოლაყაევის ძმა (იგულისხმება ზაქარიას ძმა ალექსანდრე ჩოლოყაშვილი – თ. ჯ.) აქ იყო, იმან მითხრაო, რატომ არას აწყობთ საზოგადოებასაო და იქიდან მე ვცდილობ საზოგადოებაში ხმის გაფენასაო“ (გოზალიშვილი 1935: 482).

142. ჩვენება 1833 წლის 24 ივლისისა (V)
(გვ. 200)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4592. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 24 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ სოვეტნიკს, პოდპორუჩიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 24 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 26 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 200) „ამბოხების პირველი ღამის განკარგულება მანვე წაკითხათ“ – პირველი ღამის განკარგულების შესახებ იხ. აქვე, გვ. 344-345.

² (გვ. 200) „ნაგეჩხუბათ იმის გამო, რომ განკარგულება აქამდე არ გქონდათ წაკითხული“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 23 იანვრისა და 31 მაისის (III) ჩვენებები (იხ. აქვე, გვ. 57-58, 164).

143. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა (I)
(გვ. 200-201)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4584. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 26 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის განცხადება“ და „მიღებულია 1833 წლის 26 ივლისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 200) „კომისიასა შინა მიჩვენებია, ფურცელსა ზედა 1703-ს“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1833 წ. 1 მარტის ჩვენება (იხ. აქვე, 100; ფ. 1703 არის ჩვენების რუსული თარგმანის პაგინაცია. თვითონ ჩვენების პაგინაციაა ფ. 1701-1702).

144. ჩვენი 1833 წლის 26 ივლისისა (II)

(გვ. 201)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4594-4595. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 26 ივლისი.
ხელმოწერა: პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 26 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 26 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენი – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 201) „ერთ-ერთმა თანამზრახველმა თქვა ... იმერელ ბატონიშვილს დაპირდა აჯანყებაში დახმარებას და ეს წერილი მთავრობას წარუდგინა, რითაც ის თავადი ხათაბლაში გახვია“ – ა) მთელი ეს ისტორია, რომელსაც კომისია ეყრდნობა, ვახტანგ ორბელიანის 1833 წ. 5 მაისის ჩვენებაშია მოთხრობილი (გოზალიშვილი 1935: 457-458); ბ) იმერელ ბატონიშვილთან (იგულისხმება ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილი) და ერთ თავადთან (იგულისხმება ლევან დადიანი) დაკავშირებული ისტორიის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322. საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე, ალ. ორბელიანის 1833 წ. 9 მაისის (II) ჩვენება (გვ. 148).

² (გვ. 201) „ვით იასე ფალავანდოვმა თქო ესრეთი“ – იასე ფალავანდიშვილის მიერ ნათქვამი სიტყვები თავ-თავიანთ ჩვენებებში ვახტანგ ორბელიანმა (გოზალიშვილი 1935: 457-458), გიორგი რ. ერისთავმა (გოზალიშვილი 1976: 43, 341) და ელიზბარ ერისთავმაც (გოზალიშვილი 1976: 340) დაადასტურეს, ხოლო იასემ, თავის მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილთან გასაგზავნ წერილთან დაკავშირებული გარემოებები დაადასტურა, ხოლო ეკვიპტის ფაშასა და ორ მღვდელთან დაკავშირებული გარემოებები უარყო (გოზალიშვილი 1976: 346).

145. ჩვენება 1833 წლის 26 ივლისისა (III)

(გვ. 202)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4628. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 26 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 26 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 26 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 202) „...უარყო და განაცხადა, რომ რუსებისათვის სიკვდილს ამჯობინებს (ფ. 407)“ – კომისიას მხედველობაში აქვს იოსებ მამაცაშვილის 1833 წ. 4 იანვრის ჩვენება: „ექსპედიციის ჭიშკართან შემომეყარა თ[ავადი] ალექსანდრე ორბელიანოვი და ვუთხარი, ურჩიოს თ. ელიზბარ ერისთოვსა და სხვებსაც, რათა მათ თავიანთ სისულელეზე ხელი აიღონ, თორემ სასტიკ სასჯელს ვერ აიცდენენ მეთქი. მან მიპასუხა, რომ ის თვითონ ცდილობს, მათ ამგვარ საქმეზე ხელი ააღებინოს. ამასთანავე მითხრა, რომ მათ თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს კაცი მიუგზავნეს, მაგრამ მას უარი უთქვამს და უპასუხნია, რომ რუსების გული-სათვის სიკვდილს ამჯობინებს“ (გოზალიშვილი 1970: 131).

146. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (I)

(გვ. 202)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4668. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 28 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 28 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 28 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 202) „მაიორი ლუარსაბ ორბელიანოვი უჩვენებს ... დაგენესებინათ მეფე დავითისა და წმ. ნინოს ორდენები“ – კომისიას მხედველობაში აქვს ლუარსაბ ორბელიანის 1832 წ. 17 დეკემბრის ჩვენება, რომელშიც ვკითხულობთ: „აღ. ორბელიანოვი, ელ. ერისთავი, ი. ფალავანდოვი და კაპიტანი ჩოლაყაყვი მოვიდნენ ჩემთან სახლში და იმათგან ი. ფალავანდოვმა შემოიტანა წინადადება ამ მოქმედების (აჯანყების – თ. ჯ.) დასრულების შემდეგ დაგვეარსებია დავით მეფისა და წმ. ნინოს ორდენი, რაც ყველამ მოინონა“ (გოზალიშვილი 1935: 188).

იგივე კითხვა კომისიამ დაუსვა ელიზბარ ერისთავს, რომელმაც ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება დაადასტურა: „მაიორ თავად ლუარსაბ ორბელიანოვის ჩვენება მართალია. ლუარსაბის სახლში ჩემი და სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის თანდასწრებით ფალავანდოვმა შემოიტანა წინადადება, რათა საქმის დამთავრების შემდეგ დაგვეარსებინა ორდენები: მეფე დავითისა და წმინდა ნინოსი, რაზედაც ჩვენ ყველანი დავეთანხმეთ“ (გოზალიშვილი 1976: 349). იასე ფალავანდიშვილი კი თავის 1833 წ. 10 თებერვლის ჩვენებაში ორდენების დაარსების იდეას აღ. ორბელიანს მიანერს: „სოვეტნიკი [აღ. ორბელიანი] ამბობს: უეჭველად უნდა დავაარსოთ ორდენი დავით აღმაშენებლისა და საქართველოს განმანათლებლის ნინოსიო“ (გოზალიშვილი 1970: 306-307), სხვა ჩვენებაში იასე წერს: „ალექსანდრე ორბელიანოვმა მითხრა, რომ მე ჩვენთვის უკვე გამოვიგონე ნიშანი დავით მეფის ჯვარი და წმ. ნინოს ჯვარიო“ (გოზალიშვილი 1935: 229).

147. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (II)

(გვ. 203-204)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4690. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 28 ივლისი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ალექსანდრე ორბელიანოვის განმარტება“ და „მიღებულია 1833 წლის 28 ივლისს“.

ქვეყნდება პირველად.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„პრისუსტვია“ – *В присутствии*: თანდასწრებით.

„რასპარაჟენია“ – *Распоряжение*: განკარგულება.

¹ (გვ. 203) „კომისიის კითხვასა ზედა“ – საბუთში კითხვა არ არის.

² (გვ. 203) „ნუ ჰკითხავს პირველს იასე ფალავანდოვს, ჩემის ძლიერის მტრობის გამო“ – ალ. ორბელიანის მიერ ნახსენები *მტრობის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 156, 441.

148. ჩვენება 1833 წლის 28 ივლისისა (III)

(გვ. 204)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 23. ფ. 4694. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 28 ივლისი. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 28 ივლისი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 31 ივლისს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 204) „ტიტულარული მრჩეველი ბირთველ თუმანოვი უჩვენებს...“ – კომისიას, ჩანს, მხედველობაში აქვს ბირთველ თუმანიშვილის (თუმანოვის) 1833 წ. 4 იანვრის ჩვენება, რომელშიც დაკითხული აღწერს შეხვედრებსა და საუბრებს შეთქმულების წევრებთან, თუმცა დასძენს – ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ ყველაფერი დანვრილებით შემეტყო და მთავრობისთვის მომხსენებინაო (გოზალიშვილი 1935:252-255; ბიოგრაფიული ცნობები ბ. თუმანიშვილის შესახებ იხ.: ბერძნიშვილი 1983: 40-41; ხელთუბნელი 1938: 9-14). შეთქმულების წევრი იყო აგრეთვე ბირთველის შვილი – პორუჩიკი გიორგი თუმანიშვილი (თუმანოვი), რომელსაც აჯანყების ღამეს სხვა შეთქმულებთან ერთად ორდონანს ჰაუსზე (სამხედრო კომენდატურა და ჰაუპტვახტი) უნდა მიეტანა იერიში (გოზალიშვილი 1935: 137). მიხ. ხელთუბ-

ნელის მიხედვით, გიორგი ბირთველის ძე თუმანიშვილს მონაწილეობა მიუძღვია რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომებში. იგი მამამ სიყმანვილეშივე დანიშნა ერევნის მელიქის სააკ (საჰაკ) აღამალოვის ქალიშვილზე (ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლისდაზე), მაგრამ „ქორნილის დრო რომ დადგა, გიორგი, რომელსაც არასდროს არ ენახა არც საცოლე, არც მისი მშობლები, ხოლო ბევრი რამ სმენოდა ქალის სილამაზეზე და კარგ ზნე-ხასიათზე, გაემგზავრა ერევნისაკენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას თურმე დაასწრო ერთმა მისმა შორეულმა ნათესავმა, რომელიც მასავით გიორგი თუმანიშვილი იყო და თანაც სამხედრო პირი. არც ქალის მშობლებს ენახათ ნამდვილი სასიძო და ამიტომ ქორნილი გადაეხადათ. გიორგიმ ვერ აიტანა სირცხვილი და სამუდამოდ განეშორა სამშობლოს და ირანით ბაღდადს წავიდა. 1831 წლიდან იმისაგან არავითარი ცნობა არ მოსულა: ხმა გავარდა, ვითომც ირანელ-თურქთა ომში დაღუპულიყო, ხოლო მეორე ცნობით, შავი ჭირისაგან მოკვდაო“ (ხელთუბნელი 1938: 21). ჩვენ საფუძველი არა გვაქვს, არ ვენდოთ მის. ხელთუბნელს – თუმანიშვილთა ცნობილი ოჯახის მკვლევარს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მთელს ამ ისტორიაში სწორი არ ჩანს გიორგი თუმანიშვილის ბაღდადს გადახვეწის თარიღი (1831 წელი). 1832 წლის დეკემბერში გიორგი თბილისშია და, როგორც ითქვა, აჯანყების ღამეს ორდონანს ჰაუსის იერიშით ალეხასაც აპირებს. სხვა რამ ცნობა გ. ბ. თუმანიშვილზე ჩვენ არ მოგვეპოვება (შეთქმულების მასალებში ჩანს კიდევ ერთი გიორგი თუმანიშვილი, ეგნატეს ძე, პოეტი და სახელმწიფო მოხელე, რომელიც საგამომძიებლო კომისიამ უდანაშაულოდ ცნო და გაათავისუფლა – ბერძნიშვილი 1983: 41).

² (გვ. 204) **„ხსენებულ პირთან ლაპარაკი არარაი არა მქონიარა ამ ჩვენსა განძრახვასა ზედა და არც არა ვიცი რა მისი“** – ალ. ორბელიანი კითხვაზე პირდაპირ პასუხს მოხერხებულად არიდებს თავს. კომისია მას ეკითხება, თუ რა საუბარი ჰქონდა ბირთველ თუმანიშვილს „ფარული საზოგადოების“ წევრებთან, ალ. ორბელიანი კი უპასუხებს, რომ პირადად მას ხსენებულ პირთან არავითარი ლაპარაკი არა ჰქონია.

149. ჩვენება 1833 წლის 2 აგვისტოსი
(გვ. 204)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4752. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 2 აგვისტო. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 2 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 2 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 204) „რუსულად ჩაცმულ ქართველებს ჯარისკაცებისათვის ღამით იარაღი უნდა აეყარათ“ – ელიზბარ ერისთავის 1833 წ. 4 მარტის ჩვენებით, „შემოიტანა წინადადება ნათალოვმა, რომ ადვილია განიარაღება, თუკი რამდენიმე გადაცმულ ქართველს ყაზარმებში შევაპარებთო. თვითონ კისრულობდა ამ საქმის შესრულებას“ (გოზალიშვილი 1970: 406). თვითონ დ. ნათალიშვილი ამას უარყოფს (გოზალიშვილი 1976: 65). რაც შეეხება ალ. ორბელიანის სახლში ნათალოვის *დაყოლიების* მცდელობას, ხსენებულ შეხვედრაზე დასწრებას ვახტანგ ორბელიანი უარყოფს (გოზალიშვილი 1976: 292. საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე, გვ. 388-389).

150. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (I)
(გვ. 205)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4784. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 4 აგვისტო. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 4 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 4 აგვისტოს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხები – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 205) „მოლა ზამანა უჩვენებს, რომ ... ალექსანდრე ბატონიშვილთან კავშირი გქონდათ ერთი ნესტორიანელის მეშვეობით“ – მოლა ზამანას ამ ჩვენებისა და კომისიის მიერ ნახსენები ნესტორიანელის შესახებ იხ. აქვე, გვ. 132-133, 419-420.

151. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (II)

(გვ. 205-206)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4796. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 4 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 4 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 4 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 205) „ზოგიერთი ჩვენებიდან (ფ. 66 და 4640) ირკვევა...“ – იგულისხმება დიმიტრი ყიფიანის ჩვენებები, რომელთა მიხედვითაც, კომისიის მიერ დამონმებული სიტყვები იასე ფალავანდიშვილს უთქვამს და ელიზბარ ერისთავთან გამართულ ამ შეხვედრას ალ. ორბელიანი ესწრებოდა (გოზალიშვილი 1976: 341-342). ი. ფალავანდიშვილს მაშინ ესეც უთქვამს: „აი, მეც კი ბატონიშვილად მიმიღეს, ბრწყინვალედ უზრუნველმყვეს საარსებო საშუალებით, მომცეს ბინა, მეპატიჟებოდნენ გამოჩენილი პირები, ერთი სიტყვით, ყველანი ერთიმეორეს ასწრებდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად ესიამოვნებინათ ჩემთვის. და ასე მარტო მე კი არ მეპყრობოდნენ, არამედ ასე ეპყრობიან ყველა ქართველს“ (გოზალიშვილი 1976: 342). სინამდვილეში კი ოსმალეთში გაქცეული იასე ახალციხეში შეიპყრეს და იგი სიკვდილს ვახტანგ იმერეთის ბატონიშვილმა გადაარჩინა (საკითხის შესახებ, აგრეთვე ნყაროები და ლიტერატურა იხ. აქვე, გვ. 321-322).

152. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (III)

(გვ. 206)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4816. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 369-370. **თარიღი:** 1833 წ. 4 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „თავად ა. ვ. ორბელიანოს“ და „მიღებულია 1833 წლის 7 აგვისტოს“. კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 206) „...ელიზბარ ერისთოვი, როგორც ის ადამიანი, რომელსაც შეიძლება მიჰმართოთ შეთქმულების შესადგენად“ – ალ. ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის ჩვენების მიხედვით, ელიზბარ ერისთავის შესახებ ოქროპირ ბატონიშვილს მისთვის უთქვამს: „აქ ბევრნი კარგნი პატიოსანნი კაცნი არიან, რომ იმათ ენდოთ და კარგს რჩევასაც მოქცემენო ... აქ კიდევ ელიზბარ ერისთოვი არისო, ისიც კარგი ჭკვიანი კაცი არისო“ (იხ. აქვე, გვ. 25).

² (გვ. 206) „შემდეგ გაცნობისა ანუ ორი და ანუ სამ კვირაზე“ – ოქროპირ ბატონიშვილი თბილისში 1829 წლის 1 სექტემბერს ჩამოვიდა (იხ. აქვე, გვ. 315). ასე რომ, წინამდებარე ჩვენების მიხედვით, ოქროპირ ბატონიშვილს შეთქმულების თაობაზე ალ. ორბელიანთან 1829 წ. სექტემბერშივე უსაუბრია.

³ (გვ. 206) „ელიზბარ მაშინ აქ იყო“ – ელიზბარ ერისთავი პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მისივე ჩვენებით, საქართველოში 1830 წლის „მარტის დამლევს“ დაბრუნდა (გოზალიშვილი 1970: 263). ასე რომ, თუ ოქროპირ ბატონიშვილმა ალ. ორბელიანს ელიზბარ ერისთავი პირველსავე შეხვედრაზე დაუსახელა, იმ დროს ელიზბარი თბილისში ვერ იქნებოდა.

153. ჩვენება 1833 წლის 4 აგვისტოსი (IV)

(გვ. 207)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4832. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 4 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 4 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 7 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 207) „მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს ... თავადაზნაურობის წინამძღოლთან, დიმიტრი ორბელიანოვთან, მოლაპარაკება დაავალეთ“ – ა) დოდაევი უჩვენებს: კომისიას მხედველობაში აქვს ს. დოდაშვილის 1832 წ. 23 დეკემბრის ჩვენება, რომელშიც ვკითხულობთ: „აღ. ორბელიანოვმა და ი. ფალავანდოვმა დამავალეს მოვლაპარაკებოდი ამ საქმეზე თავადაზნაურობის წინამძღოლს დიმიტრი ორბელიანოვს, მაგრამ მე მისთვის არაფერი მითქვამს“ (გოზალიშვილი 1935: 221); ბ) თავადაზნაურობის წინამძღოლთან, დიმიტრი ორბელიანოვთან: შეთქმულების წევრი დიმიტრი თამაზის (თომას) ძე ორბელიანი 1830 წლიდან თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) იყო, ხოლო 1839-1855 წწ. იგი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლია (ბიოგრაფიული ცნობები დიმ. თ. ორბელიანზე იხ.: აქტები 1885: ტ. X, XXVIII; საქართველოს კალენდარი 1890: 460; ბერძნიშვილი 1983: 139-140).

154. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (I)

(გვ. 207)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4874. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 9 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 9 აგვისტო 1833

ნლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზე (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 207) „აბხაზოვი უჩვენებს, რომ ერთ-ერთ შეკრებაზე უფროსად აირჩიეთ იასე ფალავანდოვი, თუმცა მან ამაზე უარი განაცხადა“ – კომისიის მხედველობაში აქვს ანტონ აბხაზის 1833 წ. 13 თებერვლის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „ალექსანდრე ორბელიანოვმა შემოიტანა წინადადება ჩვენს შორის აგვეჩინა ვინმე, რომელსაც მეთაურობა უნდა გაენია. მე მითხრეს, შენ უნდა იყო. მე მონივნებით უარი ვთქვი ამგვარ პატივზე, ამიტომ ახლა ფალავანდოვს უთხრეს. იმანაც უარი თქვა“ (გოზალიშვილი 1970: 312).

155. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (II)

(გვ. 207-208)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4884. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 9 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 9 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზე (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 207) „იასე ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 4717)“ – კომისიის მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის ჩვენება: „ალექსანდრემ [ორბელიანმა] ჰსთქვა: „ქართლშიაც ვაცნობე ეს ხმა (გლეხების სალდათად განვევა – თ. ჯ.), ვილაც თავადიშვილი სთქვა და ციციშვილსაცაო, და აქ მე მყვანდნენ ჯამუშნი ჩემი ლეკი, ივანე დალაქი, ვილაც აზნაურისა სთქვა, ვგონებ ქარუმიძე და სხვანიცაო, რომ მდაბიო ხალხში ხმა დაეგდოთ სალდათის მოკრეფისა“ (გოზალიშვილი 1935: 487). გიორგი რ. ერისთავი იასეს ამ ჩვენებას უარყოფს (გოზალიშვილი 1976: 379).

² (გვ. 208) „1829-სა წელსა, ოდესცა აღშფოთება იყო აქ ხალხსა შინა“ – 1829 წელს მილიციის განწვევასთან დაკავშირებული მღელვარების შესახებ იხ. აქვე, გვ. 312-313.

156. ჩვენება 1833 წლის 9 აგვისტოსი (III)

(გვ. 208-209)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4888. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 9 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ სოვეტნიკ ორბელიანოვს. 9 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 208) „თარჯიმანი მამაცოვი და მასწავლებელი დოდაევი უჩვენებენ ... ამ საქმესთან დაკავშირებით იქ ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვედროდა“ – 1832 წელს ირანში რუსეთის სრულუფლებიან მინისტრად დანიშნეს თეიმურაზ ბატონიშვილის ქვისლი, გრაფი ივანე სიმონიჩი და ამ უკანასკნელმა ს. რაზმაძე თეიმურაზის თხოვნით თავისთან სამსახურში აიყვანა (გოზალიშვილი 1970: 223). ირანში მიმავალი სიმონიჩი თბილისში ს. რაზმაძესთან ერთად ჩამოვიდა 1832 წლის მარტის დამლევს და აქ იმავე წლის 13 აგვისტომდე დარჩა (გოზალიშვილი 1970: 274). იოსებ მამაცაშვილის 1833 წ. 4 იანვრის ჩვენების მიხედვით, „რაზმაძეს, რომელიც სპარსეთში მიემგზავრებოდა, დაავალეს გამოენახა ღონისძიებანი მათი განზრახვისთვის ხელის შესაწყობად“ (გოზალიშვილი 1970: 129). ს. დოდაშვილი კი 1833 წ. თებერვალში (რიცხვი არ არის მითითებული) კომისიას უჩვენებს: „დაავალა თავადმა ალექსანდრე ორბელიანოვმა სოლომონ რაზმაძეს შემდეგი: როცა შენ ირანში იქნები, ეცადე ინახულო ალექსანდრე ბატონიშვილი, ეცადე გაიგო, რას ფიქრობს იგი და რა განზრახვა აქვს საქართველოს მიმართ, დანვრილებით მომწერე ყველაფერიო. რაზმაძემ უპასუხა, ძალიან კარგი, თუკი შესაძლებელი იქნება მისი ნახვაო“ (გოზალიშვილი 1970: 207).

ს. რაზმაძემ მოახერხა, თავრიზიდან თბილისში ხმა მოეწვინა შეთქმულთათვის (ი. ფალავანდიშვილი: „სოვეტნიკი [ალ. ვ. ორბელიანი] მიუბუნება, რაზმაძე სპარსეთიდან კარგ ამბებს გვატყობინებს, თითქოს ინგლისელები რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებას აპირებენო“ – გოზალიშვილი 1970: 309), მაგრამ, ჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილთან შეხვედრა ს. რაზმაძეს ვერ მოუხერხებია. ამას მოწმობს არა იმდენად თვითონ ს. რაზმაძის ჩვენება – „ალექსანდრე ბატონიშვილთან არავითარი ურთიერთობა არა მქონია“ (გოზალიშვილი 1976: 380), არამედ სააუდიტორო დეპარტამენტის მიერ სამხედრო მინისტრ ა. ჩერნიშოვისადმი წარდგენილი მოხსენება, რომელშიც ნათქვამია: „[ს. რაზმაძეს] ჰქონდა ბოროტგანმზრახველთაგან მიღებული დავალება, დაემყარებინა ურთიერთობა ალექსანდრე ბატონიშვილთანა და თავრიზში მყოფ ინგლისელებთან, მაგრამ საქმიდან არა ჩანს, რომ მას ურთიერთობა ჰქონოდა მათთან“ (გოზალიშვილი 1976: 444).

შეთქმულების ჩავარდნიდან დაახლოებით ერთ თვეში ს. რაზმაძე თავრიზში დააპატიმრეს და 1833 წლის 10 იანვარს თბილისში ეტაპით ჩამოიყვანეს. საბოლოოდ კი იგი გადასცეს სამხედრო სასამართლოს (გოზალიშვილი 1976: 419, 428), თავიდან მიუსაჯეს „ოთხად განკვეთა“ (გოზალიშვილი 1976: 431), შემდეგ სასჯელი შეუცვალეს და გადაასახლეს ქ. პენზაში (გოზალიშვილი 1976: 435), სადაც გაგზავნეს 1834 წლის 24 ივნისს (გოზალიშვილი 1976: 436-437; სააუდიტორო დეპარტამენტის ზემოხსენებულ მოხსენებაში დაკონკრეტებულია ს. რაზმაძის სასჯელთან დაკავშირებული გარემოებები: „[ს. რაზმაძეს], რომელიც თავის თავს აზნაურს უწოდებს, მაგრამ ამის დასამტკიცებლად არ წარმოუდგენია არავითარი საბუთი... სამუდამოდ აეკრძალოს საქართველოში დაბრუნება, სადაც მას ნათესავი არცა ჰყავს“ – გოზალიშვილი 1976: 444). პენზაში ს. რაზმაძე ოჯახს მოეკიდა და სამუდამოდ იქ დარჩა (საკითხის შესახებ იხ. გოზალიშვილი 1976: 445-446; ბერძნიშვილი 1983: 163-165; ალანია 1959: 313-324).

157. ჩვენება 1833 წლის 11 აგვისტოსი

(გვ. 209)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 24. ფ. 4908. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 11 აგვისტო. **ხელმონერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 11 აგვისტოს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 209) „ჩემის მეორე ძმის, თავად თადია ჩოლაყოვის სოფელს ყარაბულახს“ – თადია ჩოლოყაშვილი და ალ. ორბელიანი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ (იხ. აქვე, გვ. 363). ამიტომ უწოდებს ალ. ორბელიანი თადიას *ჩემს მეორე ძმას*.

² (გვ. 209) „რუსიევმა ხმა არ გამცა, ვითარცა მახსომს ... იქნება ვერც გაიგონა ჩემი ლაპარაკი სიმთვრალისა გამო“ – ალ. ორბელიანს სურს გააბათილოს თავისი ადრინდელი, 1833 წ. 18 იანვრის ჩვენება, რომლის მიხედვითაც, ნინია რუსიშვილს (რუსიევს) მშვენიერად გაუგონია ალ. ორბელიანის ნათქვამი და, ამდენად, იგი მინიმუმ შეთქმულების საქმის კურსში იყო: „მე და ნინია რუსიევი სასეიროდ დავდიოდით თავლის ბანზე, მაშინ მე ლაპარაკში ისე უთხარ, არ შაიძლება რომ ჩვენ განვთავისუფლდეთ მეთქი. – თ-დმა რუსიევმა მითხრა არასდროს არ შაიძლებაო და ურუსებოთ არ შაგვიძლიან ჩვენ ცხოვრებაო“ (აქვე, გვ. 57; იხ. აგრეთვე, გვ. 49).

158. ჩვენება 1833 წლის 12 აგვისტოსი

(გვ. 209)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 4916. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 12 აგვისტო. **ხელმონერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ორბელიანოვს. 12 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 14 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 209) „**მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს (174)**“ – კომისიას მხედველობაში აქვს ს. დოდაშვილის 1832 წ. 23 დეკემბრის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „როდესაც მე და ალ. ორბელიანოვი ოქროპირ ბატონიშვილთან ვბაასობდით, მაშინ ელ. ერისთოვმა თქვა, რომ მე ვიცი არა მხოლოდ ოქროპირ, არამედ სხვა ბატონიშვილებისაგანაცო და დაასახელა ფარნაოზ ბატონიშვილი და აგრეთვე განაცხადა, რომ ის მასთან მიმონერაშია“ (გოზალიშვილი 1935: 220).

159. ჩვენება 1833 წლის 14 აგვისტოსი (გვ. 210)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 4936. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 14 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 14 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 16 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 210) „**მართლაც თუ მონაწილეობდა თავადი სევარსამიძე მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში და რით დაამტკიცებთ ამას?**“ – გენერალ-მაიორი ლეონტი სავარსამიძე (სევარსამიძე) შეთქმულების ორგანიზატორთა მიერ სამხედრო მინისტრის (მხედართმთავრის) პოსტზე განიხილებოდა (გოზალიშვილი 1935: 91, 366), თუმცა საბოლოოდ ალექსანდრე ჭავჭავაძის კანდიდატურაზე შეთანხმდნენ (გოზალიშვილი 1935: 92, 134, 167...). წყაროებში არ ჩანს, რომ თვითონ ლ. სავარსამიძისთვის ცნობილი იყო შეთქმულების ამბავი (ბიოგრაფიული ცნობები ლ. სავარსამიძის შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1983: 170; აქტები 1881: XV).

160. ჩვენება 1833 წლის 16 აპრილის
(გვ. 210-211)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 4948. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 16 აგვისტო. **ხელმონერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 16 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 16 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 210) „შეკითხვაზე გიორგი ამილახვაროვის შესახებ, თქვენ უპასუხეთ...“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის 1833 წ. 12 თებერვლის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 73, 375). აქ აღწერილია ის ამბავი, რომლის შესახებაც კომისია პასუხს სთხოვს ალ. ორბელიანს [იხ. აგრეთვე, 1833 წ. 2 ივნისის (II) ჩვენება – გვ. 165].

² (გვ. 210) „გიორგი დავითის ძე ერისთავმა ამასთან დაკავშირებით განმარტა“ – იგულისხმება გ. დ. ერისთავის 1833 წ. 2 მაისის ჩვენება: „[დემიტრი ბატონიშვილისადმი] წერილი მე დავწერე ელიზბარის სახელითა და მისივე თხოვნით. მერე მე თითონვე წაუკითხე სოვეტნიკ ალექსანდრეს ბაღში. ამ დროს იქ მოვიდა გიორგი ამილახვაროვი და დაგვინახა რა, რომ წერილს ვკითხულობდით, შეგვეკითხა ვისა სწერთო? რაზედაც ელიზბარმა უპასუხა, რომ ეს მისი წერილია დემიტრი ბატონიშვილისადმი. ამის შემდეგ გიორგი ამილახვაროვმა სთხოვა, მისი სახელითაც მიენერა სალამი ბატონიშვილ დემიტრის მიმართ, მაგრამ მე არ ვიცე, შეასრულა თუ არა ეს ელიზბარმა, რომელმაც წერილი შინ წაიღო თეთრად გადასაწერად და ბატონიშვილთან გასაგზავნად“ (გოზალიშვილი 1976: 115). თავის მხრივ, ელიზბარ ერისთავმა უარყო მთელს ამ ისტორიაში გიორგი ამილახვარის მონაწილეობა („არ შეგვეძლო მოგვეხსენებინა გიორგი ამილახვაროვი, რადგან მე არ ვიცოდი, მისთვის ცნობილი იყო თუ არა ჩვენი შეთქმულება“ – გოზალიშვილი 1976: 116).

161. ჩვენება 1833 წლის 17 აგვისტოსი

(გვ. 211)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 4970. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 17 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკ ორბელიანოვის ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 18 აგვისტოს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 211) „ზავილეისკი სთხოვდა ბატონიშვილს დედაჩემს სახლის ფათერს“ – პ. ზავილეისკის მიერ თეკლე ბატონიშვილისთვის „ფათერის“ (სახლის, ბინის, სადგომის, საცხოვრისის) ჩამორთმევის განზრახვის შესახებ იხ. აქვე, გვ. 74-75, 225, 376.

² (გვ. 211) „პრისუსტვიასა შინა“ – საგამომძიებლო კომისია იგულისხმება.

162. ჩვენება 1833 წლის 18 აგვისტოსი

(გვ. 212-213)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 4976-4976^ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 18 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „სოვეტნიკის, თავად ალექსანდრე ორბელიანოვის ჩვენება“ და „მიღებულია 1833 წლის 18 აგვისტოს“.

ქვეყნდება პირველად.

ჩვენებაში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„**ვოპროსნი**“ – *Вопросный*: კითხვისა, კითხვათა.

„**ოჩნი სტავკა**“ – *Очная ставка*: პირზე წაყენება.

„**პრისუსტვია**“ – *В присутствии*: თანდასწრებით.

¹ (გვ. 213) „რათა მამეტეოს ესრეთი დანაშაული, აგრემც ღმერთი უცოცხლებს ხელმწიფეს კარგს შვილებს!“ – ალ. ორ-

ბელიანს მხედველობაში აქვს ნიკოლოზ I-ის სახელზე დანერგილი „შემცოდების მოტევეების თხოვნა“ (იხ. აქვე, გვ. 381-385).

163. ჩვენება 1833 წლის 23 აგვისტოსი

(გვ. 213)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 5012. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 23 აგვისტო. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ სოვეტნიკს, თავად ორბელიანოვს. 23 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 23 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 213) „ფიქრათაც არ მამსვლია ესრეთი, არამც თუ მეთქოს“ – შეკითხვაში იგულისხმება გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ოფიციალური დამატება, ორკვირეული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“, რომელსაც ს. დოდაშვილი 1832 წელს გამოსცემდა (სულ გამოვიდა 5 ნომერი. ჟურნალის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2013⁹: 53-81). ჟურნალის გამოცემა ს. დოდაშვილს ელიზბარ ერისთავმა და ალ. ორბელიანმა შესთავაზეს. ამის თაობაზე ს. დოდაშვილი კომისიას უჩვენებს: „1830 წლის დამღევს, თუ 1831 წლის დამღევს მოვიდნენ ჩემთან თავადები: ყოფილი სოვეტნიკი ალექსანდრე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთავი. პირველად ამის მეტი არა უთქვამთ რა, რომ მთხოვეს გამომეცა გაზეთი და აღმითქვა, ხელისმომწერლებს ვიშოვიოთ. მე სიამოვნებით დავეთანხმე“ (გოზალიშვილი 1970: 205; იხ. აგრეთვე: გოზალიშვილი 1970: 247). თავის მხრივ, ფაქტი ელიზბარ ერისთავმა დაადასტურა (რვ. 25. ფ. 5010; გოცაძე 1954: 173). აქვე უნდა ითქვას, რომ იმ დროს სიტყვა **გაზეთს** ზოგადად პერიოდული გამოცემის (პერიოდიკის) მნიშვნელობითაც ხმარობდნენ და **გაზეთი** ზოგჯერ **ჟურნალს** ნიშნავდა (ამ დროს, 1828-1832 წწ., ს. დოდაშვილი უკვე იყო გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ქართული დუბლიკატის, „ტფილისის უწყებანის“, რედაქტორი).

164. ჩვენება 1833 წლის 28 აგვისტოსი (I)

(გვ. 213)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 5064. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 28 აგვისტო. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 28 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 28 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 213) „სოლომონ დოდაევი უჩვენებს (2413)“ – კომისიას მხედველობაში აქვს ს. დოდაშვილის 1833 წ. 12 აპრილის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „ვარშავის ალების შემდეგ ეკლესიიდან ვბრუნდებოდი მუნდირში გამოწყობილი. შევიარე სოვეტნიკ ორბელიანოვთან და ავუხსენი მას, რომ განზრახულობის შესახებ ყოველ საქმეზე ხელი აეღო, ისიც დამეთანხმა...“ (გოზალიშვილი 1970: 545).

165. ჩვენება 1833 წლის 28 აგვისტოსი (II)

(გვ. 214)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 5072-5072ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 28 აგვისტო. **ხელმწიფი:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 28 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 28 აგვისტოს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 214) „მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს (ფ. 985)“ – კომისიას მხედველობაში აქვს ს. დოდაშვილის 1833 წ. თებერვლის (რიცხვი არ არის მითითებული) ჩვენება: „...შევედი თავად ალექსანდრე ორბელიანოვთან და ვთხოვე: მოიღეთ მონყალემა,

უთხარით თავად ელიზბარ ერისთოვსა და იასე ფალავანდოვს, ხელი აიღონ მეთქი. მან მიპასუხა: ისინი ეს ეს არის აქ იყვნენ და შენა გკიცხავდნენო, ერისთოვმა დაიფიცა, რომ შურს ვიძიებო (მოკვლავო). დაე, რაც უნდა მიყოს მე, ოღონდ ამ საქმეს თავი დაანებოს მეთქი. – ვახტანგ ორბელიანოვმაც მითხრა, რომ ელიზბარ ერისთოვს ვუგინებიავართ და მოკვლას გვიპირებს“ (გოზალიშვილი 1970: 211-212).

² (გვ. 214) **„დოდაევი ასევე უჩვენებს (ფ. 1894)“** – იგულისხმება ს. დოდაშვილის 1833 წ. 8 მარტის ჩვენება: „1831 წელს მოვიდნენ ჩემთან თავადები ალექსანდრე ორბელიანოვი და ელიზბარ ერისთავი და მთხოვეს დამეწერა აღმგზნები წერილები გაზეთში დასაბეჭდად და აგრეთვე სხვა თხზულებანი, რომელთაც შეეძლოთ მკითხველის აზრზე გავლენა მოეხდინათ. ჩემს პასუხზე, რომ ამ საქმეს ხუმრობა არ გამოადგება მეთქი, თავადმა ერისთავმა თქვა, რომ ხანჯლით მოგადგებით, მაშინ უარს ველარ იტყვიო. შენი საქმეა სწეროო“ (გოზალიშვილი 1970: 436).

ს. დოდაშვილის ჩვენებაში ერთი შეუსაბამობაა: 1831 წელს იგი რედაქტორია გაზეთ „ტფილისის უწყებანისა“, რომელიც რუსული გაზეთის, „ტიფლისკიე ვედომოსტის“, დუბლიკატი იყო და გაერთიანებულ რედაქციას მთავარ რედაქტორობას პავლე სანკოვსკი უწევდა (ს. დოდაშვილი მის მოადგილედ ითვლებოდა). „ტიფლისის უწყებანი“ ოფიციალურად იყო, მასში **აღმგზნები წერილები** ვერ დაიბეჭდებოდა და, შეუძლებელია, ეს ე. ერისთავსა და ალ. ორბელიანს არ სცოდნოდათ. და თუ აქ ს. დოდაშვილის ჟურნალი „სალიტერატურონი ნანილნი ტფილისის უწყებათანი“ იგულისხმება, მაშინ თარიღი 1831 წელი არ გამოდის სწორი – ეს ჟურნალი 1832 წლის იანვრიდან გამოიცემოდა.

³ (გვ. 214) **„დოდაევს გამღვიძებელი რეჩი დაენერა“** – წინა კომენტარში მითითებულ ჩვენებაში ს. დოდაშვილი წერს: „მე დავწერე სიტყვა (речь), რომელიც ალექსანდრე ორბელიანოვმა მთხოვა, მაგრამ არ მივეცი. ლექსი კი ყოველგვარი მიზნის გარეშე დავწერე. მაისის თვე არაფერს არ ნიშნავს“ (გოზალიშვილი 1970: 436). **გამღვიძებელ რეჩში** შესაძლოა ს. დოდაშვილის მიერ დანერილი პროკლამაცია იგულისხმებოდეს (იხ. აქვე, გვ. 349-350), ხოლო რაც შეეხება ს. დოდაშვილის ჩვენებაში ნახსენებ ლექსს „მაისი“ (გოზალიშვილი 1935: 95; დოდაშვილი 1989: 391, 409), ეს ლექსი ამბოხებისა და „ძალით მოსრული“ მტრის

განდევნისკენ მოწოდებაა და იგი საგამომძიებლო კომისიამ ს. დოდაშვილის ქალაქებში აღმოაჩინა.

166. ჩვენება 1833 წლის 28 აგვისტოსი (III)

(გვ. 215-217)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 25. ფ. 5074. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 391-394. **თარიღი:** 1833 წ. 28 აგვისტო. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბატონ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 27 აგვისტო 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 28 აგვისტოს“. კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 215) „**აგვისტოს 18-ს კომისიის სხდომაზე (3018)**“ – აქ და ქვემოთ: კომისია თავის შეკითხვებში უთითებს ალ. ორბელიანის ჩვენებათა რუსულ თარგმანს (მთარგმნელები: ძირითადად, მე-8 კლასის მოხელე, მაიორი *ენაკოლოფოვი*, აგრეთვე, პოლკოვნიკი *სუმბათოვი*). ამიტომ უმეტეს შემთხვევაში კომისიის მიერ მითითებული ნომრები ფურცლებისა არ ემთხვევა თვითონ ალ. ორბელიანის მიერ ქართულ ენაზე მიცემულ ჩვენებათა პაგინაციას. მოცემულ შემთხვევაში კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წლის 18 აგვისტოს ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 212-213).

² (გვ. 215) „**თქვენ გაიმეორეთ იგი და ოქროპირ ბატონიშვილის ორსაათიანი პირისპირ წაყენების დროს (4926)**“ – კომისიას მხედველობაში აქვს ოქროპირ ბატონიშვილისა და ალ. ორბელიანის პირზე წაყენება 1833 წლის 14 აგვისტოს (რვ. 25. ფ. 4926-4927) – კომისია ოქროპირ ბატონიშვილს აცნობს ალ. ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის ჩვენებას (იხ. აქვე, გვ. 22-27). ოქროპირი, თავის მხრივ, შეხვედრებს ადასტურებს, თუმცა დასძენს: ალ. ორბელიანი თავის სიმამრთან (დავით ბარათაშვილთან – თ. ჯ.) ერთად მხედებოდა და ჩვენ შორის არ ყოფილა ის საუბრები, რომლებსაც იგი კომისიას უჩვენებსო. ალ. ორბელიანი კი უარყოფს, რომ იგი ოქროპირ ბატონიშვილს სიმამრთან ერთად ხვდებოდა. ოქროპირი არ გაჰყვა ამ უკანასკნელ საკითხ-

ზე კამათს და პირზე წაყენებულმა მხარეებმა კიდევ ერთხელ გაიმეორეს თავ-თავიანთ ჩვენებები.

³ (გვ. 215) **„თქვენი ბრალდებები დაადასტურეთ კომისიაში წარმოდგენილ ხელმწიფე იმპერატორისადმი თქვენს მიერ დანერგულ თხოვნაში“** – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის *„შემცოდების მოტყეების თხოვნა“* (იხ. აქვე, გვ. 381-385).

⁴ (გვ. 217) **„ჩემს მეორეს ძმას“** – როგორც ადრე ითქვა (აქვე, გვ. 381), *მეორე ძმას (მეორე დას)* თავის ჩვენებებში ალ. ორბელიანი **ახლო ნათესავის** (ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი...) მნიშვნელობით ხმარობდა.

167. ჩვენება 1833 წლის 30 აგვისტოსი

(გვ. 218)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 26. ფ. 5120. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 30 აგვისტო. **ხელმწიფე:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 30 აგვისტო 1833“ და „მიღებულია 1833 წლის 1 სექტემბერს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 218) **„ბუნტისთვის 500 კაცი გვყავს გამზადებულიო“** – კომისიას მხედველობაში აქვს დიმ. ორბელიანის 1833 წ. 15 იანვრის ჩვენება, რომელშიც ნათქვამია: „ელიზბარ და დიმიტრი ერისთოვებმა თქვეს, ჩვენ ხუთასამდე (500) კაცი გვყავსო“ (გოზალიშვილი 1970: 158). *ბუნტისთვის გამზადებული 500* პოლონელის შესახებ ლუარსაბ ორბელიანმაც მისცა ჩვენება: „1832 წელს ელიზბარი მეუბნებოდა და მარწმუნებდა, რომ აქ არიან 500-მდე პოლონელი, რომლებიც ჩვენს მხარეზე იქნებიანო“ (გოზალიშვილი 1935: 59; 1832 წლის შეთქმულებაში პოლონელთა მონაწილეობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 313-314).

168. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (I)

(გვ. 218)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 26. ფ. 5134. ავტორაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წლის 1 სექტემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 1 სექტემბერი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 1 სექტემბერს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 218) „სრულებით არ გამიგონია მის თავადის ელიზბარ ერისთოვისაგან ესრეთნი სიტყვანი“ – ელიზბარ ერისთავის მუქარა, მოწინააღმდეგეებს გულში ხანჯალს გავუყრიო, დაადასტურეს ზაალ ავთანდილოვმა („გარნმუნებთ, რომ პირველ მოწინააღმდეგეს, რომელიც კი შემომეყრება, გულში ხანჯალს გავუყრი“ – გოზალიშვილი 1935: 162), იოსებ მამაცაშვილმა („ვცდილობდი მათი აზრი უარმეყო, მაგრამ ელიზბარმა მრისხანედ თქვა: ვინც კი გაბედავს მათი განზრახვის აღსრულებას ხელი შეუშალოს, თვითონ პირველი ჩასცემს მას გულში ხანჯალს. მე იძულებული გავხდი გავჩუმებულიყავი“ – გოზალიშვილი 1970: 130) და სხვ., დიმ. ყიფიანმა კი, მსგავსად აღ. ორბელიანისა, კომისიას უჩვენა: „მაქვს პატივი, განვაცხადო, რომ ხსენებული სიტყვები ელიზბარ ერისთოვისგან მე არ გამიგონია“ (ყიფიანი 2021: 122).

169. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (II)

(გვ. 219)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 26. ფ. 5140. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 399. **თარიღი:** 1833 წ. 1 სექტემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკ ორბელიანოვს“ და „მიღებულია 1833

წლის 1 სექტემბერს“. კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხები – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 219) **„მასწავლებელი დოდაევი უჩვენებს ... ჩემს ძმას-თან იყო, ორი საათი შეკეტილში ისხდნენ და, მგონია, რომ ამაზე ლაპარაკობდნენ“** – კომისიას მხედველობაში აქვს ს. დოდაშვილის 1832 წლის 18 დეკემბრის ჩვენება, რომელშიც ვკითხულობთ: „თ. იასე ფალავანდოვის სახლში გავიგონე თ. ალექსანდრე ორბელიანოვისაგან: „ბორჩალოს დისტანციაში დაუჭერიათ თათარი, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილთან მყავდა გაგზავნილი. თუ ეს მართალია, დავლუპულვართ. გეთაყვა, უთხარი ან მე თვითონ წავალ თ. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, რომ არ გამოამჟღავნოს ეს საქმე, ამის შემდეგ ამაზე ყველაფერს დავინწყებას მივცემ, ოღონდ ეხლა კი ნუ გამოამჟღავნებთ“. ამაზე ფალავანდოვმა მიუგო: „იმან – თ. ჭავჭავაძემ – მე მგონია, უკვე გამოამჟღავნაო“. ჩემი ძმა და თ. ჭავჭავაძე ორი საათი კარდაკეტილში ისხდნენ, მე მგონია, საუბარი ამაზე ჰქონდათ“ (გოზალიშვილი 1970: 84).

როგორც ეს ზემოთაც არის ნათქვამი (გვ. 386-387), იასე ფალავანდიშვილს შეთქმულების გაცემა ბორჩალოში შიკრიკის ჩავარდნით გამოწვეულმა შიშმა უკარნახა. ამდენად, როცა იგი, ს. დოდაშვილის ჩვენების მიხედვით, ამბობს: „იმან – თავადმა ჭავჭავაძემ – მე მგონია, უკვე გამოამჟღავნაო“, ამით, როგორც ჩანს, თავს იზღვევს და თანამზრახველთა თვალში ისრები აღ. ჭავჭავაძისკენ გადააქვს. რაც შეეხება ნიკ. ფალავანდიშვილისა და აღ. ჭავჭავაძის ყოფნას „შეკეტილში“, ამან წარმოშვა ცნობილი ვერსია, თითქოს აღ. ჭავჭავაძემ შეთქმულების ამბავი გაუმჟღავნა ნიკ. ფალავანდიშვილს, ამ უკანასკნელმა კი თავისი ძმა, იასე, აიძულა, გაეცა შეთქმულება. სინამდვილეში ამ ვერსიის ნამდვილობა დოკუმენტურად არ დასტურდება (იხ. აქვე, გვ. 325). არც აღ. ჭავჭავაძისა და ნიკ. ფალავანდიშვილის ერთ ოთახში ყოფნა გამოდგება შორს მიმავალი დასკვნების გამოსატანად, რადგანაც იმ დროს ისინი (და იასეც) ერთ სახლში („სახელმწიფო სახლის ოთახებში“) ცხოვრობდნენ (გოზალიშვილი 1935: 257; გოზალიშვილი 1970: 309; აქვე, გუბერნატორ პეტრე ზავილეისკის ბინაში, ხვდებოდა, სხვათა შორის, აღ. ჭავჭავაძე შეთქმულთა ვინროწრეს – გოზალიშვილი 1970: 161-162, 258).

170. ჩვენება 1833 წლის 1 სექტემბრისა (III)

(გვ. 219-220)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 26. ფ. 5142. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 1 სექტემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, ალექსანდრე ორბელიანოვს. 1 სექტემბერი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 1 სექტემბერს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 219) „ერთ-ერთმა თქვენგანმა მეთაურის არჩევა შემოგთავაზათ...“ – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 71, 207, 372, 497.

171. ჩვენება 1833 წლის 4 სექტემბრისა

(გვ. 220)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 26. ფ. 5212. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 4 სექტემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 4 სექტემბერი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 4 სექტემბერს“. კომისიის კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 220) „თქვენს საზოგადოებაში იყო საბჭო, რომელზეც მხოლოდ მუდმივი წევრები დაიშვებოდნენ“ – საბჭოს შესახებ კომისია შეკითხვებს სხვა შეთქმულებსაც უსვამდა [მაგალითად, სოლომონ დოდაშვილს, ვახტანგ ორბელიანს (გოზალიშვილი 1976: 400) და სხვ.], თუმცა რაიმე ფორმით საბჭოს არსებობას ყველანი უარყოფდნენ, რაც, რასაკვირველია, დასაჯერებელი არ არის. კონკრეტულად ამ საკითხზეც უნდა გავრცელდეს

გ. გოზალიშვილის ზოგადი მოსაზრება: „შეთქმულთ მოახერხეს შეთქმულების მთავარი მომენტების დამალვა, რითაც მას სერიოზული ხასიათი დაუკარგეს და ზერელე, რეალური შინაარსის უქონელ, ოცნებად გაასაღეს“ (გოზალიშვილი 1935: 77). საბჭო, ცხადია, არსებობდა. მისი მკაფიო სტრუქტურისა და შემადგენლობის დადგენის საშუალებას შეთქმულების მასალები, სამწუხაროდ, არ იძლევა, თუმცა ცალკეულ შეთქმულთა ჩვენებებში (აქა-იქ) შეიძლება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ცალკეულ ცნობებს წავაწყდეთ. ასე, მაგალითად, თავის 1832 წლის 13 დეკემბრის ჩვენებაში ზ. ავთანდილოვი წერს: „...ამის შემდეგ მე არ ვყოფილვარ არც აფხაზოვთან, არც ჩოლაყაევთან და თვითონ ელიზბარი [ერისთავი] მეუბნებოდა, რომ არ გენყინოს, შენ და ყიფიანოვი ყოველთვის ვერ იქნებით ჩვენთან, მხოლოდ ნამდვილი წევრები შეიძლება იყვნენ საბჭოში: ე. ი. ალ. ორბელიანი და ძმა მისი დიმიტრი, იასე ფალავანდოვი, დოდაევი და სხვები, რომლებიც იქნებიან არჩეული“ (გოზალიშვილი 1935: 159-160).

² (გვ. 220) „...სადა ყოფილა ესრეთი რჩევა“ – რჩევა აქ საბჭოს ნიშნავს.

172. ჩვენი 1833 წლის 6 სექტემბრისა

(გვ. 220-221)

ხელნაწერი: Z: რვეული 26. ფ. 5248-5248ა. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 54-55. **თარიღი:** 1833 წ. 6 სექტემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერი (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1833 წლის 6 სექტემბერს“.

¹ (გვ. 221) „მამიშენი შვილს არ ვენდობო, ვინაიდან ჩემს პირის პირ მომკვდარაო“ – ალ. ორბელიანის მამა, ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანი, 1812 წლის მარტში კახეთში, სოფ. ჩუმლაყთან, აჯანყებულმა კახელებმა მოკლეს (იხ. აქვე, გვ. 318-319).

² (გვ. 221) „ეგვიპტის ფაშისაგან ორი კაცი მოვიდა ალექსანდრე ბატონიშვილთანაო, ნიგნი ჰქონდათ“ – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 347.

³ (გვ. 221) „აზნაური გარსევან, გვარი კი აღარ მაგონდება მისი“ – გარსევანის შესახებ იხ. აქვე, გვ. 44, 346-347.

173. ჩვენება 1833 წლის 8 სექტემბრისა

(გვ. 222-223)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 26. ფ. 5328-5329. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1833 წ. 8 სექტემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 9 სექტემბერი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 9 სექტემბერს“. კომისიის კითხვები რუსულ ენაზეა (თარგმანი ჩვენია – თ. ჯ.), პასუხი – ქართულ ენაზე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 222) „თავადი ისე ფალავანდოვი უჩვენებს (ფ. 968, 969, 1336, 1337 და 1338)“ – კომისიას მხედველობაში აქვს იასე ფალავანდიშვილის 1833 წ. 3 და 10 თებერვლის ჩვენებები (გიოზალიშვილი 1935: 321-326; გოზალიშვილი 1970: 296-311).

² (გვ. 222) „იცოდა თუ არა მუხრანსკიმ თქვენი განზრახვლება და მონაწილეობდა თუ არა იგი მასში?“ – კონსტანტინე მუხრანბატონის (მუხრანსკის) შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ იხ აქვე, გვ. 339-341.

³ (გვ. 222) „კაპიტანი ჩელოყაევი უჩვენებს (ფ. 1096)“ – კომისიას მხედველობაში აქვს ზაქარია ჩელოყაშვილის ჩვენება: „ალექსანდრე ორბელიანოვმა განმიცხადა... თავადები: ორბელიანოვები, მუხრანბატონები, ჭავჭავაძე, ბატონიშვილები თეკლე და თამარ იულონის ასული, ერთი სიტყვით, ყველანი, წარსულ 1831 წელში განვიზრახვიდით მოგვეხდინა საერთო აჯანყება...“ (გოზალიშვილი 1970: 242)

174. ჩვენება 1833 წლის 11 სექტემბრისა

(გვ. 223-227)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 26. ფ. 5342-5344. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1976: 413-417. **თარიღი:** 1833 წ. 11 სექტემბერი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ალექსანდრე ორბელიანოვი.

ტექსტს წინ უძღვის კომისიის მინაწერები (რუსულ ენაზე): „ყოფილ სოვეტნიკს, თავად ალექსანდრე ორბელიანოვს. 11 სექტემბერი 1833 წლისა“ და „მიღებულია 1833 წლის 11 სექტემბერს“. კითხვა რუსულ ენაზეა (თარგმანი გ. გოზალიშვილისა), პასუხი – ქართულ ენაზე.

¹ (გვ. 223) **„მან 1831 წელს შეურაცხყოფა მიაყენა დედათქვენს თეკლა ბატონიშვილს ბინის გამო“** – პ. ზავილეისკის თეკლე ბატონიშვილის სახლში საგუშაგოს გახსნა სურდა (გოზალიშვილი 1935: 50). თეკლე ბატონიშვილსა და პ. ზავილეისკის შორის წარმოშობილ კონფლიქტის შესახებ იხ. აგრეთვე, აქვე, გვ. 74, 211, 376.

² (გვ. 223) **„ზავილეისკიმ მოგინოდათ მოგეხდინათ აქაც (ე. ი. როგორც პოლონეთში) აჯანყება (156, 166)“** – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1832 წ. 19 დეკემბრის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 43-44).

³ (გვ. 223) **„მეორე დღეს თქვენ განაცხადეთ, რომ (171) –** საგამომძიებლო კომისიას მხედველობაში აქვს კომისიის 1832 წ. 20 დეკემბრის სხდომის ოქმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ალ. ორბელიანოვმა ითხოვა კომისიაში გამოცხადების უფლება, სადაც განაცხადა, რომ ... ამ საქმეებში თვით ალ. ორბელიანოვს ხელმძღვანელობდა ყოფ[ილი] სამოქ[ალაქო] გუბერნ[ატორი] ზავილეისკი, მაგრამ რადგან მას ამის დამტკიცების საშუალება არა აქვს, ხოლო... ზავილეისკი ალბად ამაზე უარს ჰყოფს, ამიტომ ითხოვა ამ გარემოების კვლევადიების შეწყვეტა“ (გოზალიშვილი 1935: 218).

⁴ (გვ. 223) **„სამჯერ დაადასტურეთ და განავითარეთ (1074, 1431, 2240) თქვენი პირველი ჩვენება“** – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 7 თებერვლის (პუნქტი 15), 15 თებერვლის (I) და 29 მარტის (პუნქტი 5) ჩვენებები (იხ. აქვე, გვ. 71, 73-74, 114).

⁵ (გვ. 223) „აჩვენეთ აგრეთვე ... საქართველოში თავისუფლება ყოფილაო“ (587)“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 13 იანვრის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 56).

⁶ (გვ. 224) „ხშირად მსჯელობდნენ, რომ მასა და გენერალ-მაიორ ჭავჭავაძეს ამაზე რაღაც თავიანთი განსაკუთრებული აზრი უნდა ჰქონდეთო (1435-6)“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 15 თებერვლის ჩვენება (II) (იხ. აქვე, გვ. 76).

⁷ (გვ. 224) „ზავილეისკი პოლონელია, სურს აჯანყება და უკვე გადმობირებული ჰყავსო 90 მოხელეო (1588)“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 25 თებერვლის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 94).

⁸ (გვ. 224) „...რაც თქვენ თვითონაც დაიმონმეთ“ – კომისიას მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის 1833 წ. 25 თებერვლის ჩვენება (იხ. აქვე, გვ. 94). რაც შეეხება კომისიის მიერ ნახსენებ ვახტანგ ორბელიანის ჩვენებას (1633), ისიც 1833 წ. 25 თებერვალს არის მიცემული და იქ ნათქვამია: „1832 წელს მე გავიგონე თავად იასე ფალავანდიშვილისაგან ეს სიტყვები: მათე ზავილეისკიმ, რომელიც ჩემს ბინაზე ცხოვრობდა, მითხრა, რომ ჩემს ძმას, ყოფილ სამოქალაქო გუბერნატორს, ამორჩეული ჰქონდა საქართველოში ადგილები, სადაც განზრახული ჰქონდა სიმაგრეების აშენება. რისთვის სურდა მას სიმაგრეების აგება, თუკი ჩვენი აზრის მსგავსი აზრები არ ჰქონდაო“ (გოზალიშვილი 1970: 368).

⁹ (გვ. 226) „ზავილეისკიმ ექსპედიციაში თქო, რომ ამ მეფე ვახტანგის სჯულით აქ უნინ თავისუფლება ყოფილაო“ – პ. ზავილეისკის ამ ნათქვამზე იხ აქვე, გვ. 56, 362.

¹⁰ (გვ. 227) „ალექსანდრე ჭავჭავაძე, და იგი ლუარსაბ ცოლის ძმა და სიძე არიან“ – მეუღლე ალექსანდრე ჭავჭავაძისა, სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიანი, და იყო ლუარსაბ ორბელიანისა.

ეპისტოლური მემკვიდრეობა

1. ბიძინა ერისთავისადმი

(გვ. 231)

ხელნაწერი: Z: ფონდი 2. საქ. №2115. რუსულ ენაზე. ფ. 297-298. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 27 (მისივე თარგმანი). **თარიღი:** 1831 წ. 13 ივნისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე ორბელიანოვი.

ეს არის ალ. ორბელიანის წერილის რუსული თარგმანი, შესრულებული საგამომძიებლო კომისიაში (ქართული დედანი მასალებში არ ჩანს). საბუთს თავზე აწერია (რუსულადვე): „ნაგლეჯი (покуток; შეიძლება ასეც წავიკითხოთ: „მოკლე წერილი“) ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვის წერილისა ბიძინა ერისთავისადმი“.

წერილის ადრესატი, **ბიძინა რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი**, იყო ანასტასია ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილის ვაჟი და, მაშასადამე ალ. ორბელიანის დეიდაშვილი. 1832 წ. შეთქმულებაში იგი ალ. ორბელიანმა ჩააბა: „სოფელში ვიყავ, ჩამოველ [თბილისში] ჩემს საქმეზე და ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანოვმა მნახა. მოვიკითხეთ ერთმანეთი. ორის სამის დღის შემდეგ მითხრა, ასე გვწადიაო...“ (გოზალიშვილი 1935: 174), „ეს განზრახულება შევიტყე პირველათ ალექსანდრე ვახტანგის ძის ორბელიანოვისაგან... ათას რვაას ოცდა თერთმეტში მითხრა...“ (გოზალიშვილი 1935: 353). ორივე ჩვენებაში ბიძინა ერისთავი ამბობს – არ დავეთანხმეო, თუმცა ეს, რასაკვირველია, დასაჯერებელი არ არის. იგი იმდენად იყო ჩართული შეთქმულთა საქმეებში, რომ აჯანყების ღამეს „ნავთლულის კომისიაზე“ თავდასხმას უნდა ჩასდგომოდა სათავეში (გოზალიშვილი 1935: 137; გოზალიშვილი 1970: 604; ბიძინა ერისთავის შესახებ იხ. აგრეთვე, აქვე, გვ. 406).

დაკითხვებზე ბიძინა ერისთავმა აღიარა თავისი „დანაშაული“ და მოინანია კიდევ, ამიტომ ერთობ მსუბუქი სასჯელი აკმარეს: „სამსახურის გარეშე მყოფი პრაპორშჩიკი ბიძინა ერისთავი იმის გამო, რომ მოინანია დანაშაული, დაჭერილ იქნას ციხეში რვა თვის განმავლობაში და მერე განთავისუფლებულ იქნას ციხიდან

პოლიციის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ“ (გოზალიშვილი 1976: 428). ამის შემდეგ იგი აღარ ჩანს საზოგადოებრივ ასპარეზზე: თავიდან ცხოვრობდა მამისეულ სოფელ ოძისში, ძმებთან (შალვასთან, გიორგისთან) გაყრის შემდეგ კი მას ერგო სოფელი რეზა. დაკრძალულია იკორთაში (ეპიტაფია იხ.: მეგრელიძე 1997: 57-58; ბიძინა ერისთავის შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1980: 224).

¹ (გვ. 231) „შალვასაც უთხარ“ – იგულისხმება ბიძინა ერისთავის ძმა *შალვა ერისთავი*, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1830-იანი წწ.; ცხოვრობდა კარალეთში), 1832 წლის შეთქმულების წევრი. ლუარსაბ ორბელიანის ჩვენებით, „1831 წელს გორის მარშალი შალვა ერისთავი და ელიზბარ იყვნენ ჩემთან. ელიზბარი ელაპარაკებოდა შალვას ამ საქმეზე (შეთქმულებაზე – თ. ჯ.) და მოიყვანა იგი ჩემს ახლოს. შალვამ თქვა: „თუ გავიგონე რამე ამ საქმეზე, ფიცხლად ჩამოვალ“. ამასთანავე, იკვებნიდა, ცხენი გზაში არ დამივარდებო“ (გოზალიშვილი 1970: 384). საბოლოოდ საგამომძიებლო კომისიამ შალვა ერისთავი მოაქცია შეთქმულთა იმ კატეგორიაში, რომელთაც ბრალი ედებოდათ „არაკეთილგანზრახვითი საუბრების მოსმენაში“ და გაათავისუფლა სასჯელისგან.

შალვა ერისთავი იყო მამა ელიზბარ ერისთავის მეუღლის, ქეთევან ერისთავისა, რომელიც ადრესატია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისა – „ქეთევან“, ხოლო ვაჟიშვილი, რევაზ ერისთავი, იყო მწერალი (პოეტი, მთარგმნელი) და ილია ჭავჭავაძის გამანადგურებელი კრიტიკის ობიექტი („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შემლილის“ თარგმნაზედა“). შალვა ერისთავი დაკრძალულია იკორთაში [ეპიტაფიის მიხედვით, გარდაიცვალა 1894 წლის 13 აგვისტოს (მეგრელიძე 1997: 58-59)].

² (გვ. 231) „იენისის 13“ – გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში: *იენისის 13*, რაც მექანიკური შეცდომაა. საბუთშია: *იენისის 13*.

2. ბიძინა ერისთავისადმი

(გვ. 231)

ხელნაწერი: ხელნაწერი: Z: ფონდი 2. საქ. №2115. ანაწერი 1. ფ. 299. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი:** გოზალ-

იშვილი 1935: 27-28. **თარიღი:** 1831 წ. 25 სექტემბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე ორბელიანი.

დედანში წერილს თარიღად უზის **კწ** [28] სექტემბერი, გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში **კე** [25] სექტემბერია, რაც უფრო სწორი ჩანს. ალ. ორბელიანი ბიძინა ერისთავს სწერს: „წუხელის ჩირადლანი იყო ვარშავის ალებისთვის...“, ვარშავის ალების გამო ზეიმი კი თბილისში „ჩირადლანითა“ და ზარბაზნების სროლით 1831 წ. 24 სექტემბერს აღნიშნეს (ბერძნიშვილი 1989: 408).

წერილის ადრესატის შესახებ იხ. წინა წერილის კომენტარი. იბეჭდება დედნიდან.

შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალების მიხედვით, ალ. ორბელიანს ბიძინა ერისთავისთვის მინიმუმ კიდევ ერთი წერილი აქვს გაგზავნილი, რომელიც მასალებში არ ჩანს. ამ უკანასკნელი წერილით კომისია საგანგებოდ დაინტერესდა (იხ. აქვე. გვ. 118-119, 406).

¹ (გვ. 231) „წუხელის ჩირადლანი იყო ვარშავის ალებისთვის“ – აჯანყებული ვარშავა რუსებმა 1831 წლის 8 სექტემბერს აიღეს და ეს მოვლენა, როგორც ზემოთ ითქვა, თბილისში იმავე წლის 24 სექტემბერს იზეიმეს.

² (გვ. 231) „ძალუა თავის შვილებით მამიკითხე“ – ა) ძალუა აქ რძალს უნდა ნიშნავდეს და, ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება ბიძინა ერისთავის მეუღლე *თამარ იოსების ას. მელიქიშვილი* (დაკრძალულია მეუღლის გვერდით, იკორთაში; ეპიტაფია იხ. მეგრელიძე 1997: 57-58; ეპიტაფიის მიხედვით, თამარი გარდაცვლილა 1876 წელს, მაქს. ბერძნიშვილის მიხედვით – 1867 წელს); ბ) *შვილები*: თამარ მელიქიშვილისა და ბიძინა ერისთავის შვილების შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1980: 225.

3. ოქროპირ ბატონიშვილისადმი

(231-232)

ხელნაწერი: Z: ფონდი 1457. რვეული 26. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 5273. **ნაბეჭდი:** გოზალიშვილი 1935: 23. **თარიღი:** [1831 წ. 18 სექტემბერი. ტფილისი]. **ხელმოწერა:** ალექსანდრე ორბელიანოვი.

წერილი უთარილოა. იგი დართული აქვს ოქროპირ ბატონიშვილისადმი სოლომონ დოდაშვილის წერილს, რომელსაც თარიღად უზის 18 სექტემბერი 1831 წლისა [გ. გოზალიშვილის პუბლიკაციაში: **1833-სა**, რაც, ჩანს, მექანიკური შეცდომაა. დედანშია: **1831-სა**). ალ. ორბელიანის წინამდებარე წერილს, რომელიც აქ დედნიდან გადმოგვაქვს, ამ მონაცემზე დაყრდნობით **1831 წ. 18 სექტემბრით** ვათარილებთ (ს. დოდაშვილის წერილი ოქროპირისადმი იხ.: გოზალიშვილი 1935: 23. დოდაშვილი 1989: 322-323). წერილი ნახსენებია ალ. ორბელიანის 1833 წ. 11 მარტის ჩვენებაში.

¹ (გვ. 231) „**სოლომან ივანიჩი**“ – იგულისხმება სოლომონ დოდაშვილი.

4. სოლომონ დოდაშვილისადმი

(გვ. 232)

ხელნაწერი: ხელნაწერი: Z: ფონდი 2. ანაწერი 1. საქ. №2115. ფ. 228. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** [1831-1832] (ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ, თუ რას უნდა ნიშნავდეს წერილის ბოლოს ორჯერ დასმული ციფრი 9). **ხელმოწერა:** ალექსანდრე ორბელიანოვი.

წერილი დანერილი უნდა იყოს 1831-1832 წლებში – აჯანყებისთვის მზადების აქტიურ ფაზაში.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 232) „**სტო სემნაცატი სტოლეტის წიგნი**“ – ?

² (გვ. 232) „**ლრეციის ისტორია მათხოვით**“ – *ლრეციის [საბერძნეთის] ისტორიით* ალ. ორბელიანის დაინტერესება, გამორიცხული არ არის, ოქროპირ ბატონიშვილთან მისი საუბრებისგან მომდინარეობდეს: „[ოქროპირ ბატონიშვილმა] მასკვან ჩამოაგდო მამულის ერთგულობაზე ლაპარაკი, მოჰყვა ბერძულს ისტორიას, და ასეთს ამბებს მოჰყვა, რომ სულ გამაგიჟა. ვანბობდი: ნეტავ მეც იმათში ვყოფილიყავ მეთქი“ (აქვე, გვ. 23).

5. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 233)

ხელნაწერი: T: №16309-ბ. ფ. 1. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** [1833 წ. ივლისამდე]. **ხელმოწერა:** სანდრო. **ქვეყნდება პირველად.**

¹ (გვ. 233) ქრონოლოგიურად ეს ჩვენს ხელთ არსებული პირველი წერილია ავლაბარის სამხედრო (ე. წ. პოკროვსკის) ყაზარმიდან, რომელშიც 1832 წ. 10-11 დეკემბრის ღამეს („შუალამის მეორე საათის შემდგომ...“ – იხ. ალ. ორბელიანის „ჭემ-მარიტი სიყვარული“) დაპატიმრებული ალ. ორბელიანი თავის 12 თანამზრახველთან ერთად გამოამწყვდიეს (გოზალიშვილი 1935: 11). უნდა ვიფიქროთ, **წერილი 1833 წელსა დაწერილი**, რამდენადაც პირველ ხანებში პატიმრებს ოჯახებთან კავშირი შეზღუდული ჰქონდათ. ამის თაობაზე დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“ წერს: „პირველად ყველანი სათითაოდ ჩასვეს ოთახებში და მიუყენეს დარაჯი იმავე ოთახში...“ (ყიფიანი 2020: 299). ესა და ალ. ორბელიანის მიერ მეუღლისადმი **საპყრობილიდან გაგზავნილი** სხვა წერილები უნდა დათარიღდეს **1833 წლის ივლისამდე**, რამდენადაც ივლისში ალ. ორბელიანი გაიყვანეს საპყრობილიდან და გადასახლების წინ მოსამზადებლად და ოჯახთან გამოსამშვიდობებლად გარკვეული დრო მისცეს: „1834-სა წელსა, ივლისის თვესა, საპყრობილიდგან გამოგვიყვანეს მე და ჩემი ძმა ვახტანგ და ჩვიდმეტი დღე დავრჩი ჩემ სახლეულობაში“ [„ჩემი ქალი მარიამ (ყმანვილობისა მაიკო)“]. ალ. ორბელიანის გამოსვლა საპყრობილიდან 1834 წ. ივლისის პირველ რიცხვებში მოხდებოდა, რადგანაც 17 ივლისს იგი უკვე რუსეთის გზას ადგას: „1834-ს წელსა 17-ს ივლისს მეთერთმეტის საათის ღამისას წამიყვანეს რუსეთისკენ“ („ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“).

² (გვ. 233) **„მომწერე შენი სრული გრძნობა“** – ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანის მიერ სხვადასხვა წლებში მეუღლისადმი გაგზავნილი წერილები 1840-იან წწ. თბილისში, ალ. ორბელიანის სახლში, ხანძარმა გაანადგურა (იხ. აქვე, გვ. 286, 289-290).

³ (გვ. 233) **„ხვალ ადრიან, თორემ გამაიცვლება“** – როგორც ჩანს, აქ ყარაულის *გამოცვლა* იგულისხმება.

6. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 233)

ხელნაწერი: T: №16310-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** [1833]. ხელმოუწერელი.

ხელნაწერი დაზიანებულია, კიდეები მოჭრილია. მოჭრილია აგრეთვე ფურცლების ბოლოები, რომლებზეც თარიღი და ხელმონერა უნდა ყოფილიყო. ნაწერია ფანქრით, რომელიც ალაგ-ალაგ გადასულია და ძნელად იკითხება. უნდა დათარიღდეს 1833 წლით (იხ. აქვე, წერილი 5. კომენტ. 1).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 233) „ამ დროს მოვიდა ბარონი“ – იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური, ბარონი **გრიგოლ როზენი**.

² (გვ. 233) „პრიბილი...“ – ჩეხი ექიმი **ივანე პრიბილი**, რუსეთის ქვეშევრდომი, 1808 წლიდან ცხოვრობდა თბილისში.

7. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 234)

ხელნაწერი: T: №16311-ბ. ფ. 1. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** [1833]. **ხელმონერა:** ალექსანდრე. უნდა დათარიღდეს 1833 წლით (იხ. აქვე, წერილი 5. კომენტ. 1).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 234) „ვახტანგ გუშინ, წუხელის და ღვთით დღეს უკეთ არის“ – იგულისხმება **ვახტანგ ორბელიანი**, რომელიც ძმებთან, ალექსანდრესა და დიმიტრისთან, ერთად ავლაზრის სამხედრო ყაზარმებში იყო პატიმრად.

² (გვ. 234) „მაკა“ – *მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილი*, ალ. ორბელიანის მამიდაშვილი, ეკატერინე ორბელიან-ჩოლოყაშვილის ასული (ეკატერინე ორბელიან-ჩოლოყაშვილის შესახებ იხ. აქვე, გვ. 318, 363), შეთქმულ თადია ჩოლოყაშვილის და, ივანე (იოანე) მელიქიშვილის მეუღლე (იხ. ბერძნიშვილი 1983: 101-102). მაკასა და თადიას ჰყავდათ კიდევ ერთი და – ანა (ახუა), ბეჟან გურგენიძის მეუღლე. ანა ჩოლოყაშვილ-გურგენიძეს ბრალი

ედებოდა კახეთის 1812 წ. აჯანყების მონაწილეობაში და ამის გამო დაპატიმრებულიც იყო, თუმცა მამამთილის, გავლენიანი ბარამ გურგენიძის, თხოვნით გაათავისუფლეს (ბერძნიშვილი 1980: 199).

³ (გვ. 234) **„ბარბარე აზიზი სად არი“** – ბარბარე მელიქიშვილი, მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილის ქალიშვილი (იხ. ბერძნიშვილი 1983: 101).

8. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 234-235)

ხელნაწერი: T: №16312-ბ. ფ. 1. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** [1833 წ. ოქტომბერი]. **ხელმოწერა:** სანდრო.

ნაწერია ფანქრით, რომელიც ბოლო ორ სტრიქონზე (განსაკუთრებით, ფურცლის გადანაკეცზე) იმდენად გამკრთალებულია, რომ რამდენიმე სიტყვა არ იკითხება. წერილის ბოლოს წითელი გამოსახულებაა, რომელიც, ჩვენი აზრით, თითის ანაბეჭდი უნდა იყოს. გამოგზავნილია ავლაბრის სამხედრო ყაზარმიდან.

ქვეყნდება პირველად.

წერილის დასათარიღებლად მასშივეა სანდო მონაცემი: **„ათი თვე** (კურსივი ჩვენია – თ. ჯ.) შესრულდა, რომ ჩემს მხედველობას არ უხილავს ჩემი მაცოცხლებელი შენი თვალები“. ალ. ორბელიანი დააპატიმრეს 1832 წ. 10-11 დეკემბრის ღამეს და აქედან **10 თვეს** თუ ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ **წერილი 1833 წლის ოქტომბერშია დაწერილი.**

¹ (გვ. 234) **„ძალუა ბარბარესი“** – დავით ნათალიშვილის მეუღლე ბარბარე ბეჟანის ას. შიოვე-ნათალიშვილი.

² (გვ. 234) **„ვიცი, რომ ჩვენ სამნი ძმები აქ დავრჩებით“** – ძმები: დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები. ალ. ორბელიანის იმედი არ გამართლდა და ძმები **აქ** (საქართველოში) კი არ დატოვეს, არამედ რუსეთში გადაასახლეს: დიმიტრი და ვახტანგი კალუგაში, ხოლო თვითონ ალექსანდრე – ორენბურგში.

³ (გვ. 234) **„ღმერთი როცა გამამიხსნის, მაშინ ჩემის პირით სცნობთ მის ჩევკინის ჩვენზე კეთილს“** – გენერალ კ. ჩევკინისადმი დიამეტრალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჩანს დიდ. ყიფიანის „მემუარებში“: „ამ კომისიის დაარსების სამი თუ

ოთხი თვის შემდეგ პეტერბურგიდან კომისიის თავმჯდომარედ მოვიდა გენერალი ჩევეკინი... ამის თავმჯდომარეობით კომისიაში დამყარდა ახალი წესი, რომელიც განსხვავდებოდა წინა მდებარე ადამიანური და, ასე ვსთქვათ, განათლებული მოპყრობისაგან. ნამება რაიმე იარაღით არც ჩევეკინის დროს იყო, მაგრამ შემოიღეს ფეხების დაბრაგუნება, დაყვირება, შეტევა; ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაამწყვდევდნენ, ცარიელ ხმელ პურზე, ერთი დღით კი არა, მთელი კვირაობით და თვეობითაც“ (ყიფიანი 2020: 303).

⁴ (გვ. 235) „**მაკას პირს ვაკოცებ**“ – *მაკა*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილი* (იხ. წერილი №7. კომენტ. 2).

⁵ (გვ. 235) „**ალა მამიკითხე**“ – ალა (ბატონს ნიშნავს), როგორც ჩანს, „ძალუა ბარბარეს“ (იხ. აქვე, კომენტ. 1) მეუღლე *დავით ნათალიშვილი* იგულისხმება.

⁶ (გვ. 235) „**ბა...**“ – ასეა დედანში.

⁷ (გვ. 235) „**პრიბილმა რომ მითხრაო**“ – *პრიბილი*: ექიმი (იხ. წერილი 6. კომენტ. 2).

⁸ (გვ. 235) „**თუ ჩვენთან დააყენებენ ვისმე, ისევ ყველას ყიფიანოვი სჯობიან**“ – *ყიფიანოვი*: დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ამ წერილის დანერის შემდეგ მართლაც ალ. ორბელიანის საკანში მოხვდა. მის „მემუარებში“ ვკითხულობთ: „მე გადამიყვანეს იმ კამერაში, სადაც ისხდნენ მეფე ერეკლეს ასულის თეკლეს ძენი, თავადნი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები“ (ყიფიანი 2020: 302).

9. ეპატარინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 235-236)

ხელნაწერი: T: №16313-ბ. ფ. 1. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი**: [1833]. **ხელმოწერა**: სანდრო.

ნაწერია შავი ფანქრით. წერილის ბოლო ნაწილში ფერი გადასულია და მხოლოდ ალაგ-ალაგ იკითხება. უნდა დათარიღდეს 1833 წლით (იხ. აქვე, წერილი 5. კომენტ. 1).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 236) „თვალამაისა გოგო ბანზე იჯდა“ – თვალამაისა გოგო, უნდა ვიფიქროთ, ალ. ორბელიანის ოჯახის მოახლეა.

² (გვ. 236) „ვახტანგ ღვთით კარგათ არის“ – იგულისხმება ვახტანგ ორბელიანი, ძმა ალ. ორბელიანისა.

³ (გვ. 236) „გიორგის...“ – ?

10. ეპატარინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 236-237)

ხელნაწერი: T: №16314-ბ. ფ. 1. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** [1833]. **ხელმოწერა:** სანდრო.

ხელნაწერი ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტირებულია (წერილის სამი მცირე მონაკვეთი, რომლებზეც მხოლოდ ცალკეული სიტყვები იკითხება, განცალკევებულადაა დაკრული სარესტავრაციო ფურცელზე). უნდა დათარიღდეს 1833 წლით (იხ. აქვე, წერილი 5. კომენტ. 1).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 236) „ბარბარე ძალუავ...“ – ბარბარე შიოვე-ორბელიანი, მეუღლე ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილისა.

² (გვ. 237) „პავლეს ამბავი მამწერე“ – პავლე: პავლე თუმანიშვილი (თუმანოვი), ალ. ორბელიანისა და მისი ოჯახის უახლოესი მეგობარი, რომლის შესახებაც ალ. ორბელიანი ერთ თავის მოგონებაში წერს: „პავლე თუმანოვი რომ დაცოლშვილიანდა ქ. ტფილისში, მაშინ ხომ განუყრელად ვიყავით ერთიერთმანეთთან“ („ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“). მისივე სიტყვებით, ორენბურგის გზაზე დამდგარ ალ. ორბელიანს, ეტლში რომ ჯდებოდა, პ. თუმანიშვილი მეტად ემოციური სიტყვებით გამომშვიდობებია: „ჩემი ჭეშმარიტი მეგობარი, თავადი პავლე თუმანოვი მოვიდა ჩემთან და მწარეს ტირილით მითხრა: „საყვარელო მეგობარო ალექსანდრე. მე ვგრძნობ, შენ მშვიდობით დაგაბრუნებენ, მაგრამ მე ცოცხალი აღარ დაგვხვდები. ამისთვის გთხოვ ერთი უკანასკნელად მაკოცნინე პირზე, რომ საუკუნო გამოსალმება იყოს“ („ჩემი ტფილისის ქ: გამოსვლა“).

1862 წ. იანვარში დასრულებულ მოგონებაში „ჩემი ქალი მარიამ (ყმანვილობისა მაიკო)“ ალ. ორბელიანი პავლე თუმანოვს გარდაცვლილად იხსენიებს.

³ (გვ. 237) „**მაკავ, რაღაც ყო დაგისომს...**“ – *მაკა*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი (იხ. წერილი №7. კომენტ. 2).

11. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 237)

ხელნაწერი: T: №16315-ბ. ფ. 1. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** [1833]. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

უნდა დათარიღდეს 1833 წლით (იხ. წერილი 5. კომენტ. 1).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 237) „**ღმერთმა გიცოცხლოს შვილები**“ – დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ეკატერინე და ალ. ორბელიანებს ორი შვილი ჰყავთ: *დარეჯან (დარია)* და *დავით (დათიკა)*. თუ წერილი 1833 წ. ივნისის შუა რიცხვების შემდეგაა დაწერილი, მაშინ „*შვილებში*“ *მარიამიც (მაიკო)* უნდა ვიგულისხმოთ (დაიბადა 1833 წ. 13 ივნისს). რაც შეეხება ნაბოლარა *ელენეს*, იგი 1835 წელს დაიბადა (ალ. ორბელიანის შვილების შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

² (გვ. 237) „**ვახტანგ უკეთ არის**“ – ვახტანგ ორბელიანი, ძმა ალ. ორბელიანისა (ერთ საკანში იხსდნენ საპყრობილეში).

³ (გვ. 237) „**მაკა და ბარბარეს მოვიკითხამ**“ – *მაკა*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილი* (იხ. წერილი №7. კომენტ. 2); *ბ*) *ბარბარე*: მაკას ქალიშვილი *ბარბარე მელიქიშვილი* (იხ. ბერძნული 1983: 101).

⁴ (გვ. 237) „**გუშინ ზალიკო იყო ჩემთან**“ – *ზალიკო*: ალ. ორბელიანის ცოლისძმა *ზაალ ბარათაშვილი* უნდა იგულისხმებოდეს.

⁵ (გვ. 237) „**ჩემს რძალს მაიკოს**“ – იგულისხმება დიმ. ორბელიანის მეუღლე *მარიამ ლუარსაბ (ივანე) ორბელიანის ასული* [მარიამ (მარია, მაიკო; *მარი ივანოვნასაც* ეძახდნენ და ალ. ორბელიანი ზოგჯერ ასეც (მარი ივანოვნა) იხსენიებს (იხ. აქვე, წერილები №№16, 19)].

⁶ (გვ. 237) „ვახტანგს...“ – ? (ყოველ შემთხვევაში, ეს ვერ იქნება ალ. ორბელიანის ძმა ვახტანგი, რომელიც ამ დროს თვი-თონაც ავლაბრის ყაზარმებში ზის).

12. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 238)

ხელნაწერი: T: №16316-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** [1833]. ფ. 1. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

უნდა დათარიღდეს 1833 წლით (იხ. წერილი 5. კომენტ. 1).
ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 238) „**მოფარებით რად იყურები ფანჯარაშიო**“ – ავლაბრის ყაზარმებიდან თბილისის ის ნაწილი, სადაც ორბელიანები ცხოვრობდნენ, კარგად ჩანდა და პატიმრებს შეეძლოთ, დურბინით ეყურებინათ თავ-თავიანთი ოჯახების ცხოვრებისთვის (იხ. აგრეთვე, აქვე, წერილები №№6, 9). საკნის ფანჯრიდან უყურა, სხათა შორის, დედის, ხორეშან ანდრონიკაშვილ-ორბელიანის, გასვენებას გრიგოლ ორბელიანმა (იხ. გრ. ორბელიანის წერილი თედორე გელშერტისადმი – ორბელიანი 2012: 53, 58).

² (გვ. 238) „**ივანესი...**“ – ?

³ (გვ. 238) „**მაკას და ბარბარეს მოვიკითხამ**“ – *მაკა*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილი* (იხ. წერილი №7. კომენტ. 2); *ბ*: *ბარბარე: ბარბარე მელიქიშვილი*, მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილის, ქალიშვილი (იხ. ბერძნიშვილი 1983: 101).

13. თეკლა ბატონიშვილისადმი

(გვ. 238-239)

ხელნაწერი: T: №16348-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1834 წ. 19 ივლისი. ყაზიბეგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 238) „ამ ჩემის წამყვანელის აფიცარისა“ – იგულისხმება გვარდიის პორუჩიკი *ალექსანდრე იოსების ძე (Осуноса) მინიცკი*, რომელიც მთავარმართებელ გრ. როზენის მიერ თბილისიდან ორენბურგამდე ალ. ორბელიანის გამყოლად იყო დანიშნული (1834 წ. მინიცკი გრ. როზენის ადიუტანტია – აქტები 1881: 883, 884). ალ. ორბელიანი როგორც პირად წერილებში, ისე მოგონებებში (იხ. მაგალითად, „ჩემი შეცდომილება და ჩემი ცოდვანი“) მინიცკის გულწრფელი პატივისცემით იხსენიებს.

² (გვ. 238) „19“-ს ივლისს. 1834-სა“ – წერილს დედანში თარიღად **20 ივლისი** უზის, თუმცა ეს შეცდომაა, რომელსაც ალ. ორბელიანი დედისადმი გაგზავნილ მომდევნო წერილში ასწორებს [იხ. მომდევნო (№14) წერილი თეკლე ბატონიშვილისადმი].

³ (გვ. 239) „სარქისა კარგათ გახლავსთ“ – *სარქისა (საქუა)*: ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში.

14. თეკლე ბატონიშვილისადმი

(გვ. 239)

ხელნაწერი: T. №16349-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართული ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1834 წ. 20 ივლისი. ვლადიკავკაზი. **ხელმწიფი:** ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 239) „ოცი ეს თვე მოვიხსენე თქვენს წიგნში“ – წინა წერილში ალ. ორბელიანს თეკლე ბატონიშვილისადმი გაგზავნილი წერილი შეცდომით **20 ივლისით** აქვს დათარიღებული (იხ. წერილი 13. კომენტ. 2).

² (გვ. 239) „გვედრებით თქვენს რძალს ნუგეში ეცით“ – *რძალი:* იგულისხმება ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანი.

³ (გვ. 239) „სარქისა“ – ალ. ორბელიანის მოსამსახურე.

⁴ (გვ. 239) „ამ ჩემა მიმყვანელმა აფიცარმა“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის გამყოლი თბილისიდან ორენბურგამდე, პორუჩიკი *ალექსანდრე მინიცკი*.

15. თეკლე ბატონიშვილისადმი

(გვ. 240-242)

ხელნაწერი: T: №16351-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1834 წ. 23 ივლისი. სტავროპოლი. **ხელმონერა:** ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

წერილში ნახსენები რუსული სიტყვები ნიშნავს:

„**ბარინ**“ – Барин: ბატონი/ბატონო.

„**ბრიჭკა**“ – Бричка: მსუბუქი სამგზავრო ეტლი.

„**სტანცა**“ – Станица: აქ: მგზავრებისთვის მოწყობილი სპეციალური პუნქტი დასასვენებლად და ცხენების გამოსაცვლელად

„**კუჩარი**“ – Кучер: მეეტლე.

¹ (გვ. 241) „**როგორც ჩემი ნება და სასიამოვნო არის სწორეთ ისე მექცევა**“ – გამყოლი, პორუჩიკი ალ. მინიციკი, ჰყავს მხედველობაში.

² (გვ. 241) „**ბეზობრაზოვი**“ – შესაძლოა, ეს იყოს სამხედრო პირი (შემდგომში კავალერიის გენერალი) **სერგეი დიმიტრის ძე ბეზობრაზოვი**, „კავკასიის ომების მონაწილე“ (არაერთხელაა თბილისში ნამყოფი), პოეტ მ. ლერმონტოვის მეგობარი, რომელიც ოჯახური სკანდალის გამო (მისი ახალშერთული ცოლი ნიკოლოზ I-ის საყვარელი აღმოჩნდა) 1834 წელს კავკასიაში (სტავროპოლში) იყო გასახლებული.

³ (გვ. 241) „**ვახტანგს...**“ – ძმა წერილის ავტორისა, **ვახტანგ ორბელიანი**, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ თბილისშია (დედასთან, თეკლე ბატონიშვილთან, ერთად თბილისიდან კალუგისკენ გზას 1834 წ. 21 აგვისტოს გაუყენეს. იქ ჩააღწიეს 9 ოქტომბერს).

⁴ (გვ. 241) „**ძალუა მაიკოს...**“ – ალ. ორბელიანის *რძალი* (ძმის, დიმი. ორბელიანის, მეუღლე) *მარიამ ორბელიანი* (იხ. წერილი 11. კომენტ. 5).

⁵ (გვ. 241) „**ლიზიკას ვაკოცებ**“ – *ლიზიკა*: ალ. ორბელიანის ძმისშვილი *ელისაბედ (ლიზიკო) დიმიტრის ას. ორბელიანი* (შემდგომში პირველი ქმრის ხელში *ორბელიან-დავიდოვა*, მეორისა – *ორბელიან-ბარიატინსკაია*; ელისაბედ ორბელიანის, ამ უაღ-

რესად საინტერესო, შთამბეჭდავი ბიოგრაფიის პიროვნების ცხოვრების, კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისთან მისი გახმაურებული ჯვრისწერისა და სხვ. გარემოებებზე, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 414-416).

⁶ (გვ. 241) **„ჩერკასკიდგან დიმიტრის წიგნს მივსწერ უთუოთ“** – დიმიტრი: ძმა წერილის ავტორისა **დიმიტრი ორბელიანი**, რომელსაც ჯერ პენზაში გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა შემდეგ პენზა კალუგით შეუცვალეს (ბერძნიშვილი 1983: 137).

⁷ (გვ. 241) **„ჩემს მოჭირნახულეს მოხუცებულს გამდელს...“** – ალ. ორბელიანის გამზრდელს **ლომისახარი** ერქვა (ნათლობის სახელი – **ხვარამზე**). იგი, ისევე, როგორც დიმიტრის გამზრდელი **ნაისახარი** და ვახტანგის გამზრდელი **ვარდისახარი** თეკლე ბატონიშვილს ორბელიანების ოჯახში მზითვად მოჰყვა (იხ. ალ. ორბელიანის „მეფის ირაკლის მეუღლე დარია ანუ დარეჯან“. იქვე ვკითხულობთ: „ამათგანაც დიახ ბევრი გამიგონია მეფის ირაკლის სასახლის ამბავი“). იმავე თხზულებაში ლომისახარისა და ვარდისახარის შესახებ ალ. ორბელიანი წერს: „ლომისახარ და ნაისახარ სრულიად უმანკოები დაიხოცნენ ორნიც, ოთხმოც-ოთხმოცი წლის მეტი“.

⁸ (გვ. 241) **„ნაისახარს პატივით მოვიკითხამ“** – **ნაისახარი**, როგორც წინა კომენტარში ითქვა, დიმ. ორბელიანის გამზრდელი იყო.

⁹ (გვ. 241) **„ძველს დარდიმანდს ვარდისახარს მრავლად მოვიკითხამ“** – **ვარდისახარ**: ვახტანგ ორბელიანის გამზრდელი. მის შესახებ ალ. ორბელიანი თავის მოგონებაში „მეფის ირაკლის მეუღლე დარია ანუ დარეჯან“ წერს: „როდისაც მეფე ირაკლი აღარ იყო და იმის სახლი სრულიად დაეცა, მაშინ დედოფალი დარეჯანი მწარეთ მწუხარეთ, მაშინ თურმე შემცდარიყო ვარდისახარ, უფრო სწორეთა ვთქუათ, შეეცდინათ, რომელიცა არ მალავდა თავის შეცთომილებასა, მაგრამ ზიზღით მოიგონებდა და სწყევლიდა ხოლმე თავისთავსა“.

¹⁰ (გვ. 241) **„სარქისა კარგათ ვახლავს“** – **სარქისა (საქუა)**: მოსამსახურე, რომელიც რუსეთში გადასახლებულმა ალ. ორბელიანიმა თბილისიდან წაიყვანა.

¹¹ (გვ. 242) **„ამ ჩემმა მიმყვანელმა აფიცარმა“** – ალ. მინიციკი იგულისხმება (იხ. წერილი 13. კომენტ. 1).

16. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 242-243)

ხელნაწერი: T: №16319-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1834 წ. 23 ივლისი. სტავროპოლი. **ხელმონერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეებას მოწყალებს ხელმწიფას ეკატერინა ორბელიანოვისას. ტიფლისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 242) „პავლეს სთხოვე...“ – *პავლე თუმანიშვილი (თუ-მანოვი)* უნდა იგულისხმებოდეს (იხ. წერილი 10. კომენტ. 2).

² (გვ. 242) „მამაშენს, და დედაშენს...“ – იგულისხმებიან ალ. ორბელიანის სიმამრი *დავით დიმიტრის (ერასტის) ძე ბარათაშვილი* (წყაროებში *გოსტაშაბიშვილადაც* იხსენიება – ბერძნიშვილი 1980: 176) და სიდედრი *ბარბარე დავითის ას. ბარათაშვილი*.

დავით ბარათაშვილი 1810 წ. თბილისის პოლიცმაისტერი იყო, ამ წელს რუსებს სოლომონ II თბილისიდან გაექცათ და ამაში მთავრობამ დ. ბარათაშვილის ბრალეულობაც დაინახა, რის გამოც იგი დააპატიმრეს, შემდეგ თავადობაც ჩამოართვეს და რუსეთში (პერმი) გადაასახლეს. 1813 წელს დავით ბარათაშვილი შეიწყალეს და საქართველოში დააბრუნეს (გარდ. 1839 წ.; დ. ბარათაშვილის შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1980: 176-177).

³ (გვ. 242) „შენს ძმას პირს ვაკოცებ“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის ცოლისძმა *ზაალ (ზაქარია) ბარათაშვილი*, რომელიც 1860-იან წწ. იყო თბილისის *მაზრის* თავადაზნაურობის წინამძღოლი და, მამასადამე, თბილისის *გუბერნიის* თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“), *ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის* (მანანა ორბელიანის ვაჟის), მოადგილე. ზ. ბარათაშვილის შვილის, დავით ბარათაშვილის, ნეკროლოგში ვკითხულობთ: „მამა მისი ზაალ ბარათაშვილი ცნობილი იყო, ვითარცა უდიდესი და გამოჩენილი მემამულე ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში“ (ივერია 1901).

⁴ (გვ. 242) „იმედისეული მომიკითხე“ – *იმედისეული:* ალ. ორბელიანის ქალიშვილის, *დარეჯანის (დარიას)*, გამზრდელი.

⁵ (გვ. 242) „...სხვა შენი კერძობანიც“ – *კერძობანი*: შინ-აურები უნდა იგულისხმებოდეს.

⁶ (გვ. 243) „ბეზობრაზოვი“ – იხ. წერილი 15. კომენტ. 2.

⁷ (გვ. 243) „მარი ივანოვნა“ – დიმ. ორბელიანის მეუღლე *მარიამ (მაიკო) ორბელიანი* (იხ. წერილი 11. კომენტ. 5).

17. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 243)

ხელნაწერი: T: №16320-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1834 წ. 25 ივლისი. ჩერკესკი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეობას მოწყალებს ხელმწიფას ეკატერინა ორბელიანოვისას. ტიფლისს“.

ტექსტს თავზე უცნობი (სავარაუდოდ ადრესატის) ხელით აწერია წერილის თბილისში მიღების თარიღი: „აგვისტოს 13 ჩერქესკიდან“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 243) „სარქისამ ხელ კოცნა მოგახსენათ“ – *სარქისა*: ალ. ორბელიანის მიერ თბილისიდან რუსეთში წაყვანილი მოსამსახურე.

² (გვ. 243) „მამაშენს, და დედაშენს“ – იგულისხმებიან ალ. ორბელიანის სიმამრი და სიდედრი *დავით დიმიტრის ძე* და *ბარბარე დავითის ას. ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

³ (გვ. 243) „ზალს პირს ვაკოცებ“ – *ზაალი*: ალ. ორბელიანის ცოლისძმა *ზაალ (ზაქარია) ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁴ (გვ. 243) „იმედისეული მომიკითხე“ – *იმედისეული*: ალ. ორბელიანის ქალიშვილის, *დარეჯანის (დარეას)*, გამზრდელი.

18. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 244)

ხელნაწერი: T: №16318-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1834 ივლისი-აგვისტო]. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეებას მოწყალეს ხელმწიფას ეკატერინა ორბელიანოვისას. ტიფლისს“.

ტექსტს თავზე უცნობი (სავარაუდოდ ადრესატის) ხელით აწერია წერილის თბილისში მიღების თარიღი: „აგვისტოს 13 ჩერქესკიდან“, რაც გვაფიქრებინებს, რომ წერილი 1834 წლის ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 244) „მე რომ შენის ოთახიდგან გამოველ, ამ დროს შენი ქვითინის ხმა გავიგონე“ – აქ აღწერილი ამბავი ეხება რუსეთში გადასახლებული ალ. ორბელიანის გამგზავრებას თბილისიდან: „1834-ს წელსა 17-ს ივლისს მეთერთმეტის საათის ღამისას წამიყვანეს რუსეთისკენ“ („ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“; თხზულების „ჭეშმარიტი სიყვარული“ პუბლიკაციაში 14 ივლისია მითითებული (ორბელიანი 1992^ბ: 196), რაც არ არის სწორი (დედანში 17 ივლისია). დოკუმენტური წყაროს მიხედვითაც იგი თბილისიდან 17 ივლისს გაუყვანიათ – გოზალიშვილი 1976: 436).

² (გვ. 244) „ცრემლით გავათენე ბრიჩკაში“ – ბრიჩკა (რუს. Бричка): მსუბუქი სამგზავრო ეტლი.

³ (გვ. 244) „ვახტანგს და ძალუას...“ – ძალუა: უნდა იგულისხმებოდეს მარიამ ორბელიანი, ალ. ორბელიანის ძმის, დიმიტრის, მეუღლე [მეორე ძმა ალ. ორბელიანისა, ვახტანგი, მართალია, ამ დროს ჯერ კიდევ თბილისშია, მაგრამ ცოლი (წერილის ავტორისთვის – რძალი/ძალუა) არ ჰყავს შერთული (1842 წელს იქორწინა ეკატერინე ვასილის ას. ილიინსკაიაზე)].

⁴ (გვ. 244) „...შენს ძმას“ – იგულისხმება ზაალ დავითის ძე ბარათაშვილი (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁵ (გვ. 244) „...ჩვენს ყმაწვილებსაც“ – გულისხმობს შვილებს: დარეჯანსა (დარიას) და დავითს (დათიკას) (იხ. წერილი 11. კომენტ. 1).

⁶ (გვ. 244) „მამაშენს, და დედაშენს...“ – ალ. ორბელიანის სიმამრი და სიდედრი დავით დიმიტრის ძე და ბარბარე დავითის ას. ბარათაშვილები (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

19. თიკლე ბატონიშვილისადმი

(გვ. 244-245)

ხელნაწერი: T. №16350-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1834 წ. 31 ივლისი. სარატოვი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 244) „ალექსანდრე ოსეფიჩი“ – ალ. ორბელიანის გამყოლი, პორუჩიკი ალექსანდრე იოსების ძე (Осипович) მინიციკი (იხ. წერილი 13. კომენტ. 1).

² (გვ. 244) „უთქვენ რძალს ეკატერინეთ არა მაქვს რა სასიამოვნოთ“ – ეკატერინე: ალ. ორბელიანის მეუღლე ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანი.

³ (გვ. 245) „მარი ივანოვნას უმდაბლესად ხელს კოცნას მოვახსენებ“ – მარი ივანოვნა: ალ. ორბელიანის რძალი (დიმიტრის ცოლი) მარიამ ორბელიანი (იხ. წერილი 11. კომენტ. 5).

⁴ (გვ. 245) „პატარა ლიზიკოს ვაკოცებ“ – ლიზიკო: ალ. ორბელიანის ძმისშვილი ელისაბედ (ლიზიკო) დიმიტრის ას. ორბელიანი (იხ. წერილი 15. კომენტ. 5).

⁵ (გვ. 245) „ჩერკასკიდგან წიგნი მივწერე დიმიტრის“ – დიმიტრი: იგულისხმება ალ. ორბელიანის ძმა დიმიტრი, რომელიც, რუსეთში გადასახლებული, ამ დროს კალუგაში იმყოფება.

⁶ (გვ. 245) „ჩემ ძმას ვახტანგს პირს ვაკოცებ“ – ვახტანგ ორბელიანი ამ დროს ჯერ კიდევ თბილისშია (იხ. წერილი 15. კომენტ. 3).

⁷ (გვ. 245) „ჩემს სასურველს დას მაკას ათასობით პირს ვაკოცებ“ – მაკა: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი (იხ. წერილი №7. კომენტ. 2).

⁸ (გვ. 245) „თამარს სისხარულით დავკოცნი“ – თამარ: მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილის (იხ. წინა კომენტარი) ქალიშვილი.

⁹ (გვ. 245) „**ძალუა ბაბაღეს**“ – ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილის, მეუღლე *ბარბარე ბეჟანის ას. შიოვე-ნათალიშვილი*.

¹⁰ (გვ. 245) „**ჩემს გამდელს...**“ – *გამდელი*: ლომისახარი (იხ. წერილი 15. კომენტ. 7).

¹¹ (გვ. 245) „**ნაისახარს და ვარდისახარს მოკითხვას უძღვნი**“ – *ნაისახარი და ვარდისახარი*: დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანების გამზრდელეები (იხ. წერილი 15. კომენტ. 8 და 9).

20. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 245-247)

ხელნაწერი: T: №16321-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი**: 1834 წ. 13 აგვისტო. ორენბურგი. **ხელმოწერა**: ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 246) „**შენს სა....**“ – ასეა დედანში! ალბათ ასე უნდა იკითხებოდეს: „შენს სა[ნდროს]“ (ალ. ორბელიანის კნინობითი სახელია).

² (გვ. 246) „**პავლე თავის წიგნს წაგაკითხებს**“ – *პავლე*: **პავლე თუმანიშვილი (თუმანოვი)**, რომელიც უახლოესი მეგობარი იყო ალ. ორბელიანისა (იხ. წერილი 10. კომენტ. 2). როგორც ირკვევა, ალ. ორბელიანს რუსეთიდან პ. თუმანიშვილთანაც ჰქონდა მიმოწერა, თუმცა ამ წერილების დაცულობის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით.

³ (გვ. 246) „**დარია, დათიკა, მაიკო**“ – ალ. ორბელიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 369-370).

⁴ (გვ. 246) „**ლიზიკა**“ – ალ. ორბელიანის ძმისშვილი (დიმ. ორბელიანის ქალიშვილი. იხ. წერილი 15. კომენტ. 5).

⁵ (გვ. 246) „**ჩეფჩიკი ძალუა მარი ივანოვნას მოვართვი**“ – ა) *ჩეფჩიკი* (რუს. Чепчик): ქუდი (ჩვეულებრივ, ნაქსოვი); ბ) *მარი ივანოვნა*: ალ. ორბელიანის რძალი (დიმ. ორბელიანის მეუღლე) **მარიამ (მაიკო) ორბელიანი** (იხ. წერილი 11. კომენტ. 5).

⁶ (გვ. 246) „**ჩემ სიმამრს, და ჩემ სიდედრს...**“ – იგულისხმებინ *დავით დიმიტრის ძე* და *ბარბარე დავითის ას. ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁷ (გვ. 246) „ზალს პირს ვაკოცებ“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის ცოლისძმა **ზაალ (ზაქარია) დავითის ძე ბარათაშვილი** (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁸ (გვ. 246) „იმედისეული მამიკითხე“ – *იმედისეული*: ალ. ორბელიანის ქალიშვილის, *დარეჯანის (დარიას)*, გამზრდელი.

⁹ (გვ. 246) „სარქისამ მუხლთ კოცნა მოგახსენა“ – *სარქისა*: ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში.

¹⁰ (გვ. 246) „ალექსანდრ ოსიფიჩს პატივსა სცემდე ხოლმე“ – *ალექსანდრ ოსიფიჩი*: *ალექსანდრე იოსების ძე (Осипович) მინიცი* (იხ. წერილი 13. კომენტ. 1).

¹¹ (გვ. 246) „რაც ადრე მოგწერე, ისინი მოუქსოვე, და უთავაზე“ – მხედველობაში აქვს თავისი 1834 წ. 31 ივლისის წერილი თეკლე ბატონიშვილისადმი: „თქვენ რძალს ეკატერინეს უბძანეთ, რომ ერთი კარგი ქართული აბრაშუმის ქამარი, და ერთი ოქრომკედის თამბაქოს ქისა მოუქსოვოს კარგები, და როცა გაახლოთ მანდ ჩემის წიგნით, მაშინ ისინი უთავაზოს“.

¹² (გვ. 247) „ბატონიშვილი თუ მანდ აღარ ბძანდებოდეს, ეგ მისი წიგნი გახსენით ... ჩემს ვითარებას ხომ იმის წიგნითა სცნობთ“ – როგორც ჩანს, ალ. ორბელიანმა 13 აგვისტოს მეუღლესთან ერთად წერილი დედასაც (თეკლე ბატონიშვილს) გამოუგზავნა, თუმცა ამ უკანასკნელი წერილის დაცულობის საკითხი ჩვენ ვერ გამოვარკვეით.

21. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 247-248)

ხელნაწერი: T. №16322-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი**: 1834 წ. 20 აგვისტო. ორენბურგი. **ხელმწიფა**: სანდრო.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეებას მონყალეს ხელმწიფას ეკატერინა ორბელიანოვისას. ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 247) „ყოველს ფოშტაში“ – ე. ი. ფოსტის გასვლისას.

² (გვ. 247) „პავლეს წიგნით ხომ შეიტყობ“ – *პავლე*: *პავლე თუმანიშვილი (თუმანოვი)*, რომელთანაც, როგორც ეს ზემოთ

გვაქვს აღნიშნული (წერილი 20. კომენტ. 2), ალ. ორბელიანს რუსეთიდან მიმონერა ჰქონია.

³ (გვ. 247) „**მამაშენს, და დედაშენს**“ – იგულისხმებიან ალ. ორბელიანის სიმამრი და სიდედრი **დავით დიმიტრის ძე და ბარბარე დავითის ას. ბარათაშვილები** (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 247) „**ზალს პირს ვაკოცებ**“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის ცოლისძმა **ზაალ დავითის ძე ბარათაშვილი** (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁵ (გვ. 247) „**ძალუა ბარბარეს...**“ – ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილის, მეუღლე – **ბარბარე ბეჟანის ას. შიოყე-ნათალიშვილი**.

⁶ (გვ. 247) „**სარქისამ მუხლთ კოცნა მოგახსენა**“ – *სარქისა (საქუა)*: ალ. ორბელიანის მიერ თბილისიდან რუსეთში წაყვანილი მოსამსახურე.

⁷ (გვ. 248) „**კაბა საპოჟნიკს სვიმონას ტანზე შეაკერვინოს**“ – ა) *საპოჟნიკი* (რუს. Сапожник): ფეხსაცმლის მკერავი (ხარაზი). ამ სიტყვას ალ. ორბელიანი ტანსაცმლის მკერავის მნიშვნელობით ხმარობს; ბ) *სვიმონა*: შესაძლოა, ალ. ორბელიანის ოჯახის მებაღე იყოს (იხ. აქვე, გვ. 197).

22. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 248-249)

ხელნაწერი: T: №16323-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1834 წ. 26 აგვისტო. ორენბურგი. **ხელმწიფი:** სანდრო.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეობას მოწყალეს ხელმწიფას ეკატერინა ორბელიანოვისას. ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 249) „**ჩემ სიმამრს, და ჩემ სიდედრს...**“ – **დავით დიმიტრის ძე** და **ბარბარე დავითის ას. ბარათაშვილები** (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

² (გვ. 249) „**ზალს პირს ვაკოცებ**“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის ცოლისძმა **ზაალ დავითის ძე ბარათაშვილი** (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

³ (გვ. 249) **„ჩვენი ჰატარა შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ“** – *შვილები*: დარეჯან (დარიკო, დარია), დავით (დათიკა) და მარიამ (მაიკო) (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369–370).

⁴ (გვ. 249) **„იმედისეული“** – ალ. ორბელიანის ქალიშვილის, *დარეჯანის (დარიას)*, გამზრდელი.

⁵ (გვ. 249) **„სარქისამ მუხლთ კოცნა მოგახსენა“** – *სარქისა (საქუა)*: ალ. ორბელიანის მოსამსახურე.

⁶ (გვ. 249) **„მამიდა გუქას უმდაბლესი მოკითხვა შეუთვალეთ ჩემაგიერ“** – *გუქა*: *გუქა ორბელიან-ნათალიშვილი*, რომლის შესახებ იხ. აქვე, გვ. 318, 388).

⁷ (გვ. 249) **„ძალუა ბარბარეს...“** – ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილის, მეუღლე *ბარბარე ბეჟანის ას. შიოვე-ნათალიშვილი*.

⁸ (გვ. 249) **„თადია სიყვარულით მამიკითხეთ თავის ცოლ-შვილით“** – ა) *თადია*: *თადია ჩოლოყაშვილი*, მამიდაშვილი ალ. ორბელიანისა (იხ. აქვე, გვ. 363). თადია, როგორც მონაწილე 1832 წლის შეთქმულებისა, ხშირად იხსენიება ალ. ორბელიანის ჩვენებებში; ბ) *ცოლ-შვილი*: ავტორს მხედველობაში ვერ ეყოლება თადია ჩოლოყაშვილის პირველი ცოლი *ქეთევან ელიზბარის ას. ერისთავი* (იქორწინეს 1808 წ.), რომელიც გარდაიცვალა 1821 წელს და რომელთანაც თადიას ჰყავდა ორი ქალიშვილი: ანა (1810 წ.; გათხოვილი იყო თამაზ ანდრონიკაშვილზე) და ნინო [1812 წ., მეუღლე მიხეილ ჩოლოყაშვილისა (ბერძნიშვილი 1983: 225-226)]; ნინოს გათხოვების შესახებ (სოფ. ყარაბულალს) ალ. ორბელიანი წერს თავის 1833 წ. 18 იანვრის ჩვენებაში]. ასე რომ, ამ წერილში ალ. ორბელიანის მოკითხვის ადრესატია თადია ჩოლოყაშვილის მეორე ცოლი – *სოფიო ალათონეს (თორნიკეს) ას. ამილახვარი*, რომელთანაც თადიას ეყოლა ორი ვაჟი: იოანე (გარდაიცვალა 1827 წ. ორი წლისა) და ნიკოლოზ (კიკო) ჩოლოყაშვილი (1828-1903).

⁹ (გვ. 249) **„მამიდაშენი ბარბარე უმდაბლესად მამიკითხე“** – *ბარბარე*: *ბარბარე ბარათაშვილი*, რომელიც მეუღლე იყო გიორგი XII-ის მდივნისა და პეტერბურგში მისი ელჩის, *ელიაზარ ფალავანდიშვილისა*. ქართლის სოფ. ძალინაში იოანე ბატონიშვილის, *ელიაზარ ფალავანდიშვილისა* და მისი „გონიერებით ქებული“ მეუღლის, *ბარბარე ბარათაშვილის*, დიალოგი აღწერილია იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ (იოანე ბატონიშვილი 1990: 50-64).

¹⁰ (გვ. 249) „ალექსანდრე სუმბათოვიც მამიკითხე“ – ალექსანდრე სუმბათოვი: ორბელიანების ოჯახის ნათესავი. მასზე ალ. ორბელიანი წერს: „ჩემი კატინას ახლო ნათესავი შეირთო ცოლად კატინას შუამდგომლობითვე თავადმა ალექსანდრე სუმბათოვიმა“ („ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“; გადასახლებაში მიმავალი ალ. ორბელიანი ალ. სუმბათაშვილსა და მის მეუღლეს, სოფიოს, ღართისკარში შეხვდა და ეს შეხვედრა მას აღწერილი აქვს თავის თხზულებაში – „წიგნი მშობელთან. საქართველოს მეფის ირაკლის ასულს“).

23. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 249-250)

ხელნაწერი: T: №16324-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1834 წ. 4 სექტემბერი. ორენბურგი. **ხელმწიფი:** სანდრო.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეობას მოწყალეს ხელმწიფას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 249) „ჩემს გარემოებას პავლეს წიგნითა სცნობ“ – *პავლე: პავლე თუმანიშვილი (თუმანოვი)* (იხ. წერილი 20. კომენტ. 2).

² (გვ. 249) „ზალს პირს ვაკოცებ“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის ცოლისძმა *ზაალ დავითის ძე ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

³ (გვ. 249) „ჩვენი შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ“ – *შვილები:* დარეჯან (დარიკო, დარია), დავით (დათიკა) და მარიამ (მაიკო) (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

⁴ (გვ. 249) „იმედისეული...“ – ალ. ორბელიანის ქალიშვილის, *დარეჯანის (დარიკოს, დარიას)*, გამზრდელი.

⁵ (გვ. 250) „გთხოვ შენსას და შენი შვილების პატრეთს“ – ალ. ორბელიანი *პატრეთის (პორტრეტის)* გაგზავნას სხვა წერილებში ხან ეკატერინესა სთხოვს და ხანაც – თეკლა ბატონიშვილს (იხ. აქვე, წერილი 29; აგრეთვე, წერილი 41).

24. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 250)

ხელნაწერი: T: №16325-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1834 წ. 22 სექტემბერი. ალექსანდროვკა. **ხელმოწერა:** სანდრო.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მათს ბრწყინვალეობას მოწყალეს ხელმწიფას ეკატერინა ორბელიანოვისას. ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 250) „ჩემს ვითარებას პავლეს წიგნითა სცნობ“ – პავლე: *პავლე თუმანიშვილი (თუმანოვი)* (იხ. წერილი 20. კომენტ. 2).

² (გვ. 250) „მამაშენს, და დედაშენს...“ – იგულისხმებიან ალ. ორბელიანის სიმამრი და სიდედრი *დავით* და *ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

³ (გვ. 250) „ზალს პირს ვაკოცებ“ – ზალ: ალ. ორბელიანის ცოლისძმა *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁴ (გვ. 250) „მაკას თავის შვილებითურთ პირს ვაკოცებ“ – ა) მაკა: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი (იხ. წერილი №7. კომენტ. 2); ბ) მაკას *შვილების* შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1983: 101.

⁵ (გვ. 250) „ძალუა ბარბარეს...“ – *ბარბარე ბეჟანის ას. შიო-ევ-ნათალიშვილი*, მეუღლე დავით ნათალიშვილისა.

⁶ (გვ. 250) „შვილების მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ“ – *შვილები*: დარეჯან (დარიკო, დარია), დავით (დათიკა) და მარიამ (მაიკო) (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

⁷ (გვ. 250) „ჩემ მოხუცებულს გამდეღს...“ – იგულისხმება *ლომისახარი* (იხ. წერილი 15. კომენტ. 7).

⁸ (გვ. 250) „ნაისახარს, და ვარდისახარს მრავლობით მოვიკითხავ“ – *ნაისახარი* და *ვარდისახარი*: დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანების გამზრდელები (იხ. წერილი 15. კომენტ. 8 და 9).

**25. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისა და
ზაალ ბარათაშვილისადმი**
(გვ. 251-253)

ხელნაწერი: T: №16326-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 6 იანვარი. ალექსანდროვკა. **ხელ-მონერა:** სანდრო; ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

აღ. ორბელიანის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში წერილი ზაალ ბარათაშვილისადმი ცალკე ერთეულად არის შეტანილი (ქუთათელაძე 1947: 272), თუმცა არსებითად ეს არის ერთი წერილი, რომელსაც ორი ადრესატი ჰყავს.

¹ (გვ. 251) „**თითო ბუთლიკაზე**“ – *ბუთლიკა* (რუს. БУТЫЛКА): ბოთლი.

² (გვ. 251) „**ბატონიშვილთან...**“ – იგულისხმება დედა აღ. ორბელიანისა – *თეკლე ბატონიშვილი*.

³ (გვ. 251) „**შენ ძმას**“ – იგულისხმება **ზაალ ბარათაშვილი** (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁴ (გვ. 251) „**კიკოს...**“ – ? [შესაძლოა, ეს იყოს ნიკოლოზ (კიკოლა) არღუთოვი (არღუთინსკი), აღ. ორბელიანთან დაახლოებული პირი და მისი ნათესავი (იხ. აღ. ორბელიანის „გიორგი მეთორმეტე უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან“)].

⁵ (გვ. 252) „**პავლეს წიგნითა სცნობთ**“ – იგულისხმება **პავლე თუმანიშვილი (თუმანოვი)** (იხ. წერილი 20. კომენტ. 2).

⁶ (გვ. 252) „**ლექსს ვაკეთებ, რომელიცა მეორეს წიგნში მოგივა**“ – აქ ნახსენები *ლექსი* იხ. აქვე, წერილი 31.

⁷ (გვ. 252) „**დედაშენმა და მამაშენმა**“ – აღ. ორბელიანის სიდედრ-სიმამრი **დავით** და **ბარბარე ბარათაშვილები** (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁸ (გვ. 252) „**სერგეი გაბრილიჩის დიდათ უყვარვარ**“ – *სერგეი გაბრილიჩი: სერგეი (შიოშ) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი)*, აღ. ორბელიანის უფროსი გადასახლებაში, კერძოდ, ალექსანდროვკაში (იხ. აღ. ორბელიანის „წიგნი მშობელთან. საქართველოს მეფის ირაკლის ასულს“), გენერალ-მაიორი (1850 წლიდან), 1837-1842 წწ. იყო ორენბურ-

გის ცალკე კორპუსის მეთაურის, ვასილ პეროვსკის, ადიუტანტი, მონაწილეობდა შუა აზიის ექსპედიციებზე (მანგიშლაკი, ხივა...) და „კავკასიის ომებში“ (1844 წლიდან); შემახის გუბერნატორი (1850-1857); თავის ძმებთან, იაგორ (იხ. აქვე, გვ. 477-478), ბორის (ბაბანა) და კონსტანტინე ჭილაშვილებთან (ჩილიაევებთან), ერთად იყო ალ. ლაბზინის პეტერბურგის მასონური ლოჟის („მომაკვდავი სფინქსი“) წევრი. გადაეგო უშვილიძიოდ. დაკრძალულია მამაპაპისეულ მილახვრიანთკარში. ს. ჭილაშვილი არაერთხელაა ნახსენები გრ. ორბელიანის წერილებში (ორბელიანი 1936: 99; ორბელიანი 1937: 7, 142; ალ. ორბელიანისა და ს. ჭილაშვილის ურთიერთობაზე იხ. უთურაშვილი 1991: 43-44; ს. ჭილაშვილზე იხ.: აქტები 1885: XXXIII; ბერძნიშვილი 1983: 259; შადური 1958: 555-556).

⁹ (გვ. 252) „საწყალს ჩემს გამდელს...“ – იგულისხმება *ლომისახარი* (იხ. წერილი 15. კომენტ. 7).

¹⁰ (გვ. 252) „პატარა ჩვენს ცუცუნა შვილებს...“ – იგულისხმებიან დარეჯან (დარიკო, დარია), დავით (დათიკა) და მარიამ (მაიკო) ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

¹¹ (გვ. 253) „სარქისამ თაყვანის ცემა მოგახსენათ ... კარგათ მემსახურება“ – ამ დროს ალ. ორბელიანი ჯერ კიდევ კმაყოფილი იყო სარქისას (იგივე საქუას) მოსამსახურეობით, თუმცა მოგვიანებით ვითარება შეიცვალა, სარქისა გალოთდა, გათავხედდა და 1838 წ. მიწურულს ალ. ორბელიანმა იგი თბილისში დააბრუნა. სარქისას სანაცვლოდ ალ. ორბელიანს თბილისიდან გაუგზავნეს ორბელიანების ოჯახში „ყმანვილობითვე“ გაზრდილი სომეხი თათუა, რომელიც „რიგიანი და მართებული მოსამსახურე“ გამოდგა (იხ. ალ. ორბელიანის „ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“).

¹² (გვ. 253) „ძალუა ბარბარე“ – ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილის, მეუღლე *ბარბარე ბეჟანის ას. შიოვე-ნათალიშვილი*.

¹³ (გვ. 253) „ზალ“ – ალ. ორბელიანის ცოლისძმა **ზაალ ბარათაშვილი** (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

¹⁴ (გვ. 253) „მამიდაშენი უმდაბლესად მამიკითხე, ქაიხოსროთი“ – ა) *მამიდაშენი: ბარბარე ბარათაშვილი*, მეუღლე ელიაზარ ფალავანდიშვილისა (იხ. აქვე, წერილი 22. კომენტ. 9); ბ) *ქაიხოსრო: – ?*

¹⁵ (გვ. 253) „თამაზ“ – შესაძლოა, ეს იყოს *თამაზ აბელის ძე ანდრონიკაშვილი*, ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, თადია ჩოლოყაშვილის, სიძე (ანა თადიას ას. ჩოლოყაშვილის მეუღლე) (იხ. წერილი 22. კომენტ. 8).

26. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი (გვ. 253-254)

ხელნაწერი: T: №16327-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 11 მარტი. ალექსანდროვკა. **ხელმონერა:** ალე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეებას მოწყალეს ხელმწიფას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 254) „დედაშენს და მამაშენთან“ – *ბარბარე და დავით ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

² (გვ. 254) „ზალს ათასობით პირს ვაკოცებ“ – *ზალ:* ალ. ორბელიანის ცოლისძმა *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

³ (გვ. 254) „ქორწილი უყავით თუ არა“ – *ქორწილის* შესახებ იხ. აქვე, წერილი 27. კომენტ. 5.

⁴ (გვ. 254) „ძალუა ბარბარე“ – ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილის, მეუღლე *ბარბარე ბეჟანის ას. შიოვე-ნათალიშვილი*.

⁵ (გვ. 254) „მოხუცებული ჩემი გამდელი...“ – იგულისხმება *ლომისახარი* (იხ. წერილი 15. კომენტ. 7).

⁶ (გვ. 254) „მამიდაშენს ბარბარეს...“ – *ბარბარე ბარათაშვილი*, მეუღლე ელიაზარ ფალავანდიშვილისა (იხ. აქვე, წერილი 22. კომენტ. 9).

**27. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისა და დავით
ბარათაშვილისადმი**
(გვ. 255-256)

ხელნაწერი: T: №16328-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ
ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 29 ივნისი. ორენბურგი. **ხელმოწე-
რა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ
ანერია: „მისს ბრწყინვალეებას მონყალეს ხელმწიფას ეკატერინა
დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ლ. ქუთათელაძის მიერ შედგენილ ალ. ორბელიანის ნაწერე-
ბის ბიბლიოგრაფიაში წერილი სიმამრისადმი ცალკე ერთეულად
არის შეტანილი (ქუთათელაძე 1947: 272), თუმცა ეს არის ერთი
წერილი, რომელსაც ორი ადრესატი ჰყავს.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 255) „...ქალის ყოლა“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის
ნაბოლარა ქალიშვილი *ელენე*, რომელიც მცირეწლოვანი გარდა-
იცვალა.

² (გვ. 255) „მაგაზე უფროსებიც“ – იგულისხმებიან დარეჯან
(დარიკო, დარია), დავით (დათიკა) და მარიამ (მაიკო) ორბელი-
ანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

³ (გვ. 255) „მამიდა ბარბარეს...“ – *ბარბარე ბარათაშვილი*
(იხ. აქვე, წერილი 22. კომენტ. 9).

⁴ (გვ. 255) „ჩემო სიმამრო და მამავ დავით“ – *დავით დიმი-
იტრის ძე ბარათაშვილი* (იხ. აქვე, წერილი 16. კომენტ. 2).

⁵ (გვ. 255) „ზალის ქორწილებსათვის მეტათ ვისიხარულე“
– *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3) დაქორწინებუ-
ლი იყო *ანასტასია გრიგოლ ჩოლოყაშვილის* ასულზე (იხ. მათი
შვილის, დავით ზაალის ძე ბარათაშვილის, ნეკროლოგი – ივერია
1901).

28. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 256-257)

ხელნაწერი: T: №16329-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 23 ივლისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 256) „**ბატონიშვილის მობძანებისათვის**“ – *თეკლე ბატონიშვილი* იგულისხმება.

² (გვ. 256) „**ჯორაშვილის სახლში**“ – ?

³ (გვ. 256) „**ეუბნებოდი ჩემ რძალს**“ – უნდა იგულისხმებოდეს *მარიამ ორბელიანი* (იხ. წერილი 11. კომენტ. 5), ალ. ორბელიანის ძმის, დიმიტრი ორბელიანის, მეუღლე [მეორე ძმა, ვახტანგი, მოგვიანებით (1842 წ.) დაქორწინდა (იხ. აქვე, წერილი 18. კომენტ. 3)].

⁴ (გვ. 257) „**ს...**“ – ?

⁵ (გვ. 257) „**ჩემ სიმამრს, და ჩემ სიდედრს**“ – *დავით და ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁶ (გვ. 257) „**ზალს პირს ვაკოცებ**“ – *ზალ:* ალ. ორბელიანის ცოლისძმა *ზალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁷ (გვ. 257) „**სარქისა**“ – ალ. ორბელიანის მიერ თბილისიდან გადასახლებაში წაყვანილი მოსამსახურე (სარქისაზე იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

29. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 257-258)

ხელნაწერი: T: №16330-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 30 ივლისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეობას მონყალეს ხელმწიფას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ. ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 257) „**პატრეთის...**“ – *პორტრეტის*.

² (გვ. 258) „ჩემ სიმამრს, და ჩემ სიდედრს“ – დავით და ბარბარე ბარათაშვილები (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

³ (გვ. 258) „ზალს პირს ვაკოცებ“ – ზალ: ალ. ორბელიანის ცოლისძმა ზაალ ბარათაშვილი (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁴ (გვ. 258) „სარქისამ ხელს კოცნა მოგახსენათ“ – სარქისა: ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში (სარქისაზე იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

30. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 258)

ხელნაწერი: T: №16331-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 13 აგვისტო. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეობას მონყალეს ხელმწიფას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 258) „დედაშენს, და მამაშენს...“ – ბარბარე და დავით ბარათაშვილები (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

² (გვ. 258) „ზალს...“ – ზაალ ბარათაშვილი (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

³ (გვ. 258) „ჩვენი შვილების...“ – იგულისხმებიან დარეჯან (დარიკო, დარია), დავით (დათიკა), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

31. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 259)

ხელნაწერი: T: №16332-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 24 სექტემბერი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ. ტფილისს“ და „ჩემო სიცოცხლე, ჩემის გულის ნუგეშო სულო“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 259) „რომელნი პირები არიან მანდ გამოყვანილნი“ – ლექსში გამოყვანილი პირები არიან *კატინა*, მეუღლე ალ. ორბელიანისა და მათი შვილები: *დარია*, *დავით*, *მაია* და *ელენე* (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

² (გვ. 259) „ნენუცას...“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის ნაბოლარა შვილი *ელენე*.

³ (გვ. 259) „ჩემს სიმამრს, და ჩემს სიდედრს...“ – *დავით* და *ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 259) „ზალს...“ – *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁵ (გვ. 259) „საქუამ...“ – იგივე *სარქისა*, ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში (საქუაზე იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

32. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 260-261)

ხელნაწერი: T: №16333-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 8 ოქტომბერი. ორენბურგი. **ხელმწიფი:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეობას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ. ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 260) „ყურნი [...]“ – ამ ადგილას ხელნაწერი დაზიანებულია და ერთი სიტყვა არ იკითხება.

² (გვ. 260) „მამაშენს, და დედაშენს, ესე იგი ჩემ სიმამრსიდედრთ“ – იგულისხმებიან *დავით* და *ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

³ (გვ. 260) „ზალს...“ – *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁴ (გვ. 260) „ჩვენი შვილები...“ – დარეჯან (დარიკო, დარია), დავით (დათიკა), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

⁵ (გვ. 260) „საქუამ...“ – იგივე *სარქისა*, ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში (საქუაზე იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

33. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 261)

ხელნაწერი: T: №16334-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 5 ნოემბერი. ორენბურგი. **ხელმწიფი:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მის ბრწყინვალეობას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ. ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 261) „პავლეს წიგნმაკი დიდათ შემანუხა“ – *პავლე: პავლე თუმანიშვილი (თუმანოვი)* (იხ. წერილი 20. კომენტ. 2).

² (გვ. 261) „მამაშენს და დედაშენს...“ – *დავით და ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

³ (გვ. 261) „ზალს...“ – *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁴ (გვ. 261) „მაკას ათასის სიყვარულით თავის შვილებით პირს ვაკოცებ“ – ა) *მაკა*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *მაკა ჩოლოყაშვილი-მელიქიშვილი* (იხ. წერილი №7. კომენტ. 2); ბ) *მაკას შვილების შესახებ* იხ. ბერძნიშვილი 1983: 101.

⁵ (გვ. 261) „საქუამ...“ – იგივე *სარქისა*, ალ. ორბელიანის მიერ თბილისიდან გადასახლებაში წაყვანილი მოსამსახურე (საქუაზე იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

⁶ (გვ. 261) „ჩვენი შვილები...“ – დარეჯან (დარიკო, დარია), დავით (დათიკა), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

34. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 262)

ხელნაწერი: T: №16335-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 10 დეკემბერი. ორენბურგი. **ხელმონერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მათს ბრწყინვალეობას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 262) „**ძალუა ბარბარეს...**“ – *ბარბარე ბეჟანის ას. შიო-ევ-ნათალიშვილი*, მეუღლე ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილისა.

² (გვ. 262) „**ჩემ გამდელს...**“ – იგულისხმება *ლომისახარი* (იხ. წერილი 15. კომენტ. 7).

³ (გვ. 262) „**დედაშენს და მამაშენს...**“ – *ბარბარე და დავით ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 262) „**ზალს...**“ – *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

35. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 262-263)

ხელნაწერი: T: №16336-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1835 წ. 14 დეკემბერი. ორენბურგი. **ხელმონერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეობას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 262) „**სერგეი გაბრიილიჩი**“ – *სერგეი (შიომ) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი)* (იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 8), რომელიც ამ დროს თბილისშია. 1836 წ. 27

იანვარს თეკლე ბატონიშვილი თბილისიდან ორენბურგში სწერს ალ. ორბელიანს: „სერგი გაბრიელიძე ორი კვირაც მეტია, რაც წამოვიდა (Sd-2209). იმავე წლის თებერვალში ს. ჭილაშვილი ისევ ორენბურგშია (იხ. აქვე, წერილი 38).

² (გვ. 262) „გრიგოლა დიაკვანს მოვანათვლინეო“ – ა) ავტორს ნაბოლარა ქალიშვილის, *ელენეს* (იხ. წერილი 27), მონათვლა უნდა ჰქონდეს მხედველობაში; ბ) *გრიგოლა დიაკვანი*: ორბელიანთა ოჯახის მოძღვარი, რომელიც 1832 წ. შეთქმულების მინიმუმ საქმის კურსში იყო (იხ. აქვე, გვ. 349-350).

³ (გვ. 263) „ჩემ სიმამრს, და სიდედრს...“ – *დავით* და *ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 263) „ზალს...“ – *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁵ (გვ. 263) „ჩვენი შვილების...“ – დარეჯან (დარიკო, დარია), დავით (დათიკა), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

⁶ (გვ. 263) „მელანიას, დიას დიდ მადლობას მოვახსენებ“ – *მელანია*: მელანია შანშეს ას. ერისთავ-მელნიკოვა, 1832 წ. შეთქმულების აქტიური წევრი, ალ. ორბელიანის ერთ-ერთი შვილის (სავარაუდოდ დარეჯან-დარიას) ნათლია (იხ. აქვე, გვ. 35), რომლის შესახებაც ალ. ორბელიანი თავის თხზულებაში „გაიგონე“ წერს: „ასე დამეგობრდნენ ჩემი კაჭინა და მელანია, რომ არაფრისთანა დამალული არა ჰქონდათ რა ერთმანეთთან“ (მელანია ერისთავის შესახებ იხ. აქვე, გვ. 370-371).

⁷ (გვ. 263) „სარქისამ...“ – ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში (სარქისაზე იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

36. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 263-264)

ხელნაწერი: T. №16337-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1836 წ. 21 იანვარი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მათს ბრწყინვალეობას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ. ტფილისს“.

წერილის უკანა (თავისუფალ) გვერდზე ავტორისეული მი-
ნაწერი (იმავე მეღნიტ): „როგორ ვისია რას დასწერს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 264) „რა კარგი შვილები გყავს“ – შვილები: დარეჯან
(დარიკო, დარია), დავით (დათიკა), მარიამ (მაიკო) და ელენე ორ-
ბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

² (გვ. 264) „სამშობლონი“ – მშობლებს უნდა ნიშნავდეს.

³ (გვ. 264) „ჩემ სიმამრს და ჩემ სიდედრს...“ – დავით და
ბარბარე ბარათაშვილები (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 264) „ზალს...“ – ზაალ ბარათაშვილი (იხ. წერილი 16.
კომენტ. 3).

⁵ (გვ. 264) „ძალუა ბარბარეს...“ – ალ. ორბელიანის მამი-
დაშვილის, დავით ნათალიშვილის, მეუღლე ბარბარე შიოვე-ნა-
თალიშვილი.

⁶ (გვ. 264) „ჩემ გამდელს...“ – იგულისხმება ლომისახარი (იხ.
წერილი 15. კომენტ. 7).

37. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 264-265)

ხელნაწერი: T: №16338-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ
ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1836 წ. 4 თებერვალი. ორენბურგი. **ხელ-
მწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ
ანწერია: „მათს ბრწყინვალეობას ეკატერინა დავითის ასულს ორ-
ბელიანოვისას. ქ. ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 264) „ქალებს...“ ალ. ორბელიანის ქალიშვილები:
დარეჯან (დარიკო, დარია), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელი-
ანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

² (გვ. 264) „დათიკას ამბავიკი სულ არა მოგწერარა“ – ამ
დროს ალ. ორბელიანის ერთადერთი ვაჟიშვილი დავითი (დათი-
კა) უკვე გარდაცვლილია (იხ. მომდევნო, 38-ე, წერილი).

³ (გვ. 265) „დედაშენს და მამაშენს...“ – ბარბარე და დავით ბარათაშვილები (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 265) „ზალს...“ – ზაალ ბარათაშვილი (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

⁵ (გვ. 265) „თადია უნიგნობისთვის ნუ დამემდურება“ – თადია: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *თადია ჩოლოყაშვილი* (ძე ეკატერინე ორბელიან-ჩოლოყაშვილისა). 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (თ. ჩოლოყაშვილზე იხ. აქვე, გვ. 363).

⁶ (გვ. 265) „დავითს ნათალოვს თავის ცოლითურთ პირს ვაკოცებ“ – დავით ნათალოვი (ნათალიშვილი) იყო მამიდაშვილი ალ. ორბელიანისა (ძე გუქა ორბელიანისა და გორჯასპ ნათალიშვილისა). დ. ნათალიშვილი წვერი იყო 1832 წ. შეთქმულებისა (იხ. აქვე, გვ. 388-389). მეუღლე დავით ნათალიშვილისა იყო ბარბარე ბეჟან შიოყვის ასული ნათალიშვილი (გოზალიშვილი 1976: 78).

⁷ (გვ. 265) „რაზდენს მოკითხვის მადლობას მოვახსენებ“ – რაზდენ (ასეა დედანში!) – ?

38. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 265-266)

ხელნაწერი: T: №16339-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1836 წ. 19 თებერვალი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედანერია: „მათს ბრწყინვალეობას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 265) „ადრითგანვე ვგრძნობდი დათიკას სიკვდილსა“ – დათიკა: ალ. ორბელიანის ვაჟიშვილი, რომელიც 1835 წ. მიწურულს გარდაიცვალა (დაბ. 1832).

² (გვ. 265) „სერგეი გაბრილიჩი“ – სერგეი (შიოშ) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი) (იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 8).

³ (გვ. 265) „მისი [ღვთის] სურვილის აღსრულებისათვის როგორღა უნდა შევწუხდეთ“ – ანალოგიური სულისკვეთებითაა გამსჭვალული თეკლე ბატონიშვილის 1836 წ. 27 იანვრის წერი-

ლი ალ. ორბელიანისადმი: „დათიკოს ამბავი გეკითხა. ჩვენ რომ აღარა მოგწერეთ რა, მაშინე უნდა შეგეტყო. რა საკვირველია კაცის სიკვდილი. ალექსანდრე, ახლა შეგეტყოფა ჩემი სიყვარული. თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, არ შენუხდები. მაღლობა მიეც ღმერთსა და მსხვერპლად შესწირე ... მოვლა არ აკლდა, მაგრამ ღმერთმა არ ინება და იმის ნება უმჯობესია. ღმერთმა შენ გამოგიხსნას მაგ უბედურებისა და მწუხარებისგან და მშვიდობით მოგიყვანოს, თორემ ორნივე ყმანვილები ხართ და კიდევ ღვთით ბევრი გეყოლებათ და ღმერთი გაგიზდის. შენს ამბავს ნუ დამაკლებ და მოთმინებით მიიღე ყველა“ (ხეც. Sd-2209).

⁴ (გვ. 265) „**ლამაზ ქალებზე**“ – იგულისხმებიან ალ. ორბელიანის ქალიშვილები: დარეჯან (დარიკო, დარია), მარიამ (მაიკო) და ელენე (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

⁵ (გვ. 266) „**დედაშენს და მამაშენს...**“ – *ბარბარე და დავით ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁶ (გვ. 266) „**ზალს თავის ცოლითურთ...**“ – იგულისხმება *ზაალ ბარათაშვილი*, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16. კომენტ. 3), რომლის მეუღლე იყო *ანასტასია გრიგოლ ჩოლოყაშვილის* ასული (იხ. წერილი 27. კომენტ. 5).

⁷ (გვ. 266) „**ნურც თადია დამემდურება უნიგნობისათვის, და სიყვარულით პირს ვაკოცებ თავის შვილებითურთ**“ – *თადია ჩოლოყაშვილსა* და მის *შვილებზე* იხ. აქვე, წერილი 22. კომენტ. 8).

⁸ (გვ. 266) „**ძალუას...**“ – უნდა ვიფიქროთ, იგულისხმება მეორე მეუღლე თადია ჩოლოყაშვილისა – *სოფიო ამილახვარი* (ალ. ორბელიანი აქ და სხვაგანაც „*ძალუას*“ ძირითადად *რძლის* მნიშვნელობით ხმარობს).

⁹ (გვ. 266) „**ქეთევანს...**“ – ?

¹⁰ (გვ. 266) „**ძალუა ბარბარეს...**“ – ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილის, მეუღლე *ბარბარე შიოყე-ნათალიშვილი*.

¹¹ (გვ. 266) „**სარქისამ...**“ – ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში (სარქისაზე იხ. აქვე, წერილი 25, კომენტ. 11).

39. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 266-267)

ხელნაწერი: T: №16340-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1836 წ. 28 მარტი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მის ბრწყინვალეებას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 266) „**მომავალს აღდგომას მეც თქვენთა შორის ვმხიარულებდე**“ – ალ. ორბელიანის ამ ნატვრას ასრულება არ ეწერა. მან რამდენიმე წლის შემდეგ, 1840 წ. 28 თებერვალს, უკვე ორენბურგიდან კავკასიის ხაზზე გადმოყვანილმა, გაიგო, რომ ნიკოლოზ I-ის 1840 წ. 21 იანვრის განკარგულებით გათავისუფლებული იყო სამხედრო სამსახურიდან და ეძლეოდა საქართველოში დაბრუნების უფლება. ალ. ორბელიანი საქართველოს სამხედრო გზით დაუყოვნებლივ გამოემგზავრა სამშობლოში, თბილისში კი იმავე წლის 6 მარტს შემოვიდა (იხ. ალ. ორბელიანის „ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“).

² (გვ. 267) „**შვილებითურთ...**“ – იგულისხმებიან დარეჯან (დარიკო, დარია), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370). მეოთხე შვილი ალ. ორბელიანისა – დავითი (დათიკა) – ამ დროს უკვე გარდაცვლილია (იხ. აქვე, წერილი 38).

³ (გვ. 267) „**მამაშენს და დედაშენს...**“ – დავით და ბარბარე ბარათაშვილები (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 267) „**ზალს თავის ცოლითურთ...**“ – იგულისხმება ზაალ ბარათაშვილი, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16, კომენტ. 3), რომლის მეუღლე იყო *ანასტასია გრიგოლ ჩოლოყაშვილის* ასული (იხ. წერილი 27. კომენტ. 5).

40. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 267-268)

ხელნაწერი: T: №16341-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1836 წ. 28 აპრილი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მის ბრწყინვალეებას ეკატირინა დავითის [ასულს] ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 267) „**შენი შვილებითურთ...**“ – იგულისხმებიან დარეჯან (დარიკო, დარია), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370). მეოთხე შვილი ალ. ორბელიანისა – დავითი (დათიკა) – ამ დროს უკვე გარდაცვლილია (იხ. აქვე, წერილი 38).

² (გვ. 267) „**ნენუცამ...**“ – ალ. ორბელიანის ნაბოლარა ქალიშვილის, *ელენეს*, მეტსახელია.

³ (გვ. 268) „**დედაშენს და მამაშენს...**“ – *ბარბარე და დავით ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 268) „**ზალს თავის ცოლითურთ...**“ – იგულისხმება *ზაალ ბარათაშვილი*, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16. კომენტ. 3), რომლის მეუღლე იყო *ანასტასია გრიგოლ ჩოლოყაშვილის* ასული (იხ. წერილი 27. კომენტ. 5).

⁵ (გვ. 268) „**თადიასთვის თავის მოკითხვის წიგნის პასუხი უნდა მომეწერა**“ – *თადია*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *თადია ჩოლოყაშვილი* (მასზე იხ. აქვე, გვ. 363).

⁶ (გვ. 268) „**მაგის სასიამოვნოთ გაზაფხულის ეგ ლექსი მოვწერე**“ – წერილს ლექსი არ ახლავს. ყოველ შემთხვევაში, ეს ვერ იქნება ალ. ორბელიანის ლექსი „საქართველოს გაზაფხული“, რომელიც გაცილებით უფრო ადრეა დაწერილი (დათარიღებულია 1824 წლით).

41. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 268-269)

ხელნაწერი: T: №16342-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1836 წ. 5 მაისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეებას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 269) „**რა ვქნათ, სოფლის წესი ასე არის და ასე მოხდა**“ – ალ. ორბელიანს მხედველობაში უნდა ჰქონდეს შვილის, დავითის (დათიკას), სიკვდილი [იხ. აქვე, წერილი 38; აგრეთვე, მომდევნო (42-ე) წერილი].

² (გვ. 269) „**შენი ქალების სახე მაინც გამამიგზავნე**“ – იგულისხმებიან ალ. ორბელიანის ქალიშვილები: დარეჯან (დარიკო, დარია), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

³ (გვ. 269) „**მაკას...**“ – *მაკა*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილი* (იხ. წერილი №7. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 269) „**ჩემ სიმამრს და ჩემ სიდედრს...**“ – *დავით და ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁵ (გვ. 269) „**ზალსაც ცოლითურთ...**“ – *ზაალ ბარათაშვილი*, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16. კომენტ. 3) და მისი მეუღლე *ანასტასია გრიგოლ ჩოლოყაშვილის* ასული (იხ. წერილი 27, კომენტ. 5).

⁶ (გვ. 269) „**საქუამ...**“ – ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში [საქუაზე (იგივე სარქისა)] იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

42. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 269-271)

ხელნაწერი: T: №16343-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1836 წ. 12 მაისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მისს ბრწყინვალეებას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

მისამართს ზემოთ ალ. ორბელიანის ხელით აწერია: „ჩემო ორო თვალებო სულოსან“.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 269) „**მე დათიკას სიკვდილზე რათ უნდა შევწუხდე?**“ – დათიკა [დავითი]: ალ. ორბელიანის ვაჟი, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა (იხ. აქვე, წერილი 38).

² (გვ. 270) „**სიმამრს და სიდედრს...**“ – დავით და ბარბარე ბარათაშვილები (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

³ (გვ. 270) „**ზალს ცოლითურთ...**“ – ზაალ ბარათაშვილი, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16. კომენტ. 3) და მისი მეუღლე ანასტასია გრიგოლ ჩოლოყაშვილის ასული (იხ. წერილი 27. კომენტ. 5).

⁴ (გვ. 270) „**ძალუა ბარბარე...**“ – ალ. ორბელიანის მამიდაშვილის, დავით ნათალიშვილის, მეუღლე ბარბარე შიოვე-ნათალიშვილი.

⁵ (გვ. 270) „**ჩვენი ქალების...**“ – ალ. ორბელიანის ქალიშვილები: დარეჯან (დარიკო, დარია), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

⁶ (გვ. 270) „**მაკასთან ბოდიში მამხადე**“ – მაკა: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი (იხ. წერილი №7. კომენტ. 2).

⁷ (გვ. 270) „**ესე იგი სარქისამ; აქ ასეთი კაცი შეიქნა, რომ სერგეი ოსეფჩის ეძახიან**“ – სარქისა: ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში (იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

⁸ (გვ. 271) „**უკაცრაოდ, მაჰატიე რომ ველარ დავბეჭდე, რა ვქნა, ლალქა აღარ ეყო ამას და ფოშტას კი ვეშურვები**“ – კურსივით აღნიშნული ეს აბზაცი კონვერტად დაკეცილი ნაწ-

ერის პირველ გვერდზეა მიწერილი; ლალუა: კონტექსტის მიხედვით, **ლუქს** უნდა ნიშნავდეს.

43. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 271-272)

ხელნაწერი: T: №16344-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** კრბ. „სიყვარული, სიყვარული...“ (თურმანიძე... 1992: 133-134). **თარიღი:** 1836 წ. 19 მაისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

¹ (გვ. 271) „**მალნიზი**“ – ასეა დედანში (მაგნიტი?).

² (გვ. 272) „**მაკას...**“ – *მაკა*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილი* (იხ. წერილი №7. კომენტ. 2).

³ (გვ. 272) „**ჩვენი ცუცუნა ქალები**“ – ალ. ორბელიანის ქალიშვილები: დარეჯან (დარიკო, დარია), მარიამ (მაიკო) და ელენე ორბელიანები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 369-370).

⁴ (გვ. 272) „**სარქისამ...**“ – ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში [იხ. აქვე, წერილი 25, კომენტ. 11].

⁵ (გვ. 272) „**ჩემთ სიმამრს სიდედრს...**“ – *დავით და ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16, კომენტ. 2).

⁶ (გვ. 272) „**ზალს ცოლითურთ...**“ – *ზაალ ბარათაშვილი*, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16, კომენტ. 3) და მისი მეუღლე *ანასტასია გრიგოლ ჩოლოყაშვილის* ასული (იხ. წერილი 27, კომენტ. 5).

44. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 272-273)

ხელნაწერი: T: №16345-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** კრბ. „სიყვარული, სიყვარული...“ (თურმანიძე... 1992: 133-134). **თარიღი:** 1836 წ. 2 ივნისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ხელნაწერი დაკეცილი და დაბეჭდილია კონვერტად და ზედ აწერია: „მათს ბრწყინვალეობას ეკატერინა დავითის ასულს ორბელიანოვისას. ქ: ტფილისს“.

¹ (გვ. 272) „**მირზაჯანას...**“ – *მირზაჯან მადათოვი* (ზოგჯერ *მადათაშვილის* გვართაც იხსენიება), ყარაბახელი სომეხი, ერთხანს თარჯიმნად მსახურობდა მთავარმართებელ ა. ერმოლოვთან, წერდა ლექსებს სომხურ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე, იყო განთქმული მოქეიფე და თამადა. 1832 წ. ხმა გავრცელდა მისი სიკვდილის შესახებ, რასაც მოჰყვა გრ. ორბელიანის ლექსი „მირზაჯანას ეპიტაფია“ (ორბელიანი 1959^ა: 24). ალ. ორბელიანი თავის თხზულებაში „ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“ მირზაჯანას ახასიათებს, როგორც, ერთი მხრივ, „გონიერ კაცსა“ და „საუცხოვო მოლაპარაკეს“, ხოლო, მეორე მხრივ, გარყვნილს, ა. ერმოლოვის მიერ ქართველებისთვის მიჩენილ „შპიონს“ და დასძენს: „მე ის არ მიყვარდა“. მირზაჯან მადათოვი პოლკოვნიკის ხარისხით გარდაიცვალა 1851 წელს ქ. შუშაში (მის შესახებ იხ. ბალახაშვილი 1966: 79-89; ი. ბალახაშვილი მირზაჯან მადათოვის გარდაცვალების თარიღად 1837 წ. 12 აგვისტოს უთითებს).

² (გვ. 272) „**სუმბათოვს...**“ – ალ. ორბელიანის ოჯახის ნათესავი (იხ. წერილი 22. კომენტ. 10).

³ (გვ. 273) „**მამაშენს და დედაშენს...**“ – *დავით და ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 273) „**ზალს ცოლითურთ...**“ – *ზაალ ბარათაშვილი*, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16. კომენტ. 3) და მისი მეუღლე *ანასტასია გრიგოლ ჩოლოყაშვილის* ასული (იხ. წერილი 27. კომენტ. 5).

45. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 273)

ხელნაწერი: T: №16346-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** კრბ. „სიყვარული, სიყვარული...“ (თურმანიძე... 1992: 133-134). **თარიღი:** 1836 წ. 30 ივნისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

¹ (გვ. 273) „ვაპირებ ჩემს ძმებთან გადასვლის თხოვას“ – *ძმები*: დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, რომლებიც ამ დროს გადასახლებაში, ქ. კალუგაში, იმყოფებიან. იქვე იყო გადასახლებული თეკლე ბატონიშვილიც, თუმცა 1835 წ. 6 ივნისს იგი უკვე თბილისშია (იხ. აქვე, გვ. 352-353).

² (გვ. 273) „კარგი ქალაქი თურმეა“ – იგულისხმება ქ. კალუგა (იხ. წინა კომენტარი).

³ (გვ. 273) „სიმამრს და სიდედრს...“ – *დავით და ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 273) „ანასტასიას ერთი კარგი ბიჭი ეყოლოს“ – *ანასტასია ჩოლოყაშვილ-ბარათაშვილი*, მეუღლე ალ. ორბელიანის ცოლისძმის, ზაალ ორბელიანისა (იხ. მომდევნო კომენტარი).

⁵ (გვ. 273) „ზალს...“ – ზაალ ბარათაშვილი, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

46. ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი

(გვ. 274)

ხელნაწერი: T. №16347-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1836 წ. 13 ივლისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 274) „ანტონისას...“ – *ანტონ აბხაზი*, რომელიც შეთქმულებაში მონაწილეობისათვის „კავკასიის ხაზზე მდგომ რაზმში“ გადაყვანით იყო დასჯილი (გოზალიშვილი 1976: 429; იქ პოდპორუჩიკის ხარისხით მსახურობდა). ავადმყოფობის გამო 1836 წელს იგი თბილისში დააბრუნეს, თუმცა აქ (თბილისშივე) ცოტა ხანში (1837 წელს) გარდაიცვალა.

² (გვ. 274) „მამუკასას...“ – *მამუკა (მაკარ) ორბელიანი* (იხ. აქვე, გვ. 351-352).

³ (გვ. 274) „მამაცოვის...“ – *იოსებ მამაცაშვილი*, რომელიც ვიატკაში იყო გადასახლებული (სასჯელს იხდიდა ს. დოდაშვილთან ერთად). საქართველოში დაბრუნდა 1836 წელს (პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეების ქვეშ), სამსახური დაიწყო საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის (ნიკ. ფალავანდიშვილის) კანცელარიაში, შემდეგ კი გორში დამკვიდრდა (ი. მამაცაშვილის

შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1983: 82-85; ნანიტაშვილი 1981: 121-136).

⁴ (გვ. 274) „ავთანდილოვსაც...“ – *ზაალ (ზაქარია) ავთანდილოვი* (იხ. აქვე, გვ. 332-333).

⁵ (გვ. 274) „ბარონს...“ – იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი (1831-1837), *ბარონი გრიგოლ როზენი*.

⁶ (გვ. 274) „დარიასთვის დიდათ ვწუხარ“ – *დარია*: ალ. ორბელიანის ქალიშვილი დარეჯან (დარიკო, დარია) ორბელიანი (იხ. აქვე, გვ. 370).

⁷ (გვ. 274) „მაიკოს ქებას იწერები ხშირათ“ – *მაიკო*: ალ. ორბელიანის ქალიშვილი *მარიამ (მაიკო) ორბელიანი* (იხ. აქვე, გვ. 370).

⁸ (გვ. 274) „ჩემ სიმამრს და ჩემ სიდედრს...“ – *დავით და ბარბარე ბარათაშვილები* (იხ. წერილი 16. კომენტ. 2).

⁹ (გვ. 274) „ზალს...“ – *ზაალ ბარათაშვილი*, ალ. ორბელიანის ცოლისძმა (იხ. წერილი 16. კომენტ. 3).

¹⁰ (გვ. 274) „რუსუდანა“ – ?

¹¹ (გვ. 274) „სარქისამ...“ – ალ. ორბელიანის მოსამსახურე გადასახლებაში (იხ. აქვე, წერილი 25. კომენტ. 11).

¹² (გვ. 274) „ივანე დალაქს...“ – ალ. ორბელიანი 1832 წ. 23 დეკემბრის ჩვენებაში *ივანე დალაქს* „დავით ბარათოვის კაცს“ უწოდებს. ივანე დალაქის სახელი ჩანს იასე ფალავანდიშვილის ჩვენებებშიც: „მგონია ალ. ორბელიანს უთქვამს აგრეთვე თავის ივანე დალაქისთვის, როდის გავთავისუფლდებით რუსებისაგან, მაგრამ მას უპასუხნია: თქვენ სულ ეგრე გაიძახით და დასასრული კი არა ჩანსო“ (გოზალიშვილი 1935: 229; იხ. აგრეთვე, აქვე, გვ. 497).

47. თეკლე ბატონიშვილისადმი

(გვ. 275)

ხელნაწერი: T: №16352-ბ. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1836 წ. 13 ივლისი. ორენბურგი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 275) „**ბატორძალს და ბატონიშვილებს...**“ – ქართლში (მათ შორის, თბილისში) ამ დროს არაერთი „**ბატორძალი**“ და „**ბატონიშვილი**“ ცხოვრობდა და, ძნელი სათქმელია, კონკრეტულად ვის გულისხმობს აქ წერილის ავტორი.

² (გვ. 275) „**თადიას თავის ცოლშივით სიყვარულით მოვიკითხამ**“ – *თადია ჩოლოყაშვილსა* და მის *ცოლ-შვილზე* იხ. აქვე, წერილი 22. კომენტ. 8.

³ (გვ. 275) „**მაკას...**“ – *მაკა*: ალ. ორბელიანის მამიდაშვილი *მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილი* (იხ. წერილი №7. კომენტ. 2).

⁴ (გვ. 275) „**ჩემს გამდელს...**“ – იგულისხმება *ლომისახარი* (იხ. წერილი 15. კომენტ. 7).

48. დიმიტრი ორბელიანისადმი

(გვ. 275)

ხელნაწერი: T: №16353-ბ. ავტოგრაფი. ასლი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1842 წ. 31 ოქტომბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე.

ტექსტს ალ. ორბელიანის ხელით თავზე აწერია „**კოპია**“, ხოლო ბოლოში – მისივე მინაწერი: „**გაიგზავნა სოფელს პოლკონიკოს**“ [ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანებს სოფლები ჰქონდათ: „**ალექსანდრეს – კაზრეთი, დიმიტრის პოლკოვნიკოვო, ვახტანგს – ასანხოჯალო**“ (უთურაშვილი 1991: 139)].

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 275) „**უნდა გავიყარნეთ ჩვენ ძმები**“ – ძმებს, ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანებს, 1842 წლამდე გაუყოფელი მამული ჰქონდათ ბორჩალოში. ამის თაობაზე დიმ. ორბელიანი შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის 1833 წ. 7 თებერვალს მიცემულ ჩვენებაში წერს: „**მამული ბორჩალოს დისტანციაში მაქვს, რომლის სიდიდე მე არ ვიცი. ეს შეგიძლიათ ჰკითხოთ დედა ჩემს ბატონიშვილ თეკლე ირაკლის ასულს**“ (გოზალიშვილი 1970: 230).

² (გვ. 275) „**შენი მზითვის მამულში...**“ – დიმ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის მეუღლის, ეკატერინე

ბარათაშვილ-ორბელიანის, „*მზითვის მამული*“ კაზრეთში (იხ. აქვე, გვ. 65).

³ (გვ. 275) **„ბევრს დროს ნუ გაიყვან და გაყრისთვის ნა-მოდია“** – ძმების გაყრამ ყოველგვარი დავისა და უსიამოვნების გარეშე ჩაიარა. დაცულია დიმი. ორბელიანის 1842 წ. 7 ნომბრის პასუხი ალ. ორბელიანისადმი:

„ძმაო ალექსანდრე, შენი წიგნი მომივიდა, რომლითაც გებრძანა ქალაქს ჩემი ჩამოსვლა გაყრისათვის. მე ამაზე ამას მოგახსენებ, რომ თქვენ ორნივე ჩემი ძმები მანდა ბრძანდებით, ბატონიშვილიც (თეკლე ბატონიშვილი – თ. ჯ.) მანდ ბრძანდება. გთხოვთ უმორჩილესად ბატონიშვილის თანდასწრებითა და ჩვენი საყვარელი დეიდაშვილით გრიგოლ მუხრანბატონით, როგორც სვინდისი ამას მოითხოვს, ისე გაყოთ და განილოთ, საუფროსოც მიიღო, ვითარცა ჯეროვანი სჯული განვევს ისე, მაგრამ კაზრელი კაცები გთხოვთ შენ მიიღო წილში და ჩვენ ორთ ძმათ სხვაგან დაგვიტმო. თუ საუფროსო არ აგიღია, მე არა ვჯერვარ გაყრასა და არც თანახმა ვარ გაყრისა და გაყოფისა. მე გთხოვ, საყვარელო ძმაო, ეს ასე ინებო... დრო არს ჩვენი საკუთრების განილვა და გაყოფა, რომ ერთმანეთში ლაპარაკი არ იყოს ჩვენ შორის სანყინო, რომელსაც ვერიდები. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ ყოველთა, რომელთაც ჩვენი ასე დაშორება მოინდომეს, მაგრამ არავის არა გაუხდება რა, ისევე ის ძმები ვიქნებით“ (უთურაშვილი 1991: 139).

დიმი. ორბელიანის წერილში ნახსენები „*საყვარელი დეიდაშვილი გრიგოლ მუხრანბატონი*“ არის ქეთევან ერეკლეს II-ის ას. ბატონიშვილისა და ივანე (იოანე) მუხრანბატონის ძე **გრიგოლ მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი)**, გენერალ-მაიორი, რუსეთ-ირანის 1826-1828, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. და „კავკასიის“ ომების მონაწილე, პოეტი, მთარგმნელი. გადაეგო უშვილიძროდ. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში (გრ. მუხრანბატონის შესახებ იხ.: ნაკაშიძე 1974: 21-34; ბერძნიშვილი 1983: 111; აქტიები 1885: XXVI).

49. დიმიტრი ყიფიანისადმი

(გვ. 276)

ხელნაწერი: K: დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1786. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 11 მაისი. **ხელმწიფი:** ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 276) „**ხელმწიფის იპერატორის სურვილი, თავის საიმპერიოს მებატონეთ ყმების განთავისუფლება მებატონეთაგან**“ – იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II-ის 1860-იანი წწ. საგლეხო რეფორმა (ბატონყმობის გაუქმება) რუსეთის იმპერიაში. თბილისის გუბერნიაში (ქართლ-კახეთში) ჩასატარებელი რეფორმის პროექტი კავკასიის ხელისუფლებისა და თავადაზნაურობის თხოვნით 1863 წ. მოამზადა დიმ. ყიფიანმა (პროექტი რეფორმისა, საკითხთან დაკავშირებული გარემოებები, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2018: 133-200, 419-441).

² (გვ. 276) „**ტფილისის უეზდის, თრიალეთის საპრისტოს სოფელს კაზრეთში...**“ – ა) *საპრისტო [საპრისტავო]:* საბოქაულო; ბ) *სოფელს კაზრეთში:* ალექსანდრე ორბელიანის *კაზრეთის მამულზე*, რომელიც მის მეუღლეს მზითვეში მოჰყვა, იხ. აქვე, გვ. 65).

³ (გვ. 276) „**ვალისამებრ თქვენის ღუბერსკის წინამძღობლობისა**“ – დიმ. ყიფიანი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარულად“) 1864 წ. თებერვალში აირჩიეს და იგი ამ თანამდებობას 1870 წ. მაისამდე ასრულებდა.

⁴ (გვ. 276) „**გარემოება ესე ცენტრალნისა კომიტეტსა აუნყოთ**“ – იგულისხმება საგლეხო რეფორმის მომზადებისა და მისი პრაქტიკული განხორციელებისთვის თბილისში დაარსებული *ცენტრალური კომიტეტი*, რომელსაც მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსები ხელმძღვანელობდნენ (ჯერ ა. კრუზენშტერნი, ხოლო შემდეგ – ალ. ნიკოლაი). დიმ. ყიფიანი ნევრი იყო ამ კომიტეტისა (კომიტეტის შესახებ იხ. ჩხეტია 1950: 3-4).

50. დიმიტრი ყიფიანისადმი

(გვ. 277)

ხელნაწერი: K: დიმიტრი ყიფიანის არქ., საქ. №1787. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 20 ოქტომბერი. ნაღრიკი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 277) „ახლანდელს ყმების კომიტეტში ... ჩვენი ტფილისის უზდი უკეთესს ვერავის ამოარჩევს“ – საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) მომზადებისა და პრაქტიკულად განხორციელების მიზნით თბილისში შექმნილი იყო ცენტრალური კომიტეტი (იხ. აქვე, წერილი 49. კომენტ. 4). ამას გარდა, ადგილებზე შეიქმნა სამაზრო კომიტეტები, რომლებსაც მაზრების („უზდების“) თავადაზნაურობის წინამძღოლები („მარშლები“) ხელმძღვანელობდნენ (ჩხეტია 1950: 3-4). ალ. ორბელიანს წინამდებარე წერილში *თბილისის მაზრის კომიტეტი* აქვს მხედველობაში.

² (გვ. 277) „ამაზედ ჩემს ცოლის ძმას ზაალთან ინებეთ მოლაპარაკება“ – იგულისხმება *ზაალ ბარათაშვილი* (იხ. წერილი 16. კომენტ. 3), რომელიც ამ დროს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლია.

³ (გვ. 277) „მეითიას...“ – ?

⁴ (გვ. 277) „აპეკით შეაკვრევინა“ – „აპეკით შეკვრა“ ნიშნავს პირის ქონების (მათ შორის, ადგილ-მამულის) არამესაკუთრე პირის ან დანესებულებისთვის *სამეურვეოდ (სააპეკოდ)* გადაცემას.

⁵ (გვ. 277) „მაგისი და“ – იგულისხმება მეუღლე ალ. ორბელიანისა, *ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანი*.

⁶ (გვ. 277) „გულით და სულით შევწუხდები სულხანის მოშორებაზე“ – იმ დროს, როცა ეს წერილი იწერებოდა, სულხან ბარათაშვილი (წყაროებში *ტიხონის* სახელითაც იხსენიება) ნაღრიკში ალ. ორბელიანის სიძის, დავით ქობულაშვილის (ყაბარდოს ოლქის უფროსის), თანაშემწედ (მოადგილედ) მსახურობდა (1858-1865 წწ.). გარკვეული ხნის განმავლობაში ალ. ორბელიანიც იქ იმყოფებოდა, რის შესახებაც მას ნაღრიკში დანერილი და 1865 წ. 27 აგვისტოთი დათარიღებული თხზულების „საქარ-

თუელოს მეფის ირაკლის ძე ლევან“ ბოლოში უწერია: „დიდყაბართოს ნალჩიკში ჩემი სიძე დავით ქობულოვი იქ ნაჩაღნიკათ რომ გაგზავნეს, ბოლოს მე და ჩემი ცოლიც იმათთან წავედით“. მოუწყო თუ არა ს. ბარათაშვილი *კომიტეტში*, ჩვენ ეს ვერ გამოვარკვეით, თუმცა ფორმალურად ეს რთული არ უნდა ყოფილიყო იმდენად, რამდენადაც მას თბილისის მაზრაში (მარაბდაში) შთამომავლობითი ადგილ-მამული მოეპოვებოდა (სახოკია 1896: 4). 1865 წ. ბოლოს ს. ბარათაშვილმა თავი დაანება ნალჩიკს და თბილისში დაბრუნდა. 1866 წელს იგი აფხაზეთის აჯანყების საგამომძიებლო კომისიის წევრად სოხუმში გაგზავნეს, სადაც იმავე წლის 13 აგვისტოს დაიღუპა. დაკრძალეს სოხუმის წმ. გიორგის ეკლესიის შესასვლელ კარებთან, თუმცა მოგვიანებით ეკლესია გააფართოვეს და საფლავიც ეკლესიის შიგნით მოექცა (სახოკია 1896: 24-25).

უნდა ითქვას, რომ ალ. ორბელიანს სულხან ბარათაშვილის დაღუპვის შემდეგ მის მატერიალურად უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახზე დაუწყო ზრუნვა. 1867 წ. 1 მარტს გრიგოლ ორბელიანი სწერს ალ. ორბელიანს:

„ამის წინად იყო ჩემთან გიორგი ერისთავი და მიაბმო განწირულებითი მდგომარეობა საწყალის ტიხონის ბარათაშვილის სახლობისა და ესეცა მითხრა, რომ რაოდენთამე თქვენ მივიღიათ ქრესტიანობრივი მზრუნველობა შეწევნისათვის უნუგეშოდ დაჰშთომილისა ქვრივობლობისა მისისა. მოიმედე ვარ, რომ ამა კეთილს საქმეში მეცა მყოფ თანამეზიარედ და ამის გამო მომირთმევეია ამჟამად სამი თუმანი. გთხოვ, რომ გაუგზავნო საბრალოს ტიხონის ქვრივსა. – ტიხონსა ვიცნობდი მე კარგად; მას უდროოდ დამინებულსა თავდადებით უყუარდა საქართველო, რომლისა ისტორიას შეჰსწირა თავისი სიცოცხლე; მოკუდა საქართველოს ისტორიკოსი და საქართველომ ვერც კი გაიგო სიკუდილი მისი! სამწუხაროა ესრეთი უმადლო მხვედრი კაცისა“ (ორბელიანი 2018: 137).

⁷ (გვ. 277) „**პასუხი მიბძანეთ და ყმების ამბავიცა წვრილათ შეინჭიმე**“ – წერილს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „[მივიღე] 30 ოქტ., პასუხი 2 ნოემბერს“ (დიმ. ყიფიანის *პასუხი* ჩვენ ხელთ არა გვაქვს).

51. დიმიტრი ყიფიანისადმი

(გვ. 278)

ხელნაწერი: K: დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1788. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. ნაღრიკი. **თარიღი:** 1865 წ. 19 მარტი. **ხელმოწერა:** ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი. **ქვეყნდება პირველად.**

¹ (გვ. 278) „**რწმუნების წერილი ჩვენს ბანკის თაობაზე**“ – იგულისხმება დიმ. ყიფიანის ინიციატივა *თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის* დაარსების შესახებ (ბანკის იდეის, მიზანდასახულობისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2018: 213-244, 448-453). ალ. ორბელიანი ბანკის დაარსებას ვერ მოესწრო. მიუხედავად ქართველ მოღვაწეთა უკიდურესი ძალისხმევისა, ხელისუფლების წინააღმდეგობის დაძლევა მაშინ ვერ მოხერხდა და იდეის პრაქტიკული განხორციელება მოგვიანებით (1870-იანი წწ.) ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გახდა შესაძლებელი.

² (გვ. 278) „**ცივილიზია**“ – ასეა დედანში.

52. ბრიგოლ ორბელიანისადმი

(გვ. 279)

ხელნაწერი: K: გრ. ორბელიანის არქ., საქ. №672. დარეჯან (დარია, დარიკო) ალექსანდრეს ას. ორბელიანის ხელით ნაწერი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1869-მდე]. **ხელმოწერა:** თ-ა ალექსანდრე ორბელიანი.

ქვეყნდება პირველად.

წერილს წინ უძღვის დარეჯან (დარიკო) ორბელიანის მინაწერი: „მამაჩემი შეუძლებლობს, წერა ვერ შეიძლო“. გადახაზულია მიმართვის სიტყვები: „შენი ჭირიმე კნიაზო გრიგოლ! მონყალეო ხელმწიფე“. ტექსტის სულისკვეთება („ჩვენ ეს ორნი დავრჩენილვართ, ორი ღერი...“) და ავტორის მძიმე ავადმყოფობა („ჩემის ხელით ვერა გწერთ“) გვაფიქრებინებს, რომ ტექსტი ალ.

ორბელიანის ცხოვრების უკანასკნელ, 1860-იან, წლებში უნდა იყოს დაწერილი.

¹ (გვ. 279) „**თქვენი ძმა ბებიდაშვილი**“ – გრ. ორბელიანი იყო შვილიშვილი ელენე ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილისა. ამიტომ უწოდებს მას ალ. ორბელიანი (ერეკლე II-ის შვილიშვილი) **ბებიდაშვილს**.

² (გვ. 279) „**დარიკოს...**“ – იგულისხმება ალ. ორბელიანის ქალიშვილი დარეჯან (დარია, დარიკო) ორბელიან-ქობულაშვილი (მასზე იხ. აქვე, გვ. 370).

ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა

ჩემი დილის და საღამოს ლოცვა

(გვ. 283)

ხელნაწერი: K: S-1664. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 3. **ნაბეჭდი:** „ლიტერატურული საქართველო“ (25.IV-2.V, 1997, №17. [ჰუბლიკაცია რ. ჩხეიძისა]). **თარიღი:** 1835 წ. ორენბურგი. **ხელმოწერელი.**

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ 1840 წელს შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 127-128).

კმაყოფილების ნაღილი და ვნების სურვილი

(გვ. 283-284)

ხელნაწერი: K: S-1634. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 3-4. **თარიღი:** 1845 წ. 29 ნოემბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** თ-ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი.

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1844-1866 წწ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 92-96).

ქვეყნდება პირველად.

**სამეფოს დასაცველი საფუძველი და
იმის გამაჯადნირებელი**
(გვ. 284-285)

ხელნაწერი: K: S-1634. ფ. 5-6. ავტოგრაფი. შავად ნაწერი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1845 წ. ტფილისი. **ხელმოწერა:** თ-ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი.

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1844-1866 წწ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 92-96).

ქვეყნდება პირველად.

**34-ს წელსა რუსულს ბიბლიოტეკა დღია
ჩტენიასა შინა სმესში**
(გვ. 285)

ხელნაწერი: K: S-1634. ფ. 7. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1846 წ. 1 სექტემბერი. ალგეთის პირზე, ქოთიშს. **ხელმოწერა:** თ-ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი.

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1844-1866 წწ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 92-96).

ფურცლის მეორე გვერდზე ალ. ორბელიანის ავტოგრაფული მინაწერია:

თათრულიდგან. –
დასწერ შენ, შენ,
მოშლი შენ, შენ,
ვინ გეტყვის თუ ტყუი შენ, შენ.

ფაქტობრივად, წინამდებარე ტექსტი არის თარგმანი ჟურნალში „Библиотека для чтения“ გამოქვეყნებული ინფორმაციისა „Новое астрономическое наблюдение“ (1834. ტ. II. №3. განყოფილება Смесь, გვ. 48).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 285) „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიასა შინა სმესში“ – ა) ბიბლიოტეკა დღია ჩტენია (Библиотека для чтения): რუსული

უნივერსალური (ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, მრეწველობა, ახალი ამბები, მოდა) ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა 1834-1865 წლებში; ბ) *სმესში*: ჟურნალის განყოფილება – *ნარევი* (მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ასეც ითარგმნოს – *სხვადასხვა*) (რუს. Смесъ – ნარევი).

² (გვ. 285) „**უფლის ვაიტის მომდინარეს წლის (1834) ასტრონომიულსა ეფემერდში...**“ – ა) ჟურნალის პუბლიკაციაშია Г[осподин] Вайт. ავტორის გვარი, ნიგნის სათაური და გამოცემის წელი იქვე ასეა მითითებული: White's Ephemeris for 1834 [ვაიტის ეფემერიდები 1834 წლისა]); ბ) *ეფემერდი*: უნდა იყოს **ეფემერიდები** (პლანეტების მდებარეობის ყოველდღიურ მონაცემთა ამსახველი ცხრილები).

³ (გვ. 285) „**პრაფესორი ერი**“ – ჟურნალის პუბლიკაციაში: Профессор Эри (Aury). უნდა იყოს: Эйри (Airy) – **ჯორჯ ბიდელ ეირი** (ზოგან – *აირი*), XIX ს. გამოჩენილი ინგლისელი ასტრონომი და მათემატიკოსი.

ჩემი წერილები

(გვ. 286)

ხელნაწერი: K: S-1634. ფ. 8. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **თარიღი**: 1846 წ. 5 სექტემბერი. კაზრეთი. **ხელმოწერა**: თ-ა ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

შეტანილია აღ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1844-1866 წწ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 92-96).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 286) „**ბევრი ძველი და ახალი ამბები გადმეწო 1845-სა წელსა**“ – ავტორი სხვა ნაწერში ხანძრისგან ხელნაწერების განადგურების თარიღად 1842 წელს უთითებს (იხ. აქვე, გვ. 289).

² (გვ. 286) „**ბატონიშვილი დედიჩემის მონერილი ნიგნები ... მიუსწარ და გამოვიტაცე**“ – ცეცხლს *გამოტაცებული ნიგნების* (წერილების) შესახებ იხ. აქვე, გვ. 572.

ბარყვნილოზისაგან დაფარვა ყმანვილისა
(გვ. 286-287)

ხელნაწერი: K: S-1634. ფ. 10. ავტოგრაფი. შავად ნაწერი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1854 წ. 2 ივნისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** თ-ა ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1844-1866 წწ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 92-96).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 286) „სოფლიერათ გავიდეს“ – ოჯახური წრიდან გავიდეს, საზოგადოებაში გაერიოს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთოს.

**ძველ ინდუსთა სამაცნიეროს ვედის ანუ ვედანტის
ნიგნსა შორის ყოვლად შამაქეპალჯა**
(გვ. 287)

ხელნაწერი: K: S-1634. ფ. 11. ავტოგრაფი. შავად ნაწერი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1854 წ. 2 ივნისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** თ-ა ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1844-1866 წწ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 92-96).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 287) „ვედის ანუ ვედანტის ნიგნსა შორის...“ – იგულისხმება **ვედები**, უძველესი ინდური რელიგიური და ლიტერატურული ნიგნები, რომლებიც საფუძვლად დაედო ვედურ პოლითეისტურ რელიგიას.

² (გვ. 287) „შვედის ღენარლის ღრაფ ბიორნშტიერნის ნიგნიდან“ – ბიორნშტიერნის შესახებ დამატებითი ცნობები ჩვენ ვერ მოვიპოვეთ.

ბრძნობა (გვ. 288)

ხელნაწერი: T: №16317-ბ. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1. უთარილო. ხელმოწერული.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 288) „ეკატერინე!“ – მეუღლე ალ. ორბელიანისა, ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანი.

² (გვ. 288) „მშობელო დედავ“ – თეკლე ბატონიშვილი იგულისხმება.

³ (გვ. 288) „შენის შვილების“ – გადასახლებაში მყოფი ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები იგულისხმებიან.

ჩემი მეუღლის სოფელს კაზრეთში (გვ. 288-289)

ხელნაწერი: K: S-1634. ფ. 34. ავტოგრაფი. შავად ნაწერი. ქართულ ენაზე. უთარილო. **ხელმოწერა:** თ-ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1844-1866 წწ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 92-96).

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 288) „ჩემი მეუღლის სოფელს კაზრეთში“ – სოფ. კაზრეთი ალ. ორბელიანის მეუღლეს, ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანს, მზითევში მოჰყვა (იხ. აქვე, გვ. 65).

[როგორ დაინვა ჩემი დედისა და ცოლის წერილები] (გვ. 289-290)

ხელნაწერი: K: Sd-2197. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 2. უსათაურო. უთარილო. ხელმოწერული.

დასათაურება ჩვენია.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 289) „პორტიკულიარნი წიგნები“ – კერძო ხასიათის (არაოფიციალური) წერილები.

² (გვ. 289) „1842-სა წელსა...“ – სხვა ჩანაწერში („ჩემი წერილები“. იხ. აქვე, გვ. 286) „შკაფის თავზე“ შენახული წერილების დაწვის ამბავს ავტორი 1845 წ. 9 ნოემბრით ათარილებს.

³ (გვ. 289) „ბატონიშვილის დედი ჩემის წიგნები ენყო და სრულს ცეცხლს ველარ მიეხნია და დაწვისაგან მორჩომილიყო“ – ხანძარს გადარჩენილი თეკლე ბატონიშვილის წერილები, თბილისიდან, კაზრეთიდან და კალუგიდან მიწერილი ალ. ორბელიანისადმი (1835-1837 წწ.), დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Sd-2200-2220). დაცულია აგრეთვე თეკლე ბატონიშვილის მიერ კალუგიდან თბილისში გამოგზავნილი წერილები ეკატერინე ბარათაშვილ-ორბელიანისადმი (ქლსმ. №№16377-16380).

⁴ (გვ. 290) „ჩემი ცოლის...“ – იგულისხმება ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანი.

⁵ (გვ. 290) „ჩემი ძმების...“ – იგულისხმებიან დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები. 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრები.

⁵ (გვ. 290) „ჩემი მამიდაშვილის მაკას...“ – იგულისხმება მაკა ჩოლოყაშვილ-მელიქიშვილი (იხ. აქვე, გვ. 521).

დასაბუთების აღზრდის შესახებ

(გვ. 290)

ხელნაწერი: K: S-1634. ფ. 33. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. უსათაურო. უთარილო. ხელმოწერა: თ-ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1844-1866 წწ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 92-96).

დასათაურება ჩვენია.

ქვეყნდება პირველად.

[„როსტომიანის“ ხელნაწერის შესახებ]

(გვ. 290-291)

ხელნაწერი: K: Sd-1580. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭედი:** აღწერილობა 1963: 38. **უსათაურო. უთარილო. ხელმოწერები:** I. თ-ა ალექსანდრე ჯამბაკურიანი ორბელიანი; II. თ-ა ა. ვ.-ძე ჯ. ორბელიანოვი.

ეს არის ალ. ორბელიანის მინაწერები „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების, „როსტომიანის“, XVIII (და არა XVII, როგორც ქვემოხსენებულ აღწერილობაშია მითითებული) საუკუნის ხელნაწერ კრებულზე (ყდის შიდა მხარეს) (აღწერილობა ალ. ორბელიანის ნაქონი „როსტომიანისა“ იხ. აღწერილობა 1963: 37-38).

დასათაურება ჩვენია.

იქვეა დავით ჩუბინაშვილის მინაწერი ალ. ორბელიანის **პირველ** მინაწერზე: „სანამ არა გკითხონ რა, თქვენ თვითონ წურას იტყვი, ამიტომ, რომ არა დაგეგვრებათ რა. **დ. ჩ.**“ ალ. ორბელიანის **მეორე** მინაწერი კი პასუხია დ. ჩუბინაშვილის კიდევ ერთ მინაწერზე: „რა ნათესავი იყო მეფე ვახტანგ თქვენი, ან დიმიტრი ბაგრატიონი რა გენალვლება, სულ ჩუმათ იყოთ. **ჩუბ.**“

¹ (გვ. 290) „**როსტომიანი ესე ნაქონია მეფის ვახტანგისა**“ – ალ. ორბელიანის კუთვნილი „როსტომიანი“, რომელზეც მფლობელს თავისი შენიშვნები მიუწერია, გადაწერილია 1749-1750 წლებში და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა 1737 წ. გარდაცვლილი ვახტანგ VI-ის ნაქონი (იხ. სარედაქციო კოლეგიის წინასიტყვაობა წიგნში ფირდოუსი 1934: V-VI).

² (გვ. 290) „**როდესაც დარეჯან დედოფალი პეტერბურღს წაიყვანეს, მამაჩემი ვახტანგ თან ახლდა და იქიდგან დაბრუნებაზე მოსკოვში დიმიტრი ბაგრატიონს ერუქებინა მამიჩემისათვის**“ – ალ. ორბელიანის არც ეს ცნობაა სწორი. რუსეთში გადასახლებულ დარეჯან დედოფალს ალ. ორბელიანის მამა, ვახტანგი, მხოლოდ მოზდოკამდე ახლდა (იხ. აქვე, ალ. ორბელიანის 1832 წ. 18 დეკემბრის ჩვენების კომენტ. 8). ასე რომ, ვახტანგ ორბელიანი მოსკოვში არ ყოფილა და, შესაბამისად, ვერც დიმიტრი ბაგრატიონი აჩუქებდა ხელნაწერ „როსტომიანს“.

³ (გვ. 291) „ელენე ჰაპჩემის მამის ელიზბარ ეშიკალაბაშის ცოლი“ – იგულისხმებთან ელიზბარ ვახუშტის ძე ორბელიანი (ეშიკალაბაში, 1744 წ. ოსმალთა მიერ მოკვდინებული) და მისი მეუღლე ელენე საზვერელის ას. ჩიჯავაძე.

⁴ (გვ. 291) „მ. ჩ. და კნ. გ.“ – ?

[„სული ჩამი მონებითა გამორჩილების...“]

(გვ. 291)

ხელნაწერი: Z: ფონდი 2. საქ. №2115. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 215. უსათაურო. უთარილო. ხელმოუწერელი.

დასათაურება ჩვენია.

ქვეყნდება პირველად.

[ჩამი რუსი ნაცნობები]

(გვ. 291-295)

ხელნაწერი: K: S-1664. ფ. 1-3. ავტოგრაფი. შავად ნაწერი. ქართულ ენაზე. უსათაურო. უთარილო. ხელმოუწერელი.

შეტანილია ალ. ორბელიანის მიერ შედგენილ ავტოგრაფულ კრებულში (1840 წ.; აღწერილობა კრებულისა იხ. აღწერილობა 1963: 127-128).

დასათაურება ჩვენია.

ქვეყნდება პირველად.

მოკლე ცნობები სიაში ჩამოთვლილ იმ პირთა შესახებ, რომელთა ვინაობის გამორკვევა მოხერხდა, იხ. აქვე, პირთა საძიებელში.

¹ (გვ. 291) „ვალხოვსკი, ვლადიმირ დიმიტრიჩ, ღენერალ მაიორი“ – უნდა იყოს: [ვლადიმირ] ვოლხოვსკი, 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის წევრი.

² (გვ. 291) „კაროვინი ნიკოლაი ანდრეიჩი, პორუჩიკი“ – გადახაზულია.

³ (გვ. 291) [... – წაშლილია (ვინაობა არ იკითხება).

⁴ (გვ. 291) „პომესჩიკი“ – მემამულე, მებატონე (რუს. Помещик).

⁵ (გვ. 292) „გამამიხსნა ურალის წყალში დახრჩვისაგან“ – პავლე გავესკის მიერ (ორენბურგის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მდივანი იყო) მდ. ურალში დახრჩობისგან გადარჩენის შესახებ ალ. ორბელიანს უწერია თავის თხზულებაში „ჩემი შეცდომილება და ჩემი ცოდვანი“.

⁶ (გვ. 292) „მ. 32.“ – ჩამონათვალში №32 მეორდება.

⁷ (გვ. 294) „დე-ბუხობრ. ვლადიმირ პავლოვიჩ“ – გადახაზულია.

⁸ (გვ. 295) „პაზუხინ პეტრ სერგეიჩ...“ – გადახაზულია, თუმცა ქვემოთ (№92) მეორდება.

⁹ (გვ. 295) „ისეევ, ფეოდორ პარფენიჩ...“ – მეორდება (იხ. ამავე სიის №73).

[ჩემი ხარჯი]

(გვ. 295-296)

I.

ხელნაწერი: T: №16390-ბ. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1. უსათაურო. უთარილო. ხელმოუწერელი.

დასათაურება ჩვენია. ქვეყნდება პირველად.

II.

ხელნაწერი: Z: ფონდი 2. საქ. №2115. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 214. უსათაურო. უთარილო. ხელმოუწერელი.

დასათაურება ჩვენია. ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 296) „მინანთული“ – *მინანთული (მინალთუნი)*: „ხუთი აბაზი ვეცხლის ფული“ (ჩუბინაშვილი 1961: 283).

² (გვ. 296) „დავერენოსტების ღერბიანის ქალაღში სამრუბლიანი“ – ა) *დავერენოსტი* (რუს. Доверенность): მინდობილობა; *სამრუბლიანი*: სამმანეთიანი (რუს. Рубль – მანეთი).

[განცხადება ნალკის პრისტავ მაჩაბლისადმი]

(გვ. 297)

ხელნაწერი: T: №16385-ბ. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1.
თარიღი: 1862 წ. 28 აგვისტო. კაზრეთი. **ხელმოწერა:** პოდპორუჩიკი თ-ა ა. ვახ. ძე ორბელიანი. დაცულია ორ ცალად. აქედან ერთი შავად არის ნაწერი, ხოლო მეორე გადათეთრებულია.

ხელნაწერში წერილის ადრესატის სახელი მითითებული არ არის. „ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში“ წყაროს დაუსახელებლად ნათქვამია, რომ წერილის ადრესატია **სვიმონ ფარსადანის ძე მაჩაბელი** (ნგნ. II. თბ.: 2016, გვ. 57). სვ. მაჩაბელი კი იყო ივანე მაჩაბლის (1854-1898) პაპა, პოეტი და მწიგნობარი, თავის დროზე შექმნილი და გავლენიანი ქართლელი თავადი (სოფ. თამარაშენიდან), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გაათავისუფლეს მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ). 1858 წ. ვალებში ჩაფლული და მატერიალურ შეჭირვებაში მყოფი სვ. მაჩაბელი გრიგოლ ორბელიანს ლექსად ევედრება: „... ყმასა და მამულს მართმევენ, თავზედ მატყდება ვალები, / პურს ვჭამდე, ფიქრი წამიღებს, ცრემლით მევესება თვალები / ვიცი, თქვენ ძალ გიძს, მენიე, ბიჭო, შენ გენაცვალე“ (ბერძნიშვილი 1983: 99). თუ ალ. ორბელიანის წერილის ადრესატის შესახებ ზემოხსენებული აღწერილობის მითითება სწორია, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, გრ. ორბელიანს სვ. მაჩაბლის თხოვნა გულთან მიუტანია და მისთვის ნალკის პრისტავის თანამდებობა უშოვია, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია.

ქვეყნდება პირველად.

[სამედიცინო რეცეპტები]

(გვ. 297)

ხელნაწერი: T: №16391-ბ. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 1.
უსათაურო. უთარილო. ხელმოუნერელი.

დასათაურება ჩვენია.

ქვეყნდება პირველად.

¹ (გვ. 297) „საბრი არყი“ – ა) საბრი: ალოე; ბ) არყი: ? [შესაძლოა, ეს იყოს არყის ხე (ქერქი, ფოთლები, კვირტები), რომლებსაც სამკურნალო თვისებები აქვს].

² (გვ. 297) „სტოლის კოვზი“ – სუფრის კოვზი.

³ (გვ. 297) „მზე უჭვრიტას ყვავილი და ტეხტის ყვავილი“ – ა) მზეუჭვრიტა: მზესუმზირა; ბ) ტეხტი – ?

დამონებიანი:

ალანია 1959: ალანია ნ. სოლომონ რაზმაძე პენზაში. „ლიტერატურული ძიებანი“. XII. 1959.

ალექსიევ-მესხიევი 1893: ალექსიევ-მესხიევი ნიკ. შესახებ ბ. ნ. ბარათაშვილის ძეგლის დადგმისა. „ივერია“, 22.VI, 1893, №130.

აქტები 1866: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. I. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1866.

აქტები 1868: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. II. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1868.

აქტები 1874: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. VI. Ч. I. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1874.

აქტები 1881: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. VIII. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1881.

აქტები 1884: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. IX. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1884.

აქტები 1885: Акты, собранные Кавказской археографической комиссиєю. Т. X. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1885.

აღწერილობა 1963: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ. III. შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული: თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1963.

ბალახაშვილი 1940: ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბლიტგამი. 1940.

ბალახაშვილი 1966: ბალახაშვილი ი. გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1966.

ბარათაშვილი 1972: ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. ა. განერელიასა და ივ. ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1972.

ბენდიანიშვილი 1978: ბენდიანიშვილი ალ. დიმიტრი ბატონიშვილი (ბაგრატიონი). // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. [ტ.] 3. თბილისი: 1978.

ბენდიანიშვილი 1980: ბენდიანიშვილი ალ. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. თბილისი: მეცნიერება. 1980.

ბერიძე 1977: ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბილისი: მეცნიერება. 1977.

ბერჟე 1874: Берже А. Барон Розен и время его управления Кавказом. Тифлис: 1874.

ბერძნიშვილი 1980: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.

ბერძნიშვილი 1983: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.

ბერძნიშვილი მაქს. ჟურნალ „სინათლის“ განცხადება. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948, №4-5.

ბერძნიშვილი 1989: ბერძნიშვილი მაქს. [სოლომონ დოდაშვილის] სალიტერატურო მემკვიდრეობა. // ს. დოდაშვილი. თხზულებანი. შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თ. კუკავა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989

ბროკაუზი-ეფრონი 1903: Брокгауз и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 75. Т. XXXVIII. С.-Петербург: Типография Акц. Общ. Брокгауз-Ефрон. 1903.

ბუაჩიძე 1983: Буачидзе Г. Мари Броссе. Страницы жизни. Тбилиси: Мерани. 1983.

განერელია 1959: განერელია ა. გრიგოლ ორბელიანი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი). // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.

გოგოლაძე 1973: გოგოლაძე დ. ბრძოლა ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ოცეულში. // საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად). ტ. IV (ტომის რედაქტორი მ. დუმბაძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.

გოზალიშვილი 1927: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულების მასალებიდან. „საქართველოს არქივი“ (წგნ. II. ტფილისი: 1927).

გოზალიშვილი 1935: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.

გოზალიშვილი 1970: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.

გოზალიშვილი 1976: გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. III. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1976.

გონიკაშვილი 1986: გონიკაშვილი მ. ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბილისი: მეცნიერება. 1986.

გოცაძე 1954: გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.

გრიშაშვილი 1952: გრიშაშვილი ი. ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა. // ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1952.

გრიშაშვილი 1997: გრიშაშვილი ი. ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა). გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა. თბილისი: სამშობლო. 1997.

გურული 2017: გურული ვ. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). წგნ. I. თბილისი: ქართული უნივერსიტეტი. 2017.

დანელია 1993-1994: დანელია ფ. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“. დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994.

დიუმა 1970: დიუმა ალ. კავკასია. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა, შესავალი ნერილები და შენიშვნები ა. განერელიასი. თბილისი: მერანი. 1970.

დოდაშვილი 1989: დოდაშვილი ს. თხზულებანი. შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თ. კუკავა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989.

დროება 1873: ნეკროლოგი („ამ სამშაბათს, ქ. თფილისში, სიონის ეკლესიაში დაასაფლავეს...“). „დროება“ 14.XII, 1873.

დუბროვინი 1897: Дубровин Н. Ф. Георгий XII, последний царь Грузии и присоединение её к России. Санкт-Петербург: Типография Д. В. Чичинадзе. 1897.

ენიკოლოპოვი 1968: ენიკოლოპოვი ი. მამუკა ორბელიანის რაპორტი. „ცისკარი“, 1968, №9.

ერისთავი 1832: [ერისთავი, გიორგი]. ოსური მოთხრობა. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. 1832, №№2-4.

ერისთავი 1853: [ერისთავი, გიორგი]. ზარე და ყანიმათ. „ცისკარი“, 1853, №4.

ერისთავი 1966: ერისთავი გ. თხზულებანი. ტექსტი დაადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1966.

ერისთავი 2022: ერისთავი ე. მემუარები. გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა და სამეცნიერო აპარატი დაურთო მ. ცერცვაძემ. თბილისი: არტანუჯი. 2022.

ვახანია 2009: ვახანია ნ. ერთი ყლუპი ჰაერი (ესეები, რეცენზიები, პორტრეტები, გამოხმაურებანი). თბილისი: 2009.

ვირსალაძე 1947: ვირსალაძე ე., ნ. ბარათაშვილის თანამედროვენი. „ლიტერატურული ძიებანი“. III. 1947.

თურმანიძე... 1992: „სიყვარული, სიყვარული... (გამოჩენილ ადამიანთა სატრფიალო ბარათები)“. შემდგენელი და მთარგმნელი ლ. თურმან-

იძე. წინასიტყვაობა და რედაქცია გ. აღზაზიშვილისა. თბილისი: ლომი-სი. 1992.

ივერია 1890: ახალი ამბავი („სოფ. კასპი. გორის მაზრა...“). „ივერია“, 6.IV, 1890, №70.

ივერია 1891: ახალი ამბავი („5 ამა ნოემბერს ტფილისში გარდაიცვალა...“). „ივერია“, 8.XI, 1891, №238.

ივერია 1901: ახალი ამბავი („6 იანვარს, სალამოს ექვს საათზედ...“). „ივერია“, 9.I, 1901, №6).

ინგოროყვა 1963: ინგოროყვა პ. ნიკოლოზ ბარათაშვილი. // პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული (შვიდ ტომად). ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.

იოანე ბატონიშვილი 1990: იოანე ბატონიშვილი. ხუმარსწავლა (კალმასობა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ც. კახაბრიშვილმა და ც. კიკვიძემ. წგნ. I. თბილისი: მერანი. 1990.

იოსელიანი 1936: იოსელიანი პ. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი: ფედერაციის გამომცემლობა. 1936.

იოსელიანი 1990: იოსელიანი ა. საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიიდან. სამხედრო-სამილიციო საქმის ორგანიზაცია. მისი მონაწილეობა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის 1826-1829 წლების ომებში. გლეხთა 1829 წლის მღელვარება ქართლ-კახეთში (დოკუმენტები). „საისტორიო მოამბე“. 59-60. 1990.

ისარლოვი 1899: Исарлов Л. Письма о Грузии. Тифлис: 1899.

ისარლოვი 1900: Исарлов Л. Из воспоминаний бывшего грузинского губернатора, князя Н. О. Палавандова. „Кавказский вестник“, 1900, №4.

კავკაზ 1850: Мцхет. „Кавказ“, 1850, №48.

კავკაზ 1857: Кавказская летопись („Сего же числа, в 3 часа популудни...“). „Кавказ“, 10.X.1857, №79.

კაციტაძე 1997: კაციტაძე კ. ესეი ქართულ პოლიტიკურ რომანტიზმზე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 15-22.VIII, 1997, №33.

კვალი 1893: თ. გიორგი რომანოზის ძე ერისთავი. „კვალი“, 16.V, 1893, №20.

კიკნაძე 1996: კიკნაძე ფილადელფოს. სიყვარული მამულისა. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო თ. კუკავამ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1996.

კიკნაძე 2020: კიკნაძე ლ. ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა. თბილისი: 2020.

ლომჯარია 2001: ლომჯარია ზ. მზითვის წიგნი. „ლიტერატურული ძიებანი“. XXII. 2001.

მასალები... 1974: მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). შემდგენელი მ. იაშვილი. თბილისი: მეცნიერება. 1974.

მახათაძე 1996: მახათაძე ნ. აღ. ჭავჭავაძე პეტერბურგში. ნიგნში: ნ. მახათაძე. „უწყება“ და „ქსენება“, თბილისი: მეცნიერება. 1996.

მეგრელიძე 1997: მეგრელიძე ი. სიძველეები ლიხვის ხეობაში (პატარა ლიხვის, ფრონის, ფანისა და ჯეჯორის ხეობები). წგნ. II. თბილისი: სამშობლო ფორტე. 1997.

მეუნარგია 1954: მეუნარგია ი. ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიითა და შენიშვნებით. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.

ნაკაშიძე 1974: ნაკაშიძე რ. გრიგოლ მუხრანბატონი. // კრბ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“ (VI, 1974).

ნანიტაშვილი 1981: ნანიტაშვილი ლ. იოსებ მამაცაშვილი. // ლ. ნანიტაშვილი. წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1981.

ნიკოლაიშვილი 1967: ნიკოლაიშვილი ნ. 1830-1831 წლების პოლონეთის აჯანყება და საქართველოს მონინავე საზოგადოება. „მაცნე“, 1967, №2.

ნოვიცკი 1905: *Новицкий Я. П. История города Александровска. Екатеринослав: 1905.*

<https://www.studmed.ru/view/novickiy-yap-istoriya-goroda-aleksandrovska-50f1193e4f2.html?page=10tp://history.org.ua/LiberUA/Book/novits1/4.pdf>

17.05.2022

ორბელიანი 1936: ორბელიანი გრ. წერილები. ა. განერელიას რედაქციითა და შენიშვნებით. კ. გორდელაძის წინასიტყვიით. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1936.

ორბელიანი 1937: ორბელიანი გრ. წერილები. ა. განერელიას რედაქციითა და შენიშვნებით. ტ. II. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1937.

ორბელიანი 1959^ა: ორბელიანი გრ. მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის. // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.

ორბელიანი 1959^ბ: ორბელიანი გრ. აღსარება (მიბაძვა კონდ. რილევის ლექსისა: „ნალივაიკოს აღსარება“). // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.

ორბელიანი 1959^გ: ორბელიანი გრ. დიმიტ[რი] ონიკაშვილის დარდები. // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.

ორბელიანი 1959^დ: ორბელიანი გრ. მირზაჯანას ეპიტაფია. // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. განერელიასა და ჯ.

ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.

ორბელიანი 1992: ორბელიანი ალ. მოგონება. // ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. 9. თბილისი: ნაკადული. 1992.

ორბელიანი 1992ა: ორბელიანი ალ. ჭეშმარიტი სიყვარული. // ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. 9. თბილისი: ნაკადული. 1992.

ორბელიანი 1992ბ: ორბელიანი ვ. გამოსაღმება. // ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად). შემდგენელი: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე. ტ. 9. თბილისი: ნაკადული. 1992.

ორბელიანი 1999: ორბელიანი ალ. რუსების დასი ქართველები ჩემზედ. // ალ. ორბელიანი. სიტყვა მამულის ტრაპეზზედ. შემდგენელი ნ. ვახანია. გ. ალხაზიშვილისა და რ. ჩხეიძის რედაქციით. თბილისი: ლომისი. 1999.

ორბელიანი 2012: ორბელიანი გრ. [წერილები]. // „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“. ტ. II. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I). ტომის რედაქტორები: ქ. გიგაშვილი, მ. ნინიძე. თბილისი: საარი. 2012.

ორბელიანი 2018: ორბელიანი გრ. [წერილები]. // „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“. ტ. VIII. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VII). ტომის რედაქტორები: ქ. გიგაშვილი, მ. ნინიძე. თბილისი: უნივერსალი. 2018.

ორჯონიკიძე 1992: ორჯონიკიძე ე. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის პირველი ნახევარი). თბილისი: მეცნიერება. 1992.

პაპავა 1956: პაპავა თ. და ა. მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი. ბუენოს აირეს. 1956 (1989 წ. განმეორებით გამოიცა თბილისში გ. შარაძის წინასიტყვიით).

პაპავა 1990: პაპავა თ. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვა დაურთო გ. შარაძემ. თბილისი: მერანი. 1990.

რაკოვსკი 1983: Раковский Л. И. Жизни наперекор: Повесть о Марлинском.

<http://militera.lib.ru/bio/rakovsky-li2/12.html> (06.12.2021)

რაზმაძე 1990: რაზმაძე ს. ლექსები. ს. ხუციშვილის რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1990.

სახოკია 1896: სახოკია თ. თ-დი სულხან გერმანოზის-ძე ბარათაშვილი (ცხოვრების აღწერა). „მოამბე“, 1896, №7, განყ. II.

სურგულაძე 1968: სურგულაძე ა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1968.

ტაბლიაშვილი 1971: ტაბლიაშვილი თ. დოკუმენტური მასალა ვახტანგ ორბელიანის შესახებ. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 25- 26, 1971.

ტანკოვი 1901: Танков А. Грузинская царица в Белгороде. „Исторический вестник“, 1901, №3.

უთურაშვილი 1991: უთურაშვილი ი. თეკლა ბაგრატიონი. თბილისი: მეცნიერება. 1991.

უილბრაჰამი 1990: რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში. ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. მელაძემ. თბილისი: მეცნიერება. 1990.

ფერაძე 1995: ფერაძე გრ. უცხოელ პოლიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ. თბილისი: კანდელი. 1995.

ფირდოუსი 1934: ფირდოუსი აბუ-ლ-ყასიმ. შაჰ-ნამე (ქართული ვერსიები). ტ. II. იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებითა და ლექსიკონით. ტფილისი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1934.

ქაჯაია 1995: ქაჯაია ვ. ნიკო ცხვედაძე – გამოჩენილი განმანათლებელი და მამულიშვილი. // კრბ. „ნიკო ცხვედაძე“ (შემდგენელი ნ. გამყრელიძე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1995).

ქუთათელაძე 1947: ქუთათელაძე ლ. ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები (ანბანური ბიბლიოგრაფია). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მონაგარი. ტ. XIV-B. 1947.

ყიფიანი 1930: ყიფიანი დიმ. მემუარები. სიმ. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებითა და წინასიტყვაობით. ტფილისი: 1930.

